რევაზ

მიშველაძე

პოლიტიკა

ტომი

XVIII

გამომცემლობა „საქართველოს მაცნე“

რჩეული თხზულებანი

ოცდახუთ ტომად

თანამედროვე ქართული ლიტერატურის კლასიკოსის, რუსთაველის პრემიის ლაურეატის, რევაზ მიშველაძის შემოქმედება კარგახანია მსოფლიო ლიტერატურის ორგანულ ნაწილად იქცა.

„საქართველოს მაცნე“ გამოსცემს პროზის დიდოსტატის რევაზ მიშველაძის რჩეულ თხზულებათა ოცდახუთტომეულს.

მკითხველი ამ ტომების წაკითხვისას ადვილად დარწმუნდება, რომ მწერლის ჟანრულად უაღრესად მდიდარ ნაწერებში ჩანს არა მარტო საქართველოს პრობლემები, არამედ ქართული სარკმლიდან დანახული მსოფლიოც.

2013

ISBN 978-9941-16-228-2 (ოცდახუთივე ტომი)
ISBN 978-9941-16-349-4 (XVIII ტომი)

რედაქტორი **მერაბ ცაგარეიშვილი**

კომპიუტერული
უზრუნველყოფა **მავრა ბანცური**
ციალა ძიმისტარიშვილი

© რევაზ მიშველაძე, **რჩეული თხზულებანი ოცდახუთ ტომად**
© **გამომცემლობა** „საქართველოს მაცნე“, **თბილისი,** 2013

მისამართი: თბილისი, 0179, ი. ჭავჭავაძის გამზ. №27

რამდენჯერ უნდა შერცხვე...

ჩვენი ოპოზიცია, როგორც ხედავთ, დაბნეულია, მისი ლიდერები კი, ხან იქით გარბიან, ხან აქეთ გამორბიან.

რაც ოპოზიციამ შარშან, აპრილიდან აგვისტომდე ქართველი ხალხი ამასხარავა, ხან გალიების ბინადრებად გადააქცია, ხან სულელური თარიღები უნიშნა და იმედის ფოჩიანი კანფეტები აძლია გაუბედურებულ და უსამსახუროდ დარჩენილებს.

მე საბოლოოდ ჩამომიყალიბდა ჩემი აზრი ამ ე. წ. ოპოზიციაზე და ამას ვერავინ შემაცვლევინებს. მკითხველო, გახსოვს და, რა თქმა უნდა, გემახსოვრება, 500 მანქანა გავიდოდა თბილისიდან და 520 მანქანა დაბრუნდებოდა უკან. აბა, ჩვენთან არის ქუთაისი, – გამოაცხადებენ მიტინგზე. იყო ერთი ამბავი, ერთი ტაშის კვრა და მომიტინგეთა შორის შემოდიოდა 27, ჰა-ჰა 29 კაცი. ბოლოს და ბოლოს, ეს თეატრალობა, ცირკის დადგმა, საქართველოს ცენტრში მთელი მსოფლიოს თვალში ხომ ჩვენთვის თავისმომჭრელი იყო, მაგრამ ყველაზე მეტად იმ იმედს ურტყამდა ჩაქუჩს და წვავდა იმ ნელ ნაღვერდალზე, რა იმედიც ქართველი კაცის გულში არსებობდა.

ახლა, ბოლოს და ბოლოს, ჭადრაკის სახლში ხალხი რომ გაამასხარავეს, რა თქმა უნდა, მე არ მივსულვარ...

მე იქ არ მივედი, იმიტომ რომ ჩემი ღირსებისთვის ძალიან დამამცირებელი იყო, მე ვიცოდი, რით დამთავრდებოდა ყველაფერი, მაგრამ ძალიან შემეცოდნენ ჩემი სუფთა კოლეგები, ნამდვილი ინტელიგენტები, ხელოვნების წარმომადგენლები, მათ შორის მწერლებიც იყვნენ.

შემეცოდნენ, რომ კიდევ გულუბრყვილოდ ჰქონდათ შერჩენილი ამ ოპოზიციის გაერთიანების იმედი. ერთი წამით, შეგიძლია წარმოიდგინო, რომ ეს ე. წ. ოპოზიციის ბელადები ერთ რაზმში იქნებიან და ერთი საქმისთვის იბრძოლებენ?

ამას ვერავითარ შემთხვევაში ვერ წარმოიდგენ და რატომ, იცი? 99 პროცენტს ოპოზიციის ლიდერებისას არა აქვს საქართველოს შველის არავითარი სურვილი. აი, რომ დაელაპარაკო, კაცო, ასეთი ამბავი მომხდარა, აგერ, ოჯახი შიმშილით ამომწყდარა, აგერ შვიდ-

სულიანი ოჯახია და არც ერთი კაცი არ მუშაობს... შენ რომ იცოდე, ოპოზიციის ლიდერებდან არც ერთი შიმშილით არ კვდება, ხელისუფლება საკმაოდ კარგად აფინანსებს ოპოზიციურ პარტიებს. ჩემდა გასამტყუნებლად, მოდი ასეთი რამ გააკეთე: ყველაზე ხელმომართულ, მე გეუბნები შენ, მწერალი რეზო მიშველაძე, ყველაზე ხელმომართულ ოპოზიციონერ ლიდერთან, ახლა რომ ზოგი ქალაქის მერობის მსურველია და ზოგი იქით-აქეთ გარბის, გამორბის, არიქა, იქ ვინმემ არ მიმასწროსო, მიაგზავნე აი, ასეთ ლიდერთან ღარიბი კაცი, მოსმენითაც არ მოუსმენს. როგორც კი კაცი თავის გაჭირვებაზე ჩამოაგდებს ლაპარაკს, იცოდე შენ, ამ ჩვენს რჩეულს იმედის თვალით და სასოებით რომ შეჰყურებდა მთელი საქართველო, იმ წუთში მთქნარება აუტყდება.

თუ მოხდა სასწაული და ზრდილობისთვის მოუსმინა, გამამტყუნე და შემდეგ მითხარი: ბატონო რეზო, კი ხართ სახელგანთქმული მწერალი, მაგრამ თქვენ არ გქონიათ პოლიტიკური ალღო, მაგალითად, მივაგზავნე ამა და ამ კაცთან, ამა და ამ ლიდერთან გაჭირვებული, შვიდშვილიანი, უსახსროდ დარჩენილი ადამიანი და მაშინვე გაიკრა ჯიბეზე ხელი, თუნდაც 50-ლარიანი აჩუქაო. არ მოხდება ასეთი რამ. ისინი ხალხისთვის საქართველოს გადარჩენისთვის, საქართველოს შველისთვის არ ზრუნავენ.

მათი ოცნებაა, რადაც არ უნდა დაუჯდეთ, მოიპოვონ ორი სკამი – პრეზიდენტის სავარძელი და ქალაქის მერის სავარძელი.

მათი ჯიუტი ნება და ჯიუტი ოცნება ამის იქით არ მიდის. ან ის რა არის, როცა ოპოზიციური პარტიის ლიდერი ამბობს: რუსებს ტერიტორიების დაბრუნებაზე არ უნდა დაველაპარაკოთო, სხვა რაღაცებზე უნდა ვილაპარაკოთო, ამაზე არაო. სხვა რაზე ველაპარაკო რუსებს, ლამაზი გოგოები გამომიგზავნე-მეთქი? მე, გასრესილი, ტერიტორიებწართმეული ქვეყანა, რაზე ველაპარაკო რუსებს, „ბალალაიკა“ ერთად დავუკრათ-მეთქი?

კარგი, კაცო, რამდენჯერ უნდა შერცხვე, რამდენჯერ უნდა დაგიჭირონ ტყუილში, რომ წახვიდე პოლიტიკიდან? მათ დაძახილზე საქართველოში 200 ათასი კაცი აღარ გამოვა, არც 10 ათასი კაცი, ჰა-ჰა, ჭადრაკის სასახლე გაავსონ.

ალბათ, უსმინეთ სააკაშვილის გამოსვლას პარლამენტში. იქ ბოლოს მოხდა ცოტა უცნაური რამ „ქრისტიან-დემოკრატებმა“ ისე შეუტიეს, ყველა გაოცებული დარჩა. არის აზრი, რომ ეს ყველაფერი ჩაწყობილი იყო სააკაშვილთან. ასევე, არის აზრი,

რომ გამოჩნდა რეალური ძალა, რომელიც ე. წ. ქუჩის ოპოზიციას ჩაანაცვლებს.

ჩვენ საკმაოდ ვლანძღეთ „ქრისტიან-დემოკრატები“, რომ ეს იყო შტრაიკბრეხერობა, ეს იყო ერის ინტერესების გაყიდვა, რომ ეს ნაყიდი პარტიაა და ასე შემდეგ. შეიძლება პირველ ეტაპზე ასეც იყო, არა მგონია, რომ ორი კვირის შექმნილი პარტია, რომელსაც სათავეში თუნდაც გამოცდილი, მაგრამ მაინც ჟურნალისტები ედგნენ, საქართველოში იმდენ ხმას აიღებდა, რომ თავისი დეპუტატები გაეყვანა პარლამენტში. აქ თავიდან რაღაც გარიგება იყო, საშუალო პარტია იყო ხელისუფლებასა და ხალხს შორის. არ გამოვრიცხავ არც იმას, რომ თარგამაძემ თავისი რაზმით მოატყუა ხელისუფლება რაღაც დოზით, თარგამაძე დღეს სასწაულებს არ ახდენს, მაგრამ წინა შეხვედრაზეც და ახლაც „ქრისტიან-დემოკრატებმა“ პრეზიდენტს ბევრი მწარე სიმართლე პირში მიახალეს. ახლა სხვა საკითხია... თქვენ, ჟურნალისტები, ყოველთვის მაძიებელი და ეჭვიანი გონების ხალხი ხართ, ეს ხომ არ იყო დადგმული სპექტაკლი? იქნებ სააკაშვილი უფლებას აძლევს, ოპოზიციური პარტიის წარმომადგენლები გამოვიდნენ მკაცრად? ეს გულის მოფხანვისთვის რომ არ იყო გამიზნული, საიდან შევატყვე იცი? იქიდან, რომ კარგად დავინახე, როგორ აბაკუნებდნენ ფეხებს და როგორ მოსდიოდათ ცოფი პირზე ხელისუფლების ბულდოგებად ქცეულ პარლამენტარებს. სხვათა შორის, სააკაშვილი არ გაბრაზებულა ისე, მშვიდად უსმენდა მის მიმართ გამოთქმულ კრიტიკულ შენიშვნებს, მაგრამ პატარ-პატარა პარლამენტარებიც წკავწკავებდნენ, ფეხებს აბაკუნებდნენ, ჩემო ბატონო, და იყო ერთი ამბავი.

რა თქმა უნდა, ახვლედიანისა და თარგამაძის ვერც ერთი შენიშვნა ვერ გააბათილეს. ეს რომ ყოფილიყო დადგმული ფარსი, მაშინ ისეთ საკითხებს შეეხებოდნენ, ახვლედიანი და თარგამაძე, რომლებზეც პასუხები იოლი მოსაძებნი იქნებოდა. აი, ჩვენ გავაკრიტიკეთ, იმათ გვიპასუხეს და ასე დამთავრდებოდა ყველაფერი. რა თქმა უნდა, შედეგის თვალსაზრისით, პარლამენტის იმ სხდომიდან ქართველმა ერმა ვერაფერი ვერ მიიღო, მაგრამ სანახაობრივად ძალიან კარგი იყო. ერთი მხრივ იყო ხელისუფლება, რომელსაც აკრიტიკებდნენ, მეორე მხრივ იყო ოპოზიციური თუ ნახევრადოპოზიციური პარტია, რომელიც თავის სიმართლეს ვაჟკაცურად ამბობდა. საერთოდ, უნდა იცოდე, რომ ოპოზიციის ფუნქციას პარლამენტის შიგნით „ქრისტიან-დემოკრატები“ ასრულებენ წარმატებით და პარლამენტს გარეთ –

„ლეიბორისტები“. ისინი თითქმის ყოველდღე გამოდიან კონკრეტულ საკითხზე მინიშნებით და ჩვენდა გასახარად, მათ მიერ დაყენებული ბევრი კონკრეტული საკითხი დადებითად წყდება. ხელისუფლების თითქმის ყრუ კედელი ბევრგან გაარღვიეს. ეს კარგია, რომ „ლეიბორისტული პარტია“ ხალხზე მზრუნველი პარტიაა, მაგრამ მეჩვენება რატომღაც, რომ ისინი ისე გაერთვნენ მხილებაში, პოლიტიკური პარტიის ერთი მთავარი ამოცანა – პარლამენტში გასვლა და ხელისუფლების სავარძლების მოპოვება თითქმის დაივიწყეს.

ახლა შეიძლება მართლები არიან, რომ ქალაქის მერობისთვის გამართულ დოღში არ მონაწილეობენ, მაგრამ უარის თქმა ყოველ არჩევნებზე, სულ ერთია, მაინც არ ჩატარდება ნამდვილი არჩევნებიო, მე ვერ მომიწონებია ჩემი მეგობარი „ლეიბორისტებისთვის“. შენ როცა უარს იტყვი მართალი და მებრძოლი პარტია, შენს ადგილს რომელიმე ნახევრადოპოზიციური პარტია დაიკავებს და ისევ ის კარუსელი გათამაშდება, ის მოჯადოებული წრე იქნება, რაშიც ვტრიალებთ აგერ უკვე 20 წელიწადია და თავი ვერ დაგვიღწევია.

მე მეჩვენება, რომ „ქრისტიან-დემოკრატებმა“ დაიკავეს ის ადგილი მთლიანად რაც უნდა დაეკავებინა ქუჩაში მდგომ ოპოზიციას, ანუ გამოდის, რომ მანდატების დახევამ არ გაამართლა. უკვე დროა, ოპოზიციის დიდმა ნაწილმა უარი თქვას პოლიტიკაში მოღვაწეობაზე და წავიდეს სახლში. ამის დრო უკვე დადგა?

რა თქმა უნდა, ეს დრო კარგა ხანია დამდგარია, გაკოტრებული პოლიტიკოსი სახლში უნდა წავიდეს და სხვა საქმეს უნდა მოჰკიდოს ხელი. ახლა მე, მაგალითად, ხანდახან რომ მხვდებიან, ვერ მივდივარ და ხელს ვერ ვართმევ, მე მეცოდებიან ისინი.

შე კაი კაცო, როცა შენ გამხელენ. ცრემლებს ღვრი, შეჰყვირებ ხოლმე ხანდახან – მოვდივარ და გავიმარჯვებო, შემოგყურებს 100 ათასი კაცი და იძახის: ვაიმე, ეს რა ვაჟკაცი მოგვევლინა, ეს რა ცოტნე და დავით აღმაშენებელი გამოგვიჩნდაო და მერე შუაღამისას მიდიხარ, ხვდები მავანს და მავანს, – ხვალ რა გავაკეთო, როგორც მოვიქცეო, ამ სულელ ბრბოს რომ ჰგონია, თითქოს მართლა შენი ჩამოგდება მინდაო, – ამაში რომ გამხელენ, რაღა უნდა გააკეთო?!

გაიხსენეთ, ნინო ბურჯანაძემ რა თქვა, მივედი და იქ დამხვდნენ გაჩეჩილაძეები, ისხდნენ სახელმწიფო კანცელარიაშიო. ბოლოს და ბოლოს, შენი მართვა ასე ადვილად რომ შეიძლება, აქედან ერთი დასკვნის გამოტანაა საჭირო, – შენ გაჯობა იმ კაცმა, შენ გაგაბითურა, გაგამასხარავა და კიდევ რას ეპოტინები? რა იყო, შედი, დაჯექი შენს სახლში, დაწყნარდი, დამშვიდდი, ბიზნესს მოჰკიდე ხელი, ან რაღაც სხვა საქმე გამონახე.

რაშია იცით, საქმე? ორ სკამზე ჯდომა, ანუ ბაბაც გინდა და ჩიჩიაც, ასე არ გამოვა.

შენ ქართველი ერი პირში არ გეუბნება... ისე კარგი ბიჭი ხარ შესახედავად, ვაკელი კაცი ხარ, ყველას უყვარდი ერთ დროს, ამ ხალხს აქვს რაღაც საოცარი გრძნობა – შებრალებისა, მიტევებისა და ჩხუბს არ გიწყებს, მაგრამ ყველა თავის გულში ფიქრობს, – გამანებე თავი, შე მატყუარა, გამანებე თავი, ძმაო, რას მერჩი, დამტოვე მე ჩემს გაჭირვებასთან, დამტოვე მე ჩემს სევდასთან.

ახლა გამოდიან, – არიქა, პრაიმერიო... მერე, პრაიმერი მე არ მინდაო, არიქა, ერთი კანდიდატი მოვნახოთ, შევჩერდეთ ერთ კანდიდატზეო, გახარებული გამოდიოდა თურმე ხალხი ჭადრაკის სასახლიდან... იმასაც კი, ვინც ყველაზე მეტად გაკოტრებულია, ჰგონია რატომღაც, რომ ქართველი ერის სიყვარული მას ეკუთვნის, როგორ ფიქრობ ახლა, შენ, გახარებულები რომ ატრიალებენ ჩვენი ტელევიზიები, აი, დაიშალა ერთი ოპოზიციური ბლოკი, დაიშალა მეორე ოპოზიციური ბლოკი, მერე გაერთიანება მოხდა, მერე ალასანია გამოეთიშა, ეკა ბესელია გამოეთიშა ირაკლი ოქრუაშვილს, ვინაა, ბიჭო, ოქრუაშვილი, ვინაა ეკა ბესელია, რა გინახავს შენ მათი გაკეთებული პრაქტიკული საქმე? ჰოდა, გამოეთიშა, გამოეთიშა! გახარებულები არიან, ბოლოს და ბოლოს, ჯერ იმასთან ერთად მყოფი და ჩახუტებული ვერაფერს აკეთებდი და ახლა გამოთიშული რისი გამკეთებელი ხარ? გაგათითოკაცეს, მოგერივნენ, ეშმაკურად გაგაბითურეს და ახლა ფარას ჩამორჩენილი ცხვარივით დარბიხარ იქეთ-აქეთ... ახლა ხან ერთი უფსკრულიდან გადაიხედავ ძირს, ხან მეორე უფსკრულიდან. ალბათ, გინახავს ასეთი ცხვარი, შენთან სოფელში ნახავდი, წრიალებენ, წრიალებენ, სად წავიდნენ და რა გააკეთონ, აღარ იციან. შენ რომ ჩამორჩი, შვილო, უკვე მგლის ლუკმა ხარ, ახლა მეც და შენც კარგად ვიცით, რა ხდება, მაგრამ მე მაინც მთავარი საკითხი – საქართველოს ბედი მაინტერესებს. საქართველოს ხელისუფლება ბევრს ვერაფერს წყვეტს, ჩვენი ქვეყანა მიბმულია დასავლეთზე, მიბმულია ამერიკაზე, მიბმულია რუსეთზე. ახლა შევხედოთ სათითაოდ. ნატო თავისი ჯარების გადაქაჩვას აპირებს ბალტიისპირეთის სიახლოვესო, – წერენ გაზეთები. იმიტომ, რომ საფრანგეთის მიერ რუსეთისთვის გემის მიყიდვა, „მისტრალი“ რომ ჰქვია, ქმნის საშიშროებას, რომ ეს გემი ან ბალტიის ზღვაში შევა, ან

შავ ზღვაში შემოვაო. ორივე უბედურებაა, საითაც გავიქეცი, იქით წავიქეციო. ახლა აწრიალდა ნატოს წევრი ბალტიისპირეთი, ნატომ უთხრა, – ნუ გეშინია, შეიარაღებულ ძალებს შენკენ გადმოვქაჩავო, ვერაფერსაც ვერ გადაქაჩავს, არავაითარი ძალა, შენ იცოდე, ნატოს არ გააჩნია. რუსეთი რომ შევიდეს „მისტრალითაც და უმისტრალოდაც, გინდა ბალტიისპირეთში, გინდა საქართველოში შემოვიდეს, იცოდე, ჩემო კარგო, ნატო ხმის ამომღები არ არის. საქართველოს მხრივ, ერთი მაგალითი უკვე იყო, რუსეთი შემოვიდა და არ გაშორებია საქმე შეშფოთებას და სარკოზ-მედვედევის ყბადაღებულ ხელშეკრულებას. რა მოჰყვა მერე ამ ხელშეკრულებას? ხომ ხედავ, არ შეასრულა რუსეთმა პირობა და ახლა ბავშვებივით ვთამაშობთ. მივუყვანეთ გასალახად ამერიკა, მაგრამ ამ ამერიკამ აქეთ გვითხრა, – წამოდი, ბიჭო, რუსეთს შეგნება არ ჰქონიაო. სააკაშვილმა კარგად იცის, რომ ნატო არავისთვის გამოიდებს თავს, არც ბალტიისპირეთისთვის. ის იმაშიც დარწმუნდა, რომ ევროკავშირის დადგენილებები და გაეროს მკვდარი რეზოლუციები, არაფრის მაქნისია.

ისიც იცის სააკაშვილმა, რომ არა მარტო ევროპამ გაგვწირა ჩვენ, არამედ ამერიკამაც.

ევროპა თავის ტყავს უფრთხილდება, თან ის გაზსადენი ადარდებს, რომელიც რუსეთიდან შედის, ჩვენთვის თავს არ იტკიებს, ეს ფაქტია. ჩვენ ძალიან კარგად ვიცოდით, რომ ეს ასე იქნებოდა. მართლაც ვიხტუნავეთ აქეთ-იქით, ხან ამ ტრიბუნაზე გამოვდიოდით, ხან იმ ტრიბუნაზე, ვერ გავალღვეთ ჩვენ ევროკავშირის გული, ახლა ობამამაც შორს დაგვიჭირა, ესეც კარგად იცის სააკაშვილმა, მაგრამ რა ქნას? სააკაშვილი იქ დამთავრდება, როგორც კი თუნდაც პაწაწკინტელა შენიშვნას ისვრის ამერიკის მისამართით. ამერიკა ისედაც არის აღრენილი, ობამა უკვე სხვა განწყობით არის საქართველოს მიმართ და ჩვენ უიალქნო ნავივით შეგვაცურეს ისტორიის ოკეანეში, ვართ აი, ასე, ცასა და ხმელეთს შუა გამოკიდებულები. ყველაზე დიდ დამსახურებად საქართველოს ამერიკა უთვლის ახლა ავღანეთში ჩვენი ბიჭების გაგზავნას და არის გავსებული ამერიკის გაზეთები: რომ იცოდეთ, რა კარგად არიან გაწვრთნილი ქართველი ჯარისკაცები, როგორ გვიყვარს ჩვენი მეგობარი საქართველო, ჩვენს მაგივრად სისხლს ღვრის ავღანეთშიო. რა ქნას უბედურმა საქართველომ, ახლა ძალიან ადვილია პატრიოტული მჯიღის ცემა გულზე, რა უნდათ ქართველ ბიჭებს ავღანეთში, მეც ვამბობ ამას, რატომ უნდა დაიღვაროს ქართველი კაცის სისხლი,

რომელსაც ამერიკული ჯარის ფორმა აცვია? მაგრამ აბა, ერთი სააკაშვილმა თქვას უარი, არ გავაგზავნიო, ახლა რომ დახმარებას გვაძლევს ამერიკა ფულად და მხოლოდ ფულად, კიდე მოგვცემს? სულ ტყუილი აღმოჩნდა ის ქარტია, დაფა-ზურნით რომ დადო ამერიკამ საქართველოსთან, ე. წ. სამხედრო დახმარების შესახებ.

შაგრენის ტყავივით შეიკუმშა და გაიწოვა ეს ქარტია. ახლა ამერიკა ფულს გადმოგვიგდებს ხოლმე, რომ მშიერები არ დავიხოცოთ, ჩვენ თუ ვიტყვით ძვირს ამერიკაზე, იმ ფულსაც შეგვიწყვეტენ.

რუსეთი ეძებს ჩვენთან დასაყრდენს ინტელიგენციაში, მწერლებში, ხელოვნების მუშაკებში, მაგრამ მე ვფიქრობ, რომ ამაოდ ეძებს. ეს არ მოხდება, არ შეიძლება, რომ ჩვენ სიმწრით მოპოვებული თავისუფლება ჩვენი ნებითვე მივყიდოთ ვინმეს, თუმცა რუსის პოლიტიკოსები დასაყრდენს მაინც პოულობენ. მაგრამ ის მიკვირს, რუსეთმა ნოღაიდელზე ცოტათი უკეთესი მაინც ვერავინ იპოვა?

მე გეტყვით პირდაპირ, რომ საქართველოში არავითარი პარტიები არ არსებობს. მარტო სიები არსებობს, სადაც ხალხი ვარაუდზეა ჩაწერილი. თავიანთი მეგობრები, ნათესავები, ახლობლები და ასე შემდეგ. ნოღაიდელი ხალხის სახელით რომ გადი-გამოდის და რუსეთთან ხელშეკრულებებს დებს, ეს სასაცილო არ არის? ანდა ეჭვს არ აღძრავს? რაშია საქმე, მე მაგალითად, 20 წელია, რუსეთში ვერ წავსულვარ ჩემი სამწერლო და სამეცნიერო საქმეების გადამკიდე. რანაირად დადის ეს კაცი ყოველკვირა მოსკოვში? საქართველოს ხელისუფლებას რუსეთში ვისი გაშვებაც არ უნდა, უამრავ მიზეზს მოუძებნის, ვთქვათ, აეროპორტშივე გააჩერებს, ან ვიზას გაუჩერებს, ან რაღაც სხვა მიზეზს მოუძებნის. ეს დადის, დაპარპაშებს თავისუფლად. ეს რომელი ნოღაიდელია, იცი? საქართველოს ვერავითარი სიკეთე რომ ვერ მოუტანა თავისი პრემიერ-მინისტრობით; ეს ის ნოღაიდელია, რომლის კეთილი ნებითაც და დასტურითაც მოხდა 2007 წლის 7 ნოემბერი, რომელ სირცხვილსაც ვერასოდეს ჩამოირეცხავს საქართველოს ხელისუფლება. ერთ პატარა ამბავს გეტყვი, პირადად ჩემთან დაკავშირებით. ერთი ავადმყოფი კაცი იყო, რომელსაც ოპერაცია სჭირდებოდა. მოგვმართა მე და ლევან სანიკიძეს, – იქნებ მიშუამდგომლოთ ფინანსთა მინისტრთანო. 5 ათასი ლარი დახმარება გამომიყოს, ან სესხად მომცეს, რაღაც ფორმითო. ახლაც არ ვეუბნები მე არავის უარს შუამდგომლობაზე, სხვა საკითხია, რამდენად შველით ჩემი შუამდგომლობა, მაგრამ უარს ვინმეს როგორ ვეტყვი?

ჰოდა, მივედით მე და ლევან სანიკიძე ზურაბ ნოღაიდელთან, მაშინ ფინანსთა მინისტრი იყო. ორი საათი ველოდეთ კაბინეტთან, მდივანი შედის, გამოდის, იცით, ახლავე მიგიღებთ. ახლა არ სცალია... იცით, ახლა ამას აკეთებს, ჩვენ ვზივართ და არავინ შესულა, არც არავინ გამოსულა გარეთ. ამ მდივანმა გოგონამ გვატყუა, გვატყუა, გამოდის და ბოდიში მოგიხადათ, ახლავე მიგიღებთო. ვართ ახლა, მე და ლევან სანიკიძე, ჩამოვწყდით ლოდინით. სამი საათი რომ გავიდა, მე ვუთხარი გოგონას, – შედი, გენაცვალე, უთხარი ბოლო-ბოლო, გვიღებთ თუ არა-მეთქი? შევიდა, უცებ გამოვიდა და ვაიმე, იცით რაო? უკანა კარიდან გასულა ბატონი ზურაბი, გაპარულაო. აი, ასეთი კაცი უნდა იყოს ჩემი ბელადი და წინამძღოლი?

აი, ასეთმა კაცმა უნდა გამიკვლოს მე გზა და ურთიერთობა რუსეთთან? მე კიდევ ერთხელ ვამბობ, გელა, რომ რა თქმა უნდა, პოლიტიკაშიც და დიპლომატიაშიც გაბუტვა არ შეიძლება, სისულელეს ამბობს რუსეთის ხელმძღვანელი – ჩვენ სააკაშვილს არ ველაპარაკებით, უმძრახად ვარ მასთანო... რას ჰქვია, კაცო, არ ელაპარაკები, შენ უფლება ვინ მოგცა მაშინ, როცა რუს და ქართველ ხალხს ერთმანეთთან აქვთ საუკუნებრივი ურთიერთობა, ამას შაჰ-აბასი არ იტყოდა, – მე არ ველაპარაკები თეიმურაზსო, ის ელაპარაკებოდა, ვინ არიან ეს პატარა ბიჭები. ვინ არიან ეს უმწიფარა პოლიტიკოსები, რომ ამბობენ, ჩვენ არ დაველაპარაკებითო. მე ისევ და ისევ დაბეჯითებით ვამბობ, საელჩოც უნდა გაიხსნას რუსეთისა თბილისში, ფრენაც უნდა აღდგეს, ურთიერთობაც უნდა აღდგეს, მიუხედავად 2008 წლის აგვისტოს ომისა. ჩვენ გვაკლია პოლიტიკური და დიპლომატიური მოქნილობა. ამას ჩვენმა დიპლომატებმა ყურადღება უნდა მიაქციონ, მოქნილობის გარეშე, ქვეყნის საგარეო საქმეების მოგვარება არ ხერხდება. მე უარი ვთქვი დავით აღმაშენებლის პრემიაზე იმიტომ, რომ ის კაცი, ვინც ეს პრემია დააწესა, რუსეთის მმართველ წრეებთან მეგობრობს.

მე უარი ვთქვი იმ სახელმწიფოს მიერ მოცემულ პრემიაზე, რომელზეც აკაკი წერეთელი ამბობდა, – გაიძვერა მოყვარეაო. რომელზეც ილია ჭავჭავაძემ დაიკვნესა – რაც კარგი ექნას რუსისა ხიშტსა, ღმერთმა ის უკან რუსსავე მისცესო. მე უარი ვთქვი იმ რუსის მიერ მოცემულ პრემიაზე, რომელმაც 1801 წელს გამიუქმა სახელმწიფოებრიობა, რომელმაც ჩემი ალავერდი და სვეტიცხოველი თეთრი კირით შემითხუპნა, რომელმაც ქართული ეკლესიის ავტოკეფალია გააუქმა, რომელმაც 2008 წელს უდანაშაულო ბიჭები

დამიხოცა, დამიპყრო, ტანკებით გადახნა წაღმა-უკუღმა საქართველო და 160 სოფელი წამართვა.

არავისთვის ზედმეტი არ იქნებოდა ის 20 ათასი ლარი, რომელსაც ავიღებდი, მაგრამ, რომ წარმოვიდგინე ეს ყველაფერი, უარი ვთქვი. ახლა რა ხდება, იცი? ჩემზე უფრო დიდი ვაჟკაცები გამოვიდნენ სხვები, რომლებმაც ეს ფული აიღეს, ღმერთმა ხელი მოუმართოთ, იმათ თავიანთი შეხედულებები აქვთ, მაგრამ მე ვიღაცის ჯინაზე ამ პრემიებს ვერ ავიღებდი. მე თავიდანვე გამოვედი და გამოვაცხადე, არ ვკიცხავ იმათ, ვინც პრემიას მიიღებს-მეთქი, კოლეგები არიან ჩემი და პატივს ვცემ-მეთქი. ახლა ეს ჩემი კოლეგები გაუთავებლად, უდღეურად და უნიჭოდ, წკიპურტებს მესვრიან. ვითომ შეგვეშინდა მე და ჭაბუა ამირეჯიბს, ხელისუფლებას გავურიგდით, უფრო მეტი ფული გამოვართვით, ვიდრე დავით აღმაშენებლის პრემია იყო.

ისე შევიდა იმათ ოჯახში ხელისუფლებიდან მიძღვნილი ფული, როგორც ჩემს ოჯახში შემოვიდა.

ახლა ქალივით ვიწყევლები, მაგრამ ნუთუ, კაცო, ყველაფერი უნდა თქვას ენამ? ნუთუ ენას ჭავლი არ მოედება არასოდეს? შენ გაამართლე კაცო, შენ რომ პრემია აიღე და ვინც არ აიღო, იმას რაზე კბენ? ესე იგი, შენ ერთი წუთით მაინც გეჩვენება, რომ შენ იმაზე უკეთესი ხარ, ან იმაზე უკეთესი მწერალი ხარ? აი, სანამ იქნება ასეთი შინაგანი, ქვეცნობიერი ზიზღი, არაფერი არ გვეშველება, თუ ძმა ხარ. მე სხვანაირი კაცი ვარ, მე ჩემს თავს ყოველთვის ვთვლი კეთილ მრჩევლად, შუამავლად, შერიგების და მიტევების მომხრედ და ვერასოდეს ვიქნები გაწირვის მომხრე. შენ რას ჰგავხარ, შენ რა ცხვირპირი გაქვს, შენ რა კატოკით გადავლილს ჰგავხარ, შენ რა ფქვილის ტომრიდან ამოსული ხარ? რა იყო, კაცო, ამდენი ლანძღვა, გაუთავებელი, არც ქალი ვიცით, არც კაცი ვიცით... კი, ირონია საჭიროა, ბრწყინვალე თვისებაა, ეგ ჩემი მოგონილია, თავს ვდებ ირონიაზეც და იუმორზეც, მაგრამ გაკაპასებული ქალივით და ყოველდღე ღვარძლი გადმოანთხიო, არ შეიძლება. კარგია, რომ ირონიულად ვიღაცას გაკიცხავ, აი, მშვენივრად მიეწება ზოგიერთს „დაღლილ ვირთან“ შედარება, მაგრამ ამის იქით უკვე მართლა აღარ შეიძლება. რა ვიცი, ძმაო, ისეთი რთულია ეს ცხოვრება, ისეთი საშინელებაა, რომ ხანდახან იფიქრებ, ყველაფერს დაანებო თავი და საერთოდ გადაიკარგო სადმე.

2011 წ.

ამ წუთსაც ველი რუსეთის შეტევას საქართველოზე

უკრაინის საპრეზიდენტო არჩევნებზე ქართული დესანტის გადასხმიდან თითქმის ორი თვე გავიდა და თამამად შემიძლია გითხრათ, რომ მიხეილ სააკაშვილის მეცადინეობით ნამდვილად არ მოგვიწყენია. მეტიც, ამ ადამიანმა 13 მარტს მთელი ქვეყანა ჩააგდო შოკში. ხვდებით, ალბათ, რომ ტელეკომპანია „იმედის“ ეთერში გაშვებულ პროვოკაციას ვგულისხმობ.

უნდა გითხრათ, რომ ეს სიუჟეტი ჩემთვის წარმოუდგენელი რამ არ ყოფილა ორი რამის გამო...

აი, ახლა გელაპარაკები მკითხველო, მე შენ და ამ წუთასაც ველი რუსეთის შეტევას საქართველოზე.

ეს შეტევა ბოლო 20 წლის დამოკიდებულების გამო კი არ არის მოსალოდნელი, ეს ლიბო გამაგრებულია საქართველო-რუსეთის 200-წლიანი ურთიერთობით. ჩვენ ხომ კარგად ვიცით, რომ პირქვე იყო დამხობილი მთელი მე-19 საუკუნის განმავლობაში საქართველო.

ჩავრთე ტელევიზორი და, რა თქმა უნდა, ხელის თითები გამიცივდა იმისგან, რასაც ვისმენდი, მაგრამ გაკვირვებით არ გამკვირვებია.

მე ამან შემაძრწუნა, მაგრამ ეს იყო შემაძრწუნებელი მოსალოდნელობა. დაუკვირდით, ეს კი არ იყო მარტო ტყუილი, ყოველდღე ყოველი ფეხის ნაბიჯზე საქართველოს ტელევიზიები ატყუებენ ხალხს პატარ-პატარა ტყუილებით, სულ სხვაა სინამდვილეში ცხოვრება და სულ სხვაა ტელეცხოვრება.

აი, მე პირდაპირ გეტყვით, არ ვიცი ვინ კარნახობს ამ ტელევიზიების ხელმძღვანელებს. ჩემი აზრით, თვითონ ეს ხელმძღვანელები არიან დაბალი დონისანი და აქვთ მონური მორჩილება ხელისუფლების მიმართ და ჰგონიათ, რომ თუ ერთი პატარა სიუჟეტი მაინც გავა ცოტა ისეთი, მათ პანღურისკვრით გაყრიან ტელევიზიებიდან. თუ მართლა ასეა საქმე, შე კაი კაცო, ნუთუ ასე ძვირად გიღირს მარიონეტის სკამი? ხომ არავითარი დაფნის გვირგვინი არ ელის ხელისუფლების დამქაშ ჟურნალისტს? მაგალითად, ისეთი როგორიც დაედგა სერგეი მესხს? ასეთი სახელი და დიდება ხომ არც ერთ ტელეჟურნალისტს არ ეღირსება? მაშინ რა იყო, შე კაი კაცო, რამ დაგაკომპლექსა ასე? არა თუ ხელისუფლების კრიტიკა არ ჭაჭანებს ამ არხებზე, არა თუ რაიმე განსხვავებული აზრი არ ჭაჭანებს, არამედ პიროვნებებია ამოღებული... ესე იგი, ეს პიროვნება არ მოსწონს ამას და არ გამოაჩინოთ, არც კარგად და არც ავად არ გამოაჩინოთ, დაე, ქართველ ტელემაყურებელს ეგონოს, რომ ის არ არსებობს. აი, ეს გრძელდება უკვე თითქმის 20 წლის განმავლობაში. მინდა გკითხოთ, სადმე კურსები არსებობს, სადაც გამოჰყავთ ეს მოსულელო და ავადმყოფი ტელეჟურნალისტები?

ასეთი კურსები ალბათ არსებობს „ნაციონალურ მოძრაობაში“.

ესე იგი, იქ ასწავლიან: რაკი მწერალი არის საზოგადოებრივი აზრის უპირველესი მებაირახტრე, რაკი ამ პირშერცხვენილი პოლიტიკოსების გადამკიდე საქართველოს ჯერ კიდევ სჯერა თავისი მწერლისა და რაკი ისევ მიაჩნია თავის მრჩევლად, ნუ გამოაჩენთ ეთერში.

ამ ბოლო დროს რა ხდება, იცით? არსებობდა ხელისუფლების ოთხი-ხუთი თანამოაზრე ჩემი კოლეგა, ისინიც კი წაშალეს ეთერიდან... აბა, დააკვირდი, პირდაპირ გაოცება შეგიპყრობს. ამას იმიტომ გიყვები, რომ თუ 13 მარტამდელ მოვლენებს გადავხედავთ, „იმედში“ გასული სიუჟეტი აღარ უნდა გაგვიკვირდეს, მოულოდნელი არ უნდა იყოს. ახლა, ბევრი მათგანი, ვინც ტელევიზიაში მუშაობს, ჩემი ნაცნობია და რომ მხვდებიან, ვეკითხები: გამაგებინეთ, ბიჭო, რა ხდება, რაშია საქმე, ვინმე გიშლით ზემოდან, ქართველი მწერალი არ გამოაჩინოთ-მეთქი? ისინი იმ წუთში ხელებს ასავსავებენ და მიმტკიცებენ: არა, ბატონო რეზო, როგორ გეკადრებათ, არავინ ჩვენს საქმეში არ ერევა, არავინ ჩვენ ამას არ გეუბნებაო. ვაი თქვენ მაშინ, თუ ამას არ გეუბნებიან და თვითონ აიღეთ ეს როლი!

თვითონ პრეზიდენტმა თქვა ამას წინათ, როგორ შეიძლებაო კაცო, მსოფლიო კულტურის ელემენტარული ცოდნა რომ არა აქვთ ჩვენს ახალგაზრდებსო? არც სკოლაში ასწავლიან ამას და არც უმაღლეს სასწავლებელშიო. მე ვუსმენდი ამას და გამიხარდა.

აი, ტელევიზორში ყოველ საღამოს გვიჩვენებენ, მავანმა დანაშაული ჩაიდინა და დაიჭირესო. შე კაი კაცო, უფრო დიდი დანაშაული რა უნდა ჩაედინა ვინმეს, ვიდრე ეს ჩაიდინა კახა ლომაიამ? ამ ადამიანმა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 600 პოლიციელი შემოიყვანა და იქაურობა მიწასთან გაასწორა. ავიღოთ ომის პერიოდი, როცა ის უშიშროების საბჭოს მდივანი იყო, აცხადებდა: ჩვენ, მთლიანად ვაკონტროლებთ სამხრეთ ოსეთსო, ხოლო რაც შეეხება ცხინვალს, როგორც დასახლებული პუნქტი, აღარ არსებობს, მიწასთან არის გასწორებულიო. ახლა ვხედავთ ჩვენ ტელევიზიით

კადრებს, როგორც სამი სახლი დაინგრა გორში, ისეა სამი სახლი დანგრეული ცხინვალში. რისთვის გინდა, კაცო, მტერი ხარ საქართველოსი, ამას რომ აკეთებ? უკვე ცხინვალი მიწასთან არის გასწორებულიო, განა ეს არ იყო მიზანმიმართული პროვოკაცია, ახლა რომ გიკვირთ ეს გადაცემა? ისაო, დროებით ცხინვალიდან გამოვედით და ირგვლივ შემაღლებული ადგილიდან ვაკონტროლებთ მთლიანად მთელ ცხინვალსო. ამ დროს თვითონ რუსის გენერალს დასდევდა და ჩვენს პრეზიდენტს კიდევ თურმე კაპიტულაციაზე სამი დღის მოწერილი ჰქონია ხელი. ეს კაცი, გელა, ტრაპიზონში ესწრებოდა რაგბის თამაშს და იმხელაზე ჰქონდა პირი გაღებული, რომ თავისუფლად შეუფრინდებოდა ყვავი.

ბაქრაძის გვერდით იჯდა ლომაია, შენ რომ გააუქმე სპორტის აკადემია, რა ნამუსით იჯექი სტადიონზე, შე უსინდისოვ?! რა ნამუსით უკრავდი ტაშს, რა ნამუსით გულშემატკივრობდი ქართველ სპორტსმენებს?!

აი, ამიტომ მტკივა გული მე, სამი ლარის ქურდს ციხეში რომ ალპობენ და მართლა დანაშაულის ჩამდენი კიდევ სტადიონზე ზის და ტაშს უკრავს, ესაა უბედურება. პრეზიდენტო, კეთილი ინებე, მოკიდე იმას ყურში ხელი, ლომაიას ბრალიც არის, დღე-ნახევარში რომ დამთავრდა ომი რუსეთთან... რატომ, იცი? მაგ ადამიანის მსუბუქი ხელით სასკოლო სახელმძღვანელოებიდან ამოღებული იქნა 80 პროცენტი ქართული პატრიოტული პოეზიისა. ამ დროს, ჩემო კარგო, შენ რომ არ გინდა, ბავშვები გაზარდო პატრიოტებად, სწორედ იმიტომ, იყო, რომ ცხინვალის მოედანზე ორმოცდაათმა ბიჭმა უყოყმანოდ დაიჩოქა. იმათ რომ ძვალ-რბილში ჰქონოდათ გამჯდარი გალაკტიონის ან ვაჟა-ფშაველას რომელიმე ლექსი სამშობლოზე, ერთი მაინც აღმოჩნდებოდა, რომელიც იტყოდა: არა, არ დავიჩოქებ, მომკალით და არ დავიჩოქებ, მე ქართველი ვარ!

აი, ამიტომ ვამბობ მე, რომ ტელევიზიით გასული შემაძრწუნებელი სიუჟეტი ჩემთვის არ ყოფილა მოულოდნელი. ამ ქვეყანაში ორი რამ საჭიროებს გონივრულ რეფორმას, უნდა შეიცვალოს ჩვენი სწავლების სისტემა, ჩვენ ხომ, ფაქტობრივად, გადავაგდეთ ჩვენი ეროვნული სასკოლო პროგრამა? ასევე, სასწრაფო რეფორმას საჭიროებს ჩვენი ტელევიზია, ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს ე. წ. „საზოგადოებრივი მაუწყებელი“, არის უნიჭოება, უნიჭობა და უნიჭობა! ამასაც ხელისუფლება გეუბნება, შე კაი კაცო, გაუმართავი ქართულით ილაპარაკე და არ გააჭაჭანო ქართული ტერმინებიო?

რა იყო, რა მოგივიდათ, რატომ მტრობთ, შვილებო, ამ თქვენ მშობლიურ ქართულს, რა დაგიშავათ?

ყველაფერი რომ ვირწმუნო და ისიც დავიჯერო, ყოველ ღამით კანცელარიაში სხედან ჩინოვნიკები და იმაზე ბჭობენ, ტელევიზიას მარწუხები როგორ მოუჭირონ, იმას მაინც ვერ დავიჯერებ, ვინმე ამათ ეუბნებოდეს, გამართული ქართულით არ ილაპარაკოთო.

რაღაზე უნდა ვილაპარაკო, როცა თევზაძემ სამი უმაღლესი სასწავლებელი შეიერთა და ფაქტობრივად, ერთიც აღარ არსებობს? გამოდის ეს თევზაძე ახლა და იძახის, სახელმწიფო ენად ინგლისური უნდა გამოვაცხადოთო.

რაც შეეხება ავანტიურისტ ხუბუას, უკვე ამხილეს ის ამაში, რომ ორი წელია, რაც რექტორია და უკვე ორმილიონიანი სახლი აიშენა, ამხილეს კიდევ იმაში, რომ თურმე 3 ათასი ლარი ეკუთვნოდა ხელფასი და 7 ათასი ლარი დაინიშნა, ამხილა კონტროლის პალატამ იმაში, რომ არასწორად იქნა დახარჯული მილიონობით ლარი თვით ხუბუასვე განკარგულებით. ამხილეს კიდევ იმაში, რომ სამარცხვინო კონკურსები ჩაატარა და ერთ-ერთი ბოლო კონკურსი ეკონომისტებთან ჩაატარებინა გერმანიიდან ჩამოყვანილ პროფესორს, თავის მეგობარს, რომელიც აზრზე არ იყო, რა სასწავლებელში ატარებდა კონკურსს, რატომ ატარებდა, ვისთან ატარებდა, მას მისცა სია ხუბუამ და ხელი მოაწერინა.

შეიძლება, კაცი მოიწვიო გერმანიიდან და საერთოდ არ დაინტერესდე, ეს ადამიანი მეტყველებს თუ არა, რაიმეს გადმოცემის უნარი აქვს თუ არა? ხუბუას სასამართლოებში აქვს გაუთავებლად საქმე, ჩვენი „საყვარელი“ ტელევიზია კი ყოველ საღამოს პიტნასავით გვჩრის ცხვირში ხუბუას გალიფრებულ, უსინდისო გამომეტყველების ხუთკუთხა სახეს. ხუბუამ შეჯიბრი მოაწყო უნივერსიტეტში, სიცილით მოვკვდი, ქაღალდის თვითმფრინავებს რომ აკეთებენ ხოლმე საბავშვო ბაღში, თუ ბაღში გივლია, გეცოდინება...

ქაღალდის თვითმფრინავები გააკეთებინა სტუდენტებს და მოაწყო შეჯიბრი, ვინ უფრო შორს გააფრენდა.

არადა, ეს ახალგაზრდები უნდა იყვნენ თანამედროვე მოაზროვნეები, რომლებიც ცოტა ხანში ქვეყნის მართვის ტვირთს შეიდგამენ მხრებზე. მე კიდევ ტელევიზიით მიჩვენებენ, როგორ ერთობა ხუბუა თავის სტუდენტებთან, აბა, ქაღალდის თვითმფრინავს ვინ უფრო შორს გაუშვებსო.

განა ეს ნაკლები ავანტიურა და პროვოკაციაა? ახლა ისევ „იმედის“ სიუჟეტს დავუბრუნდეთ, ჩემო ბატონო, უკვე გითხარით, ჩემთვის

მოულოდნელი არ ყოფილა-მეთქი, პირველი, რაც გავიფიქრე, ეს იყო: ვაი, უბედურო საქართველოვ, მე ხომ ვიცი, ჩვენთვის არავინ თავს არ გამოიდებს... მერე გაირკვა, რომ ეს ყველაფერი თამაში იყო, რა თქმა უნდა, მე წნევამ ამიწია, ორჯერ წამალი დავლიე, მაგრამ სიმართლის გაგების შემდეგ ეს არ გამკვირვებია... ეს იყო, საზოგადოებრივი აზრის განზე გაყვანისთვის, შენ არ უნდა გაგახსენდეს, ქართველო კაცო, რომ უმუშევარი ხარ, არც ის უნდა გაგახსენდეს, რომ აგერ, მალე ცხვირწინ გაგიყალბებთ არჩევნებს და ხმა გაქვს ამოსაღები.

არ უნდა ინერვიულო იმაზე, რომ სამარცხვინო ოპოზიცია გყავს, არ უნდა დაინახო, როგორ დახტუნაობენ აქეთ-იქით. შენ გართობენ ტელევიზიები იმით, თუ რომელი ოპოზიციონერი სად გარბის და ვის ხვდება.

კაცო, რაში მაინტერესებს მე, გუშინ საღამოს სად შეიკრიბნენ ჩვენი უკვე ჩაჭრილი ოპოზიციონერები და რაზე ილაპარაკეს? მისდევენ უკან გაჩეჩილაძეს: როგორ არის საქმე, რაზე მოილაპარაკეთ შენ და ალასანიამ? გამოხედავს მანქანიდან ჩვენი ლევანი და იტყვის: ყველაფერი კარგად იქნება. მიიხურავს თავისი მანქანის კარს და წავა თავის გზაზე. რას მერჩი, თუ ძმა ხარ, რა დაგიშავე? აი, ეს ნერვიული ძიგძიგი ცოტათი მაინც რომ ჩაეცხრო, ხელისუფლებამ და „იმედმა“ მოიფიქრეს ეს ტრაგიკომედია, მოიფიქრეს უბოროტესი ხუმრობა, წარმოუდგენელი ავანტიურა.

მარტი, 2010

სალამი ახალ გრიგალებს

საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა დღითიდღე ფრთებს შლის და ახალ მწვერვალებს იპყრობს.

მოწინააღმდეგე; კონსერვატიული; ბნელი ძალა ყველაფერს აკეთებს, რათა სახელი გაუტეხოს ერის უძლეველ შემართებას თავისუფლებისათვის. მან, ამ ბოლო დროს, ხმა გაავრცელა, თითქოს „ეროვნული აღტკინების“ ცეცხლი მინელდა და მოძრაობა ერთ ადგილს ტკეპნის, თითქოს შინაგანმა დაქსაქსულობამ დაასუსტა ერთიანი ფრონტი და განმათავისუფლებელი ლაშქარი შემცირდა.

მთელი ხმით ვაცხადებთ, რომ ნაადრევია დემაგოგთა და ერის მოღალატეთა სიხარული, დამოუკიდებლობისთვის ბრძოლის

ღველფს დაშრეტა არ უწერია. იგი დღითი დღე, მიწისქვეშა და მიწისზედა დინებებით მოიცავს სრულიად საქართველოს და მალე ეროვნული დაუმორჩილებლობის ერთიან კოცონად აგიზგიზდება.

ეროვნულ მოძრაობას სახელს ვერ გაუტეხს და, მითუმეტეს, მიმართულებას ვერ შეუცვლის მისი წმინდა, ყოვლისმომცველი შინაგანი დუღილის დროს მოტივტივებული ქაფი – ბრძოლის ფორმებში დროებითი შეუთანხმებლობა, ან განდიდების მანიით შეპყრობილი თითო-ოროლა უნაყოფო „პოლიტიკოსის“ და (ვაი სირცხვილო!) კორუმპირებული პირის უდღეური გაძვრომა ერონული ლაშქრის ლიდერთა კარვებში საეჭვო მოთათბირეთა, თუ „თანაპრეზიდენტთა“ მანტიით.

ჩვენი ეროვნული ქარავანი შეუდრეკლად განაგრძობს თავის გრანდიოზულ სვლას თავისუფალი, დამოუკიდებელი საქართველოსკენ.

იმპერიის სავალალო ეკონომიკურ-პოლიტიკური მდგომარეობა ზურგის ქარად დაჰქრის სახალხო მოძრაობებს და იმის უტყუარ იმედს უნერგავს, რომ ძალმომრეობასა და ერთა ჩაგვრაზე დამყარებული საზოგადოებრივი ინსტიტუტის განკითხვის დღე მოახლოებულია.

ერთა თანასწორობა, ადამიანის ბედნიერებისათვის ზრუნვა, მშვიდობის ბურჯის მისიის განხორციელება... რა აბსურდად ჩანს ეს ფრაზები დღეს იმ „სახელოვან“ გზასთან მიმართებაში იმ სამოცდაათი წლის განმავლობაში რომ გამოვიარეთ.

მახსენდება პოეტის სტრიქონები, სარკასტულად თქმული არაერთი ათეული წლის წინათ იმპერიის კომუნისტი ლიდერის მისამართით: „ერების თვითგამორკვევა პროგრამად ჰქონდა ქცეული, მარამ მოსრისა, რა ნახა, მან ერი – გამორკვეული“.

ამ ბოლო დროს მეტი სიდინჯე და გონივრულობა, მეტი მიზანსწრაფულობა და ქმედითობა, კონკრეტულობა დაეტყო ჩვენს ეროვნულ აქციებს.

მიხვდნენ ჩვენი უმრწმესი ძმები, რომ ერთი ხელის დაკვრით, ერთი „ჰაის ზმით“ თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის მოპოვება არ მოხერხდება,

საჭიროა, ჩვენი თავი ნელ-ნელა აღვზარდოთ თავისუფალი საქართველოს ამაყ მოქალაქეებად.

ჯერ პიროვნული დამოუკიდებლობა მოვიპოვოთ და ნაწილ-ნაწილად გამოვაცალოთ ცენტრს სასთუმალი, თანმიმდევრულად, ჩვენვე მივცეთ დამოუკიდებლობა ეროვნულ უწყებებს და სხვა დაწესებულებებსაც.

მშვენივრად მიედინება ჩვენი ეროვნული მოძრაობის მდინარე ამ ახალ კალაპოტში.

უშუალოდ გავდივართ უცხოეთის ეკონომიკურ ბაზარზე, უცერემონიოდ მივმართავთ დასავლეთს: დაინტრესდნენ ანექსირებული საქართველს ბედით, ვქმნით ოლიმპიურ კომიტეტს, ვიხვეჭთ უნივერსიტეტის დამოუკიდებლობას, საქართველოს მწერალთა კავშირი აცხადებს სსრკ მწერალთა კავშირიდან გამოყოფის სურვილს, უარს ვამბობთ დისერტაციების და სცენარების მოსკოვში დასამტკიცებლად გაგზავნაზე, ვეპატრონებით ჩვენს ისტორიულ მიწებს, გონს მოსვლისკენ მოვუწოდებთ თავგასულ სტუმართ, ვახდენთ ეროვნული, მკვიდრი მოსახლეობის დემოგრაფილ გადანაწილებას. ავამუშავეთ აქამდე ცხრაკლიტულში მიგდებული ეროვნული მეცენიერულ-პუბლიცისტური მანქანა იმის დასადგენად, თუ ვინ ვართ ჩვენ – ამ მიწის პატრონი ქართველები და საიდან შემოგვეპარნენ გათავხედებული სტუმარი ერები. რა გვეკუთვნის ჩვენ, ქართველებს, და რა ვალი აქვთ ჩვენი სიკეთისა ჩვენს უბეში შეფარებულ ტომებს.

ესაა გაღვიძებული საქართველოს ახალი სუნთქვა. ეს გახლავთ ჩვენი მოძრაობის ახალი მშვიდობიანი ფორმები. „მშვიდობიან ფორმებს“ ჩვენ წამდაუწუმ ვიმეორებთ, მაგრამ, სხვათა შორის, შევახსენებთ მტრებს, რომ დავით აღმაშენებლისა და გიორგი სააკაძის შთამომავალთ არც მამულისთვის ხმლით ბრძოლა დავიწყნიათ.

საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის უმთავრეს ფორმად მიგვაჩნია მისი ეტაპობრივი განვითარება მშვიდობიანი, პარლამენტური გზით.

მოვითხოვთ პროგრესული, ალტერნატიული, ეროვნული პარტიების დაუყოვნებლივ რეგისტრაციაში გატარებას.

მხარს ვუჭერთ მრავალპარტიულობას, როგორც ქვეყნის დემოკრატიული ხელმძღვანელობის განხორციელების ერთადერთ გზას.

დაბეჯითებით ვურჩევთ ეროვნული მოძრაობის ფლაგმანთ (რუსთაველის საზოგადოებას, სახალხო ფრონტს, სხვადასხვა პარტიასა და ჯგუფებს...) გაერთიანდნენ ერთ ცენტრად – სრულიად საქართველოს ხსნის ეროვნულ კომიტეტად, რომელიც კოორდინაციას გაუწევს დაქსაქსულ სახალხო მოძრაობას პირველ ეტაპზე თითოეული საზოგადოებრივი წევრის ორიგინალურობისა და დამოუკიდებლობის შენარჩუნებით.

კატეგორიულად მოვითხოვთ ხელისუფლებისაგან, დაჩქარდეს ეროვნული საჯარისო ფორმირებების შექმნა. ჩვენი წარმომადგენლის მიერ დაყენებული ამ საკითხის ცენტრის მიერ იგნორირების შემთხვევაში მოვუწოდებთ ყველას, მხარი დაუჭირონ ოკუპაციურ ჯარებში სამსახურისადმი ბოიკოტის ახალგაზრდულ აქციებს.

ეთნოკრიზისის, გამწვავებული ეროვნული ურთიერთობების, გაჭირვებულ სტუმარ ერთა საეჭვო ქმედებისთვის პასუხის გაცემა „ცენტრალური მეთოდებით“, ურთიერთობას უფრო გაამწვავებს. საჭიროა, რესპუბლიკურმა პრესამ ფართოდ გაშალოს დიალოგი საქართველოს მიწაზე მცხოვრებ ხალხთა წარმომავლობისა და დაკავებულ ტერიტორიაზე მათი პრეტენზიების კანონიერების შესახებ. ისტორიულ სამშობლოთა მეცნიერული მოძიებისა და სხვის კუთვნილ მიწაზე სტუმრის მდგომარეობის გარკვევის შემდეგ საჭიროა კატეგორიულად დადგეს საკითხი საქართველოს ტერიტორიაზე არაკანონიერ, არაკონსტიტუციური ეროვნულ-ტერიტორიული ერთეულების გაუქმების შესახებ.

ეროვნული დამოუკიდებლობის მოპოვების გზაზე ერთ-ერთ ქმედით ღონისძიებად მიგვაჩნია საქართველოს მოქალაქის სტატუსის დაუყოვნებლივ დამტკიცება.

ვინაიდან ეს საპარლამენტო რეფორმები საქართველოს უმაღლესი საბჭოს კომპეტენციაა მოვუწოდებთ ყველას, მხარი დაუჭირონ, პირველ რიგში რესპუბლიკის პარლამენტისთვის ეროვნულად მოაზროვნე კანდიდატურების დასახელებას და შემდგომ მათს არჩევას თავისუფალი, ჭეშმარიტად დემოკრატიული, საყოველთაო არჩევნებით.

ეროვნულ მოძრაობას გამუდმებით თან უნდა ახლდეს პიროვნების თავისუფლებისათვის მოქალაქის ჭეშმარიტი უფლებების დაცვისათვის თანმიმდევრული ბრძოლა.

საქართველოს დაოუკიდებლობის მოპოვება ქიმერაა, თუ თითოეულმა ქართველმა ეროვნულ მოლაშქრედ არ იგრძნო თავი და საერთო საქმეში თავისი პირადი მონაწილეობა არ გაისიგრძეგანა.

1988 წ.

იმედის შუქი

ჩემს ყურებს მოახლოვებული ძლევის გუგუნი ასკდება.

ეს გუგუნი არ აძინებს ახლა ერთი დროშის ქვეშ მდგარ, ერთ მუშტად შეკრულ საქართველოს.

მაინც რა ხდება რატომ გადმოდის ნაპირებიდან ჩვენი სახალხო მოძრაობის შენაკადებით დღითიდღე გამძლავრებული მდინარე?

სახალხო ამბოხების მიზეზებს უნდა ჩავწვდეთ, ქვეყნის წყლულს

უნდა ვუმკურნალოთ, ამის გარეშე ყოველი ღონისძიება მოჩვენებითი, დროებითი და ფუჭი იქნება.

ცრუდაპირებებით თავგაბეზრებული ხალხი დღეს ერთგან რომ მიყუჩდება, ხვალ მეორეგან იფეთქებს და ყველას გვაგრძნობინებს, რომ ეროვნული ბრძოლა მთელს საქართველოს მოედო, რომ პატარა პროვინციულ დაბაშიც კი სამი-ოთხი პირველმერცხლის მიერ ქარში ობლად აფრიალებული ტრანსპარანტი „ვაცხადებთ შიმშილობას“ საერთო მოძრაობის ორგანული ნაწილია.

თავისუფლებისათვის ჩვენი ბრძოლა დღეს არ დაწყებულა, იგი ჯერ კიდევ მაშინ დაიწყო, როცა პირველი დამპყრობელი გადმოსხდა საქართველოს მიწაზე და ჩემს მშვიდობიან წინაპარს ბორკილის დადება დაუპირა.

ეს ბრძოლა საუკუნეთა განმავლობაში არაერთგზის აღმოსკდა ბორკილთა მსხვრევის ვულკანებად და განსაკუთრებული ელვით დაიმუხტა, როცა „გაიძვერა მოყვარემ“ სახელმწიფო გაგვიუქმა და უკიდეგანო იმპერიის მორევში გვიკრა თავი.

ამიტომაც ნურავის ჰგონია ამდღევანდელი გამოსვლები უკმაყოფილო ბრბოს სტიქიური აღტკინება, ბალღივით სატყუარას რომ ჩასჩრი პირში და გაყუჩდება.

საქართველომ დიდხანს ითმინა. მცირე ერთა აბუჩად აგდების, დაკაბალების და განხალხების ეშმაკურ, შორსგამიზნულ მაგრამ შედარებით არაქმედით კომპანიებს იგი საყოველთაო დემონსტრაციებით არ პასუხობდა, ხშირად გულში იკლავდა ვარამს, ან პასიური პროტესტით გამოხატავდა თავის უკმაყოფილებას.

ხოლო როცა იმპერიული თვითნებობა ზღვარს სცდებოდა, ქართველი ერი, თითქოს ჯადოსნურ ზარს შემოჰკრესო, ერთბაშად აღიმართებოდა ბარიკადებზე და იმ ეროვნული ლაშქრის დაოკება უკვე აღარავითარ ძალას აღარ შეეძლო.

და მათი მართვის სტილისთვის სრულიად უჩვეულოდ ძლიერნი ამა ქვეყნისანი იძულებულნი ხდებოდნენ უკან დაეხიათ. ასე მოხდა 1978 წლის აპრილში მაშინ, როდესაც გარუსების პოლიტიკამ აპოგეას მიაღწია და გადაწყვიტეს ერთბაშად ამოეღოთ საქართველოს კონსტიტუციიდან მუხლი ქართული ენის სახელმწიფო ენად დაკანონების შესახებ.

ჩვენ მაშინ გავიმარჯვეთ.

ასე იყო ათას ცხრაას ოთხმოცდარვა წლის ნოემბერშიც, როდესაც ხელისუფლების ზოგიერთ ბნელ წარმომადგენელს სურდა ჩვენი ათეული წლების განმავლობაში ფიქტიური, მაგრამ თეორიულად

მეტნაკლებად სრულყოფილი კონსტიტუციიდან ამოეღოთ მუხლი საბჭოთა კავშირის შემადგენლობიდან რესპუბლიკათა თავისუფალი გასვლის უფლების შესახებ.

გამოვაცხადეთ ისტორიაში მანამდე უცნობი მასშტაბის შიმშილობა და ჩვენ მაშინაც გავიმარჯვეთ. ნოემბრის ეპოპეა ოქროს ასოებით ჩაიწერა თავისუფალი საქართველოსთვის ბრძოლის ისტორიაში.

გადიოდა დრო ცხოვრებას გაუკეთესების ნიშანწყალიც კი არ ეტყობოდა. უმაღლესი ხელისუფლების ის წარმომადგენლები, ვის დროშაზეც ერთა თანასწორობის ყბადაღებული ლოზუნგის მეორე მხარეს „გათიშე და იბატონე“ ეწერა, ჩვეული ენერგიულობით ახორციელებდნენ თავიანთ ბნელ ზრახვებს, ხოლო ადგილობრივი მარიონეტული მთავრობები ყველაფერს აკეთებდნენ, რათა ილაჯგაწყვეტილი ხალხის სულისკვეთება „მაღლა“ არ წასულიყო და ცენტრის ტრიბუნებზე გამოსულნი მზიურ საქართველოს ცხვარივით მშვიდ და თვინიერ ქვეყნად ასაღებდნენ.

ეროვნული საქმისათვის თითის განძრევაც კი არ სურდათ, მაგრამ მაშინვე აიმრიზებოდნენ, როცა ვინმე ერის მამად მწერალს გამოაცხადებდა, ან საქართველოს „აყვავებაში“ მათ წვლილს ეჭვის თვალით შეხედავდა.

ამ სუფრის პატრიოტებმა ლამის ჭერი დაგვაქციეს თავზე.

ყველაზე დიდი ისტორიული დანაშაული, რაც საქართველოს ხელისუფლებამ ამ სამოცდაათი წლის განმავლობაში მეტ-ნაკლები აქტიურობით ჩაიდინა, ის გახლავთ, რომ გააღო კარი და დავით აღმაშენებლის ქვეყანაში განუკითხავად შემოუშვა ყველა ჯურის გადამთიელი.

საქართველოს გადაშენების, გაქრობის რეალური საფრთხე დაემუქრა.

და კიდევ ერთხელ გაანათა აპრილმა. ერი აღსდგა უსამართლობის, სტუმარ ერთა თვითნებობის, ადამიანის უფლებათა დათრგუნვის, ეკონომიური კრიზისის, რესპუბლიკის სუვერენიტეტის შებღალვის წინააღმდეგ.

ბნელმა ძალამ ურჩი საქართველოს დასჯა გადაწყვიტა. ჩვენ უმოწყალოდ დაგვჩეხეს და საუკუნის შხამით დაგვწამლეს, მაგრამ ჩვენ ამჯერადაც გავიმარჯვეთ.

ვერ წარმოიდგენენ ძირმომპალი რეჟიმის დამქაშები, რა მორალური გამარჯვება მოიპოვა ცხრა აპრილის სისხლით პატარა საქართველომ. არა მარტო ვანანეთ, ცხვირში ძმრადაც ამოვადინეთ

უგუნური საქციელი, მთელი მსოფლიოს თვალწინ ნიღაბი ჩამოვაგლიჯეთ და ყველას დავანახეთ მათი ნამდვილი სახე.

ახლა როცა ეს სტრიქონები იწერება, თავის პროგრამას აზუსტებს, ბრძოლის ფორმებს სრულყოფს და ახალი ნახტომისთვის ემზადება ჩვენი მშვენიერი ახალგაზრდობა, ოფიციალური წრეებისგან არაერთგზის მოტყუებულ-გაცურებული.

დღესაც ებრძვის სიკვდილს „მშობლიური არმიის“ ნაწილებისგან შხამდანთხეული რამდენიმე კაცი ჩვენს საავადმყოფოებში.

დღესაც ეპარება, გარს უვლის და მუშტრის თვალით ზვერავს ჩვენს მიწას შეცბუნებული გადამთიელი, რომელსაც, სიმართლე უნდა ითქვას, ამ ბოლო დროს, ცოტა არ იყოს, ხელი შეუშალეს.

დღესაც არაერთგან შენდება შუაღამისას შემოხეტებული სტუმრის ქარვასლა, რათა მზის ამოსვლის მერე მისი ფანჯრიდან დარხეული შიქასტა-ბაიათით ჯიუტი ფაქტის წინაშე დააყენოს ზოგი რაიონის დოყლაპია ხელმძღვანელი.

გარდაქმნის უნიათო ნაბიჯებს ისე მძლავრად დაჰქროლა ბიუროკრატიული მაფიის გრიგალმა, რომ სამასმილიონიანი სახელმწიფოს ეს უკანასკნელი იმედიც ძლივსღა ბჟუტავს და შიგნიდანვე აფეთქებით ემუქრება ტყუილსა და ძალმომრეობაზე დამყარებულ საზოგადოებრივ ინსტიტუტს. იმასაც კი, ვის წინაშეც ეროვნული გადაგვარების ვეშაპი არ დგას, საბარათო სისტემა უხუთავს სულს.

ამ დღეებს უნდა ემსახურო, მწერალო!

სახალხო მოძრაობის შუაგულში უნდა ტრიალებდე, ეროვნული ბრძოლისთვის აქოჩრილ ხალხს სიტყვით და საქმით უნდა შეეწიო, ერს უნდა უწინამძღვრო საბოლოო, ნანატრი მიზნისკენ.

საქართველო უნდა გადავარჩინოთ.

იმედის ფარი ვიფაროთ, ყოველგვარ განსაცდელისგან გვიხსნის ჩვენთვის ჩვეული „ჭირსა შიგან გამაგრება“.

თავი ავწიოთ და წელში გავიმართოთ!

„ამოდის, ნათდება!“

1989 წ.

ერთი წლითაც მივუახლოვდით

ათას ცხრაას ოთხმოცდაცხრა წელიც ბარდება წარსულს.

ოთხმოცდაცხრა საქართველოსთვის ფრიად მღელვარე, ტრაგედიებითა და გლოვა-ფორიაქით დატვირთული წელი გამოდგა.

ისტორიამ ამ წელს მკაცრი გამოცდა მოგვიწყო.

ერთმანეთს მოჰყვა ცხრა აპრილის, ოცდასამი ივნისის, თხუთმეტი ივლისის საშინელი დღეები და ეთნოკრიზისმა საქართველოში ლაზათიანად დაწყებული ეკონომიური და პოლიტიკური დამოუკიდებლობისათვის საყოველთაო-სახალხო ბრძოლის, შინასამოქალაქო ომის ტალღაზე გადართვა სცადა.

მაგრამ ქართველი არ აჰყვა პროვოკაციებს, ჩვენმა მოთმინებამ გამოცდას გაუძლო.

ვერ ვიტყვი, ეს ყოველივე ნერვების გლეჯისა და თითთაკბენის გარეშე მოხდა-მეთქი, მაგრამ ერთი რამ ცხადია; რუსთაველის ქვეყანა არ აჰყვა აფსუა-თათარ-ლეკ-ოვსთა მიერ შემოთავაზებულ ბრძოლის მეთოდებს.

არ ჩაება იმ უთანასწორო ომში, რაც შეიძლება, სტუმარ ერთათვის სავალალოდ დასრულებულიყო.

სამაგიეროდ, ათას ცხრაას ოთხმოცდაცხრა წელმა ღვთიშობლის წილხვედრ ქვეყანას საშუალება მისცა მიეღო კიდევ ერთი, ამ ეტაპზე მისთვის ფრიად საჭირო გაკვეთილი.

კერძოდ;

ჩვენ ერთხელ და სამუდამოდ დავრწმუნდით, რომ საქართველოსთვის მსოფლიო თავს არ გამოიდებს და ჩვენი ხსნა ჩვენსავე ხელშია.

ერთხელ და სამუდამოდ დავრწმუნდით, რომ იმპერია არც ისე ძლიერია, როგორც მის დამქაშებს ჰგონიათ.

ერთხელ და სამუდამოდ დავრწმუნდით, რომ ჩვენი სიმართლისა, მთავარია, ჩვენვე გვჯეროდეს და ბრმად ნუ ვენდობით მრავალრიცხოვან ერთა მოძღვარ-წარმომადგენლებს. ტაშისგან ხელისგულებს ნუ გადავიტყავებთ მოღვაწე-ტურისტის მიერ ტრიბუნიდან ქამანდივით ნასროლ ორ ქართულ ფრაზაზე. მერე მათი უმეცრებაც აღარ გაგვიკვირდება და მათი ღალატიც (სახაროვი, ჰუიტი) იქნებ ბუნებრივად მოგვეჩვენოს.

საქართველო დარწმუნდა, რომ ვისაც ასწლეულების განმავლობაში ლუკმა გაუზიარა და უბეში შეიფარა, სწორედ მან მოუღერა მუშტი და ზურგში ხანჯალი ჩასცა. 1989 წლის ცნობილი მოვლენებით ქართველი კაცის შეგნებაში სამუდამოდ დასრულდა სტუმარი ერის მიმართ დაყვავება-დათმობის ეპოქა, დაინგრა ხალხთა ძმობის ყალბკომუნისტური უბალავრო კოშკი და ჩემმა ერმა, ერთის მხრივ, უკანასკნელი გაფრთხილება მისცა ხიზან ხალხებს, მეორე მხრივ კი

მასთან ახლებური, ზომიერი ურთიერთობის ისტორიულ აღმართს შეუდგა.

და რაც მთავარია, საქართველო დარწმუნდა, რომ იმპერიის ნანგრევებში არ უნდა მოჰყვეს. ამჯერად მის წინაშე ქვეყნის დემოგრაფიული გაწმენდის, უცხო ერთა გასტუმრება-გაცილების გეგმაა უმთავრესი და პირველი ნაწილი იმ საყოველთაო-გეგმა-მაქსიმუმისა, რამაც ქვეყანა საბოლოო გადარჩენამდე და თავისუფლებამდე უნდა მიიყვანოს.

ახლა საქართველო თავის ძალა-შესაძლებლობებში დარწმუნებულია. თუმცა, ჯერ კიდევ ბოგინობენ თავგახურებული „პოლიტიკოსები“ საქმეს ბოლოდან რომ იწყებენ, ვერაფრით რომ ვერ შეუგნიათ მიმდინარე მომენტის მთელი სიმძაფრე და ყაყანებენ: ქვეყნის დემოგრაფიული გაწმენდა სულ არ გვაინტერესებს, მთავარი პოლიტიკური თავისუფლების დაუყოვნებელი მოპოვებაა.

დრაკონის წინააღმდეგ წკეპლით ამხედრებაა ეს და მეტი არაფერი.

თანმიმდევრული, ჭკვიანურად მიზან-მიმართული, ყოველდღიური, პარლამენტური, ალაგმშვიდობიანი ბრძოლის ფორმები გვჭირდება ჩვენ დღეს და არა 1924 წლის მსგავსი, მოუმზადებელი აფეთქება-აჯანყება, რომელიც ჩვენი იმპერიის დამცველთა ძალა-ვერაგობის მასშტაბებით თუ ვიმსჯელებთ, უფრო დიდი სისხლისღვრით შეიძლება დამთავრდეს, ვიდრე 1924 წელს დამთავრდა.

ღმერთმა გვაშოროს შარშანდელი შეცდომები, სტიქიური აქციები, შედეგგაუაზრებელი ღონისძიებები, გულუბრყვილო ლოზუნგები, სახალხო ფრონტისა და რუსთაველის საზოგადოებების მჩხავანა ყრილობები, ელემენტარული პარლამენტარული კულტურისა და უმწიფარა პროგრამა-წესდებების დამტკიცება-ხელდასხმის ნიშნით რომ ჩატარდა, მაგრამ ეს მხოლოდ დასაწყისი იყო და გზათა ძიების ანარქია სახალხო მოძრაობის დასაწყისს ყოველთვის ახლავს.

ამ წელს და მარადის უფრო მოზომილი, ბრძნული ნაბიჯებით უნდა ვიაროთ.

რას წარმოადგენს იგი, მათრახით და არა ხალხოსნებით შეკონწიწებული იმპერია, რომელმაც ყველას თვალწინ განწირულის ხმაურით იწყო დაშლა, ხოლო იმ დაშლას მილიონთა ეროვნული თავისუფლება და სუვერენიტეტი უნდა მოჰყვეს?

თუ ჩვენი სამიზნე სწორად არ შევაფასეთ, უსიერ ტევრში თავჩაღუნულად, უკომპასოდ მავალთ დავემსგავსებით. იგი, ერთ დროს პოლიტიკურ-ეკონომიურად ძლიერი, მაგრამ ახლა საყოველთაო

კრიზისით დაღრღნილი სახელმწიფოა, რომელსაც ერთგულ დამქაშად ამ ბოლო დროს მხოლოდ შეიარაღებული ძალები შერჩენია და სხვა არაფერი.

იგი ამაოდ ცდილობს ეკონომიური სიდუხჭირიდან თავის დაღწევას, რადგანაც გაბედულება არ ჰყოფნის მარქსისა და ლენინის, ერთ დროს, ალბათ, პროგრესულ, ამჟამად კი აშკარად მოძველებულ თეორიებს შეელიოს. დღეს ყველასათვის ცნობილია, რომ მარქსიზმი თავისი ოთხი გამოუსწორებელი წინააღმდეგობით (კლასთა ბრძოლის თეორიის, რელიგიის უარყოფა, კერძო საკუთრების გაუქმება, უსამშობლო მოქალაქის გამოყვანის ქადაგება) არ შეიძლება ჩვენს უმთავრეს მეცნიერულ მოძღვრებად მიგვაჩნდეს, საბჭოთა იმპერია კი დღესაც ჯიუტად ებღაუჭება მეურნეობრიობის სოციალისტურ კანონებს და ეკონომიკის მართვის ბიუროკრატიულ-ჩინოვნიკური სტილიდან წინ ნაბიჯიც ვერ გადაუგამს.

ჩიხში მოექცა იმპერიის ეროვნული პოლიტიკა. მძიმე ვითარებიდან თავის დაღწევის ეფექტური ღონისძიებების ნაცვლად აქვეყნებენ პლენუმისწინა უმწიფარა „პლატფორმებს“, რომელშიც წინასწარ უცხადებენ ხალხებს, რომ თავს ნუ მოიტყუებთ, არაფერიც არ შეიცვლება, ყოველ შემთხვევაში, ჩვენგან, ჩვენი ნებით, ნურავითარ სიკეთეს ნუ ელოდებითო. ამასაც არ სჯერდებიან, უზარმაზარ ჯავშნოსან ქვეყანა-მანქანაში შეყუჟულები, თითს უქნევენ პაწაწკინტელა ბალტიის ქვეყნებს (ესტონეთი, ლიტვა, ლატვია) რომლებმაც, ამაო ლოდინით და აშმორებული პოლიტიკური ატმოსფეროთი გულშეღონებულებმა, ჯავშნოსანიდან თავი გადმოყვეს და სუფთა ჰაერს გაუღეს პირი.

ეს ყოველივე და სხვა ათასი წინააღმდეგობა კარგს არას დაჰმართებს მოყირჭებულ მართვის სისტემას და ოდენ მუშტის საწყისებზე აგებულ ხუხულას.

მაგრამ (დაუფიქრდით ამ „მაგრამს“) საქმეს ნუ გავიიოლებთ, ერთი ხელის დაკვრით საშვილიშვილო საქმე არ კეთდება. ჩვენ სხვა ერებთან, ერთად ხელიხელჩაკიდებულებს ტრიუმფალური სვლა გველის ნანატრი თავისუფლებისკენ. საქართველო ამ საერთო ფერხულში ჭაკის წინ მარბენი კვიცის დღეში ნუ აღმოჩნდება, კვიცისა, რომელსაც ან მგელი შეჭამს, ან მგლისფერი ტურა.

ბედნიერი იყოს, საქართველოვ, შენთვის 1990 წელი.

ამ წელს ეროვნული ბრძოლის საძირკველში საიმედო დუღაბი ჩაგესხას რეალურ ოცნებათა ფრთაშესხმის გარანტიად.

1989

ახლა საქმეა მთავარი

გაიარა საქართველოს ეროვნული მოძრაობის პირველმა პერიოდმა.

ამ ორი წლის მანძილზე უნდა ჩამოგვეყალიბებინა ჩვენი სტრატეგია და ტაქტიკა. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, უნდა გაგვერკვია, რა გვსურს და რა გზით ვიაროთ დასახული მიზნისკენ.

ჩავატარეთ ეროვნულ საზოგადოებათა და ასოციაციათა მღელვარე ყრილობები, დავამტკიცეთ პროგრამა-წესდებები, ავირჩიეთ პრეზიდიუმები, პრეზიდენტები და „თანაპრეზიდენტები“... რაც მთავარია, შევქმენით ოფიციალურ ხელისუფლებასთან დიალოგის ატმოსფერო და მაინც საეჭვოა, ამოივსოს ის უფსკრული, ათეული წლების განმავლობაში რომ არსებობდა ხალხსა და მთავრობას შორის.

ამ ურთიერთნდობის ილუზიამ ის თვალსაჩინო შედეგი გამოიღო, რომ ხელთა გვაქვს საერთო ძალისხმევით დამტკიცებული ორი დოკუმენტი: ქართული ენის პროგრამა და საქართველოს ეროვნული კონცეფცია.

მიუხედავად ამ დოკუმენტების მიმართ აგრესიულად მორჩილი უმრავლესობის და ცენტრისტული ძალების უარყოფითი დამოკიდებულებისა, ქართველი ერის კანონის ძალას აძლევს, მისი არსებობის შენარჩუნების მძლავრ გარანტიად მიიჩნევს „პროგრამას“ და „კონცეფციას“.

დიახ, ჩვენ უკვე ვიცით, რა გვჭირს და ისიც შეგნებული გვაქვს, წყლულს როგორ ვუწამლოთ.

ამიტომაცაა, რომ თანდათანობით ჩამოშორდა მრევლი სტიქიურ, ანარქიულ მიტინგებს, ძველებური აღტკინებით აღარ მივეშურებით ამბიციურ პოლიტიკან ყმაწვილთა უსაგნო აქციებზე, გულგრილად აუვლის მოქალაქე მაჰათმა განდის ჩვენთვის სრულიად გამოუსადეგარი გზით მავალი „მებრძოლების“ ჭირვეულ შიმშილობებს, აღარც საეჭვოდ გამრავლებულ, უმწიფარა, რთულ პოლიტიკაში გაურკვეველ, და, რაც არანაკლებ დასანანია, მართლწერის ელემენტარული წესების უცოდინარი ადამიანების მიერ წამდაუწუმ გამოცხობილ, მანეთიან გაზეთებს ეტანება ფართო მკრთხველი.

მთავრობამ ამ საკითხში ლამის ჭკუით გვაჯობა; ბეჭდეთ და ავრცელეთ, რაც გინდათო, არაფორმალური პრესის ამ „უნაპირო თავისუფლებამ“ ის შედეგი გამოიღო, რომ ნათლად გამოჩნდა, ერთის მხრივ, სწორ ეროვნულ ნიადაგზე მდგარ დისიდენტთა ნათელი პოზიცია და მეორეს მხრივ, უმწიფარა, გულუბრყვილო პოლიტიკანთა ეიფორული ღავღავი – „შენი არ გესმოდეს და სხვისი არ დაიჯეროს“ სარკასტული ბეჭდით დაღდასმული.

საგზაჯვარედინო განწყობილებამ გაუარა ქართველს. უკან დარჩა გზის არჩევაზე თავის მტვრევისა და ყოყმანის პერიოდი. ჩვენ წინაშე კონკრეტული მიზანი დგას: საქართველო უნდა განიწმინდოს მოძალებული უცხო თესლისაგან და საქართველო უნდა გათავისუფლდეს. ალტერნატივა თუ არსებობს, იგი დაღუპვის მეტს არას მოგვიტანს. ჩვენ სხვა გზა არა გვაქვს.

დადგა დრო ხელდაკაპიწებული პრაქტიკული გარჯისა, დადგა დრო დისპუტ-ყრილობათა აუდიტორიებს სიტყვის „პინ-პონგს“ აღარ შეაბერდეს ჩვენი მოძრაობა და მშვენიერი მიზნის მჭვრეტელის მანტია იმ მიზნის საქმით ხორცშემსხმელის, ერის ბედის მჭედლის ხალათზე გაცვალოს.

აქ კი ჯერჯერობით ვერაფრით დავიკვეხნით. ეროვნული მოძრაობის პრაქტიკულ ეტაპზე, ნელა, „ერთმანეთისა მზერითა“, საეჭვო ზოზინით გადავდივართ.

ზის გუშინდელი მღელვარე მემიტინგე, ერის გაღვიძებისთვის სახმო სიმებს რომ იგლეჯდა ის ქართველი ახლა, და რაკი პროგრამა – წესდება მშვენიერი დაიმტკიცა, გულხელდაკრეფილი ელოდება, როდის გაუთავისუფლებენ გამსახურდია–კოსტავა–ჭანტურია–წერეთელი–შენგელაია საქართველოს. სხვისი ხელით ნარის გლეჯის ტაქტიკა ამგვარ „მებრძოლს“ მშვენივრად აქვს დამუშავებული, მისი მისია „თეორიული პოსტულატებით“ ამოწურა, პრაქტიკული საქმე სხვა საქართველომ უნდა გააკეთოს.

სწორედ ის „სხვა საქართველო“ არ არის. ჩვენვე უნდა ვუბერ-ოთ ეროვნულ მოძრაობის ქურას მკლავის დაწყვეტამდე, ჩვენვე უნდა ვუყაროთ ნახშირი ეროვნული წინსვლის ორთქლმავალს, ჩვენ, თითოეულმა ქართველმა, დროა შევიგნოთ, რომ ჩვენს საქმეს სხვა ვერავინ გააკეთებს.

დგას ქართველი და გულგრილად შესცქერის, ამ საყოველთაო განგაშის დროსაც კი, როგორ მკვიდრდება უცხო თესლი ქართულ მიწაზე, როგორ გადმოიპარება ხოლმე გადამთიელი ლტოლვილი შუაღამისას საქართველოს ჯერ კიდევ დაუცველ საზღვრებზე. როგორ შლის ის ქართულ წარწერებს მის მიერ დაპყრობილ ტერიტო-

რიაზე და თავის ანბანს პიტნასავით სჩრის ცხვირში ადგილობრივ მოსახლეობას, როგორ მუმლივით ეპატრონება ერის საუნჯეს – მიწას და გაღვიძების საყოველთაო გნიასში, აქაოდა მე არაფერი მეყურებაო, თავის საქმეს აკეთებს – ბაზარს ეპატრონება, ეკონომიურ კაბალაში აქცევს ანდუყაფარ და ივანე დიდებულიძეების ბედოვლათ შთამომავალთ.

ქართველი კი იმგვარი „უბრალო“ საქმისთვის ხომ არ მოიცლის; მოძალებულ ყვავ-ყორნებს აუქშიოს, არაქართული წარწერა ჩამოხიოს და ქართული გააკრას, ნიტრატით გაძეძგილი მწვანილეულით სავსე კალათა თავზე ჩამოამხოს ჩარჩს და თვით მიეპატრონოს თავის მიწას... ამ საქმისათვის სხვები, „შემსრულებლები“ არიან მოწოდებული, თვით კი „ლიდერად“ და „წინამძღოლად“ გააჩინა ბუნებამ.

სამწუხაროდ, „ბელადები“ ბევრნი დავგროვდით, შემსრულებლები საეჭვოდ ცოტანი დარჩნენ.

აქაც დიდი ილია მომეშველება: ყოველდღიურად მისხალ-მისხალ ყველამ ვაკეთოთ საქართველოს ხსნის, საქართველოს გადარჩენა-გათავისუფლების საქმე, ბატონებო, ყველამ ნიადაგ პასუხი ვაგოთ ჩვენი სინდისისა და ერის ბედის წინაშე.

საღამოს სასთუმალზე რომ თავს მიდებ, ჩემო მკითხველო, ჰკითხე შენს თავს: – რა გავაკეთე დღეს საქართველოს გადარჩენისთვის?

1988 წ.

დიდი იმედის ნაპერწკალი

1988 და 1989 წლები საქართველოს ისტორიაში უაღრესად მნიშვნელოვან თარიღებად დარჩება.

მართალია, ამ წელს ეკონომიკის გარდაქმნის ჩვენი უღიმღამო მეთოდების გადამკიდენი დიდით ვერაფრით წავიწიეთ წინ, „საყოველთაო სიუხვე“ ჯერ ისევ შორეულ და საეჭვო დაპირებად გვრჩება, მაგრამ, სამაგიეროდ, სულიერმა ცხოვრებამ ზედიზედ განსაცვიფრებელი გამარჯვებები მოიპოვა.

კერძოდ: დასრულდა საქართველოს ეროვნული გამოღვიძების მტკივნეული პროცესი.

უმრწემესი თაობის თავგანწირულმა კვეთებამ შედეგი გამოიღო: ჩვენი, ბებერი, კეთილი, დემოკრატიული კონსტიტუცია, რომლის ზოგი მუხლი ფიქტიური გახლავთ, მაგრამ მაინც იმედის ნაპერწკლად ბჟუტავდა ათეული წლების განმავლობაში და, რომელსაც, ზოგთა უგუნურების გამო, სწორედ ამ დემოკრატიული ილუზიების დროში საფრთხე დაემუქრა, – შევინარჩუნეთ. ვგულისხმობ იმ მუხლს, რომელშიც სსრკ-ის შემადგენლობიდან რესპუბლიკის თავისუფალი გასვლაა გარანტირებული.

მარტო კონსტიტუციის მუხლებისათვის კი არა, პიროვნების და ერის ღირსების დაცვისათვის, იმპერიულ მუხრუჭებისგან თავისუფალი საზოგადოებისთვის ჩვენს შემართება-თვითგვემაში მთელმა მსოფლიომ დაინახა რომ თავისფლებისმოყვარე ქართული სული არ ჩამკვდარა, იგი ყოველ კეთილი ნების მქონე ქართველის არსებაში ფეთქავს და გუგუნებს.

თვისობრივად ახალ საქართველოში ვცხოვრობთ.

რომ ეგონათ უფლებრივად შეზღუდულმა, მიწაწართმეულმა, დაშინებულმა, არაერთგზის მოტყუებულმა, გულისამრევი პროპაგანდით შეღონებულმა ქართველმა ეროვნული ბრძოლა გადაივიწყაო, სწორედ მაშინ იმედის პაწაწკინტელა ნაპერწკლის აკიაფება საკმარისი აღმოჩნდა ერთ მუშტად შეკრული უზარმაზარი ლაშქარი ფეხზე დამდგარიყო და დამოუკიდებელი საქართველოს დროშა აეფრიალებინა.

დამოუკიდებელი საქართველოს ლოზუნგი დღეს რომ ასე აშინებს ზოგს, სხვა არფერია თუ არა ეკონომიურად, პოლიტიკურად, კულტურულად დამოუკიდებელი, თავისუფალი საქართველოს სურვილი და უკანასკნელი დროის მოვლენები სწორედ ამგვარი თავისუფლება – დამოუკიდებლობისკენ გვიხმობენ, საგარდაქმნო მოძრაობაც ამგვარ თავისუფლებას უნდა ელტვოდეს.

ცხრა აპრილს საქართველოში დაღვრილ სისხლზე იმედის ყაყაჩოები გიზგიზებენ.

რაც შეეხება ქართულ სულს, ჩვენდა გასახარად, იგი მთლიანი და გაუტეხელი აღმოჩნდა. სარწმუნოებისთვის შუშანიკის თავგანწირვიდან, ცოტნე დადიანის, მეფე დიმიტრი თავდადებულის და სამასი არაგველის გმირობიდან შარშან და წელს ჩვენში დატრიალებულ მოვლენებამდე ერთი ნაბიჯია.

მწერალმა ყველაფერი უნდა გააკეთოს იმ დღეთა უკვდავყოფისათვის.

წინ დიდი საქმეები გველის.

ჯერ კიდევ მშვენივრადაა ორგანიზებული მართალი კაცის დათრგუნვა-შევიწროების ინსტიტუტი.

კვლავ ბოგინობს არაკომპეტენტურობა და უვიცობა, რომელიც ერის უკეთეს შვილთა წინააღმდეგ თავის ბნელ საქმეს ლამის დაუსჯელად აკეთებს.

ხელახლა რომ გაცოცხლდეს დიდი შანსი აქვს ილია ჭავჭავაძესაც, რომ ხელმეორედ ესროლონ ტყვია მისმა თვისტომებმა.

მშიშარა მყეფართა წკავწკავს არ უნდა შეუშინდეს ჩვენი ეროვნული ბრძოლის ქარავანი.

არა ქაოტური მიტინგების ან ნაჩქარევი, გაუანალიზებელი აქციების, არამედ დიდი ილიას მიერ დასახული გზით გონივრულად და დინჯად უნდა ვატაროთ საქართველო.

ეროვნულ მოძრაობაში ყველას თავისი ფუნქცია აქვს.

ვინ მართალია და ვინ არა, ქვეყანა მშვენივრად ხედავს.

ამ ეტაპზე უპირველეს საქმედ ეროვნული კონსოლიდაცია, საქართველოს დემოგრაფიული მოწესრიგება და ქართული ენის პროგრამის განუხრელი შესრულება მესახება.

მეორე ეტაპი – საქართველოს სანუკვარი ოცნების ხორცშესხმა – ამ პირველ ეტაპს უნდა მოჰყვეს და, მგონი, არც ისაა შორეული ოცნება.

ერმა უნდა გაარკვიოს ვის უსმინოს და ვის გაჰყვეს. სამწუხაროდ, ჯერ კიდევ „გვმოძღვრავენ“ სკოპრიმეტირებული, შემთხვევითი, წმინდა ლაშქარს ადევნებული მოქალაქენი.

ჯერ კიდევ მოითხოვენ მაღალი ტრიბუნიდან მავანთა „მოსპობას“ და „დაპატიმრებით ჭკუის სწავლებას“ მედროვენი.

არ გამოუვათ, ისტორიის ბორბალი უკუღმა აღარ დატრიალდება.

ჩვენ ისედაც დიდხანს ვდუმდით და ქართველთა გულუბრყვილო სიკეთით ჩვენს ისტორიაში შემოხეტებულმა არაერთმა დაგვიანებულმა სტუმარმა ბოროტად ისარგებლა.

ისე ეხვევა ახლა ჩვენს ეროვნულ სხეულს სამშობლოდაკარგული არაერთი ტომი, როგორც მუმლი მუხას. კავკასიონის ცის ტრამალებს გამოქცეული, უკულტურო და უწარსულო, თბილ კერას და საძოვრებს მონატრული შევიფარეთ, შევიწყნარეთ, ჩვენს უბეში გამოვზარდეთ და ახლა სიკეთეს იმით გვიხდის, რომ „დიდმპყრობელს“ გვეძახის და მამა-პაპური ადგილებიდან გვერეკება.

სხვებს კი დემოგრაფიული, მშვიდობიანი დაპყრობის ავბნელი გეგმა დაუსახავთ და ამ სხვის ბუდეში გამრავლების უსაშველო ტემპაღებულებს სურთ, რაღაც ხუთი ათეული წლის შემდეგ სავალალო ფაქტის წინაშე დაგვაყენონ. მე ახლა იმის ფიქრისაც მეშინია, რომ ჩვენი გამრავლების ახლანდელი ტემპის გადამკიდე ქართველები მალე საქართველოში ეროვნულ უმცირესობათა შორის აღმოვჩნდებით.

ისტორიის ვეშაპი გვიახლოვდება. ჩასაძირავად განწირულ ხომალდს რომ არ დავემსგავსოთ, ახლა ერთმანეთის დამშვიდება და მიტევება-მოფერებისკენ მოწოდება კი არა, პრაქტიკული მოქმედებაა საჭირო სარეველისგან ეროვნული ნიადაგის გასაწმენდად.

1989 წ.

ესაა ქვეყნის პატრონობა და სამართალი?!

უკანასკნელი დროის საქართველოს ვითარებას გონების თვალით თუ გადავხედავთ, ერთი რამ განსაკუთრებით გვეცემა თვალში: გაცილებით მეტია ერის სატკივარზე მაღალფარდოვანი ღაღადისი, პრაქტიკული საქმე კი ცოტაზე მეტია.

დემონტსრაციებს და მიკროფონებს დახარბებული ბევრი თეორეტიკოსი დავგროვდით, ჩვენი ეროვნული არსებობა კი ლამის უფსკრულისკენ მიექანება.

ახლა მოქმედების, შედეგინი გარჯის დროა.

აუხსნელი სიფრთხილით ჩვენ ისედაც ბევრი დრო დავკარგეთ.

ჩვენმა მეზობელმა ერებმა თავი გადაირჩინეს, ჩვენ კი პირდაღებული შემოგვყურებს ისტორიის ვეშაპი, მშვიდობიანად, უსისხლოდ გვიპყრობენ და რიყეზე ამოყრილი თევზებივით სულს ვღაფავთ.

ჩვენი ათასწლოვანი სიკეთე ჩრდიოლეთ კავკასიიდან ჩვენს უბეში დროებით შეფარებულ ადიღეველ ტომთაგან (აფშილები და აფსუები), რომლებიც ორიოდე საუკუნის წინათ თავაზიანად დავასახლეთ საქართველოს მიწაზე, უმადურობად და ლანძღვად დაგვიბრუნდა. დროა დავარქვათ საგანს თავისი სახელი, სტუმრად მოსულმა ტომებმა უძველესი ქართული ტომის – აფხაზის სახელი დაირქვეს და ჩვენი გულუბრყვილო სიკეთით წათამამებულებმა, თავიანთი ადიღეური ენაც კი მოახვიეს ქართველ აფხაზს თავზე, იმ აფხაზს, რომელსაც ათასწლეულთა განმავლობაში თავისი მშობლიური ქართულის გარდა სხვა ენაზე კრინტიც არ დაუძრავს.

ჩვენს ეროვნულ სხეულზე ხავსად მოდებული გადამთიელი ჩვენს მიწას გვედავება.

ჩვენი პატრონი ათეული წლების განმავლობაში არავინ აღმოჩნდა. ყველამ თავისი კარიერული მიზნები შეისრულა დაჩოქებისკენ ჩვენი მოწოდებით, მერე გადაგვაბიჯა, ან დასასჯელად ჯარი მოგვისია და თავის გზას ეწია.

როგორც ჩანს, ჩვენს თავს ჩვენვე უნდა ვუშველოთ და არავის ვათქმევინოთ, რომ ამ მიწის პატრონად აღარ ვვარგივართ.

დიახ, ახლა ენერგიული, გადამწყვეტი მოქმედების დროა.

ჩვენ თეორიების დახვავება და თავის მაღლა შემართვა ისტორიული პარალელების მოსაშველებლად მშვენივრად გვეხერხება, მაგრამ აგერ, თუნდაც ყურისძირში, საკუთარი მოძმის პატრონობა-ქომაგობა რაღაც არ გამოგვდის.

ამ ორიოდე დღის წინათ მწერალთა ჯგუფი მარნეულს გავემართეთ ლიტერატურული საღამოს ჩასატარებლად. სოფელ თამარისს ვესტუმრეთ.

ამ გლოვის დღეებში რა გველიტერატურულსაღამოებოდა, მაგრამ მივიჩნიეთ, რომ სწორედ ახლა იყო საჭირო ჩვენს ხალხთან შეხვედრა და საერთო სატკივარზე გულახდილი საუბარი.

რასაკვირველია, თავიდნვე ჩამოვაგდეთ სიტყვა ცხრა ააპრილის ტრაგედიაზე, გავაანალიზეთ მისი მიზეზები, შევეხეთ თანამედროვე საქართველოს დემოგრაფიულ-სოციალურ და ეროვნულ-პოლიტიკურ ვითარებას და, რა თქმა უნდა, სოფელს გამრავლებისკენ მოვუწოდეთ.

წამოდგა სასოფლო საბჭოს თავმჯდომარე გ. დარბაიძე და გამოგვიცხადა, როგორ უნდა გავმრავლდეთ, როცა უკანაკნელი ოცი წლის მანძილზე სოფელში არც ერთი მეტრი საკარმიდამო მიწის ნაკვეთი არ გაცემულაო.

ეს რომ გავიგონეთ, გადავწყვიტეთ ჩვენი ლამაზპატრიოტული საუბარი შეგვეწყვიტა და სოფლისთვის მიგვეცა სიტყვა, თავისუფლად ელაპარაკათ თავიანთ გასაჭირზე.

ენა ვერ აღწერს, რაც იქ მოვისმინეთ.

ეს იყო ჭეშმარიტად სოფლის ყრილობა.

– ერთ ბინაში ოთხი ოჯახი ვცხოვრობთ, სამი ძმა, სამივე დაცოლშვილებულია. მე ერთადერთი ძმის მეუღლე ვარ, სამი შვილის დედა. მიწას არ გვაძლევენ, იძულებული ვართ ავიბარგოთ და სოფელს გავეცალოთ – ცრემლმორევით თქვა რაისაბჭოს დეპუტატმა, თამარისელმა კოლმეურნემ ვერა დვალმა.

სავალალო ფაქტები ჩამოთვალეს:

ქართველებს ერთ მტკაველ სამოსახლოს არ გვაძლევენ, მაშინ როდესაც ირგვლივ აზერბაიჯანულ სოფლებში სოკოებივით მრავლდება აზერბაიჯანელთა ახალ-ახალი, ნებართვიანი თუ უნებართვო სახლები. სხვათათვის მიწის დაკანონებას მშვენივრად ახერხებს რაიონული ცენტრი, ჩვენ კი ჩვენსავე მიწაზე უიღბლო გერის დღეში ვართო.

გაგვაგებინეთ რა პრივილეგიით სარგებლობენ, რა დიმსახურეს ასეთი ჩვენმა აზერბაიჯანელმა მეგობრებმაო.

თოთხმეტი წელია უნივერსიტეტმა ამ სოფელში გამომანაწილაო, თქვა თამარისის სკოლის დირექტორმა გურამ ქადარიამ. თოთხმეტი წელია მეურნეობის საერთო ბინებში ვცხოვრობ, ვის არ მივწერე, მაგრამ სამოსახლო არ გამომიყვეს რომ ჩემი ბოსტანი მქონდეს და თოხი დავარტყა ჩემს მიწასო. საკარმიდამოს ვინღა ჩივის, სკოლის დამხმარე მეურნეობისთვის ვითხოვე ნაკვეთი და ახლახან იმაზეც უარი მითხრესო.

დაღამდება თუ არა, ჩვენი სოფელი წყვდიადში ჩაძირულ ზღვას წააგავს. ირგვლივ, აზერბაიჯანულ სოფლებში, ელექტრონი კაშკაშებს ჩვენ კი, ლამის, ყოველ საღამოს შეგნებულად გვითიშავენ სინათლესო.

თბილისიდან სულ რაღაც ოცდაათიოდე კილომეტრია თამარისამდე და როგორც კი მაგისტრალიდან გადაუხვევთ, ისეთ საშინელ გზას დაადგებით, გულ-მუცელი ხელით რომ უნდა გეჭიროთ. ამაში თავად დავრწმუნდით. საგზაო ფონდი ძირითადად აზერბაიჯანულ სოფელთა გზებს ხმარდება, საწყალი თამარისი ვიღას ახსოვს.

მიუხედავად არაერთგზისი თხოვნისა, სოფელში ჯიუტად არ ხსნიან წიგნების მაღაზიას, თამარისელები ქართული წიგნებით რომ არ განათლდნენ.

სოფელს თითქმის გვერდით ჩაუდის გაზგაყვანილობა, მაგრამ „ზემდგომი ორგანოები“ თამარისს გაზს არ აძლევენ. არ გეკუთვნითო (?!)

უგზოობას უტრანსპორტობაც დაერთო, ვერ იქნა და ვერ მიაღწიეს ტრანსპორტის საქმის მოგვარებას თამარისელებმა, აზერბაიჯანულ სოფლებში გამვლელ ავტობუსთა მძღოლებს „რცხვენიათ“ თამარისში წრიულ მარშრუტზე შემოვლა.

სოფლის კულტურის სახლს ერთი ქორეოგრაფი ჰყავდა და ახლახან ისიც შტატების შემცირებაში მოაყოლეს რაიონის ხელმძღვანელებმა.

ეს ხდება მარნეულის რაიონში, სადაც მოსახლეობის 95% აზერბაიჯანელია. მხოლოდ ხუთი პატარა ქართული სოფელიღა ბჟუტავს მთელს რაიონში – თამარისი, წერეთელი, ორჯონიკიძე, სიონი და წერაქვი. შეიძლება ითქვას, რომ ხუთივე ამ დღეშია.

ქართული ენის გავრცობა-სახელმწიფოებრიობაზე აქ ლაპარაკი სასაცილოდ ჟღერს. არსადაა ქართული წარწერები აზერბაიჯანულ სოფლებში. რაიონში ქართულ საქმისწარმოებაზე ხომ ფიქრიც არ შეიძლება, ყველაფერი იწერება რუსულად, ან აზერბაიჯანულად.

გახვალთ თბილისიდან, სულ რაღაც ოცდაათ კილომეტრზე, მარნეულის რაიონში და გეგონებათ სხვა, არაქართულ სახელმწიფოში მოხვდით.

ესაა ქვეყნის პატრონობა და სამართალი?

ვამთავრებთ ამ წერილს და თანდათან შეშფოთება გვიპყრობს.

ჩვენთან ხომ უმეტეს შემთხვევაში ქაღალდის ლომის პოლიტიკაა. დაწერილი დაწერილად რჩება. ხომ არ ვუწევთ აზერბაიჯანული ხელმძღვანელობის ხელში მოქცეულ თამარისელებს დათვურ სამსახურს? გამოვა გაზეთი, დავბრუნდებით ჩვენ თბილისში და ვაითუ, სიმართლის მთქმელი სოფლელები მოძმე ტომთა წარმომადგენლებმა უარესად შეავიწროვონ.

თუ საქართველო ვართ, ეს არ უნდა მოხდეს!

ქართველ მწერალთა ჯგუფს თავის საზოგადოებრივ კონტროლზე აჰყავს ეს საკითხი.

ვთხოვთ აგრომრეწვის თავმჯდომარეს ბ-ნ გურამ მგელაძეს დაუყოვნებლივ მოაწესრიგოს თამარისელთა თავისი კანონიერი მიწის ნაკვეთებით უზრუნველყოფის საკითხი.

ვთხოვთ საქართველოს ტელევიზიას გადაიღოს და ქვეყანას აჩვენოს თამარისელთა სოფლის ყრილობა, რომელმაც თავისი მწარე სიმართლით ასე შეგვძრა და შეგვაძრწუნა.

დაყოვნება, მიფუჩეჩება, მიყრუება და საქმის სახვალიოდ გადადება ღალატს უდრის!

1989 წ.

დრო დადგა

დადგა დრო ყველა ქართული ფრონტი და ყველა პარტია ერთ კომიტეტად – საქართველოს ხსნის კომიტეტად გაერთიანდეს და ერთი დროშის ქვეშ – თავისუფალი საქართველოს სამფეროვანი დროშის ქვეშ დადგეს.

ორი მიზანი აქვს ჩვენს ეროვნულ მოძრაობას – საქართველოს დემოგრაფიული მოწესრიგება (უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, მიღწევა იმ მდგომარეობის, რომ ჩვენს ქვეყანაში ჩვენ, ქართველები 90 პროცენტს მაინც შევადგენდეთ) და მეორე თავისუფალი, დამოუკიდებელი საქართველოს შექმნა (უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, 1918 წლის 26 მაისის ქარტიის უფლებებში ქვეყნის დაბრუნება).

ჩემი ფიქრით ორივე ამ მიზნის მისაღწევად საჭიროა, არც ერთი, დღითა და საათით არ შევანელოთ კარგად დაწყებული ეროვნული ლაშქრობა, მაგრამ ჩვენ წინაშე მაინც უნდა დავსახოთ პირველი რიგის და მეორე რიგის ამოცანები.

საქართველოს დემოგრაფიული გადარჩენის საქმე ჩვენი პირველი რიგის ამოცანაა. უახლოეს სამ წელიწადში უნდა დავადგათ თავი ამ საქმეს. საქართველოს მიწა-წყალი საქართველოს კუთვნილებად უნდა გამოვაცხადოთ, დავიბრუნოთ მეზობელთაგან უკანონოდ მიტაცებული ჩვენი მიწები და მშვიდობიანად გავაცილოთ უცხო ტომის წარმომადგენელთა ჭარბი მოსახლეობა თავის მშვენიერ ქვეყნებში.

როცა საქართველო დემოგრაფიულად წელს მოიმაგრებს და ჩვენ წინაშე გაქრობის საშინელი ურჩხული აღარ აღიმართება, უნდა გადავიდეთ მეორე მიზნის ხორცშესხმაზე: სხვა ერებთან ერთად, შეთანხმებული ბრძოლით უნდა მივაღწიოთ დამოუკიდებელი, თავისუფალი, ავტონომიური სახელმწიფოებისაგან შემდგარი ფედერაციულ პრინციპზე აგებული სახელმწიფოს შექმნას პირველ ეტაპზე, რაც მომავალში აბსოლუტური დამოუკიდებლობის და ნეიტრალური რესპუბლიკის არსებობის გარანტია იქნება.

ამ მიმართულებით უნდა ვატაროთ ერი, აქ აჩქარება, დამკვრელური მეთოდი და აღტკინებულ-სამიტინგო ყვირილი ძლიერთა ამა ქვეყნისათა გაღიზიანების მეტს არაფერს მოგვიტანს.

ჭკუას და სიბრძნეს უნდა მოვუხმოთ. მოთმინებას და ზედმეტ სიფრთხილეს კი არა, ქედის მოხრას და შიშგარეულ ეჭვს კი არა, ჭკუით და სიბრძნით დღენიადაგ უნდა ვიბრძოლოთ იმ არსენალით, რა არსენალიც ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობათა მსოფლიო ისტორიას გააჩნია.

1988 წ.

ვინ ამღვრევს წყალს?

ახლა თამამად შეიძლება ითქვას, რომ ახალი ადამიანის ე.წ. „კომუნიზმის მოქალაქის“ აღზრდის ჩვენეულმა თეორიამ კრახი განიცადა.

ცოდვა გამხელილი სჯობს (ვისღა დავუმალოთ) ოდნავადაც ვერ

დავუახლოვდით იმ იდეალს, ასე ლამაზად რომ ვხატავდით ჩვენს პროგრამებსა და „გრანდიოზულ მიზანდასახულობებში“.

რატომ მოხდა ასე? სად გაგვებნა თავისუფალი ქვეყნის თავისუფალი მოქალაქე? კომუნიზმის კოდექსის (ქრისტეს მცნებებს რომ არ ჩამოუვარდება) პრინციპებზე აღზრდილ კაცის შეგნებაში რატომ გამოვლინდა ასე უხვად ის მანკიერებანი რომელთა შესახებაც თეორეტიკოსები გაჰყვიროდნენ კაპიტალიზმის გადმონაშთია, ჰა და ჰა სოციალიზმის მეორე საფეხურამდეც არ გაგყვებაო?

იმიტომ მოხდა, რომ ამ სამოცდაოთხი წლის განმავლობაში სიტყვა და საქმე არნახულად დაცილდა ერთმანეთს. სიტყვებში საყოველთაო ჰარმონიის კანტატა ჟღერდა, საქმით კი ერთმანეთის დაშინების, დასმენის, კორუფციის, მოტყუების, რწმენის დათრგუნვის რექვიემი ისმოდა.

ჩვენს საზოგადოებაში გამონაკლისს სწორედ რომ პატიოსანი კაცი წარმოადგენს. გაიხსენეთ, რა საცოდავი იყო იგი ამ ბოლო დრომდე: თავისი გულუბრყვილობით, სიალალით, იმედგაცრუებული, გაცურებული, „ძლიერთა ამა ქვეყნისათა“ ირონიული მზერის ობიექტი.

ბოლო დრომდე? განა ბევრ შემთხვევაში ახლაც ასე არ არის?

თქვენ მართალი ხართ, იმედის სხივი გამოკრთა ბნელში, იმედის ნაპერწკლის ის საეჭვო ბჟუტვა კალამს რომ აქამდე ხელიდან არ მაგდებინებს და სურვილს არა ჰკლავს ჩემს დაცლილ სხეულში, სურვილს იმისას, რომ საერთო კრებულში ჩავდგე და როგორც შემიძლია, ისე შევეწიო გაშლილ სახალხო მოძრაობას.

ახალი ადამიანი ჰაერივით გვჭირდება. იგი გამოჩნდა კიდეც ამ ბოლო დროს ჩვენს საზოგადოებაში აქა-იქ. მაგრამ ჩვენ, „ძველი სტილის“ მესვეურებმა რა შევაგებეთ? სიფრთხილის უნაპირო ოკეანე, აკრძალვების ფეიერვერკი, თავისუფალი აზრის დახვეწილი, სხვადასხვა ფორმა-ზომის ალიკაპები.

ახალი, ნანატრი ადამიანი ის იქნება, ვისაც არ შეეშინდება შუაღამისას კარზე დაკაკუნების.

ვინც უსაშველოდ არ გააჯანჯლებს და გააჭიანურებს საუკუნო მკვლელობის ორგანიზატორთა მხილებას, მაშინ, როცა ფაქტი სახეზეა და ვარდუა მკითხავთან მისვლა საჭირო სრულიადაც არ არის.

ვისაც სიყვითლე არ გადაჰკრავს სახეზე მომიტინგე ახალგაზრდების დანახვისას და ეროვნული სატკივარის გამო გამართული დემონსტრაცია კუჭს არ აუშლის.

ვინც არ გაამწვავებს კომპრომისულ ჩურჩულს თავს დაანებებს, მიმტაცებელ უცხო თესლს გაბედულად, კატეგორიულად განუცხადებს: აიბარგე და მიბრძანდი აქედანო.

ვინც ყოყმანს და დისკუსიას კი არ გამართავს, რომელ ენაზე აღზარდოს თავისი პირმშო, არამედ მშობლიურ სკოლაში მიაბარებს და სამშობლოს თავისუფლებისათვის ბრძოლას ანდერძად დაუგდებს.

ახალმა აზროვნებამ ცხოვრებაში რომ თითქმის უკვე დამკვიდრდა, დაამსხვრია მმართველობის ბიუროკრატიული ფორმები, მედავითნური ფსიქოლოგია და დაშინების პოლიტიკა, რასაც ასე ერთგულებდა ათეული წლების განმავლობაში სოციალისტური სისტემა, წარსულს ბარდება.

ერის ნებისადმი ანგარიშის გაუწევლობამ, ამბიციურობის „მე ვარ და ჩემი ნაბადის“ განწყობილებით მუშაობამ, სამაგიეროს გადახდისა და სხვისთვის ჭკუის სწავლების (როცა დიდი ჭკუა-განათლებით მაინცდამაინც შენ თვითონ არ ბრწყინავ) პოლიტიკამ ძველი ყაიდის ჩინოვნიკები ცხრა აპრილამდე მოიყვანა. დგანან ისინი – საუკუნის დამნაშავენი ახლა სხვადასხვა კომისიის წინაშე და დაზაფრულნი, ხან ერთმანეთს „ოლოლოს“ ეუბნებიან, ხან გულმავიწყობას იჩენენ და უცოდველი ბატკნის ამ ვიწრო და ნაზ კანში ძვრებიან, მათს ცოდვილ მხრებს რომ არა და აღარ მოერგება.

ხელისუფლების ალღოიანმა წარმომადგენელმა დღეს კარგად უნდა იცოდეს, რომ ეროვნული მოძრაობის საწინააღმდეგო დინებით სვლა უტყუარად მიიყვანს ხალხის ნდობის დაკარგვამდე და პოლიტიკურ გაკოტრებამდე. არ დავმალავ, იმედით მავსებს ამ ბოლო დროს გატარებული რამდენიმე ღონისძიება (26 მაისის საზეიმო თარიღად აღიარება, პოლიტპატიმართა განთავისუფლება, უძველესი ქართული დასახლებებისთვის სახელების დაბრუნება, სკომპრომეტირებულ ყოფილ „ბელადთა“ ძეგლების „მოვლა“ და მთაწმინდიდან მათი ჩამოსვენების გადაწყვეტილება, მოსახლეობის ერთი ნაწილის ქართული დემოგრაფიისთვის სასიკეთოდ გადაადგილება, მიწის დატაცების წინააღმდეგ ენერგიული ბრძოლის გაჩაღება...) რაშიც ერის გულისთქმისადმი მიყურადების, ქვეყნის გადარჩენის გულწრფელი სურვილი შევნიშნე. რასაკვირველია, ეს ჯერჯერობით ზღვაში წვეთია, მაგრამ წაღმა შემობრუნების მცირე ნიშანი ხომ მაინც არის. ეს წერილი სხვა მიზეზმა დამაწერინა.

ჩემთან, რედაქციაში, ამას წინათ მოვიდა გოგონა, რომელმაც შემომჩივლა – ცხრა აპრილის დემონსტრაციაში მონაწილეობისთვის სამსახურიდან გამანთავისუფლესო.

ერთი დაწესებულების დირექტორმა გამიმხილა; საყვედური გამომიცხადეს და მოხსნით მემუქრებიან, რაკიღა ჩემი თანამშრომლებით დემონსტრანტებს სოლიდარობა გამოვუცხადეო.

ერთი სტუდენტის მშობელმა დამირეკა, წინადადება მომცეს, განცხადება დავწერო და სამსახურიდან წავიდე, რადგანაც ჩემი შვილი არაფორმალური გაერთიანების წევრიაო.

რაშია საქმე?

მაშინ, როდესაც საქართველოს დამოუკიდებლობისთვის მებრძოლ ლაშქრის ლიდერებს ციხის კარებს უღებენ და ხელისუფლება დიალოგის სწორ პოლიტიკას ადგას, ვინ ცდილობს ხელის მოთბობას და მღვრიე წყალში თევზის დაჭერას?

მაშინ, როდესაც ასე გვჭირდება ერთსულოვნება და ერთ მუშტად შეკვრა, ვინ ბედავს უსამართლობის წინააღმდეგ აღმდგარ მოლაშქრეთა, ან მათს თანამგრძნობთა შევიწროებას?

ხმამაღლა უნდა ვუთხრა ზოგი უწყების თავკაცს თუ ფუნქციონერს, რომ მისი „პროფილაქტიკური ღონისძიებები“ ზიზღისა და განხეთქილების მეტს არას გამოიწვევს ნაცემ-მოწამლულ, დაჩეხილ-დამცირებულ, მაგრამ თავისუფლებისთვის ბრძოლის წყურვილით ერთხელ და სამუდამოდ ანთებულ, აქოჩრილ ხალხში.

1989 წ.

ყურს ნუ ვათხოვებთ დემაგოგს

ამ სტრიქონებს რუსთავის გაზეთისთვის ვწერ და რაკიღა მეტალურგთა ქალაქი ჩვენი ინდუსტრიის ერთადერთი ცენტრია, რუსთავის ტრიბუნიდან საქართველოს მუშათა კლასს მივმართავ.

მუშათა კლასმა სიმართლე უნდა იცოდეს, რა მოხდა ცხრა აპრილს და რა ხდება დღეს საქართველოში.

ინფორმაციის საკავშირო (და ზოგიც ადგილობრივი) საშუალებებიდან მას ტრაგედიის მიზეზთა მიზეზში გაგება გაუჭირდება. ისე ვატყობ, არც სხვები ზრუნავენ იმისთვის, რომ ქართველ მუშათა ნაცადმა არმიამ სწორად წარმოიდგინოს საბოლოო მიზანი და თავისი როლი გაჩაღებულ სახალხო მოძრაობაში.

მოგეხსენება, საზოგადობრივი აზრის განვითარებას ინტელიგენცია წარმართავს. ერის მომავლისათვის ბრძოლის თეორიასა და ტაქტიკასაც უპირველესად ინტელიგენცია ქმნის, როცა მთავრობას მოახლოებული ეროვნული რეფორმების ეშინია, ერთ-ერთ ღონისძიებად ინტელიგენციის და მუშათა კლასის გათიშვას მიმართავს. ამის ცდები, სამწუხაროდ, თქვენთანაც შეინიშნება. ეს სახალხო მოძრობისთვის ხელის შეშლის ნაცადი ხერხია და მხოლოდ გულუბრყვილონი შეიძლება წამოეგონ ძველი რეჟიმის დამცველთა მიერ გადმოგდებულ ამ ანკესზე.

დღეს მუშათა კლასი ის აღარ არის, რაც საუკუნის გარიჟრაჟზე იყო.

მე მგონი, არც მაშინ იყო დიდად მართალი მარქსისა და ენგელსის დებულება „პროლეტარს სამშობლო არა აქვსო“, ახლა ხომ არ არის და არა.

თანამედროვე მუშა აღარც პროლეტარია და დიაღაც რომ თავისი სამშობლოს მოქალაქე გახლავთ.

თანამედროვე მუშა მარტო „საწარმოო ძალა“ კი არ არის, ეპოქის ურთულეს პრობლემებში გარკვეული, მრავალმხრივ განათლებული კაცი და პატრიოტია.

სწორედ ამიტომ ეროვნული ბრძოლა მუშის თანადგომის გარეშე წარმოუდგენელია.

რა ეროვნულ ბრძოლაზეა ლაპარაკი? რისთვის შეიკრიბა ამ ბოლო თვეების მანძილზე არაერთხელ ათასობით ქართველი თბილისსა და სხვა ქალაქებში და რატომ დაიღვარა უმანკო სისხლი?

ამის გაგებას მხოლოდ ის შეძლებს, ვისაც ადამიანის მთავარ ფუნქციად მხოლოდ ხელფასიდან ხელფასამდე ცხოვრება, ცოლშვილის გამოკვება, საწარმოში მუხლჩაუხრელი შრომა და გაწვალებული სიცოცხლის საპენსიო ასაკამდე მიტანა არ მიაჩნია. ვინც თავს ერის შვილად თვლის და მისთვის სრულიადაც არ არის სულერთი, ოცდამეერთე საუკუნეში მშობლიურ მიწაზე ქართველი იცხოვრებს თუ გადამთიელი.

ამ სტრიქონებს არ ვწერ მხოლოდ ქართველი კაცისთვის, იგი ეხება ყველას, ვისაც საქართველოზე შესტკივა გული, ვისაც რუსთველის ქვეყნისგან სხვადასხვა დროს დედობრივი სითბო უგრძვნია, მის უბეში თავი შეუფარებია და ქართული პურ-მარილის მადლი იცის.

უჭირს საქართველოს.

რაც უკანასკნელ ათწლეულებში ჩვენ დაგვემართა, უპირველესი ქართველი ინტერნაციონალისტი დავით აღმაშენებლიც ვერ იწინასწარმეტყველებდა.

ჩვენი უნაპირო მასპინძლური ხელგაშლილობის წყალობით საქართველოში უსაშველოდ გამრავლდა სტუმარი ერი და ჩვენ მალე ეროვნულ უმცირესობათა შორის აღმოვჩნდებით. თუ ქმედით ზომებს არ მივმართეთ, ორმოცდაათი წლის შემდეგ ქართველები საქართველოში ვიქნებით 36%, ხოლო ასი წლის შემდეგ 17%.

ეს კი საქართველოს გაქრობას ნიშნავს.

თუ ერთ მუშტად არ შევიკარით, ჩვენი ეროვნული კატასტროფა გარდაუვალია.

დანამუსებით და გაზეთში გაწერით ვერ შეარცხვენ მას, ვინც ქართული მიწები უკანონოდ დაიკავა.

უნდა შეიქმნას მკაცრი საზოგადოებრივი აზრი იმისთვის, რომ წასვლადაგვიანებული სტუმარი, თუ იგი დამპყრობლური, ავბედითი გეგმით არ მოქმედებს, მშვიდობიანად დაუბრუნდეს თავის არცთუ შორეულ სამშობლოს.

ამას პატრიოტული ჭირვეულობა როდი მალაპარკებს, საქართველოს არსებობის შენარჩუნებისთვის ეს გახლავთ ერთადერთი და უპირველესი ღონისძიება.

სახელმწიფოს არსებობის უპირველესი პრინციპი (სურდათ თუ არა ამის გაგება მარქსიზმის კლასიკოსებს) ეროვნული პრინციპია. მე ერთა შორის მეგობრობის თავგადაკლული მომხრე ვარ, მაგრამ, როცა თავის მიწაზე ერი კვდება და მის ადგილს სტუმარი იკავებს, ასეთ ინტერნაციონალიზმს ვერ დავეთანხმები.

მიმოიხედეთ ირგვლივ. ვინ ცხოვრობს თქვენ გვერდით, ვინ გარსშემოეწყო თავისი ქუჩაბანდებით და ქოხმახებით თბილისს და რუსთავს. ვინ შეადგენს მოსახლეობის დიდ უმრავლესობას მარნეულში, ბოლნისში, დმანისში, ახალქალაქში, ახალციხეში, წალკაში, ბოგდანოვკასა და სხვა რაიონებში.

მაინცდამაინც სუმგაითი უნდა დატრიალდეს, რომ სტუმარმა ბოლოს და ბოლოს თავის კერას მიაშუროს?

განა პატრიოტული საქმე არ იქნებოდა, ჩვენს ძირძველ მეზობლებს – სომხებს შეევსოთ მიწისძვრისაგან იავარქმნილი სანახები და თავისი ერი გაეძლიერებ-გაემრავლებინათ? განა პატრიოტული საქმე არ იქნებოდა, მოძმე აზერბაიჯანელები საქართველოს რაიონების ნაცვლად უპირველესად თავის მიწაზე გამრავლებულიყვნენ? მაშინ ხომ აღარ დადგებოდა მათ წინაშე ტერიტორიების წართმევის პრობლემა? როგორ დავიჯერო, ორივე ერს თავის სამშობლოზე მეტად უყვარს საქართველო?

ღმერთმა ნუ მაფიქრებინოს, რომ აქ მათ ჯიუტ დარჩენა-გამრავლებაში მშვიდობიანი დემოგრაფიული ანექსიის კრული მიზანი იმალება.

ერთი რამ კი ფაქტია. ცხრა აპრილს ჩვენს გამოსაქომაგებლად ჩვენ მიერვე გალაღებული არც ერთი სხვა ერის წარმომადგენელი (თუ სამსახურებრივად არ ევალებოდა) არ დადგა რუსთაველის პროსპექტზე. მხოლოდ ქართველებს მოგვხვდა კისერში ბანდიტის მიერ მოქნეული ნიჩაბი.

არც მერე, მომდევნო დღეებში აუტეხავს უცხო ერის შვილს განგაში, ეს რა ჩაიდინა დამსჯელმა ესქსპედიციამო.

იქნებ ბუნებრივიც იყოს. შენი ტკივილი იმ კაცს არ აინტერესებს, იგი არეულობის დროს ფანჯარას შეიკეტავს და ტელევიზორს მიუჯდება, ე, მანდ სხვებისკენ ნასროლი ქვა მე არ მომხვდესო.

ქვის სროლას კი არც იმ ღამით და არც სხვა ღამეებში ქართველთაგან არავინ აპირებდა და ახლაც არავინ აპირებს.

ჩვენ მოვითხოვთ საქართველოს შენარჩუნების გარანტიას.

ქმედითი დახმარების ნაცვლად ხელისუფალთაგან ჯერჯერობით მხოლოდ ლამაზი სიტყვები და აუსრულებელი დაპირებები გვესმის.

ასე იყო ოცდაათი წლის წინათაც, ასეა ახლაც.

არა და დრო კატასტროფული სისწრაფით ჩვენდა საზიანოდ მუშაობს.

მე მშვიდობიანი გარდაქმნების მომხრე ვარ და ყოველთვის მიმაჩნდა, რომ ქვეყნის პრობლემები გაუთავებელი შიმშილობით და ქაოტური მიტინგებით არ გადაწყდებოდა, მაგრამ თანდათანობით ეჭვით ვუცქერი ამ პოზიციას. ვრწმუნდები, რომ მართალნი არიან ის „არაფორმალები“, რომლებიც ამტკიცებენ საქართველოს ეროვნული პრობლემების მოგვარება მხოლოდ საქართველოს დამოუკიდებლობის მიღწევის შედეგად შეიძლებაო.

სიტყვა „დამოუკიდებლობა“ ნუ შეაშინებთ ჩინოვნიკებს. ჩვენ რუსეთთან მეგობრობას და კეთილგანწყობას შევინარჩუნებთ, ოღონდ საქართველოს უნდა მიეცეს ნანატრი კულტურული, ეკონომიური და პოლიტიკური დამოუკიდებლობა.

მუშისა და ინტელიგენტის შეკავშირებასა და აზრთა ერთობაზე ლაპარაკი უხერხულადაც მიმაჩნია. განა ჩვენ საქართველოს გადარჩენისთვის ბრძოლის მიზანი განსაცვიფრებლად არ გვაერთიანებს და გვამჭიდროვებს?

მაშ, ვინ ბედავს წყლის ამღვრევას, ვინ დგება ჩვენ შორის თავისი კარიერისტული მეთოდებით?

ყურს ნუ ვათხოვებთ დემაგოგს, ახლა ჩვენი ერის სასიცოცხლო ინტერესების ბრძოლისთვის მუხლჩახრილად, ხელებდაკაპიწებულად გარჯის დროა!

1989 წ.

თავს ნუ მოვიტყუებთ

ახლა ლამაზი სიტყვებისა და გრძელი დასაბუთებების დრო არ არის, ამიტომაც ვთხოვ ჩემს მკითხველს, ეს პატარა წერილი აღიქვას, როგორც წერილი-გაფრთხრლება, თუ გნებავთ, ერთი ქართველი მწერლის მიერ თავისივე სამრეკლოდან საგანგაშო ზარის დარისხება.

ქვემო ქართლში ძლივს მფეთქავი ეროვნული ნერვის სასიკეთოდ შეტოკებას, მხოლოდ და მხოლოდ საკუთარი დემოგრაფიულ-სასიცოცხლო გადარჩენისკენ მიმართულ ოდნავშესამჩნევ ნაბიჯებს, სტუმართა მხრიდან შედეგად მოჰყვა „საპასუხო რეაქცია“.

მარნეულისკენ გზა თითქმის დაკეტილია, ჰაერში დენთის სუნი ტრიალებს, მდგომარეობა უაღრესად დაძაბულია.

შინაგანი სამინისტროს ჯარებითა და მილიციის ოპერატიული ღონისძიებებით განმტკიცებული ხალხთა მეგობრობა, ავტომატებიანი სამხედრო მოსამსახურეებით მიღწეული საზოგადოებრივი წესრიგი საიმედო არ არის.

რამდენ ხანს უნდა იდგნენ ქვემო ქართლის უძველეს ქართულ მიწაზე მილიციის შენაერთები, რომ ილაჯგაწყვეტილმა, თავმობეზრებულმა სტუმარ-მასპინძელმა, როგორც კი თვალს მოარიდებენ, ერთმანეთი არ დაჭამონ?

ჩვენ ურმის გადაბრუნების შემდეგ გზის დანახვის დიდოსტატები ვართ, მოვლენათა წინასწარ განჭვრეტას კი ვერა და ვერ მივეჩვიეთ. საქმე რომ გაფუჭდება, მაშინ დავიწყებთ ხოლმე სინანულის თითზე კბენას და „სასიკეთო არავინ მირჩიას“ მოტივით სავსე ჩვენებების მიცემას სოკოსავით მომრავლებული კომისიებისათვის.

ოფიციალურ პირთა ერთი ნაწილი უკანასკნელი კვირების მანძილზე, ცნობილი მიზეზების გამო, ისეა დაკავებული, რომ საკითხის უშუალოდ გადამწყვეტ, კომპეტენტურ პირებთან შეღწევა ჭირს, არა

და დრო არ ითმენს, ავი წინათგრძნობა გულს მიწვრილებს, ამიტომაც მივმართავ გაზეთს ვინძლო მისმა სასწაულებრივმა განფენილობამ ყველას გააგონოს ჩემი ღაღადისი.

ჩვენ გვიყვარს წყლულების მიფუჩეჩება, ჩვენ გვიყვარს ღრმასაფუძვლიანი ეროვნული ბრძოლების ახსნა „კლუბნიკასთან“ დაკავშირებული ინციდენტითა, თუ ტაქსის მძღოლთან შეკამათების გამო დარხეული „გაუგებრობებით“.

საქმე უფრო რთულადაა, ვიდრე ზოგს ჰგონია.

ტაქსის შოფერთან შეტაკების, ან მწვანილეულის ბაზრის ვერგაყოფის შედეგია ეს აურაცხელი თვითნაკეთი იარაღი, ბენზინით სავსე ნაღმ-ბოთლები, საგულდაგულოდ გაქლიბულ-გაპოხილი შუბები და ხანჯლები?

ვის ვატყუბთ, ან თავს რატომ ვიტყუებთ?

მიხეილ გორბაჩოვმა სატელევიზიო გამოსვლისას თქვა: „სასიკეთო ცვლილების იმედი მხოლოდ იმ შემთხვევაში შეგვიძლია ვიქონიოთ, თუკი ყოველი ერი, ყოველი ხალხი თავს იგრძნობს, მე ვიტყოდი, გულდაჯერებულად საკუთარ სახლში, თავის მიწა-წყალზე“.

ვგრძნობთ თავს ჩვენ, ქართველები, გულდაჯერებულად, საკუთარ სახლში მარნეულის, ბოლნისის, დმანისის, გარდაბნის რაიონებში?

მშვიდად სძინავთ ამ ადგილებში ჩვენი უყაირათობისა და სტუმართა მიერ ენერგიული შევიწროების გამო ძლივსმბჟუტავ ქართულ სოფლებს?

სტუმარი ერის მიერ მასპინძელი ერის სიკეთის დაფასების კაშკაშა გამოხატულება ხომ არ იყო ისიც, რომ ამას წინათ მარნეულში მიტინგზე ოთხი ძველქართული რაიონის – ბორჩალოს ავტონომიურ ოლქად „გარდაქმნა“, კუთხის ქართულად მოქცევის ჩვენი უკანასკნელი იმედის – სვანების დაუყოვნებლივი გასახლება და უკანონოდ მიტაცებულთა მიწებზე კონტროლის დაუყოვნებლივი შეწყვეტა მოითხოვეს?

„რა მოხდა, გუშინ მშვენივრად, ძმურად ვცხოვრობდით, დღეს რა ბზიკმა გვიკბინაო“, ხელებს ასავსავებენ ზოგნი და კონფლიქტის მიზეზებს ნერვებაშლილი ხალხის შემთხვევით შეხლა-შემოხლაში ეძებენ.

ნეტავ თვითონ როგორ შეეგუებოდნენ ჩვენი სტუმრები მათს თავზე საოცარი სიცხადით, დამოკლეს მახვილივით რომ ეკიდოს რეალური გაქრობის საფრთხე? მითაჟამიდან ამ მიწის პატრონი, ოთხ უძველეს რაიონში ერთად პროცენტულად შვიდ-რვა პრო-

ცენტს არ აღემატებოდეს და ფითრივით მოდებული, მუმლად დახვეული სტუმარი კარებისკენ თითით უჩვენებდეს, გასწი, გამეცალე აქედანაო?

საბჭოთა ხელისუფლებას ამ ბოლო ერთი წლის მანძილზე ეროვნული ხანძრების ჩაქრობის საკმაო გამოცდილება დაუგროვდა.

სისხლი რომ დაიღვარა სუმგაითში, მერეღა გამოფხიზლდნენ და ასეულ ათასობით „სტუმარი“ თავთავიანთ სამშობლო-ქვეყანას დაუბრუნეს, სისხლი რომ დაიღვარა ფერგანაში და უდანაშაულო ქალ-რძალს თავები დასჭრეს, მერე იფიქრეს ადამიანთა ეშელონების გარიდება სისხლის კალოსთვის.

საქართველოშიც სისხლისღვრას ველოდებით? ნუთუ ეს შეტაკებანი, შინნაკეთი ბომბებით ეს თარეში, ერთეული დაჭრა-მკვლელობანი არ არის დამაჯერებელი სიმპტომი და საბუთი იმისათვის, რომ ქმედით ღონისძიებებს მივმართოთ?

ხატზე დავიფიცებ, რომ ხალხთა მეგობრობის თავგადაკლული მომხრე ვარ (ვისაც ეჭვი შეეპარება ჩემს წიგნებში ჩაიხედოს), ხატზე დავიფიცებ, რომ ამ სტრიქონებსაც კონფლიქტის უსისხლოდ მოგვარების განზრახვა მაწერინებს.

დავანებოთ თავი ერთმანეთის ამაო დაიმედებას, დავანებოთ თავი ცენტრისკენ „მდგომარეობა ნორმალურიას“ განწყობილებით გაგზავნილ დეპეშებს, ვიყოთ დავით აღმაშენებლის და თამარ მეფის ანდერძის ერთგულნი.

ნუ დავუღუპავთ ჩვენს შვილებს, ჩვენი წარსულის ხემძღვანელთა ბედოვლათობა-დანაშაულით ამ ისედაც ხელში შემომდნარ საქართველოს.

იქნებ ისულგულოთ ჩემი რჩევაც.

ქვემო ქართლის კონფლიქტის მოგვარების ერთადერთ გზად მესახება, ეროვნული შუღლის გამღვივებელი, უსაფძვლო ავტონომიისკენ ბრბოს წამქეზებელი, არარსებულ მტერთა წინააღმდეგ ბრძოლისთვის თოფ-იარაღის მომმარაგებელ-გამომჩარხველი, სხვისი მიწის უკანონოდ მიმტაცებელი მოქალაქენი დაუყოვნებლივ გასახლებულ იქნენ ჩვენი ისტორიული მიწიდან თავის ისტორიულ მიწაზე – აზერბაიჯანის რესპუბლიკაში.

ვიმეორებ, ეს პროფილაქტიკური ღონისძიება თვით ჩვენივე აზერბაიჯანელი ძმების უსაფრთხოების მიზნით უსისხლოდ ჩატარებული აქცია უნდა იყოს. ამის გამოცდილება თვით სომხეთსა და აზერბაიჯანს უკვე აქვს, მათს ამ რამდნიმე თვის წინანდელ გაბედულ

ნაბიჯს შეიძლება „მშვიდი პოლიტიკოსის“ ნაწერში ძალადობის სახე მიეცა, მაგრამ გავა საუკუნეები და იგი ისტორიკოსთა მიერ ამ სახეწამშლელი ურბანიზმის ეპოქაში ერის გადარჩენის ყველაზე ოპტიმალურ ღონისძიებად იქნება გამოცხადებული.

1989 წ.

რა გადაარჩენს საქართველოს?

ამ წერილის სათაური გაზვიადებულად არავის მოეჩვენოს.

საკითხი ნამდვილად ასე დგას, საქართველო გაქრობის რეალური საფრთხის წინაშეა.

გაღვიძებული საქართველო, მადლობა ღმერთს, დღეს ამ საფრთხეს ხედავს.

კინაღამ საბოლოოდ დავაგვიანეთ.

ჩვენი საამოცდაათწლოვანი საღათას ძილით, ლამის, დავკარგეთ ყველა ეროვნული პოზიცია ჩვენმა წინაპრებმა ასე სასოებით, რომ გვიანდერძეს. დიახ, უპირველესი აზრი გმირი წინაპრების ანდერძისა ის იყო, რომ საქართველოს მიწა-წყალი გადამთიელთა საჯიჯგნად არ დაგვეგდო. ერსა უცხოსა არ აღვრეულიყავით.

რა სატანა დაეუფლა ასეთი ჩვენს გონებას, რომ საუკუნეთა წიაღ მტკაველ-მტკაველ დაცულ-მოპოვებული, სისხლით მორწყული მიწა განუკითხავად დაგვეთმო ყველასთვის – უსამშობლო დევრიში იქმნებოდა ის, თუ კავკასიონის კალთებიდან დაშვებული, უწარსულო და უკულტურო ტომი.

მინდა ერთხელ კიდევ მოვაგონო მკითხველს სპეციალისტთა მიერ უზუსტესად გამოანგარიშებული ჩვენთვის სავალალო ფაქტი: თუ ჩვენი და სტუმარი ერების გამრავლების ტემპი ასეთივე დარჩა, სულ რაღაც ორმოცდაათ წელიწადში საქართველოში ქართველები აღმოვჩნდებით 36 პროცენტი, ხოლო ასი წლის შემდეგ 17 პროცენტი.

ეს კატასტროფას ნიშნავს.

ორმოცდაათი წლის შემდეგ ჩვენ, როგორც ეროვნულ უმცირესობას, უფლება აღარ გვექნება ქართული ენა სახელმწიფო ენად გამოვაცხადოთ, გარანტია არ გვექნება არჩევნებში გამარჯვებისა, რათა საქართველოს ქართველი პრეზიდენტი ჰყავდეს.

ასი წლის შემდეგ კი ჩვენ ეგზოტიკურ იშვიათობად ვიქცევ-

ით ჩვენსავე ქვეყანაში. მოწყალე თვალით თუ შეგვხედეს, უკეთეს შემთხვევაში, ჩვენზე დაწერენ, რომ ამ ტერიტორიაზე ოდესღაც ცხოვრობდა „ვეფხისტყაოსნის“ სვეტიცხოვლის შემქმნელი, აწ გადაშენებული ერი.

ღმერთმა ნუ ჰქნას! ღმერთმა ნუ ჰქნას, რომ ასე მოხდეს, რომ მოვლენები ისე განვითარდეს, როგორც საქართველოს გადაშენების მოსურნეს სურს და სჯერა.

საფრთხე კი რეალურზე რეალურია.

დღეს საქართველოში მცხოვრები ყოველი ქართველის წინაშე (ვინც არ უნდა იყოს იგი; პარტიული თუ უპარტიო, სახელმწიფო, თუ წლების განმავლობაში უსამართლოდ დევნილი პატრიოტი) არჩევანი დგას: ან ყველანი უნდა გავერთიანდეთ და უახლოეს წლებში საქართველო გადავარჩინოთ, ან ფარ-ხმალი დავყაროთ და შევეგუოთ ჩვენს დაღუპვას, საკუთარი თვალით ვუცქიროთ, როგორ ვქრებით და ვიძირებით.

ერთა გაქრობის სავალალო მაგალითები ისტორიას არაერთი მოეპოვება, მუზეუმთა ექსპონატებიდანღა გვამცნობენ თავიანთ გარდასულ არსებობას: ფინიკიელები, ეგვიპტელები, ასურელები, ეტრუსკები...

დღესაც, ჩვენს ცივილიზებულ მსოფლიოში, საშუალოდ ყოველ ათ წელიწადში ერთი ერი ამთავრებს თავის ისტორიას და იშვიათად ურბანიზმის, უფრო ხშირად კი დიდმპყრობელური შოვინიზმის, ეროვნული ნიჰილიზმის, გეგმაზომიერი განხალხების მსხვერპლი ხდება.

სანამ საქართველოში, თუნდაც, ერთი პატრიოტი ქართველი იარსებებს, ჩვენი ქვეყანა ეროვნულ დაცვედნებას ვერ შეეგუება, ამიტომ საჭიროა ახლა, სწორედ ახლა, ან არასოდეს, ხელში ავიღოთ ღვთისმშობლის წილხვდომილი ქვეყნის შველის საქმე.

ახლა დროის გაყვანის, ხალხის მოტყუების, სიმშვიდის მოჩვენებითი ილუზიის შექმნის პოლიტიკა დამღუპველია და ერის ღალატს ნიშნავს.

ჩვენ არც ერთი თვის, არც ერთი წლის დაკარგვის უფლება აღარა გვაქვს საქართველოს ხსნის საყოველთაო მოძრაობაში.

კონკრეტულად რა უნდა გავაკეთოთ?

უნდა დავისახოთ უმკაცრესი და უკონკრეტულესი სამწლიანი გეგმა.

სამ წელიწადში ყოველი ღონისძიებით უნდა ვეცადოთ, რომ საქართველოში ქართველთა პროცენტული შემადგენლობა 61 პროცენტიდან (როგორც ამჟამადაა) ავიყვანოთ 95 პროცენტამდე.

სომხეთში დღეს 98 პროცენტი სომეხი ცხოვრობს, აზერბაიჯანში 93 პროცენტი აზერბაიჯანელი.

რასაკვირველია, თანამედროვე ცივილიზაციის ვითარებაში რეზერვაციის მდგომარეობაში ვერც ერთი ერი ვერ იცხოვრებს, მაგრამ საქართველო დაღუპვის კარამდე მიიყვანა სწორედ მისმა უნაპირო, გულუბრყვილო სტუმართმოყვარეობამ და წარსულის ხელმძღვანელთა ცუდად, ცალმხრივად გაგებულმა ინტერნაციონალიზმმა.

საქართველო აიტანს სტუმარს მხოლოდ ხუთი პროცენტის რაოდენობით, მეტს ვერა.

ამ ხუთ პროცენტში უნდა შევიდეს ქართული ენის მცოდნე, საქართველოს სათანადოდ დამფასებელი, ქართულ ეროვნულ ფენომენთან შეზრდილი (უკვე აღარ ვლაპარაკობ ამ ფენომენთან ოჯახურად დაკავშირებულზე) სტუმარი, ვისაც ათეული წლების განმავლობაში თავის სამშობლოდ უცვნია საქართველო და მხოლოდ და მხოლოდ მისი შვილობის პრეტენზიას აცხადებს.

რა გზა-საშუალებით მივაღწევთ იმას, რომ 61 პროცენტიდან 95 პროცენტამდე ავიდეთ სარეკორდოდ მოკლე დროში? იქნებ გამრავლების ტემპის გაზრდით?

გამრავლების ტემპის გაზრდა უფრო გრძელვადიანი გეგმაც რომ დავისახოთ, ჩვენთვის შეიძლება აღმოჩნდეს მხოლოდ ერთი, მაგრამ არავითარ შემთხვევაში გადამწყვეტი საშუალება.

საქართველოს დემოგრაფიული სიჩქარე ბოლო ხუთი საუკუნის მანძილზე, თითქმის, ერთნაირია. ესეც არ იყოს, ჩვენ გამრავლების დოღში უსათუოდ დავმარცხდებით, რადგანაც მშვიდობიანი დემოგრაფიული დაპყრობის მსურველნიც პარალელურად მოუმატებენ ტემპს.

მაშ, რა გზა რჩება? სტუმარ ერთა განდევნის ხერხი, რასაც ასე ენერგიულად მიმართა საბჭოთა იმპერიაშივე არაერთმა ხალხმა?

ჩვენ, ქართველები მშვიდობიანი ერი ვართ, ღმერთმა ნუ ჰქნას, ქართველმა სტუმრის მიმართ ძალადობა გაივლოს გულში, იგი ამ უკიდურეს ზომას მხოლოდ მაშინ მიმართავს, როცა საბოლოოდ დარწმუნდება, რომ საკუთარ უბეში შეფარებული სტუმარი, სტუმარი კი არა, სინამდვილეში, მტერია მისი და მასპინძლის საკუთარი ბუდიდან აყრის ავბნელი განზრახვა უდევს გულში.

ამ სამ წელიწადში ჩვენს კანონს ჩავჭიდოთ ხელი და კანონის პოზიციებიდან ვიმოქმედოთ საქართველოს ხსნის გეგმის განსახორციელებლად.

უპირველეს ყოვლისა, დავარწმუნოთ დავით აღმაშენებლის მი-

წაზე საეჭვოდ გამრავლებული უცხო ერი, რომ პიროვნების იდეალური, ჰარმონიული განვითარების პირობებს მხოლოდ საკუთარ სამშობლოში ცხოვრება იძლევა. თუ ადმინისტრაციულმა ხელმა, არ მოგისაჯა შენი ქვეყნის გარეთ ცხოვრება და საშუალება გაქვს შენს, არცთუ შორეულ, სამშობლოს დაუბრუნდე, ეს დაუყოვნებლივ უნდა გააკეთო. თავისუფალი და ბედნიერი მხოლოდ შენს სამშობლოში, შენიანებში იქნები. სხვის ქვეყანაში, ორგანული არ არის რა სხვისი ეროვნული ინტერესები შენთვის, თავს ყოველთვის ზედმეტად გრძნობ. ეროვნული სიამაყე და პატრიოტული წელგამართვა უცხოა შენთვის. შენი ეროვნული თავმოყვარეობაც კი, რა სიყვარულითაც უნდა გეპყრობოდნენ მასპინძლები, ნაწილობრივ მაინც შელახულია.

დამარცხდნენ მარქსიზმის ბრმად მიმდევარნი, წყალმა წაიღო ორჯონიკიძისა და სხვა „დერჟიმორდების“ ყალბი თეორია უსამშობლო მოქალაქის აღზრდის შესახებ. დღეს ყველა თავის სამშობლოს ეძებს, თავის ქვეყანაში ბრუნდება. თავის სამშობლოში დაბრუნება ყველა პატიოსანი ემიგრანტის ოცნებაა და ყველა პატიოსანი მოქალაქის ღირსების საქმე.

გარდა ამ მშვიდი განმარტებისა, საჭიროა წასვლადაგვიანებულ, გაჯიუტებულ სტუმართა მიმართ ბოლოს და ბოლოს ამუშავდეს კანონი, რომელიც გარკვევით ამბობს, რომ მიწის უკანონოდ მიმტაცებელს სასწრაფოდ უნდა ჩამოერთვას მიწა და უკომპენსაციოდ დაენგრეს მიტაცებულ მიწაზე აშენებული ყოველგვარი ნაგებობა.

იცით, რამდენი სტუმარი ცხოვრობს დღეს საქართველოში უკანონოდ მიტაცებულ მიწაზე?

საქართველოში მცხოვრები ყველა სტუმრის 28 პროცენტი! ძალიან მასშტაბური ხომ არ არის ჩვენი ზოგი რეგიონის ხელმძღვანელთა დოყლაპიობის ვითარებაში მცირემიწიან საქართველოში სტუმართა ამგვარი შემოსევა?

საჭიროა დღესვე ამოქმედდეს კანონი (სრულიადაც არ არის აუცილებელი დაველოდოთ მოქალაქის სტატუსის შემოღებას) მოქალაქეთა საპასპორტო უფლებებთან დაკავშირებით ეროვნული თვითგამორკვევის გაუმართლებელი შეზღუდვების წინააღმდეგ.

საქართველოში ცხოვრობს არცთუ მცირე რაოდენობის სომეხი და ეგრეთ წოდებული „სომეხი“. გრიგორიანობამიღებულ ქართველს ე.წ. ტერტერობის ეპოქაში მართლმადიდებელ ქართველთა ერთი ნაწილი „სომეხს“ ეძახდა, ისე, როგორც კათოლიკე ქართველებს

– ფრანგებს. ბოლოს ამ „გასომხებულმა“ ქართველებმა ირწმუნეს თავიანთი სომხობა და პასპორტშიც სომეხი ჩაიწერეს, თუმცა არც ეთნოგრაფიულ-ეთნიკურად, არც ენით და სხვა ეროვნული ატრიბუტებით ისინი სომხებად არც ერთი დღით არ ქცეულან, რატომ უჯანჯლებს ზოგი საპასპორტო მაგიდის უფროსი ამ „სომხებს“ კვლავ ქართველადმოქცევის ბუნებრივ პროცესს?

სანამ შეიძლება გაგრძელდეს ავტონომიურ რესპუბლიკაში მკვიდრი ქართველი მოსახლეებისათვის პასუხისმგებელი თანამდებობის დაკავების კონსტიტუციური უფლების წართმევის მავნე პრაქტიკა? სანამ უნდა იქნან ქართველები გერის მდგომარეობაში აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში?

ჩვენ უკანონოდ არაფერს ვითხოვთ. ავტონომიებზეც სიტყვამ მოიტანა და კვლავ კანონს ჩამოვეკიდოთ.

საქართველოში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შექმნა რომ თავის დროზე დიდი შეცდომა იყო და დღეს მით უმეტეს აბსურდია, ეს საკამათოდ უკვე აღარავის მიაჩნია. ვის მოუვიდა ან რატომ მოუვიდა აზრად ძირძველი ქართველისთვის – აჭარის მხარეში მცხოვრები კაცისთვის თავის ქვეყანაში ავტონომიური რესპუბლიკა გამოეყო? –

კანონით აკრძალულია ორი პარალელური ავტონომიური ერთეულის არსებობა, მით უმეტეს იმ ვითარებაში როცა, ეს ერთეულები თითქმის ერთმანეთს ესაზღვრებიან. ჩრდილოეთ კავკასიიდან, თავის სამშობლოდან სამაჩაბლოში დაშვებულ ჩვენს მეგობარ ოსებს უნდა შევახსენო, რომ ოსეთის ავტონომიური ოლქის შექმნა საქართველოს ტერიტორიაზე თავის დროზე უკანონობა იყო და ახლა მით უმეტეს უაზრობაა. გონივრული იქნება თუ სამაჩაბლოში დამკვიდრებული ჩვენი ამაყი მეზობლების ნაწილი კვლავ თავის სამშობლოს დაუბრუნდება, ხოლო ვისაც დარჩენა გულით სურს, იცხოვრებს ცხინვალის ოლქში და არავითარ შემთხვევაში ავტონომიურ ოლქში, რომლის სტატუსი ამ კონკრეტულ შემთხვევაში აბსოლუტურად არაკონსტიტუციურია. აქვე უნდა განვმარტო, რომ ამის შესახებ გარკვევით და სამართლიანად ითქვა, ამას წინათ, საქართველოს სახალხო ფრონტის დამფუძნებელ კრებაზე.

რაც შეეხება აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკას, ჯერ ერთი, ე. წ. „აფხაზთა“ წარმომავლობა უკვე დადგენილია. ისინი, ვისი ენაც ლამის სახელმწიფო ენად იქცეს დღეს დასავლეთ საქართველოს ულამაზეს ნაწილში და ვინც თავის თავს შეცდომით აფხაზად თვ-

ლის, სინამდვილეში აფშილ-აფსუები – ჩრდილოეთ კავკსიიდან უკანასკნელი საუკუნეების მანძილზე ჩამოსტუმრებული ადიღეური ტომები, ანუ აფსუები არიან. ახლა ამის მტკიცებას თავი დავანებოთ და ერთი წუთით დავუშვათ, რომ აფხაზები ქართველები კი არა, მართლაც აფსუები არიან, ხომ ცნობილია, რომ ე.წ. „აფხაზეთი“ თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიაზე მეოცე საუკუნეში (და არც ადრე) არასოდეს არ იყვნენ 17 პროცენტზე მეტი. მაშ, რა ნიშნით, რა კონსტიტუციური უფლებით შეუქმნეს ჩვენმა ხელგაშლილმა კომუნისტმა ბელადებმა „აფხაზებს“ ჯერ „რესპუბლიკა“(?!) და მერე „ავტონომიური რესპუბლიკა?“ ნუთუ კანონის ხელყოფა არ იყო, რომ ამ რეგიონში მცხოვრებ 47 პროცენტ ქართველს 15 პროცენტი „აფხაზი“ (მათგან შვიდი პროცენტი დღესაც გააფხაზებული მეგრელია) გადაახტუნეს თავზე?

საქართველოს ღრმა ეროვნული ძილის საყოველთაო ილუზიამ მისცა სითამამე ამა წლის ოცდაოთხ ივნისს ჩვენს მიწაზე უკანონოდ დამკვიდრებულ და გამრავლებულ აზერბაიჯანელთა ერთ ნაწილს ბორჩალოს ავტონომიური ოლქის შექმნა მოეთხოვა, თუმცა მშვენივრად იცოდა, რომ, როცა გვერდით შენი რესპუბლიკა არსებობს, სხვის მიწაზე ავტონომიის მოთხოვნას არც მორალური უფლება გაქვს და არც კონსტიტუციური.

საქართველოში საკავშირო მთავრობის მეოხებით ყოველთვის ირღვეოდა ეროვნულ-ტერიტორიული კანონი და რაღა ახლა არ დაარღვევენო, იფიქრეს აზერბაიჯანელმა „მეგობრებმა“, მაგრამ კოვზი ნაცარში ჩაუვარდათ.

კატეგორიულად ვაცხადებ: საქართველოში დაძაბული ერთაშორისი ვითარება ცალკეულ მოქალაქეთა „არაკეთილსინდისიერმა ქმედებამ“ კი არ შექმნა, არამედ ეროვნული გაქრობის, რეალურმა საფრთხემ, ამიტომაც ამ პროცესს „დროებითი ღონისძიებები“ ვერ უშველის.

ჩვენ უკანდასახევი გზა არა გვაქვს. ჩვენ საქართველო უნდა ვიხსნათ. ოღონდ, რასაკვირველია, მშვიდობიანი გზით, კანონის ფარი უნდა ვიფაროთ. კანონი, რა პარადოქსულადაც უნდა მოგჩვენოთ, ჩვენ სასარგებლოდ იმუშავებს.

უფრო თამამად გავატაროთ სახელმწიფო ენად ქართულის პრაქტიკულად დამკვიდრება, უფრო მხნედ და დროულად შევქნათ ქართული ეროვნული სკოლა, კანონით უფრო ენერგიულად შევუტიოთ მიწის დამტაცებლებს, უფრო ქმედითად წავართვათ ბაზარი მას, ვინც ნიტრატებით გაძეძგილ ხილ-მწვანილეულს ოთუსბირად

გვაწვდის. მივეპატრონოთ ჩვენს მიწებს; შევქმნათ ახალი ქართული სოფლები ჭარბსტუმრიან ტერიტორიებზე, ფართოდ გავშალოთ დემოგრაფიული მოძრაობა.

და ყოველივე ამის პარალულერად დავიცვათ საქართველოს საზღვრები. დღეს მოკავშირე რესპუბლიკებს საკუთარი საბაჟოებიც კი გაუხსნა საგარდაქმნო მოძრაობამ, ჩვენ კი რესპუბლიკათაშორისი საზღვრების დაცვაში სრული განუკითხაობა გვაქვს. რატომ უნდა ხდებოდეს, რომ აიყაროს ერთ მშვენმიერ დღეს სსრკ-ს შორეულ კუთხეში რომელიმე ხალხი და მასიურად ჩამოსახლდეს საქართველოში, აქაოდა აქ უკეთესი პირობებიაო, როცა ორმოცდახუთ წელიწადში ენაც და საკუთარი ეროვნებაც (ყოველ შემთხვევაში თავს ასე აჩვენებენ) დაგავიწყდება, განა გაქვს უფლება საქართველოში ჩასახლება მოითხოვო? დროა ბოლო მოეღოს საქართველოს „სუფრა-რესპუბლიკად“ და „გასასვლელ ეზოდ“ ჩათვლის მავნე პრაქტიკას.

ყველა სტუმარი ერისადმი სიყვარულით და პატივისცემით, მშვიდობიანი გზით, კანონის ერთგულებით და გამოყენებით ვიმოქმედოთ, ძვირფასო მეგობრებო!

საერთო ძალისხმევით ვიხსნათ სამშობლო.

საქართველო ქართველს უნდა ეკუთვნოდეს.

ახლა ერთა თვითგამორკვევის პროცესი მარტო საბჭოთა კავშირში კი არა, მთელ მსოფლიოში ღონივრად დააბიჯებს.

პატიოსანი ადამიანები თავიანთ სამშობლოს უბრუნდებიან.

ადამიანებს ეროვნული თავმოყვარეობა უბრუნდებათ. მოსწყინდათ ხიზანისა და სტუმრის მდგომარეობაში ათწლეულობით ყოფნა.

ამ რამდენიმე დღის წინ დაღესტანში გახლდით საქართველოს ეროვნული დელეგაციის შემადგენლობაში გურამ მგელაძესთან, მუხრან მაჭავარიანთან, გურამ ფანჯიკიძესთან, ვახტანგ გოგუაძესთან და თეიმურაზ ოსეფაშვილთან (ყვარლის რაიკომის პირველი მდივანი) ერთად.

რვასაათ-ნახევრიანი ნერვებისმომშლელი დიალოგი დაგვჭირდა, რომ დაღესტნის ხელმძღვანელობასთან შევთანხმებულიყავით თავის საშობლოში ლეკთა ერთი ნაწილის დაბრუნების თაობაზე. თავიდან სასტიკ უარზე იყვნენ. თავიანთ თვისტომს სამშობლოს ჭიშკარს არ უღებდნენ, ადგილი არა გვაქსო. რაკი აქამდე მანდ გყავდათ, კეთილი ინებეთ, მომავალშიც მოითმინეთო. ვინ გეხვეწებოდათ, რომ შეიფარეთო. მხოლოდ პატრიოტული ვალის შეხსენებამ და მოსალოდნელი საფრთხის რეალურმა სურათმა განაპირობა ჩვენი მისიის ნაწილობრივი, სასურველი შედეგი.

აი, როგორ უვლიან ერები და სახელმწიფოები თავის საზღვრებს.

ჩვენ კი...

მაშ ასე, საქართველოს დღეს ორი გადაუდებელი საქმე აქვს: 1. საქართველოს ეროვნული სხეულის გადარჩენა, ანუ საქართველოს დემოგრაფიული მოწესრიგება, და 2. საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვება (ანუ 1918 წლის 26 მაისის სტატუსის აღდგენა).

ეს ორი საქმე ისეთივე თანმიმდვრულობით უნდა შესრულდეს, როგორც ორი სტრიქონის ზემოთ მიწერია.

ჩემი ფიქრით, ამ ამოცანებისთვის ადგილის შეცვლა და მეორის ნაცვლად პირველის მიჩნევა უფრო საჩქარო საქმედ, ჩვენთვის, ამჯერად, ხელსაყრელი არ არის.

ერის გადარჩენის სამწლიანი გეგმა ქუდზე კაცს უხმობს!

ჩვენს თავს ჩვენვე უნდა ვუსაშველოთ.

1989 წ.

რა გვჭირს, რა გვიშველის?

საქართველომ ერთხელ და სამუდამოდ გაიღვიძა „კომუნისტური“ საღათას ძილისაგან, რეალურად შეიგრძნო გადაგვარების საფრთხე და გაერთიანებული ძალით, ქმედითად შეუდგა საქვეყნო წყლულის მკურნალობას.

რა წყლული შეჰყრია რუსთაველის ქვეყანს?

პირველი – დემოგრაფიული სიჭრელე. ყველაზე საშიში სენი! სულ რაღაც ორიოდე წლის წინათ საქართველოს ხელმძღვანელობაში ამოტივტივებულ, შემთხვევით პირებს „რესპუბლიკის ღირსებად“ და „ინტერნაციონალიზმის სამაგალითო ნიმუშად“ რომ მიაჩნდათ.

მეორე – დამოუკიდებლობის დაკარგვა; ლენინის რუსეთის მიერ დაპყრობილ დემოკრატიულ რესპუბლიკას სულს რომ უხუთავს 1921 წლის საბედისწერო, ავადსახსენებელი 25 თებერვლიდან.

საქართველო უნდა განიწმნდოს მოძალებული უცხო თესლისგან და ჭეშმარიტად დამოუკიდებელ, სუვერენულ, ნეიტრალურ სახელმწიფოდ უნდა იქცეს.

რა უცხო თესლზეცაა ლაპარაკი, ყველას კარგად მოეხსენება. ქართველი კაცი რომ ბუნებით სტუმართმოყვარეა, ესეც კარგად უწყის მსოფლიომ, თუმცა, ჩვენი ერის ეს თვისებაც კი, ამ ბოლო დროს, ეჭვის ქვეშ დააყენეს მტრებმა. რაო, ერთბაშად ამოიღო

საქართველომ გულიდან მის უბეში შეკედლებული ყველა სტუმარი, ვისთან ერთადაც ეწეოდა ამაო კომუნისტურ ჭაპანს ამ ლამის შვიდი ათეული წლის მანძილზე? არამც და არამც, საქართველოსთვის უცხოა ეროვნული სიძულვილი (დაგვიჯერებენ თუ არა მსოფლიოში, ამას ჩვენთვის უკვე მნიშვნელობა აღარა აქვს), მაგრამ ჩვენ აშკარად დავინახეთ ჩვენკენ წამოსული ისტორიის დრაკონი. თუ უახლოეს წლებში ჩვენმა სტუმრებმა თავის სამშობლოებს არ მიაშურეს, საქართველოს სახსენებელი აღიგვება პირისაგან მიწისა. ამას კი, სრულიად ბუნებრივია, მებრძოლ პატრიოტზე რომ აღარაფერი ვთქვა, ყველაზე ლიბერალურად განწყობილი, რუსის სამსახურში შესული ფუნქციონერიც ვერ შეეგუება.

ჩვენ ისედაც დიდი დრო დავკარგეთ. ეროვნული ნერვის მოშვებულობა, ლამის, ეროვნულ გულგრილობასა და ბედოვლათობაში გადაგვეზარდა და ჩვენი ახალგაზრდობის თავგანწირული ყიჟინა რომ არა, რომ არა ის „განწირულის სულისკეთება“, ასე ძლიერად რომ დაარხიეს ჩვენს სულში ზვიად გამსახურდიამ და მისმა რაზმმა ისტორიის სულთათანა ჩვენ, თვალდახუჭულებს უფსკრულისკენ მიგვარწევდა და გადაჩეხვამდე წამებიღა გვაკლდა.

და მისთა უკეთეს შვილთა საყოველთაო შემართებით საქართველო უფსკრულის პირას შეჩერდა. დაამუხრუჭა მისი ინერციული სრიალი უფსკრულისკენ 1989 წლის ცხრა აპრილმა, ოცდაოთხმა ივნისმა, თხუთმეტმა ივლისმა, მადლობა ჩვენს მტრებს... ეს მათაც შეუწყვეს ხელი ჩვენს შეჩერებას და ძილისგან გამოსარკვევ გარინდებას.

მოიხედა ქართველმა და ერთბაშად დაინახა ისინი, ვინც წითელი ტერორის ბანგით გაბრუებულს ისტორიული უფსკრულისკენ მიაქანებდა.

ჩრდილოეთ კავკასიიდან მეთვრამეტე საუკუნის დასასრულს დაშვებულმა, საქართველოს უძველეს მიწაზე დროებით დასახლებულმა აფსუას ტომმა ენით აუწერელი ვერაგობა ჩაიდინა: თავს „აფხაზი“ უწოდა და მოიპარა რა ჩვენი ისტორია, თავი საქართველოს უმშვენიერესი მიწის მკვიდრ შვილად და პატრონად გამოაცხადა. სინამდვილეში აფხაზი ერი და მით უმეტეს, აფხაზური ენა დედამიწაზე არასოდეს არსებულა და არც ახლა არსებობს. აფხაზეთი ტერიტორიის სახელწოდება იყო და არა ეროვნების. ადრე ეს გახლდათ საერთო ქართული მიწის სახელი, ისე, როგორც კოლხეთი, შემდგომში კი ქართულ ეთნოგრაფიულ კუთხედ ჩამოყალიბდა იმერეთის, გურიის, სამეგრელოს, სვანეთის, რაჭის, კახეთისა თუ ქართლის მსგავსად.

მეცხრამეტე საუკუნეში აფსუას მუსულმანმა ტომებმა თავს რომ აფხაზი უწოდეს, ქართველებს სასაციილოდაც არ ეყოთ და ყურადღებაც არ მიაქციეს, რადგანაც აფსუას ტომის ჩანასახოვანი ენა და უკულტურო წარსული ქართულ ფენომენზე ვერავითარ გავლენას ვერ ახდენდა და ვერც ვერასოდეს მოახდენდა, რომ არ ყოფილიყო ისტორიის გადამგვარებელ „მარქსისტთა“ ენერგიული მცდელობა და სამშობლოობის გრძნობის წამშლელი წყეული დრო.

„პატარა ერების“ მფარველმა „კომუნისტებმა“ აფსუას ტომის უძღებ შვილებს და აფხაზეთში მცხოვრები ქართველების ერთ ნაწილს დაურიგეს პასპორტები, რომელშიც გაჩნდა მსოფლიოში მანამდე გაუგონარი და ახლაც არარსებული ეროვნება – აფხაზი. წარმოგიდგენიათ, ქართველის ნაცვლად კაცს პასპორტში ეწეროს ეროვნება – გურული, ეროვნება – კახელი?

თუ ამდენი პატივისცემა სურდათ აფსუას ტომისათვის, ჩაეწერათ ეროვნება „აფსუა“ და თუ აუცილებელი იყო სხვის მიწაზე გამრავლებულ 15 პროცენტს გაუგონარი, არაკონსტიტუციური საზომებით ცალკე ავტონომია ჰქონოდა, ეწოდებინათ მისთვის „აფსუას ტომის ავტონომიური რესპუბლიკა“.

მერე აფსუას სასარგებლოდ იმუშავა ისტორიამ. საბჭოთა ხელისუფლებამ ელემენტარული ცივილიზაციის დასაწყის სტადიაზე მყოფ მთიელ ტომს წარმოუდგენელი უპირატესობები მიანიჭა ქართველი ერის ხარჯზე. არ ჰყავდათ მეცნიერი – გამოუგონეს კვლევითი ინსტიტუტები და ეროვნული უნივერსიტეტიც კი, არ ჰყავდათ ჟურნალისტი – გამოუგონეს გაზეთი და რადიო-ტელევიზია. არად ჩააგდეს აფხაზეთში, თავიანთ სამშობლოში მცხოვრებ ქართვლთა ინტერესები (ქართველები 45%-ს შეადგენენ) და აფხაზ ნახევრადსპეციალისტებს მისცეს ასპარეზი სამსახურებრივი იერარქიათა კიბეზე გაუმართლებელი პრივილეგიებით გადამფრენი შოშიებივით ჩამომსხდარიყვნენ. მაგრამ ამ უწყინარ ფრინველთაგან განსხვავებით აფსუანი გადაფრენას სრულიადაც არ აპირებდნენ. ისინი ლამის ბრჭყალებით ჩაებღაუჭნენ ჩვენს ისტორიას და ფითრივით მოიკალათეს საქართველოს ეროვნულ სხეულზე, ისარგებლეს ქართველ ისტორიკოსთა იძულებითი სიჩუმით და მიუტევებელი სისასტიკით შეუტიეს ისტორიული ფოლიანტების ჭეშმარიტებებს, მატერიალური კულტურის ძეგლებს, ქართულ ტოპონიმებს. მიუხედავად იმისა, რომ არავითარი ნიშანწყალი არ არსებობდა ქართველთა გვერდით აფხაზეთში ამ ბოლო საუკუნემდე აფსუას ტომის თანაცხოვრებას

რომ დაადასტურებდა, ადგნენ და უსირცხვილოდ უწოდეს ლიხნის, ბიჭვინთისა და ბედიის ქართულ, ქართული წარწერებით დამშვენებულ მონასტრებს აფხაზური კულტურის, არქიტექტურის ძეგლები, ქართულ ტოპონიმთა სრულიად არაოსტატური დამახინჯებით „შექმნეს“ ღიმილისმომგვრელი, გამოგონილი, ცრუტოპონიმები. ჩვენ კი, უგერგილო ხელისუფლების გადამკიდენნი, ამ ისტორიულ დანაშაულზე წლების განმავლობაში ვდუმდით.

დღესაც, როცა აფსუას ტომმა თავისი ჭეშმარიტი ზრახვანი და დამპყრობლური გეგმებით ერთხელ და სამუდამოდ გამოამჟღავნა ლიხნის საზიზღარი წერილით და შეუიარაღებელ ქართველთა სისხლისღვრით 1989 წლის 15 ივლისს, დღესაც ბოლომდე სიმართლეს არ ამბობს არაერთი ისტორიკოსი. აფხაზეთის მიწა ოდითგანვე ეკუთვნის ქართველებს და აფხაზებსო, მიმტევებლური ღიმილით აცხადებენ ისინი ტელევიზორის ეკრანიდან და სწერენ გაზეთებში. სანამ ვიმეოროთ ეს უსაბუთო ნახევარსიმართლე? ახალ სისხლისღვრამდე ხომ არა? რატომ არ გვინდა დავაკვალიანოთ დაბნეული, გაუნათლებელი აფხაზი გლეხი (შეგულიანებული მოინტელიგენტო, მკვლელი ექსტრემისტისგან), რომელსაც მართლა ჰგონია, რომ აფხაზია და ამ მიწაზე ოდითგან მცხოვრები? ეს ხომ იმას ნიშნავს, რომ სერიოზულად ვწეროთ „საქართველოს მიწა ოდითგან ეკუთვნით ქართველებს და იმერლებსო?“ რატომ ვაფარებთ ხელს სიმართლეს? ამით განა მიუსაფარ მდგომარეობაში არ ვაგდებთ თავის მიწაზე აფხაზეთში მცხოვრებ ქართველებს და ეროვნული თვითგამორკვევის დროს არ ვუხანგრძლივებთ დაბნეულ, ძირძველ ქართველებს იმ საუკუნის ბოლოს და ამ საუკუნეშიც, უკანასკნელ წლებამდე, თანამდებობათა შოვნის სულმა რომ წასძლიათ და აფხაზებად ჩაეწერნენ? რატომ არ გვინდა ისინი დროულად მოეგონ გონს და უსამართლოდ „გააფხაზებულნი“, სანამ გვიან არ არის, ისევ გადმოქართველდნენ?

აფსუას მუსულმანურმა ტომმა 15 ივლისს საუკუნის დანაშაული ჩაიდინა. ამ დანაშაულისათვის მან პასუხი უნდა აგოს. ჩვენ ვერ მივიღებთ ზოგი „გონსმოსული“ აფხაზი შოვინისტის ნაგვიანევ თითზე კბენას და თავზე ნაცრის წაყრას. თქვენი ღალატი ახალი არ არის, აფსუა ვაჟბატონებო. ნიღაბი უკვე ჩამოგლეჯილი გაქვთ და სხვისი მიწა-წყლის დაპყრობის ჟინით ანთებული თვალებიც კარგად გიჩანთ. ქართველი კაცი მომთმენია მხოლოდ გარკვეულ ზღვრამდე, ამის შემდეგ კი სამუდამოდ მოეღო ბოლო თქვენს მიმართ ლოიალო-

ბას და „გაჭირვებული ბავშვის“ დიდსულოვან დათმობა-მოფერებებს. უნდა აღსდგეს სამართლიანობა. ქართველი თავის მიწაზე, აფხაზეთში მიიღებს ყველა სიკეთეს, რაც მას, როგორც მკვიდრ მოსახლეობას და 45 პროცენტს ეკუთვნის, თქვენ იმას – რაც, როგორც სტუმრებს გეკუთვნით და გერგებათ. უკმაყოფილების გამოხატვის სრული უფლება გაქვთ თქვენს ადიღეურ სანახებში დაბრუნებით. იმ თქვენს სამშობლოში დაბრუნებით, რომელსაც ასე ენერგიულად უარყოფდით თითქმის მთელი ორი საუკუნის განმავლობაში და სირცხვილიც არ გიწვავდათ ყურებს, როცა თქვენს ენას – აფსუას ტომის ენას ადიღეური ენის ერთ დიალექტს, თვითმყობად ენად აცხადებდით და ქვეყნის გასაგონად გაჰკიოდით: ჩვენ ამ მიწის შვილები ვართ და ადიღესთან არავითარი კავშირი არა გვაქვსო, – რაო, გაგიტკბათ ჩვენ მიერ დროებით დათმობილი აფხაზეთის მშვენიერი მიწა? სანამდე უნდა მისულიყო თქვენი პოლიტიკური სითავხედე იოანე პეტრიწი რომ „აფხაზად“ (?!) გამოგეცხადებინათ? იქნებ ვახტანგ გორგასალი, დავით აღმაშენებელი, თამარ მეფე, აფსუას ტომის ენაზე ლაპარაკობდნენ? იქნებ აფსუას ენაზე შექმნა მეთორმეტე საუკუნეში რუსთაველმა „ვეფხისტყაოსანი“ და მერე ქართულად თარგმნა? ხომ წარმოუდგენელია, ტომმა საკუთარი თვითმყოფადი კულტურის შექმნის ნაცვლად სხვისი კულტურის მოპარვას მიჰყოს ხელი და ნაქურდალის კვალის წასაშლელად საქართველოსვე ტერიტორიიდან გასვლა მოითხოვოს, აქაოდა, ყველა ყველა და ქართველებმა ხომ კარგად იციან, ვინ ვართ ჩვენ და საიდან ჩამოვედითო?

დასანანი ის არის, რომ თავის მწირ ისტორიაში ნაკლებად გარკვეულ, რუსულ კულტურაზე აღზრდილ აფსუას შვილებს ატყუებენ ისინი, ვისაც მწერლად და მეცნიერად მოაქვს თავი, ვინც ძალად ნასწავლი აფსუას ენით განვითარების გზაზე ახლახან შემდგარი ერის დონის მწერლობა შექმნა და არც ერთხელ არ ჰკითხა თავის თავს: მე რომ აქ, ქართველების გვერდით საუკუნეების განმავლობაში მეცხოვრა, ნუთუ არ გამიჩნდებოდა სურვილი ჩემს (აფსუას) ენაზე რამე დამეწერაო? რანაირად მოხდა, რომ ქართველებმა მე-5 საუკუნეში რომანი შექმნეს, მეთორმეტეში „ვეფხისტყაოსანი“, ხოლო მე საუკუნის ოციან წლებში „დამიარსა“ ლიტერტურა ნახევრად ქართველმა დიმიტრი გულიამო? ქართველი ერი საუკუნეების განმავლობაში ტრიალებს მსოფლიო კულტურის ფერხულში, მე კი ოსებისთვის წართმეული ნართების ეპოსით ვაპირებ ფონს გასვლასო?

ამგვარ კითხვებს თავს არიდებენ ჩვენგანვე გალაღებულ-გათამამებული აფსუა მწერლები, ბევრ მათგანს წალენჯიხა-ზუგდიდიდან ბედის საძიებლად წამოსული საკუთარი ქართველი ბაბუაც კარგად ახსოვს, მაგრამ ახლა ბაბუას კი არა, მამასაც ვერ უხსენებ; იგი „აფხაზია“ მორჩა და გათავდა, სწორედ მათ გასაგონად მინდა ვთქვა: დიახ, აფხაზები ბრძანდებით მოქალაქენო, მაგრამ აფსუას ტომთან და აფსუას ენასთან თქვენ არავითარი ისტორიული კავშირი არა გაქვთ. თქვენ ეს ენა ახლახან, ერთი საუკუნეც არ არის, რაც თავს მოგახვიეს, დროა, ხელი დაუქნიოთ სხვის ენა-კულტურას, და თქვენს ქართველობას, თქვენს აფხაზობას დაუბრუნდეთ.

კიდევ რა სჭირს საქართველოს? საქართველოს სჭირს თათარი, მან თავს „აზერბაიჯანელი“ უწოდა, გარშემოეწყო თბილისს, დაიკავა ქვემო ქართლის (და არა მარტო ქვემო ქართლის) საუკეთესო მიწები, ბუზივით გამრავლდა და სხვის უბეში ცხოვრებამ ისე გააქსუა, რომ მიწების უკანონო მიტაცება როდი იკმარა; მოდი, ცდა ბედის მონახევრეა, საქართველოში სამი უკანონო ეროვნულ-ტერიტორიული ავტონომიური ერთეული და დოყლაპია, თავისი საზღვრის მოვლა-დაცვას გადაჩვეული ქართველები მეოთხესაც აიტანენ. ავტეხავ ძახილს ბორჩალოს ავტონომიური ოლქის შექმნაზე. ვიცი, რომ ავტონომიის მოთხოვნა სხვის მიწაზე, როცა ორ ნაბიჯზე შენი რესპუბლიკა გაქვს უკანონოა, მაგრამ რას ვკარგავ, ქართველებს გაღმა შევედავები, იქნებ ეს მიტაცებული მიწები მაინც შემრჩესო. მიტინგზე ენის ტარტალი როდი იკმარეს „აზერბაიჯანელმა ძმებმა“, შეიარაღდნენ და მარნეულში, ბოლნისსა და დმანისში პროვოკაციების მოწყობა სცადეს, მაგრამ დროზე მიუხვდნენ, სხვისკენ მიღერილი თოფ-ავტომატები წაართვეს და თითო პანღურიც (რაც არა და არ არის საკმარისი) უთავაზეს.

კიდევ რა სჭირს საქართველოს? საქართველოს სჭირს ლეკი. იგი ქურდულად ჩამოიპარა ყვარელში დაცლილი დაღესტნური აულებიდან. აქ კარგი პირობებია, ალაზნის ველი სამოთხეს ჰგავს, რა მინდოდა კლდეებზე რომ ვეკიდე, დავსახლდები და გავმრავლდები ჩემი „ქართველი ძმების“ მიწაზეო. ქართველებმა, როგორც მათ სჩვეოდათ, შეიცოდეს ლტოლვილები და საუკეთესო მიწებზე დაასახლეს. „მოძმე ლეკებმა“ იმით გადაუხადეს რომ, რა გაძღნენ, თარეშიც მოისურვეს, უდანაშაულო კაცი ცხვარივით დაკლეს, ცხედარი ნაჯახით დაჩეხეს და ცეცხლს შეუკეთეს (გაუპატიურება-ხულიგნობის შემთხვევებს კი აღარ ჩამოვთვლი. რ.მ.).

კიდევ რა სჭირს საქართველოს? საქართველოს სჭირს ოსი, ეს ძველთაძველი ჩრდილოელი მეზობელი ჩვენი, კარგა ხანია, რაც ისტორიულ სამაჩაბლოში დავაფუძნეთ და დავამკვიდრეთ. ცოდვას ვერ ვიტყვი, საუკუნეთა განმავლობაში ტკბილად, მეგობრულად ვცხოვრობდით. თვითონაც კარგად იციან, რომ არ ეკუთვნით, მაგრამ ავტონომიური ოლქიც აჩუქათ საბჭოთა ხელისუფლებამ. ახლა, როცა გვეგონა, რომ ჩვენი ძმადშეფიცული ოსები მაინც არ გვიღალატებდნენ, ზოგ მათგანს კუს მიერ ფეხის გამოყოფის ანდაზამ დარია ხელი. იქნებ გულმოსულის პოზა უფრო სასარგებლო აღმოჩნდესო და იქამდე გათავხედდა, რომ ილია ჭავჭავაძის სურათი ხელჰყო, ხოლო ჩვენი სამფეროვანი დროშით, სიმწრით დაბრუნებული ეროვნული დროშით, მტვრიანი ფეხსაცმელი შეიწმინდა. მე ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ ჩოჩიევისთანა ტურები ოსი ხალხის აზრს არ გამოხატავენ და ჩვენი მშვიდობიანი ხვალის იმედიც ჯერ არ გადამიწურავს.

კიდევ რა სჭირს საქართველოს? საქართველოს სჭირს სომეხი, ის „სომეხი“ კი არა, გრიგორიანელ ქართველს საუკუნის წინათ ჩვენვე რომ დავარქვით სომეხი და ახლა ქართველად მოქცევისთვის იღვწის, არც ის სომეხი, ვისთანაც საუკუნოდ გადაგვაბა ეთნიკურ-რელიგიურმა ერთობამ და ისტორიულმა ბედმა. ვისაც შეგნებული აქვს, რომ ჩვენ, ორი ერი, მეჩეჩზე გაჩხერილი ხომალდებივით ვართ იმ მუსულმანურ ოკეანეში და ერთმანეთს თუ არ მივხედეთ, ერთმანეთი თუ დავასუსტეთ, წაკიდებული მამლებივით წაქვაციაქებს ჩვენი საერთო მტერი, ნიადაგ მოთვალთვალე ავი თვალი. საქართველოს სჭირს ის სომეხი, რომელიც ჯვრის მონასტერს ეპოტინება, ჯიბით დიდი სომხეთის რუკა დააქვს და წამდაუწუმ გაიძახის: მტკვრის მარცხენა სანაპირო ჩემიაო. ჩვენ შორსა ვართ სხვისი მიწის მითვისებისაგან, ქართველს სხვის მისხალიც არ უნდა, არც არასოდეს უცდია ვისიმე ეზო-მამულის დაჩემება, მაგრამ დახედოს საქარველოსთვის მოშურნე თვალით მომზირალმა სომეხმა დავით აღმაშენებლის რუკას და რა იხილავს საქართველოს სამეფოს ფარგლებში ერთ-ერთ პროვინციად მოქცეულ სომხეთს, იქნებ წაუხდეს ჩვენი მიწის დაჩემების მადა. ჩვენ კი, ჩვენდა თავად, სომხეთთან სადავო არაფერი გვაქვს და ყველა ქართველი კეთილი ნების სომეხთან ძმობის მოსურნეა ნიადაგ.

ისე, ჩვენ შორის დარჩეს და, ამ სტრიქონების ავტორს ფრიად უკვირს ეროვნული თავმოყვარეობის მქონე, მაღალი კულტურის,

უძველესი სომეხი ერის წარმომადგენელთაგან საქართველოს მიწაზე დასარჩენად ესოდენი გაჯიუტება. როგორ განვიცადეთ ჩვენ სომხეთის შარშანდელი მიწისძვრა, თვით სომხებსაც კარგად მოეხსენებათ. თითქმის ასი ათასამდე სომეხი იმსხვერპლა საშინელმა სტიქიამ, ახლა იქ სეისმური გამძლეობის ბრწყინვალე სახლებს აშენებენ, მიუხედავად, იმისა რომ იმ რაიონებში, ათასწლოვანი ციკლის მიხედვით, მიწისვრა მოსალოდნელი აღარ არის (რაც არ ითქმის ამიერკავკასიის სხვა ადგილებზე). სპიტაკ-ლენინაკანის მოსაზღვრე ქართულ რაიონებში კი დღემე არც ერთ სომეხს არ გამოუთქვამს თავის სამშობლოში, თავის მიწაზე დაბრუნების სურვილი. რით უნდა ავხსნა მე, ქართველმა მწერალმა, სომეხი მეგობრების ამგვარი გაუცხოება თავისი სამშობლოს მიმართ? განა საეჭვოა, რომ მხოლოდ შენი სამშობლო, შენიანებში ყოფნა განიჭებს სრულყოფილად ბედნიერებას და გაძლევს ჰარმონიული განვითარების საშუალებას?

კიდევ რა სჭირს საქართველოს? საქართველოს მთავარი სენი გახლავთ დეფორმირებული, კორუმპირებული სამუდამოდ განწირული ე. წ. სოციალისტური წყობილება და ამ წყობილების ამორფული ეგიდით საქართველოს ნაძალადევი ყოფნა თხუთმეტი რესპუბლიკის ისეთ უთანასწორო კავშირში, სადაც არა მარტო ქვეყნის პოლიტიკური თავისუფლებაა ქიმერად ქცეული, დაკარგულია ჯანსაღი ეკონომიური ურთიერთანგარიშსწორება და პიროვნების უფლებები მინიმუმამდეა დაყვანილი. საბჭოთა მოქალაქის გათელილ ღირსებებს კანონი ფაქტობრივად არ იცავს. აღარავის სჯერა დღეს მსოფლიოში საბჭოთა სახელმწიფოსი, როგორც „მშვდობის ბურჯისა“, აღარავინ უსმენს გულისყურით ჩვენს დაბნეულ პროპაგანდას იმის შესახებ, რომ თითქოს საბჭოთა კავშირს ერთა თანასწორობა და სხვა სახელმწიფოთა საქმეებში ჩაურევლობის პრინციპი ამოძრავებდეს. ავღანეთის პრობლემამ მარტო ჩვენი მორალურ-პოლიტიკური კი არა, სამხედრო სიძლიერეც დააყენა ეჭვის ქვეშ. ამიტომაც დასვა დრომ დღის წესრიგში ჩვენი კავშირის პილიტიკურ-ეკონომიური და ტერიტორიულ-ადამინისტრაციული გარდაქმნის საჭიროება. აქ სრულიად ბუნებრივად დადგა მომავალ კოალიციურ სისტემაში საქართველოს ადგილის საკითხი, ალტერნატივა არ არსებობს – საქართველო უნდა გათავისუფლდეს, გახდეს იგი ეკონომიურ-პოლიტიკურად დამოუკიდებელი, დემოკრატიული სახელმწიფო.

... და მიუხედავად ამისა, ყინული მაინც დაიძრა. ეროვნულმა გამოღვიძებამ უკვე მოგვცა იმედისმომცემი ნაყოფი. ეს გახლავთ

მარნეულისა და ბოგდანოვკის რაიონების ხელმძღვანელობაში ქართული ფენომენის გაძლიერება მოსალოდნელი შედეგებით. ეს გახლავთ ლეკი მოსახლეობის ნაწილის დაღესტანში დაბრუნება, ეს გახლავთ აფსუა ექსტრემისტებისთვის საკადრისი პასუხის გაცემა და აფხაზეთში ამ მიწის ბატონ-პატრონი ქართველი მოსახლეობისთვის აფსუათა მხრიდან გაუმართლებელი შეზღუდვების მოხსნა და თანამდებობებზე ქართველი სპეციალისტების ნაწილობრივ დაბრუნება, ეს გახლავთ ახალი ქართული სოფლების შექმნა უცხო ტომებით დასახლებულ ტერიტორიებზე და დემოგრაფიული გაწონასწორებისთვის შესაბამის რაიონებში სტიქიით დაზარალებული სვანებისა და აჭარლების ჩასახლება. ვიყოთ გულახდილნი, ნუ გამოვიჩენთ უმადურობას და ვთქვათ, რომ ამ კარგ დასაწყისს (თავს ნუ დავიმშვიდებთ, ჯერჯერობით მხოლოდ დასაწყისს! რ.მ.) საქართველოს არაფორმალურმა გაერთიანებებმა და ქართველ მწერალთა საერთო ძალისხმევამ დაუდო სათავე.

მთვარი ჯერ წინ არის. ჩვენი ეროვნული წინსვლა გაცილებით თვალსაჩინო იქნებოდა, უფრო გაერთიანებულ-ხელჩაჭიდებულნი რომ ვიყოთ, ჩვენი ეროვნული ბრძოლის ასპარეზზე რომ არ გვყავდეს ბევრი წინამასწარა და სულსწრაფი, „ორიგინალური იდეების პატრონი“, უმწიფარი პოლიტიკანი ყმაწვილი და განდიდების მანიით შეპყრობილი, თავის გამოჩენის ჟინით ანთებული, პირველობის მოსურნე არაერთი დილეტანტი.

არ შეიძლება უთავბოლოდ გამრავლებულ პარტიებსა და პროგრამა-თეორიებს შევაჭმევინოთ ჩვენი ეროვნული მოძრაობა. მწარე ღიმილის მომგვრელია პოლიტიკურ ბრძოლაში ბავშვური ბუტიაობა და „მე ვარ და ჩემი ნაბადის“ ტაქტიკა. გასაგებია, რომ მოძრაობის დასაწყისს გზების ძიება თან ახლავს, მაგრამ გზების უკომპასოდ ძიებამ ისე არ უნდა აგვაბნიოს, რომ საქართველოს განთავისუფლების ერთადერთ გზად მაჰათმა განდის სტრატეგია გამოვაცხადოთ. მაჰათმა განდის უკან ექვსასმილიონიანი ინდოეთი იდგა. თუ შიმშილით ასი მილიონი ამოწყდებოდა, ხუთასი მილიონი ეზიარებოდა თავისუფლებას. ჩვენ კი სამმილიონნახევარი ვართ და მე, პირადად, შიმშილით სიკვდილისთვის ვერც ერთ ქართველს ვერ გავიმეტებ. ესეც არ იყოს, ინდოეთი ჰუმანურ, დიდი პარლამენტური ტრადიციების მქონე ინგლისს ებრძოდა, ჩვენ კი ცხრა აპრილის ავტორს, კბილებამდე შეიარაღებული იმპერიის ურჩხულს ვეწინააღმდეგებით ურჩხულს, რომელსაც საერთაშორისო სირცხვილის გრძნობაც დაკარგული აქვს და არც საერთაშორისო სამართლის წინაშე აგებს პასუხს. ამიტომაც ჩემი მამობრივი რჩევაა: როცა არც ჰასაკი, არც გამოცდილება და, მით უმეტეს, არც განათლება გიმაგრებს ბეჭებს, შენი საკუთარი, საოჯახო-საძმაბიჭო პარტიის შექმნას თავი უნდა ანებო და რომელიმე საქმიან ეროვნულ პარტიაში გაერთიანდე. პოლიტიკა მოწყენილობისგან სათამაშო, თვითმიზნურად ოპოზიციური განწყობილების გამოსახატავი სამასკარადო ნიღაბი სრულიადაც არ არის. როგორც კი ერთხელ ჩაგთვლის არასერიოზულ, არაკომპეტენტურ „ბელადად“ ხალხი, მორჩა, მერე ჭიპზეც რომ გასკდე, მის ნდობას ვეღარ დაიბრუნებ.

რა გვიშველის? უნდა დავისახოთ მტკიცე, შეუვალი პროგრამა და ერთი დროშის ქვეშ გავერთიანდეთ. ჩვენ პატარა ერი ვართ და კონსოლიდაცია-ერთხმოვანების მეტი საშუალება გვაქვს. თითოეულმა ქართველმა მოძრაობის ცენტრად უნდა ვიგრძნოთ თავი. არ შეიძლება საქვეყნო საქმე ერთ მუჭა თავგადაკლულ, დევნილ პატრიოტებს შევატოვოთ ხელში. ჩვენ ყველანი მათ გვერდით უნდა დავდგეთ. საქართველოს მომავალი რომელიმე ასაკის პრიორიტეტი კი არ არის, მთელი ერის საქმეა. მე ვფიქრობ, ჩვენი ისტორიის ამ ეტაპზე იმპერიისგან თავის დახსნის ყველაზე სწორი და უნიკალური გზა, ამჯერად ბალტიისპირეთის გზაა. ოღონდ, რასაკვირველია, ბალტიისპირეთის გზა ბრმად კი არ უნდა გადმოვიღოთ, ჩვენი საგანგებო დემოგრაფიულ-გეოგრაფიულ-ეკონომიური მდგომარეობის გადამკიდეთ უპირველეს მიზნად საქართველოს დემოგრაფიული გაწმენდა, ჩვენი ეროვნული სხეულის გადარჩენა უნდა დავისახოთ მხოლოდ და მხოლოდ მშვიდობიანი გზით. ამის პარალელურად ისევ მშვიდობიანი, პარლამენტური გზით ვიბრძოლოთ საქართველოს ჯერ ეკონომიური და შემდეგ პოლიტიკური დამოუკიდებლობის მოსაპოვებლად. კარგად მესმის, რომ უახლოეს პერიოდში საქართველოს დემოგრაფიული გაწმენდის, მხოლოდ და მხოლოდ პარლამენტურ-მშვიდობიანი გზა გულუბრყვილობაა, აქ ადმინისტრაციული მოქმედების გზას არ გამოვრიცხავ, რა თქმა უნდა კანონის ფარგლებში.

იმედით და რწმენით შევხედოთ მომავალს.

საქართველო უსათუოდ გაივლის ამ ძნელ ისტორიულ მოსახვევს. იგი გადარჩება და აისრულებს საუკუნეების განმავლობაში გულში ნასათუთევ ოცნებას.

ეს ბოლო სტრიქონები მკითხველისთვის გულის გაკეთების, წერილის მაჟორულ განწყობილებაზე დამთავრების სურვილით არ დამი-

წერია. ჭირი თავს არ დამალავს და უკანასკნელი დროის მოვლენებმა დიდი იმედით როდი აღმავსო. პლენუმმა ეროვნებათაშორისო ურთიერთობათა გადაჭრის ქმედითი ღონისძიებების გატარების ნაცვლად, ოდენ ლოზუნგ-მოწოდებებისა და დირექტივების ნიშნით ჩაიარა. გაუბედაობა დაკანონებული არქისტილის მიმართ, მონური ქედის მოხრა ბიუროკრატიული აპარატის წინაშე, „უფროსი ძმობის“ ინსტიტუტისკენ აუხსნელი მობრუნება, გულის აჩუყება იმპერიის ბურჯი ერის, ვითომდა, დაჩაგრული მდგომარეობის გამო, მუქარისა და თითისქნევის მივიწყებული მეთოდების გახსენება, სავალალო ქვეტექსტი არარსებული მტრების – პატარა ერების ჭკუის სასწავლელად მიმართულ სიტყვებში რომ ამოიკითხება... და ეს ხდება მაშინ, როდესაც აზრიან პოლიტიკოსებს მართლაც შეეძლოთ და, იქნებ, უკანასკნელი შანსიც ჰქონდათ, გამოსავალი ეპოვათ ურთულესი ვითარებიდან. გარდაქმნა! გარდაქმნაო ოთხი წელია გავყვირით და არ მოიძებნება იმპერიაში კაცი, რომელიც ნათლად გაგაგებინებს, რაში მდგომარეობს გარდაქმნა ეკონომიკაში, პოლიტიკაში... გარდაქმნა ყურადღების მისატყუებლად გაშვებულ ფერად ბუშტად იქცა, რომელსაც რაც უფრო ვუახლოვდებით, უფრო გვშორდება და თუ მოხდა სასწაული – მივეკართ, ეჭვი არ არის, ხელში შემოგვასკდება. შეიძლება წინასწარ გამოაცხადო პოლიტიკურმა ხელმძღვანელობამ – პლენუმს ვიწვევთ, მაგრამ არც ერთი მომწიფებული ეროვნული პრობლემის გადაწყვეტას არ ვაპირებთ და საერთოდ ამ მიმართულებით ჩვენგან ნურავითარ სიკეთეს ნუ ელოდებითო? დაბნეულობა, აუხსნელი დაბნეულობა უდღეური პლატფორმის მოწონება-დამტკიცებაში კი არ ჩანს მარტო, იგი ყოველდღიურ ცხოვრებასაც ეტყობა თავისი პოზიციური წაჯექუკუჯექობით და უცხოეთს სტუმრად წასული მოხელის უსამართლო ლანძღვით თუ მეყვსეული მობოდიშებით.

ახლა ხომ მაინც უნდა დავრწმუნდეთ, ძვირფასო მკითხველო, რომ ქართველი კაცის პატრონი ამ უკიდეგანო დუნიაზე არავინ არის და თუ ჩვენვე არ მოვუსვით ღონივრად ჩვენივე ბედის ნიჩბებს, ვინ იცის, საით მიგვაგდებს ისტორიის ულმობელი გრიგალი.

და სწორედ მაშინ, როცა მოგეჩვენება, რომ ყველაფერი დამთავრებულია, წააწყდები საქართველოს მომავალისათვის შემართული ათასების ჯიუტ მზერას, მოისმენ უკომპრომისო ღაღადისს ეროვნულ სატკივარზე და იგრძნობ, რომ როგორც ჰქუხს, ისე არა წვიმს და საქართველოს მრუმე ეროვნულ ცისთავანზეც მალე გამოიდარებს.

აქ არას ვიტყვი იმაზე, ვინც დევნა-ჭიდილში გამოატარა საქართველოს ეროვნული დროშა და დღესაც დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის რაინდული ბეგთარი ამშვენებს. მაშინ, როდესაც ცენტრი პატარა ერის დატუქსვის ფორმებს ეძებს, საქართველო აქვეყნებს ეროვნულ კონცეფციას, რომელშიც სხვა გაბედულ აზრთა შორის ერთი აზრიცაა : „ყოველთვის ვერ იქნება შესაძლებელი საქართველოში მცხოვრები არამკვიდრი ეროვნების ადამიანთა ეროვნული მოთხოვნილებებისა და ინტერესების იმდაგვარი და იმ სისრულით დაკმაყოფილება, როგორც ეს ხდება მათი ძირითადი განსახლების ადგილებში – შესაბამის რესპუბლკებსა და ავტონომიურ ფორმირებებში“. როგორადაც არ უნდა ეხამუშოს სტუმარი ერის წარმომადგენელს „არამკვიდრი ეროვნების“ ცნება, ეს ფაქტია. ამ დროს პლენუმის მაღალი არენიდან „ამხანაგები“ ცეცხლს აფრქვევენ თავგასულ მცირე ერთა „გათავისუფლების“ წინააღმდეგ.

საქართველოს მხოლოდ ერთსულოვნება, ერის და ბერის ერთ მისწრაფებად გაერთიანება, ერთი დროშის ქვეშ დადგომა გაამარჯვებინებს და ამ სტრიქონების ავტორს არამკითხე შუამავლობას ნურვინ დააბრალებს, იგი ქართველია და ორივე ნაპირის იმედის ხავსს ებღაუჭება.

ეროვნული მოძრაობის ადიდებული მდინარე დაწმენდის პროცესშია.

1988 წ.

ეგრე არ არი, თაყაო...

29 ივლისს „ახალგაზრდა კომუნისტში“ დაბეჭდილ სტატიაში „რა გადაარჩენს საქართველოს“ მე ჩემი ერის შვილთა ყურადღება მივაქციე საქართველოში შექმნილ საგანგაშო დემოგრაფიულ ვითარებას და გამოვთქვი რამდენიმე მოსაზრება ამ კრიზისიდან გამოსვლის მშვიდობიან გზებსა და საშუალებებზე.

საქართველო გაქრობის რეალური საფრთხის წინაშე დგას-მეთქი რაკიღა ვამბობდი იმ წერილში, საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარეს თემურ რატიანს უფიქრია; არიქა, ახლა კი მოჰყვება რევაზ მიშველაძის გაფრთხილებას სისხლისღვრაო და მაშინვე პროფილაქტიკური ღონისძიებისთვის მიუმართავს.

არ შეგეშინდეთ მკითხველო, მართლა ასე ჩქარა კი არ გავქრებით, როგორც რ. მიშველაძეს ჰგონიაო, საქართველოში ქართველი 61% კი არა 68,8%-იაო, შესაბამისად სომხეთში სომეხი 98% კი არა 89,7%-იაო, ხოლო აზერბაიჯანში აზერბაიჯანელი 93% კი არა 78,1%-იაო. პატივცემული თ. რატიანი იქვე აღნიშნავს: „აღნიშნული ციფრები 1979 წლის მოსახლეობის აღწერით არის მიღებული და ახალი მსგავსი ციფრები მიღებული იქნება სამიოდ თვეშიო“.

დიდება შენდა ღმერთო, როგორ არ ვიცოდი, რომ დღესაც ბევრი იყო ისეთი ერის წყლულის მიფუჩეჩების, არსებითზე ხალხის ყურადღების მოწყვეტის, რეალური საფრთხის გაქარწყლების პოლიტიკას რომ ატარებდა, მაგრამ თ. რატიანისგან ამას ნამდვილად არ ველოდი.

ძვირფასო თემურ, ყველა ყველა და თქვენ სტატისტიკის მაჯისცემაზე ყურმიპყრობილ კაცს მაინც გეცოდინებათ, რომ ამ ცოტა ხნის წინათ სუმგაით-ყარაბახის ამბებს შედეგად ის მოჰყვა, რომ სომხეთიდან სამი დღის განმავლობაში გაასახლეს იქ მცხოვრები აზერბაიჯანელების ასი პროცენტი (სსრკ დეპუტატთა პირველ ყრილობაზე ითქვა დღეს სომხეთში არც ერთი აზერბაიჯანელი არ ცხოვრობსო) და აზერბაიჯანში მცხოვრებ სომეხთა (უყარაბახოდ) თითქმის ასი პროცენტი. როგორ ფიქრობთ, იმოქმედებდა თუ არა ეს ფაქტი სომხეთსა და აზერბაიჯანში მკვიდრი, ეროვნული მოსახლეობის რაოდენობაზე? რა დროს 1979 წლის მონაცემებით ლაპარაკია, შე კაი კაცო, მაშინ, როდესაც საქართველოს მარტო ერთ აზერბაიჯანულ სოფელში 1979 წელს ცხოვრობდა 1500 კაცი, ხოლო ახლა 10 000 ცხოვრობს?

როგორ ფიქრობთ, რატომ ვერ ვაცხადებთ აქამდე მოსახლეობის 1989 წლის აღწერის შედეგებს? თქვენზე უკეთ ვის ეცოდინება, რომ ამ აღწერის შედეგებით სავალალო მდგომარეობაშია არა მარტო საქართველო, არამედ ძლევამოსილი რუსეთიც კი, რომლის მკვიდრმა რუსმა მოსახლეობამ კატასტროფულად იკლო რუსეთისსავე მიწაზე უზომოდ გამრავლებული ერთი რელიგიის მიმდევართა ხარჯზე?

საქართველოს დაღუპავს „ნუ გეშინიათ“ და „არც ეგრეა საქმეს“ გამცემლური პოლიტიკა. თ. რატიანი გვამშვიდებს, მარტო საქართველო კი არაა ძნელ დღეში, „ყაზახეთში ყაზახეთის წილი შეადგენს 36 პროცენტს, ყირგიზეთში ყირგიზების წილი 47,9 პროცენტს, ლატვიაში ლატვიელების წილი 53,7 პროცენტს, მოლდავეთში მოლდაველების წილი 63,9 პროცენტსო“. ესეც 1979 წლის მონაცემებიდან იცის ბ-ნმა თ. რატიანმა.

რა შეღავათია ჩემთვის, ბატონო თემურ, მარტო ჩავინთქმები ისტორიის უფსკრულში თუ ყაზახებთან, ყირგიზებთან, ლატვიელებთან და მოლდაველებთან ერთად? ყველამ თავის მამიდას უნდა მიხედოს და ყველამ თავისი სატირალი უნდა იტიროს ამ ქვეყანაზე.

მე ჩემსას ვწუხვარ და ჩემი სამრეკლოდან ჩემს ზარებს ვრეკავ – ქართველებო, გვიტევენ ყოველი მხრიდან, ჩვენი პატრონი და მშველელი მთელს დუნიაზე არავინ არის, ჩვენს თავს ჩვენვე უნდა ვუსაშველოთ-მეთქი.

ისეთ გუნებაზე ვარ ჩვენი ბედის გადამკიდე, რომ მეგონა ახლა ეშმაკიც ვერ გამაცინებდა, მაგრამ თ. რატიანის შეგონებამ „აღნიშნული ციფრები 1979 წლის აღწერით არის მიღებული და ახალი მსგავსი ციფრები მიღებულ იქნება სამიოდ თვეშიო“, ჭეშმარიტად ღიმილი მომგვარა. ეს თქვენი სურვილია, ბ-ნო თემურ „მსგავსი ციფრები“ მივიღოთ სამიოდ თვეში, მაგრამ სამწუხაროდ, რეალური ცხოვრება სხვა ციფრებს გვთავაზობს: ამიერკავკასიაში სომხეთმა და აზერბაიჯანმა, ცნობილი ღონისძიებებით, თავი სამუდამოდ გადაირჩინა, საქართველო კი გაქრობის რეალური საშიშროების წინაშე დგას.

გირჩევთ, თქვენც ნუ მიემატებით ერის გამჩუმებელ-დამამშვიდებელ-მომტყუებელთა იმ მოსაწყენ რიგებს, რომლებიც შვილმოკლულ, დამცირებულ, შეურაცხყოფილ ქართველ კაცს „მიტევებისა“ და „კეთილგონიერებისკენ“ მოუწოდებენ. რათა ერთხელ კიდევ (და ვინ იცის იქნებ სამუდამოდაც) ჩააძინონ. ერთა ცალმხრივ ძმობას ქადაგებენ და ხეზე შემომჯდარ მკვლელს „ვერ ამჩნევენ“, ქართველს თავის ინტერნაციონალურ ვალს შეახსენებენ და თითს თითზე არ აკარებენ იმისათვის, რომ მკვლელები, თუ დაჭერით არ დაიჭერენ (?!) თანამდებობიდან მაინც გაათავისუფლონ.

საქართველომ უკვე გაიღვიძა. განუკითხაობა, ერის მოტყუება, გაუბედაობა, პოლიტიკური ცვედნობა რომ დიდხანს ვერ იბოგინებს საქართველოში და მარიონეტობა მამულიშვილობას რომ სრულიადაც არ ნიშნავს, ეს ახლა ბავშვმაც კი იცის.

თუ თქვენ იმ მკრეხელური რეპლიკის შეთხზვა ვინმემ დაგავალათ (რაშიც ეჭვი მეპარება) ძლიერ საწყენია, თუ თქვენი ინიციატივით გადაწყვიტეთ რეალური საფრთხისთვის შირმის აფარება, მით უფრო დასანანია.

საერთოდ კი ღმერთმა შეგინდოთ საქართველოს წინაშე ამ თქვენი ნაჩქარევი საქციელისთვის.

1989 წ.

ფხიზლად! ისტორიის ვეშაპი მოდის*

დღეს აქ შევიკრიბეთ ეროვნულ პრობლემაზე სათათბიროდ. ჩვენი ბჭობა სასიცოცხლო მნიშვნელობის საკითხს – საქართველოს მომავალს შეეხება. რამდენადაც მე საქართველოს მწერალთა კავშირის ისტორიას ვიცნობ, არ მახსოვს ამ დარბაზში აქამდე ერის გამრავლების საკითხებზე საკამათოდ შეკრებილიყვნენ მწერლები. სავსე დარბაზი და გამომსვლელთა გრძელი სია, რომელიც ჩვენს თავმჯდომარეს წინ უდევს, ერთხელ კიდევ მარწმუნებს იმაში, თუ რა დროულია დემოგრაფიულ საკითხებზე მსჯელობა სწორედ იმათ მიერ, ვისაც თავის უპირველეს ჭირისუფლად თვლის ხალხი და ვისაც ისტორიის წინაშე ერის ბედისათვის პასუხისმგებლობა დააკისრა ბუნებამ.

ჩვენი გამრავლების ტემპი ამჟამად თუ საგანგაშო და სავალალო არ გახლავთ, დამშვიდების საბაბსაც როდი იძლევა. საქმე მარტო იმას როდი შეეხება, მოაკლდება თუ არა მუშახელი ხვალ-ზეგ რომელიმე საქსოვ კომბინატს, ბოლოს და ბოლოს მუშახელს გამოძებნიან, საკითხი უფრო რთულად დგას... ჩვენ დღესვე უნდა ჩავუყაროთ საფუძველი იმის მტკიცე გარანტიას, რომ მომავალ საუკუნეებში რუსთაველს და ვაჟას მშობლიურ ენაზე წამკითხველი გაუმრავლდეს, კანონიერი პატრონი ჰყავდეს სვეტიცხოველს და ალავერდს, ვარძიას და გელათს...

ის, რაც საქართველოში უკანასკნელ წლებში კეთდება, სასიამოვნოდ მარწმუნებს, რომ საქართველოს ხვალინდელი დღისათვის ბრძოლაში ერიცა და ბერიც ერთსულოვანნი ვართ. დიდი ეროვნული საქმეები გაკეთდა ამ ბოლო დროს სახელოვან ქართველ მწერალთა ინიციატივით და ხალხის ერთსულოვანი მხარდაჭერით. მხედველობაში მაქვს მთის სოფლების აღდგენის ღონისძიებანი, მესხეთის გაცოცხლება, სვანეთის მკვიდრთა გადმოსახლება საქართველოს რამდენიმე რაიონში, დმანისის ამბები, ფერეიდნელ ქართველთა ჩამოსახლების ღონისძიებანი, ისტორიულ ძეგლთა მოვლა-რესტავრაციის მასშტაბური სამუშაოები...

შემიძლია სრული პასუხისმგებლობით განვაცხადო, რომ ქართველი მწერალი დღეს თვალმოუხუჭავად დგას ჩვენი ეროვნული თვითმყოფობის, ენის, ადათ-წესების და საერთოდ ისტორიულ-ეთნოგრაფიული სახის შენარჩუნებისა და გაძლიერების საგუშაგოზე. შორს რომ არ წავიდეთ, დღევანდელ დისპუტს წინ უძღოდა საქმე: მხედველობაში მაქვს „მნათობში“, „ცისკარში“ და „ლიტერატურულ საქართველოში“ ახლახან გამოქვეყნებული არაერთი პრობლემური მასალა დემოგრაფიულ საკითხებზე.

* სიტყვა, წარმოთქმული მწერალთა კავშირში დემოგრაფიულ დისპუტზე 1985 წლის 13 თებერვალს.

დღეს აქ ლამაზი სიტყვები საჭირო არ არის. ყველას უნდა გვახსოვდეს, რომ დიდი ილიას საიუბილეო წლებია და ეს დისპუტიც ილიას დროშის ნიშნით ტარდება. ამიტომაც, როგორც ილიამ გვიანდერძა, სიტყვა საქმიანი და საქმე სიტყვიანი გვჭირდება, იქნებ ისე, როგორც არასდროს.

ამ მაღალი ტრიბუნიდან უნდა დავპირდეთ ხალხს, რომ ქართველი მწერლები ყველაფერს გავაკეთებთ, რათა საზოგადოებრივი აზრი აღვანთოთ იმ კეთილშობილური მისიის განსახორციელებლად ჩვენი დისპუტის მთავარ აზრს რომ შეადგენს. ქვეყნის წინამძღოლთა მიმართ ჩვენი კეთილი წინადადებანი უფრო მეტად უნდა შეეხოს მიზეზთა გამო გაჩუქებულ მიწებს, დაცარიელებულ სახლებს, სტუმრის ანაბარა დარჩენილ სოფლებს, დედაენადავიწყებულ ბავშვებს, უკეთურთა ხელით გადაფხეკილ ქართულ წარწერებს და ა. შ.

ამას წინათ, „ლიტერატურულ საქართველოში“ გამოვაქვეყნე ნოველა, რომელშიც გულისტკივილს გამოვთქვამდი იმ თითო-ოროლა ფერეიდნელი ქართველის მიმართ, გუდა-ნაბადი რომ აიკრა და უკან, ირანში დაბრუნება გადაწყვიტა. ვერ წარმოიდგენთ, როგორ გამახარა ორიოდე კვირის შემდეგ „თბილისში“ რევაზ მიქელაძის გამოხმაურებამ. „არ წავალ!“ ხმამაღლა აცხადებდა ფერეიდნელი კაცი და მისი წრფელი სიტყვები ჩემი უპრეტენზიო-ნოველის გამარჯვებად ჩავთვალე.

ამას წინათ ჩემს საფოსტო ყუთში ერთი კოლექტიური განცხადება აღმოჩნდა. განცხადებას ხელს აწერს ას ოცდაშვიდი კაცი. იგი ეხება მოძმე აზერბაიჯანის ტერიტორიაზე, საინგილოში მცხოვრებ ქართველთა ზოგიერთ მოსაგვარებელ პრობლემას – დაკავშირებულს ქართული სკოლებისა და ისტორიული ძეგლების მოვლის სწრაფმისახედ საკითხებთან. მე საშუალება არ მქონდა ამ ფაქტების სისწორე შემემოწმებინა, მაგრამ ჩემს მწერლურ მოვალეობად ვთვლი ასოცდაშვიდი კაცის ხელმოწერილი ეს განცხადება გაგაცნოთ და შოთა ნიშნიანიძეს ვთხოვო, სადაც ჯერ არს დასვას საკითხი ინგილოთა კოლექტიურ განცხადებაში ჩამოთვლილ საქმეთა მოგვარებისთვის.

1985 წ.

დიალაც, სწრაფი რეაგირება

„სწრაფი რეაგირების მწერლობა“ ზოგმა ირონიის საგნად აქცია. თუ ჭეშმარიტ ლიტერატურაზეა ლაპარაკი, სწრაფი რეაგირების უნარი ნაკლი კი არ არის – ღირსებაა. სწორედ რომ სწრაფი რეაგირების უნარის დაქვეითებას გვიკიჟინებდა ის ამბოხებული თაობა, ვისაც არცთუ უსაფუძვლოდ მოეჩვენა, რომ ბევრი ჩვენი კოლეგა მოვლენათა შუაგულში არ ტრიალებს და მისი ნაწერები უკან მიდევნებული ლამპარივით ჩანს იმ სახალხო მოძრაობისთვის სრულიად საქართველო რომ მოიცვა ამ ბოლო წლებში.

სწორედ რომ ამ დღეების უკვდავებაზე უნდა ვწეროთ. მწერლებმა ათეული წლების განმავლობაში გულდაგულ დახვეული და საზეიმო სხდომების კულისებში საიმედოდ შენახული ეროვნული დროშა უნდა ავაფრიალოთ და წინ წარვუძღვეთ ქართველ ერს, კეთილ და ჭკვიან მრჩევლებად მოვევლინოთ ხალხს ურთულეს ისტორიულ მოსახვევებში.

ეს ჩვენი წმინდათა წმინდა ვალია. დაყოვნება და ჩრდილში დგომა ახლა დანაშაულს უდრის.

როგორც კი ჭეშმარიტი მწერალი ყურს მოარიდებს ეპოქის დვრიტას, საერო მიკროფონთან მაშინ გაჩნდება სახელის შოვნის ვნებით ანთებული, სახალხო მოძრაობას ადევნებული რომელიმე „მჩხავანა კატა“, რომელსაც სირცხვილის გრძნობა ატროფირებული აქვს და თუ თავისი მოუზომავი ლოზუნგებით ხალხს ვერ გაიყოლიებს, იმას მაინც მოახერხებს, მოძრაობის ჭეშმარიტ ლიდერს ცილი დასწამოს – ფიურერივით დადისო.

ზოგი ხელმძღვანელი ამხანაგის სრულიად ულოგიკო ყურადღებით განებივრებული ზის იგი სხვადასხვა თათბირზე და თავის წაჯექ-უკუჯექურ ფუნქციას მშვენივრად ასრულებს, თვალებში შესციცინებს პატრონს და სწორედ მაშინ დაიძახებს „სწორიაო“, როცა უნებლიედ შეცდომაში შეყვანილი ზოგი გამომსვლელის აზრს დათანხმება კი არა, უარყოფა და გასასწორებლად სწრაფი რეაგირება სჭირდება.

თუ ამგვარ „აქტივისტს“ შესაფასებლად შევატოვებთ გასული წლის 22-29 ნოემბრის ფაქტს იგი ახალგაზრდების მიერ ჩადენილ ეროვნულ გმირობას დაუფიქრებლად გამოაცხადებს გაუცნობიერებელ, ექსტრემისტულ აქტად. მოვა მერე შვილთმოძულე ფუნქციონერი და თავისუფლებას შეწირულ უმანკო ზვარაკთა ლეიბქვეშ დაიწყებს ქექვას რომ მსოფლიოში თვისი მასობრიობით უპრეცენდენტო შიმშილობას სახელი გაუტეხოს.

ვერავის მისცემს უფლებას ქართველი მწერალი, ამრეზილად შეხედოს ჩვენი ახალგაზრდობის თავდადების ბრწყინვალე მაგალითს და სკამსჩაბღაუჭებულ, დამფრთხალ ამხანაგთა მცდარ აზრს – ახალგაზრდების მიერ იმ დღეებში „ღია კარების მტვრევის შესახებ“ კვერი დაუკრას.

საუკუნეების განმავლობაში ილაპარაკებს ქართველი კაცი 22–29 ნოემბრის გმირობაზე და ჩვენ, მწერლებმა ყველაფერი უნდა გავაკეთოთ იმ გმირობის უკვდავყოფისთვის.

ნუ შეგვაშინებს, ბატონებო, გახშირებული მიტინგები და ხალხის მიერ ენერგიული ბჭობა იმის დასადგენად, თუ რა გზას დაადგეს მომავალში.

საოცარი და მოულოდნელი არაფერი ხდება. ეს ის ხალხი მსჯელობს სამერმისო გზებზე, ვინც ათეული წლების განმავლობაში დარწმუნდა, რომ „ძლიერთა ამა ქვეყნისათა“ მიერ შემოთავაზებული ექსპერიმენტები არცთუ მთლად გონივრული აღმოჩნდა. ბევრი ხელმძღვანელის „უტყუარმა ალღომ“ ჩვენი ქვეყანა ეკონომიკურ კრიზისამდე და ლამის საყოველთაო შიმშილობამდე მიიყვანა.

როდის შემდეგ იქცა სახალხო განსჯა-მსჯელობები რაღაც მოსალოდნელი კატასტროფის ნიშნად? რომელ მიტინგზე გაისმა მოწოდება; დავერიოთ ქართველ მოსახლეობას, ან შევებათ ტანკებზე ამხედრებულ რუსის ჯარს და სისხლი დავღვაროთო?

ქართველმა დღეს მშვენივრად იცის, რომ ახლა ხმლის ქნევის კი არა, გონივრული მოქმედების დროა – იგი ერის გამოღვიძება-კონსოლიდაციას, დემოგრაფიულ მოწესრიგებას, ეროვნული ატრიბუტების მაქსიმალურად მოვლა-შენარჩუნებას გულისხმობს და არც ერთ იმ მოთავეს, ვისაც ზოგი „ამხანაგი“ მტრად აცხადებს, სხვა პროგრამა არა აქვს საქართველოს მოვლა-შენარჩუნების პროგრამის გარდა.

მაშ, რაშია საქმე? რა ნერვიული ფაციფუცი, გახშირებული სხდომები და გასვლა-გამოსვლაა?

რაც შეეხება ახალგაზრდებს – მეასეჯერ ვიმეორებ: ჩვენ გონიერი და წინდახედული ახალგაზრდობა გვყავს. წინდახედულება და კეთილგანწყობა იმ ახალგაზრდებმა ერთხელ კიდევ დაამტკიცეს მაშინ, როდესაც ათასი ყმაწვილის თავგადაკლულმა რუდუნებამ კეთილი ნაყოფი გამოიღო და საღმა აზრმა გაიმარჯვა, ისინი ნერვებდაგლე-

ჯილნი, შვიდდღიანი შიმშილ-სიცივით ტანჯულ-გვემულნი ერთად წამოდგნენ და მალე გაეცალნენ მთავრობის სასახლის ცივ კიბეებს.

და ორიოდე კვირის შემდეგ ის ახალგაზრდები და მათი თანამგრძნობნი დასხდნენ საბარგო მანქანებზე და უბედურებადამტყდარ მოძმეთა დასახმარებლად გაეშურნენ, ზოგმა გულუბრყვილო ჟურნალისტმა დასაღუპავად განწირულ სომეხთა მიერ გამოჩენილი ყურადღება გაიკვირვა და გმირობას შეადარა.

რაო, სხვანაირ საქციელს ველოდით? სხვაგვარად მოიქცეოდა დავით აღმაშენებლის მშობელი ერი?

ამ სტრიქონების ავტორი, ერთი რიგითი ქართველი, მწერალი მოუწოდებს თავის მშობელ ხალხს იმ „სხვა ვარსკვლავს“ სდიოს ილიამ რომ უჩვენა მსოფლიო ლურჯ ცაზე.

არავის ვურჩევ ნებით თუ უნებლიედ, ანგარიშმიუცემელი სიფრთხილით თუ მოვლენათა არსში წვდომის სუსტი უნარით საშვილიშვილო ცოდვა ჩაიდინოს – წინ აღუდგეს ისტორიის ჩარხის კეთილ ბრუნვას.

1989 წ.

იმედის ნაპერწკალი ღვივის*

იქნებ უცნაურად მოგეჩვენოთ, მაგრამ ჩემი სიტყვა მოლოცვით მინდა დავიწყო. მილოცვა ჩემი შეეხება არა უნივერსიტეტის ახლადჩავლილ სამოცდაათწლოვან იუბილეს ან ჩვენი მეცნიერების ახალ მეცნიერულ წარმატებებს, მე მინდა მადლობა მოგახსენოთ გაბედული, საქმიანი, პატრიოტი ახალგაზრდობის აღზრდისათვის, ხოლო მშვენიერი ახალგაზრდობის მოძღვრის როლი, მოგეხსენებათ, ყველაზე საპატიო და ღირსეული გარანტიაა იმ სიამაყისათვის, რითაც თქვენ ასე წელგამართულნი მობრძანდით კონფერენციაზე.

აქ უკვე ითქვა და აღარ გავიმეორებ, რომ უაღრესად რთულ ეპოქას განვიცდით, თვისობრივად ახალ საქართველოში ვცხოვრობთ. ვინც 12 ნოემბერს იპოდრომზე 20-ათასიან მიტინგს ესწრებოდა დამეთანხმება, რომ ახალგაზრდობა დევის ნაბიჯით მიიწევს წინ. საქართველოს მოვლის ახალ ფორმათა ძიების გზაზე და ჩვენ ძალთა არაჩვეულებრივი მობილიზება მოგვიწევს, რათა ჩვენს შვილებს წინ თუ ვერ გავუძღვებით, მათ მხარდამხარ მაინც ვიაროთ.

* 1988 წლის 16 ნოემბერს თსუ პარტკონფერენციაზე წარმოთქმული სიტყვა.

დიახ, სტუდენტები, ჩვენ რომ რამდენიმე წლის წინათ პოლიტიკურ ინდიფერენტიზმს და გულგრილობას ვუკიჟინებდით, ერთბაშად აღიმართნენ ჩვენ წინ სახალხო ფრონტის მებრძოლებად, სხვადასხვა ფორმალური და არაფორმალური პატრიოტული ფრაქციების წევრებად, სახალხო მოძრაობის ბურჯებად.

გახსოვთ, როგორ შეგვაკრთო ამ ჯიუტთვალება გაზრდილების პირველმა მიტინგებმა, თითქოსდა ძილბურანიდან გამოგვიხმო ახალგაზრდების მტკიცე ნებამ, ჯერ 1978 წლის 14 აპრილს, როცა ისინი ერთსულოვნად გადაეფარნენ ქართულ ენას და სულ ახლახან დავით გარეჯს რომ გარს შემოეწყვნენ და განაცხადეს, სალდათის ჩექმას არ გავათელინებთო მამაპაპათა წმინდა სავანეს.

რას ეუბნებიან ქვეყანას ჩვენი ახალგაზრდა მოქადაგენი? დამერწმუნეთ არაფერს, ისეთს ჩვენს სულში შიშის კრთომა რომ დაბადონ, ან ჩინოვნიკთა წარბშეკვრითი მზერა დაიმსახურონ.

რას ამბობენ და მოგვწყინდაო ყალბი დაპირებები და აღარ გვაკმაყოფილებსო ნახევრადდემოკრატია და ნახევრადსაჯაროობა, მოეშვითო სტუმართა სასიამოვნოდ არამშობლიურ ენაზე კრებათათბირების ჩატარებას, გაუფრთხილდითო პიროვნების ღირსებებს, საქართველოს მიწას აღარ ძალუძსო საეჭვოდ გამრავლებულ სტუმართა რჩენა. ვინძლო თავის მიწას დაუბრუნდესო, სხვის მიწას გაჩვეული ლტოლვილი. თუ დროზე არ მივხედეთ ჩვენს საქმეს, ფრთებს ისხამსო საქართველოს უსისხლოდ, დემოგრაფიული დაპყრობის ავბედითი გეგმა.

ნუ დაგვაღონებს, ძვირფასო მეგობრებო, ახალგაზრდების ზრდილობიანი საყვედური და ნურც ჩვენკენ მომართული ირონიული მზერა გვაფიქრებინებს, რომ ისინი, ვის მხრებზეც დღეს ეროვნული ბრძოლის ტვირთი დევს, ჩვენს წვლილს უგულებელჰყოფენ, ან ჩვენს რუდუნებას დაივიწყებენ, რაც ახლა ხდება, რევოლუციური გარდაქმნების სრულიად ბუნებრივი პროცესი გახლავთ, ქვეყანას აღარ ძალუძს ძველებურად ცხოვრება. ახალგაზრდა კაცი მესიის მანტიით დადის ქვეყანაზე და, რასაკვირველია, ეჩვენება, რომ ბრძოლაში ხელს უშლის, ვინც სიმშვიდისა და მოთმინებისაკენ მოუწოდებს.

ჩვენმა ახალგაზრდობამ არ შეიძლება არ იცოდეს, რომ ეს ჩვენ აღვზარდეთ მათში მოვლენათა კრიტიკული ხედვის უნარი და პოლემისტური სული. ჩვენ შევაძულეთ პიროვნების დათრგუნვის ძირმომპალი ინსტიტუტი და პატრიოტული აღტკინებითაც ჩვენ გავმსჭვალეთ მათი სუფთა სული.

ძალთა მოსინჯვის, ყოყმანის, უსაგნო შეგონების ეტაპი უკვე განვლილია. ჩვენი ადგილი ახლა მოძრაობის შუაგულშია და მასწავლებელთა განზე გადგომა იმ უბადრუკი მოძღვრის ბედში ჩაგვაგდებს, თვით რომ თავს უშველა და ახალმეზღვაურნი უკომპასოდ და უნიჩბებოდ გასწირა.

ახლა მთავარია, არ ჩამოვრჩეთ ცხოვრებას და ჩვენმა კონსერვატულმა პროფესიამ მეცნიერულ სალონთა მშვიდი ყურადღებისაკენ არ გაგვიტყუოს. ყოველდღიურად შევხვდეთ და ვესაუბროთ სტუდენტებს მიმდინარე მომენტზე, მოვეშვათ ლექციის მედავითნურ, მონოლოგურ ფორმას და გაბედულად გადავიდეთ ლექციადიალოგზე, არ გავექცეთ მწვავე პრობლემებზე კამათს, არ მივატოვოთ სამიტინგოდ შეღერილი ჩვენი ახალგაზრდა მეგობრები.

გულშემატკივრის უშუალობით უნდა შევხვდეთ სტუდენტს და არა პროფესორის მენტორული ტონით, ნუ გაგვაღიზიანებს თვითმართველობისაკენ სტუდენტთა სწრაფვა. მერე რა ვუყოთ, თუ ლექტორის არჩევის ახირებულ სურვილს გულუბრყვილობის ელფერი დაჰკრავს, სამაგიეროდ თვითმართველობის ინსტიტუტი დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის გამოხატულებაა, დამოუკიდებლობა და თავისთავადობა კი, მოგეხსენებათ, რა დეფიციტი იყო ჩვენი თაობის ცხოვრებაში.

ახლა, როცა სახალხო მოძრაობა ხშირ შემთხვევაში, უმართავი ხდება, ყოველგვარი ადმინისტრაციული ჩარევა დაშოშმინების ნაცვლად უკუშედეგს გამოიღებს. ახალგაზრდობასთან პირისპირ უნდა დავდგეთ.

ვინც ახლა ხელის გადაბრუნების, ჩხრეკის, შანტაჟის, წაჯიკავების, დამუქრების მეთოდს მიმართავს, უსათუოდ დამარცხდება, რადგანაც ჩვენ წინაშე ის ახალგაზრდები აღარ არიან, ვის სულსაც ზეიმომანიით ავსებდნენ. ამათი არც დაშინება შეიძლება და არც ყალბი დაფიცებით დაწყნარება. ახალგაზრდობასთან ჩვენი ურთიერთობის ერთადერთი გზა რჩება: – დარწმუნების, ნდობის მეთოდი.

მოდით, ჩვენი მდგომარეობის შერყევის ამბიციური ფიქრი ნუ ჩაგვადენინებს მიუტევებელ ცოდვას – ახალგაზრდობას სწორი გზიდან ნუ გადავახვევინებთ.

ისინი ჩვენგან შემწეობას და თანადგომას ელიან და ნუ დააყოვნებთ.

საქართველოს მომავალი საიმედო ხელშია. ჩვენს ყურებს თავისუფლების შორეული გუგუნი ასკდება.

გაუმარჯოს იმედის ჯიუტ ნაპერწკალს!

1988 წ.

მძიმე ჯვარი ერთად ვზიდოთ

უპარტიო გახლავართ და არც არასოდეს არც ერთ პარტიაში არ შევალ. მწერალი ზემოდან უნდა დაჰყურებდეს მოვლენებს, მიუკერძოებლი და ობიექტური უნდა იყოს. პარტიის წევრობა მაინც ჩარჩოში გაქცევს, გბოჭავს. მეჩვენება, რომ საწყალი სახეებით გამოიყურებიან ახლაც ჩემი კოლეგები სხვადასხვა პარტიული მღვიმეებიდან. მე კი თავისუფალი კაცი ვარ, რასაც მინდა ვწერ და ვამბობ.

„პარტიული პრინციპები“, როგორც ხედავთ, აბსოლუტურად მდგრადი და ერთხელ და სამუდამოდ ჩამოყალიბებული არ გახლავთ. არ შეიძლება რომელიმე „პარტიულ მოსახვევზე“ სინანულის გრძნობამ არ შეგიპყროს და არ გაიფიქრო: ქვა მეკოდა და ნეტავ ამ პარტიაში არ შევსულიყავიო. მწერალი, აკაკის თქმისა არ იყოს, „მაღლა მფრენი“ უნდა იყოს.

ფაქტია, საქართველოს ახლანდელი, ძველი ტერმინი რომ ვიხმაროთ, პოლიტიკური ხელმძღვანელობის მასობრივი ლიტერატურულობა.

დიახ, მაგრამ ისინი ლიდერები გახლავთ და თანაც, მათი მთავარი საქმე პოლიტიკაა. ასე ინება განგებამ, მაგრამ იყო პარტიის წევრი იმისათვის, რათა თვალში შესციცინებდე ლიდერ მამას და მისი იდეების პოპულარიზატორი იყო, ერთობ მოსაწყენ და დამამცირებელ საქმედ მიმაჩნია მწერლისთვის. საერთოდ, სხვადასხვა პარტიას შორის მორბენალ დამარქაფებულ ჩემს ზოგიერთ კოლეგას მინდა შევახსენო: რომ დადგნენ, დაცხრნენ, მეტი ფასი და წონა მისცენ თავიანთ სიტყვას.

პარტიული ტრიბუნიდან განა არა აქვს სიტყვას ფასი და წონა? თავიდანვე პარტიული ორიენტაცია აიღო რამდენიმე ლიტერატორმა და დღეს პარლამენტის წევრებად მოგვევლინენ, ქვეყანას მართავენ.

გაუმარჯოს მათს ალღოიანობას და პოლიტიკურ სიმტკიცეს, მაგრამ მეშინია დრო რომ გავა პარლამენტში მოღვაწეობა შემოქმედებისათვის დაკარგულ დროდ არ ჩათვალონ თვითონვე. საერთოდ კი მე, ზემოთ, უფრო იმ პარტიულ მწერლებს ვგულისხმობ ერთდროულად „აქაც“ რომ იყვნენ და „იქაც“. დილით რომ ოფიციოზის მაგიდას უსხდნენ და საღამოთი მიტინგისაკენ გარბოდნენ სიტყვის სათქმელად; მერე კომუნისტურმა ხომალდმა ჩაძირვა რომ დაიწყო, ვირთხებივით რომ დაფაცურდნენ: „არიქა იქნებ გადავრჩეთო“ ერთდროულად ორივე მხარეს იყარეს კენჭი, ახლა უხეირო პატარძალივით მთაზე ცეკვავენ, არც იქეთა მხარე უმადლით და არც აქეთა. საერთოდ კი, თუ ძალიან გვიან არ არის, იგავის მელიას ნათქვამი გაიხსენონ: „შარშან რაც ვითამაშე, ისიც მიმძიმს, არათუ ახლა გამოვიდე და ვითამაშოო“.

მწერლის ჭკუა-გონება პოლიტიკოსისას ბევრად სჯობს. გნებავთ ზვიად გამსახურდიას მაგალითი მოვისმინოთ.

როგორ მოხდა, რომ იმპერიის ისტორიაში მხოლოდ საქართველოში ჩატარდა მრავალპარტიული არჩევნები?

ზვიად გამსახურდიამ კრემლს ჭკუით აჯობა. გენიალურად გათვალა გზები და პარტოკრატიას საქართველოში მშვიდად აართვა ძალაუფლება ისე, რომ გონს მოსვლა არ აცალა.

რაც შეეხება მრავალპარტიულ არჩევნებს, ზვიადმა მაშინ აჯობა გორბაჩოვ-შევარდნაძე-გუმბარიძის პოლიტიკას როცა სამტრედიაში რკინიგზა გადაკეტა.

მაშინ ბევრმა ქართველმაც კი სისულელედ და მავნებლობად გამოაცხადა ეს ნაბიჯი.

ზვიადმა იცოდა რასაც აკეთებდა. ამ რადიკალური ღონისძიებით, მან მრავალპარტიული არჩევნები გამოგლიჯა კრემლს და სამოცდაათწლოვან პარტიულ განგსტერიზმში გამოწრთობილი ურჩხული თავისსავე ანკესზე წამოაგო.

მერე მორევში უთავბოლოდ აფართხალებულ კომუნისტებს, ბოლო წყალი არჩევნების შედეგებით აყლაპა და პირჯვრის გადაუწერავად გაუშვა ფსკერისკენ.

გუმბარიძის „ავტორიტეტით“ დაიმედებული კრემლი არც და არამც არ ფიქრობდა, რომ კომუნისტები ამ არჩევნებში ჩაფლავდებოდნენ. გუმბარიძეც დარწმუნებული იყო, რომ გაიმარჯვებდა. თავიანთ პროგნოზში ერთი წუთით ეჭვი რომ შეეტანათ, გუმბარიძე და მისი რაზმი სხვა ზომებს მიმართავდნენ. ისინი ვარაუდობდნენ თითო-ოროლა ენერგიული ლიდერის გადეპუტატებას და ხალხისთვის თვალში ნაცრის შეყრას ისეთივე გულისამრევი, ცრუ პარლამენტით, როგორიც იყო ამ სამოცდაათი წლის მანძილზე და განსაკუთრებით გაღვიძებულ საქართველოში, როცა პარლამენტის სხდომებს საოცარი მოჩვენებითობით, ყალბი ფუსფუსით და კურდღლის გამბედაობით წარმართავდა გუმბარიძე.

ვინმე, ქართულ საქმეებში ჩაუხედავს გუმბარიძის და გამსახურდიას პარლამენტების ვიდეოჩანაწერები რომ ვაჩვენოთ, ადვილი შესაძლებელია, უფრო დემოკრატიულად პირველი მიიჩნიოს. აქ დახვეწილი მეთოდებით, დიპლომატიური მანერებით იტყუებოდნენ. აქ კი, ჩვენი, დიპლომატიაში ჯერ გამოუცდელი მეგობრები ცოტა ნაჩქარევი, ცოტა ბოლომდე გაუაზრებელი, მაგრამ ძირითადად სწორი ნაბიჯებით ცდილობენ გაიკვლიონ გზა, როგორც ბატონი კონსტანტინე იტყოდა: „ისტორიის უსიერ ტევრში.“

რა თქმა უნდა, არ მომწონს ზოგი დეპუტატის მიერ ამა თუ იმ პირის დაპატიმრებისაკენ მოწოდება.

არ მომწონს ზოგი დეპუტატის თვითდაჯერებული სითამამე და ისიც, რომ „მე ვფიქრობ“, „იქნებ ვცდებოდე“, „ხომ არ აჯობებდა“ სრულიად გაქრა მისი ლექსიკონიდან. მიკვირს, საიდან მოვიდა დემაგოგიური „მე ასე მინდა“ ზოგი დეპუტატის ხმაში? რაო, მე ვარ და ჩემი ნაბადიო? არ გამოვა ასე, საქართველოს ალიკაპს უკვე ვეღარავინ ამოსდებს. მე არც ის მომეწონა, ზვიად გამსახურდია ალტერნატივის გარეშე რომ აირჩიეს. იმ დარბაზში ხომ არ იყო თავმჯდომარედ ზვიადის ვერგასვლის საშიშროება. მთელს საქართველოში რომ ეყარათ მისთვის კენჭი, დარწმუნებული ვარ, გაიმარჯვებდა. ამიტომ, რა საჭირო იყო თითქმის ისეთივე აჩქარება, როგორც გუმბარიძის არჩევის დროს? ზვიადი ხომ ერის აღიარებული ლიდერია, გუმბარიძე კი კომპარტიის მიერ ამოტივტივებული, რომელსაც არასოდეს არავითარი ავტორიტეტი არ უმაგრებდა ზურგს? სიმართლე გითხრათ, მე არც ყველა მინისტრის ერთ დღეს გადარჩევა მომეწონა. მე არც ის მომეწონა, ხანდახან სესიაზე საკითხის კენჭის საყრელად დასმა რომ ავიწყდებოდათ, არც ის მომეწონა, რომ გუმბარიძეს მიკროფონი გამოურთეს, არც ის მომეწონა, რომ კომისიებთან შეუთანხმებლად გამოიტანეს მინისტრთა კანდიდატურები და მერე შესვენება გამოაცხადეს, რათა კომისიებს „ემსჯელათ“ კანდიდატურების ღირსიანობაზე. ხედავთ, რამდენი რამ არ მომწონებია. მაგრამ რა ვქნა ახლა, ამის გამო, გუშინ დაბადებულ უზენაეს საბჭოს ბოიკოტი გამოვუცხადო და საშიმშილოდ დავჯდე?

კარგი იყო „ახალი ოპოზიცია“ შიმშილობაზე არ გახსენებოდა. მე შიშითა და ძრწოლით ჩავივლიდი ხოლმე ოპერის ბაღთან და ვფიქრობდი: ღმერთო, ნუთუ არაფერი არ შეიცვალა, ნუთუ მთელი ჩვენი ეროვნული მოძრაობა მხოლოდ ძალაუფლებისათვის ხელის გადაწევა და პირადი, განაწყენების გამო ამბიციური ქიჩმაჩია-მეთქი.

საქართველოს ხელმძღვანელობს ხალხის მიერ არჩეული ეროვნულ-გამათავისუფებელი მოძრაობის ერთი ბლოკი, – მრავალ-პარტიულ არჩევნებში გამარჯვებული. განა ეს არ იყო ყველა ჩვენ-განის ოცნება? განა ეს არ არის ჩვენი მიტინგებისა და ჭაპანწყვეტის, ცხრა აპრილისა და მასობრივი დემონსტრაციების შედეგი და ეროვნული ბრძოლის პირველი ეტაპის ბრწყინვალე დასასრული? აი, როგორ შეიძლებოდა კონფრონტაციის თავიდან აცილება: პირვლ დღეებში გამარჯვებულ საბჭოს ენა კი არ უნდა გამოეყო კონგრე-სისთვის, უნდა მოეთავმდაბლებინა და აეღო ინიციატივა საერთო კომისიების, საერთო სამუშაო ჯგუფების შესაქმნელად. ზოგი მე-ბრძოლის ყაჩაღად გამოცხადებამ და მაშველი რაზმის დაშლისკენ მოწოდებამ რა ხეირი დააყარა ჩვენი ერთ მუშტად შეკვრის, გაერ-თიანების საქმეს? ჩემთვის რომ ეკითხათ (თუმცა ვინ რას გკითხ-ავს, დღეს ყველას ჰგონია, რომ ჭეშმარიტების გასაღები მხოლოდ თვითონ უდევს ჯიბეში და ღმერთმა დამიფაროს ამის გამო გუ-ლისდაწყვეტისაგან), იმთავითვე ვუხმობდი „განაწყენებულს“ და არარსებული, მაგრამ უსათუოდ შესაქმნელი ქართული ლაშქრის ერთ-ერთ თავკაცად გამოვაცხადებდი, ხოლო მის „შიშველ რაზმს“ იმ ლაშქრის ერთ-ერთ შენაერთად. ათას ვიგინადარას ვარჩენთ ჩვენ და ლაშქრის რჩენა რატომ უნდა გაგვჭირვებოდა? მაშინ ხომ ეროვნული მებრძოლი იყო, როცა აფხაზეთში, ოსეთში, მარნეულში და სხვა ცხელ წერტილებში ტყვიას უშვერდა მკერდს? გვეკადრება ჩვენ მწერალი და პროფესორი კაცის ბანდიტად გამოცხადება, რო-გორც ტელევიზიამ შეირცხვინა თავი იმ დღეებში? ვიაროთ ერთ-მანეთის წარსული შეცდომების წამოძახების გზით? თუ ხელი ჩავ-ჭიდოთ ერთმანეთს და ძე შეცდომილიც კი ნათელ, სწორ გზაზე გამოვიყვანოთ? კაცი, რომელიც თოფით გიცავს, რაღა თქმა უნდა, მოგთხოვს საბან-ბალიშსაც და საკვებსაც. აბა, ველური თაფლი-თა და კალიებით მხოლოდ იოანე წინასწარმეტყველი იკვებებოდა ამქვეყნად, ხოლო ქრისტეც კი მშვენივრად მიირთმევდა ზოგჯერ პურს მეძავებთან და მებაჟეებთან, რატომ უნდა ჰკრას სახელმწი-ფომ ხელი (და ულუკმაპუროდ, კარდაკარ სათხოვნელად გასწიროს)

ქართული ჯარის ამ პატარა ჩანასახს? რაც შეეხება მედროვეებს, ხელისმოთბობის მსურველებს და ტურა-მელებს, ისინი კონგრეს-მაშველ რაზმშიც აღმოჩნებიან და მრგვალ მაგიდასაც შეაფარებენ თავს. ამიტომ, მე ვფიქრობ, საზოგადოებამ სწორი პოზიცია, ოქროს ზომიერება უნდა აირჩიოს, შერიგებისკენ უნდა მოუწოდოს ორივე მხარეს. კონგრესი ოფიციალური ხელმძღვანელი ორგანო არ არის, იგი ეროვნული მოძრაობის საკოორდინაციო ტრიბუნის ფუნქციას ჯერდება, მაგრამ ხომ არ შეიძლება მე, შენი თანამებრძოლი, გამარ-ჯვებულმა ბლოკმა სრულიად იგნორირებულმყო? განა ერთად არ ვიბრძოდით. ერთად არ ვისხედით ციხეებში? ერთად არ ვიწვნიეთ კომუნისტური რეჟიმის მათრახები? განა პოლიტიკაში ბუტიაობა და წაღმაუკუღმა ყვანცალი საკადრისია? დღეს შენა ხარ სათავეში, ხვალ, იქნებ, მე აღმოვჩნდე. კეთილი უნდა ვინებოთ და ერთმანეთის აზრს ანგარიში გავუწიოთ, ყველაფერს რომ თავი გავანებოთ, ინ-ტელიგენტობა და ჩვენი საერთო მიზანი მოითხოვს ამას, საერთოდ კი ჩვენი მოვალეობაა ამჟამად ყველანი დავირაზმოთ ახალი პარლა-მენტის ირგვლივ და დავეხმაროთ, ხარვეზზე მივუთითოთ, კარგი მოვუწონოთ, მხარში ამოვუდგეთ.

და მაინც გამართლებულია თუ არა შიმშილობანი და აშკარა და-პირისპირება კონგრესის მხრიდან?

ღმერთმა ნუ ქნას, ახლა ახალარჩეული უზენაესი საბჭოს ხელისუ-ფლების სათავეში ყოფნას საშიშროება დაემუქროს. თუ დეკემბრის შიმშილობა მასობრივ ხასიათს მიიღებდა, თუ ადამიანთა დიდი ჯგუ-ფის სიცოცხლეს საფრთხე დაემუქრებოდა, ზვიად გამსახურდიას სხვა გზა არ დარჩებოდა – უნდა გადამდგარიყო, და გააკეთებდა კიდეც ამას. ზვიადი ის კაცი არ არის, თანამდებობას ჩაებღაუჭოს. ეს იქნებოდა დიდი ეროვნული უბედურება და აშკარა ანარქიის და-საწყისი საქართველოში. ჩვენ მსოფლიოს დავუმტკიცებდით ჩვენს უზნეობას და იმას, რომ თავისუფლების ღირსი არ ვყოფილვართ. ცოტა ხანში, ალბათ, მრგვალი მაგიდა დაიწყებდა შიმშილს და კონ-გრესს აიძულებდა გადადგომას, მერე კონგრესი გამოცხადებდა შიმ-შილს და კვლავ აიღებდა სადავეებს. საბოლოო ჯამში კი ქართველი ერი იშიმშილებდა, სხვა არავინ. მერე „რა ორნივე დაღალულნის“ იგავი განმეორდებოდა, მოსკოვი უფრო ღონივრად მოგვკიდებდა პირს და ამით დამთავრდებოდა ყველაფერი.

მადლობა ღმერთს, საღმა აზრმა გაიმარჯვა.

მოსკოვი, შემთხვევით არ მიხსენებია.

დიახ, მოსკოვი! ერთი წუთითაც არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ჩვენ, დაპყრობილი ქვეყანა ვართ, კაცმა რომ თქვას, მოსკოვი არც გვავიწყებს ამას. მიუხედავად იმისა, რომ კომუნისტური მმართველობა, მრგვალი მაგიდის მმართველობით შეიცვალა, მოსკოვს ერთი წუთითაც არ შეუცვლია თავისი დამოკიდებულება საქართველოს მიმართ. ჩვენ კვლავ კოლონია ვართ, თავს ნურვინ მოიტყუებს, აქედან გამომდინარეობს ზვიად გამსახურდიას მთავრობის ყველა სიძნელე. ყველამ უნდა წარმოიდგინოს თავი ახლა მის ადგილზე და იმპერიის ვეშაპის პირისპირ დადგეს. აი, მაშინ გამოჩნდება, ვინ როგორი ბიჭია. საქართველოში დამპყრობთა ჯარი დგას, რომელიც ქორივით გითვალთვალებს. ნუთუ ვინმე ფიქრობს, რომ „გარდამავალი პერიოდი“, კარგი ცხოვრების გამო გამოვაცხადეთ? სხვა გზა არა გვაქვს. იმპერია ბრჭყალებს არ გვიშვებს, სანამ ბოლომდე არ დაინგრევა, დღევანდელმა უზენაესმა საბჭომ ისტორიის პირველი მძიმე დარტყმა თავის თავზე აიღო და ამ მხრივ იგი „განტევების ვაცის“ მდგმარეობაშიც კია. ზვიად გამსახურდია კი არა, მამაზეციერი ვერ გამოკვებავს უახლოეს წლებში ეკონომიკამოშლილ საქართველოს, რომელსაც ჟურნალისტ მერაბ ბერაძის თქმისა არ იყოს – „ქართულად სურს იმუშაოს და ამერიკულად იცხოვროს“. ამიტომაც, ხვალ უფრო გამრავლდება ახალი უზენაესი საბჭოს მუშაობით უკმაყოფილოთა რიცხვი. ობივატელისთვის ხომ კუჭია მთავარი, ასე რომ, ნურავის შეგშურდებათ დღევანდელი ხელმძღვანელობის ბედი. ისინი ყოველთვის ვერ გვიტყდებიან, თორემ იძულებითია ის ხელშეკრულებანიც ახლა ცალკეულ მოკავშირე რესპუბლიკებთან რომ იდება.

განა ეს, ისევ იმპერიის ეკონომიკურ კაბალაში დარჩენას არ ნიშნავს? ვის არ ურჩევნია იგივე ხელშეკრულებები ინგლისთან, გერმანიასთან და ამერიკასთან დავდოთ? მაგრამ ჩვენ ჩვენს თავს არ ვეკუთვნით, მოსკოვი კი გასაქანს არ გვაძლევს. რა ვიღონოთ? რა თქმა უნდა, დინებას არ უნდა მივყვეთ, დამოუკიდებლობისაკენ სვლა გავაგრძელოთ, მაგრამ ისე კი არა, რომ ნაბან წყალს ბავშვიც გადავაყოლოთ. ბევრს ეცადნენ ჩვენი ახალარჩეული მინისტრები იმპერიის სამინისტროებიდან იზოლირებულად წარმოედგინათ თავი, მაგრამ არ გამოვიდა. ერთ-ერთ ახალგაზრდა ძალიან სიმპათიურ მინისტრს, რომელსაც მე განსაკუთრებით მხარს ვუჭერ თავისი თავაზიანობისა და რაინდული თვისებების გამო, კრემლმა, ამას წინათ პირდაპირ გამოუცხადა: თუ მოსკოვში სასწრაფოდ არ გამოცხადდები დასამტკიცებლად, იანვრიდან შენი უწყების ვერც

ერთი თანამშრომელი ხელფასს ვერ მიიღებსო. არადა მის უწყებაში ათიათასობით კაცი მუშაობს.

დღეს საქართველოს ხელისუფლების მთავარ, გადაუდებელ საქმედ მიმაჩნია ორი რამ: ეკონომიკური პრობლემების გაწყვეტა, ანუ საქართველოს გამოყვანა შიმშილის ჩიხიდან და ეროვნული ფენომენის გაძლიერება.

რას ვგულისხმობ ეროვნული ფენომენის გაძლიერებაში?

შარშან სამი დღის განმავლობაში აზერბაიჯანმა და სომხეთმა ისტორიაში უდიდესი ნახტომი გააკეთეს. ორივე ამ ქვეყანას ათასი წლით გარანტირებული აქვს არსებობა. საქართველოში კი, თუ ახლავე ზომები არ მივიღეთ, ჩვენი სტუმარი ერების გადამკიდე, 50 წლის შემდეგ ქართველ პრეზიდენტს ველარ ავირჩევთ. პრეზიდენტი იქით იყოს, ჩვენს შვილებს საქართველო აღარ ექნებათ. ასი წლის შემდეგ საქართველოში ქართველი ორ ათეულ პროცენტამდე დავა, დღეს კი საქართველოში ორმოცი პროცენტი სტუმარი ცხოვრობს. არა სომხურ-აზერბაიჯანული მეთოდით, არამედ, როგორც გვჩვევია, მშვიდობიანი დარწმუნებთი მეთოდით. სტუმარ ერთა ჭარბი მოსახლეობა თავის სამშობლოში უნდა გავაცილოთ, რა გულიც არ უნდა გვწყდებოდეს შეჩვეულ სტუმრებზე, ჩვენ სხვა გზა არა გვაქვს. ამას ემსახურება საზოგადოება „თვისტომიც“, რომელსააც მე ვხელმძღვანელობ. ზვიადს ეროვნული ფენომენის გაძლიერების უფრო დახვეწილი მეთოდები აქვს. ასე რომ, ამ პუნქტში მე მისი თანამებრძოლი ვიქნები ბოლომდე.

1990 წ.

„პარლამენტის საქმიანობას იმედით ვუყურებ“

დაუცველობის დამამცირებელი გრძნობა! წიგნებშიც კი არ წამიკითხავს სიკეთის მიმართ ისეთი ძალადობა, რაც საბჭოთა იმპერიაში ხდება, დღისით-მზისით საკუთარ ეზოში გივარდებიან გადამთიელნი და ტყვიას გესვრიან. იმპერატორი კი მშვიდად ბრძანებს: დაუთმეთ, პატარაა, ნუ აწყენინებთ. თავისუფლებისათვის ბრძოლაში გართულ ხალხს ხელმწიფემ ცეცხლი და მათრახი არ აკმარა – გუშინწინ ძლივს მბჟუტავი, ეკონომიკური წყარო, სიცოცხლის არტერიაც გადაუჭრა, რომ საბოლოოდ დაემტკიცებინა მისთვის – მონა ხარ და მონურად ამოგხდიო სულს.

პიროვნების თავისუფლების ამგვარი ხელყოფა, ალბათ, მსოფლიოს არც ერთ სახელმწიფოში არ მომხდარა. ეს არანაკლები დანაშაულია, ვიდრე თბილისის, ბაქოს ან ბალტიისპირეთის სისხლიანი ტერორი. ეს გახლავთ აშკარა ბანდიტური კონფისკაცია იმისა, რაც პიროვნებას, ვინ იცის, იქნებ შავი დღისთვის მთელი სიცოცხლის განმავლობაში უგროვებია. ჯერ ერთი, თუ ეს ღონისძიება, მართლაც ასმანეთიანების და ორმოცდაათმანეთიანების შესაცვლელად იყო ჩაფიქრებული, გამოვაცხადებდი ადამიანურად, ერთი თვის განმავლობაში გადაახურდავეთ მშვიდად ეს ფულიო. რა შუაში იყო სამდღიანი მარათონი, რასაც უკვე მოჰყვა უამრავი ადამიანის ინფარქტი? არანაკლებ ჯიბგირულია დადგენილების მეორე ნაწილი: ჯერ მიმიტყუე ბანკში, ფულს საიმედოდ შეგინახავო, ახლა ჩემს კუთვნილებას ვეტო დაადე და მეუბნები, თუ ჭკვიანად იქნები, თვეში ხუთას მანეთს გადმოგიგდებ, თუ არა და საერთოდ შეაყოლე აქედანო. ადამიანი ფულს ბანკში იმიტომ ინახავს, რომ „რასკოლნიკოვებმა“ თავი არ გაუტეხონ. ვთქვათ, მტრისას და ავისას, გარდაიცვალა, ან, ღმერთმა მოგვიმრავლოს, შვილის ქორწილი აქვს, სად სდიოს ან რამდენ ხანს სდიოს ხუთასმანეთობით თავის საქორწინო, ან საქელეხო თანხას? ავიღოთ ყველაფერზე ხელი? ვინ მოგყიდის ბაზარში ინდაურს გადარიცხვით? შეიძლება კაცს ჰკითხო, ეს ფული სად იშოვეო? როგორც პრემიერმა პავლოვმა გამოგვიცხადა? იქნებ ნიძლავებს იგებს, იქნებ ბაბუამისმა მემკვიდრეობად დაუტოვა, ვინ გკითხავს შენ? სხვათა შორის შრომა-გასწორების კოლონიებში ჯიხურებია, სადაც მარილი, სიგარეტი შაქარი იყიდება, იქაც კი პატიმრებს არ ეკითხებიან, ფული საიდან გაქვსო, ნუთუ არავის ესმის, რომ იმპერიის ხელისუფლებამ ამით საბოლოოდ მოიჭრა თავი? ნუთუ ყველაფრის ატანა და მოთმენა შეიძლება?

უზენაესი საბჭოს ერთ ქართველ დეპუტატს ვესაუბრე ახლახან. რატომ არ დგებით და არ უჩვენებთ კარებისაკენ ბალტიისპირეთის ჯალათს და ბანკის „რეფორმატორს“-მეთქი. იცით, რა მიპასუხა? მეშინია, მარტო დავრჩებიო. შენ არ იცი, რა სიყვარულით შესცქერიან და გაუთავებელ აბდაუბდაზე ტაშს უკრავენო. აბა, არ გეწყინოს და გასარეკი ყოფილა თქვენი პარლამენტი-მეთქი. ეჭვი არ მეპარებაო.

რაც შეეხება მანეთის წართმევას, უნდა გითხრათ, რომ იმპერატორის ამ ნაბიჯს საზღვარგარეთმაც შეუწყო ხელი. ხომ გახსოვს, რა დუმილის პოზიცია აირჩია გორბაჩოვზე შეყვარებულმა დასავლეთმა თბილისის ამბების გამო, რა ხელგაწვდილი დადიოდა პრუნსკენე პრეზიდენტების კარზე – დამეხმარეთო და მოსკოვის ხათრით გროშიც არავინ მისცა.

ახლა ბალტიისპირეთის სისხლიან კვალზე არაერთმა ქვეყანამ გადახედა სსრკ იმპერიისთვის დახმარების პოლიტიკას. ეს რაკი იგრძნო გორბაჩოვმა, „საბჭოთა ადამიანის“ გაძარცვა დაიწყო. დასავლეთს რომ დროზე ეცნო (ან ახლა იცნოს) თავისუფლებისათვის მებრძოლი რესპუბლიკების სურვილი და იმპერიიდან მათი გასვლისთვის მხარი დაეჭირა, გორბაჩოვი ამას ვერ გაბედავდა.

ახლაც არაა გვიან, ცივილიზებულმა მსოფლიომ უნდა გვიცნოს ჩვენ ცალკე, იმპერიისაგან დამოუკიდებლად და, თუ ეკონომიკური დახმარება სურს, პირდაპირ ჩვენ დაგვეხმაროს, მოსკოვის მიერ გატეხილი ჭადი ჩვენამდე არც აღწევს და არც გვინდა.

ჩვენ უკვე ღრმა ეკონომიკურ ბლოკადაში არა ვართ? უბრალოდ არ გამოუცხადებია: საქართველოს ეკონომიკურ ბლოკადაში ვაქცევო, მაგრამ ბრმის ცოლის სიკვდილისა არ იყოს, ჩვენ ვერ ვხედავთ, რა გვჭირს? გადახედეთ ჩვენს ენერგეტიკას, სურსათს, რიგებს საბანკო სალაროებთან. მეტი რაღა ბლოკადა გინდა?

საქართველო დიდი ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ძვრების ვითარებაში ყოველთვის პოულობდა გამოსავალს. დარწმუნებული ვარ, საქართველო არ აღიგვება პირისაგან მიწისა, მაგრამ ამისათვის დიდი გარჯა მოგვიწევს. საქართველოს შენარჩუნებისათვის სამკვდრო-სასიცოცხლო ომში დღესვე ყველანი უნდა ჩავებათ.

იმპერიის ნგრევას უსათუოდ მოჰყვება ტერიტორიათა გადანაწილება. ეს პროცესი უკვე დაიწყო. გაიხსენეთ შარშანდელი სომხეთ-აზერბაიჯანის ამბები, ახლა ჩვენი ჯერი დადგა. ჩვენ „მეზობლები“ არ გვაპატიებენ, რომ მსოფლიო ცივილიზაციის უპირველეს ერთა შორის ვდგავართ და მართლაც რომ ღვთივკურთხეულ ტერიტორიაზე ვცხოვრობთ.

დაუკვირდით რა ხდება? თუ დავუჯერებთ საქართველოს სტუმარ ერთა და მათს საზღვარგაღმელ მხარდამჭერთა ხმებს, ჩვენ, ქართველებს, საქარველოს მიწაზე ერთი მტკაველიც არ გვეკუთვნის. გადამთიელნი, ვისი კულტურის კვალიც ოდნავაც არ აჩნია აქაურობას (საქართველოს დღევანდელ ტერიტორიაზე 27 ათასი ქართული მატერიალური კულტურის ძეგლია და უცხო ერის არც ერთი ძეგლი არ არის), სიმპოზიუმებს და მიტინგებს მართავენ და ჩვენს ტერიტორიას ოცნებაში ინაწილებენ. მათ რომ კითხო, თავი-

ანთი მამა-პაპის მიწა-წყალს იბრუნებენ და საქართველოში გამოგონილ, მიკროსახელმწიფოებს ქმნიან.

საშველი?

საშველს სწორად მიაგნო უზენაესი საბჭოს სესიამ, უკანონო ავტონომიების გაუქმება და საქართველოს მოქალაქის სტატუსის შემოღება.

ამას წინათ ჩვენმა საზოგადოებამ „თვისტომმა“ გამოაქვეყნა განცხადება, რომელშიც ხაზგასმით იყო ნათქვამი, რომ სტუმარ ერთა გამრავლების ტემპით თუ ვიმსჯელებთ, სულ რაღაც ას წელიწადში საქართველოში ქართველები უმცირესობათა შორის აღმოვჩნებით.

ეს რომ არ მოხდეს, ჩვენ დაუყოვნებლივ უნდა გავამაგროთ საქართველოს საზღვრები, აღარ უნდა დავუშვათ უცხო ტომის წარმომადგენელთა საქართველოში მასობრივად, მუდმივ საცხოვრებლად ჩამოსვლა. ამავე დროს, ერთხელ და სამუდამოდ ყურები უნდა გამოვიფხიკოთ და ჭარბ არაქართველ მოსახლეობას მოვუწოდოთ, დაბრუნდნენ თავიანთ სამშობლოში.

დიდი იმედით ვუყურებ საქართველოს უზენაესი საბჭოს საქმიანობას. სამი თვეც არ არის, რაც ჩვენი პარლამენტი მოქმედებს და უკვე ხელთა გვაქვს ქართველი კაცის ნატვრის ამხდენელი რამდენიმე დოკუმენტი. არა მგონია, პატარა საქმე იყოს, საქართველოში საბჭოთა კონსტიტუციის მოქმედების შეჩერება, ახალ სამოკავშირეო ხელშეკრულებაზე უარის თქმა კომუნისტური დღესასწაულების გაუქმება, ამნისტიის გამოცხადება, სამხრეთ ოსეთის არაკანონიერი ავტონომიის გაუქმება, ეროვნული გვარდიის შექმნა, საოკუპაციო იმპერიულ არმიაში ქართველი ახალგაზრდების გაწვევაზე უარის თქმა...

საქართველომ თავისი ნება უკვე გამოხატა ამასწინანდელი არჩევნებით. ახლა იგი ითმენს შიმშილსა და სიცივეს, რაკიღა დარწმუნებულია, რომ ქვეყანა სწორი გზით მიდის, თუ დარწმუნდა ქართველი ერი, რომ პარლამენტს იმაზე მეტი ეშლება, ვიდრე საპატიებლად საკმარისი ან ასატანია, იგი თვითვე გააკეთებს ახალ არჩევანს და მისი არჩევანი შეუვალი და საბოლოო იქნება. საბოლოო დასკვნის გასაკეთებლად კი დროა საჭირო. წიწილებს შემოდგომაზე ითვლიან. თუ ხელისუფლებამ ერთი ხელით ქვეყნის საჭე ატარა, და მეორე ხელით საკუთარი კაბინეტის კარების გამაგრება დაიწყო, არიქა, ოპოზიციონერები არ შემომიცვივდნენო, დამერწმუნეთ, ჩვენვე არ ვიქნებით მართალი, ასეთ ვითარებაში მთავრობას უშეცდომო, ბრძნული საქმიანობა მოვთხოვოთ.

რაც შეეხება ოპოზიციას, იგი ყველა დემოკრატიულ ქვეყანაში არსებობს და ჩვენშიც უნდა არსებობდეს. ოპოზიცია აღვიძებს საზოგადოებრივ აზრს, ხელისუფლებას მოდუნების, თვლემის საშუალებას არ აძლევს. ოპოზიციამ უნდა იცოდეს თავისი ადგილი. უნდა შეიგნოს, რომ იგი კანონიერი ხელისუფლების ოპოზიციაა და სხვა არაფერი. ამიტომაც ის უნდა იქცეოდეს, როგორც ქვეყნის შველის მოსურნე, პარლამენტური, დემოკრატიული ოპოზიცია იქცევა. შეხედულებათა დაპირისპირება ძალთა დაპირისპირებაში არ უნდა გადაიზარდოს. მე რეაქციული, ამბიციური, ძალის პოზიციის მქონე ოპოზიციის წინააღმდეგი ვარ. ჩემს პირად აზრს თავზე არავის ვახვევ, მაგრამ ვერ დავეთანხმები ოპოზიციის ზოგიერთი წარმომადგენლის ირონიულ ქირქილს დღევანდელი პარლამენტის საქმიანობაზე და ვერც ენერგიულ „სვლებს“ მისი გუშინდელი თანამებრძოლების სახელის გასატეხად. გაუგებარია ჩემთვის ზოგიერთი რაზმელის „ვაჟკაცობა“ რუსთაველის პროსპექტზე და ტელევიზია-სტამბის შესასვლელებთან, მაშინ, როცა საქართველოს ერთგულების დამტკიცების, სხვა უკეთესი ასპარეზი არსებობს სამაჩაბლოში, სადაც უდანაშაულო ქართველთა სისხლი უმოწყალოდ იღვრება აღვირახსნილ ექსტრემისტთა მიერ. თქვენ იცით, მე მშვიდობიანი თანამშრომლობის მომხრე ვარ და პირველმა ვუსაყვედურე ზოგ დეპუტატს გამაღიზიანებელი გამოსვლების გამო, მაგრამ ახლა მე თვითონ მაღიზიანებს მავანთა ჭირვეულობა და ასფალტის რაინდობა, როცა საქართველოს ჭეშმარიტად უჭირს.

ძნელზე ძნელია, მაგრამ თანდათანობით უნდა დავუსხლტეთ იმპერიულ ეკონომიკურ კაბალას და როგორმე ევროპის ეკონომიკურ წრებრუნვაში ჩავერთოთ.

თურქეთის მიყრუებული სოფლების მაღაზიაში იყიდება ის, რაც ბელგიისა და იტალიის დიდი ქალაქების სავაჭროებში, იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ თურქეთი საერთო ევროპულ მარაქაშია გარეული. გამოცდებით სარფს და თქვენ წინაშე აღიმართება იმპერიის კედელი, რომელიც ევროპისაკენ გახედვის საშუალებასაც არ გაძლევს.

საჭიროა მეტი კონტაქტები არასაბჭოთა სამყაროსთან. რაკი სავალუტო კონტაქტების საშუალება ჯერ არ გაგვაჩნია, საქონლის გაცვლა-გამოცვლის დონეზე მაინც ვითანამშრომლოთ. საქართველო პატარა ქვეყანაა და ისეთი ბუნებრივი სიმდიდრეები, ნედლეული გააჩნია, რომ მისი ჭკვიანური რეალიზების შემთხვევაში თავს მშვენივრად ირჩენს.

უსამართლობაა შრომისადმი ჩვენს გულგრილ დამოკიდებულებაზე წამდაუწუმ, ნიშნისმოგებითი საუბარი. ნახეთ, რა დიდებულია ქართველი კაცი თავის კარმიდამოში. რა ციბრუტივით ტრიალებს და შრომის სასწაულებს ახდენს. თუ ბევრმა მათგამა მუქთად შრომაზე უარი თქვა, ვერ გაამტყუნებ, კოლმეურნეობა და ნაწილობრივ „საბჭოთა მეურნეობაც“ სხვისი ნაშრომის მითვისების კლასიკური ფორმაა.

შევარდნაძის პრობლემა, ჩემთვის, როგორც ქართველი კაცისთვის, არ არსებობსა. საბჭოთა იმპერიის ნიჭიერ საგარეო საქმეთა მინისტრს, კრემლში მისი ყოფნის რამდენიმე წლის განმავლობაში, საქართველოსკენ კეთილი თვალით არ გამოუხედავს. ერთხელ ჩაერია (9 აპრილს) საქართველოს საქმეში და ვაი ამ ჩარევას. შევარდნაძეს უნდა სცოდნოდა, რომ იმპერია მას ერთგულ სამსახურს არ დაუფასებდა და არც რუსი შოვინისტები აპატიებდნენ ქართველობას.

ჩემგან არ ესწავლება ედუარდ შევარდნაძეს, რომ კაცი, უპირველეს ყოვლისა, თავისი ერისთვის გაწეული სამსახურით ფასდება. ჩვენი „ძე შეცთომილი“, ალბათ, ადრე თუ გვიან, ჩვენვე დაგვიბრუნდება, მაგრამ უსაფუძვლო იყო ფიქრიც იმაზე, რომ იგი, კრემლის მიერ ხელდასხმული, ოფიციალურ პირად მოგვევლინებოდა.

საქართველო ის საქართველო აღარ არის ე. შევარდნაძემ რომ დატოვა რამდენიმე წლის წინათ. საქართველოს ახლა ჰყავს თავისი, მრავალპარტიულობის პრინციპებზე არჩეული პარლამენტი, ამიტომ სასაცილოდ მეჩვენებოდა ჭორი შევარდნაძის პრეზიდენტად მოვლინებაზე, ფიქრიც კი იმაზე, რომ საქართველო ახლადარჩეულ პარლამენტს გადაირჩევდა და პრეზიდენტად კომუნისტ შევარდნაძეს აირჩევდა. სხვა რა რჩებოდა? იქნებ ორჯონიკიძის მსგავსად რუსის ჯარს შემოძღოლოდა საქართველოსათვის ჭკუის სასწავლებლად? შევარდნაძე ორჯონკიძისაგან თავისი დიდი გამჭრიახობით და შორსმხედველობით განსხვავდება, ამიტომაც ამას არ ჩაიდენდა და თავის სახელს საუკუნეებში საწყევლად, შესაჩვენებლად არ დაუგდებდა შთამომავლობას. სხვათა შორის, შევარდნაძის გაფრთხილება, დიქტატურა მოდისო, მინისტრის ცოდვათა გამოსყიდვის გზაზე დიდ ნაბიჯად მიმაჩნია.

რაც შეეხება „ვალმოხდილი მინისტრის“ თავის მიწაზე საცხოვრებლად დაბრუნებას, რასაკვირველია, ამას ვერავინ დაუშლის, რომელიმე არაპოლიტიკური უწყების ხელმძღვანელობასაც ანდობს მას სულგრძელი ქართველი ერი და მის მემუარებსაც (რაც აუცილებლად უნდა დაიწეროს) სიამოვნებით წაიკითხავს.

მოველოდი მ. გორბაჩოვის 7 იანვრის გადაწყვეტილებას. იმპერიამ თავის გადარჩენის ბოლო, ყველაზე საშიშ ხერხს მიმართა, მიხარია, რომ უზენაესი საბჭოს პოზიცია ამ საკითხში ურყევია. ჩვენ უკან დასახევი გზა არა გვაქვს. ყველაფრისთვის მზად უნდა ვიყოთ. იმპერია ახალ ანექსიას გვიპირებს, მაგრამ არ გამოუვა, დღეს მსოფლიოში ყველაფერი ხელისგულზე ჩანს და იმედი მაქვს, ჩვენ გასაჭირსაც დაინახავენ, გამოგვესარჩლებიან. მანამდე კი უნდა ვიმარჯვოთ, რათა პავლეს მოსვლამდე პეტრეს ტყავი არ გააძრონ. რაც შეეხება ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიას, სანამ საქართველო იარსებებს, იგი ველარასოდეს აღსდგება. ოსი ერის მოღალატე ოსი ექსტრემისტების ალაგმვა შორს აღარ არის. დროა მიხვდნენ ჩვენი სტუმრები, რომ უაზრობაა თავისი მიწის დაცვის მოსურნე ოთხმილიონიანი საქართველოს წინააღმდეგ იარაღით ბრძოლა. ხომ შეიძლება ბოლოს და ბოლოს ჩვენი მოთმინების ფიალაც აივსოს? „იმპერიის მოდერნიზების“ გორბაჩოვისეული გეგმა ჩაიფუშა. ლიტვამ წერტილი დაუსვა ყოველგვარ ორჭოფობას დიქტატურის გაღვიძებასთან დაკავშირებით. აქამდე გორბაჩოვის ძალას დასავლეთის მხარდაჭერა განაპირობებდა, ახლა ეს მხარდაჭერაც გაქრა. აყირავებული იმპერია და მისი თავკაცი მსოფლიოს თვალწინ ნამდვილი სახით გამოჩნდნენ. ხალხის მრისხანება იქამდე მივიდა, რომ პრეზიდენტისთვის ნობელის პრემიის ჩამორთმევაც კი მოითხოვეს სრულიად სამართლიანად. ამაოა ბალტიისპირეთის ტერორის სხვებისათვის გადაბრალების მცდელობა. იმპერიული ძალების ამ ნაბიჯმა იმპერიის აღსასრული დააჩქარა. ალბათ, საბჭოთა იმპერია კიდევ ერთხელ მოიქნევს სიკვდილის ცელს და ეს ბოლო მოქნევა იქნება.

1991 წ.

მჯერა

ხშირად მეკითხებიან, ბატონო რევაზ, კომუნისტური ცენზურა აღარ არის. როგორ დაეტყო რევაზ მიშველაძის შემოქმედებას ცენზურის მარწუხებისაგან გათავისუფლებაო.

სამწუხაროდ ჟურნალები კიდევ ჰო, მაგრამ ჩვენი მომრავლებული გაზეთები მხატვრულ ლიტერატურას რატომღაც აღარ სწყალობენ. მათს მესვეურებს თავიანთი სხვა პოლიტიკური საზრუნავი

აქვთ. ვინ ვის მოუგრიხოს კისერი (კისრის პოლიტიკურ მოგრეხვაზე მოგახსენებთ) იმაზეა გამეცადინებული.

კარგი იქნება, პრესის მუშაკები თვითონ ეძახდნენ, ეხვეწებოდნენ მწერლებს მოგვეცით თქვენი ახალი ნაწარმოებიო, რადგან მწერლის სიტყვას, მწერლის ავტორიტეტს უდიდესი მნიშვნელობა აქვს.

ქვეყანას პოლიტიკური გატაცების ტოტალური სენი შეჰყრია. ხანდახან მგონია ესთეტიკის დრო სამუდამოდ წავიდა-მეთქი, სამაგიეროდ ყოველ მოსახვევში დგანან ენააქავებულნი და გაჰყვირიან: რატომ სდუმან, რატომ პასიურობენ მწერლებიო. პრესის თავისუფლება მხოლოდ იმ „მწერლებისთვის“ არსებობს, ვინც გაზეთის პოზიციას ეთანეწყობება. ჭეშმარიტი პროფესიონალი ვერ ჩამოივლის რედაქციებს, ხომ არაფერი გნებავთო.

არც წიგნის ბეჭდვის საქმეს დაეტყო დიდი უკეთესობა. კოოპერატივების სოკოებივით მომრავლებამ პროფესიონალი უკან დასწია და ლიტერატურული საქმოსნები მოამრავლა. კოოპერატივები უმეტესწილად სენსაციური საეჭვო ღირებულების წიგნებს ბეჭდავენ ე. წ. „მასობრივ მკითხველზე“ გამიზნულს. სახელმწიფო გამომცემლობებს კი ამის გამო ქაღალდი შემოაკლდათ და გამკითხავი არავინ არის. გამომცემლობათა საქმეებში ჩასახედად ჯერ ვერავინ მოიცალა. გამომცემლობა „მერანიღა“ ემსახურება ძველებურად, ერთგულად მწერლებს.

ყოველგვარი ცენზურა (კომუნისტურია თუ არაკომუნისტური) მწერლისთვის საშინელებაა, ქართველ მწერალთა ერთ ნაწილს იგი ვერ მოგვერია. ესეც არ იყოს, ცენზურის მიერ დაწუნებული ზოგი ნაწარმოები „ჩვენდაუნებურად“ უცხოეთის პრესაში ამოყოფდა ხოლმე თავს და მერე რეჟიმის ლიტერატურული დამქაშები იძულებული ხდებოდნენ დაებეჭდათ. ასე რომ, ჩვენც გაგვაჩნდა ბრძოლის ჩვენეული მეთოდები. ისე, ჩვენს სამოცდაათწლოვან მონურ წარსულს გულჩვილობას ნუ დავაბრალებთ. ჩვენ გაგვაწამეს, გაგვანახევრეს როგორც მწერლები. მახსოვს, როგორ გადამაწევინეს წარსულ საუკუნეში გარაჟებზე დაწერილი ჩემი ნოველა „მარტვილი“. „გარაჟი“ თავლით შემაცვლევინეს, რომელიც თხუთმეტი წლით ადრე გამოქვეყნდა, ვიდრე რიაზანოვის „გარაჟი“ შეიქმნებოდა. მახსოვს, როგორ გადამაკეთებინეს ქვეყნის მოფამფალებულ მმართველზე (ბრეჟნევზე) დაწერილი ნოველა „ფრთები“, თითქოს მოქმედება კუნძულ იპიაზე ხდებოდა, რადგანაც შეეშინდათ, ბრეჟნევი ჩვენს ცეკას მდივანს გაუწყრებაო.

ჩვენ ყველანი მივდიოდით მცირე კომპრომისზე სხვადასხვა დროს, თავისუფლებისათვის ბრძოლის იდეის გადასარჩენად. სხვანაირად თითქმის შეუძლებელი იყო, შევცვლიდით ცოტა რაღაცას და მკითხველი მაინც ხვდებოდა, რა უნდა გვეთქვა. სხვათა შორის, ზოგი ნოველის გამოქვეყნების შემდეგ მირეკავდნენ: ალბათ ასე გეწერათ და ამოიღესო. თქვენ წარმოიდგინეთ, დამრეკავი ხშირად მართალი იყო. სატელევიზიო გამოსვლის შემდეგაც ხშირად მომისმენია ყურმილში: „ამოჭრეს რამე?“ ახლა რომ ვუკვირდები, ეს იძულებითი ნაბიჯები ზოგჯერ გამართლებულია. მე ასპირანტობისას დავწერე პატარა რეფერატი „ლენინის პუბლიცისტიკის სტილის შესახებ,“ რომელიც მერე შირმად ავაფარე ჩემ მიერ დაწერილ ყველა ანტისაბჭოთა ნოველას.

თქვენთვის სულერთია, ვის მისცემთ ინტერვიუს და სად დაბეჭდავთ? მეკითხებიან.

მთლად ასე არ არის, მაგრამ ძირითადად ეგრეა. მთავარი ის კი არ არის, სად დაბეჭდავ, მთავარია რას იტყვი, რას გამოაქვეყნებ.

დროულად მიმაჩნია დამოუკიდებლობის აქტის აღდგენა.

ეგ კი არა, მომეჩვენა, რომ ცოტა დავაგვიანეთ კიდეც. ოღონდ ნახევართავისუფლებაზე და ნახევარდამოუკიდებლობაზე არ უნდა გავჩერდეთ. იმავე აქტში უნდა ყოფილიყო ერთი ფრაზა: ამ აქტით იმპერიიდან ჩვენი სრული და საბოლოო გამოსვლის შესახებ, ამ აქტს, სესიის მომდევნო სხდომებზე მიღებული, სსრკ-დან ჩვენი გამოსვლის დადგენილება უნდა მოჰყოლოდა. ჩვენ კი ისევ გარდამავალ პერიოდზე ვლაპარაკობთ. გარდამავალი პერიოდი დამოუკიდებლობის აქტის მიღებისთანავე ხომ უნდა შეწყვეტილიყო? თუ არ შეწყდა, მაშინ ჩვენი დამოუკიდებლობა დეკლარაციაა და სხვა არფერი.

არც ერთი იმპერიის ჯარი მუდმივად არსად მდგარა. რეფერენდუმზე ლამის მთელმა საქართველომ (თავის სტუმრებიანად) ხმა მისცა საქართველოს დამოუკიდებლობას. მერე ჩვენმა უზენაესმა საბჭომ 1918 წლის 26 მაისის სტატუსში აღადგინა საქართველოს დამოუკიდებლობა. ეს ორი ფაქტი ერთმანეთს ლოგიკურად მისდევს და იმპერიის ჯარების გაყვანისათვის სრულიად დამაჯერებელი განაცხადია. მთავარია, უკან არ დავიხიოთ და წაჯექ-უკუჯექობის პოლიტიკა არ ვითამაშოთ. „ბაბა და ჩიჩია“ ერთად არ იქნება. შეიძლება დავთმოთ დროებით „ჩიჩია“ „ბაბას“ გადასარჩენად. ნახევარრეფორმებმა დაღუპა გორბაჩოვი და ყველა დამარცხებული პოლიტიკოსი ამ ქვეყანაზე.

დიახ, უყოყმანოდ ვღებულობ საქართველოს უზენაესი საბჭოს ყოველ გადაწყვეტილებას.

ამ გადაწყვეტილებათა დიდი უმრავლესობა სწორად მიმაჩნია და მხარს ვუჭერ. საქართველოში სისტემის შეცვლას სულითა და გულით მივესალმები. ჩვენ ხომ სესიის ყოველი სხდომის გადაწყვეტილებით ნელ-ნელა ვუბრუნდებით 1918 წლის 26 მაისის თავისუფალ საქართველოს. ზოგს, შეიძლება გაცნობიერებულიც არ ჰქონდეს, რა ბედნიერებაა ეს.

სამი შენიშვნა მაქვს ახალი ხელისუფლების მიმართ. პირველი: დამოუკიდებლობის აქტის სსრკ-დან საბოლოო გამოსვლის დოკუმენტით განმტკიცების საეჭვო დაგვიანება. მეორე: იმპერიისთვის ომის გამოცხადება, რასაკვირველია, გულუბრყვილობაა, მაგრამ რას ვაკეთებთ დამოუკიდებლობის შესანარჩუნებლად? ვაძლიერებთ გვარდიას? ვამაგრებთ საზღვრებს? მობილიზებას ვუკეთებთ მთელ ჩვენს რესურსებს? მე ვფიქრობ, ძალიან ნელა და უგერგილოდ. მესამე: ჩვენი გაუბედავი პოლიტიკით სამაჩაბლოს ისევ რუსები იპყრობენ, ჩვენ არაერთგზის შეგვეძლო ამ საკითხის მოგვარება, მიმიხვდებით, რასაც ვგულისხმობ. რა გავაკეთეთ? ოთხმა მილიონმა ქართველმა ბანდიტებისგან სამაჩაბლოს დაცვა რამდენიმე მილიონერსა და სამაჩაბლოელ შეუიარაღებელ ქართველებს შევატოვეთ. ეს შეცდომა იყო. საქართველოს ერთი კუთხის სატკივარი სრულიად საქართველოს სატკივრად ვერ ვაქციეთ.

ზემოთ მოგახსენეთ „მიმიხვდებით“-მეთქი და მკითხველი რებუსის წინაშე რომ არ დავაყენო, მე პირდაპირი კაცი ვარ და ბარემ ფრჩხილებსაც გაგიხსნით: საჭირო იყო მტრულად განწყობილი ოსი მოსახლეობის, – ამ გაანჩხლებული მდგმურების დაუყოვნებლივი გაძევება სამაჩაბლოდან. მე ხაზს ვუსვამ მტრულად განწყობილ, ექსტრემისტულ ნაწილს. საერთოდ კი, არის ფაქტები (ცხრა თვის ბავშვის აკვანში მოკვლა, ოთხი ახალგაზრდის ცოცხლად დაწვა, დაჭრილის ცხენზე გამობმა და ტანჯვით მოკვლა), რის შემდეგაც შერიგებაზე ლაპარაკი ზედმეტია და ჩვენ ერთმანეთს უნდა დავშორდეთ.

განა მსოფლიოს მთელი ისტორია მომხდომის წინააღმდეგ ბრძოლის, მომხდომის გაძევების ისტორია არ არის? როცა მტერი შენს მიწას გართმევს, შენ სათნოების გაკვეთილები უნდა უტარო და უშედეგო კამათი გაუმართო? ხომ ხედავთ, იმპერიამ ჩვენი დიდსულოვნება როგორ „დააფასა“. ნუ გეშინიათ, სიტყვა „განახლების“. იცოდეთ, სამუდამო ანდერძად დამიგდია ჩემი ერისთვის: ჩვენი არსებობის შენარჩუნების ერთადერთი გზაა მტერთან შეურიგებლობა და ქართული მიწის წამრთმევ სტუმართა დროული გაძევება-გასახლება. შარშან სომხეთმა და აზერბაიჯანმა ასიათასობით მოსახლე გაცვალეს ერთმანეთში და მსოფლიოს თავი არ მოუკლავს; ეს რა უბედურება მოხდაო. ჩვენ სხვა გზა არა გვაქვს. ოს მკვლელებს საქართველოში დარჩენის პირი უკვე აღარა აქვთ. როდემდე უნდა ისხდნენ სამაჩაბლოდან ლტოლვილი ქართველები სასტუმროთა ვესტიბიულებში, როდემდე?

1918 წლის 26 მაისს რესპუბლიკის გამოცხადებიდან ერთი კვირის შემდეგ მსოფლიოს არაერთმა ქვეყანამ გვცნო. ახლა კი, დამოუკიდებლობის აქტის აღდგენიდან ლამის ორი თვე გავიდა და მსოფლიო სდუმს.

ეს მსოფლიოს სინდისზე იყოს. სისხლიანი იმპერიის ეშინია დასავლეთს და ჩვენ, ღარიბი ნათესავივით, მხოლოდ გვიღიმის. საქმით არაფერს გვიკეთებს. თუმც ამერიკის სენატის ამასწინანდელი რეზოლუცია იმედით მავსებს.

ე. წ. სამხრეთ ოსეთის ავტონომიის არსებობის საკითხის გადასაჭრელად საქართველოში მცხოვრებ 160 ათას ოსს რეფერენდუმი მოვუწყოთო, ასეთი აზრიც არსებობს.

ეგ „აზრი“ სრულ გაუგებრობად მიმაჩნია. ჩვენ „სამხრეთ ოსეთის ავტონომია“ უკვე გავაუქმეთ. ახლა უკან დავბრუნდეთ და ისევ ვუკირკიტოთ ამ საკითხს? განა ორი წლის განმავლობაში ისტორიული ფაქტებით არ დავასაბუთეთ „ავტონომიის“ უკანონობა? ახლა თვით მდგმურებს, სტუმრებს ვკითხოთ, გინდათ თუ არა ჩვენს მიწაზე ავტონომიური ოლქიო? გვინდაო, რომ გვითხრან? ჩვენ ბოდიშიო მივუგოთ და აღვუდგინოთ ავტონომია? რა პასუხს აძლევთ სამაჩაბლოს დასაცავად უკანასკნელი ხუთი თვის განმავლობაში უმოწყალოდ დახოცილ ქართველებს და აწიოკებულ ოჯახებს? აი, რას ვეძახი მე გაუბედაობას და უნიათობას პოლიტიკაში. თუ ოსებს შევეკითხებით, გინდათ თუ არა სახელმწიფო ჩვენს მიწაზეო (ესე იგი იჩუქებთ თუ არა ჩვენს მიწასო), რატომ არ უნდა ვკითხოთ იგივე საქართველოში მცხოვრებ სომხებს, აზერბაიჯანელებს, ბერძნებს, რუსებს და სხვათა? ვკითხოთ, ვკითხოთ და კარგი დახლიც დაგვიდგება. გულს მირევს ეს ჩვენი სულელური, გულუბრყვილო სიკეთე და უნაპირო, კუდაბზიკა „ინტერნაციონალიზმი“. დავით აღმაშენებლის დროს საქართველოს ეჭირა 305 ათასი კვ. კილომეტრი, 1918 წელს, რესპუბლიკად გამოცხადებისას, საქართველოს ტერი-

ტორია 111 ათასი კვ. კილომეტრი იყო. ახლა 67 ათასია. მოგწონთ? ლენინმა 44 ათასი კვ. კილომეტრი (თითქმის ნახევარი) წაგვართვა და სხვებს მისცა 800 ათასი (თითქმის მილიონი) ქართველით დასახლებული. ჩვენ კიდევ მიწის წართმევა გვინდა?

მე უზენაესი საბჭოს სხდომებს ვესწრები. იგი ინტელიგენტურობის, პროფესიონალიზმის, დემოკრატიულობის თვალსაზრისით გაცილებით უკეთეს შთაბეჭდილებას ტოვებს, ვიდრე მოველოდი. პარლამენტის წევრთა თითქმის აბსოლუტური უმრავლესობა საქმისმცოდნე, თავმდაბალი, უამბიციო, საქართველოს ბედზე გულატკივებული და, რაც მთავარია, კორუფციისაგან თავისუფალი ხალხია.

ამ ბოლო დროს საქართველოს პრეზიდენტის მისამართით მლიქვნელურ-მაამებლური სიტყვები გახშირდა და ამ „ახალ ჟანრში“ ზოგი ჩემი კოლეგაც სცოდავს, მაგრამ ამაში, მე მგონი, ზვიად გამსახურდიას არ მიუძღვის ბრალი. ზვიადს რომ ძაგება-დამცირება და აბუჩად აგდება მოუსმენია, მთელი დარჩენილი ცხოვრება რომ ხოტბა შეასხან, ვერ გადასწონის. თუ აკვირდებით, იგი ციხე-დევნამ ისე ვერ მოტეხა, როგორც ხელისუფლების სათავეში მოქცევამ. მე პირადად სრულიად არ მეხარბება მისი მდგომარეობა – ორ ცეცხლს შუა (იმპერია და შინაური ოპოზიცია) მდგომი, საქართველოსთვის შეწირული კაცია. იგი ქვეყნის სამსახურში დგას და, როგორც შეუძლია, ისე სარდლობს საქართველოს. ისე, უკეთესი იქნება, ხანდახან შუბლისშეკვრით თვითონვე თუ აგრძნობინებს ხოტბის საღერღელაშლილ პირებს: ნამეტანს ნუ იზამთო.

აშკარაა ზოგიერთი, თავგადაკლული კომუნისტის ფერისცვალება და დამოუკიდებელი საქართველოს სამსახურში „ჩადგომა“. დავიწყოთ იქიდან, რომ კომუნისტებმა დაიყვანეს საქართველო 111 კვ. კმ.-დან 67 ათას კვ. კმ-ზე, კომუნისტური წყობის დროს მოხდა პიროვნების წარმოუდგენელი გაუფასურება, იქამდეც კი, რომ სამშობლოს გრძნობა და მისი ხმლით დაცვის უნარი ნაწილობრივზე უფრო მეტად გამქრალა ქართველ კაცში, კომუნისტებმა აიგდეს აბუჩად ქართული ენა და კინწისკვრით მიგვარბენინებდნენ გადაჯიშების, გარუსების უფსკრულისაკენ. იმპერია რა წყობისაც არ უნდა იყოს (სოციალისტური იქნება, თუ მონათმფლობელური), დამერწმუნეთ, მაინც ბოროტებაა. ამიტომაც თუ რომელიმე კომუნისტი დღეს იმპერიას და იმპერიულ კანონებს უჭერს მხარს, იგი მიუტევებელ ცოდვას სჩადის. ასე დგას საკითხი. სხვა არის შეხედულებათა სისტემა. მე პირადად ვთვლი, რომ მარქსიზმი უტოპიური

მეცნიერებაა, მაგრამ ეს იმის უფლებას როდი იძლევა სახელმწიფომ აუკრძალოს ვინმეს მარქსიზმის პოზიციაზე დგომა. რაც შეეხება ზოგიერთ კომუნისტს, თუ მოინანიებენ კომუნისტურ ცოდვებს, ხელი არ უნდა ვკრათ. სწორად მიმაჩნია ჩვენი პარლამენტის პოზიცია, რომ ბევრი ნიჭიერი და უნარიანი ყოფილი (ან თუნდაც ახლანდელი) კომუნისტი გვერდით ამოიყენა. კომუნისტის მანდატი ადრე ბევრს (და ახლაც) ისეთ კაცს ედო ჯიბეში, რომლის მთელი ცხოვრება ანტიკომუნისტური იყო და პარტიის წევრობა იქნებ თავის გადასარჩენად სჭირდებოდა. მაგრამ მე ვერ ვენდობი ბოლომდე სულგაყიდულ ქამელეონებს. ამას წინათ უზენაესი საბჭოს დარბაზში სტუმრად მიწვეული ისეთი „მანდილოსანიც“ შევნიშნე, ადრინდელ კომუნისტურ ხელმძღვანელობას ეროვნული მოძრაობის ლიდერთა გასალანძღად მჩხავანა, შტატიან ორატორად რომ ჰყავდა უბეში შეფარებული და ყოველ მეორე „აქტივის კრებაზე“ რომ გაჰკიოდა: ზვიად გამსახურდია ფიურერს მაგონებსო. ვის სჭირდება ასეთი „მოღვაწის“ მონანიება და თავზე ნაცრის წაყრა?

ვწუხვარ, რომ მათ შორის მედროვე, ყოველგვარი მტკიცე პოზიციისგან ტრადიციულად შორს მდგომ, ქარაქუცა „მოღვაწეთა“ შორის რამდენიმე ჭეშმარიტად ნიჭიერი კაციცაა. პირველთა ჩალიჩი გასაგებია: რიყეზე ამოყრილი თევზებივით დარჩნენ. რაც შეეძლოთ, გაიბრძოლეს, იქით-აქეთ მიაწყდნენ, მაგრამ რომ ვერ გააწყვეს რა, ახლა, პრივილეგიადაკარგულნი, ხელისუფლებისათვის ბრძოლის მარათონში ჩაებნენ. ვერა და ვერ თმობენ იმას, რაც კომუნისტური რეჟიმის დროს ხელთ ჰქონდათ: ყალბი ჩინ-მედლები, პირველ კაცთა სუფრა-მეჯლისებზე ღრეობა, ნაჩუქარი პრემიები... რაც შეეხება გაბრიყვებულებს, იმედი მაქვს ისინი გონს მოვლენ და დამოუკიდებელი საქართველოს სამსახურში ჩადგებიან. ჭეშმარიტ ინტელიგენტს და ჭეშმარიტ პატრიოტს, ჩემი ფიქრით, ახლა სხვა გზა არ უნდა ჰქონდეს.

რაც შემეხება მე, ჩემს თავს ვერავითარ განსაკუთრებულ გააქტიურებას ვერ ვატყობ. ვაკეთებ მხოლოდ იმას, რაც არ შემიძლია არ გავაკეთო. მწერლის მოვალეობა მე ასე მესმის. დიდი სურვილი მაქვს მხარში ამოვუდგე იმათ, ვინც საქართველოს თავისუფლებისათვის იბრძვის. ჩვენი პარლამენტის გზა, ამ მხრივ, ამ ეტაპზე, სწორედ მიმაჩნია და ამიტომ, რომ იტყვიან: „აქა ვდგავარ“.

რაც შეეხება ჩემს პოლიტიკურ ორიენტაციას, კომუნისტური პარტიიდან გამოსვლის შემდეგ არც ერთ პარტიაში არ შევსულვარ და არც ვაპირებ. ვინც მიცნობს, ალბათ, მოეხსენება, რომ მე ჩემი

მწერლური სიმართლე მაქვს და ვერავის მეხოტბედ ვერ გამოვდგები. მით უმეტეს, რომელიმე პოლიტიკოსის იდეების პროპაგანდისტ-პოპულარიზატორად ყოფნას არ ვაპირებ. ნეტავ, ჩემი საკუთარი „იდეები“ არ მაწუხებდნენ.

ამას წინათ მწერალთა დელეგაციამ ჩემი ხელმძღვანელობით მოსკოვში მნიშვნელოვანი ეროვნული მისია შეასრულა; პირველებმა გავარღვიეთ ინფორმაციული ბლოკადა. მოვუწოდეთ მოსკოვის ინტელიგენციას გარკვეულიყვნენ საქმის არსში და მხარში ამოსდგომოდნენ საქართველოს თავის სამართლიან ბრძოლაში.

მწერალმა სოლოუხინმა ორი კითხვა დაგვისვა: პირველი მეო, „ოგონიოკში“ წავიკითხეო, რომ ზვიად გამსახურდიამ პრეზიდიუმის თავმჯდომარედ არჩევის გამო ედუარდ შევარდნაძის მილოცვა ფაქტიურად არ მიიღო, ეჭვი შეიტანა შევარდნაძის გულწრფელობაშიო. მიგაჩნიათ თუ არა ეს ჯენტლმენურ საქციელად და მეორე: ჩვენამდე აღწევს ხმები „მხედრიონის“ ზოგიერთი წევრის დაპატიმრებაზე და თქვენ რა აზრისა ხართო.

გავბედე და ვუპასუხე: დიდი ქართველი მწერლის კონსტანტინე გამსახურდიას გარდაცვალებისთანავე ე. შევარდნაძემ ხელი მოაწერა მისი შვილის – ზვიად გამსახურდიას დაპატიმრების ორდერს და ერთ ოთახში რომ პანაშვიდი მიდიოდა, სხვა ოთახებს სუკის აგენტები ჩხრეკდნენ-მეთქი. ვთქვათ, ეს არაფერი, მაგრამ გულწრფელი იყო თუ არა პოლიტიკურად კომუნისტი ე. შევარდნაძე, როცა იმპერიის საგარეო საქმეთა მინისტრი, პოლიტბიუროს წევრი დისიდენტ გამსახურდიას ხელისუფლების სათავეში მოსვლის სახით ესალმებოდა საქართველოში კომუნისტური წყობილების დამხობას? რატომ უნდა გახარებოდა ე. შევარდნაძეს კომუნისტური სისტემის მსხვრევა თავის სამშობლოში-მეთქი? ასე რომ, ჰქონდა საბაბი ზვიად გამსახურდიას ამ მილოცვის გულწრფელობაში დაეჭვებულიყო-მეთქი... რაც შეეხება „მხედრიონის“ წევრთა დაპატიმრებას, ჩემთვის აბსოლუტურად უცნობია მათი დაპატიმრების მიზეზიცა და დაპატიმრების მექანიზმიც. მიმდინარეობს გამოძიება და წინასწარ ვერას გეტყვით. სასამართლო რომ შედგება, თუ შემიშვეს იმ სასამართლოზე, უსათუოდ დავესწრები. თუ დავრწმუნდი, რომ „მხედრიონის“ წევრთა დანაშაულის საქმე თეთრი ძაფითაა ნაკერი და მათი დაპატიმრება პოლიტიკური შეხედულებების ან ოპოზიციურობის ნიადაგზე მოხდა, გაძლევთ პირობას, რომ ყველას გასაგონად, დაუფარავად განვაცხადებ-მეთქი ამის შესახებ. ასე რომ, არც მე და ჩვენი მოსკოვური მისიის არც ერთი მონაწილე მოსკოვს ინსტრუქციებით ან ვინმეს პოლიტიკური იერსახის დასაცავად არ ჩავსულვართ. ჩვენ, ქართველ მწერლებს, რუს მწერლებთან და რუს ხალხთან ჩვენი ანგარიში და ჩვენი სათქმელი გვქონდა.

ჩვენმა მისიამ რომ გაამართლა, ამ ორიოდე კვირის წინათაც ვიგრძენი. ჩვენი მოსკოვში ყოფნის ცხელ კვალზე საქართველოში ჩამოვიდნენ რუსი მწერლები ვლადიმერ ვოინა და ვალენტინ დოლნიკოვი. სიმართლის საქვეყნოდ გატანისათვის მათს ენერგიულ მეცადინეობაზე უკვე მოგეხსენებათ.

ამას წინათ იმპერიულმა ეროვნებათა საბჭომ განიხილა ე. წ. „სამხრეთ ოსეთის“ საკითხი და შექმნა კომისია, რომელიც უფლებამოსილია სკრუპულოზურად შეისწავლოს ვითარება სამაჩაბლოში. ამ კომისიას, მნიშვნელოვანი იურიდიული უფლებებიც აქვს მინიჭებული.

ასე რომ, პირველად დაადგა მოსკოვი „ჩაყოლის“ გზას. ეტყობა, ზოგიერთები მიხვდნენ კრემლში, რომ „ჯიუტ“ ქართველებთან მუშტით და მუქარით ლაპარაკი არ გამოდის. აქამდე როგორ აგვარებდა ცენტრი ყოფილი სამხრეთ ოსეთის საკითხს? პრეზიდენტის ყბადაღებული „უკაზით“, რსფსრ-ს და სსრკ-ს უმაღლესი საბჭოების გულისამრევად ტენდენციური დადგენილებებით და პროგრამა „ვრემიას“ წყეული დეზინფორმაციით. მაგრამ გატარდა ზემოხსენებული „სამი დადგენილება“ ცხოვრებაში? არ გატარდა და არც გატარდება. ქართველი ხალხი არ დაუშვებს ქართულ მიწაზე ოსეთის სახელმწიფოს არსებობას. ახლა კომისია შემოგვთავაზეს. კი ბატონო, შეისწავლოს, დასახოს ურთიერთობის ნორმალიზების საკითხი ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სტატუსის საკითხი ჩვენმა პარლამენტმა და, საერთო საქართველომ, ერთხელ და სამუდამოდ უკვე გადაწყვიტა.

საერთოდ, მე არ მესმის არც ამ კომისიის ფუნქცია და არც ჩვენი „საკავშირო“ დეპუტატების ერთგული დასწრება სესიათა უღიმღამო სხდომებზე. საქართველომ დამოუკიდებლობა გამოაცხადა. ეს იმას ნიშნავს, რომ საქართველოს მოქალაქე დეპუტატები სხვა ქვეყნის (და მით უმეტეს იმპერიის) მართვა-გამგეობაში არ უნდა მონაწილეობდნენ. უხეშ ჩარევად უნდა ცხადდებოდეს ცენტრის მიერ საქართველოს საკითხის ყოველგვარი განხილვა. მით უმეტეს რომ მოკოვი არ ცნობს საქართველოს დამოუკიდებლობის ფაქტს.

ასე უნდა იყოს, თუ ჩვენ მართლა დამოუკიდებლობა აღვიდგი-

ნეთ და ხელმოწერილი ჩვენი აქტი იურიდიულ საბუთად მიგვაჩნია. ხოლო თუ თავს ვიტყუებთ და ყველაფერი ეს ქიმერაა, ეგ უკვე სხვა ამბავია.

1991 წ

ნატვრის ასრულებას გისურვებთ

ახლახან გამოვიდა ჩემი წიგნი „განაჩენი“. როგორც მეუბნებიან, მკითხველთა ინტერესი ამ წიგნმა ერთი ნოველის გამოც მიიქცია.

ნოველას ჰქვია „კარგად ცხოვრობენ გუბერნატორები?“

ამბობენ, მიშველაძემ იწინასწარმეტყველა, რაც ხვალ და ზეგ საქართველოში მოხდებაო.

ამ ნოველის პერსონაჟებს კონკრეტულ სახელებს არქმევენ და ტელეფონში მკითხველები ხშირად მთელი სერიოზულობით მიმტკიცებენ, რომ ნოველა წინასწარმეტყველის პრეტენზიითაა დაწერილი. დაბეჯითებით გარწმუნებთ, რომ მწერალი ყოველთვის წერს იმას, რაც ეწერება და სრულიად ბუნებრივია, რომ, თუ იგი სიმართლეს ემსახურება, ცხოვრების სინამდვილიდან იღებს მასალას. კონკრეტულ პირებზე მე არ მიფიქრია. ნოველა დაწერილია ხელისუფლების ძნელ მისიაზე. ნოველის გმირმა, ახალგაზრდა კაცმა დიდი ბრძოლით, რამდენჯერმე დაპატიმრებით მიაღწია გუბერნატორის ტახტს, მაგრამ მალე დარწმუნდა, რომ გუბერნატორობისათვის ბრძოლა გაცილებით უფრო საინტერესო და იოლი საქმეა, რადგან ოპოზიციაში მყოფს ხალხი ხშირად მხარს უჭერს. შედარებით ძნელი აღმოჩნდა კუნძულის მცხოვრებთა გამოკვება. მათთვის თავისუფლების მინიჭება, ხალხის ინტერესებით ცხოვრება და ახალ გუბერნატორს სრულიად ბუნებრივად სევდა დაეუფლა. იგი პირველი შესაძლებლობისთანავე გადადგა, რადგანაც ვერ გაუძლო იდეალურისა და სინამდვილის ტრადიციულ ჭიდილს.

მე, საერთოდ, ნოველას კონკრეტულ პიროვნებებზე არასოდეს ვწერ. ამ შემთხვევაში კი მით უმეტეს, რადგანაც ნოველა 1986 წელს არის დაწერილი, 1987 წელს გამოქვეყნებული გაზეთ „ქუთაისში“, ხოლო ჩემი წიგნი „განაჩენი“ 1990 წლის აგვისტოს ბოლოში გამოვიდა.

სანამ ჯანი მომდევს, მინდა ვემსახურო ჩემი ერის მომავლის გამოჭედვის საპატიო საქმეს.

ახლა მთელ ენერგიას საზოგადოება „თვისტომს“ ვახმარ.

რას ემსახურება „თვისტომი“?

საქართველოს გარეთ მცხოვრები ქართველების სამშობლოში დაბრუნებას და არაქართველთა თავთავიანთ ქვეყნებში მშვიდობიანი გაცილების უძნელეს, მაგრამ ქართველი ერის სასიცოცხლო ინტერესებისათვის აუცილებელ საქმეს.

საბჭოთა იმპერიაში ჩვენ ყველაზე ცუდი მომავალი გვაქვს, თუ თავს დროზე არ ვუშველეთ. სომხეთში დღეს არ ცხოვრობს არც ერთი აზერბაიჯანელი, აზერბაიჯანში კი დღეს არ ცხოვრობს არც ერთი სომეხი. 3 დღეში გადაწყვიტეს მათ (სომხეთმა და აზერბაიჯანმა) თავიანთი ერების ისტორიული გადარჩენის საქმე. საქართველოში კი 40% სტუმარი ცხოვრობს და, თუ ასე გაგრძელდა 50 წელიწადში საქართველოში ქართველები 37% აღმოვჩნდებით, ხოლო 100 წელიწადში 14%. ამიტომ მიმაჩნია დღეს საქართველოს უმთავრეს საქმედ ჩვენი დემოგრაფიული მოწესრიგების პრობლემა. არ დაგიმალავთ, ქართველები ძალიან გულჩვილ და დადედლებულ ერად გამოვიყურებით. საქართველოს მიწებს უცხოტომელი იტაცებს. ჩვენ მათ გაზეთში გაკიცხვას ვჯერდებით მხოლოდ, საქართველოს ტერიტორიაზე უცხო „სახელმწიფოები“ იქმნება, ჩვენ ქმედით საშუალებებს არ მივმართავთ.

ამ ბოლო დროს, საქართველოს მიწაზე მცხოვრებმა აფსუა ნაძირალებმა უწმინდესი და უნეტარესი შეგვირაცხყვეს და აფხაზეთში მცხოვრებ 50% ქართველს და არც დანარჩენ საქართველოს ხელი არ გაუტოკებია აღვირახსნილ ბანდიტთათვის ჭკუის სასწავლებლად. ეს ვართ სულ დავით აღმაშენებლის შთამომავლობა? რა მოგვივიდა? რამ დაგვაცვედნა ასე?

საქართველოში უსისხლო რევოლუცია მოხდა, 14 ნოემბრიდან დაემხო ჩვენი კომუნისტური ტირანია და ისტორიის ახალ აღმართს შევუყევით. ბედნიერი ვარ, რომ ვეღირსე ქართველი ერის მიერ არჩეულ უზენაეს ხელისუფლებას, მაგრამ არ ვიქნები გულწრფელი, თუ ვიტყვი, რომ ის, რაც ხდება, იდეალურია. რა თქმა უნდა, ჩვენ კიდევ დიდი გზა უნდა გავიაროთ საქართველოს დამოუკიდებლობისაკენ და სასურველი საზოგადოების აშენებისაკენ. დადებითია ჩვენი პარლამენტის მიერ მიღებული პირველი კანონები. მე, პირადად, მხარს ვუჭერ პატიოსანი, ნიჭიერი, ეროვნული ადამიანების მოსვლას მთავრობაში, მაგრამ დაუკმაყ-

ოფილებლობის გრძნობას აღმიძრავს ის ფაქტი, რომ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის რამდენიმე თავდადებული მებრძოლი ამ ახალ ეროვნულ პარლამენტთანაც ოპოზიციონერის როლში აღმოჩნდა.

საქართველოს უზენაეს საბჭოს, მის ახალ ხელმძღვანელობას, კეთილი უნდა ენებებინა და როგორც გამარჯვებულს, თვითონვე გადაედგა ენერგიული ნაბიჯები ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში განხეთქილების აღმოსაფხვრელად. ამას წინათ რუსთაველის პროსპექტზე ჩავიარე, ერთდროულად მართავდა სხდომებს „მრგვალი მაგიდა“ და კონგრესიც. ერთი – ფილარმონიაში, მეორე – მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლეში. მიკროფონები ქუჩაში იყო გამოტანილი და ორატორების, სხვა პოლიტიკური ძალების მიმართ არცთუ მომფერებლური ღაღადისი ქუჩაში იღვრებოდა. რა თქმა უნდა, კონგრესს თავის ფუნქცია აქვს. იგი უზენაესი საბჭოს ერთგვარი გამომფხიზლებლისა და კატალიზატორის როლში უნდა გვევლინებოდეს, მაგრამ ამ ორი ორგანოს ურთიერთობა კეთილმოსურნისა და ინტელიგენტურის ზღვარს არ უნდა გასცდეს. არც ისე უნდა მოხდეს, რომ არჩევნებში გამარჯვებულმა ბლოკმა მისი თანამებრძოლი პარტიები იგნორირებულყოს. მე ურთიერთთანამშრომლობის მომხრე ვიყავი და ვარ. ღმერთმა იმედი ნუ მოგვიშალოს. მე ბუნებით ოპტიმისტი გახლავართ და დარწმუნებული ვარ, ჩვენი პარლამენტის მუშაობის ფორმებიც მალე დაიწმინდება. ახალი ხელისუფლება ხელმძღვანელობის ურთულეს სისტემას მალე შეისწავლის და საქართველო დევის ნაბიჯით ივლის საუკუნოვანი ოცნების აღსრულებისაკენ.

1991 წ.

ახლა მთავარია

ტრიუმფით დამთავრებული რეფერენდუმით ხელდახსნილმა ჩვენმა პარლამენტმა სრულიად დროულად გამოაცხადა საქართველოს რესპუბლიკის აღდგენის აქტი 1918 წლის 26 მაისის სტატუსში.

დღეიდან დამოუკიდებელი რესპუბლიკის მოქალაქეები ვართ.

ეს იმას ნიშნავს, რომ ბოროტების იმპერიის დამოკიდებულებას საქართველოს ეროვნული საზღვრებისა და პიროვნების უფლებათა

მიმართ მსოფლიო შეხედავს როგორც თავისუფალი ქვეყნისადმი მეზობელი, მილიტარისტული სახელმწიფოს დამოკიდებულებას.

იმპერიის სულისშემხუთავ, მყრალ უბეში უკვე აღარა ვართ. 1991 წლის 9 აპრილს ამ საუკუნეში კიდევ ერთხელ დავდექით მარტოდმარტონი ჩვენი ბედისა და ისტორიის წინაშე.

ახლა ჩვენივე გადაწყვეტილებით სახეგანათებულნი ჩვენვე ვაგებთ პასუხს საქართველოსთვის წარსულისა და მომავლის წინაშე.

მთავარია შევძლოთ დამოუკიდებლობის შენარჩუნება.

კრემლი არც ისე ბრიყვია ზოგიერთს რომ ჰგონია. იმპერია ახლა ორ გზას მიმართავს: ჯერ დაყვავებით ისევ ხაფანგთან მიტყუების, ცდუნების გზას და მერე ენერგიულ ეკონომიკურ ბლოკადას.

ორივესთვის მზად უნდა ვიყოთ. უნდა გავწყვიტოთ პოლიტიკური კავშირები იმპერიასთან, როგორც მისმა ნაწილმა და ქვეშევრდომმა, და უნდა შევინარჩუნოთ ეკონომიკური კავშირები, როგორც თანასწორმა მეზობელმა მეზობელთან.

საერთოდ, რაც შეიძლება მალე უნდა გადავერთოთ დასავლეთის ეკონომიკურ წრებრუნვაში, იმპერიის იმედზე ნუღარ დავრჩებით. მასთან დადებული ყოველი ხელშეკრულება ახალ კაბალაში ჩათრევას ნიშნავს.

ყოველის ღონისძიებით გავამაგროთ საზღვრები და შევქმნათ რეგულარული არმია.

მსოფლიო რეზონანსი მივცეთ საქართველოს რესპუბლიკის ხელმეორედ დაბადებას.

მოვამზადოთ ნიადაგი და მსოფლიოს საზოგადოებრივი აზრი საქართველოდან იმპერიული ჯარების გასაყვანად.

მოვლენათა ცხელ კვალზე

ამას წინათ ტელევიზიით პოლიტიკურ მოქიშპეთა მორიგ ლანძღვა-გინებას რომ ვისმენდი, ასეთი ფიქრი ამეკვიატა: ღმერთმა ნუ ქნას, ისტორიის ჩარხი რომ უკუღმა დატრიალდეს და მომდურავი ლიდერები ციხის ერთ საკანში მოხვდნენ, ნეტავ როგორ მოიქცევიან, ეყოფათ კეთილგონიერება მხარი შეუდგან, ერთმანეთს, თუ ახლადნელივით დაძიძგნ-დაკორტნიან ერთმანეთს-მეთქი. მთელი ღამე ვერ მოვისვენე, ვიწვალ-ვიჯახირე და დილით მთელი ეს ფიქრი

დახვრეტისწინა სიუჟეტად ჩამოყალიბდა, მერე მხოლოდ ქაღალდზე გადატანა უნდოდა, ავდექი და ერთი ჩაჯდომით, ერთი ამოსუნთქვით დავწერე ნოველა „დახვრეტამდე 5 წუთი რჩება“.

წერისას არ ვფიქრობდი იმის შესახებ, რომ ნოველის პერსონაჟებში ზოგი თავის თავს ამოიცნობდა და არცთუ უმტერო კაცი, ახალ რისხვას დავიმსახურებდი.

იცით, წერის დროს ასეთ რამეზე არ ფიქრობ კაცი. ვწერ ისე, როგორც მეხერხება და რომ შემეძლოს რომ არ დავწერო, არავითარ შემთხვევაში არ დავწერდი.

წერის დროსაც მარტვილელი, მცხეთელი და გელათელი ერქვათ თქვენს პერსონაჟებს, თუ მერე გადაუკეთეთ, მეკითხებიან. როცა ვწერდი, ისინი თავიანთი გვარ-სახელებით მედგნენ თვალწინ, რადგანაც ნოველის ფაბულაც და დედააზრიც ჩვენმა მწარე სინამდვილემ შთამაგონა, რომ დავამთავრე, ვამჯობინე, მოგონილი გვარები დამერქმია პერსნაჟთათვის და სწორადაც მოვიქეცი. ბოლოს და ბოლოს, ეს ნოველა მხოლოდ კონკრეტული პიროვნებების შესარიგებლად კი არა, საერთოდ დღესაც და მომავალშიც ეროვნული კონსოლიდაციის საქადაგებლადაა მოწოდებული.

ფართო მკითხველმაც ასე სწორად გაიგო. თუ ნებას მომცემთ, ერთი გამოხმაურების ნაწყვეტს წაგიკითხავთ: „ბატონო რევაზ, თქვენი შემოქმედების ერთ-ერთი გულმხურვალე თაყვანისმცემელი მეც გახლავართ. ნოველის „დახვრეტამდე ერთი წუთი რჩება“ ავტორი თქვენ ბრძანდებით. ხმამაღლა ვაცხადებ: – „ასე გაბედულად, მიგნებულად, ღრმა-აზრიან-მიხვედრილად, მიმტევებლად, დამრიგებლურად, გონივრულად, ქვეყანაში შექმნილი რთულზე რთული სიტუაციიდან გამოსავალზე მინიშნებით ნოველას ჩვენთან, რევაზ მიშველაძის გარდა, სხვა ვერავინ დაწერდა, თუ დაწერდა, ვინ დაუშალათ? და განა ეს პირველია? ნოველაში რამდენი ბნკარიცაა, იმდენი სიმართლეა. ამიტომ დიდ მადლობას მოგახსენებთ (საქველმოქმედო საზოგადოება „ქუთაისელის“ ვიცე-პრეზიდენტი გრიგოლ რუხაძე)“.

რა მეთქმის, ბატონი გრიგოლის და საერთოდ, ყველა კეთილგონიერი მკითხველის აზრს ჩემთვის ოქროს ფასი აქვს. მინდა ვისარგებლო შემთხვევით და გულწრფელი მადლობა მოვახსენო ყველას, ვინც წერილით გამომეხმაურა, ან ტელეფონით შემეხმიანა.

ქართველ მწერლებში ახლა პირობითად სამი ჯგუფი შეინიშნება: ერთნი ჩუმად არიან, და საზოგადოებრივ ცხოვრებაში აქტიურად

არ მონაწილეობენ, მეორენი ახალი ხელისუფლების ხოტბა-დიდების, მწერლისათვის არცთუ ღირსეულ საქმეს ადგანან, მესამენი კი არაჩვეულებრივად აქტიურობენ. შეიძლება ითქვას, ხმალს იქნევენ, თავიანთ აზრს ეპოქის სიმრუდე-სისწორეზე დაუფარავად გამოთქვამენ.

ოქროს დუმილი, ალბათ, ყველაზე მომგებიანი მდგომარეობაა. იმდენჯერ დაეჯახნენ ჩემი ნიჭიერი კოლეგები ვერშეცნობის, განუკითხაობის და უსამართლობის კედელს ამ ბოლო დროს, იმდენჯერ გათათხეს ისინი მაღალი ტრიბუნებიდან სრულიად უსამართლოდ, რომ გადაწყვიტეს, ახლა ლირიკის დრო არ არისო და მიჩუმდნენ. რაც შეეხება მეორეთ, ისინი მედროვენი, უპრინციპო მლიქვნელ-მეხოტბენი ყოველთვის არსებობდნენ. ადრეც საშუალება რომ მიეცემოდათ, დავით აღმაშენებლად ნათლავდნენ ედუარდ შევარდნაძეს, „საქართველოს დიდ მეგობარს და მხსნელს“ ეძახდნენ ჯუმბერ პატიაშვილს, „სიკეთისა და პატიოსნების მებაირახტრედ“ მიაჩნდათ გივი გუმბარიძე. სიტუაცია რომ შეიცვალოს, სკივრიდან წამებულის გვირგვინს დააძრობენ და ახალ ამპლუაში მოგვევლინებიან. მე მათ სერიოზულ მწერლებად არ ვთვლი. უბრალოდ მეცინება მათს უჯიუტეს სწრაფვაზე, რადაც უნდა დაუჯდეთ, მიცოცდნენ პირველთა სუფრასთან. სხვაა მესამე „ჯგუფის“ ბედი. მე მოქმედი, აქტიური მწერლების მხარეს ვდგავარ. არ უნდა ათქმევინო ქართველ კაცს, სად არიან მწერლებიო. ხალხის გვერდით უნდა იდგე, მის სამართლიან ბრძოლაში ლომის წილი გედოს, ვითარებასთან აქტიურ დამოკიდებულებაში მყოფს შეიძლება რაიმე შეგეშალოს კიდეც, სიტყვა ვერ მოზომო, ადრინდელი შეხედულება შეიცვალო კიდეც, მაგრამ ყველას ეცოდინება, რომ შენ ხმალს იქნევ და შენი ერის ცხოვრებაში მონაწილეობ. უკან მიდევნებული ლამპრის და შორიდან მოთვალთვალე „წინასწარმეტყველისა“ ბევრი არაფერი მწამს.

მწერალთა კავშირს აღარა აქვს მწერალთა ოფიციალური გაერთიანების ფუნქცია, რაკიღა მის წევრთა შეხედულებანი ერთმანეთისაგან ხშირად რადიკალურად განსხვავდება. ერთ დროს ლიტერატურულ გაერთიანებებად კინაღამ დავიშალეთ. რაკი ყველა ლიტერატორს ჩვენი ძნელი პროფესია და სამშობლოს სიყვარული გვაერთიანებს, მაინც ვარჩიეთ ერთ ფორმალურ გაერთიანებად ყოფნა. მწერალთა კავშირში შეიქმნა ლიტერატურულ ასოციაციათა რესპუბლიკური ცენტრი, რომელმაც კავშირის დაშლის პროცესის შეჩერებაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა. საერთოდ კი, ვისღა დავუმალო, მეორე წელია ახალი წესდება ვერ დავამტკიცეთ და

ასევე მეორე წელია მწერალთა კავშირის პრეზიდიუმის სხდომა არ მოწვეულა. ეს საშუალებას აძლევს ზოგიერთს დაეჭვდეს: ჩანს მწერლობას, ზემოთ, გარკვეული ძალები იგნორირებულყოფენო.

ისევ ჩემს ახალ ნოველას დავუბრუნდეთ. შეკითხვების ერთი ნაწილი ნოველის ფაბულას შეეხება. რატომ მიაყენა კედელთან ჩვენი ეროვნული მოძრაობის ლიდერები ავტორმაო.

ღმერთმა ნუ ჰქნას საქართველოს ცაზე კაენის სულის აღზევებამ ერთხელ კიდევ გადაიაროს. ღმერთმა ნუ ქნას, დედამიწაზე მოიძებნოს ძალა, რომელიც ჩვენ ამ ბოლო შვიდი თვის მანძილზე არჩეული გზიდან გადაგვახვევინებდა. მე უბედნიერესი კაცი ვარ, რომ დამოუკიდებელ საქართველოს შენებაში ვმონაწილეობ. განა ერთი წამით დაუშვებს ჩემი მკითხველი, რომ მე თუნდაც სიზმარში გავივლებ გულში ეროვნული მოძრაობის დამარცხებას? ჩემი ნოველის სიმბოლური დედააზრი სრულიად უბრალოა – ჩვენ საერთო მტერი გვყავს – იმპერია და მტრისთვის ყველანი ერთნი ვართ. ამიტომაც ნუ გააცინებთ მტერს თქვენი კინკლაობით-მეთქი. ნოველის სატირული ფაბულა (ცალკე დახვრეტის სურვილი) კი მხოლოდ განწყობილების გასამძაფრებლადაა მოგონილი.

რაღა მაინცდამაინც „ცხოვრებაში“ კომუნისტების გაზეთში დაბეჭდეთო? მეკითხებიან.

მოგეხსენებათ, მე არც ერთი პარტიის წევრი არ გახლავართ და არც არასოდეს ვიქნები. პარტიის წევრობა მწერლისათვის შემბოჭველია. პარტიიდან თავდახსნილი მწერალი სულხან-საბას ერთი იგავის მელას მაგონებს, მწევრებს რომ განუცხადა: „შარშან რაც ვითამაშე, ისიც მიმძიმს, არათუ ახლა გამოვიდე და ვითამაშოო“. ნოველა „ცხოვრებაში“ იმიტომ დავბეჭდე, რომ მანამდე რამდენიმე გაზეთ-ჟურნალმა უკან გამომატანა – საშიშიაო. როგორც ხედავთ „ცხოვრების“ რედაქტორის ინტუიცია სწორი აღმოჩნდა. ყოფილა საქართველოში სიტუაცია მომწიფებული იმ ნოველის საჭიროებისა და აქტუალობის გასაგებად. საერთოდ კი ჩემთვის არ არსებობს პრესტიჟული და არაპრესტიჟული პრესა. ნებისმიერ გაზეთში დავბეჭდავ ჩემს ნააზრევს, თუ დროულად დამიბეჭდავენ.

საქართველოში უსისხლოდ, დემოკრატიული არჩევნების გზით შეიცვალა წყობილება. ჩვენ თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის გზას გადაჭრით დავადექით, ერმა გაიღვიძა და იგი აღარ დაუშვებს ქართული მიწების გაყიდვა-გაჩუქებას, ქართული ენის შევიწროებას, ქართული სკოლების დახურვას და მის ნაცვლად რუსულის გახსნას.

ორი წლის წინ მე ვერც კი წარმოვიდგენდი, თუ ამას მოვესწრებოდი. ახალმა ხელისუფლებამ იმედის სხივი ჩამინერგა გულში და ბევრი უბედნიერესი წუთი მომანიჭა. ასეთი წუთები იყო ჩემთვის დამოუკიდებლობის აქტის გამოცხადება, ეროვნული გვარდიის შექმნა, იმპერიის კონსტიტუციის მოქმედების შეჩერება, „სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის“ გაუქმება, ამნისტიის გამოცხადება, საქართველოს ჰიმნისა და დროშის დაკანონება... სანამ პირში სული მიდგას, მე ამ მღელვარების, ამ განცდების, ამ ეროვნული გადაწყვეტილების ერთგული ვიქნები ბოლომდე და ეროვნული პარლამენტის გვერდით ვიბრძოლებ საქართველოს საბოლოო გათავისუფლებამდე.

ზოგნი ვერ ხედავენ განსხვავებას ორი წლის წინანდელსა და ახლანდელ საქართველოს შორის? დაგავიწყდათ წლები „მზიურ“ რესპუბლიკაში „მზე რომ ჩრდილოეთიდან ამოდიოდა“, საქართველო ინტერნაციონალურ პოლიგონად და სტუმარ ერთა გამსვლელ ეზოდ იყო გადაქცეული და რესპუბლიკის ხელმძღვანელები მარტო ბიუროს სხდომებს კი არა, სოფლის მეურნეობის მუშაკთა თათბირებსაც კი რუსულად რომ ატარებდნენ? სად შეიძლება ვიყო მე – მწერალი რევაზ მიშველაძე, რომლის მთელი შემოქმედება კომუნისტური რეჟიმის მხილებისაკენ იყო მიმართული, თუ არა საქართველოს დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი ხელისუფლების გვერდით?

თუმცა, ისიც დამაფიქრებელია, რომ კომუნისტური რეჟიმის ბოლო წლებში ოსეთი და აფხაზეთი ჩვენი იყო და შაოსან დედებს რუსთაველის პროსპექტიდან პანღურისცემით არ ერეკებოდნენ.

სამაგიეროდ, საველე ნიჩბებით ხოცავდნენ ლოცვად დავარდნილ დემონსტრანტებს, რაც შეეხება სამაჩაბლოს და ჩრდილოდასავლეთ საქართველოს (ჭეშმარიტ ქართულ აფხაზეთს და არა აფსუათა გამოგონილ რესპუბლიკას), იგი ახლაც ჩვენია და სანამ ქართველ კაცს პირში სულ უდგას, ან ეროვნული თავმოყვარეობა შერჩენია, ჩვენი იქნება. ვერავითარი საოკუპაციო ჯარი ან ყალბ ხელშეკრულებაზე ხელმონერა ვერ ჩამოაჭრის საქართველოს თავის ათასწლობით დამტკიცებულ მკვიდრ მიწას.

ჩემი ცხოვრების სტილი და ხასიათის უპირველესი თვისება საზოგადო წყლულის არდაფარვა და ნაკლოვანების მხილებაა. ძალიან კარგად ვიცი, რომ ნაკლოვანებაზე მითითება არავის სიამოვნებს და განსაკუთრებით მაღლა მდგომ, აღზევებულ ადამიანებს, მათს შეცდომებზე მითითება ხშირად საკუთარი დასაკლავი დანის გამოჩხრეკას ნიშნავს. რა მრჯის ახლა, კაცმა რომ თქვას, ავდგე

და ქვეყანას მოვდო, ჩემი ფიქრით, ახალ ხელისუფლებას ესა და ეს ეშლება-მეთქი. ამით, წინასწარ ვიცი, მათს უნდობლობას და რისხვას დავიმსახურებ, მეტს არაფერს. ეს ტრადიციულად გამოცდილია, მაგრამ თუ ჰყოფნით ვაჟკაცობა და კეთილგონიერება, უნდა მიხვდნენ, რომ მათი დახმარების გარდა სხვა მიზანი არ მამოძრავებს. თუ ვერ მიხვდებიან, ცუდად ყოფილა ჩვენი საქმე.

ვგულისხმობ შეცდომათა, ნაკლოვანებათა მთელ კომპლექსს. ეს შეცდომები, რასაკვირველია, მათ მიერ გაკეთებულ დადებით საქმეებს ვერ გადასწონის, მაგრამ მაინც ცუდად ეცემა კაცს თვალში. თანაც ბედის ირონია ის გახლავთ, რომ ისინი იოლი გამოსასწორებელია და ასევე იოლად ასარიდებელი თავიდანვე.

ზოგიერთ წარმომადგენელს სიკეთე, მიმტევებლობის გრძნობა და ადამიანის სიყვარული ნამდვილად აკლია.

სულ ახალ ფაქტს გეტყვით. ამ სამიოდე დღის წინათ თემურ ქორიძემ ტელევიზიით გამოსვლისას წაგვიკითხა დადგენილება სულხან-საბას სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის რექტორატის დარბევის შესახებ და მერე, კარგად რომ დაგვმახსოვრებოდა, ცოტა არ იყოს გემოჩატანებული ულმობლობით, რამდენჯერმე გაგვიმეორა ინსტიტუტიდან გაძევებულ იმ პროფესორთა და ლექტორთა გვარები, რომელთაც სამუდამოდ აეკრძალათ პედაგოგიურ დაწესებულებაში მუშაობა.

დანაშაული?

აბიტურიენტთა ნაწერების გასწორებს დროს არაკვალიფიციურობის გამოჩენა.

სიმართლე გითხრათ, შემაძრწუნა ამ გადაწყვეტილებამ, თავისი წრეგადასული სიმკაცრით. ჯერ ერთი, რექტორი იმ საბჭომ უნდა გადაირჩიოს, ვინც აირჩია (ყოველ შემთხვევაში ივლისამდე ასე იყო). მეორეც, პედაგოგიურ დაწესებულებებში ადამიანის მუშაობის სამუდამოდ აკრძალვის უფლება ვისა აქვს? მკვლელობის დანაშაულის გამოსყიდვა შეიძლება და რა გახდა აბიტურიენტისთვის ნიშნის მომატება ასეთი?

ამას წინათ კობა იმედაშვილი წერდა, თუ როგორ მივიდნენ მასთან ზვიად გამსახურდია და მერაბ კოსტავა და სთხოვეს მისაღებ გამოცდებზე ყურადღება მიექცია თავიანთი მეგობრის შვილისათვის. რა თქმა უნდა, ამ შემთხვევაში „ყურადღების მიქცევა“ იმას ნიშნავდა, რომ ბავშვისთვის კობას (ან სხვა გამომცდელს) ნიშანი არ დაეკლო, თორემ ზვიადი და მერაბი ხომ საპროტექციოდ არ მივიდოდნენ. იქნებ მაინც გაწყრა ღმერთი და 0,25 ნიშანი წაუმატა იმ გოგონას კობამ? რა ვქნათ ახლა, ავუკრძალოთ სამუდამოდ პედაგოგიურ დაწესებულებაში მუშაობა? ნუთუ მოჰყვებიან მტკიცებას ბატონი თ. ქორიძე და მინისტრი ე. ჯაველიძე, რომ მათ არასოდეს არავისთვის უთხოვიათ ანგარიშის გაწევა მისაღებ გამოცდებზე? სხვა საქმეა კრიმინალი, მაგრამ სანამ დანაშაული ანგარების ფაქტებით არ დაუმტკიცებია პროკურატურას, რა უფლება აქვს ვინმეს ინსტიტუტიდან ლექტორის ასე სასტიკად გაძევების? იქნებ, მართლაც სუსტი გამსწორებლები არიან ისინი, მაგრამ შეამოწმა ვინმემ როგორი ლექტორ-პედაგოგები არიან, ან როგორი ავტორიტეტით სარგებლობენ ინსტიტუტში? გამომიტანეთ მე თუნდაც ყველაზე მაღალკვალიფიციური გამსწორებლის ნაწერი და დავამტკიცებ, რომ ერთი ან ორი ნიშანი ან მომატებული აქვს, ან დაკლებული გამომცდელს. რა კრიტერიუმი უპყრია ასეთი უტყუარი ხელთ ბ-ნ თემურს, რომ შეუმცდარად არკვევს საგამოცდო ნიშნის სიზუსტეს და შესაბამისობას? რა ხდება? ნუთუ ძალიან პატარები ვჩანვართ, ბატონო თემურ, თქვენი მაღალი, თაღოვანი კაბინეტიდან?

ისევ უსიამოვნოდ გამკენწლა გულში, უზენაესი საბჭოს მუდმივი კომისიის თავმჯდომარემ შვიდი წლის წინანდელი უსამართლო დადგენილება რომ გამოჩხრიკა და პროფ. კორნელი დანელიას კეთილსინდისიერება-კომპეტენტურობაში ეჭვი შეიტანა. დრამატული სცენა იყო. პირდაპირ ეკრანიდან აიძულებდნენ რექტორს შეეცვალა ქართულის კომისიის თავმჯდომარე და რაკი რექტორი მაგარი „კაკალი“ აღმოჩნდა (ჩემს თვალში იგი იმ დღეს არაჩვეულებრივად ამაღლდა), ასეთი განაჩენი გამოიტანეს: „ალბათ, ამ საუბრის შემდეგ ბ-ნი კორნელი თვითონ იტყვის უარს თავმჯდომარეობაზე“.

არ არის ეს საქმისადმი ვაჟკაცური მიდგომა. არ ვარგა ასე ტენდენციურად, ეჭვის თვალით ცქერა კოლეგებისათვის, ძვირფასებო, თორემ ერთ მშვენიერ დღეს თქვენს საქმიანობა-საქციელშიც ეჭვს შეიტანენ და მაშინ ყოველივე ეს გაგახსენდებათ.

როგორ ფიქრობთ, საიდან იღებს სათავეს ეს დესპოტიზმამდე მისული პედანტიზმი?

ძირითადად კეთილი სურვილიდან – შეიცვალოს მანკიერი სისტემა, დავამყაროთ წესრიგი, მაგრამ, როგორც ზემოთ გითხარით, ამ ბუნებრივ სურვილს ამ კაი ხალხმა ადამიანის სიყვარული უნდა შეაშველოს, ისე არაფერი გამოვა.

ამ ფაქტის მოტანით მე სხვა რამ, უფრო შემაძრწუნებელი, მინდ-

ოდა მეთქვა. გულწრფელად გითხრათ, გამაოცა ჩვენი საზოგადოების და, განსაკუთრებით ინტელიგენციის გულგრილობამ. მეგონა, მეორე დღეს საპროტესტო კრებები გაიმართებოდა, პროტესტის ქაღალდი ჩამოივლიდა ხელმოსაწერად; ჩვენს ამხანაგებს პედაგოგიურ დაწესებულებაში მუშაობა სამუდამოდ რომ აუკრძალეს არამართლზომიერ სასჯელად მიგვაჩნიაო. მსგავსიც არაფერი მომხდარა. ყველა გაინაბა და ახალი მოსალოდნელი რეპრესიის მოლოდინში თავის ბინაში შეიმალა; ცოტა იაღლიში ყველას მოგვსვლია, იქნებ არც ვახსოვართ ზევით, ამ ჩემი ხელმოწერით თავი რატომ გავახსენოო.

რაღა შორს მივდივარ. შარშანწინ გ. გუმბარიძის დავალებით მწერალთა კავშირის ხელმძღვანელობამ ჩემ წინააღმდეგ ორი დაქირავებული მარიონეტი – ვასაძე და ცისკარიშვილი (ვერ დავმალავ, როგორც გაირკვა, ცისკარიშვილს თურმე უბრალოდ ხელი მოაწერინეს, რაკიღა მას წერა, მაინცდამაინც არ ეხერხება) რომ აამხედრა და გულისამრევი პასკვილები შეათხზევინა. „ლიტ. საქართველო“ რომ წავიკითხე, ჩემთვის გავიფიქრე, გათენდეს ხვალინდელი დღე, ნახეთ, რა ამბავს ატეხავენ მწერლები ჩემი ასე უსამართლოდ გალანძღვისათვის-მეთქი. თქვენც არ მომიკვდეთ. ნოდარ წულეისკირისა და გურამ პეტრიაშვილის გარდა ხმა არავინ გაიღო. არ მიკვირს, არა! ჭრელია ბუნება კაცთა. თვით ზვიად გამსხურდიას მწერალთა კავშირიდან გარიცხვას მისი ერთი თანამებრძოლი-თანამზრახველი ესწრებოდა და მშვენივრად ასწია ხელი თანხმობის ნიშნად, როცა მწერალ კაცს უსამართლო განაჩენი გამოუტანეს.

რაკი ზვიად გამსახურდია ვახსენე, ასევე შეულამაზებლად უნდა ვთქვა აზრი ჩვენს პირველ პრეზიდენტზე. რუსეთის იმპერიისაგან საქართველოს გამოხსნის უპირველესი შემოქმედი ზვიად გამსახურდიაა. მან სამუდამოდ დაიმკვიდრა საპატიო ადგილი ქართველი ერის ისტორიაში. დაამხო კომუნისტური წყობილება და ერი ისტორიის ახალ გზაზე გაიყვანა. ასე რომ, ჩემი ურთიერთობა მასთან და მის ბრძოლასთან ერთხელ და სამუდამოდ გარკვეულია.

ახლა სხვა რამ; მე მოღალატე უნდა ვიყო, ჩემი სიყრმის მეგობრის და საერთოდ საქართველოსი, რომ არ ვუთხრა, რაც არ მომწონს.

პრეზიდენტად არჩევის შემდეგ ველარ ვცნობ ზვიად გამსახურდიას.

საიდან მოვიდა ლექსის მწერალ კაცში ესოდენი სისასტიკე გუშინდელი თანამებრძოლების მიმართ და ადვილადშესამჩნევი მედიდურობა?

თქვენი არ ვიცი და მე კი ცუდად მენიშნა გაპრეზიდენტებიდან რამდენიმე დღეში რომ მოიცილა მან არაერთი უერთგულესი კაცი, ხოლო ზოგმა თავისი ნებით დაუქნია ხელი.

იქნებ პატარა საქმედ მიგაჩნიათ ნოდარ წულეისკირის წასვლა მინისტრობიდან?

ნუთუ ვერ ხვდება ბ-ნი ზვიადი, რომ ჩვენ ამ სისხლიან იმპერიაში, რუსის ჩექმა რომ ყელზე გვებჯინება, დამოუკიდებლობასა და პრეზიდენტობანას მხოლოდ ვთამაშობთ და მეტი არაფერი? ჩვენს პრეზიდენტს ხომ ჯერჯერობით არც საზღვარგარეთთან თანაბარ პოზიციებზე საუბრის საშუალება აქვს და კრემლის მფარველნიც ისე უცქერიან, როგორც ურჩ აღსაზრდელს, რომელსაც როცა უნდათ მიღებენ და როცა უნდათ არა? ჯერჯერობით, ყველაზე დიდი, რისი უფლებაც ზვიადს აქვს, ეს გახლავთ, თავისი მეგობრების დანიშვნა მინისტრებად და „არამეგობრების“ (რომელთა სიაში მოხვედრის დიდი შანსი მეცა მაქვს) სამსახურიდან გაგდება, ან დაპატიმრება.

სადაა ის მგზნებარე ზვიადი ქართველი ერის კანონიერი უფლებების დაცვაზე, ჩვენი მიწების დატაცების შეწყვეტაზე, ადამიანის უფლებებისათვის ბრძოლაზე რომ ლაპარაკობდა?

მიღებაზე ვყოფილვარ ე. შევარდნაძესთან, ჯ. პატიაშვილთან, გ. გუმბარიძესთან... გულისტკივილით უნდა ვთქვა, ყველა მათგანი უფრო მომსმენი და გულისხმიერი ჩანდა პირად ურთიერთობაში, კაბინეტში თხოვნისთვის თუ რჩევისთვის მისულ კაცთან.

არავითარი ფეხზე ადგომა და შემოგებება. არავითარი მოკითხვა და ჯანმრთელობის მდგომარეობით დაინტერესება. რჩევის მისაცემად მისულს ისე გისმენს, თითქოს დიდი მოწყალება გაიღო, რომ უფლება მოგცა თვალი შეგევლო მისთვის.

ამერიკის საელჩო წელიწადში ორჯერ თხუთმეტი მოძმე რესპუბლიკის „წარმომადგენელთა მიღებას“ მართავს. მიემგზავრება ამ ღონისძიებაზე საქართველოს პრეზიდენტიც, თუმცა საქართველო უკვე აღარ არის (ყოველ შემთხვევაში, დამოუკიდებლობის აქტის შემდეგ, ჩვენ ასე გვგონია) თხუთმეტის ძმურ ოჯახში. ბრუნდება პრეზიდენტი მოსკოვში არაოფიციალური ვიზიტიდან და დანარჩენი ტელემაყურებლებმა ორჯერ იხილა საკუთარი თვალით. რა საჭირო იყო ეს პომპეზურობა, გვარდიის აღლუმი, და უქუდო არასამხედრო პირის – პრეზიდენტის საფეთქელთან მარჯვენამიტანილ პოზაში დგომა? ბუშს ვარჯიშის დროს, ტრუსისამარას უჩვენებენ და, არა მგონია, ამერიკის პრეზიდენტის ავტორიტეტზე ამას ცუდად ემოქმ-

ედოს. იქნებ ბუში ცოტა ნაკლები რანგის პრეზიდენტია ვიზიტიდან დაბრუნებულს საპატიო ყარაულითა და აღლუმ-პარადით რომ არ ხვდებიან? ქვეყანას კუჭი უხმება, სამაჩაბლო სისხლისგან იცლება, აფხაზეთს დღისით-მზისით გართმევს იმპერია და შეხვედრა-პარადისათვის აცდენ ხალხს?

გადაწყდა ის უმძიმესი პრობლემა რომ საქართველოში სტუმარ ერთა ოცდარვა პროცენტი მიტაცებულ მიწაზე უკანონოდ ცხოვრობს? გადაწყდა ლეკთა პრობლემა, რაზეც ასე ომახიანად ლაპარაკობდა ზვიადი მიტინგზე. დავამთავრეთ სამაჩაბლოსთვის ბრძოლა?

ხელი ხომ არ აგაღებინა და კონსენსუსის, წყნარი ცხოვრების გუნებაზე ხომ არ დაგაყენა უცხოეთის ენაჭარტალა პოლიტიკანთა არამკითხე მეურვეობამ, ჩემო ზვიად?

მებრძოლი საქართველოს პრეზიდენტს, ამბოხებულთა წინამძღოლის ფარაჯა უნდა ეცვას და თვითკმაყოფილი, ბედნიერი, სვეგანაღდებული პრეზიდენტის იერი უცხო უნდა იყოს მისთვის.

ცოტა უხერხული ხომ არ არის ზვიად გამსახურდიას პანეგირიკოსთა მცდელობა, იგი მესიად და უბადლო წინამძღოლად წარმოიდგინონ.

ხალხის ნდობას დიდი მოფრთხილება და გამართლება უნდა.

მე პირადად, ის ზვიადი უფრო მიყვარს, სახელოგაცვეთილი პალტოთი რომ დადიოდა ნოემბერ-აპრილის მოშიმშილეთა შორის, თავზე ხელს უსვამდა შიმშილ-სიცივისაგან გათანგულ მის თანამებრძოლებს და მიკროფონთან სიმართლის სათქმელად მიიკვლევდა გზას სულიერ თუ უსულო ათას ბარიერს შორის.

13 ივლისი, 1991 წ.

ნუ გაიხარებენ ჩვენი მტრები

საქართველოს დამოუკიდებლობის ბედზე ჩვენი „შინაომი“ არ იმოქმედებს.

მსოფლიო დარწმუნდება, რომ საქართველოში არიან ძალები, დიქტატურის დამყარებას რომ არ ემორჩილებიან. თუ ამერიკას სურს გვცნოს, იგი არად დაგიდევთ ირაკლი წერეთელი სად, რომელი ხის ქვეშ ზის და შიმშილობს. სასაცილოა ზოგიერთთა წუწუნი,

მიტინგი რაღა 2 სექტემბერს დაამთხვიეთო. საქართველოს დამოუკიდებლობას, იცით რა შეუშლის ხელს? პოლიტიკური წაჯექუკუჯექობა.

დეპუტატთა საკავშირო(!) ყრილობაზე საქართველოს უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე საკავშირო ხელშეკრულებას რომ გაეთამაშება და არაორაზროვნად იტყვის – ეკონომიკურ და თავდაცვით ხელშეკრულებაზე ხელმოწერას იქნებ დავთანხმდეთო. საკავშირო ხელშეკრულებაც ეგ არის, მეტი არაფერია, საკმარისია თავი შეყო განახლებული კავშირის ეკონომიკურ კაბალაში ან საქართველოში რუსის ჯარის დატოვებაზე დათანხმდე, რომ ყველაფერი დაიღუპება – საქართველო სულ მცირე სამასი წლით მაინც აღმოჩნდება გაყიდული და დამონებული.

ყოველგვარ შემოთავაზებულ მატყუარა გარიგებაზე უარი უნდა ვთქვათ. ერთხელ და სამუდამოდ, მთლიანად და სავსებით, გავემიჯნოთ იმპერიას, საქართველომ დეკლარირებით კი არა (როგორც ჩვენ გავაკეთეთ), ჭეშმარიტად უნდა აღიდგინოს დამოუკიდებლობა. ჩვენ უნდა შევიდეთ დასავლეთის სახელმწიფოთა კოალიციაში, უნდა გვცნოს მსოფლიომ დამოუკიდებელ სახელმწიფოდ და მერე დავამყაროთ რუსეთთან, ან ნებისმიერ სხვა სახელმწიფოსთან, ისეთივე ეკონომიკური ან კულტურული ურთიერთობა, როგორიც, ვთქვათ, დანიას ან ბელგიას აქვს რუსეთთან.

არც მეტი, არც ნაკლები.

საქართველოს მტრული გარემოცვა? ხომ არ განმეორდება 1918–21 წლები?

არამც და არამც არ განმეორდება. ჯერ ერთი, საქართველოს თავისი ძლიერი გვარდია ეყოლება და სახელმწიფო პასუხს გასცემს შემოჭრილ წუწკ ქურდ-ბაცაცა ტომებს, მეორეც, საქართველოს ისეთი მფარველები ეყოლება, როგორიც ამერიკა და ძლიერი დასავლეთია. ასე რომ, ვერც რომელიმე გაფხორილი ოკუპანტი-სახელმწიფო გაბედავს საქართველოს აგრერიგად დაბრიყვება-დამორჩილებას. თუნდაც კუვეიტს გაგახსენებთ.

რუსეთს ორმოცდაათი წელი მაინც უნდა, რომ წელში გაიმართოს. ევროპის ეკონომიკურ-სავაჭრო წრებრუნვაში ჩართვიდან ერთი თვის შემდეგ საქართველოს მაღაზიები კვლავ გაივსება, დამერწმუნეთ.

შეგვიკედლებს ევროპა? იქნებ არც მას უნდა საქართველო – გაღატაკებული ღარიბი ნათესავი?

ჩვენ სამათხოვრო არაფერი გვჭირს. კარაქის, ხორცის და ტანსაცმლის ნაცვლად ბევრს რასმე შევთავაზებთ ცივილიზებულ მსოფლიოს. მაგალითად, ჩვენს გამოუყენებელ კურორტებს. თუ გნებავთ, ეკოლოგიურად სუფთა მინერალურ თუნდაც, უბრალო სასმელ წყალს, ასე უმოწყალოდ რომ იღვრება ჩვენი მთის ნაკადულების სახით...

დამოუკიდებლად, უპირველეს ყოვლისა, რუსეთმა უნდა გვცნოს.

თვით რუსეთმა, იმპერიამ, რომლის მონობაშიც კისერზე ტყავი გადაგვძვრა. რუმინეთის, მოლდავეთის, ან თუნდაც არგენტინის მიერ საქართველოს ცნობა, არაფერს ნიშნავს. რუსეთმა, უნდა შეგვხსნას აპეური, როგორც ბალტიისპირეთს შეხსნა. მერე სწრაფად გვცნობს მსოფლიო.

მსოფლიო ხედავს, რომ დემოკრატიული სახელმწიფოს შენება გვიჭირს. დიპლომატიისგან შორსა ვართ, ჩვენი დიპლომატია „კრემლის აგენტების“ ძებნასა და „მხილებას“ არ შორდება. ამას წინათ ჩვენში სამოქალაქო ომი კინაღამ გაჩაღდა.

ხელისუფლებამ თუ დემოკრატიის გზით არ იარა და დაშინება-დაპატიმრება-დათრგუნვის ხელკეტი არ მოისროლა, იგი განწირულია დასამარცხებლად. ბავშვური გულუბრყვილობაა, 2 სექტემბერი ან 5 ოქტომბერი მილიციაში მოკალათებულ მტრულ ძალებს (ისევ „მტრებს“) გადააბრალო.

ისე მშვენიერია „კრემლის აგენტთა“ სია, იმდენი ჭეშმარიტად ნიჭიერი ეროვნული მასშტაბის ინტელიგენტია ამ სიაში მოხვედრილი, რომ თამაზ წივწივაძემ, ამას წინათ, ერთ კარგ გაზეთში დაწერა: გემუდარებით ჩამრიცხეთ კრემლის აგენტთა სიაში და ყოველგვარ დავალებას შევასრულებო.

ისე გაფაციცებული და გამკაცრებული ოფიციალური პრესა, როგორც ბოლო დროს იყო, მე არ მახსოვს. რედაქტორებს, ეტყობა, იმდენჯერ აუწიეს ყური, რომ ამ ხელისუფლების მინიშნებით გაკრიტიკების უფლებასაც არ იძლეოდნენ. რამდენიმე რედაქტორმა უკან დამიბრუნა ოთხი წლის წინათ დაწერილი ნოველა – „კარგად ცხოვრობენ გუბერნატორები?“

ამ ნოველაში ვწერდი ერთ გუბერნატორზე, რომელმაც წინა გუბერნატორი ჩამოაგდო, მაგრამ როცა თვითონ გახდა გუბერნატორი, განდიდების მანიამ შეიპყრო და იმის მეათედიც ვერ გააკეთა, რაც ხალხს დაპირდა, მალე მოსწყინდა გუბერნატორობა და გადადგა: ოპოზიციაში ყოფნა უფრო ადვილი ყოფილაო. ჩვენი პრეზიდენტი თავის თავზე მიიღებს და შავ დღეს დაგვაყრისო, მიკიბ-მოკიბვის

გარეშე მიცხადებდნენ რედაქტორები. თუმცა ამ ნოველის სიმბოლური პერსონაჟი არ შეიძლებოდა ჩვენი პრეზიდენტი ყოფილიყო, რადგან იგი დაიწერა 1987 წელს და პირველად გამოქვეყნდა გაზეთ „ქუთაისში“ 1989 წლის 23 სექტემბერს.

ცხრამეტ აგვისტოს რომ პუტჩი მოეწყო, 20 აგვისტოს დილით ერთი გაზეთის რედაქციაში მივიტანე წერილი, რომელშიც გადაჭრით ვგმობდი იანაევის შეთქმულებას. მოიწონეს, ხელიც მოაწერეს, ხვალ ნომერში იქნებაო, დამპირდნენ, მაგრამ არ დაბეჭდეს.

რომელი ერთი ჩამოგითვალოთ...

თუ არ გვათქმევინებენ, თუ პირზე ხელს დაგვაფარებენ, რასაკვირველია, იზეიმებს განუკითხაობა და დიქტატურა.

თუ აქამდე ერთი-ორი ვყიოდით თავწასაგდები მამალივით, ახლა მთელმა ერმა გაიღვიძა, ინტელიგენციამ ხმა ამოიღო.

თავდასხმა შუაღამისას მწერალთა კავშირის შენობის ფასადზე იმ ძალების მიერ იყო ორგანიზებული, ვისაც სურდა გაემართლებინა 2 ოქტომბერს მწერლებისთვის მწერალთა კავშირის შენობის დაკეტვის უხერხული ფაქტი.

მწერალთა კავშირის შენობა შეურაცხყო ვიღაც ნერვებსუსტმა დეტექტივმა პროტესტის ნიშნად იმისა, რომ მწერალთა კავშირმა ამ ბოლო დროს დაკარგა ეროვნული შტაბის ფუნქცია და მისი ხელმძღვანელობა მლიქვნელობის არცთუ სახარბიელო მაგალითს იძლევა. იქნებ ეს პროტესტი იყო ამას წინათ „ლიტერატურულ საქართველოში“ გამოქვეყნებული „მიმომხილველის“ აშკარად შავრაზმული სტატიის მიმართაც.

ვიღაც მთვრალმა „შეიარაღებულმა ხულიგანმა“ ანგარიშმიუცემლად მიუშვა ავტომატის ჯერი იმ შენობის ფასადზე, სადაც მცხოვრებლები არ ეგულებოდა.

ასეა თუ ისე, სამივე ფაქტი საზიზღრობაა.

1991 წ.

კეთილი შუამავალი გვჭირდება

გაინტერესებთ პირადად თუ შემეხო საპრეზიდენტო დიქტატურა?

პირადული რა მოსატანია, მაგრამ თუ გაინტერესებთ, მოგახსენებთ. გამსახურდიას მითითებით და ქორიძის განკარგულებით ჩემ მიერ დაარსებული ჟურნალის „ღიმილის“ გამოსაცემად

ქაღალდი შემიწყვიტეს. ჩემი სამტომეულის პირველი ტომი ასევე „უქაღალდობის გამო“ შემიჩერეს. მუხრან მაჭავარიანმა მწერალთა კავშირის ლიტერატურულ ასოციაციათა ცენტრის თავმჯდომარეობიდან შეუთანხმებლად გამათავისუფლა. და, რაც მთავარია, როგორც შერისხულ, ოპოზიციონერ მწერალს არა თუ არაფერს მიბეჭდავდნენ ოფიციალური გაზეთები, ჩემი ლანძღვის კომუნისტური ტრადიციები გაათკეცებული ენერგიით გააგრძელეს. კიდევ ერთ „სასაცილო“ ფაქტს მოგახსენებთ: მწერალთა კავშირის ახალი წიგნაკები არ გვერგო რამდენიმე ოპოზიციონერ მწერალს, მგონი გაგვრიცხა მ. მაჭავარიანმა მწერალთა კავშირიდან.

დიახ, ტრაბახად თუ არ ჩამომართმევთ, ოფიციალურ, ლეგალურ (სამწუხაროდ, ჯერ კიდევ გვიხდება ამ სიტყვის ხმარება) პრესაში მაის-ივნისში პირველად მე მივაქცევინე ყურადღება საქართველოს ჩვენი ლიდერების არაერთ ნაკლზე და მათი კონსოლიდაციის აუცილებლობას გავუსვი ხაზი (ნოველა „დახვრეტამდე ხუთი წუთი რჩება“), მერე კეთილგანწყობით, მაგრამ საკმაოდ კონკრეტულად დავწერე პრეზიდენტის მუშაობის ზოგ თვალშისაცემ ხარვეზზე, თვით პრეზიდენტის ამპარტავნობის ხაზგასასმელად უნდა ვთქვა, რომ ადრესატი მრისხანებით შეხვდა ჩემს მეგობრულ რჩევებს. პრეზიდენტის ბანაკიდან არამკითხე დამცველებმა უნიჭო პოლემიკის ცეცხლი გამიხსნეს და ქორიძემ „კომუნისტების გამოგონილ მწერლად“ გამომაცხადა. თუ გახსოვთ, „პუტჩის“ (?!) დღეებშიც გამოვაქვეყნე ერთი მწვავე სტატია „დროში“. იმ სტატიის დაწერის მიზეზი სისხლიანი ორი სექტემბერი იყო. ორმა სექტემბერმა და ხუთმა ოქტომბერმა წელში გამტეხა. სანამ არ მოეფინება ნათელი, თუ ვინ გასცა ბრძანება იმ დღეებში მომიტინგეთა იარაღით დარბევის შესახებ, მშვიდად ვერ დავიძინებ.

ზვიადის ავადმყოფური თვისებების აყვავებას საპრეზიდენტო ელიტამაც შეუწყო ხელი. პატარა მაგალითს გეტყვით: საქართველოს მწერალთა კავშირის ხელმძღვანელობამ ვერ მოიცალა გალაკტიონის 100 წლისთავის აღსანიშნავად და გადავწყვიტეთ ეს იუბილე უნივერსიტეტში გაგვემართა. თანაც სურვილი გვქონდა, იგი ინტელიგენციის შერიგების, საერთო დროშის ქვეშ დადგომის ნიშნით ჩატარებულიყო. მართლაც, გრანდიოზული იუბილე გაიმართა, უამრავი ხალხი მოაწყდა უნივერსიტეტს. ჩვენი სახელოვანი მწერლები და მსახიობები გამოვიდნენ. რექტორმა ბ-ნმა როინ მეტრეველმა შთამბეჭდავი შესავალი სიტყვა თქვა. რექტორის შემდეგ მე

მომიწია გამოსვლა: იქნებ-მეთქი, ისინი, ვინც ეროვნულ ტვირთს სხვადასხვა მხარეს ვეწევით, გალაკტიონის მაღალმა პოეზიამ ერთ მუშტად შეგვკრას-მეთქი, სიტყვა დავამთავრე გალაკტიონის ლექსის სტრიქონებით: „...წყარო ჩანს და წყალი არსად არი, ყველაფერი არის ძლიერ კარგად, ყველაფერი ძლიერ ცუდად არის“. ეს სიტყვები გალაკტიონს 50-იან წლების სინამდვილეზე აქვს ნათქვამი. მეორე დღეს ტელევიზიამ ეს საღამო ეთერში გადასცა. ორსაათიანი საღამო წარმოუდგენლად იყო დაჩეხილი. ვიღაცას გულმოდგინედ, „ეზრუნა“, რომ უნივერსიტეტში გამართული გალაკტიონის იუბილე, რიგით, 35-წუთიან პოეზიის საღამოდ გადაექცია. ამოჭრილი იყო გამოსვლების უმეტესობა. როცა დავინტერესდი, ჯერ ჩანაწერის უხარისხობაზე (ძველი ხერხი) მიმითითეს, მერე უდროობაზე. ამას წინათ ერთი ჩემი ტელევიზიელი ნაცნობი შემხვდა და საიდუმლოდ „დამამშვიდა“, შენი სიტყვა, იმიტომ ამოჭრეს, რომ ბოლოში ნათქვამი გქონდა „ყველაფერი ძლიერ ცუდად არისო“, სხვების-მეთქი? ხომ იცი ვისი ნახვაც პრეზიდენტს არ ესიამოვნებოდა, ის მწერლები და მსახიობები ამოჭრესო. არა მგონია, რომ პროფესიონალი ჟურნალისტები ასე დაწვრილმადნებოდნენ, მაგრამ ფაქტი, რომ იტყვიან თავად ღაღადებს. პრეზიდენტს ზედმეტი „ერთგულებით“ და „სიყვარულით“ მომდურავთა რიცხვი გაუმრავლეს. ვისი სახის დანახვაც არ გაეხარდებოდა, თვითონ აარიდებდა თვალს, მაგრამ რა შუაში იყვნენ ახალგაზრდა მწერლები ან თვით პრეზიდენტის ახლობელი მსახიობებიც კი ასე უმოწყალოდ რომ ამოჩეხეს გადაცემიდან? ამგვარი „დემოკრატიით“, ათასჯერ გავიმეორებ, ჩვენ შორს ვერ წავალთ, აკი ვერც წავედით.

ოპოზიცია, საჭიროა და აუცილებელი გახლავთ. არ შეიძლება ასე მტკივნეულად განვიცდიდეთ მის არსებობას. რომ შეეხედა საქართველოს ხელისუფლებას ოპოზიციისთვის მშვიდად, ლოიალურად, გაეთვალისწინებინა, აეწონ-დაეწონა მათი წინადადებანი, ყველაფერი რიგზე იქნებოდა. როცა ოპოზიციაში მტრებს არ დავინახავთ, ეს ნერვიული დაძაბულობაც მოიხსნება. თქვენ როგორ ფიქრობთ, განა არ იგრძნობოდა ოპოზიციის უმადური, ლამის თავისგადადების ფასად გაწეული მუშაობის კეთილი ნაყოფი? მოიგონეთ, რა ამბავი ატეხა ოპოზიციამ, როცა ბ-ნი აკაკი ასათიანი ლამის დაიხარა მოსკოვში ეკონომიკური და თავდაცვით ხელშეკრულებაზე ხელის მოსაწერად. „ვინც ხელს მოაწერს სამშობლოს მოღალატედ გამოცხადდესო“, იმეორებდა ოპოზიცია.

და განა ოპოზიციის დამსახურებაც არ არის, რომ ამ დასამხობად გამზადებულ იმპერიას ჩვენ ერთ ეკონომიკურ ბოძად არ შევუდექით და დროულად გამოვეცალეთ? განა, გვინდა თუ არ გვინდა ამის აღიარება, ოპოზიცია არ გაჰყვიროდა, სამაჩაბლოს ვუშველოთ, დროულად დავახმაროთ მოსახლეობას დამცველ მოხალისეთა რაზმები, თორემ საქართველოს ეს ისტორიული კუთხე ხელიდან გვეცლებაო? განა არ გვაფრთხილებდა ოპოზიცია, აფხაზეთში პროპორციული არჩევნები ჩავატაროთ და მოსახლეობის უმრავლესობის მიხედვით (როგორც წესი და რიგია) გავანაწილოთ ადგილები პარლამენტშიო? ჩვენ კი აუხსნელი საარჩევნო თეორიით (აფხაზებს 28 ადგილი, ქართველებს – 26) საქმე გავართულეთ და მთიელთა უკანონო რესპუბლიკის შექმნას, ჩვენი მხრივ, მწვანე შუქი ავუნთეთ. ხელისუფლება რომ ჯიუტად არ მდგარიყო „ჩემს სიტყვას არ გადავალ, პრესტიჟის საქმეა“ პოზიციაზე და პოლიტპატიმართა სიისთვის რამდენიმე მართლაც რომ უდანაშაულო კაცი, გამოეკლო, ან რადიოსა და ტელევიზიაში ზოგიერთი გამომსვლელისთვის ერჩიათ, ასე რადიკალურად და გამაღიზიანებლად, ასე კატეგორიულად ნუ ისაუბრებდნენ იმაზე, რაშიც მათ შედარებით ნაკლებად დაეჯერებათ, დაიქცეოდა ქვეყანა? რა მოხდებოდა, ერთი საათი მაინც დაეთმოთ ტელევიზიაში ოპოზიციისათვის და „საქართველოს რესპუბლიკა“ ოპოზიციურ გაზეთად არ ექციათ? მსოფლიოს კინოვარსკვლავები შუამდგომლობდნენ გ. ხაინდრავას გათავისუფლებაზე და პრეზიდენტი ისეთ სახეს იღებდა, თითქოს არაფერი გაეგონა. თუმცა შენი ხალხის დასახოცად ჩეჩენ სნაიპერებს რომ მოუხმობ, მერე რომელ ერის მამობაზე და მესიობაზეა ლაპარაკი?

ჩვენს ეროვნულ პარლამენტს არ მიუცია შეფასება თ. პატიაშვილის, გ. ჩორგოლაშვილის და მ. ურიდიას მიმართ ძალადობისადმი. განა პარლამენტს თავისი წევრი თვითონ არ უნდა დაეცვა? მე ვფიქრობ, ოპოზიცის ლანძღვის მარათონი რომ გავმართეთ, ამით ისარგებლეს ზოგიერთებმა და „კრემლის აგენტებისთვის“ ჭკუის სწავლება ამგვარი მეთოდებით სცადეს, ვერ კი მიმხვდარან, რომ ამით ხელისუფლების ავტორიტეტს უფრო მეტი ზიანი მიაყენეს, ვიდრე ოპოზიციონერებს.

მწერალთა კავშირი ლამის სამი წელია აღარ ფუნქციონირებს, მისმა ახლანდელმა ხელმძღვანელმა მუხრან მაჭავარიანმა ყველაფერი გააკეთა იმისათვის, რათა მწერალთა კავშირი ჩამკვდარიყო, როგორც თვალსაჩინო ეროვნული შტაბი. ამ შემოქმედებით კავშირში, ჩვენთვის სრულიად მოულოდნელად, პოეტმა კაცმა მუხრან მაჭავარიანმა დიქტატურა და უზურპაცია გაამეფა. თვით კი მლიქვნელობის, მწერლისთვის დამამცირებელ გზას დაადგა. ვერ აღმოჩნდა იგი მწერალთა ოჯახის ღირსეული ხელმძღვანელი. მუხრან მაჭავარიანის თავმჯდომარეობის პერიოდი სამარცხვინოა მწერალთა კავშირის მთელს ისტორიაში. მან დაშლა-გაუქმებამდე მიიყვანა მწერალთა კავშირი.

ამჯერად მთავარია დავამტკიცოთ ახალი წესდება. მწერალთა კავშირში უნდა იყოს ერთი ორი მდივანი, ისიც მორიგეობით, ერთი წლის ვადით და სექციების თავმჯდომარეები საზოგადოებრივ საწყისებზე. სხვა ხელმძღვანელი აპარატი საჭირო არ არის. როგორ შეიძლება მწერალი მწერლის უფროსი იყოს. ჩვენ, ყველანი, კოლეგები და ამხანაგები ვართ.

სამართლებრივმა სამსახურმა ყველაფერი უნდა იღონოს, რათა საქართველოს თავზე „კაენის სულის აღზევება“ არ მოხდეს. კანონმა უნდა იკანონოს, მოქალაქის უფლებები მაქსიმალურად უნდა დავიცვათ. წესრიგი უნდა დამყარდეს, მაგრამ არა ძალადობით. მოგეხსენებათ: „რომელი აღმაღლდეს მახვილითა, მახვილითვე წარხდეს იგი“. იურიდიულმა ინსტიტუტებმა დიდი როლი უნდა ითამაშონ, რათა მავანთ საშუალება არ მიეცეთ, გასაქანი მისცენ შურისძიებას და პირად ქვენა გრძნობებს. ახლა ისტორიული დროა. ერთი ეპოქა მეორით იცვლება. მრავლდება იდეურად გაკოტრებულთა და ლამის უფუნქციოდ დარჩენილთა რიცხვი. ახლა ყველაზე მეტად გვმართებს სიკეთის სხივებს მოვუხმოთ ჩვენს სულში. ადამიანებს სიცოცხლე არ გავუმწაროთ. უნდა გავითვალისწინოთ ათიან, ოციან ოცდაათიან და ორმოცდაათიან წლებში სამართლებრივი ორგანოების მიერ დაშვებული შეცდომები და სხვის ხელში მოსამართლე მარიონეტად ან, რაც უარესია, რობოტ-ჯალათად კი არ ვიქცეთ, არამედ, კეთილ შუამავლად და მომრიგებელ-მოსამართლედ.

დიახ. მე გონიერ საქართველოზე მოგახსენებთ. სამწუხაროდ, დიქტატურის პერიოდში სოციოლოგიურ ანალიზს ცუდი ამინდი ედგა. საზოგადოებრივი აზრი არავის აინტერესებდა, თორემ ერთი წუთით მაინც ჩააფიქრებდა ასეთი სავალალო სურათი: ნიჭიერი პროფესიონალები, ინტელექტით აღჭურვილი ადამიანები ერთ მხარეს იდგნენ, უნიჭო მედროვენი, ქოსატყუილა და ცრუბზუილა პირები კი მეორე მხარეს. არა, საქართველოს ორად გაყოფას მე

ვერ დავიჯერებ. ერი ადრე თუ გვიან ყველაფერს თავის სახელს დაარქმევს, ცილისწამება და ავანტიურა დიდხანს ვერ იბოგინებს.

მაინც რას ეფუძნება ჩემი ოპტიმიზმი?

ერის სულიერი ცხოვრების მდიდარ გამოცდილებას. როცა სათავე წმინდაა, წყალდიდობისას გაჩენილი მღვრიე შენაკადები მხოლოდ დროებით შერყვნიან მდინარის სიანკარეს. თქვენ რომ სამსაუკუნოვანი და სამოცდაათწლოვანი მონობის გრძელი პერიოდები იცით, ეს მხოლოდ გარეშე დამთრგუნველი ძალის შედეგი იყო. როგორც კი საქართველო გათავისუფლდებოდა, იგი მაშინვე იწყებდა ნათელ, კეთილ საწყისებზე დაფუძნებულ, სამართლებრივ სახელმწიფოდ ჩამოყალიბებას. ასე მოხდება ახლაც. მუდამ მჯეროდა, რომ ქართველი ერი მაღალკულტურული ერია და მას დიქტატურის მარყუჟს ვერავინ წამოაცმევდა. აკი ვერც წამოაცვა.

საქართველო ყოველთვის დიდი ყურადღებით უსმენდა მწერლის ხმას. ვერც კი წარმოვიდგენდი ჭეშმარიტი მწერლობის იგნორირებით, თუ ასე მოკლე დროში ლიტერატურისადმი გული გაუგრილდებოდა ფაქიზი გემოვნების მქონე, გულმოდგინე მკითხველთა ერთ ნაწილს. მოხდა სავალალო ფაქტი „უნიჭო შეუმცდარნი“ და „ნიჭიერი შემცდარნი“ დაჯარდნენ ლიტერატურაში. მაგრამ ეს მხოლოდ იმათი ფანტაზიის ნაყოფია, ვისაც წყლის ამღვრევა სურდა და თავის მხატვრული უსუსურობის დაფარვას ვითომდა მებრძოლის ნასხვისარი ფარაჯით ცდილობს. „ნიჭიერნი, მაგრამ შემცდარნი“ სინამდვილეში არ არსებობენ. ჭეშმარიტი ნიჭიერება მოკრძალებული და ხშირად უჩინარია, უნიჭობა კი უტიფრობაში გადადის ზოჯერ. ჩემ თვალწინ ბევრი ჩემი ნაცნობი გამასხარავდა თავისი უმწიფარი აზრების წამდაუწუმ ეთერში ფრქვევით.

15 იანვარი, 1991 წ.

მთავარია ეროვნული ფენომენის გაძლიერება

ქართული ეროვნული ფენომენის გაძლიერება დღეს საქართველოსთვის უპირველეს საქმედ მიმაჩნია. მე საზოგადოება „თვისტომის“ პრეზიდენტი გახლავართ და სწორედ აქეთკენ არის მიმართული ამ საზოგადოების საქმიანობაც. მეათასედ ვიმეორებ: თუ ჩვენი და ჩვენი „სტუმრების“ გამრავლების ტემპი ასეთივე დარჩა, ორმოცდაათი წლის შემდეგ საქართველოში ქართველ პრეზიდენტს ველარ ავირჩევთ, რადგან ქართველები სამშობლოში ეროვნულ უმცირესობათა შორის აღმოჩნდებიან.

ვისაც საქართველოს თავისუფლება პირადული კეთილდღეობისათვის უნდა, ვინც „ჩემს შემდეგ ქვა ქვაზე ნუ დარჩებას“ ეგოისტურ თეორიაზე დგას, მხოლოდ ის მედავება. ბრმა უნდა იყო კაცი, რომ ვერ დაინახო კარს მომდგარი ისტორიის ვეშაპი, რომელიც ეროვნული გაქრობით გვემუქრება. სხვათა შორის, ჩვენ იმპერია მშვიდობიანი დემოგრაფიული დაპყრობის ხერხითაც გვიტევს.

განა არ ვიცი საქართველოში ქართული ეროვნული ფენომენის გაძლიერებაზე ლაპარაკი მთლად მომგებიანი რომ არ არის მსოფლიო პოლიტიკის თვალსაზრისით.

პოლიტიკოსებმა თავიანთი საქმე თვითონ იციან, ჩემთვის კი სულ ერთი არ არის, ხვალ უმეტესობა ვინ იქნება საქართველოში: ქართველი, სომეხი, აზერბაიჯანელი თუ რუსი. თუ გნებავთ, ეს ვიწრო ნაციონალიზმში ჩამომართვით.

ამ თვალსაზრისით როგორ ვუყურებ საქართველოს ახალი ხელისუფლების საქმიანობას?

დიდი იმედით. ეჭვს ვინ შეიტანს ზვიად გამსახურდიას გულწრფელ სურვილებსა და პატრიოტულ განწყობაში, მაგრამ მე მინდა, შინაურმა თუ გარეშე ოპოზიციამ მას თავს არ მოახვიოს კოსმოპოლიტიზმის უნაპირობა, არ დაავიწყოს, რომ საქართველოს დემოგრაფიული ვითარება ფრიად სპეციფიკურია და „დიდი პოლიტიკის“ ქარბორიებს არ ეთანაწყობება.

თქვენ წარმოიდგინეთ, ამის საშიშროებაც არსებობს. მე პირადად მიუღებლად მიმაჩნია ის სამოქალაქო კანონი, სადაც გარკვევით არ წერია, რომ საქართველოს მოქალაქეობის მისაღებად სულ ცოტა ათი წელი მაინც უნდა ცხოვრობდე ამ მიწაზე, რომ მოქალაქეობის უფლება ქართული მიწის მიტაცების მცდელობით კი არა, მშვიდობიანი თანაცხოვრებით და ქართული ენა-კულტურის ცოდნით უნდა მოიპოვო. რა დასამალია, ჩვენ ამ ბოლო სამი წლის მანძილზე განუკითხაობის და ეთნოკონფლიქტების გამო ბევრი „მოძმე კავკასიელი“ შემოგვეხუტა. ზოგმა მათგანმა ქრთამით ჩაწერაც კი მოახერხა, ნუთუ ისინიც საქართველოს მოქალაქეებად უნდა ვაქციოთ? ჩემი აზრით, არა!

რაკი მოქალაქეობის კანონი პირველი მოსმენით (?!) მივიღეთ, მისგან გამომდინარე, მიწის კანონსაც პირველი მოსმენით თუ პირველი წაკითხვით ტაშისკვრით მივიღებთ. შედეგი: საქართველოს სო-

ფლებში დღეს ქართველი სამოც პროცენტზე ნაკლები ცხოვრობს. სწრაფგამრავლებად ორმოც პროცენტ სტუმარს ქართველი მიწის ორმოც პროცენტს სამუდამო საკუთრებად რომ დაუმტკიცებ, იცით, ამას რა მოჰყვება? – ჩვენს შვილიშვილებს მამასისხლად გამოსასყიდი გაუხდებათ ქართული მიწა. თავი დავანებოთ იმ ეკოლოგიურ უბედურებებს, რაც ქართულ მიწაზე გადამთიელმა დაატრიალა, რაკიღა ამ მიწას უყურებს როგორც გამდიდრების წყაროს და არა მამაპაპურ მემკვიდრეობას.

გაიარა სისტემის შეცვლით გამოწვეულმა აღტყინებამ, მიტინგების პერიოდმა და დამოუკიდებლობის დეკლარირების ეიფორიამ, ქვეყანამ საქმე მოგვთხოვა, რა მივეცით წყეული კომუნისტური რეჟიმის ნაცვლად: პიროვნების თავისუფლება? – არა, ეკონომიკური კეთილდღეობა? – არა, რეალური დამოუკიდებლობა? – არა და არა. მაშ?

ქართველი კაცი ვერც იმით გავახარეთ, რაც ჩვენზეა დამოკიდებული. ვინ იფიქრებდა ხალხის მიერ არჩეული ხელისუფალნი ერთმანეთს ძველი პოლიტიკური ლექსიკონიდან ამოღებულ ტერმინებს „ხალხის მტერს“ და „მავნებელს“ დაუძახებდნენ? ვინ იფიქრებდა უსახსრობით გამწარებულ ინტელიგენტს „პარაზიტად“ გამოაცხადებდნენ, ორ ადგილას ხელფასს რატომ ღებულობ ან რუსთაველზე გაუმართავი მანქანით რატომ დადიხარო? ნუთუ თვალების ბრიალი, განდიდების მანია და რეპრესიები კომუნისტური ტირანიიდან მემკვიდრეობით უნდა გადმოგვყოლოდა თავისუფალ საქართველოში?

გულგატეხისგან ღმერთმა დაგვიფაროს, მჯერა, რომ წელში გავიმართებით და ისტორიის ამ ძნელ მოსახვევსაც გავივლით, მაგრამ აუცილებელია დემოკრატიული ქვეყნის ცხოვრებით ვიცხოვროთ. მხოლოდ ერთმანეთის ნაკლზე მითითებით და ჭეშმარიტი კრიტიკის ატანით მივაღწევთ პროგრესს. ცხოვრება ყოველდღიურად იცვლება. არ შეიძლება ყოველ ცისმარე დღე ამოვიღოთ სკივრიდან ათი-თხუთმეტი წლის წინათ დაწერილი ჩვენი წერილები და საბოლოო ჭეშმარიტების პრეტენზიით, მოწინავე წერილებად ვაბეჭდვინოთ ჩვენდამი დაქვემდებარებულ გაზეთებს. არ შეიძლება ეჭვის თვალით ვუცქიროთ ყველას და ყველაფერს. არ შეიძლება ცხვრის ტყავში გახვეული მგელი ვერ შევნიშნოთ და მწვანე გზა მივცეთ იმ მაფიებს, კომუნისტური რეჟიმის დროსაც სულს რომ უხუთავდა პატიოსან ხალხს.

რაც შეიძლება სწრაფი ტემპით უნდა გავიაროთ ანარქიის ეს მეტად საშიში პერიოდი. ხალხმა საკოლმეურნეო ქონება დაიტაცა.

ბაზარზე და მაღაზიებშიც ვინ რას რა ფასად ყიდის, კაციშვილი არ კითხულობს. საწყალ კაცს უფრო და უფრო უჭირს ცხოვრება. ამას ერთი კაცი ვერ გასწვდება. ხომ არ დადგა დრო, „მივაშველოთ ავთანდილი ტარიელს?“

საქართველოს ხელისუფლება საუკუნეების მიღმა დიპლომატიის სასწაულებს ახდენდა კავკასიის ხალხებთან ურთიერთობაში. ქვეყნის ხელმძღვანელი დიდი გამჭრიახობითა და მიმტევებელი ბუნებით უნდა გამოირჩეოდეს, მაგრამ არასწორად მიმაჩნია სომხეთთან გენეტიკური ერთიანობის თეორიით და ჟურნალისტის დარბაზიდან გაძევების პრაქტიკით ქვეყნის მართვა.

ზვიად გამსახურდია უდიდესი მწერლის შვილია. თავად მას, როგორც ერის წინამძღოლს, ბევრი ძვირფასი თვისება გააჩნია. უშიშარია, განსწავლული და სამშობლოს ერთგული. მაგრამ მე მას ვურჩევ „ასჯერ გაზომე და ერთხელ გაჭერი“ გაიხადოს ცხოვრების სიბრძნედ, მსტოვარ-დამსმენთ გულისყური არ ათხოვოს, აგრძნობინოს ქება-დიდების საღერღელაშლილ ადამიანებს, რომ მისგან კულტს ნუ შექმნიან. საქართველოს ახალი კულტი არ სჭირდება.

ახლა მთავარია ეროვნული ფენომენის გაძლიერება. უნდა ვიზრუნოთ რომ სულ რაღაც ათეული წლის შემდეგ საქართველოში ქართველი ეროვნულ უმცირესობათა შორის არ აღმოჩნდეს, თორემ ყველაფერი დაღუპულია, თუნდაც აბსოლუტურად თავისუფალ საქართველოს საქართველო აღარ ერქმევა, თუ მისი მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობა სტუმარი ერების უმრავლესობით განისაზღვრება. დროა აქეთკენ მივმართოთ ჩვენი ძალისხმევა.

საჭიროა, არ დავუშვათ სხვა ეროვნების წარმომადგენელთა მასობრივი იმიგრაცია, გავამაგროთ საზღვრები, გავატაროთ მოქალაქეობის კანონი, ავამუშაოთ ერის გამრავლების მექანიზმები. ხელი შევუწყოთ „ქართული კულტურის დომინანტს“ საქართველოში.

11 სექტემბერი, 1991 წ.

„მე ოპტიმისტი ვარ“

ღმერთმა ნუ ქნას, რომ ქართული სკოლა, იაკობ გოგებაშვილის ლიბოჩადგმული სკოლა, გამოუვალ მდგომარეობაში აღმოჩნდეს. მაგრამ, პედაგოგთა წუხილი ჩემთვის აბსოლუტურად გასაგებია.

დღეს სკოლა მართლაც უმძიმეს მდგომარეობაშია. ადრე ლაპარაკი იყო სკოლის რეფორმაზე, მე მაშინაც გამოვთქვი ჩემი სკეპტიკური დამოკიდებულება იმიტომ, რომ სათანადო ბაზებისა და ეკონომიკური საყრდენების გარეშე რეფორმა, მოგეხსენებათ, შეუძლებელია. ხელოვნური გალამაზება რადიკალური ცვლილებების მოხდენის გარეშე, რა თქმა უნდა, რეფორმა არ არის. მერე რეფორმის მორევში უკომპასოდ შეცურებულ განათლების სისტემას მოუსწრო საქართველოს ეროვნულმა გამოღვიძებამ. როცა მომავალი საქართველოს ჭეშმარიტი პატრონის სულიერ-ფიზიკური ჩამოყალიბების ნაცვლად ზოგიერთები ცდილობდნენ მოწაფეთა გამოყენებას თავიანთი ამბიციური პოლიტიკური მიზნებისათვის, მერე როცა დამოუკიდებლობის დეკლარაციით სცადეს განმათავისუფლებელი მოძრაობისათვის ზღვარი დაედოთ, გამოაცხადეს სკოლის აბსოლუტური დეპოლიტიზაცია. ეს, რა თქმა უნდა, სწორია, მაგრამ დეპოლიტიზაცია ისე არ უნდა გავიგოთ, რომ სკოლაში სულიერმა ანარქიამ დაისადგუროს და მოზარდის გონება არ გავამდიდროთ სიკეთისა და სამშობლოს სიყვარულის მაღალი იდეალებით. სამართლიანად გაუქმდა პიონერული ორგანიზაციები და კომკავშირი, მაგრამ მე ვფიქრობ, ამ კომუნისტური ორგანიზაციების ნაცვლად სკოლაში კოლექტივიზმის, ურთიერთმეგობრობის საერთო საქმისადმი სამსახურის გრძნობების გაღვივების მიზნით, რაღაც სხვა საშუალებები უნდა მოვძებნოთ. თორემ იცით რა გამოდის? გაკვეთილი მთავრდება და ბავშვები ბრუნდებიან სახლში (უკეთეს შემთხვევაზე მოგახსენებთ). სკოლა თითქმის ჩაკვდა, აღარ არის შეკრებები, აღარ არის თუნდაც კულტურის ძეგლთა აღსადგენი რაზმეულებიც კი. ჩაკვდა თვითშემოქმედება. მარტო გაკვეთილის ამარა დარჩენილი სკოლა კი თავის ღვთიურ დანიშნულებას ვერ შეასრულებს.

სამწუხაროდ ასეთი ვითარებაც შეიმჩნევა: სკოლაში გამეფებული ერთფეროვნების გამო არამარტო მოსწავლეს გაუტყდა გული გაკვეთილის მიმართ, ზოგიერთი მასწავლებელიც კი ინდიფერენტული გახდა თავისი მოვალეობისადმი. არამარტო მოსწავლეს არ უნდა ისწავლოს, თქვენ წარმოიდგინეთ, მასწავლებელიც აღარ ასწავლის ძველებური ენთუზიაზმით.

რასაკვირველია, მე გამონაკლისებზე ვამბობ, მაგრამ ისეთ გამონაკლისებზე, რაც უკვე საგანგაშოა. მოსწავლის მიერ გულის აცრუება გაკვეთილისადმი სხვა მიზეზებთან ერთად იმან გამოიწვია, რომ ჩვენ დიფერენცირებული სწავლება სათანადოდ ვერ განვახორციელეთ, ხოლო მასწავლებლის გულის გატეხვას თავისი ღრმა

სოციალური მიზეზები აქვს; დაიღალა ჩვენი სკოლა ცრუ დაპირებებით, დაიღალა განუხორციელებელი გეგმებით და პროგრამებით, დაიღალა, პირდაპირ რომ ვთქვათ, ტყუილით ოფიციალური ხელისუფლების მხრიდან, რასაც ჩვენი სკოლის მესვეურები კომუნისტური და არაკომუნისტური ხელისუფლების დროს ყოველი ფეხის ნაბიჯზე აწყდებოდნენ. განახორციელებდნენ ცრუ რეფორმებს და სკოლა ბოლოს გაახსენდებოდათ. თითქოს იგი მეორეხარისხოვანი საქმე იყო. განათლების სამინისტრო ურთიერთსაწინააღმდეგო ურთიერთგამომრიცხავი დირექტივებით ათეული წლების განმავლობაში ხელმძღვანელობდა. იმ უბრალო მიზეზების გამო, რომ მინისტრების უმეტესობას ბოლო დრომდე სკოლასთან მხოლოდ ის კავშირი ჰქონდათ, რომ სკოლა ჰქონდათ დამთავრებული. და ბოლოს და ბოლოს ისიც ხომ ფაქტია, რომ სკოლის მუშაკი ჩვენს საზოგადოებაში სოციალურად ყველაზე უფრო დაუცველი პიროვნებაა.

რა თქმა უნდა, საყოველთაო განათლების ყბადაღებული პრინციპების გამოყენებამ ჩვენს სკოლას დიდი ზიანი მიაყენა და მისი უკუგდება ჩვენი ეროვნული სკოლის მონაპოვარია, მაგრამ სკოლის სრული დეპოლიტიზაციისა არ იყოს, აქაც მეორე უკიდურესობაში ჩავვარდით. თუ ადრე ე. წ. განთესილ ბავშვებს მასწავლებლები შინ აკითხავდნენ და ქუჩა-ქუჩა დაეძებდნენ, რადგანაც სკოლის გარეთ დარჩენილი მოზარდი უდიდეს „ხარვეზად“ ეთვლებოდათ, დღეს, ვისაც სწავლისათვის შესაფერისი ინტელექტი და ზნეობრივი მონაცემები არ გააჩნია, მშვიდად ისტუმრებენ სკოლიდან. მერე? ბავშვი ქუჩაში რჩება. ქუჩაში დარჩენილი მოზარდი კი ტრაგედიაა. მას ათასი ცუღლუტური ფიქრი მოსდის თავში და ნურავის გაუკვირდება თუ მათი არაერთი წარმომადგენელი დამბაჩამომარჯვებული ყაჩაღობს და ათას სისაძაგლეს სჩადის. თუ სკოლის მიღმა დარჩენილს ყურადღებას მოვაკლებთ, მას სათანადოდ არ დავასაქმებთ, ან თავისი შესაძლებლობების გამოვლენის პირობებს არ შევუქმნით, ჩვენ დანაშაულს ჩავიდენთ ახალგაზრდა კაცის წინაშე სწორედ იმ ასაკში, როდესაც მას ყველაზე მეტად სჭირდება ყურადღება და მზრუნველობა.

ჩვენი სკოლის აქილევსის ქუსლი სახელმძღვანელოების უქონლობა გახლავთ.

ეროვნული სკოლის კონცეფციის არაერთი ლამაზად დაწერილი მუხლი წამიკითხავს და ბედნიერება იქნებოდა ცხოვრებაში მათი გატარების მომსწრეც რომ ვყოფილიყავი. მაგრამ როგორც ბევრი რამ, უკანასკნელ წლებში ეს კონცეფციაც ქაღალდზე დარჩა.

ე. წ. საბჭოთა სკოლის უარყოფის შემდეგ სულიად ბუნებრივია სახელმძღვანელოები ერთბაშად მოძველდა, განსაკუთრებით ჰუმანიტარულ საგნებში. საჭირო გახდა ახალი სახელმძღვანელოები. საბუნებისმეტყველო და მათემატიკურ საგნებში საქმე შედარებით იოლი ჩანდა, რადგანაც დასაწყისი ეტაპისათვის საკმარისი იყო უცხო ენებზე შექმნილი სახელმძღვანელოების თარგმნა და ქართული სკოლებისათვის მათი მისადაგება. სამაგიეროდ, ჰუმანიტარულ საგნებში ურთულესი პრობლემების წინაშე აღმოვჩნდით. დამეთანხმებით, რომ სათანადო სახელმძღვანელოები დღემდე არა გვაქვს და მისი შექმნისათვის თუ ისე ვიზრუნებთ, როგორც აქამდე, კარგა ხანსაც არ გვექნება. პატარა მაგალითს მოგახსენებთ ჩემი პრაქტიკიდან. ამას წინათ განათლების სამინისტროში დაგვიძახეს და გვითხრეს ქართული ენისა და ლიტერატურის მეთოდსაბჭოს წევრები ბრძანდებით და სახელმძღვანელოს შექმნაში უნდა მოგვეშველოთო. აქამდე რა გაკეთდა-მეთქი – ვიკითხე. აქამდეო, სამი-ოთხი ჯგუფი უკვე ხუთი წელია წერს სახელმძღვანელოებს, მაგრამ დღემდე ამაოდ ველით განათლების სამინისტროში სახელმძღვანელოებსო. დავპირდი, გადავდებ ყოველგვარ საქმეს, შევქმნი პროფესიონალ ლიტერატორთა ჯგუფს, დღედაღამეს გავასწორებ და გაძლევთ პირობას, რომ რვა თვეში უახლესი ქართული ლიტერატურის, ე. ი. (X–XI კლასის სახელმძღვანელო) თქვენს მაგიდაზე იქნება-მეთქი. მართლაც იქვე საბჭოს სხდომაზე შევადგინეთ ორი ჯგუფი, რომელთაგან ერთი იმუშავებდა თეორიულ სახელმძღვანელოზე, მეორე ქრესტომათიაზე. საჭირო იყო წინასწარ პროგრამის დამტკიცება საბჭოზე. ეს პროგრამაც შევადგინეთ. საბჭომ მოიწონა და დაამტკიცა. გავიდა რამდენიმე თვე და როდესაც სამუშაოს დიდი ნაწილი შესრულებული გვქონდა, სამინისტროდან მოულოდნელად დამირეკეს: ბატონო რევაზ, ბოდიში უნდა მოგიხადოთ, მაგრამ სახელმძღვანელოს ავტორთა ძველი ჯგუფები გავაუქმეთ, ახალი შევქმენით თქვენ სახელმძღვანელოზე მუშაობას ნუღარ გააგრძელებთ, რადგანაც არათუ ავტორთა კოლექტივის ხელმძღვანელი, არამედ საბჭოს წევრიც აღარ ბრძანდებითო.

როგორ ფიქრობთ, ამ გზით შეიქმნებოდა სახელმძღვანელოები? როცა საქმეს პროფესიონალიზმი კი არა, პირადი სიმპათია-ანტიპათიები განსაზღვრავს. მე ვფიქრობ იქ, ერისათვის სასარგებლო და საშვილიშვილო საქმე არ გაკეთდება.

რა ვითარებაა უმაღლეს სკოლაში?

უნივერსიტეტის თანამშრომელი გახლავართ და შემიძლია უნივერსიტეტის მაგალითზე მოგახსენოთ. უმაღლესი სასწავლებელი სკოლიდან გადმოცემულ ესტაფეტას აგრძელებს. ამიტომ, თუ სკოლიდან ჯანსაღი, სათანადოდ მომზადებული თაობა არ წამოვიდა, უმაღლესი სასწავლებელი უმწეო აღმოჩნდება. მთელი პასუხისმგებლობით უნდა გითხრათ, რომ მეამაყება სტუდენტ-ახალგაზრდობასთან ურთიერთობა. უკანასკნელ ხანებში საყოველთაოდ გახდა ცნობილი, რომ ჩვენ უაღრესად ერუდირებული, პრინციპული, ამაყი და ეროვნული საქმეების კეთებისათვის მზადმყოფი სტუდენტობა გვყავს. დღეს სტუდენტობა ჭეშმარიტად დიდი სოციალური ძალაა. მივესალმები უმაღლესი სასწავლებლისათვის ავტონომიის მინიჭებას. სწორად მიმაჩნია დროებითი ხელისუფლების ის ღონისძიებებიც, რომ უნივერსიტეტისა თუ ინსტიტუტის რექტორებს თავად უმაღლესი სასწავლებლები ირჩევენ. თქვენ არ გიკითხავთ, მაგრამ მე უნდა გიპასუხოთ, რომ ამ ბოლო ხანს განსაცვიფრებელი ერთგულებით მობრუნდა ჩვენი ახალგაზრდობა წიგნისა და აუდიტორიისაკენ. გუშინწინ უახლეს ქართულ ლიტერატურაში ფილოლოგიის მე-5 კურსთან გამოცდა მქონდა და ფრიად ნასიამოვნები დავრჩი მათი ცოდნის დონით. აუდიტორიები კვლავ გაივსო სტუდენტებით, მათ საოცარი პასუხისმგებლობა იგრძნეს დროისა და ეპოქის წინაშე და დარწმუნდნენ, რომ საზოგადოებაში მათ ადგილს მათი პროფესიული დაოსტატება დიდად განსაზღვრავს. წარსულს ჩაბარდა სტუდენტების უმეცრებად გამოცხადება და მათი, როგორც საზოგადოების ავანგარდული ნაწილის, იგნორირების მავნე ტენდენციები. მე ოპტიმისტი კაცი ვარ და ჩვენი, როგორც საშუალო, ასევე უმაღლესი სკოლის მომავალი იმედით მავსებს.

12 თებერვალი, 1992 წ.

ნუთუ ყველაზე გულჩვილნი ჩვენ უნდა აღმოვჩნდეთ?

ამას წინათ ვლადიკავკაზში მცხოვრებმა ქართველმა, რევაზ გვრიტიშვილმა, შემომჩივლა: ოსებმა ყველაფერი წამართვეს, უბინაოდ დავრჩი. ჩემს სახლში სამაჩაბლოდან ლტოლვილი ოსები შეასახლეს, მე კი დავკარი ფეხი და თქვენ მოგაშურეთ, უნდა დამეხ-

მაროთო. მადლობა ღმერთს სხვებიც უსმენდნენ ჩვენს საუბარს და შეთხზვა გულისამაჩუყებელი ამბისა, არ დამჭირვებია. ხომ ხედავთ, ქართველებს უბოდიშოდ სახლ-კარს ართმევენ ჩემი „მეგობარი“ ოსები და ეუბნებიან, მოუსვი აქედანო.

ყოველ ღონეს ვიხმართ, რომ გვრიტიშვილს თავშესაფარი აღმოვუჩინოთ. ასეთები ყოველდღიურად ათობით მაკითხავენ. სხვათა შორის, შარშან „თვისტომის“ სახელით მივმართეთ ჩრდილოეთ ოსეთში მცხოვრებ ქართველებს და იქიდან მხოლოდ სამი მოქალაქე გამოგვეხმაურა, და სამივემ მხოლოდ თბილისში, რუსათველის პროსპექტზე მოინდომა დასახლება. კიდევ ერთხელ ვრწმუნდები, რომ „თვისტომის“ პოზიცია – მოსახლეობის ეროვნული ნიშნის მიხედვით გაცვლა-გამოცვლის შესახებ სწორია, ოღონდ ვთხოვ ჩრდილოეთ ოსეთიდან ლტოლვილ ქართველთ დასახლდნენ სამაჩაბლოში. სწორედ იქ გვჭირდება უმთავრესად ქართული ფენომენის გაძლიერება.

ახლა საქართველოში ორმოცი პროცენტი სტუმარი ცხოვრობს. საქართველო საუკუნეების განმავლობაში არაერთ იმპერიას ჰქონდა დაპყრობილი, მაგრამ უცხო ერების ავტონომიების გაჩენა ქართულ მიწაზე რუსეთის იმპერიის გარდა ფიქრადაც არავის მოსვლია. სწორედ ეს უკანონო ავტონომიებია ჩვენი დღევანდელი უბედურების თავი და თავი.

მაშ ასე, საქართველოს ტერიტორიაზე უკანონო ავტონომიების გაუქმება – ეს არის გამოსავალი. სხვა ყველაფერი საკითხის დროებით მიფუჩეჩება იქნება.

სომხებმა და აზერბაიჯანელებმა ეს საკითხი შარშან სამ დღეში გადაწყვიტეს. არ მოუკლავს მსოფლიოს თავი იმაზე, რომ სომხებმა და აზერბაიჯანელებმა მოსახლეობა ერთმანეთში გაცვალეს.

სხვათა შორის ჩვენს მეზობელ ამ ქვეყნებს ისეთი საშიში დემოგრაფიული სიჭრელე არ ჰქონიათ, როგორ ჩვენ გვაქვს. მე კარგად მესმის, რომ ეს ნაბიჯი მთლად დემოკრატიული არ გახლავთ, მაგრამ ჩვენ სხვა გზა არა გვაქვს. თუ ასე გაგრძელდება, ორმოცდაათი წლის შემდეგ საქართველოში ქართველები ეროვნულ უმცირესობათა შორის აღმოვჩნდებით.

ამიტომ მაქსიმუმ ორი წლის განმავლობაში მშვიდობიანად უნდა გავაცილოთ საქართველოდან სტუმარ ერთა ჭარბი მოსახლეობის დაახლოებით 90 პროცენტი.

თქვენ წარმოიდგინეთ ერთი წლის წინათ გფრ-მ ოთხმოცდათხუთმეტი ათასი თურქი დააბრუნა სამშობლოში, შარშან სექტემბერში იტალიამ ორმოციათასა ალჟირელს უჩვენა გზა ალჟირისაკენ, ხოლო ახლახან, თვე-ნახევრის წინ მშვიდობიანმა და წყნარმა შვეციამ ოცდარვაათასი თურქი გაასახლა შვეციიდან ერთი კვირის განმავლობაში. ნუთუ ყველაზე გულჩვილნი ჩვენ უნდა აღმოვჩნდეთ? ნუთუ, უნდა შევურიგდეთ საქართველოს დაქცევას? ხომ ხედავთ, რა საოცარი ენერგიით ებღაუჭება გადამთიელი ქართულ მიწას. მოვკვდები და არ წავალ აქედანო, ბრძანებს ოსი და ჩვენს მიწაზე სამკვდრო-სასიცოცხლო ომს გვიცხადებს.

ავღანეთის ომი, მოგეხსენებათ, პოლიტიკური სიბეცის შედეგი იყო, რომელსაც უაზროდ შეეწირა ათასობით ახალგაზრდა, მათ შორის საქართველოს შვილებიც.

ავღანეთის ომი პირველი დაპყრობითი ომი როდი იყო ე.წ. საბჭოთა იმპერიისა, მაგრამ ამ ომმა ყველაზე უკეთ გამოამჟღავნა ჩვენი იმპერიის სიდამპლე. იმპერიამ ფაქტობრივად წააგო ომი ლამის ერთ მუჭა (ჩვენთან შედარებით), მაგრამ თავისი მიწის დასაცავად აღმსდგარ, შეუპოვარ ავღანელ პატრიოტებთან.

მართალია, „საბჭოთა ჯარისკაცი“ მსოფლიოს არმიათა პროგრესული სტატუსით დამპყრობლის მანტიით შევიდა ისტორიაში, მაგრამ რანაირად შემიძლია დამპყრობელი ვუწოდო ომში ბრძანებით, ძალად ჩათრეულ ქართველ ყმაწვილებს. სხვა არა იყოს რა, ქართველი კაცის ბუნება არ იძლევა დამპყრობლის, აგრესორის არავითარ ნიშანს.

რაც შეეხება ავღანეთის საკითხს მხატვრულ ლიტერატურაში, მგონი, მე ვარ ერთადერთი ქართველი მწერალი, რომელმაც დავწერე და ამ ორი წლის წინათ „ცისკარში“ გამოვაქვეყნე ნოველა ავღანეთიდან დაბრუნებულ ქართველ ინვალიდ ჯარისკაცზე. ეს ნოველა სახელწოდებით „მარტივი გავრცობილი წინადადება“ – შესულია ჩემს ახალ წიგნში „განაჩენი“.

ცენტრალური ტელევიზიის ერთ-ერთ ცილისმწამებლურ ინფორმაციაში „ავღანელები“, ქართველი „ბაევიკებად“ მონათლეს.

დარწმუნებული ვარ ავღანეთის ვეტერანთა საქართველოს კავშირს ახლანდელ ეროვნულ ომში ქართული მიწის დასაცავად რომ გაგვიმართავს, ეროვნულ გვარდიასა და ქართულ მილიციასთან ერთად ყველაზე დიდი სარგებლობის მოტანა შეუძლია.

სხვა არა იყოს რა, მათ ხომ საომარი გამოცდილება აქვთ და მკერდში საქართველოსათვის ატკივებული გული უცემთ. მე ვიცი,

როგორ ისახელეს თავი ქართველმა „ავღანელებმა“, რომლებიც ქართული მილიციის მხარდამხარ იბრძოდნენ, ოსი სეპარატისტების ასალაგმავად. მე ვფიქრობ, მამაცი კავშირი კვლავაც არაერთგზის იტყვის თავის სიტყვას.

რაც შეეხება მონოდებას იარაღის მასობრივი ჩაბარების შესახებ, ჩემს პირად თვალსაზრისს მოგახსენებთ, მე ამ თეორიას მთლიანად ვერ გავიზიარებ. ერთმანეთისაგან უნდა განვასხვაოთ ეროვნული შეიარაღებული ფორმირებანი და ყაჩაღთა ბანდები. წარმოიდგინეთ, რომ დავით აღმაშენებელს ეთქვა: ხმალი და ხანჯალი არ დავუნახო არც ერთ ქართველს წელზე, დაუყოვნებლივ ჩაგვაბარეთო. პირიქით, ახლა ისეთი დროა, რომ ყველა ქართველი უნდა შეიარაღდეს თუნდაც თავდაცვის მიზნით. ოღონდ მე, მწერალი, ვურჩევ ყველას, ეს იარაღი საკუთარ მოძმეთა წინააღმდეგ არ მიმართოს.

ამ სამოცდაათი წლის განმავლობაში საქართველოს პირველად მოუწია დამპყრობთაგან თავისი მიწის უშუალოდ დაცვა სამაჩაბლოში.

სამწუხაროდ, მხოლოდ ნაწილობრივ გაამართლა ჩემი იმდები ქართულმა მილიციამ. საერთოდ, მადლობა უნდა ვუთხრა ჩვენი შინაგანი სამინისტროს პირადი შემადგენლობის იმ ნაწილს, დღესაც ვაჟკაცურად რომ აცხადებს – ჩვენი მიწის არც ერთ მტკაველს ოს გადამთიელს ცოცხალი თავით არ დავუთმობო.

აქვე უნდა მოგახსენოთ, რომ თურმე იმპერიამ სამშობლოს დაცვის ნერვი მოადუნა ჩვენში. გადავჩვევივართ ბრძოლას.

არაერთგზის ვესაუბრე სამაჩაბლოდან გამოქცეულ ქართველ მამაკაცებს: ნუთუ სინდისის ქენჯნას არ გრძნობთ თქვენი სახლკარი ასე სამარცხვინოდ რომ მიატოვეთ-მეთქი. გასაგებია ქალების, მოხუცებისა და ბავშვების ევაკუაცია, მაგრამ თქვენ როგორ ეგუებით ამ სასტუმროების ფოიეში ჯდომას, როცა თქვენს სახლებში ოსი ყაჩაღები პარპაშობენ-მეთქი.

იცით ზოგმა რა მიპასუხა? მე თუ მოვკვდი და ცოლ-შვილი თუ ამიწიოკეს, არც სამაჩაბლო მინდა ასეთი და არც საქართველოო. თავს ხომ არ შევაკლავ მიწის გულისთვისო.

შემზარა ამ დედლურმა განცხადებამ.

ხედავთ, როგორ მოგვრევია ქონი გულზე?

ერთმა ყინჩად გამომიცხადა: იარაღი არ გვქონდა და იმიტომ გამოვიქეცითო. ქართული სკოლა რომ დაგიწვეს, მივეპარებოდი შუაღამისას და ოსურ სკოლას დავწვავდი-მეთქი, მივუგე. ჯერ თავი

ჩაქინდრა და იმწამსვე იპოვა „გამოსავალი“: ბატონო რევაზ, ცუდს ცუდითვე ხომ არ გადავუხდიდითო. ეს ცვედნური, არავაჟკაცური „გამოსავალია“.

საიდან მოვიდა, საიდან დამკვიდრდა დავით აღმაშენებლის შთამომავლის ფსიქიკაში ეს სილაჩრე?

ქართველი დედა ომში ცხრა შვილს აგზავნიდა და ცხრავე შვილის სიკვდილს მამულის თავისუფლებისათვის ბრძოლაში ლამის შეგუებული იყო („თუ ამას გავიგონებდი, არ ვიტირებდი მკვდრებზედა“).

ჩვენ? ოღონდ მე არ ვემსხვერპლო, მე არაფერი მომივიდეს, ჩემს შვილს ზიანი არ მიადგეს და რა ვქნა, რაც იქნება იქნებაო... ეს განწყობილება უშველის, ეს დაიცავს ქვეყანას?

ახლა საჭიროა ეროვნულმა გვარდიამ, მილიციამ, ავღანელთა კორპუსმა გვერდით ამოიყენოთ სამაჩაბლოდან გამოქცეული, კურდღლებივით შეშინებული ქართველი მამაკაცები და დაიკავოთ ქართველთა მიტოვებული სახლები, რათა ოს ექსტრემისტებს არ მისცეთ შიგ გამაგრების საშუალება.

ყველა სახლი ციხე-სიმაგრედ უნდა იქცეს.

4 თებერვალი, 1991 წ.

დამოუკიდებლობის ურემი შინ მიტანილი ნურავის ჰგონია

ამასწინათ უნივერსიტეტის ეზოში უცნობმა მამაკაცმა შემაჩერა და ყოველგვარი მიკიბვ-მოკიბვის გარეშე მითხრა:

ჩამოვსხდეთ მერხზე, უნდა გეკამათოთო.

პოლიტიკაზე-მეთქი? შიშით ვკითხე.

დიახ, პოლიტიკაზეო.

ყველაზე ადვილი იყო, ბოდიში მომეხადა და გავრიდებოდი. მე პოლიტიკოსი არ გახლავართ, კომპეტენტური ვერ ვიქნები, სხვა მოძებნეთ-მეთქი, მაგრამ ჩემს თავს გამოვუტყდი, რომ ამის უფლება არ მქონდა. სკეპტიკურად კი თავიდანვე განვეწყე, რაკიღა დღემდე ვისაც ვეკამათე, ვერავინ ვერაფერში დავარწმუნე. იოტისოდენადაც ვერ შევაცვლევინე ის შეხედულება, რითაც კამათი დამიწყო. ამი-

ტომ გადავწყვიტე, არ ღირს ენის სარსალი იმაზე, რაც უშედეგოა-მეთქი, მაგრამ ამჯერად გავტეხე სიტყვა. კაცი მოვიდა და თავის სიმართლეში დარწმუნება სურს. რა უფლება გაქვს ხელი აუქნიო და გაეცალო.

ვილაპარაკეთ დაახლოებით ორ საათს.

კამათი ისე დასრულდა, როგორც მოველოდი.

ორი ქართველი კიდევ უფრო დავშორდით ერთმანეთს. იგი ჩემთვის ღრმა უცნობად დარჩა, მე მისთვის აკვიატებული აზრების პატრონ რევაზ მიშველაძედ.

უცნობის შედეხულებანი:

კმაყოფილი ხარ, რაც ხდება? ეს გსურდათ? ეს არის თქვენი დემოკრატია? კანონიერი პრეზიდენტი გააქციეთ. კანონიერი პარლამენტი გარეკეთ. პრეზიდენტის და მისი მომხრეების ლანძღვა-გინების კორიანტელი დააყენეთ. თანამდებობებზე მხოლოდ ყოფილ კომუნისტურ ელიტას უხმობენ. მთავრობის დროებითმა ხელმძღვანელმა შეთქმულების მონაწილე თავისი ამქრის წევრთა სია ჩამოწერა და საკონსულტაციო საბჭოდ მონათლა. გაქცეული პრეზიდენტი გიჟად და მისი ზოგი მინისტრი ხაზინის ქურდად გამოაცხადეს. მშვიდობიან დემონსტრანტებს ტყვიას ესვრიან და მეორე დღეს აცხადებენ: ცეცხლი თვითონ გაგვიხსნესო. ხომ ყოფილა მართალი ზვიადი, ყოველ ღამე რომ გაჰყვიროდა, ამხილეთ, გამანადგურებინეთ ოპოზიცია, თორემ მთავრობის სახლზე თავდასხმა მზადდებაო. განა ისეთი რა დააშავეს ქორიძემ, პეტრიაშვილმა და სხვებმა, შიშით სახლიდან ცხვირი რომ ვერ გამოუყვიათ ამ „დემოკრატიული ხელისუფლების“ ხელში? ხომ ხედავთ, წყალს რომ მიაქვს ჩვენი დამოუკიდებლობის ზვიადისეული მონაპოვრები? აკი მშვენივრად ეახლა ურდოს თენგიზ სიგუა და სამოკავშირეო ხელისუფლებას კბილი მოუსინჯა? აკი არაერთგზის ითქვა ტელევიზიის ეკრანიდან რუსის ჯარს სტატუსი შეეცვალა, იგი ოკუპანტი არმია აღარ არისო? მაშ, რა არის? იქნებ არც ჩვენ ვართ დაპყრობილი ქვეყანა? თუ ზვიადი ვერ იტანდა განსხვავებულ აზრს, თქვენ კი ვარდად გეფინებათ გულზე? რა ამბავი დაატეხეთ „ქარტია-91“-ს დემონსტანტთა დახვრეტა რომ არ მოგიწონათ. კარიერისტები, უსკამოდ დარჩენის გამო განაწყენებულები, დივიდენდებს გამოდევნებული უმწიფარა პოლიტიკოსები უწოდეთ. რაო? თქვენ უკეთესი გზით მიგყავთ ქვეყანა? პური და ტრანსპორტი გააძვირეთ, შევარდნაძეს გუნდრუკს უკმევთ და მსოფლიო დიპლომატიის ყველა მონაპოვარს ამ ბოლო ათწლეულში მამათელ პოლიტიკოსს მიაწერთ, თუმცა არ შეიძლება არ იცოდეთ, რომ თვით გორბაჩოვის (შევარდნაძე მხოლოდ მისი კარნახით მოქმედებდა) მიერ განხორციელებულ რეფორმებს ბერკეტად ეკონომიკურ და პოლიტიკურ შეჯიბრში ჩვენი დამამარცხებელი ამერიკა ედგა. არ გეშინიათ ისტორიის მსჯავრის? თქვენ გგონიათ, ისე განსჯის XXI საუკუნის ქართველი, როგორც ახლა თქვენი გაზეთები წერენ? ძალიან მოგწონთ გვარდია სუვერენული აფხაზეთის ტერიტორიაზე რომ შეიჭრა? იქნებ მე ვერ გავიგე და უკვე დაურიგდათ მიწა გლეხებს? იქნებ მიეცათ მცირეხელფასიანებს გაძვირებული პურის კომპენსაცია? ვის ატყუებდით? ვის?

ჩემი კანტიკუნტი ჩანართები

(კანტიკუნტი იმიტომ, რომ ჩემი მოკამათე კონტრარგუმენტს არ დაგიდევდათ, იგი მონოლოგის პრინციპით მოქმედებდა და თანდათან ვრწმუნდებოდი, რომ ჩემი აზრი დიდად არ აინტერესებდა, ამიტომაც წამის მეათედ პაუზას რომ ვუპოვიდი, მაშინვე ვესროდი ფრაზას, რომელსაც იგი, რასაკვირველია, უპასუხოდ ტოვებდა).

ჯერ იმაში შევთანხმდეთ, რომ მე დროებითი ხელისუფლების წარმომადგენელი არ გახლავართ და რაკი თქვენეულ „კანონიერ პრეზიდენტს“ ოპოზიციაში ვედექი, ეს იმას როდი ნიშნავს, რომ ჩემი შეხედულებები მოვლენებზე პრეზიდენტის ბუნკერიდან გაქცევის დღესვე მიწას მივაბარე და ახლა ყველას ყველაფერში ვეთანხმები. ამ ახალ ცხოვრებაში ის მომწონს, რომ თენგიზ სიგუა ნერვებდაწყობილი ინტელიგენტი ჩანს, წონასწორობას არ კარგავს, ამბიციებს არ ჰყვება, კორესპონდენტს თუნდაც უტაქტო შეკითხვის დროს გარეთ გაგდებით არ ემუქრება, თავისი რეზიდენციის წინ მიტინგებს არ იწყობს და ქართველთა ერთ ნაწილს მეორე ნაწილის განადგურებისკენ არ მოუწოდებს, მშიშარა არ არის და მოსალოდნელი საფრთხის დროს ბუნკერში არ მიძვრება. როგორ არ მომეწონოს ბაქრაძეტალიაშვილის რადიო-ტელევიზიის ფონზე ჩვენი განახლებული ტელევიზია ძლივს ქართულ ფილმებს რომ უჩვენებს და საქართველოს სატკივარზე რომ საუბრობს? არ გახსოვს, რა უყო პრესას გამსახურდიამ? სამოცი პროფესიონალი ჟურნალისტი ტელევიზიიდან ქუჩაში რომ გარეკა, როგორ გაბედეთ და შემეკამათეთო.

მერე გაზეთებს თავის ნება-სურვილზე რომ აუქმ-ამსხვილებდა, „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქტორობიდან პაწაწკინტელა სიმართლისათვის მამუკა ფაჩუაშვილი რომ გააგდო და წერა-კითხვის მცირემცოდნე მ. აბაიშვილი დანიშნა? დაგავიწყდათ რა სიტყვები იფრქვეოდა და რა საშინელი ლექსები ისმოდა პრეზიდენტის საინფორმაციო მიტინგების ტრიბუნიდან? როგორ მოითმინეთ თქვენ, რიგითმა ქართველმა თითქმის ყველა გამოჩენილ (ორიოდე გამონაკლისის გარდა) ქართველ მწერალს, რეჟისორს, მეცნიერს და მსახიობს ერის მოღალატე და კრიმინალური ინტელიგენციის წარმომადგენელი რომ უწოდა, ხოლო სიგუა, ნათაძე და შენგელაია მანქანის ქურდებად რომ გამოაცხადა? ნუთუ თქვენ ის კაცი ხართ, რომ მშვიდად შეხვდებოდით ერის გონებისა და სინდისის – ინტელიგენციის ფიზიკურ განადგურებას, რასაც ასე ენერგიულად ამზადებდა ექსტაზში შესული დიქტატორი?

კანონიერი პარლამენტი გარეკეთო? ვინ გარეკა? ნუთუ არ გახსოვთ, როგორ ეხვეწებოდნენ, შეიკრიბეთ, განაგრძეთ მუშაობაო, მაგრამ პრეზიდიუმის თავმჯდომარეს – აკაკი ასათიანს გულმა არ მისცა ნება იმ სახელგატეხილი პარლამენტისთვის ეთავკაცა, პრეზიდენტის ხელის აქნევაზე მეყვსეულად რომ დაროკდებოდა. ტელევიზიით მაინც არ გინახავთ ერთპარტიული („მრგვალი მაგიდა“) პარლამეტის სხდომები? განა იმ სხდომებზე არ ზეიმობდა არაპროფესიონალიზმი და ძალმომრეობა? პროფესიონალიზმზე გამახსენდა; კომუნისტური პარტია საქართველოში უკვე აღარ არსებობს და თუ დროებით მთავრობაში პროფესიონალებს, მაგრამ ყოფილ კომუნისტებს დაუძახეს, ნუთუ დიდი დანაშაულია? განა ძალიან ბევრია ჭკუადამჯდარი ორმოცსგადაცილებული, ჭეშმარიტი პროფესიონალი საქართველოში ადრე პარტიის მანდატი რომ არ ედო ჯიბეში? ვერ დავიჯერებ, რომ თქვენ ის კაცი იყოთ, რომელსაც მართლა სჯერა, რომ რასაც გაქცეულ ხელისუფლებას აბრალებენ, ყველაფერი ტყუილია. რომ ბუნკერში გალაღებული ნემო ბურჭულაძის როლს გოგი გეგეჭკორი ასრულებს, რომ აბსანძე და გელანტია თავისი ხელით არ წერენ – ამდენი მილიონი გამოვიტანეთ სახელმწიფო ბანკებიდანო, რომ სექტემბერ-ოქტომბერში ხუთჯერ არ ესროლეს ტყვია მშვიდობიან დემონსტრანტებს სწორედ უზენაესი საბჭოს შენობიდან და ოცდაორ დეუკემბერს ნახევრადმძინარე დემონსტრანტებს პრეზიდენტის (ან, რაც უფრო თავმოსაჭრელია – ლელეს) ბრძანებით არ დაუშინეს ცეცხლი იმ საპრეზიდენტო კიბეებიდან, საიდანაც ხშირად გაისმოდა ინტელიგენციის განადგურებისკენ მომხმობი ცეცხლოვანი სიტყვები. რატომ ერთხელ არ დაფიქრდით, რა გაუჭირდა ზ. გამსახურდიას ისეთი, რომ სამარცხვინო ქორიძე ჰყავს იდეოლოგიის სარდლადო? არ გახსოვთ, თავის ნაზი რხევით რომ აცხადებდა ტელევიზიის ეკრანიდან, მე ლიტერატორი ვარ, მწერალი ვარ, კრიტიკოსი ვარო? რა წაგიკითხავთ მწერალ ქორიძის დაწერილი? არც ის გახსოვთ როგორ დასცინოდა აბიტურიენტებს და მცირეოდენი შეკამათებისთვის მათ თავხედებს და უვიცებს ეძახდა? პეტრიაშვილ-ტალიაშვილ-ქორიძეების ხელში ჩავარდნილი საქართველო მოგწონდათ? დავიჯერო? ენას ძვალი არა აქვს და ყველაფერს იტყვის, მაგრამ რაზე შეატყვეთ თ. სიგუას რომ ქართველი ერის სურვილის საწინააღმდეგოდ ხელს აწერს სნგ-ში შესვლას? პოლიტიკაში დამდურების მეთოდით შორს წავალთ? მოსკოვში არ ჩამოვალო, ამის დაფიცება რა ყმაწვილჯიუტობაა (თუმცა ზვიადი ერთხელ მაინც ჩავიდა), უკეთესი არ არის ჩახვიდე, ეკონომიკური ხელშეკრულებები დადო და განაცხადო, მე დროებითი მთავრობა ვარ, სნგ-ში შესვლას მხოლოდ პარლამენტი და სახალხო რეფერენდუმი წყვეტსო? იზოლაციაში ყოფნა რას გვარგებს? ამერიკა რძის ფხვნილს და მედიკამენტებს რომ გვიგზავნის და ჩვენ ვიძახოთ, გემდურით, არ გვინდა თქვენი დახმარებაო. ამით ჩვენს მშიერ კუჭს და იარებს რამე ეშველება? რაც შეეხება, არმიის სტატუსის შეცვლას, ეგ არასწორი აზრი ერთ გენერალს წამოსცდა და ჩვენი მთავარი გაზეთიდან პასუხიც მიიღო. რაც შეეხება „ქარტია-91“-ს ისინი არავის გაულანძღავს, მაგრამ მათ განცხადებაში მართლაც იყო ზოგი რამ მოუზომავი და ნაჩქარევი სამხედრო წესების გაუთვალისწინებლობიდან გამომდინარე. ნუთუ მართლა არ გესმით, რომ აფხაზეთში ჩვენი გვარდია დაპყრობითი მიზნით კი არ შევიდა, არამედ რკინიგზაზე ბლოკადის მოსახსნელად, აეროპორტის ასამუშავებლად, სტაბილიზაციის მისაღწევად. და, კაცმა რომ თქვას, როდის შემდეგ აღარ არის აფხაზეთი საქართველოს ნაწილი? რაო, ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსი იმას ნიშნავს, რომ აფხაზეთზე ხელი დავიბანოთ? „კანონიერი ხელისუფლების“ დროს პარტიების რეგისტრაცია რომ შეჩერდა (რაც ფაქტობრივად მათს აკრძალვას ნიშნავდა), რატომ არ ამოიღეთ ხმა? იქნებ თვალთმაქცობაა ტელევიზია რომ იხვეწება, გამოდით თქვით თქვენი განსხვავებული აზრიო? მიდით, მოსინჯეთ და მერე ვისაუბროთ, არ შეიძლება სკეპტიციზმმა თვალი ისე აგვიბას, რომ ვერ დავინახოთ

მიწის რეფორმის, პრივატიზაციისკენ გადადგმული ნაბიჯები. ცოტა მეტი ფიქრი და განსჯა რომ მოიშველიოთ არ შეიძლება არ მიხვდეთ, რატომ გაძვირდა პური. ამით ჩვენ საქართველოდან პურის გატანას და მის უპრაგონო მოხმარებას გადავუღობეთ გზა.

იგი თავისი გზით წავიდა, თავის შეხედულებებში ჯიუტად დარწმუნებული. მე ჩემს ფიქრებთან დავრჩი, უნივერსიტეტის ეზოში ამ ცივ ზამთარში მჯდომარე.

* * *

იგი საუბრის დროს ბრაზობდა, ილრინებოდა, გულდაწყვეტილი წავიდა. მე, ღმერთი, რჯული სიყვარული და პატივისცემის მეტი არა მიგრძვნია რა საქართველოზე გულატკივებული ამ ჩემი თვისტომის მიმართ.

ახლა „კანონიერი პრეზიდენტი“ ჩეჩენთა კარზეა. მე არ მინდა ვიფიქრო, რომ იგი შაჰთა და სულთანთა ამქარში ჩამდგარა და საქართველოსკენ ავად მზირალ ისტორიულ ქართველ ფეოდალთა სიას მიემატება.

ზვიად გამსახურდია საქართველოში უნდა დაბრუნდეს თავისი ოჯახით და მისი ძალისა და უნარის შესაფერისად უნდა იღვაწოს.

პოლიტიკური კარიერის კიბეზე ხელახლა შედგომას არ ვურჩევ. მას არ ეყო ქვეყნის მმართველისთვის საჭირო ნებისყოფა, ადამიანთა სიყვარული, მიტევების უნარი, იგი კონფლიქტური და ამბიციური კაცი აღმოჩნდა.

რაც შეეხება საქართველოს ბედს ჩვენ დამოუკიდებლობის ბილიკს არ უნდა გადავუხვიოთ.

ჩემი ფიქრით სნგ-ში შესვლა ახალ იმპერიულ ყულფში თავის გაყოფას ნიშნავს.

ვატყუებდით ერთმანეთს. ქიმერა იყო დამოუკიდებლობის დეკლარაციაც. როცა უცხო ქვეყნის ჯარი დგას შენს მიწაზე და უცხო ქვეყნის გაბონებულ ფულს ატკაცუნებ ხელში, თავი განთავისუფლებული და დამოუკიდებლობის ურემი შინ მიტანილი ნუ გგონია, ჩემო საყვარელო ქართველო.

20 თებერვალი, 1992 წ.

მალე დავცხრებით

დავარქვათ საგნებს პირდაპირ თავისი სახელი – ჩვენ ახლა ვშიმშილობთ, ხომ მართალია? შიმშილიდან თავის დაღწევის სამი გზა არსებობს: მიწის რეფორმა, უცხოეთთან გაცვლითი ოპერაციებით პროდუქტის შემოტანა და დახმარების იმ წილის მიღება ჩვენი „ყოფილი მტრები“ – კაპიტალისტები ასე უხვად რომ სთავაზობენ დანგრეული იმპერიის ნაშთებს. მესამე გზის იმედზე რომ ვერ დავრჩებით, ფაქტია. მოწყალების მომლოდინე კაცი ზარმაცდება და ბეჩავდება. მთავარია, მიწა გლეხს დავურიგოთ. დავურიგოთ ხელაღებით კი არა, მივცეთ ნამდვილ გლეხს, ნამდვილ მიწის მუშას, თანაც დასაწყისისთვის მოვითხოვოთ მისგან გარანტიები, რომ დაუმუშავებელს ერთ მტკაველს არ დატოვებს. ამიტომაც ვთქვი ნამდვილ გლეხს-მეთქი და არა მიწაზე გულაყრილ სოფლელს. მეორე დღესვე რომ მიაყიდის იმ მიწას და ისევ ქალაქს შეაჩერდება ხელში. საშემოდგოდ მოსალოდნელი უფრო დიდი შიმშილის დამარცხებას ახლავე თუ არ ჩავუყარეთ საფუძველი, სულ რაღაც ოციოდე დღის შემდეგ დაგვიანებული იქნება. ისე, გულახდილად უნდა გითხრათ, რომ მიწის რეფორმის გატარება ჯერჯერობით კუს ნაბიჯებით ხორციელდება და ასეთი ტემპი ხეირს არ დაგვაყრის.

მეორე უცხოეთთან სავაჭრო აღებ-მიცემითი ოპერაციების გაცხოველებაა, რადაც უნდა დაგვიჯდეს, უნდა წავახალისოთ საქართველოს გარედან საკვები პროდუქტების შემოტანა. აქაც ჯერ კიდევ აუხსნელი სამხედრო-ჩინოვნიკური ბარიერები ეღობება ინიციატივიან კაცს, სალანძღავად კომბინატორს რომ ვეძახდით საბჭოთა წყობილების პერიოდში.

ბარიერებში ვგულისხმობ არამკითხე კონტროლიორის, სხვის ჯიბეში ხელის ფათურის წყეულ პრაქტიკას. ერთ უბრალო მაგალითს გეტყვით: ჩემს ქუჩაზე ამას წინათ კიდევ ერთი (მეთხუთმეტეა მგონი) საკომისიო, კომერციული მაღაზია გაიხსნა. შევიხედე. იქაც ის იყიდება, რაც ყველა სხვა კერძო მაღაზიაში; ძვირადღირებული ტანსაცმელი, სუნამო, სიგარეტი... შე კაი კაცო-მეთქი, ვხედავ მუშტარი ბუზივით არ გეხვევა, არ ჯობდა სასურსათო კომერციული გაგეხსნა, ჩვენც მადლიერი გეყოლებოდით, და ალბათ, სარფიანიც იქნებოდა-მეთქი, – ნოქარს ვეუბნები. თქვენს პირს შაქარი, ვინ არ იცის, რომ ეგა სჯობია, მაგრამ ვერ წარმოიდგენთ, რა საშიშიაო. ვინც გაგაჩერებს გზაში, ყველას წილი უნდა მისცე და შენ აღარაფერი დაგრჩებაო. თანაც გამადიდებელი შუშით გამოწმებენ,

საიდან მოგაქვს, რა სახსრებით შეიძინე და ვისგან შეიძინეო. ცოტა თავისუფლებას რომ მოგვცემდნენ, საქართველოს სამყოფ სურსათს მარტო კომერციული გზით შემოვიტანდითო. არ დაგიმალავთ, ჩემს ერთ ამხანაგს რამდენიმე დღის წინ ტონა-ნახევარი კარაქი მოჰქონდა რუსეთის ერთი ქალაქიდან გაცვლითი წესით შეძენილი, შუადღისას ქუჩაში ავტომატიანები დახვდნენ და წაართვესო.

ჩვენაო, ერთი სახელოვანი შენაერთის სახელი უხსენებია, ესენი ვართო. ეს კარაქი ჩვენ გვჭირდება, უკეთესად რომ დაგიცვათო. შეაყოლე ახლა აქედან და უკან არ მოიხედო, სანამ მხრებზე თავი გაბიაო. გამოქცეულა საწყალი, ისე გულდაგულ მორბოდა თურმე, რომ ლამის კეფაზე ირტყამდა ფეხებს. ა, ასეთი დამცველებიც მოგვიმრავლდა.

ეგ ამბავი, სამწუხაროდ, სხვისგანაც მსმენია.

ჰოდა, მე მგონი, უკვე დროა იარაღიანთა უპრაგონო თარეშს ბოლო მოეღოს. ხშირად ნახავთ ასეთ სურათს: პიკეტზე დგანან მილიციელებიც, გვარდიელის ფორმიანი ბიჭებიც და სრულიად უფორმო, მაგრამ ავტომატიანი ყმაწვილებიც. მოდი და არკვიე, ვინ ვინ არის. სასწრაფოდ უნდა მოხდეს ფუნქციათა დაკონკრეტება. მილიციამ მილიციის საქმე აკეთოს და გვარდიამ გვარდიის. დღეს აქეთ რომ მოვდიოდი, თბილისის ერთი რაიონის მილიციის პასუხისმგებელ პირს ჩამოვუგდე საუბარი, ავტოფარეხებიდან იარაღის მუქარით რომ მანქანები გაჰყავთ, რა ზომებს იღებთ-მეთქი. უბატონოდ ხმას ვერ ვცემთო. რამდენჯერმე დავაკავეთ მანქანებზე მონადირე ავტომატიანი ყმაწვილები, მაგრამ ორიოდე საათში სხვა ავტომატიანი (ამჯერად უკვე საბუთიანი) ბიჭები მოგვადგნენ და გამოგვაშვებინესო. სანამ ყველა სამხედრო ფორმირება ერთ უწყებაში არ გაერთიანდება და ერთ უფროსს არ დაემორჩილება, ზღაპარია წესრიგზე ლაპარაკიო.

დღეს ჩვენს ქუჩებში ჩვეულებრივი გახდა ჩალისფერფარაჯიანი და ავტომატიანი ქართველი, მაგრამ უმორჩილესად მინდა ვთხოვო ქართულ სამხედრო ფორმირებათა სარდლებს: გაამკაცრონ დისციპლინა და გვარდიის შევსება ოდენ მოხალისეთა სურვილს კი არა, სამხედრო გაწვევის კონტროლს დაუქვემდებარონ. არ შეიძლება სრულიად შემთხვევითს და ზოგჯერ საეჭვო წარსულის ყმაწვილს დღეს ჯიბეში გვარდიისა და მხედრიონის წევრის მოწმობები ედოს. შეიძლება შაშხანამომარჯვებული პატრული მთვრალი დადიოდეს ქუჩაში და ვინც მოეპრიანება იმას უღერებდეს იარაღს? ყველამ უნდა იცოდეს, რომ ქართული გვარდიის ავტორიტეტს სწორედ ახლა ეყრება საფუძველი.

უნდა გითხრათ, მოხალისე ქართველთა სამხედრო შენაერთებმა უდიდესი როლი შეასრულეს დემოკრატის დაცვასა და განმტკიცებაში. ქედს ვიხრი ტირანიის წინააღმდეგ დაცემულთა ხსოვნის წინაშე. დღესაც საკუთარი სიცოცხლის ფასად დარაჯობენ ჩვენი მებრძოლები საქართველოს სიმშვიდის ხელყოფას ექსტრემისტთაგან. რაც შეეხება დასავლეთ საქართველოს ზოგ ქალაქში და აფხაზეთში ქართული გვარდიის გამოჩენას, არა მგონია ეს შესვლა-გამოსვლანი პრესის ესოდენ ყურადღების საგნად ღირდეს. თავის ტერიტორიაზე, თავის მიწაზე ქართული ჯარის გადაადგილებას პომპეზური განმარტებანი არ უნდა ახლდეს, საქართველოს შემადგენლობაში მყოფ ავტონომიურ აფხაზეთში საქართველოს (და სხვათა შორის აფხაზეთისაც) ჯარი შევიდა, როცა საჭიროებამ მოითხოვა (რკინიგზის, აეროპორტის ბლოკადა, უთავბოლო პიკეტები), არც შესვლაა ისტორიული თარიღი და არც გამოსვლა. გვარდია აქ არის, ყველგან არის, საქართველოშია. კონკრეტულ გეოგრაფიულ გარემოში იგი სწორედ მაშინ გამოჩნდება და ამოქმედდება, როცა ამას საჭიროდ ჩათვლის ხელმძღვანელობა.

დრო და სამართალი, ალბათ, მაინც თავისას იზამს. შორს არ არის ის დრო, როცა ბოლო დამპყრობელი ჯარისკაცი გავა საქართველოდან.

მოპოვებული დამოუკიდებლობა შეიძლება მალე დავკარგოთ, თუ მისი შენარჩუნების მექანიზნები ახლავე არ ავამუშავეთ. პირველ რიგში ძლიერი და რეგულარული არმია უნდა შევქმნათ და დასავლეთთან ჩვენი კონტაქტები სწორედ რომ მის კოალიციაში დამკვიდრების გარანტიებით უნდა გავამაგროთ.

ახლა ზოგი სკეპტიკოსი ვალალებს, აფსუს, საქართველო განმათავისუფლებელი ბრძოლის ავანგარდში იყო და ახლა მსოფლიოს პოლიტიკურ ცხოვრებას უკან მისჩანჩალებსო. არ არის ასე. მეამაყება, რომ ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებიდან (ბალტიისპირეთზე აღარაფერს ვამბობ, მათთვის ადრე გათენდა) სწორედ საქართველოა ერთადერთი თანამეგობრობაში შესვლისაგან თავი რომ შეიკავა, არავის ეგონოს, რომ ამ გაბედულებას არად ჩათვლის დასავლეთის პროგრესული დიპლომატია. საქართველო მალე თავის ისტორიულ ფუნქციას დაიბრუნებს. მოვლენები ისე ვითარდება და მსოფლიოში ძალთა ისეთი გადანაწილება ხდება (მათ შორის რელიგიურ ნიადაგზე), რომ დასავლეთი უფრო ყურადღებით მოგვაპყრობს თვალს და ჩვენს გეოგრაფიულ მდებარეობასაც სხვა ფასი დაედება.

თითქოსდა საქართველოს დამოუკიდებლობა სამაჩაბლოში მცხოვრებ ოსთათვისაც სასურველი უნდა ყოფილიყო, მაგრამ არათუ არ აგვყვნენ ისინი ამ ბრძოლაში, პირიქით კონფრონტაციის მოლიპულ გზას დაადგნენ. დასამალი არ არის, დიქტატურის პერიოდში ჩვენმა მხარემაც ცოტა რამ იღონა კონფლიქტის მშვიდობიანი საშუალებებით ჩასაცხრომად, მაგრამ, ახლა? ახლა რომ ვერას გახდა საკონსულტაციო საბჭოს კომისია?

ვერავითარი კომისია ქართველ-ოსთა კონფლიქტს ვერ მოაგვარებს, სანამ ხიზნებს მესამე ძალა მამიდობს. იმ მესამე ძალის იმედით და სწორედ არამკითხე „მფარველთა“ შეგონებით მოქმედებენ გონსმოსვლაგაჭიანურებული ოსი ექსტრემისტები, თორემ არ მგონია, კიდევ იყოს საქართველოში საღად მოაზროვნე ოსი, რომელმაც არ იცოდეს, რომ იგი სხვის ისტორიულ მიწაზე ცხოვრობს და მასპინძლებს ასეული წლების მანძილზე თითიც კი არ გაუნძრევიათ მისთვის საკარმიდამოს წასართმევად და საქართველოდან გასარეკად. ამის განზრახვა რუსთველის ქვეყანას, რასაკვირველია, არც ახლა უდევს გულში.

ესე იგი, ე. წ. „ურწმუნოთა“ განგაშს – რუსი საქართველოს ეგრე იოლად არ დათმობსო, საფუძველი ახლაც აქვს, „იმპერიის დაშლის“ მიუხედავად.

ჯერ ერთი, მე დაშლილ იმპერიას ვერ ვხედავ. რამ დაშალა? როდის დაიშალა? იქნებ იმპერიული ჯარი აღარ არსებობს და იმპერიის საზღვრებს ძველებურად არ „იცავს“ საბჭოთა არმია? იქნებ იმპერიამ უკვე დათმო უკრაინა, ბელორუსია. ან აგერ სომხეთი და აზერბაიჯანი? არ დაიჯეროთ. თუ „სნგ“ დარჩა, ეს იმას ნიშნავს, რომ საბჭოთა კავშირს სახელი შეეცვალა, სხვა არაფერი მომხდარა. როგორ არა, სხვა რამეც მოხდა, გორბაჩოვი ელცინმა შეცვალა, ესაა და ეს.

ახლა, რაც შეეხება დათმობას, ბოლო დღეების ერთ ფაქტს შეგახსენებთ: ამას წინათ სამაჩაბლოში ჩამოვიდა რუსი ეროვნების მოხალისეთა პირველი რაზმი, რომელიც შექმნილია რუსეთის ფედერაციის მთელი რიგი სამრეწველო საწარმოების მუშებისაგან. აღარ იკითხავთ, რა „კეთილშობილური“ მიზანი ამოძრავებს მოხალისეთა რაზმს? „მისი ერთადერთი მიზანია რუსეთის საზღვრების დაცვა“. დღეს, როდესაც მსოფლიო საზოგადოებრივი აზრის ჯანსაღი ზემოქმედებით და იმპერიის კანონზომიერი დაშლით სამაჩაბლოდან რამდენიმე ოცეულის გაყვანამ შედარებითი დათბობა გამოიწვია ოსებსა და ქართველებს შორის, ისევ ამუშავდა ერებს შორის შუღლის

ჩამოგდების ძველისძველი მანქანა. ერიჰაა, დიქტატურის დამხობის შემდეგ ქართველები აღარ ხუმრობენ, ე მანდ, მართალა სამშვიდობო მოლაპარაკებით არ დასრულდეს ჩვენ მიერ დიდი სულისბერვით გაჩაღებული ოს-ქართველთა კონფლიქტიო, იფიქრეს ბნელმა ძალებმა და თითქოს რუსული ხიშტი ჯერ კიდევ შიშის ზაფრას არ სცემდეს თავისუფლებისათვის შუბლმიშვერილ პატარა ერებს, ახალ ძალას უხმეს: სამაჩაბლოსკენ რუსი მუშებისაგან შემდგარი მოხალისეთა რაზმი გამოგზავნეს.

ნუთუ დღეს, როცა დედამიწა ხელისგულივით ჩანს, მსოფლიო დაუშვებს სუვერენული საქართველოს ტერიტორიის ხელყოფას მოხალისეთა მიერ? ვინ არიან მუშის წმინდა სახელს ამოფარებული ეს „მოხალისენი“ საქართველოში რომ შემოჭრილან თითქოსდა ჰუმანური, უპრეტენზიო მისიით, მხოლოდ და მხოლოდ რუსეთის სამხრეთის საზღვრების დასაცავად? როგორ დაიცავს საქართველოს ტერიტორიაზე, სამაჩაბლოში რუსეთის სამხრეთის საზღვრებს რუს მოხალისეთა ლაშქარი? ან რა გაუჭირდა შაპოშნიკოვის ჯერ კიდევ ძლიერ და მრისხანე არმიას მოხალისე მუშათა დასახმარებელი? განა მშვენივრად არ ესმით საქართველოს მიწაზე დაბანაკებულ რუსის არმიებს ჩვენი გოდება და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის გუგუნი? იქნებ 1921 წლის 25 თებერვლიდანაც რუსის ჯარი აქ, საქართველოში რუსეთის სამხრეთის საზღვრების დასაცავად დგას?

აღარ ყოფილა ჩვენი საშველი და ესაა. როცა რეგულარული არმია მისი სურვილის საწინააღმდეგოდ გაიკრიფება საქართველოს ტერიტორიიდან, მერე მუშებისაგან შემდგარ მოხალისეთა რაზმებს გამოგზავნიან. აბა რა, ორასმილიონიან რუსეთს დამპყრობელ ქართველთაგან დაცვა ხომ უნდა.

ისევ ეკონომიკას და სოფელს მივუბრუნდეთ. მე, როგორც მწერალს, ვერაფრით ვერ ამიხსნია, ასე ერთბაშად ყველაფერი როგორ მოიშალა ამხელა სახელმწიფოში. ვთქვათ, გასაგებია სურსათი რომ გაქრა, მაგრამ როგორ მოხდა, რომ აღარ არის ქაღალდი, აღარ კეთდება ბავშვის სათამაშოები, გაქრა ასანთი და საპონი, მესაათეებს საათის პაწაწკინტელა ქვებიც აღარა აქვთ...

თუმცა მოულოდნელი აქ არაფერია. იმპერიამ ნგრევა დაიწყო ჯერ კიდევ ხრუშჩოვის დროს და მაშინვე საცნაური გახდა ჯოხზე დამყარებული ეკონომიკის ხარვეზები (მოიგონეთ რიგები პურზე), მერე, რომ იტყვიან „ადგილობრივი“ ნარკოზით ნგრევის პროცესი ცოტა ხანს შეაჩერეს, 1991 წელს კი იმპერია ეკონომიკურად საბოლოოდ დაინგრა. პოლიტიკურად ჯარის წყალობით, იგი ისევ

მათრახის ტკაცუნით განაგრძობს არსებობას. ამოდენა ქვეყანა ერთბაშად დადგა, შეჩერდა. პოლიტიკური ვნებით შეპყრობილი, ისტორიული კატაკლიზმებით გაოგნებული ხალხის უზარმაზარი მასა ფაქტიურად აღარ მუშაობს, ფაბრიკა-ქარხნებში ჭოტებმა და ღამურებმა დაისადგურეს. მუშების ერთმა ნაწილმა კოოპერატივებს მიაშურა, კოოპერატივთა მესვეურნი უნედლეულოდ რაღაცას ჩირთი-ფირთობენ და თუ რამეს გამოაცოდვილებენ ალქიმიური სასწაულებით, ახლა იმის შიშის ფეთება აქვთ, რომ ლეგალური მძარცველები (რატომღაც შეცდომით მაროდიორებს ეძახიან) დაესხმიან და წაართმევენ. ქვეყანამ მუშაობა შეწყვიტა, ხოლო ძარცვა ლეგალური გახდა, რაკიღა მილიცია ამ ტოტალურ ყაჩაღობასთან თითქმის უძლურია. მოკლედ, ისეა საქმე, როგორც ერთ ანეკდოტშია – რა დაგიშავე ღმერთო, ქვა რომ დაგიბამს და ძაღლი აგიშვიაო.

ჯერჯერობით, სამწუხაროდ, ჩვენ ამ მკვდარი იმპერიის ნაწილი ვართ და თუ არ ვიმარჯვეთ, ამ მორევში მასთან ერთად ჩავიძირებით.

შეხედეთ ფეხით სიარულით გათანგულ მოქალაქეს რა შემაძრწუნებულ-შეწუხებული სახე აქვს. არათუ ადამიანური ცხოვრების – მიცვალებულის დამარხვის სახსრებიც კი არსად არის. მტრისას და ავისას, იცით რა ღირს კუბო ან ბალდახინის და სასაფლაოს ავტობუსების დაქირავება?

ამას წინათ, პურის რიგში, გული გამიხდა ცუდად და ხელით გამომიყვანეს. გული შიმშილისაგან კი არ შემიღონდა, არამედ იმისგან, რაც ირგვლივ მესმოდა: ზვიადის მომხრე ზვიადს მისტიროდა და ყველას უშვერი სიტყვით ლანძღავდა, ე. წ. ოპოზიციონერი ქვეყნის დამშევას ყოფილი პრეზიდენტის ეკონომიკურ სალტო-მორტალეს, ხოლო ერის სოციალურ-ეთნიკურ დაშლა-დანაწევრებას მის ავადმყოფურ პოლიტიკას აბრალებდა, პენსიონერი მოზღვავებული ენერგიით გაჰყვიროდა – რას ერჩოდით კომუნისტებს! კომუნისტები დამიბრუნეთ, თქვე გარეწრებო და თქვენ გადაშენდით აქედანო.

კიდევ კარგა ხანს გაგრძელდება ეს „ბაბილონის გოდოლი“ ერის ფსიქიკაში, მერე უსათუოდ მოვა კანონიერი პარლამენტი და დავცხრებით, დავშოშმინდებით, სახნისს და გუთანს მოვკიდებთ ხელს.

დღესვე დაუყოვნებლივ სიტყვიდან საქმეზე უნდა გადავიდეთ. რა ტრაფარეტული და გაცვეთილია ახლა ეს გენიალური ფრაზა – სიტყვიდან საქმეზე გადასვლა.

ამას წინათ ერთმა ინჟინერმა შემომჩივლა: პრივატიზაცია რომ გამოცხადდა, გადავწყვიტე სამიოდე ძველი ჩარხი შემეძინა და პატარა კერძო საწარმო გამეხსნაო. თითქმის ყველა ქარხანაშია მე რომ ჩარხებს ვითხოვ, მაგრამ, თქვენ წარმოიდგინეთ, ექვსი თვეა ვერ ჩავიგდე ხელშიო. გაგიკვირდებათ, ისეთი დონეებიდან მაქვს ბრწყინვალე რეზოლუციები, მაგრამ პრაქტიკულად ვინ უნდა გამომართვას ფული და მომცეს დაზგები, ენაგადმოგდებული დავრბივარ, მაგრამ ვერა და ვერ ვიპოვეო.

მოგეხსენებათ, ქართველთა ერთ ნაწილში დამკვიდრდა უპერსპექტივობის განწყობილება. რა გვაქვს ჩვენ გასაცვლელი და გასაყიდი, ნუ აგვიჩემებია გაფუჭებული პატეფონივით ჩაი, ღვინო და ციტრუსი, ვერც ერთი მათგანი მსოფლიო სტანდარტებს ვერ შეედრება, ასე რომ, ერთ კვირასაც ვერ გვარჩენსო.

არ არის მართალი. ოდნავი გაუმჯობესება ტექნოლოგიური პროცესების და ნახავთ ჩვენს ღვინოს, ჩაის და ციტრუსებს დიდი მაზანდა ექნება მსოფლიო ბაზარზე, რადგანაც ისინი, სხვა არა იყოს რა, ეკოლოგიურად სუფთა გარემოშია მოწეული. ამ ხუთიოდე წლის წინათ ერთ-ერთ მსოფლიო გამოფენაზე ქართული ლიმონი საუკეთესოთა შორის მოხვდა თავისი განსაკუთრებული არომატისა და სხვა თვისებების გამო. რაც შეეხება ჩვენს ღვინოს, ახლა შიმშილით სული რომ არ გვძვრება, ქართულ ღვინოს უნდა ვუმადლოდეთ, სწორედ უპირატესად ღვინოში გვიცვლიან რუსები, უკრაინელები და სხვები ჩვენთვის სასიცოცხლო პროდუქტებს და მათ შორის, ხორბალს.

სხვა მხრივაც მდიდარია საქართველო. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, თუ ნორმალური ჩამოსხმა მოვახერხეთ, მარტო სასმელი წყალი შემოგვიტანს უამრავ ვალუტას. ახლა მინერალური წყლები? რამდენი უნიკალური მინერალური წყალი იღვრება საქართველოში ყოველდღიურად. ჩვენ მათ შორის ერთადერთის – „ბორჯომის“ ჩამოსხმასღა ვახერხებთ და ისიც ნაწილობრივ. ეს ხომ წყალში გადაყრილი მილიონებია.

„ბორჯომზე“ გამახსენდა: გარდა იმ სამი ზემოთ ჩამოთვლილისა, კიდევ გააჩნია საქართველოს ორი უნიკალური, თითქმის გამოუყენებელი სავალუტო რესურსი: კურორტი და ტურიზმი. საქართველოს თითქმის მთელი ტერიტორია კურორტია. აბა, თამამად გააფორმე უცხოეთთან ხელშეკრულებები და გაშალე საქართველოში დასასვენებელი სასტუმროების და სანატორიუმების ფართო ქსელი – უამრავი დამსვენებელი მოგვაწყდება. სისულელეა შიში: ჩვენ ინტელექტუალურ საწყისს დავკარგავთ და მომსახურე პერსონალის ფსიქიკას შევიძენთ. ეს შეიძლება რომელიმე პაპუასურ, უწარსულო

და უკულტურო ქვეყანას დაემართოს, საქართველოს – არა.

ტურიზმი? გული მიკვდება ჩვენს დაცარიელებულ ტურისტულ სასტუმროებს რომ შევცქერი. ამ დარგს ახლა მშვენიერი ხელმძღვანელი ჰყავს კახი ასათიანის სახით. ცოტას როდი იღვწის ახალი მინისტრი, მაგრამ რა ქნას, საქართველოს მიერ ბოლო წლებში მოპოვებული პოლიტიკური იმიჯის გამო ბევრს როდი სურს საქართველოში ტურისტად ჩამოსვლა. ვერც გაამტყუნებ: ვის უნდა ავტომატიანი ბანდიტის მსხვერპლი გახდეს. არა და ტურიზმი ხომ სუფთა მოგებაა, მინიმალურს გასცემ და მაქსიმალურ მოგებას იხვეჭ. მსოფლიოს არაერთი ქვეყანა ოდენ ტურიზმით ირჩენს თავს. ტურიზმმა ამოიყვანა ამ ოცდაათი წლის წინათ კრიზისიდან ისეთი დიდი ქვეყანა, როგორიც გახლავთ ესპანეთი.

სამაგიეროდ, ცალმხრივი ტურიზმი განვავითარეთ. კერძო ტურისტული კორპორაციების ხაზით მოგზაურობენ ჩვენი მოქალაქენი უცხოეთში.

არც ეგაა ურიგო საქმე, მაგრამ ამ გზით მიღებული მოგების ნაწილი სახელმწიფოს უნდა მოხმარდეს და მხოლოდ კერძო ფირმებს არ უნდა ემსახურებოდეს. ისე, ჩვენ შორის დარჩეს და, ჩემი შემოსავლის პატრონი კაცი ახლანდელი სამოგზაურო ფასების შემყურე საზღვარგარეთ ვერასოდეს წავა. მართლაც რომ გიჟური ფასებია. ღმერთმა საშუალება მისცეთ და მაინც ბევრი დადის უცხოეთში ტურისტად. მე კი ცრემლით ვიგონებ იმ დროს, როცა ამერიკის შეერთებულ შტატებში ორას სამოც მანეთად ვიყავი (ტურისტული ახალგაზრდული საგზურით „სპუტნიკიდან“), ინგლისში თექვსმეტი დღე ტურისტად ყოფნა ოთხას ათი მანეთი დამიჯდა, ხოლო იაპონიაში სრულიად უფასოდ გახლდით მწერალთა დელეგაციის წევრები. ეს ხარჯი ხომ მედიკო თუშმალიშვილის სამივლინებო ხარჯთან შედარებით სასაცილოდ მოგეჩვენებათ, მაგრამ გასაკვირიც არაა, მედიკო და უზენაესი საბჭოს სხვა წევრები სახელმწიფო საქმეებზე გახლდნენ უცხოეთში (როგორ დააწყვეს ქვეყანა?), მე კი ისე, „სათამაშოდ“.

შიმშილის დამარცხება ქაღალდებით და მოწოდებებით არ შეიძლება – მეათასეჯერ ვამბობ. ხომ ნახეთ, ამასწინანდელი ტელეგადაცემა – გლეხთა ერთი ნაწილი უარს ამბობს მიწის პრივატიზაციაზე. არ გვინდა, დაგვანებეთ თავიო. ხედავთ სადამდე მივედით? გლეხს მიწისა ეშინია. დამუშავებას ვერ შევძლებო. მართალია. ბენზინი არა აქვს, მაზუთსაცხი არა აქვს, სასოფლო ტექნიკა არა აქვს და რა სასწაულით დაამუშაოს მიწა. მე ვფიქრობ, ახლავე ხვალიდანვე საქართველოს მთელი მოსახლეობის „ქალაქისა და სოფლის“ მობილიზება უნდა მოხდეს სახნავ-სათესად. დაუმუშავებელი არ უნდა დარჩეს ერთი მტკაველი სავარგულიც. მხოლოდ ეს გვიხსნის შიმშილისაგან.

ხშირად გაისმის შეშფოთებულთა ჩურჩული: შეიძლება ზვიადმა საქართველო მთიელთა რესპუბლიკის ან ამიერკავკასიის რესპუბლიკის შემადგენლობაში შესულად გამოაცხადოს და ჩეჩენთა ჯარს შემოუძღვეს საქართველოს დასაპყრობადო. მით უმეტეს, რომ ინფორმაციამ ჩეჩენ-ქართველთა დესანტის შესახებ უკვე გაჟონა საინფორმაციო საშუალებებში.

ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ ზვიადი ამას არ ჩაიდენს. მე ვთხოვ ყველას – კონსტანტინე გამსახურდიას შვილისაგან საქართველოს მოძულეს ნუ გააკეთებს, ზვიადს სხვა ცოდვებიც ეყოფა. თუ მოხდა სასწაული და ეს თქვენი შეშფოთება გამართლდა, როგორ ფიქრობთ ჩეჩენთა (ან ვინც უნდა იყოს სხვა გადამთიელი) ლაშქარს ტაშით შევეგებებით? ქართველმა ქართველის წინააღმდეგ როდი იცის მარტო ბრძოლა. თუმცა სიტყვამ გამიტყუა. მე არც მინდა ვიფიქრო ამის შესახებ. ზვიად გამსახურდიას იმდენი გონი კი შერჩენია (ჩემი ფიქრით), რომ თავისი სახელი სამუდამო საწყევლად არ დაუგდოს შთამომავლობას. არ შეიძლება იგი ბევრ რამეს არ ჩამხვდარიყო ჩეჩნეთში მარტოდ შთენილი. სხვა თუ არა, ამბავს მაინც ჩაუტანდნენ, როგორ ჰყიდიან მორიგეობით თავისი ერთგული ამფსონები და მის მიერ აღზევებული კაცუნები.

თქვენი არ ვიცი და მე პირადად შემზარა თ. ქორიძის სატელევიზიო გამოსვლამ 15 თებერვლის ღამით. განა არ ვიცოდი, რომ ზვიად გამსახურდიას ბანაკი მტკიცე არ იყო და იქ გააზნაურებული მდაბიონი, ხელმოცარული ადამიანები თანამდებობის და შავი ვოლგების შენარჩუნების ხათრით უკრავდნენ ტაშს პატივმოყვარე დიქტატორს, მაგრამ თ. ქორიძის გამოსვლამ ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. ჯერ მიიმალა სოროში უზენაესი საბჭოს კომისიის ყოფილი თავმჯდომარე, ზვიადის გულისამრევი აღლუმების რეჟისორ-დირიჟორი, და ერთხანს იყუჩა, იქნებ თავგანწირულმა მოტყუებულმა მომიტინგეებმა საჩვენოდ შეატრიალონ საქმეო, მაგრამ როცა დაატყო, რომ ტირანიის მობრუნებას სასიკეთო პირი არ უჩანდა, როგორც ეს სულმდაბალ ადამიანებს სჩვევიათ, მეყსეულად გაყიდა თავისი პატრონი. აქაოდა, ბევრ რამეში არ ვეთანხმებოდიო, ბოლო ხანებში ფაქტიურად ჩამოცილებული ვიყავი იდეოლოგიურ ხელმძღვანელობასო. საზიზღარი ტყუილია. ქორიძე არ იყო თავისი მგზნებარე სამიტინგო და

სატელევიზიო გამოსვლებში ლიბოს რომ უმაგრებდა სულისშემხუთველ რეჟიმს? რა პირით ამბობს ახლა, ტელევიზიის თანამშრომლები სწორად მოიქცნენ, კვანტალიანს აცილება რომ მისცესო, განა თვითონ, ზვიადისგან გულმიცემული, აბეზარი გოშიას დარად არ უყეფდა ტელევიზიის თანამშრომლებს: კვანტალიანს უბატონოდ ხმა არ გასცეთო? განა თავის უმწიფარ აზრებს არ ახვევდა თავს განათლების სამინისტროს ხელმძღვანელობას არაერთ პრინციპულ საკითხში? განა ეს საეჭვოზე საეჭვო ლიტერატორი დაბოხებული ყალბი ხმით არ აცხადებდა ფასიანი სასწავლებლების კატეგორიული წინააღმდეგი ვარო. და მეორე დღეს თვითვე არ აძლევდა რეკომენდაციას ფასიანი სასწავლებლების სოკოებივით მომრავლებას? ღირს ქორიძე იმად, მკითხველი მასზე სასაუბროდ მოვაცდინო? ქორიძისთანა მეტიჩრების ხსენებით მე მის მფარველს მინდა შევახსენო – მითხარი ვისი მეგობარი ხარ და გეტყვი ვინა ხარო.

მაგრამ საკითხი ასეც შეიძლება დაისვას, ქორიძისა და მისთა მსგავსთა გამოსვლა-წერილებში მონანიების ნიშანწყალი მაინც ჩანს, აბა, იმათზე რაღა უნდა ვთქვათ, ხავსს რომ ეჭიდებიან. პრეზიდენტის ჩაძირული პოლიტიკის ერთგული, ჯიუტი ზვიადისტები ჩემს თვალში შემცდარნი, მაგრამ თავისი რწმენის ერთგული ადამიანები არიან. ადრე თუ გვიან მიხვდებიან, რომ სცდებოდნენ, მათი პოზიცია დღეს მხოლოდ და მხოლოდ მათი პოლიტიკური უმეცრებით უნდა აიხსნას. მათ ინფორმაცია არა აქვთ, მათი გონება ვერ განთავისუფლდა ბელადომანიის მავნე აზიური სენისაგან. უფრო გულის ამრევი ქორიძისთანა „განათლებულები“ არიან. ზვიადის ელიტის ეს გაიძვერა წარმომადგენლები ახლა მხოლოდ და მხოლოდ გადარჩენის, გარემოებათა შეგუების მიზნით იყრიან თავზე ნაცარს და ზღაპრებს თხზავენ – ფაქტობრივად ჩვენ იზოლირებული ვიყავით, არაფერში ვერეოდით, ყველაფერში დიქტატორია დამნაშავეო. არ არიან მართალნი და მით უმეტეს არც გულწრფელნი. რაკი თავიანთი კერპი (და რწმენა) ასე იოლად გაიმეტეს, სხვასაც იოლად გასწირავენ.

გამსახურდიას მომხრეთა ბრალდებები „ოპოზიციის“ მიმართ ახალ ტალღებად ეფინება მათ მიერ უკვე დიდი ჭაპანწყვეტით „აგორებულ“ მიტინგ-დემონსტრაციებს. ეროვნულ მოძრაობას ინტელიგენტურმა ხელისუფლებამ ზურგში ხანჯალი ჩასცაო. საქართველოს ისევ იმპერიისკენ, მონობისკენ ეზიდებიანო. საქართველოს მტრებს უზავდებიან და ქვეყანას კვლავ უღელს ადგამენო.

დიდი პოლიტიკოსობა არ უნდა იმის გარკვევას, ვინ ადგამდა

საქართველოს ქედზე უღელს და ვინ იგონებდა „გარდამავალ პერიოდებს“ თავისი ტახტის შესანარჩუნებლად. იქნებ მოსკოვის პუტჩის დღეებში დაიჭირა ზვიად გამსახურდიამ ვაჟკაცური პოზიცია და მოსთხოვა რუსის ჯარს აიბარგე აქედანაო, ისე როგორც ეს ბალტიისპირეთის ქვეყნებმა გააკეთეს? იქნებ არც მოსკოვში მთავრობის ლოჟაში გვიხილავს ჩვენი პრეზიდენტი თავისი მეუღლითურთ იმპერიის ხელისუფალთა გვერდით? იქნებ არაერთხელ არ გაუგზავნია თავისი ემისრები, ხალხი არა ხართ, ღმერთი არა გწამთ? მიმიღეთ „სნგ“-შიო? იქნებ არც პატრიკიევისთვის მოუმართავს დეკემბრის ბოლო დღეებში, მიშველე, დამახმარე ჯარი, ძმა ვარ შენიო? იქნებ ჯოხარ დუდაევის კარზე იმიტომ ჰყავთ დიდ პატივში, რომ „მეგობრული ვიზიტით“ მოძმე ჩეჩენ-ინგუშეთში იმ განზრახვით ჩავიდა, რათა მასპინძლებს მთიელთა რესპუბლიკის შექმნა გულიდან ამოაღებინოს? მერედა იცით, რა არის მთიელთა რესპუბლიკა, რომლის დედაქალაქადაც სოხუმი აქვთ ამორჩეული ჩვენს ჩრდილოეთელ მეზობლებს? მგონი იცით და ახსნას არ დამაწყებინებთ. აი, თურმე ვინ ეკვრება საძმო ფიცით საქართველოს დაშლა-დაქუცმაცების და მონობის უღელში შებმის მოსურნეთ.

რაც შეეხება დროებით ხელისუფლებას, თითქმის ორი თვეა იგი არსებობს და ფაქტი სახეზეა: ჯერჯერობით ჩვენ ერთადერთი ყოფილი რესპუბლიკა ვართ სნგ-ს გარეთ დარჩენილი.

მე დროებითი ხელისუფლების აპოლოგეტად ნურავინ ჩამთვლის. მე ჩემი პრინციპები და ჩემი გზა მაქვს, როგორც მწერალს და როგორც მოქალაქეს: კატეგორიული წინააღმდეგი ვარ სნგ-ში შესვლის, კატეგორიულად წინააღმდეგი ვარ რუსის ჯარის საქართველოში დატოვებისა (რა კომპრომისული იარლიყიც არ უნდა მიაკერონ და უწყინარ ცხვრადაც უნდა მოგვაჩვენონ) და კატეგორიული წინააღმდეგი ვარ მთიელთა რესპუბლიკაში საქართველოს ან მისი რომელიმე ისტორიული ნაწილის შესვლისა. ეს აზრები არ ამკვიატებია. ამას ვამბობდი და ვწერდი ადრეც.

ჩვენ ვიქნებით დემოკრატიული, დამოუკიდებელი რესპუბლიკა, შესული დასავლეთის (პირველ რიგში ამერიკის) სახელმწიფოთა თანამეგობრობაში. კეთილმეზობლური სავაჭრო-ეკონომიკური, კულტურულ-მეცნიერული ურთიერთობა გვექნება მსოფლიოს ნებისმიერ ქვეყანასთან და განსაკუთრებით ჩვენს მეზობლებთან. ნუთუ ასე გაუგებარი და შეუძლებელია ეს?

საქართველოს პოლიტიკურ მოწყობაში მონარქიის აღდგენის პრობლემას არცთუ დიდად საიმედოდ ვუყურებ. მე მომხრე ვარ

პიროვნების ხელისუფლებაში მოსვლისა (და საერთოდ ყოველგვარი დაწინაურების) მისი ნიჭის და უნარის მიხედვით. რა თქმა უნდა, გვარიშვილობას პატივს ვცემ, მაგრამ იმდენად არა, რომ საქართველოს პრობლემებს დიდი ხნის წინათ ჩამოცილებულ, ქართული ენის არმცოდნე და საეროდ პოლიტიკისგან შორს მდგარ, თუნდაც უაღრესად კეთილშობილ და განსწავლულ, მშვენიერ ავტომრბოლელს, ვუქნიო თავი იმის გამო, რომ მის გუნებაში რაღაც პროცენტი ბაგრატიონთა სისხლია. მით უმეტეს, რომ ტახტის უშუალო მემკვიდრეობის საკითხში ჩვენი საზღვრებსიქითა ბაგრატიონები, როგორც ჩანს, ურთიერთშორის ჯერ ვერ შეთანხმებულან. ისღა გვაკლია ახლა იმ ნიშნითაც დაიყოს საქართველო – ვის რომელი უნდოდა მეფედ ბაგრატიონთა ნათესავთაგან.

მინდა საქართველომ ღირსეული პარლამენტი აირჩიოს.

ნურავის ეწყინება და ჩვენ ჯერჯერობით არა გვაქვს პოლიტიკური პარტიების ტრადიცია. პარტიას თავისი განსხვავებული პოლიტიკური პროგრამა და ავტორიტეტი უნდა ჰქონდეს, თითოორი პარტიის გარდა, მე ასეთ პარტიებს საქართველოში ვერ ვხედავ. ლიდერის მიერ ჩამოწერილი თავისი ამქრის სია პოლიტიკური პარტია ჯერ კიდევ არ არის. ამიტომაც სასაცილო იყო ოქტომბრის არჩევნები. რა დასამალია და „მრგვალთა“ გამარჯვება მხოლოდ ზ. გამსახურდიას სახელმა განაპირობა. ამომრჩევლებს არც კი აინტერესებდათ, ვინ ეწერა სიაში პირველი ხუთეულის შემდეგ და ძალიანაც რომ დაინტერესებულიყვნენ, ვერაფერს გაიგებდნენ, რადგანაც ის გვარები მათ არაფერს ეუბნებოდათ. მახსოვს, როგორ გარბოდ-გამორბოდნენ პარტიათა ლიდერები, სია რომ შეევსოთ და ზოგჯერ პირველივე შემხვედრ ნაცნობს სწერდნენ დეპუტატობის კანდიდატთა სიაში. შედეგი? გაიმარჯვა „მრგვალმა მაგიდამ“ – ზვიად გამსახურდიამ თავისი უაღრესად საეჭვო „შემადგენლობით“. არ უნდა დავუშვათ ერთპარტიულობა და მით უმეტეს ერთი პარტიის მმართველობა. ეს გარემოება უცილობლად მიგვიყვანს კატასტროფამდე და კონფრონტაციამდე ხელმძღვანელობაში.

დეპუტატობის კანდიდატი პიროვნება უნდა იყოს, თავისი სახელი და გვარი ჰქონდეს. ამომრჩეველი მისი მოქალაქეობრივი და ინტელექტუალური ღირსებებით უნდა ხელმძღვანელობდეს და არა პარტიული კუთვნილებით.

14 მარტი, 1992 წ.

„სულ რაღაც 90–100 წლის შემდეგ“...

საქართველოში შექმნილმა ახალმა ვითარებამ ბუნებრივია, ქართულ მწერლობასაც ღრმა კვალი დაამჩნია. ახლახან ჩატარებული ქართველ მწერალთა ყრილობა საკმაოდ გახმაურდა ერთი ჯგუფის მიერ ყრილობის დატოვების ფაქტით. და ეგზალტირებულ მკითხველთა მიერ წიგნების განადგურებით.

ჩვენს ყრილობაზე მკაფიოდ აირეკლა საქართველოში შექმნილი საერთო-პოლიტიკური ვითარება. საკმაოდ „ნერვიული“ ყრილობა ჩავატარეთ. მწერლების მიერ ყრილობის დატოვება არ იყო რაიმე განსაკუთრებული ლიტერატურულ-ესთეტიკური პრინციპების გამოხატულება. ერთნი ყრილობის დარბაზიდან გავიდნენ, როგორც ყოფილი ფუნქციონერები ყოფილი მთავრობისადმი ერთგულების გამოხატვის მიზნით, ხოლო მეორენი მხოლოდ და მხლოდ იმის გამო, რომ დემოკრატიული მწერალთა კავშირი არ შეესაბამებოდა მათს თანამდებობრივ ამბიციებს და სავარძელდაკარგულებმა „მკვახე იყო ის ყურძენის“ იგავური პრინციპით დატოვეს ყრილობა.

რაც შეეხება წიგნების დაწვის ბარბაროსულ აქციას, ეს, რა თქმა უნდა, ჩვენს ისტორიაში იშვიათზე იშვიათი გახლავთ, მაგრამ მე არ აღვიქვამ ამას ქართველი მკითხველის ნების გამოვლინებად; არამედ ეს იყო განაწყენებულ პირთა მიერ გათამაშებული სპექტაკლი. ქართველ მკითხველს ქართველი მწერლების წიგნები არ დაუწვავს. უწიგნურმა მოქალაქეებმა, რომლებმაც წიგნები ხელყვეს, არც კი იცოდნენ რას სჩადიოდნენ. ამიტომ წიგნების განადგურებისას, თითქმის არავითარი პრინციპი არ იყო დაცული. ასეთ შემთხვევაში განადგურებულ წიგნთა შორის „ვეფხისტყაოსანი“ ვერ მოხვდებოდა. უბრალოდ, ნერვებმოშლილმა ადამიანებმა ხელს გამოაყოლეს შინიდან ანგარიშმიუცემლად ის წიგნები, რაც ხელში მოხვდათ.

სხვათა შორის, მწერალთა კავშირი, როგორც მწერალთა პროფესიული გაერთიანება, ერის სამსახურის ამოცანებში დღესაც ისეთია, როგორიც იყო, როდესაც იგი შეიქმნა 20-იან წლებში. ლაპარაკია რამდენად გამოხატავდა და გამოხატავს იგი თავისი ხელმძღვანელებით მწერლობის სულისკვეთებას.

სამწუხაროდ, მწერალთა კავშირის ხელმძღვანელობას შეუძლია ლიტერატორს ხელი შეუშალოს თავისი ღვთიური ამოცანის შესრულებაში და ერის თვალში გააფერმკრთალოს მისი ნამოღვაწარი. თუ გაიხსენებთ, როგორ გამოიყურებოდა ამ უკანასკნელი წლების

საქართველოს მწერალთა კავშირი, როგორ უბამდა მხარს მისი ხელმძღვანელობა ქვეყანაში გამეფებულ დიქტატურას, ადვილად მიხვდებით მიზეზს იმისას, თუ რატომ დაეცა სადღეისოდ მწერლის ავტორიტეტი. ვინც თვალყურს ადევნებს უკანასკნელი ორი თვის მანძილზე მწერალთა კავშირის საქმიანობას, მათ გასაგონად მთელი პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ ჩვენი კავშირი გამოცოცხლდა: მწერლები დაუბრუნდნენ კავშირს, იმართება შემოქმედებითი საღამოები, ლიტერატურული შეხვედრები, დისპუტები. ასევე მწერალთა კავშირის ხელმძღვანელობა ზრუნავს ერის საჭირბოროტო პრობლემის გადასაწყვეტად.

ამ ბოლო დროს ბევრ ჩემს ნაცნობს შეეტყო, რომ პოლიტიკურმა სულსწრაფობამ სძლია მის არსებაში სახელოვნო პროფესიონალიზმს. რჩება ისეთი შთაბეჭდილება, რომ მათი ბრძოლა ხელისუფლების კანონიერ თუ უკანონო ორგანოში ადგილის მოპოვებისათვის ბრძოლაც იყო. სახელმწიფო საბჭოში შესვლისათვის გამართული „დოღი“ დღესაც გრძელდება და ამიტომაც ირონიულად უცქერს ხალხი სახელმწიფო საბჭოს წევრთა რიცხვის გეომეტრიული პროგრესით ზრდას. მე სახელმწიფო საბჭოში იმიტომ არა ვარ, რომ ჩემს უპირველეს მოწოდებად პოლიტიკა კი არა, მწერლობა მიმაჩნია და მჯერა კიდეც, რომ ამ ასპარეზზე მეტ სარგებლობას მოვუტან ჩემს ხალხს. ხშირად მეკითხებიან, დათანხმდებოდით თუ არა უზენაესი საბჭოს არჩევნებში დეპუტატად გეყარათ კენჭი, თუ თქვენს კანდიდატურას დაასახელებდნენო.

დიდი მადლობით მივიღებდი ასეთ სურვილს ჩემი თანამოაზრეებისაგან და მადლობითვე ვეტყოდი უარს იმავე მიზეზით, რაზეც ზემოთ მოგახსენეთ. მე ვერ დაგიმალავთ, მეცოდება საბჭოებში აღზევებული ბევრი ჩემი ნიჭიერი კოლეგა, რომელნიც კარგი ფილმებისა და წიგნების შექმნისათვის საჭირო ძვირფას დროს ისეთ საეჭვო საქმიანობაში ფლანგავენ, როგორიც არჩევით ორგანოებში მონაწილეობა გახლავთ. არსებობენ პროფესიონალი პოლიტიკოსები, პროფესიონალი ეკონომისტები, ხელოვანი კაცი მათ შემცვლელად ვერ გამოდგება, რადგანაც მისი გონება მხატვრული აზროვნებისათვის არის მოწოდებული. ქუდი კი უმჯობესია, მექუდემ შეკეროს.

მჯერა, საქართველო თავს დააღწევს განუკითხაობის ჭაობს და უახლოეს წლებში ღონივრად დადგება ფეხზე. მაგრამ, ამას დასჭირდება უაღრესად ბრძნული პოლიტიკის გატარება. ჩვენ სწორად უნდა შევაფასოთ ჩვენი ახლანდელი მწირი შესაძლებლობანი და

მეზობელთა ხშირად იმპერიული, ხშირად აშკარად მეკობრული მისწრაფებანი. სამწუხაროდ, დღეს ბევრი ალმაცერად უყურებს პროფესიონალი პოლიტიკოსის შეხედულებებს და ისე იქცევა, თითქოს ჭეშმარიტების გასაღები მხოლოდ მას ედოს ჯიბეში. პოლიტიკაში ბევრი არამკითხე მრჩეველი და უფრო მეტი დილეტანტი დაგროვდა. მიკროფონთან მისწრების სითამამე და ათრთოლებული პოლიტიკურ-ეკონომიკური ლაყბობები ჯერ კიდევ არ ნიშნავს იმას, რომ სწორს ამბობს.

ვაშენებთ დემოკრატიულ საზოგადოებას, მაგრამ მიჭირს ამ სიტყვის გათავისება, ჩვენს ექსტრემალურ პირობებში, ძნელია დამყარდეს ნამდვილი დემოკრატია.

დემოკრატიის ის დონე, რაც ამჟამად ჩვენში სუფევს, რა თქმა უნდა, ჭეშმარიტი დემოკრატიისაგან შორს დგას, მაგრამ, ხომ ფაქტია, რომ ძირითადად სწორ გზაზე დავდექით. აღთქმული ქვეყნისკენ მიმავალ ამ გზაზე წინააღმდეგობანი, ბუნებრივია, გვექნება. ქვეყანა, სადაც უახლოეს ორ წელიწადში რადიკალურად რამდენჯერმე შეიცვალა მთავრობა, ერთბაშად დემოკრატიით ვერ განათდება. მით უმეტეს, რომ პოლიტიკური ბრძოლის საშუალებები ხშირად ხიდების აფეთქებისა და საავადმყოფოებზე თავდასხმის ფაქტებსაც კი მოიცავს. სასაცილოა დემოკრატიისა და დარწმუნების ენით ელაპარაკო იმას, ვისაც შენი სიტყვის გაგონებაც არ სურს და ყოველ მოსახვევში თოფს გიღერებს. მაგრამ დრო ყველაფერს კურნავს. მე ძალიან მინდა წარმოვიდგინო ასი წლის შემდგომდროინდელი საქართველო და ძალიან მინდა მჯეროდეს, რომ უსათუოდ გაამართლებს ქვეყნის შენების დემოკრატიული და არა დიქტატორულ-უზურპატორული გზა.

ეკონომიკური კრიზისი მარწუხებს გვიჭერს, თითქოს უფსკრული ერთ ნაბიჯზეა.

სიღარიბისა და გაჭირვების პრობლემა ალბათ დიდხანს არ მოიხსნება. როგორც საზოგადეობის განვითარების ისტორიულ პროცესებს ვიცნობ, სასაცილოდ მოსჩანს მარქსისტული საყოველთაო თანასწორობის უტოპია. კომუნიზმის თეორია ჩვენ თვალწინ უკვე არარაობად იქცა. საზოგადოებაში მდიდრები და ღარიბები დარჩებიან. მაგრამ მათ შორის ანტაგონისტური დაპირისპირება მოისპობა ქვეყნის ეკონომიკურ-სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებასთან დაკავშირებით. მოკლედ რომ გითხრათ, პროდუქციის სიუხვე მოიტანს იმას, რომ მდიდარი, იმდენად მდიდარი იქნება, რომ მას

გულში ღარიბისადმი შიში და სიძულვილი გაუქრება, ხოლო ღარიბი, მისი შესაძლებლობიდან გამომდინარე, იმდენად ღარიბი აღარ იქნება, რომ მათხოვარს გაუტოლდეს და მის არსებაში ყოველთვის დარჩება პოტენციური შესაძლებლობა მხოლოდ პატიოსანი გზით გამდიდრებისა.

მაშ როგორ ვებრძოლოთ ამ ეტაპზე უპატიოსნო გზით გამდიდრების მოზღვავებულ მსურველთ, რომელთა რიცხვი კატასტროფულად იზრდება?

სხვათა შორის, საბჭოთა კავშირი ალბათ მსოფლიოში ერთადერთი ქვეყანა იყო, სადაც ადამიანს ბავშვობიდანვე უნერგავდნენ მდიდრების სიძულვილს. სიმდიდრე, თავისთავად, რასაკვირველია, დიდი სიკეთეა, ხოლო არაპატიოსანი გზით გამდიდრების მსურველნი იმიტომ მრავლდებიან, რომ ეკონომიკა დღითი დღე თმობს პოზიციებს და დეფიციტური საქონლის დასახელება უაღრესად იზრდება. აქ უკვე სამართალდამცავმა ორგანოებმა უნდა თქვან თავიანთი კომპეტენტური სიტყვა, თუმცა მარტო ამ ორგანოების მოქმედებით შორს ვერ წავალთ. უპირველს ყოვლისა, ეკონომიკური კრიზისიდან თავის დაღწევა უნდა შევძლოთ გონიერი და მოქნილი პოლიტიკის გამოყენებით. ამ მხრივ იმედით მავსებს ბატონ რომან გოცირიძის მიერ შემუშავებული სარეფორმო სისტემა, ხოლო იგი რომ ძნელად მკვიდრდება, ეს იმისი ბრალი სრულიადაც არ არის. უფრო იმათი ზოზინისა და წაყრუების შედეგია, ვისაც ძველი სტერეოტიპული საბჭოური აზროვნება ჯერ კიდევ ვერ დაუძლევია.

ამდენი საქველმოქმედო დახმარება მოდის, საშველს კი პირი არ უჩანს, რა გვჭირს, სად მიდის ყოველივე. ვტრაბახობთ, ვბაქიბუქობთ, საქმე კი წერტილიდან არ იძვრის...

ქება-დიდებას და მლიქვნელობას საქართველოში ჩვენი საუმოცდაათწლოვანი წარსულის გადამკიდენი ერთბაშად ვერ მოვსპობთ. სიმართლე გითხრათ, ღირსეულთა შექებაში, მათ წახალისებაში ცუდს ვერაფერს ვხედავ, ეს მეც ძალიან მაწუხებს. არათუ ჩვეულებრივ მაღაზიებში არ ჩანს დასავლეთიდან მიღებული დახმარება, ვერც საბავშვო დაწესებულებებს და საავადმყოფოებს დაეტყოთ იგი, ამ დროს დავრდომილ, მოხუცთა, მარტოხელათა და ავადმყოფთა დასახმარებლად შემოზიდულ რძის ფხვნილს, უცხოურ კონსერვებს ყოველ ფეხის ნაბიჯზე წააწყდებით კომერციულ მაღაზიებში. როგორც ჩანს, ჩვენი ხელისუფლება მაფიის მიმართ ჯერი კიდევ უძლურია. რადიკალური ზომების მიღება რატომღაც ჭიანურდება. ფაქტია, საქმე გვაქვს დანაშაულთან, რომელიც ჯერჯერობით ღიად რჩება.

ჩრდილოეთ ოსეთი გაზის გადაკეტვას ვერ გაგვიბედავდა, იგი რომ რუსეთს არ წაეგულიანებინა. იმპერია გვებრძვის. ამას წინათ ბატონმა ე. შევარდნაძემ სწორად ახსნა ყოფილი იმპერიის მიერ საქართველოს წინააღმდეგ ბრძოლის ანი და ჰოე. ჩემთვის მეზობლის მიერ გაზის გადაკეტვის ფაქტი გაუგონარი ანგარიშსწორებისა და მეკობრული მუხანათობის გამოვლინებაა. გაზი გადაუკეტეს მთელი საქართველოს ბავშვებს, მოხუცებს, პურის საცხობებსა და საავადმყოფოებს და საქართველოში მცხოვრებ რუსი და ოსი ეროვნების მოქალაქეებსაც. მე განმაცვიფრა იმ ფაქტმა, რომ ცივილიზებული დასავლეთი ლამის დუმილით შეხვდა საქართველოს ამ უბედურებას. ჩვენ, ქართველებს, საერთაშორისო ასოციაციების წევრობა და ცივილიზებულ ქვეყნებთან ურთიერთობის დამყარება იმიტომ გვიხაროდა, რომ ამას თან მოჰყვებოდა სხვადასხვა სახის დამცველი დიპლომატიური მექანიზმები, მაგრამ, სამწუხაროდ, ასე არ მოხდა. მე არ მინდა საქართველო ძველებურად სტუმრების მიმღებ-გამცილებელ, კომუნისტურ სუფრა-რესპუბლიკას დაემსგავსოს. სახელმწიფო საბჭოს დაუყოვნებლივ უნდა მიეპყრო თავისი განცხადებით მსოფლიო საზოგადოების ყურადღება ზემოაღნიშნულ ფაქტზე. ვთქვათ, ინება ჩრდილოეთ ოსეთის სესიამ და ჩაგვირთო გაზი, მაგრამ ხომ რჩება შესაძლებლობა იმისა, რომ პირველივე ინციდენტის გამო ჩვენი ჩრდილოეთელი მეზობლები ამას კვლავ გაიმეორებენ, მაშ რა გამოდის, მუდმივი კომპრომისისა და შიშის ქვეშ ვიყოთ? არადა, ჩვენ გადასახლებას არსად ვაპირებთ და ჩვენი მეზობლები ყოველთვის იქნებიან ოსები, ლეკები, ჩეჩნები და სხვანი. რაც შეეხება ეთნოკრიზისებს, გითხრათ სიმართლე, ძალიან ბევრს ვფიქრობ, მაგრამ ძალიან მიჭირს რაიმე კონკრეტულის, ორიგინალურის თქმა, იმიტომ, რომ ბევრმა ჰიპოთეზამ ამ მიმართულებით კრახი განიცადა. ცხადია, ეთნოკრიზისები ინსპირირებულია, საქართველო ლამის დილემის წინაშე დგას: თუ თავს დაუკრავს რუსეთს და რუსის ჯარს საქართველოში დატოვებს, ჩვენს დამოუკიდებლობას საფრთხე დაემუქრება. თუ რუსეთისაგან საბოლოოდ პოლიტიკურად თავის დაღწევის კურსი განვაგრძეთ, მშვიდი ძილის საშუალება არ მოგვეცემა. აი, სწორედ ამიტომ არის საჭირო გაერთიანებული ერებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების პოლიტიკური სანქციების ამოქმედება. აი, ამიტომ უნდა გახდეს საქართველო დემოკრატიული მსოფლიოს სრულუფლებიანი პოლიტიკური წევრი.

ბოლოს და ბოლოს გვარდია გაუგონარს არაფერს სჩადის; აკეთებს იმას, რასაც საქართველოს ჯარი აკეთებდა ყოველთვის, ყველა საუკუნეში – თავის მიწას იცავს. გვარდია უნდა შევიდეს ცხინვალში, სასწრაფოდ უნდა დაიკეტოს ჩრდილოეთიდან დივერსიების წყეული ხვრელი – როკის გვირაბი. მთელი სამაჩაბლოელი ხალხის სახელით პირობა მივცეთ მთელ მსოფლიოს, რომ როცა ეს გაკეთდება, ოსებს არავინ შეავიწროებს, ისინი ძველებურად იცხოვრებენ ჩვენს მიწაზე მშვიდად და კეთილმეზობლურად.

თუმცა გარემოებამ გამაპოლიტიკოსა, ჩემი მთავარი საქმე ნოველების წერაა. არ დაგიმალავთ, არ მინდა ჩემი ნაწერი უკან მიდევნებული ლამპარი იყოს ჩემი მკითხველისთვის – კატეგორიულად არ ვეთანხმები ე. წ. დისტანციის თეორიას. ვწერ, ძირითადად ჩვენს დღეებზე, თანამედროვის ტკივილებით სავსე ყოველდღიურობაზე. არ ვიცი, რამდენად ობიექტურის, მიუდგომელის თვალით აღვიქვამ დღევანდელობას, მაგრამ თუნდაც ოცი-ოცდაათი წლის წინათ დაწერილ ჩემს არც ერთ ნოველაზე არ ვფიქრობ, ნეტავ ასე არ დამეწერა, დღეს სხვანაირად დავწერდი-მეთქი. ხანდახან, ჩემდაუნებურად, პოლიტიკაში თუ გავერევი, მხოლოდ იმიტომ, რომ მეტი გავიგო ჩვენს ცხოვრებაზე, მეტი ინფორმაცია მქონდეს, რათა ჩემი შემოქმედებით მოყვასს „სიძნელე გზისა გავუადვილო“. ერთი სული მაქვს სამაჩაბლოში წავიდე და გვარდიელთა გვერდით ვიყო, როგორც მებრძოლი კი არა (მე თოფს ვერ მოვკიდებ ხელს) როგორც მწერალი, რათა ქართველ მებრძოლთა ძნელი ყოფის სურათები დავუტოვო შთამომავლობას. რა ვქნა, ვერ ვუგებ, გაბუტულ, განზე გამდგარ, ცხოვრების ორომტრიალს გარიდებულ ხელოვანთ.

„თვისტომი“ საქართველოს გარეთ მცხოვრებთა ერვნული კონსოლიდაციის საზოგადოებაა და ჩვენ ყოველ ღონეს ვხმარობთ, რათა უცხოეთში მცხოვრები ჩვენი თანამემამულენი სამშობლოსაკენ მოვაქციოთ. ასეულობით ოჯახი დავაბრუნეთ სამშობლოში ჩრდილოეთ კავკასიიდან და რუსეთიდან. ეს ჩვენი ეროვნული ფენომენის გაძლიერების ერთადერთი ნაცადი გზაა. არ უნდა შეგვიპყროს უნაპირო ინტერნაციონალიზმის დამღუპველმა სისტემამ. არ შეიძლება გავშალოთ მკლავები და ყველა გზააბნეულსა და დევნილს საქართველოში საცხოვრებლად მოვუხმოთ. ეს ეხება, რასაკვირველია თურქი მესხების პრობლემასაც. ჩვენ ძალიან კარგად ვიცით, თუ როგორ გვიხდიან ტრადიციულ სიკეთეს შემოკედლებული უცხო ტომები. მე ვფიქრობ, თურქი მესხებისაგან მხოლოდ ისინი

დავაბრუნოთ, ვინც პასპორტში ქართველს ჩაიწერს და მშობლიურ ენად ქართულს აღიარებს. ამბობენ: სამასი ათას ეგრეთ წოდებულ თურქ-მესხთაგან დაახლოებით 80% დათანხმდება ამ წინადადებას. შემოვლენ ისინი ქართული პასპორტებით საქართველოს მიწაზე, დამკვიდრდებიან, ორი წლის შემდეგ გადაყრიან ამ პასპორტებს და გამოგვიცხადებენ, გავარკვიეთ, რომ ჩვენ, ქართველები კი არა თურქები ვყოფილვართო და კეთილი ინებეთ ავტონომია გვიბოძეთო... ეს იქნება კატასტროფა სამცხე-ჯავახეთის მრავალტანჯული მხარისათვის. რისთვის ან ვის სჭირდება ასეთი ექსპერიმენტიო. სრულიად ვერ უძლებს კრიტიკას თურქ-მესხთა მცირე ჯგუფების თანდათანობითი შემოყვანა. როგორც კი ჭიშკარს გავუხსნით ნიაღვარს, შემდეგ ვეღარ შევიკავებთ. ასე რომ, ვფიქრობ, თუ საქართველომ ქართული ფენომენის გაძლიერებისათვის, ჩვენი დემოგრაფიული პრობლემის გადაწყვეტისათვის დროულად არ იზრუნა, სულ რაღაც 90–100 წლის შემდეგ ქართველები ამ მიწაზე ეროვნულ უმცირესობათა შორის აღმოვჩნდებით და მერე ყველა ლამაზი პოლიტიკური ფრაზა გახუნებული იქნება, ხოლო მსოფლიოს ისტორიაში სამიოდე სიტყვით ჩაიწერება: არსებობდა კავკასიონის ქედის სამხრეთით უაღრესად ნიჭიერი ერი, რომელიც თავისი მოუზომავი, უნაპირო ინტერნაციონალიზმითა და გაუაზრებელი ეროვნული ხელგაშლილობით გადაშენდა...

ღმერთმა დაგვიფაროს!

11 ივნისი, 1992 წ.

სამი სექტემბრის ხელშეკრულება

მოლაპარაკების დაწყებამდე ორი დღე იყო დარჩენილი, ყველასაგან მოულოდნელად, რუსმა ცეცხლი რომ გაგვიხსნა. 1 სექტემბერს უმოწყალოდ მოგვიკლა 20 ქართველი ვაჟკაცი და დაგვიწვა მისგანვე მამასისხლად ნაყიდი ტანკები. ეს იყო არა მარტო რუსეთის კიდევ ერთი ისტორიული დანაშაული საქართველოს წინაშე, არამედ საქართველოს არმიის წელში გასატეხად გადადგმული ნაბიჯიც და ფსიქოლოგიური ზემოქმედების ფორმაც. ამ ფაქტის გამო მსოფლიო განგაში უნდა აგვეტეხა, მაგრამ ე. შევარდნაძემ აქაც თავის თავზე აიღო პასუხისმგებლობა და მისმა გუმანმა, ვეჭვობ

გაიმარჯვოს. ხელშეკრულება მთლიანად არა, მაგრამ, ოთხმოცი პროცენტით მაინც სიმართლის სასარგებლოდ, ე. ი. ჩვენ სასარგებლოდ ღაღადებს, რაკიღა საქართველო ამ ომში ღვთის წინაშე ცამდე მართალია, თანაც მკითხველს ვთხოვ, ნუ დაივიწყებს ამ გარემოებას, რომ რუსს მისი სურვილის საწინააღმდეგოდ ეს დოკუმენტი მსოფლიოს პროგრესული ძალების (ბუში, „გაერო“...) ზემოქმედებამაც შეაქმნევინა.

თუმცა აქვე უნდა დავსძინოთ, რომ დოკუმენტი საკმაოდ ეშმაკურადაა შედგენილი და სრული თვითდამშვიდების საფუძველს როდი გვაძლევს. ჯერ ერთი, დოკუმენტში „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის“ ნაცვლად ყველგან „აფხაზეთი“ წერია, ეს სეპარატისტს უტოვებს იმის ილუზიას, რომ არძინბას ოცდაშვიდი ივნისის დანაშაულებრივი დოკუმენტი ოდესმე შეიძლება გაცოცხლდეს. საერთოდ საქართველოს პარლამენტმა პირველსავე სხდომაზე უნდა გააუქმოს ქართველებისათვის დისკრიმინაციული „აფხაზური“ საარჩევნო სისტემა, დანიშნოს აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში ყველა ერისთვის თანასწორი არჩევნები, ბოლო იქაურმა ახლადარჩეულმა პარლამენტმა განსაზღვროს აფხაზეთის მომავლის სახელმწიფო წყობა. ჩვენი ნაკლი კომუნისტების დროს და შემდეგაც საქმის ბოლომდე მიუყვანლობა გახლავთ. შემდეგ: მართალია, დოკუმენტით „უზრუნველყოფილია საქართველოს რესპუბლკის ტერიტორიული მთლიანობა“, მაგრამ არსად წერია ვინ დაიცავს საქართველოს სახელმწიფო საზღვრებს. არც საქართველოს სასაზღვრო ჯარების ყოფნაზეა ლაპარაკი ე. წ. აფხაზეთში. გარკვევით უნდა ყოფილიყო ჩაწერილი: „საქართველოს მხრიდან დაიცავს საქართველოს შეიარაღებულ ძალები, ხოლო რუსეთის მხრიდან რუსეთის შეიარაღებული ძალები“, ასევე ბუნდოვანია (ან იქნებ, რუსულიდან არასრულყოფილად თარგმნილი) ფრაზა „...საქართველოს რესპუბლიკის, მათ შორის აფხაზეთის ტერიტორიაზე...“ (ორჯერაა დოკუმენტში გამეორებული) აფხაზეთის ტერიტორია საქართველოს ტერიტორიაა და რაც საქართველოზე ითქმის, ბუნებრივია, აფხაზეთზეც ვრცელდება.

ახლა მთავარია ამ „სამშვიდობო დოკუმენტის“ ცხოვრებაში გატარება. დაუყოვნებლივ უნდა გადაიდგას ნაბიჯები, რათა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე მცხოვრებმა ქართველმა (რომელიც მოსახლეობის 47 პროცენტს შეადგენს) თავი იგრძნოს თავის სამშობლოში, თავის მიწაზე მცხოვრებლად და არა გერად, ან „აფხაზეთის სტუმრად“.

12 სექტემბერი, 1992 წ.

რას ჰქვია „მომატყუეს“?

ომი – სასოწარკვეთა, არჩევნები – იმედი! – ურთულესი ცხოვრებით ცხოვრობს დღეს საქართველო.

დღეს საქართველოში, კაცი არ არის, რომ ჩვენს უბედობაზე არ სწუხდეს, კერძოდ, აფხაზეთში შექმნილ მდგომარეობაზე. თითქოსდაცა რისხვით მოგვიქუხდა ამ ბოლო დროს თითქმის ყველა ძალისხმევა ახლანდელი ხელისუფლებისა როგორმე ეშველა ქვეყნისათვის, მარცხით დამთავრდა, რა თქმა უნდა, კარგია აღიარება: ჩიხში მოვექეცით, მახე დაგვიგეს, მოგვატყუესო, მაგრამ უფრო უკეთესია, სანამ მოგატყუებდნენ, მანამდე დაფიქრდე ღრმად, აწონ-დაწონო ყველაფერი და ისე გადაწყვიტო, ყოველ მეორე დღეს სახელმწიფო საბჭოს მოწვევას და იქ გრძელ-გრძელი, ბრტყელ-ბრტყელი სიტყვების წარმოთქმას ჯობდა იქ დაკარგული დრო დაგვეხარჯა საქართველოს მდგომარეობის ღრმად გაანალიზებასა და მსოფლიოსთან რეალური, საქართველოსათვის საჭირო ურთიერთობის დამყარებაში.

აი, რა შეცდომები დავუშვით:

დაგომისის ხელშეკრულებით, სამაჩაბლო ფაქტობრივად დავკარგეთ, სამწლიანი სისხლისღვრა ჩვენი შვილებისა წყალში ჩაგვეყარა. როკის გვირაბს ქართველი მხარე ვერ აკონტროლებს. ოცი ათასი ოსი ლტოლვის ნაცვლად ოთხმოცი ათასი ოსი შემოვიდა საქართველოს ტერიტორიაზე, ხელშეკრულებით ჭეშმარიტად ხელფეხშეკრული, ბოღმით გულზე გასიებული ქართველი მეომრები შორიდან უცქერიან სამაჩაბლოში ოსური სახელმწიფოს გამოცოცხლებას და გაძლიერებას. თავს ნუ მოვიტყუებთ, ჩვენი იურისდიქცია აბსოლუტურად არ ვრცელდება სამაჩაბლოს ტერიტორიაზე.

ახლა აფხაზეთში გადმოვიდეთ. სანამ აფხაზეთის ტერიტორიაზე ჯარს შევიყვანდით, საჭირო იყო ელცინთან სერიოზული მოლაპარაკება და მისგან იმის გარანტიის მიღება, რომ რუსეთის ტერიტორიიდან კონფედერაციის ჯარები არ შემოვიდნენ საქართველოში. თუ ელცინი (მე არ ვყოფ ზოგიერთივით რუსეთს ცალკე ელცინის ხელისუფლებად და ცალკე კონსერვატიულ ძალთა ხელისუფლებად) ამის პირობას არ მოგვცემდა, მაშინ საქართველოს ხელისუფლებას უნდა ემოქმედა ელცინზე გაეროს და ჩვენი მეგობარი (თუ ეს მეგობრობა მოჩვენებითი არ არის) სახელმწიფოების მეშვეობით. თუ დასავლეთიც დაიბანდა ხელს რუსთ ხელმწიფეზე ზემოქმედებისაგან, მაშინ არ უნდა გადაგვედგა ჩვენი რესპუბლიკისათვის ეს თითქმის

საბედისწერო ნაბიჯი. როგორც ირკვევა ჩვენ ჯერ ჯარები დავძარით ჩვენსავე ტერიტორიაზე აფხაზეთში შესასვლელად და მერე დავიწყეთ იმ ურთიერთობის დამყარება, რომელზედაც ზემოთ მოგახსენეთ.

გარდა ამისა, თუკი გადავდგამდით ნაბიჯს ქართველთა სამართლიანი სამამულო ომის გაჩაღებისაკენ, სრულიად გაუმართლებელია ქართველი მეომრების დაცვედნება ომის საქმეში ჩაუხედავი პოლიტიკოსების მიერ. ჯარისკაცის მოქმედების პრინციპი გამარჯვებისათვის ბრძოლაა და გამარჯვებით ტკბობა. თუ შენ ორასი მეტრით მიუახლოებ მიზანს – ცხინვალს და შიგ არ შეუშვებ, თუ შუა გზაზე შეაჩერებ გუდაუთისაკენ მსრბოლელ არმიას, ამით, ჯერ ერთი, მტერს აძლევ გამაგრების და გაძლიერების საშუალებას, მეორეც, ქართულ ჯარს და, საერთოდ, ქართველ კაცს უჩენ არასრულფასოვნების სინდრომს, რაც დამღუპველია ერისათვის. აი, ეს დაგვემართა აფხაზეთში.

გარდა ამისა, შედეგი არ გამოიღო უცხოურმა გარიგებებმა საქართველოს ეკონომიკური გაძლიერების შესახებ, რაზეც წამდაუწუმ გაჰყვიროდნენ თავიანთ ინტერვიუებში, ჩვენი ხელისუფლების წარმომადგენლები ლამის რვა თვეა ხელისუფლების სათავეში არიან და ირკვევა, რომ მათი დაპირებები, დამშეული საქართველოს გამოკვების შესახებ, ტრაბახს და მოტყუებას უფრო წააგავდა.

დაბოლოს, ჩემი ფიქრით, შეცდომა იყო გაუთავებელი პატიებაშეწყალება დამნაშავეების. ბუშს რომ სთხოვო, ესა და ეს პატიმარი გაუშვიო, გაკვირვებისაგან მხრებს აიჩეჩავს: მე რა უფლება მაქვს პატიმარი გავუშვაო. შენ კი არ უნდა შეიწყალო დამნაშავე-რეციდივისტი, თოფ-იარაღით საიმედოდ დაცულმა ხელისუფლებამ, არამედ უნდა აპატიოს მოკლული და დასახიჩრებული შვილების მამამ, ასეთი მამებისათვის კი არავის არაფერი უკითხავს. მე ვფიქრობ, სწორი არ არის, ამერიკის და საფრანგეთის დემოკრატიული მმართველობის მოდელი მოარგო ბანდიტებით და ყაჩაღებით მდიდარ საქართველოს. რეალურის გაუთვალისწინებლობა და სხდომების გადაყოლა მიმაჩნია ჩვენი სახელმწიფო საბჭოს მუშაობის მთავარ ნაკლად...

არ ვიქნებით ობიექტური, თუ თანამედროვე საქართველოს თავს დამტყდარ მთელს უბედურებას მხოლოდ ჩვენს უკანონო ხელისუფლებას დავაბრალებთ, თითქოსდა ყველამ პირი შეკრა საქართველოს წინააღმდეგ. ვერ გამიგია, რით განვარისხეთ ღმერთი ასე, ან რა დავუშავეთ ჩვენს უახლოეს მეზობლებს. დაგმისის და მოსკოვის ხელშეკრულებები რუსეთის მხარემ ოდნავაც არ შეასრულა, კონფედერაცია და ერთი მუჭა აფსუა კი არა, ჩვენ ფაქტობრივად რუსეთი გვებრძვის, მაგრამ უბედურება ის არის, რომ მსოფლიომ ყურიც არ გაიბერტყა ჩვენს უბედურებაზე. მოისმინეს გაეროში შევარდნაძის საინტერესო სიტყვა, ტაშიც დაუკრეს, მაგრამ „სხვისი ჭირის – ღობეს – ჩხირის“ თეორიაზე დარჩნენ. არავითარი ქმედითი დახმარება, ბედის დაცინვა არ არის, რომ ნატომ, რომელიც ცოცხალი ძალით დაეხმარა იუგოსლავიას, ჩვენ იურიდიულად გამოგვიცხადა: თქვენს კონფლიქტში ვერ ჩავერევით, თუ გინდათ, თბილისში სამეცნიერო კონფერენციას ჩაგიტარებთო! გასაგებია რუსეთის ურჩხულის ჯერ კიდევ ეშინია ცივილიზებულ დასავლეთს, მაგრამ ნუთუ ასე ბედის ანაბარად უნდა მიგვატოვოს და გაგვწიროს მთელმა მსოფლიომ? ნუთუ საქართველო, რომელსაც მსოფლიო ცივილიზაციაში ამდენი საგანძური შეუტანია, რუს შოვინისტთა და ველურ მთიელთა საჯიჯგნად უნდა გასწირონ? მე მაინც ვფიქრობ, რომ ქოთნის კეთება, ვინც დაიწყო, ყურიც მანვე უნდა გამოაბას, მე მაინც ვფიქრობ, რომ კიდევ ერთხელ მივცეთ საშუალება საქართველოს ხელისუფალთ, სცადონ და წაღმა შეატრიალონ საქართველოს ბედი.

მე მხარს ვუჭერ არჩევნებს და გულით მივიღებ მასში მონაწილეობას, იმის იმედით, რომ ახლად არჩეულ პარლამენტს და მის თავმჯდომარეს ეყოფათ გონიერება, დაწყებული საინტერესო ჩანაფიქრები ბოლომდე მიიყვანონ, ხოლო მათ მიერ ნებით თუ უნებლიედ დაშვებული სერიოზული შეცდომები გარმოასწორონ.

1992 წ.

„მე ამ ქვეყნის ოროომტრიალში წილი მიდევს“

მწერალთა ყრილობის დაწყების წინ სკვერში მომხდარი ამაზრზენი ფაქტი იმდენად შორეულია, რომ გითხრათ სიმართლე, აღარც მახსოვს. დამავიწყდა, ალბათ, იმიტომ, რომ გონებამ არ დაიჯერა, თუ შეეძლო ქართველს წიგნი დაეხია და სანაგვეზე მოესროლა. მაშინაც ვთქვი და ახლაც ვიმეორებ, რომ ეს იყო მოტყუებულ მანდილოსანთა სპექტაკლი. მათ არ იცოდნენ, რას სჩადიოდნენ. რაც შეეხება შურისძიებას, ერთი წამითაც არ მიფიქრია ამაზე. ვისზე უნდა ვიძიო შური, ჩემს შემცდარ დებზე? მახსოვს, იმავე დღეს, ყრილობის დაწყების წინ, კარებამდე მომსდია ჩემმა ნაცნობმა ცის-

ფერთვალება ზვიადისტმა ქალიშვილმა: ბატონო რევაზ, ნუ ჩაიდ-ენთ გამოუსწორებელ შეცდომას, ნუ შეხვალთ მაგ ყრილობაზე, თქვენ მანდ შესასვლელად არ მემეტებითო. ისეთი გულწრფელობით მეუბნებოდა ამ სიტყვებს, რომ მისი გადარწმუნება არც მიცდია. სულერთი იყო, აზრს ვერ შევაცვლევინებდი. არ ვიცი, რამდენად დამიჯერებენ ყოფილი პრეზიდენტის დამქაშები (ამჟამად უკვე ოპოზიციონერი ქალბატონები), მაგრამ მე ისინი მიყვარს.

სამწუხაროდ, პოლიტიკურმა დაპირისპირებამ მწერლობაშიც იჩინა თავი. დღეს საქართველოში, ფაქტობრივად, მწერალთა ორი კავშირია. ამით ჩვენი ერის სულიერი ერთიანობის საძირკველი გაიბზარა. მწერალი ხომ ჩვენში ქვეყნის წინამძღოლობასაც კისრულობდა და ერის მთლიანობას საკუთარი სისხლითა და ოფლით ადუღაბებდა.

ესიამოვნება თუ არა ეს ზოგიერთ დიპლომატს, ერის ჭეშმარიტი წინამძღოლი მწერლობაა, მწერალია. რა თქმა უნდა, ნამდვილ, სინდისიერ მწერალზე მოგახსენებთ. მწერალთა კავშირი ჩვენთვის შეხვედრების, საუბრების, მწერლისათვის მუშაობის პირობების შექმნის დაწესებულებაა და არა კოლექტიური შემოქმედების ან რაღაც საერთო კრედოს გამომუშავების ასპარეზი. მწერლები ყოველთვის მარტონი ვართ ჩვენს ბრძოლაში. ამიტომ ჩემს პატივისცემას ყოველთვის უფრო ის მწერალი იმსახურებს, თავის ჩანგს ოფიციალური ხელისუფლების ჩანგზე რომ არ ააწყობს, რომელიც ეპოქის შეუვალი, ობიექტური მემატიანეა. ამიტომაც არ ვიყარე კენჭი პარლამენტის დეპუტატობაზე. იქნებ ვცდები, მაგრამ მეჩვენება, რომ პარლამენტის წევრობა მწერალს თავისუფლებას უზღუდავს. მაგალითად, სამი-ოთხი მწერალი იყო წინა პარლამენტში და თავიანთი პარლამენტარობით, როგორც გაირკვა, ქვეყანას ბევრი ვერაფერი სიკეთე მოუტანეს.

რაც შეეხება მწერალთა ორ კავშირს, არა მგონია ორმა და თუნდაც ექვსმა მწერალთა კავშირმა ერის სულიერი ერთიანობის საძირკველი გაბზაროს. როგორც ზემოთ გითხარით, ერის სულიერ ერთიანობას ერის სინდისი ადუღაბებს და არა რომელიმე დაწესებულება. მწერალთა კავშირი კი ამ შემთხვევაში, მხოლოდ შემოქმედებითი კავშირია და სხვა არაფერი. ასე რომ, დიდად ნუ გავაზვიადებთ მის მნიშვნელობას, ერის მებაირახტრე თვით მწერალი ინდივიდია და არა კავშირი. ამდენად, უმჯობესია მწერალს ვუგდებდეთ ყურს და ვაფასებდეთ მას, როგორც საჭიროა.

შვიდთვიანი სახელმწიფო საბჭო უკვე ჩვენი დღეების ისტორია. გარდასულზე მე მხოლოდ იმ შემთხვევაში მექნება კრიტიკული შენიშვნების გამოთქმის უფლება, თუ ამ ნაკლოვანებებზე მანამდეც მითქვამს სიტყვა. შენიშვნები, რომლებზედაც ქვემოთ მოგახსენებთ, სხვადასხვა ინტერვიუებშიც არაერთხელ გამომიხატავს და რადიო თუ სატელევიზიო გამოსვლებშიც ხაზგასმით აღმინიშნავს.

პირდაპირ გეტყვით: სახელმწიფო საბჭოს „დიდ ისტორიულ დამსახურებას“, შეიძლება ვცდები, მაგრამ მე ვერ ვხედავ. ყოველ მესამე დღეს მრავალსაათიანი დებატები სახელმწიფო საბჭოს სხდომებზე მაინცდამაინც დიდი შედეგებით არა ბრწყინავდა. საქართველოს საერთაშორისო აღიარებანი უპირატესად ეპოქის დამსახურებაა, ხოლო ის საკვანძო საკითხები, რასაც სახელმწიფო საბჭომ სხვადასხვა დროს დასტური მისცა, მთლიანი საქართველოს შენარჩუნებისათვის წინ გადადგმულ ნაბიჯებად არ მეჩვენება. კიდევ ერთხელ მოგახსნებთ, იქნებ ვცდები-მეთქი, მაგრამ სამწუხაროდ დაგომისის ხელშეკრულებით ჩვენ ლამის დავკარგეთ სამაჩაბლო. ქართული მიწის წართმევის მოსურნე ოს სეპარატისტებთან ორწლიანი სამამულო ომის შედეგები წყალში ჩაგვეყარა. სამშვიდობო დერეფანი, ჩემი ღრმა რწმენით, გორსა და ცხინვალს შორის კი არ უნდა გაკეთებულიყო, არამედ ორი სხვადასხვა სახელმწიფოს საზღვარზე, როკის გვირაბთან, რუსეთსა და საქართველოს შორის. ვისღა დავუმალოთ – საქართველოს იურისდიქცია ცხინვალში არ ვრცელდება, ხოლო როკის გვირაბიდან განუწყვეტლივ შემოდიან ყოფილი იმპერიის სხვადასხვა კუთხეში აღზრდილ-დაბადებული ოსები და ჩვენს მიწაზე სახლდებიან. მოხდა ის, რისიც ყველაზე მეტად მეშინოდა. ხელშეკრულებამ მხოლოდ ჩვენ შეგვიკრა ხელები, ოსებს კი გაუხსნა.

ახლა აფხაზეთში გადმოვინაცვლოთ. სანამ ქართული არმია თავის ტერიტორიაზე გადაადგილდებოდა და საქართველოს ეთნიკურ კუთხეში – აფხაზეთში – შევიდოდა, მე ვფიქრობ, ხელისუფლებას ორი რამ მაინც უნდა გაეკეთებინა: ელცინისათვის უნდა ეცნობებინა ამ გადაადგილების განზრახვა და ეთხოვა, კონფედერაციის თავგადახოტრილი გველები საქართველოს დასარბევად არ გამოუშვა. თუ ელცინი ამაზეც, როგორც მას საერთოდ ახასიათებს, ორჭოფულ პასუხს მოგვცემდა, ამ შემთხვევაში რუსეთის პრეზიდენტზე უნდა გვემოქმედა დასავლეთის სახელმწიფოების, ევროპარლამენტის, გაეროს, ნატოს არხებით. როგორც ირკვევა, არც პირველი და არც მეორე არ გაკეთებულა. რუსის ჯარმა გუდაუთასთან რომ ცეცხლი გაგვიხსნა, მერე დავიწყეთ გზების ძიება. რაც შეეხება არმიას, გაგრა-ლესელიძე-განთიადთან ჩვენი სამხედრო

წარუმატებლობის გამო დამარცხებული კაცის სინდრომი მაქვს და მანამ არ გამიქრება ეს სინდრომი, სანამ რუს-აფსუა-ჩეჩნების მიერ ამ ორიოდე კვირის წინათ წართმეულ ჩვენს ტერიტორიებს არ დავიბრუნებთ. მე ვერაფრით ვერ დავარქმევ ბრძნულ სტრატეგიას ცხინვალთან ორას მეტრში მისული გვარდიის უკან გამობრუნებას და ვერც კილომეტრ-ნახევარში გუდაუთასთან მისული ქართული შენაერთებისათვის ჩვენს ბრძანება-ღაღადს: „არ დაგვლუპოთ, გუდაუთაში არ შეხვიდეთო!“ ჯარისკაცის თავგანწირვის ერთ-ერთი სტიმული გამარჯვებით ტკბობაა. მწვერვალთან მისულს რომ უკან გამოაბრუნებთ, ამით მის დადედლებას, დაცვედნებას უწყობ ხელს. ასევე არ ვეთანხმებოდი და დავწერე კიდეც ამის შესახებ „საქართველოს რესპუბლიკაში“, სახელმწიფო საბჭოს „ტრიუმფალურ“ ვიზიტს სამეგრელოში. მოგვიანებით თვითონ სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარემ აღიარა, რომ ეს ვიზიტი შეცდომა იყო. რაც შეეხება გაუთავებელ პატიება-მანიფესტებს, არც ამ გულუბრყვილო ჰედონიზმმა გამოიღო სასურველი შედეგი. სახელმწიფო საბჭოს რეალობის გრძნობა დაკარგული ჰქონდა. დემოკრატიის მოდელი, რომელიც ინგლისისათვის ან ამერიკისათვის გამოდგება ბანდებით დახუნძლული საქართველოსთვის სრულიად უვარგისია. დამნაშავეს შენ კი არ უნდა აპატიო, ოფიციალურმა ხელისუფლებამ, და ამით დემოკრატიული მმართველობის რეიტინგი შეიქმნა, არამედ გაუპატიურებულ გოგოს, ან მოკლული ვაჟის მამამ უნდა აპატიოს. ამ უკანასკნელთათვის კი, როგორც ვიცით, არაფერი უკითხავთ. დაბოლოს, კრახი განიცადა ხელისუფლების რუდუნებამ ეკონომიკური კრიზისიდან საქართველოს გამოსახსნელად. სადაა ტელეინტერვიუებში დახვავებული დაპირებანი საზღვარგარეთული გარიგება-ინვესტიციების წარმატებით დაგვირგვინების შესახებ? სადაა დაპირებული შაქარი, ხორცი და კარაქი? ხომ არ ვატყუებთ ხალხს ლამაზ-ლამაზი სიტყვებით?

აი, ეს და სხვა მრავალი, რომელთა შესახებაც სიტყვას აღარ გავაგრძელებ, მაიძულებს სკეპტიკურად შევხედო უკანონო სახელმწიფო საბჭოს საქმიანობას და იმედი ვიქონიო, რომ ბოლოს და ბოლოს კანონიერი პარლამენტი (რომლის წევრთა სია დიდად როდი განსხვავდება სახელმწიფო საბჭოს შემადგენლობისაგან) ბოლოს და ბოლოს გამოასწორებს თავისი წინამორბედის დაშვებულ შეცდომებს. მე კი – რევაზ მიშველაძეს – საქართველო არ მინდა და ვერც წარმომიდგენია ჩემი ისტორიული მიწების – სამაჩაბლოსა და აფხაზეთის – გარეშე და ყოველთვის იმ ხელისუფლების მხარეზე

ვიქნები, ვინც თავისი გონივრული პოლიტიკის (და არა ხალხის მოტყუებითა და ცრუ დაპირებით) ყველაფერს გააკეთებს საქართველოს მთლიანობის შესანარჩუნებლად.

არა ვარ ისეთი კაცი, რომ სიმპათია-ანტიპათიებზე, კონიუნქტურაზე ავაგო ჩემი შეხედულებები. მე პრეტენზია მაქვს, ვიყო მწერალი და ერის ბედისთვის, მისი მომავლისთვის პასუხს ვაგებდე. ჩემს ცხოვრებაში სხვადასხვა ყაიდის, მიმართულებების სამიოდე მთავრობა გამოვიცვალე და არც ერთ მათგანთან იმდენად არ ვყოფილვარ ჩახუტებული, რომ ჩემი, როგორც მწერლის, მართვის სადავეები მათთვის ჩამებარებინა. სამაგიროდ, არც ერთი ხელისუფლებისგან ისე არ გავმდგარვარ განზე, რომ ქედმაღლურად ზემოდან დამეხედა ან ამრეზით მეცქირა მისი ნამოქმედარისათვის. მე ამ ქვეყნის ორომტრიალში წილი მიძევს, მე ყოველი ხელისუფლების ყოველ სასიკეთო ნაბიჯს აღფრთოვანებით მივესალმები ხოლო ნაკლოვანებებს მოკრძალებით შევნიშნავ-ხოლმე. ჩემი დამოკიდებულების ეს მეორე მხარე ბევრს არ მოსწონს. რას იზამთ, იშვიათზე იშვიათად შემხვედრია კაცი, რომ ჩემ მიერ გამოთქმული შენიშვნებისთვის მადლობა ეთქვას.

27 ოქტომბერი, 1992 წ.

უფრო დიდი ომებიც მოგვიგია

ჯერჯერობით სამაჩაბლო დავკარგეთ, აფხაზეთს ვკარგავთ.

რუსს უნდა ჩვენი დამარცხება და ვმარცხდებით. ამას უნდა დავუმატოთ ჩვენი ხელისუფლების ორჭოფული, ჩემთვის ბევრ რამეში გაურკვეველი პოლიტიკა რუსეთთან მიმართებაში, რომელსაც მე თითქმის, ოპორტუნისტულს დავარქმევდი.

ეს „ჩახუტება“ ჩვენი შვილების მრავალსაუკუნოვან მონობად დაგვიჯდება, მომავალში მათგან წყევლა-კრულვას ვერ ავცდებით. საქართველო დამოუკიდებელი და თავისუფალი უნდა გახდეს – ესაა ჩვენი მიზანი.

რისთვის გვინდა რუსის ჯარი საქართველოში? როცა მოეხასიათება, ტყვია რომ დაგვიშინოს? რატომ ვყოფთ თავს ახალ ყულფში? ყულფი გვაკლია? ვერ ვისვენებთ უღლისა და აპეურის გარეშე? საქართველოში ახლაც ცოტანი როდი არიან „სნგ“-ში ჩვენი შესვლის მსურველნი...

სწორედ ისინი მიგვერეკებიან მონობისაკენ, რაო. სნგ-მ მოუპოვა მშვიდობა სნგ-ს წევრ სომხეთს? დაიცვა იგი ან გადაუწყვიტა ყარაბაღის პრობლემა? დააკვირდით რა ხდება: რუსეთი ჩრდილოეთ კავკასიაში ოსეთის მხარეს დგება და ჩეჩნეთს ებრძვის, ხოლო საქართველოში ჩეჩნების და აფსუეების მხარეს იჭერს და ქართველებს ებრძვის, აი, ამ დამპყრობლის გარეწრული ორსახოვნება. ჩვენ კი, ჩვენი უბედურების ამ უპირველეს მიზეზთან – რუსეთთან – მოლაპარაკების მაგიდას ვუსხედვართ და, როგორც ირაკლი წერეთელმა თქვა, ახალ გეორგიევსკის ტრაქტატს ვწერთ. კაცმა არ იცის, როდის მიეცემა ისტორიაში კიდევ ერთხელ საქართველოს განთავისუფლების შანსი.

რუსეთი ფარულად კი არა, პირდაპირ გვებრძვის, ტყვიას გვიშენს. გვესროლა 1 სექტემბერს და ხუთი ტანკი აგვიფეთქა, გვესროლა 3 ნოემბერს, 5 ნოემბერს... ჩვენ კი იმის ნაცვლად, რომ საპროტესტო ნოტა გაგვეგზავნა და მსოფლიოში განგაში აგვეტეხა, დუმილი ვარჩიეთ. ახლა „დიდ ხელშეკრულებას“ ვდებთ. თითქოსდა არ ვიცოდეთ, რომ რუსმა ჩვენთან დადებული არც ერთი ხელშეკრულება არ შეასრულა და არც ამას შეასრულებს.

რუსი აშკარად გვებრძვის, ჩვენ, წინასწარ, კაპიტულაციის გზას მაინც ნუ დავადგებით. დაპყრობილი ვყავართ და გვჩაგრავს – ეს მაინც ვაღიაროთ და გავაგებინოთ ყველას. დავანებოთ არარსებულ მეგობრობაზე ლაპარაკს თავი. ხომ ნახეთ, როგორ დაგვცინა რუსეთის დელეგაციის ერთ-ერთმა თავკაცმა (ამჟამად „დიდი ხელშეკრულების!“ კამპანიაში რომ მონაწილეობს) – რუსეთი საქართველოს მხარეზეა, მაგრამ, გამოგიტყდებით, ამჟამად რუსეთს ძალა არა აქვს, რომ კონფედერაციის ყაჩაღების საქართველოში შემოსვლას წინ აღუდგესო. თქვენ ეს დაიჯერეთ?

როცა მოინდომა, ხომ ნახეთ, როგორ შეუკრა ხელ-ფეხი ინგუშებს და ჩრდილოეთ ოსეთში არ შეუშვა.

რუსეთი თვალთმაქცია. ჩვენმა ხელისუფლებამ სწორედ მისი თვალთმაქცობა და ვერაგობა უნდა ამხილოს, ის კი, სამწუხაროდ, ორჭოფულ პოლიტიკას ადგას.

სწორედ პარლამენტს მოსდის, პირველი სხდომებიდანვე, შეცდომები. პირველივე დადგენილებით არმია უნდა შეექმნა. ჩვენთან ყველაფერი კეთდება არმიის შექმნის გარდა. საომარ მდგომარეობაში მყოფ ქვეყანაში, არმიის ფაქტიურ შექმნაზე მოგახსენებთ. კარგია რუსეთის ჯარში ქართველ გენერლებს რომ ვეძებთ, მაგრამ ვის უნდა უმეთაურონ ამ გენერლებმა, რატომ არ ვკითხულობთ?

თუ ქმედით ღონისძიებებს არ მივმართეთ, ერთი ნაბიჯი დაგვრჩა სოხუმის დაკარგვამდე, რაც ჩვენი ახლანდელი ხელმძღვანელობის ფაქტიური და საბოლოო კრახი იქნება. რუსმა აქაც გვიმუხთლა; გუშინწინ სიხარულით გამოვაცხადეთ, სოხუმიდან რუსები მიდიანო. სწორედ ეგ არის საშიში. რუსები არ მიდიან გუდაუთიდან, გუმისთადან, გაგრიდან და ლესელიძიდან. მიდიან სოხუმიდან. ხომ ბავშვიც მიხვდება, რომ ტრაგედია მზადდება. რუსმა საბოლოოდ გაგვწირა – გადამთიელთაგან სოხუმის იერიშს დასტურს აძლევს და თვითონ, ზიანი რომ არ მიადგეს, გაცლას ამჯობინებს. სამაგიეროდ, ჩვენს პოზიციებს მაშინვე ბომბავს, როგორც კი აფსუეების მხარეს გავისვრით.

რა უნდა ქნას ჩვენმა საწყალმა ხელისუფლებამ?

რა ქნას და რასაც ასეთ შემთხვევაში ყველა კეთილგონიერი ხელისუფლება იზამდა. თვალებში შეხედოს რეალობას. გამოაცხადოს საყოველთაო მობილიზაცია. გადაიყვანოს ქვეყანა საომარ ყაიდაზე, გულზე გაიკრას ლოზუნგი „ყველაფერი ფრონტისათვის“, თუ დიდი ავტორიტეტი აქვს საზღვარგარეთ ატეხოს ზარების რეკვა, პირადად ეახლოს ამერიკის, გერმანიის, ინგლისის, საფრანგეთის, სხვა ქვეყნების მთავრობებს თხოვნით ქმედითი დახმარებისათვის.

ნატომ 6 ათასი ჯარისკაცი გაგზავნა იუგოსლავიაში, საქართველოს კი იარაღით და ცოცხალი ძალით დახმარებაზე უარი უთხრა. თუ გნებავთ, პატივს გცემთ და სამეცნირო კონფერენციას ჩაგიტარებთო. სამეცნიერო კონფერენციის და პოეზიის საღამოს ჩატარება ჩვენც მშვენიერი ვიცით მაგრამ გვშველის?

ჩემი აზრით არარეალურია დასავლეთის დახმარება. როცა ორჭოფულ პოლიტიკას ადგახარ და, ფაქტიურად, ორ სკამზე ჯდომა გინდა. დასავლეთს არა აქვს იმის გარანტია, რომ თუ საქართველოში „ნატოს“ ან გაეროს ჯარებს შემოიყვანს, ჩვენი ხელისუფლება დასახმარებლად „ერთმორწმუნე საყვარელ“ რუსეთს არ მიმართავს – ჰარიქა, საქართველოში უცხოეთის ინტერვენცია დაიწყო და მიშველეთო, პირადად მე მჯერა, დახმარება მაშინ იქნება, როცა რუსეთს ფაქტიურად (და არა მოჩვენებითად) გავემიჯნებით.

დასავლეთის ყოველ რეალურ ნაბიჯს, საქართველოს დასახმარებლად, რუსეთი მალე იმ კაბალურ (ჩვენ მიერვე ხელმოწერილს და ბეჭედდასმულს) ხელშეკრულებას ააფარებს, რომელიც ახლა ასე დაჩქარებული ტემპით მზადდება. რატომ ვიტყუებთ თავს? განა ჩვენი გამასხარავება არ იყო, დანიშნულ დღეს ელცინმა რომ არ იკადრა ჩვენს ხელმძღვანელებთან შეხვედრა, განა ჩვენი გაბითურება არ

იყო კოზირევთან შესახვედრად თბილისის აეროპორტში რომ იდგნენ მასპინძლები და არ ჩამობრძანდა? განა, არაფერს ეუბნება ის ფაქტი ჩვენს შორსმჭვრეტელ პოლიტიკოსებს – 3 სექტემბრის ხელშეკრულების შემდეგ არძინბა მოსკოვში რომ დარჩა და რუსეთის ხელისუფლებისაგან „ნაჩუქარი“ კომპიუტერული ტანკები გამოგზავნა „ბომბორას“ აეროდრომზე? არც იმაზე უნდა გამოვიბერტყოთ ყურები ამჟამად, რომ არძინბა მოსკოვშია და უკვე „მიაღწია“ რუსების „გასვლას“ სოხუმიდან? რატომ ვიბრმავებთ თვალს, ვერა და ვერ გამიგია.

სამოცი ათასი ლტოლვილი აფხაზეთიდან საქართველოს სხვადასხვა კუთხეშია გაბნეული. დამერწმუნეთ, მათი დიდი ნაწილი უკან აღარ დაბრუნდება. უკვე, ვისაც საშუალება აქვს სახლებს იძენენ და აფხაზეთს გარეთ ფუძნდებიან. რა ქნან, სული მწარეა. ესაა საქმე? მალე ვილაპარაკებთ იმაზე, რომ „აფხაზეთის რესპუბლიკაში“ ქართველები ორმოცდაშვიდი პროცენტი კი არა, ჩვიდმეტ პროცენტზე ნაკლები არიან, ჩვენ ხომ ფაქტიურად გავწირეთ გუდაუთა-გაგრა-ლესელიძეში მცხოვრები ქართველები გენოციდისათვის.

არარეალურია ყოფილი პრეზიდენტის „თეორია“ იბერიულ-კავკასიურ ორიენტაციასა და კავკასიურ სახლში საქართველოს შესვლაზე.

არავითარი იბერიულ-კავკასიური სახლი ბუნებაში არ არსებობს. ჩვენი უახლოესი ჩრდილოელი მეზობლები კი, ჩეჩნეთის ჩათვლით, მცირე გამონაკლისის გარდა, ძირითადად საქართველოზე თვალებდაპრაწული, ზღვაზე გასასვლელის მაძიებელი, ნახევრად კულტურული ტომებია. საქართველომ ჩრდილოეთის საზღვრები, აწ და მარადის, განსაკუთრებით უნდა დაიცვას. რაც შეეხება გამსახურდიას, იგი ტრაგიკული პიროვნებაა. დარწმუნებული ვარ, იგი საქართველოს მტერი არ არის (როგორადაც ხშირად ნათლავენ მისი მოძულენი), მაგრამ, გროზნოში ყოფნის გამო, იძულებულია თავის მასპინძლებს ზოგ რამეზე კვერი დაუკრას.

ჩეჩენეთმა ბოლო ხანებში თავისი თავგანწირული კვეთებით ორჯერ აიძულა ამ ქვეყნის ჩასაყლაპად ყალყზე შემდგარი რუსეთი, უკან დაეხია.

ჩვენი დიპლომატიის „ბრწყინვალე გამარჯვებით“ დამთავრებული დაგომისის და 3 სექტემბრის ხელშეკრულებები გველის ნაკბენივით დამამახსოვრდა. ორივე ხელშეკრულებამ ხომ სამარცხვინო კრახი განიცადა. რუსეთთან (და არა მარტო რუსეთთან) უნდა დავდოთ სავაჭრო, სამეცნიერ-კულტურული და ეკონომიკური ხელშეკრულებანი, როგორც თანასწორმა ქვეყანამ. მცირეოდენ პოლიტიკურ კომპრომისსაც კი თეთრი დათვი ჩვენს საზიანოდ გამოიყენებს. რაც შეეხება რუსის ჯარს, ნუ ვეთამაშებ-ვეკეკლუცებით მის სტატუსს და სახელწოდებას. ვითომ, „დაჯგუფებას“ თუ დავარქმევთ, დიდი შეღავათია? რუსის ჯარი ამჟამად საქართველოს დამპყრობელია (იმის მიუხედავად, აღიარებს თუ არა ამას რუსებზე შეყვარებული ზოგი პოლიტიკოსი), ახალ ხელშეკრულებაში რუსეთს უნდა მიეცეს დაქირავებული ჯარის სტატუსი და მკაცრად უნდა განისაზღვროს საქართველოდან მისი სრული და საბოლოო გასვლის ვადა – არა უგვიანეს სამი წლისა, ამასთან, რუსის დაქირავებული ჯარის უპირველეს ამოცანად ჩაითვალოს უცხოელ დამპყრობელთაგან საქართველოს დაცვა (ახლა კი რუსი პირიქით მოქმედებს; უცხოელ დამპყრობელთ იცავს ქართველებისაგან).

ვერ ამიხსნია, რატომ ვერ იქცა საქართველოსთვის ომი ეროვნულ უბედურებად, რატომ მთელი საქართველო ერთნაირად არ განიცდის. ზოგან ჯერ კიდევ რატომ მოქმედებს „სხვისი ჭირი ღობეს ჩხირის“ პრინციპი.

პარლამენტი ორ დღეს „სრულიად საიდუმლოდ“ განიხილავს აფხაზეთის საკითხს და რეზოლუციასაც კი არ იღებს – თითქოსდა, აფხაზეთის პრობლემასთან დაკავშირებით (ეროვნულ-პოლიტიკური თვალსაზრისით) რაიმე გაურკვეველი იყოს. ასევე გაოგნებული ვარ იმის გამო, რომ ამ ბოლო თვის განმავლობაში რაც ცეკვა-სიმღერა გვესმის და ვხედავთ, ამდენი კარგა ხანია, არ მოგვისმენია. რა ხდება? ვის ვხეთქავთ გულზე და ვის ვუშლით ნერვებს? სასიმღეროდ გვაქვს საქმე? ამას ჰქვია „გარეთ მტერს ვაბრმავებ და შიგნით მოყვარესო“. ისე არ გამიგოთ, თითქოს ცეკვა-სიმღერის წინააღმდეგ ვილაშქრებდე. მაგრამ მე ზომიერების მომხრე ვარ. არ შეიძლება გამოაცხადო, შვიდი ქართველი მტრებმა ცოცხლად დამარხესო და ამას ომახიანი სიმღერა მოაყოლო. სხვა თუ არაფერი, დაღუპულთა ჭირისუფალს ვცეთ პატივი. მით უმეტეს რომ, ამ შემთხვევაში, ჭირისუფალი მთელი ერი ვართ.

ხომ გახსოვთ, უახლოეს თვეებში რა ლამაზად გვაპურებდნენ ტყუილებით. ჩვენ კი არა, თურმე, თვით შევარდნაძესაც ატყუებდნენ – ხელშეკრულებები დროულად გაფორმდა, ახლა მთავარია, გემთვითმფრინავ-მატარებლების გადმოტვირთვის დროს არ ვიზარმაცოთო. მე ვიცი, ბევრი ევროპელი საქმოსანი მატყუარა და ფლიდია, საქართველოს ლამაზი თვალებისათვის არავინ დაეხმარება, მაგრამ მიკვირს, ჩვენი ბუნებრივი რესურსების რეალიზება-დაბანდება კუს ნაბიჯებით რომ მიიწევს წინ.

საერთოდ კი, მთავრობამ უნდა იცოდეს: ყოველი გრანდიოზული

პურის რიგი, სადაც პურის მოპოვება მარტორქათა ბრძოლის მეთოდებით მიიღწევა, ამავე დროს დემონსტრაციაა, ხელისუფლების უნიათობის წინააღმდეგ მიმართული. პურის გაძვირების გამართლება იმით არ შეიძლება, რესპუბლიკიდან გაჰქონდათო. ბოლოს და ბოლოს შეკრავდი იმ შვიდიოდე ჭიშკარს და ვეღარ გაიტანდნენ, მაგრამ რაკი გავაძვირეთ, მისი განაწილება მაინც იყოს ადამიანურ დონეზე. ხომ შეიძლება მე, მოქალაქეს, მქონდეს ბარათი, რათა ჩემი წილი, თუნდაც ოთხასი გრამი პური, კისრისმტვრევის გარეშე მივიღო.

საბაზრო ეკონომიკა, ალბათ, ეკონომიკის წინსვლის ბერკეტია, მაგრამ, სანამ მის სიკეთეს ვიგრძნობთ, ხალხს სული ამოსძვრება. საბაზრო ეკონომიკა ის არ უნდა იყოს – კაცს, რომელსაც ხელფასი ათასი მანეთი აქვს, კილოგრამი ყველი რვაას მანეთად მიჰყიდო. ჩვენ ახლა გაძვალტყავებული სახელმწიფო ვართ, ამიტომაც, იქნებ ჯობდეს, საბაზრო ეკონომიკის პარალელურად საბარათო სისტემა შემოვიღოთ – მკაცრი განაწილებით – ისე როგორც ალყაშემორტყმულ ლენინგრადში ანაწილებდნენ პურსა და კონსერვებს.

ახლა იმ საქმეზე ვილაპარაკებ, რაშიც გაცილებით უფრო კომპეტენტური ვარ, რას აკეთებს მწერალთა კავშირი ამ ძნელბედობის დროს?

მე მგონი, თქვენ კარგად ხედავთ რასაც აკეთებს. როგორც იქნა, მწერლებს საშუალება მოგვეცა ერს ისე ვემსახუროთ, როგორც შეგვიძლია. ჩვენს აზრს აბუჩად არავინ იგდებს და მწერალთა კავშირში კარებს არავინ გვირაზავს. ხომ ნახეთ, მიზეზთა გამო გამოტოვებულ იუბილეებსაც ვიხდით და ჩვენი ერის გამხნევებასაც ვცდილობთ. დრო და დრო ფრონტსაც ვეწვევით ხოლმე, რათა ჩვენს მებრძოლებს მოვესიყვარულოთ. არაერთი ახალგაზრდა პოეტი, ხელოვანი იბრძვის სოხუმთან და ოჩამჩირესთან იარაღით ხელში. რამდენიმე მათგანი (ლევან აბაშიძე, ნუკრი ასლამაზიშვილი) გმირულად დაიღუპა...

საქართველოს უფრო დიდი ომები წაუგია და ისტორიის უფრო ძლიერ წნეხსაც გადარჩენია. მთელი გულით და სხეულით შებრუნება – დასავლეთისაკენ, საყოველთაო მობილიზაცია, ერის ერთ მუშტად შეკვრა. ნამდვილი დემოკრატიის განვითარება (და არა შიგადაშიგ), ქვეყნის საომარ ყაიდაზე გადაყვანა, ლაყბობისათვის წერტილის დასმა. იმგვარი წესრიგის დამყარება, საომარ მდგომარეობას რომ შეეფერება – აი, რა არის მთავარი, აი, რის იმედით უნდა ვიცხოვროთ.

27 ნოემბერი, 1992 წ.

ყველაფერს ნუ მათქმევინებთ...

რა დასამალია, ქართულ კულტურას ახლა მძიმე დღეები უდგას, იმდენად მძიმე, რომ კულტურის გადამრჩენი კომიტეტიც კი შეიქმნა. მიზეზი?

კომიტეტი (რომელიც ურიგოდ როდი მუშაობს) რას უშველის, თუ თვით კულტურის მუშაკებმაც გასწირეს ქართული კულტურა.

ეკონომიკურ სივიწროვეს (თეატრს დეკორაციის გაკეთების ფული არა აქვს) ისიც დაემატა, რომ გამოჩენილ რეჟისორთა უმეტესობამ ზურგი შეაქცია ხელოვნებას. გამორჩეულ, ნიჭიერ რეჟისორთაგან უმეტესობა „ღრმა ემიგრაციაში“ ბრძანდებიან. ხომ ფაქტია, ისინი ფაქტიურად დაკარგულნი არიან ქართული კულტურის უშუალო, აქტიური სამსახურისათვის.

სხვათა შორის გურამ პეტრიაშვილი სიმართლეს ამბობდა; მშობლიურ კერას ნუ მიატოვებს სახელგანთქმული ხელოვანიო რომ გაჰკიოდა – მართალი იყო. ღმერთო, შეგცოდე და, იმაშიც მართალი იყო – საყვარელო მსახიობებო და რეჟისორები (იცოდა, ვისაც გულისხმობდა), არ უნდა იყოს მთლად კარგი ტონი ერთმანეთთან რუსულად ჭიკჭიკი რეპეტიციებზე და კულისებშიო.

შარშან სექტემბერში ლაღიძის წყლებთან ერთ ჩემს მეგობარ მსახიობს შევხვდი და შემომჩივლა, ამიხსენი, თუ ძმა ხარ, რა ხდება, თუ იცი, რაც კომუნისტური მთავრობა გადავაგდეთ, ხელისუფლების არც ერთ წარმომადგენელს ქუდი რომ შეუგდო, თეატრში არ შემოდისო.

საერთოდ, ზვიად გამსახურდია ერთსახოვანი კაცი იყო და ადვილადშესაცნობი. იგი აუტანელი სულაც არ გახლდათ, აუტანელნი, სწორედ რომ მის ამალაში მდგომი უნიჭო და ხელმოცარული ადამიანები იყვნენ. ერთმა ბევრი უძახა თავის თავს რადიოტელევიზიით – მწერალი ვარ, ლიტერატორი ვარო, მაგრამ ამაოდ. ვერავინ დაარწმუნა ამაში.

გარდა რეჟისორების ემიგრაციისა, თუ იცით კიდევ რამ გამოიწვია, რომ მაყურებელმა ქართულ თეატრს ზურგი შეაქცია?

სწორედ იმ მიზეზმა, რაც ამ სამი წლის წინ დავიჩივლე და რის გამოც, კინაღამ, ჯვარს მაცვეს. ქართველი კაცის სევდა და ნაღველი, ქართული სინამდვილე გავიდა თეატრიდან. მიმოიხედეთ, რა ხდება – იმპერიის რღვევა! საქართველოს გათავისუფლება! ეროვნული ხელისუფლების იარაღით დამხობა! სამამულო ომი! რით გამოეხმაურა ამ ეპოქალურ ტკივილებს ქართული თეატრი? გუშინწინ, როგორც იქნა რუსთაველის თეატრმა სეზონი გახსნა – როგორ ფიქრობთ,

რითი? დიდ სცენაზე „ტიტუს ანდრონიკუსი“ მიდიოდა, მცირეზე – „მუსუსი“. განა ამ ქმნილებებში ჩადებული პრობლემები ზოგადკაცობრიული არ არის და განა ყველა დროს არ ეხმიანება, მაგრამ „მუსუსის“ პრობლემა უდგას ახლა ქართველ კაცს? აღარას ვამბობ ჩვენი სახელოვანი თეატრების შარშანდელ, ლამის ჩავარდნილ სეზონზე. ამის მერე გვიკვირს, მაყურებელმა ზურგი შეგვაქციაო. ბრწყინვალედ თქვა ამას წინათ გიგა ლორთქიფანიძემ – ჩვენ ქართული თეატრი კი არ გვაქვს, ქართულენოვანი თეატრი გვაქვსო.

დღეს ხელოვანისაგან საჭიროა, ეპოქის ხელოვნების შექმნა. დღეს საქართველოში სამამულო ომია. ხელოვანმა, სამშობლოს დაცვის იდეით უნდა აღჭურვოს ადამიანი. „მუსუსი“ მშვენიერი რამეა, მაგრამ ომის დროს „გიორგი სააკაძეს“ იღებდნენ და შოსტაკოვიჩი მეშვიდე სიმფონიას წერდა. რეცეპტების გაცემისაგან და ჭკუის სწავლებისაგან ღმერთმა დამიფაროს, მაგრამ ომის საზოგადოებრივი ფსიქოლოგია ადამიანთა მასებს განწყობილებათა და მისწრაფებათა ლოკალიზაციით მუხტავს, ხელოვნებამ სწორედ რომ ამ ეტაპს უნდა აუღოს ალღო.

ყურს მოკრავდით, ალბათ, ახლახან რუსთაველის თეატრის ხელმძღვანელობამ პენსიაზე გაუშვა რამაზ ჩხკივაძე, მედეა ჩახავა, გიორგი გეგეჭკორი, ედიშერ მაღალაშვილი, კარლო საკანდელიძე, ზინა კვერენჩხილაძე და გურამ საღარაძე. – მოდი და ამის შემდეგ თეატრის მიერ თავისი ღვთიური მისიის შესრულებაზე ილაპარაკე. არ შემიძლია დავიჯერო ეგ ფაქტი. სხვა უბრწყინვალეს მსახიობებს რომ თავი გავანებოთ, თვით რამაზ ჩხიკვაძეა ერთი თეატრი. რას ჰქვია მსახიობის პენსიაზე გაშვება? ვინ გაიგონა პენსიაზე გაშვებული და მოხსნილი პოეტი, მსახიობი, მხატვარი, კომპოზიტორი. დიდება შენდა ღმერთო, დიდი ხელოვანი თავის ტაძარში უნდა დაბერდეს და იქიდან გამოასვენონ ასი წლის შემდეგ. ნუთუ არ უნდა დამახსოვრებოდა ამ თეატრის ხელმძღვანელობას თეატრიდან ფაქტიურად მოკვეთილი, უგულისყურობით შეურაცხყოფილი ეროსი მანჯგალაძის უდროოდ შეწყვეტილი სიცოცხლის მწარე გაკვეთილი?

მკითხველს ახსოვს ჩემი წერილები – „ვეფხისტყაოსნის“ დამახინჯების შესახებ.

„აკადემიკოსებმა“ (სამწუხაროდ ბევრი მათგანი ცოცხალი აღარ არის, ღმერთმა შეუნდოთ) მაჯობეს და დაიბეჭდა „ვეფხისტყაოსნის“ საოცრად შერყვნილი ტექსტი, რომელშიც სხვა „მარგალიტებთან“ ერთად ასეთ „ღრმამეცნიერულ გასწორებასაც“ წააწყდებით: ნაცვლად სტრიქონისა – „კაცს შუბი ვკარ, ცხენი დავეც...“ წერია „კაცსა

შევეც, ცხენი დავეც...“ ახლანდელ ხელისუფლებას, გასაგები მიზეზების გამო ჯერ „ვეფხისტყაოსნისთვის“ არა სცალია. განზრახული მაქვს კულტურის გადამრჩენი კომიტეტის წინაშე დავსვა საკითხი „ვეფხისტყაოსნის“ გადარჩენის შესახებ.

დაბოლოს, გეტყვით ჩემს აზრს ჩვენს დემოგრაფიულ პრობლემაზე საქართველოს ხვალინდელ დღეზე – ეს ჩემი, როგორც მწერლისა და საზოგადოება „თვისტომის“ პრეზიდენტის აზრია.

ვერც ამ აზრით გაგახარებთ, ამას წინათ ქორწინების სახლის თანამშრომლისაგან შევიტყვე, რომ საქართველოში ამ უკანასკნელ ორ წელიწადში ქორწინებათა რიცხვმა ორმოცდაათი პროცენტით იკლო. ეს კატასტროფაა.

ჩქარობენ ჩვენი მტრები იარაღით ჩვენს დაპყრობას, თორემ ცოტა მოთმინება რომ იქონიონ, საქმე ისე მიდის, ასი წლის შემდეგ დემოგრაფიულად (რაც ყველაზე საშინელი დაპყრობაა) მშვიდობიანად დაპყრობილნი აღმოვჩნდებით. ქართველთა გამრავლების ამ ტემპით ასი წლის შემდეგ საქართველოში ქართვლები ვიქნებით 37 პროცენტი. ეს იმას ნიშნავს, რომ საქართველოში ქართველი პრეზიდენტის არჩევა გაგვიჭირდება.

ვიცი, ამ თემაზე ლაპარაკი ახლა მოდაში არ არის, მაგრამ როცა საქმე საქართველოს უბედურებას შეეხება, რა ვქნა, მოდას ვერ ავყვები. ჩემთვის დიდი მნიშვნელობა აქვს ვინ უპატრონებს ასი წლის შემდეგ „ვეფხისტყაოსანს“, ან რა ეროვნების ხალხი იცხოვრებს სვეტიცხოველის, სიონის და ალავერდის გარშემო.

ჩვენი დოყლაპიობაა და კომუნისტური მაფიის ვერაგობაა დამნაშავე იმაში, რომ ეთნოკონფლიქტები და სამამულო ომი ღრღნის ახლა საქართველოს ეროვნულ სხეულს. არც ერთ ნორმალურ ქვეყანაში არ არის სახელმწიფო სახელმწიფოში. მიმიხვდებით, რასაც ვგულისხმობ.

2 დეკემბერი, 1992 წ.

ავტეხოთ საგანგაშო ზარების რეკვა

თავიდან სკეპტიკურად ვუცქეროდი საზოგადოებათა შექმნას საქართველოს ეთნიკური კუთხეების მიხედვით. ვფიქრობდი, ამგვარი საზოგადოებანი კუთხური პარტიკულარიზმის საშიშროებას შეგვიქმნიდა, მაგრამ თანდათან დავრწმუნდი, რომ ბოლოს და ბო-

ლოს ყოველი საზოგადოების სახელწოდება პირობითია. მთავარია საქმე, რომელსაც იგი აკეთებს. საზოგადოება „კახეთის“ წევრი უნდა იყოს მარტო კახეთის რეგიონის წარმომადგენელი კი არა, ნებისმიერი მოქალაქე, ვისაც სურვილი აქვს კახეთისთვის სასარგებლო საქმე გააკეთოს. ამ პრინციპით მე სიამოვნებით გავხდი „კახეთის“ წევრი, ისევე როგორც საზოგადოება „სამეგრელოსი“ და საზოგადოება „იმერეთისა“.

სხვადასხვა კუთხის ისტორიულ-გეოგრაფიულმა პირობებმა ჩვენში რამდენადმე განსხვავებული ნიშან-თვისება წარმოშვა. ამაშია სწორედ ქართველის ეროვნული მომხიბვლელობის საიდუმლო. როგორც მწერალი, გულდასმით ვაკვირდები საერთო ქართული ხასიათის ეთნიკურ ნიუანსებს, ამ „დეტალების“ გარეშე საქართველოს სხვადასხვა კუთხის წარმომადგენლებზე წერა გამიჭირდებოდა. „კახელი კაცის“ განსაკუთრებით ხაზგასასმელი თვისებებია, ჩემი აზრით: სიდინჯე, ხასიათის მდგრადობა, პოლიტიკისადმი ნაკლებემოციური დამოკიდებულება, ხალასი იუმორი და სამშობლოს გაფაქიზებული გრძნობა.

ამ უკანასკნელში ვგულისხმობ, ერთიანი, სრულიად საქართველოს გლობალური პრობლემების გათავისებას და კუთხურ-ფეოდალური თვალსაზრისების უარყოფას. მოგეხსენებათ, სიდინჯემ და ორთოდოქსულობამ განსაკუთრებული შარავანდედით წარმოადგინა უკანასკნელ წლებში საქართველოს ეს უმშვენიერესი კუთხე. კახეთი არ აჰყვა პოლიტიკურ ბაკქანალიებს და მედროვეთა ამბიციებს. იგი ახლაც განსაკუთრებული შრომისმოყვარეობისა და სტაბილიზაციის მაგალითს აძლევს საქართველოს სხვა კუთხეებს.

და მაინც „დედით კახელი“ გროზნოელი „ქართველის მიერ“ ითქვა: საქართველო უნდა დაიშალოს და კახეთი ცალკე სახელმწიფოდ უნდა შევიდეს „გაეროშიო“.

ეგ აზრი რომ ილია ჭავჭავაძეს მოესმინა საფლავში გადაბრუნდებოდა, საქართველოს მთელი ისტორია ერთ მუშტად შეკვრის, ერთ ძლიერ სახელმწიფოდ ჩამოყალიბებისათვის გაუთავებელი ბრძოლა გახლავთ და თქვენ მიერ თუნდაც ხუმრობით ნახსენები „შეხედულება“ ავადმყოფური გონების ნაყოფია – სხვა არაფერი. ამიტომაც მასზე სერიოზულად შეჩერება არ ღირს.

ხომ ფაქტია, რომ მტერს სურდა საქართველოში შინაომის ტალღის აგორება, მაგრამ ვერ მოახერხა. საქართველოში ეთნოკონფლიქტს, ეთნიკურ ომს ადგილი არა აქვს. ღმერთმა დაგვიფაროს შუასაუკუნურმა შუღლმა გაიღვიძოს საქართველოში. ცოტა ხანს იყო (ნარჩენი მოვლენები ახლაც არის) ძალაუფლებისათვის მებრძოლი ჯგუფების და მათი მომხრეების შეიარაღებული დაპირისპირებანი. ეგ იყო და ეგ. მოვლენებს თავისი სახელი უნდა დავარქვათ. საქართველოში, კერძოდ სამაჩაბლოსა და აფხაზეთში, მიმდინარეობს სამამულო ომი. უცხო ტომები შემოესივნენ ჩვენს სამშობლოს და მის დაპყრობას ცდილობენ, ამის ახსნა ქართველ კაცს უკვე აღარ სჭირდება.

კახეთის რეგიონის წარმომადგენლები სხვა კუთხის შვილებთან ერთად ლომივით იბრძვიან აფხაზეთში. რა დასამალია და (ამის შესახებ ტელევიზიითაც მოვისმინეთ) ამ დროს აფხაზეთიდან ლტოლვილი არაერთი ბრძოლისუნარიანი ვაჟკაცი ცოლისა და სიდედრის კალთას ეფარება, სასტუმროთა ვესტიბიულში ათენ-აღამებს და ელოდება, როდის გაუთავისუფლებენ მიწა-წყალს.

სამწუხაროდ არის ასეთი შემთხვევებიც. რას ვიზამთ, ყველას ვერ მოვთხოვთ მამულის დაცვის ნიჭს. ლაჩრები ყოველ ეპოქაში ჰყავს საქართველოს, საერთოდ კი საქართველოს ძირძველი ისტორიული მიწა აფხაზეთი ისევე ეკუთვნის კახელს და ქართველს, როგორც იქ მცხოვრებ მეგრელს. ამიტომაც ჩვენი მიწის ყოველი მტკაველი თითოეულმა ქართველმა უნდა დაიცვას.

ვფიქრობ, უნდა აღსდგეს მთელი საქართველო მომხვდურ აფსუა-რუს-ჩეჩენ გადამთიელთა წინააღმდეგ საბრძოლველად, როგორც ამას შუასაუკუნეებში ვაკეთებდით.

საქართველო დღითი დღე ძალას იკრებს და მეომარი სახელმწიფო ხდება, როგორც იქნა დავძლიეთ ყალბი ილუზიები და მტრების გონთმოსვლის ამაო იმედი. „კბილი კბილის წილ“ – ომში ყველაზე სწორი ზნეობრივი სიბრძნეა. რაც შეეხება, აღვსდექით თუ არა – აფხაზეთში ავტომატით ხელში იბრძვის სამოცდაათი წლის თბილისის მერი ოთარ ლითანიშვილი, უფრო მკაფიო მაგალითი რაღა იქნება.

საკითხავია, გამოიღებს შედეგს ეს „განწირული სულისკვეთება?“ დავიბრუნებთ წართმეულ მიწებს?

როგორც იქნა, შეიგნო საქართველოს ხელისუფლებამ, რომ ქვეყანა საომარ ყაიდაზე უნდა გადავიდეს და რუსეთთან ორჭოფულ-ქვეშევრდომული კი არა, თანასწორ სახელმწიფოთა პოლიტიკა უნდა გვქონდეს. მომწონს ამ ბოლო დროს გატარებული ღონისძიებანი არმიის შექმნა-განმტკიცებისა და თავდაცვის ფონდის შექმნის მიმართულებით. ოღონდ ათასჯერ გავიმეორებ, ჩვენ მარტო ჩვენი ძალებით ვერ მოვერევით მოზღვავებულ უბედურებას. ხომ ხედავთ,

რუსეთი აშკარად გვებრძვის. ხელშეკრულებითაც გვიკრავს ხელ-ფეხს და, თუ აფხაზეთის ომში გავიმარჯვებთ, თურქ-მესხთა ლეგიონებს შემოგვისევს.

აღარ ყოფილა საშველი და ეგაა, იკითხავს მკითხველი.

არის, როგორ არ არის. ჩვენი ხსნა მხოლოდ დასავლეთს შეუძლია. ჩვენს თვალწინ ისტორიული საშინელებანი ხდება. ნახეთ, რა დღეში ჩავარდა სომალი. აგერ ჩვენს თვალწინ ისტორიის ქვაბში ჩაინთქა-ჩაიხარშა ბოსნია. ჩვენც იგივე მოგველის ჩვენი უკუღმართი ბედისა და საშიში გეოგრაფიული მდგომარეობის გამო, თუ ჭკუა არ ვიხმარეთ, დაუყოვნებლივ უნდა ავტეხოთ „SOS“-ის სირენათა კივილი და საგანგაშო ზარების რეკვა – ვუხმოთ საქართველოში „გაეროსა“ და „ნატოს“ ჯარებს! ეგ არის ერთადერთი გამოსავალი.

4 დეკემბერი, 1992 წ.

ომი მამულის დასაცავად

მე უფლება არა მაქვს ჩვენი კინემატოგრაფით კმაყოფილი ან უკმაყოფილო ვიყო, რადგან არა მაქვს სრული ინფორმაცია, თუ რას აკეთებს იგი ამჟამად. გაზეთებში სისტემატურად იბეჭდება ამა თუ იმ ფილმმა ამა და ამ ფესტივალზე გაიმარჯვა, ან ამ მსახიობს საუკეთესო როლის შესრულებისათვის პირველი პრიზი მიეკუთვნაო, მაგრამ, როგორც წესი, ფართო მაყურებელს სწორედ გამარჯვებულ ფილმებს იშვიათზე იშვიათად უჩვენებდნენ, ხოლო კინოთეატრების ერთი ნაწილი ჩვენი „უჟამო ჟამის“ გამო დაკეტილ-დადუმებულია. ასევე ვერ ვხედავთ დოკუმენტურ ფილმებს, რომლებიც ჩვენი ახლო წარსულის შესახებ უნდა მოგვითხრობდნენ.

კომუნისტური რეჟიმის დროს ასეთი დაუწერელი კანონი მოქმედებდა: თუ მსახიობი ან რეჟისორი მსჯავრდადებული ან ოფიციალური ხელისუფლებისაგან შერისხული იყო, მის სახეს ეკრანზე არ აჭაჭანებდნენ, ამ მიზეზით რამდენი ფილმი ამოაგდეს ქართული კინოხელოვნების ისტორიიდან. ახლაც იგივე ინერცია ხომ არ მოქმედებს? მიუხედავად იმისა, ესიამოვნება თუ არა ზოგიერთს თავისი პოლიტიკური ოპონენტების დანახვა, უნდა ვქმნიდეთ დოკუმენტურ ფილმებს და ხშირად უნდა ვუჩვენებდეთ მაყურებელს, მაგრამ

რას უჩვენებ, რაც არა გაქვს. რატომ არ იქმნება ფილმები ჩვენს ეროვნულ ტრაგედიებზე? რატომ არავინ ითავა სრულმეტრაჟიანი ფილმების გადაღება 9 აპრილის, 2 სექტემბრის, დეკემბერ-იანვრის ტრაგედიებზე? რატომ არა გვაქვს ფილმები აფსუა და ოს სეპარატისტებზე, რათა მსოფლიომ დაინახოს მათი შავბნელი სახე? ხომ ფაქტია, რომ ჩვენი მტრები მშვენივრად ახერხებენ ჩვენზე ყალბი კინოდოკუმენტების შეთითხნას, ჩვენ კი ნამდვილიც ვერ მიგვიწვდენია ფართო მაყურებლისთვის შინ და გარეთ. სად გაქრა თუნდაც ის პაწაწკინტელა კადრები 5 ქართველის ცოცხლად დაწვა და 6 ქართველის ცოცხლად დამარხვაზე რომ მეტყველებდნენ? გიმტკიცოთ, ახლა მე თქვენ რომ ვიზუალურ დოკუმენტს, თუნდაც ოსტატურად ნათქვამს, რომ ცარიელ სიტყვაზე ათასჯერ მეტი შემეცნებითი ღირებულება აქვს?

ორ თვეზე მეტია, მტრებს გაგრა-ლესელიძე-განთიადი დაპყრობილი აქვს და ნუთუ ერთი კადრიც ვერ მოვიპოვეთ იმის გამომხატველი, თუ როგორ დაეპატრონენ გადამთიელნი ქართულ ქალაქ-დაბებს, როგორ წვავენ ქართველთა სახლებს, როგორ ცხოვრობენ წვითა და დაგვით მორთულ-მოწყობილ ქართველთა ბინებში, როგორ დაიცალა ქართველებისაგან აფხაზეთის მნიშვნელოვანი ნაწილი. ბოლოს და ბოლოს ჩვენ თუ ვერ ვრისკავთ ინკოგნიტოდ შესვლას, რუს ან უცხოელ კორესპონდენტს დავაინტერესებდი და გადავაღებინებდი. ხომ ფაქტია, რომ დღემდე მიტაცებული გაგრის არც ერთი კადრი არ გვიჩვენებია მაყურებლისთვის?

იქმნება, როგორ არ იქმნება დოკუმენტური ფილმები, მაგრამ საკითხავია, რატომ ვერ აღწევს ჩვენამდე? ჩემი საქმე რომ იყოს, სიამოვნებით ვუჩვენებდი დღესაც მაყურებელს გამსახურდიასდროინდელ მიტინგებს, რათა დროითი დისტანციის შემდეგ ერის ერთმა ნაწილმა თავისი სახე დაინახოს და გაისიგრძეგანოს, რა ყალბმა თეატრალობამ და ნაციონალურმა ფსიქოზმა მოიცვა იგი სწორედ რომ ახლო წარსულში.

უნდა გავიმეორო ჩემი ტრადიციული სათხოვარი, რასაც ჯიუტად გავიძახი ათი წელია და ასევე ჯიუტად რჩება უყურადღებოდ. ჩვენი კინემატოგრაფის დანაშაულად მიმაჩნია, რომ გალაკტიონი და კონსტანტინე გამსახურდია სიცოცხლეში ჯეროვნად არ გადაგვიღია. ახლაც იგივე მეორდება ერის გამოჩენილ შვილთა მიმართ. რატომ არ იქმნება დოკუმენტური ფილმები ანა კალანდაძეზე, შოთა ნიშნიანიძეზე, მურმან ლებანიძეზე, მორის ფოცხიშვილზე... ხელოვნებისა

და მეცნიერების სხვა უკვდავ წარმომადგენლებზე რომ აღარაფერი ვთქვათ? ღმერთმა კარგად ამყოფოთ და მაინცდამაინც ამ ქვეყნიდან მათს წასვლას უნდა დაველოდოთ? სანამ უნდა ბოგინობდეს ჩვენში შინაური მღვდლის არშენდობის თავისმომჭრელი ტრადიცია?

რაც შეეხება მხატვრულ კინოს, მე ქუდს ვიხდი მის წინაშე; ჩვენი მხატვრული ფილმის ჭეშმარიტმა პროფესიონალიზმმა არაერთგზის მომგვარა განუზომელი სიამოვნება და სიამაყე. ვიცი, კინოსტუდიის დარბაზებსა და საამქროებში, მიუხედავად მძიმე დროისა, იბადება ახალი ქართული ფილმები, მაგრამ უსახსრობით სახემოღრუბლულ, სპონსორის ძებნით არაქათგამოცლილ არაერთ ნიჭიერ რეჟისორსაც ვხვდები ხოლმე. ისინი არ წუწუნებენ – ფილმის შექმნისათვის ბიუჯეტია განკუთვნილი. ის მცირეოდენი თანხა რატომღაც მხოლოდ სახელგანთქმულ, ელიტარულ რეჟისორებზე ნაწილდებაო. ღმერთმა ნუ ქნას, ასე იყოს, საერთოდ კი კინემატოგრაფსაც რომ მძიმე ეკონომიკური დღეები უდგას, ჩემზე უკეთ მოგეხსენებათ.

ბ-მა ვალერიან კვაჭაძემ გადაიღო ჩემი ნოველების მიხედვით არც თუ ურიგო ფილმი „ასეც ხდება“. ფილმი, ჩემდა გასაოცრად, რუსულ ენაზე შეიქმნა. სამი წელია, ამაოდ ველოდებით, მის ქართულ ვარიანტს. ამასობაში ოთხჯერ უჩვენეს იგი რუსეთის (მაშინ საკავშირო) ტელევიზიით. რაშია საქმე, ვერ გამიგია. მოკლემეტრაჟიან ფილმებს ვუმადლი გენო ჩირაძეს და ილია ჩაჩანიძეს. ეგ არის და ეგ.

ამ რამდენიმე წლის წინათ შოთა ნიშნიანიძემ „ლიტერატურულ საქართველოში“ დაწერა – „ვერ ამიხსნია ჩვენი კინოსტუდიის უყურადღებობა რ. მიშველაძის ნოველების მიმართ. ბევრი მათგანი გამზადებული კინოსცენარიაო“. თითქოს ეწყინათ, ამის შემდეგ არც ერთი რეჟისორი სათოფეზე არ გამკარებია.

ნუთუ არასოდეს დაბრუნდება ხალისით და ჟრიამულით, მოგუგუნე თეატრებითა და სავსე კინოდარბაზებით მფეთქავი ხელოვნების მექა – თბილისი?

ამასწინათ საღამოს ექვს საათზე მარტო შევრჩი ვაჟა-ფშაველას პროსპექტის დასაწყისს. შაბათი გახლდათ, ქუჩაში კაცის ჭაჭანება არ იყო. ქალაქი მიტოვებულს დამსგავსებოდა. ჩამქრალი ლამპიონები სახრჩობელის ბოძებივით იდგნენ. უკუნეთში ორი საათი ვუცადე ტრანსპორტს; ბოლოს ფეხით ავუყევი გზას. იმ ღამეს კიდევ უფრო ცხადად შევიგრძენი ჩვენი სინამდვილის მთელი სისასტიკე.

საქართველოს თავისი ისტორიის მთელს მანძილზე ერთ-ერთი უმძიმესი პერიოდი უდგას. ჩვენ ყოფნა-არყოფნის ბეწვის ხიდზე გავდივართ. სამამულო ომში ვართ ჩაბმული აშკარა და ფარული

მტრების წინააღმდეგ. საქართველოში ახლა ყველაფერი ომის მკაცრ კანონებს უნდა დაემორჩილოს. გაზეთები, რადიო-ტელევიზია მთლიანად უნდა ემსახურებოდეს მამულის დაცვის ეროვნული პროტესტის, ბედისადმი დაუმორჩილებლობის განწყობილების გამოხატვას. სამწუხაროდ, მეომარი ქვეყნის სულიერი ატმოსფეროს შექმნას ჯერჯერობით ვერ ვახერხებთ. „ეტყობა, არც ისე ცუდადაა საქმე, თორემ ამდენი ცეკვა-თამაში არ იქნებაო“, იტყვის საომრად გამზადებული კაცი, „ჯერჯერობით უჩემოდაც იოლად გავლენო“, დაასკვნის და თოფს ბუხართან მიაყუდებს. ეს რომ არ მოხდეს, საჭიროა მაქსიმალურად შევკვეცოთ გასართობი პროგრამები, საათობით უნდა გადავცემდეთ საომარ ეპიზოდებს, ვუჩვენებდეთ მტრის მზაკვრულ სახეს, აღვანთებდეთ მეომრებს თავგანწირვისათვის.

ომი მამულის დასაცავად მთელი ქვეყნის სასიცოცხლო საქმედ უნდა იქცეს.

7 იანვარი, 1993 წ.

ვაი, რა მწარედ ვტყუვდებით!

დღეს, როცა საქართველოში უმთავრესი პოლიტიკური პრობლემა „რუსეთ-საქართველოს ურთიერთმეგობრობის დიდი ხელშეკრულების“ დადება და მასთან დაკავშირებული კამათი გახლავთ, უფლება არა მაქვს ჩემი დამოკიდებულება საჯაროდ არ გამოვთქვა ამ საკითხზე. ამ სურვილს ორი მიზეზი განაპირობებს: ჯერ ერთი, მსურს ჩემი რჩევით დავეხმარო ხელისუფალთ და, თუ ეს რჩევაც არშესმენის კედელს შეასკდება, სიტყვა მაინც დავტოვო ჯიუტ ფაქტად, რომ საქართველოში, თავისუფლების მეორედ განსყიდვის წინა დღეებში, გეორგიევსკის „სამეგობრო ხელშეკრულებიდან“ რამდენიმე წლისთავზე, ყველა კალმოსანი ერთნაირად არ ფიქრობდა.

ვისთან ვდებთ სამეგობრო ხელშეკრულებას? რუსეთთან, რომელმაც მეფობა (ე. ი. სახელმწიფოებრიობა) გაგვიუქმა და ორასი წელია დაპყრობილი ვყავართ?

სამეგობრო ხელშეკრულების გარეშეც მშვენივრად დგას რუსის ჯარი, ორი საუკუნეა, საქართველოში. ხოლო როგორ დაგვიცვა რუსმა მომხვდურთაგან, ტოტლებენის „ეპოპეიდან“ აფსუა-ჩეჩენ გადამთიელთა თარეშამდე, ლამის გადრეკილ, იარებით დასერილ ქედზე გვეტყობა.

რუსს ამ „სხვა დროში“ მხოლოდ და მხოლოდ საერთაშორისო დიპლომატიური წრეებისთვის სჭირდება ეს ხელშეკრულება, ჩვენს ტერიტორიაზე სამართლებრივი საფუძვლის გარეშე მდგომი მისი ჯარის ყოფნა რომ გაამართლოს, თორემ, ჩვენი სიყვარულით გული არ უფეთქავს.

ჩვენ ანექსირებული, დაპყრობილი ქვეყანა დამპყრობელთან სამეგობრო ხელშეკრულებას ვდებთ?

ამით, ხომ, საბოლოოდ, ჩვენი ხელითვე ვშლით დამოუკიდებლობის ბილიკს და კეთილმოსურნე დასავლეთელ მეგობერბსაც ხელებს ვუბორკავთ.

ნუთუ, ვერ ვხვდებით, რომ ყველა რუსული პროვოკაცია, ამ ორ წელიწადში ჩვენს თავზე დამტყდარი: სამაჩაბლოს და აფხაზეთის წართმევის ცდა, ეკონომიკური ბლოკადა... იქითკენ იყო მიმართული რომ, ბოლოს და ბოლოს, დარცხვენილებს და დამარცხებულებს, თავი ჩაგველუნა, შენს იქით გზა არა გვაქვსო, გვეღაღადა და ისევ რუსეთს მივბრუნებოდით, „დიდ, სამეგობრო ხელშეკრულებაზე“ ხელი მოგვეწერა?

თვალზე ლიბრს ნუ გადაგვაკრავენ გარდამავალ ეპოქაზე ოპორტუნისტული საუბრით, ნურც გერმანიას დაგვისახელებენ მაგალითად, რუსის ჯარის გაყვანაზე რომ ჩამოვაგდებთ სიტყვას. გერმანია რუსის ჯარს სახლებს იმიტომ უშენებს, რომ თვითონვე დაუნგრია და მთელი აღმოსავლეთ ევროპა ნაცარტუტად აქცია. ჩვენ კი რაო, დამპყრობელ, დამღუპველ რუსის ჯარს მის სამშობლოში ქარვასლები ხომ არ ავუშენოთ?

ყოველი საქმე ხომ შედეგით იზომება? ნუთუ მართლა სჯერა ზოგიერთ „შეუმცდარ პოლიტიკოსს“, რომ მოწყალე რუსეთი დიდი ხელშეკრულების მეორე დღესვე გადაგვიწყვეტს სამაჩაბლოს და აფხაზეთის პრობლემებს? ყურს აუწევს მის უმაღლეს პალატებში წინა და უკანა კარებიდან წამდაუწუმ საეჭვოდ გამსვლელ-გამომსვლელ არძინბა-აჩბა-კულუმბეგოვებს და გაკიცხავს – თქვენი ხმა არ გავიგონო, დღეიდან ქართველების მხარე მიჭირავსო? მოგვიხსნის ეკონომიკურ ბლოკადას და აყვავება-აღორძინების ონკანს გაგვიხსნის?

ვაი, რა მწარედ ვტყუვდებით! ამის თქმის საბუთს მაძლევს ავადსახსენებელი დაგომისი და 3 სექტემბრის ხელშეკრულებანი, რითაც რუსმა, მართლაც, ხელები შეგვიკრა. ჩვენი ურთიერთობა იმპერიულ რუსეთთან ხომ გუშინაც იგავ-არაკის მგლისა და კრავის ურთიერთობას წააგავდა და დღესაც წააგავს!

რუსი არ იყო, საბჭოთა ძმური ოჯახის სრულუფლებიან წევრებს, დისერტაციებს და კინოსცენარებს მოსკოვში რომ გვამტკიცებინებდა? რუსი არ იყო, ქართული გამომცემლობის გეგმებს გამადიდებელი შუშით რომ უჭვრეტდა და ქართველი ალპინისტის მიერ დაპყრობილ მწვერვალებსაც თვითონვე ურტყამდა ბეჭედს?

რუსი არ იყო, ქართულ სკოლებს რომ გვაუქმებინებდა, თათბირბიუროებს რუსულ ენაზე გვატარებინებდა და ჩვენი დაპყრობის იუბილეებსაც გვაზეიმებდა?

მოგვაწერინებს ხელს კაბალურ ხელშეკრულებაზე, ააფარებს მსოფლიოს თვალზე ჩვენთვის სამარცხვინო ამ ხელშეკრულებას და გააგრძელებს ძველებურ, ჩვენთვის ნაცნობ „გათიშე და იბატონეს“ პოლიტიკას.

სანამ გვიან არ არის, ცეცხლს ნუ ვეთამაშებით, ბატონებო! მოვეშვათ ხალხისგან დაფარული ამ სამარცხვინო ხელშეკრულების რაუნდებს – არავითარი „სამეგობრო ხელშეკრულება“! თუ მაინც-დამაინც, დავდოთ რუსეთთან ისეთივე სავაჭრო-ეკონომიკური გარიგებანი, როგორიც თურქეთთან, ირანთან, სომხეთთან, აზერბაიჯანთან, კორეასთან დავდეთ.

აი, თურმე რას ითვალისწინებს რუსეთთან ადრე და მალე დასადები „სამეგობრო ხელშეკრულების პროექტი: მხარეები ხელს შეუწყობენ რეგიონული კონფლიქტების მოგვარებას და ამ მიზნით, საჭიროების შემთხვევაში, მიმართავენ ერთობლივ მოქმედებას... მხარეები ცნობენ ერთმანეთის უფლებას, დაიცვან თავიანთი მოქალაქეების უფლებები ერთმანეთის ტერიტორიაზე... მხარეები ხელს შეუწყობენ საწარმოთა არსებული სპეციალიზაციის შენარჩუნებას, აგრეთვე, თავისუფალ და შეუზღუდავ ტრანზიტს თავის ტერიტორიაზე“... (სააგენტო „იბერია“).

„ამგვარი მუხლებით“ დამშვენებული პროექტი თუ დამტკიცდა, საქართველო არა მარტო რუსეთის გავლენის სფეროდ, გარკვეულწილად, რუსეთის ტერიტორიად რჩება.

ჩვენს თაობას დიდი მისია არგუნა ბედმა. საქართველო თავისუფლების ჭიშკართან დგას. ნუ ვიჩქარებთ. სიტუაცია ყოველდღე იცვლება; გაეროს ჯარების შემოყვანა გუშინ რომ წარმოუდგენელი გვეგონა, დღეს სხვა თუ არაფერი, განხილვის საგნად მაინც იქცა უშიშროების საბჭოში და არავის შეუცხადებია, ეს შეუძლებელიაო! მაშ, ნუ გადავდგამთ წინდაუხედავ ნაბიჯს.

ნუ შევიბამთ კისერზე კვლავ რუსის აპეურს, ნუ დავუგდებთ ჩვენს თავს წყევლა-კრულვისთვის შთამომავლობას.

8 თებერვალი, 1993 წ.

ერთმანეთისაკენ მორცხვად გავაპარეთ თვალი

ახლახან ფილარმონიაში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის საგანგებო კონფერენცია ჩატარდა.

ორატორთა შორის არ შემინიშნავს არც ერთი კაცი საქართველოს მდგომარეობაზე ჭირისუფლის, გულშემატკივრის პოზიციიდან რომ არ ელაპარაკა. არავითარი მოწოდებანი, არავითარი პათეტიკა, რომ იტყვიან, „დაბალ ტონში“ კამათობდნენ და კრიზისიდან გამოსავალს ეძებდნენ: – ჩვენი შეკრების მიზანი 21 წლის კონსტიტუციის ეგიდით საქართველოს გაერთიანებაა. არავის მოვუწოდებთ ქუჩის ღონისძიებებისკენ, ეს დამღუპველი იქნებოდა დღეს. საქართველო ვერც დამხობილი პრეზიდენტის დაბრუნებით გამთლიანდება და ვერც ესქპრეზიდენტის მომხრეთა იგნორირებით, საქართველო ჯანსაღმა აზრმა და დამოუკიდებლობისაკენ სწრაფვამ უნდა გააერთიანოსო, – ირაკლი წერეთელმა თქვა.

მე ვფიქრობ, კონფერენციამ დიდი საქმე გააკეთა. თუნდაც ის რად ღირს, რომ ხუთი საათის განმავლობაში ერთმანეთის გვერდით ვისხედით, სულ რაღაც, ერთი წლის წინათ ბარიკადების სხვადასხვა მხარეს, სხვადასხვა მიტინგებზე მდგომნი და ერთმანეთს მშვიდად ვესაუბრებოდით.

ყუმბარა რომ აფეთქდა, ადგილიდან არც წამოვწეულვართ. იცით, თითქოსდა ველოდი კიდეც, რომ რაღაც უნდა მომხდარიყო და შინაგანად მომზადებული შევხვდი. ირაკლი წერეთლის დაძახილს: „პროვოკაციაა! არ აჰყვეთ! არ აჰყვეთო“, ყველანი გაგებით შეხვდნენ. ის ათიოდე კაციც, გასასვლელს ვინც მიაწყდა, უკან მობრუნდა. ბატონმა ნოდარ ნათაძემ სიტყვა ისე მშვიდად განაგრძო, თითქოს არაფერი მომხდარიყოს.

კონფერენციაზე ინგუში სტუმარიც გამოვიდა.

კოტიკოვი გახლდათ, თუ არ ვცდები; ჩრდილოკავკასიელი მეზობლები საქართველოს იმედის თვალით შევყურებთო. ისეთი გრძნობა გვაქვს, თუ გათავისუფლდება იმპერიის კლანჭებიდან საქართველო, ჩვენც გავთავისუფლდებითო. რუსებმა ახლახან ინგუშთა 18 სოფელს გადაუარეს და მიწასთან გაასწორესო. მთელმა კავკასიამ საერთო ნებით უნდა გააძევოს რუსის ჯარი, როგორც კი ამას მივაღწევთ, მთელს კავკასიაში სიმშვიდე დაისადგურებსო. ღვთისა და ერთმანეთის ანაბარა დავრჩებით, როგორც ვიყავით, სანამ რუსეთი დაგვიპყრობდაო.

სათათბიროზე, ჯერჯერობით, მხოლოდ ის ვიცი, რაც ფილარმონიაში ვიხილე და მოვისმინე. არა მგონია, დამღუპველი იყოს ხელისუფლებისათვის, თუ სათაბიროს სახით ფხიზელი და ჭკვიანი მრჩეველი გაუჩნდება. უსაფუძვლო იყო ზოგი ჩვენი „შორსმჭვრეტელი“ პოლიტიკოსის შიში. ამაოდ დაჰკრეს ბუკსა და ნაღარას. ლამის ერთი კვირაა საინფორმაციო საშუალებებმა მოუხშირეს გადაკვრით („კოკავ, შენ გეუბნებიან“...) საუბრებს იმის შესახებ, თუ როგორ დაიჭირეს სომხეთში და სხვაგან დემონსტრანტები. ატყდა ზოგი შენაერთის სოხუმიდან გამოწვევა პროფილაქტიკის მიზნით და შემოქმედებით კავშირთა წევრების დაბარებაც – არიქა, გვიშველეთ, მოიყვანეთ გონს ოპოზიციონერები. რა დროს ოპოზიციონერობაა, ქვეყანა ინგრევაო. ქვეყანა რომ ინგრევა და იღუპება, სწორედ მაშინაა საჭირო ოპოზიციონერობა და არა ყველაფერზე თავის კანტური: შენ იფიქრე ჩვენს ნაცვლად, მოგყვებით, როგორც ცხვრებიო.

დიახ, ამაოდ შეკრთნენ ხელისუფალნი, ვერც ზოგმა „საზოგადო მოღვაწემ“ გამოიჩინა თავი შფოთიანი გამოსვლით – რასაც გაქცეული ხელისუფლების დამქაშებს უკიჟინებდა, თვითონაც იგივე გაიმეორა; შიშს დიდი თვალები ჰქონია – ახალი ოპოზიცია, კონფერენციის ინიციატორები ერის მოღალატეებად გამოვაცხადოთო, ღუღუნებდა მავანი... გუშინდელ დარბაზში კი ისხდნენ ამჟამინდელი ხელისუფლების მომხრენიც, ოპოზიციონერებიც, „ზვიადისტებიც“, ოპორტუნისტებიც და არავის მოუწოდებია, ავდგეთ ახლა და რუსთაველის პროსპექტის დარჩენილი ნაწილი დავანგრიოთო. არც შევარდნაძის გადადგომა მოუთხოვია ვინმეს და არც პარალმენტისადმი უნდობლობის გამოცხადება.

ამას წინათ ჩემმა სტატიამ „ვაი, რა მწარედ ვტყუვდებით“ (8.11.93) აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია. თქვენ კატეგორიული წინააღმდეგი ხართ რუსეთ-საქართველოს ხელშეკრულებისაო? მეკითხებიან.

მე მგონია, იმ სტატიაში ბუნდოვნად არაფერი მითქვამს. სამეცნიერო-სავაჭრო-ეკონომიკური ხელშეკრულება რუსეთთან, ისეთივე როგორიც თურქეთთან, ირანთან, აზერბაიჯანთან დავდეთ, უსათუოდ უნდა დაიდოს. არც მეტი არც ნაკლები. ირანთან დადებულ ხელშეკრულებაში არ წერია ეთნოკონფლიქტები გაერთიანებული ძალით ჩავაქროთ, ან ნება მიეცეს ორივე მხარეს ერთმანეთის ტერიტორიაზე თავიანთი ეროვნების მოქალაქეების უფლებები დაიცვანო. ნუ მოვატყუებთ საქართველოს! სისხლისგან დაცლილი ქართველი ხალხი არაა იმის ღირსი, რომ კვლავ რუსის მონობაში შევაბრუნოთ.

ახლა, როცა ჩვენ ვსაუბრობთ, მოლაპარაკების „რაუნდები“ ჯერ არ დამთავრებულა, ხოლო რუსეთი ქართულ პოზიციებს ბომბავს აფხაზეთში. ხელშეკრულების დადების მერე რაღა ხეირს დაგვაყრის, რამდენჯერ შეიძლება ბოლოს და ბოლოს, მოვტყუვდეთ? – „დაგომისით“ მოგვაღორეს, „3 სექტემბრით“ მოგვაღორეს, აფხაზეთიდან (სრულიად საქართველოზე არას ვამბობ) ჯარის გაყვანას არ აპირებენ... ნურას უკაცრავად, მე ვერ დავდგები ზოგიერთი პოლიტიკური მამლაყინწას პოზიციაზე, რომელიც გაფუჭებული გრამოფონივით გაიძახის: ვიცით, რომ რუსეთი ამ ხელშეკრულებას არ შეასრულებს, მაგრამ როცა მესამედ დაგვიპყრობენ, პოლიტიკურად მართალი ვიქნებითო. აღარ უნდა მოვეშვათ ამ პოლიტიკურ არტისტიზმს? შიმშილით მოკლული მოლასა და ფლავის არაკი ხომ გაგიგონიათ...

რა ურაოპტიმისტებიც არ უნდა ვიყოთ, სულერთია, მზე ჩრდილოეთიდან არც არასოდეს ამოსულა და არც ამოვა. კარს უკან, ხალხისგან დაფარულად პოლიტიკურმა მოლაპარაკებებმა სასურველი შედეგი ვერ გამოიღო. ხელშეკრულების მესამე „რაუნდის“ დამაგვირგვინებელი აკორდი ის იყო, რომ აღტაცებული სახეებით გამოაცხადეს, – შევთანხმდით, რუსეთი ეშერადან უახლოეს დღეებში გაიტანს ლაბორატორიასო. გაიტანა? რამდენ დღეს გულისხმობს მაინც, უახლოესი დღეები? ჩვენი ხელისუფალნი ან ცრუ ილუზიებით თავს იტყუებენ, ან ჩვენ გვატყუებენ. ჩამოვიდა შახრაი, თავზე ხელი გადაგვისვა, ჩემი ინტერვიუ „ნეზავისიმაია გაზეტამ“ დაამახინჯაო. დავუჯერეთ, გადავკოცნეთ, დახურულ კარს მიღმა ველაპარაკეთ. შედეგი? დაგვიბრუნა რუსმა წართმეული სამაჩაბლო? გაიყვანა ჯარი აფხაზეთიდან?

და მაინც, კონფერენციაზე რა ითქვა ისეთი, რაც პარლამენტზე არ შეიძლებოდა თქმულიყო ან მომხდარიყო?

ჩემთვის სასიამოვნო იყო იმის გაგება, რომ უკანასკნელი წლების პოლიტიკური ბატალიების მკაცრ გაკვეთილებს შედეგი მოჰყოლია. ერთმანეთის მოსმენის და ატანის უნარი შეგვიძენია. განსხვავებული პოლიტიკური შეხედულებების ხალხი მგლებივით არ ვუცქეროდით ერთმანეთს, პარლამენტში არადა არ მოხდებოდა, რაც იქ მოხდა; თითქოს მღვიმეებიდან გამოვიდა დატუქსული, ხმაწართმეული (ყველა თავისმა სიმართლემ გაამართლოს) ჩვენი არაერთი საერთო ნაცნობი და ფილარმონიის სრულუფლებიანი მონაწილე. ჩვენ თავჩაქინდრულებმა ერთმანეთისკენ ნელ-ნელა გავაპარეთ თვალი და მომეჩვენა, რომ ერთმანეთისა, ცოტა არ იყოს შეგვრცხვა...

ეს უკვე კარგის ნიშანია.

22 თებერვალი, 1993 წ.

რუსის ახალ აპეურს ნუ შევიბამთ კისერზე!..

დღეს პოლიტიკოსები საქართველოს ბედს წყვეტენ. ამიტომაც პოლიტიკა, ჩემთვის როგორც მწერლისთვის, სისხლხორცეულ პრობლემად იქცა. ამ ბოლო დროს ჩემს წერილებსა და ინტერვიუებში კი არა, ნოველებშიც შემოვიდა პოლიტიკა, ბუნებრივიც არის. საქართველოს გადარჩენა ჩვენი უპირველესი საზრუნავია და ხანდახან კალამი არ მომიბრუნდება რომანტიკული, განყენებული ნოველები ვწერო.

მე ხელისუფლებას (და პარლამენტსაც) ისე დიდად არ ვაფასებ, რომ მისი კრიტიკა ჩემს მთავარ საქმედ ვაქციო. გამსახურდიას მოურიდებლად მოვახსენე, რაც არ მომწონდა მის, როგორც პრეზიდენტის, ქცევაში. ახლანდელ ხელისუფლებასაც რევერანსის გარეშე ვაუწყე, რომ ბევრს რამეში მის კომპრომისულ პოლიტიკას არ ვეთანხმები („თბილისი“ – 27.12.92).

არ გეშინიათ? მეკითხებიან.

ვისი?! განა ერის ბედნიერი მომავლისათვის თუნდაც ერთი სასაგებლო რჩევის მიცემა ჩემისთანა კაცის სიცოცხლეზე ძვირი არ არის?

რა აზრის ვარ შევარდნაძისათვის სტუდენტური საზოგადოების მიერ მიწერილ წერილზე?

როგორ შეაფასებდით სახელმწიფოს მეთაურის საბჭოსო, ხშირად მეკითხებიან.

სახელწოდებიდანვე მცდარია. შეიძლება „სახელმწიფო საბჭო“ ერქვას, ან „მრჩეველთა საბჭო“. „სახელმწიფოს მეთაურის საბჭო“ რა დოზანაა! არაკონსტიტუციური, არაპარლამენტური საბჭო ახალი პოლიტბიუროს ნოსტალგიით შექმნილი. ამ საბჭოს შემადგენლობის ტიტულებმაც გამაოცა. „საზოგადო მოღვაწის“ ტიტულს ძალიან იოლად ხომ არ ვარიგებთ.

ღმერთმა ქნას, სასარგებლო აღმოჩნდეს მეთაურის საბჭოს საქმიანობა. მე საკამათო მხოლოდ მისი შექმნის კონსტიტუციურობა და ზოგიერთი წევრის მიმართ ინდულგენციასავით გაცემული მაღალი ტიტულები მიმაჩნია.

საქართველოს ხელისუფლებაში წარმოშობილ კონფლიქტს წაშლის და დაპირისპირებულთ გააერთიანებს საერთო ბედის წარმოდგენა. საშიშროება ახლანდელ ხელისუფლებას უფრო მეტად იმ მხრიდან ემუქრება, საიდანაც არ ელის – სტუდენტობა და უბრალო, დამშეული, პოლიტიკის მიღმა მდგომი ხალხი აიღებს ჯოხს ხელში და გარეკავს ენად გაკრეფილ პარლამენტს, თუ უახლოეს ექვს თვე-

ში არ მოხდა სასიკეთო ცვლილებები პოლიტიკასა და ეკონომიკაში. საერთოდ კი, კიტოვანის გაღიზიანება ზვიადის დროსაც და ახლაც მისი ბრალი სრულიადაც არ არის.

ჩემთვის არსებობს კაცი, პროფესიონალი და ნაკლებად მაინტერესებს მისი პოლიტიკური წარსული. რაო, რაკი პარტიული ფუნქციონერი იყო პიროვნება, აღარ იმუშაოს არსად, გადავაგდოთ, აღარ გვჭირდება? განა ცოტას გვედო გუშინ კომპარტიის მანდატი?

მოდით, ნუ დავიწყებთ სხვის ბიოგრაფიაში ხელის ფათურს, ყველამ თავის სულში ჩაიხედოს და სახარებისა არ იყოს, ვინც არა სცოდა, პირველმა მან ესროლოს ქვა. უცოდველ კრავადაც თავს ნურავინ წარმოიდგენს. სიყმაწვილის შეცდომები თუ გავუხსენეთ ერთმანეთს, ხელში აღარავინ შეგვრჩება. სხვათა შორის, მე მინახავს ჯაბას პიესების მიხედვით დადგმული შესანიშნავი პატრიოტული სპექტაკლები, წამიკითხავს მისი რომანი, მოთხრობები და ენა არ მომიბრუნდება იმ სტრიქონების დამწერ კაცზე აუგის სათქმელად. ისიც გაიხსენეთ, რომ ამ ორი თვის მანძილზე ჩვენში გამართულ თანამდებობების მარათონს იოსელიანი განერიდა, მაღალ სკამზე უარი თქვა, ავტომატი აიღო ხელში და 67 წლის კაცმა ტყვიას შუბლი შეუშვირა. ენის ტარტარი ყველამ კარგად ვიცით, მაგრამ სამშობლოს დაცვა ყველას არ შეგვიძლია.

არავინ არის იმ მასშტაბის პოლიტიკოსი, რომ არ ცდებოდეს. შეცდომა იყო დაგომისის ხელშეკრულება. ჩვენ, ქართველები, ვებრძოდით რუსს და ოსს სამაჩაბლოს გამოსახსნელად. შეიძლებოდა სამშვიდობო ძალები ისევ რუსებთან და ოსებთან, დაინტერესებულ მხარეთა შორის გვეძებნა? სამშვიდობო ძალა უნდა ყოფილიყო მეოთხე: გერმანელი, ამერიკელი, ფრანგი... ასევე დიპლომატიური მარცხი იყო 3 სექტემბრის ხელშეკრულება. როგორც ჩანს, ჩვენმა დიპლომატებმა კარგად ვერ გაიცნეს რუსული მზაკვრული პოლიტიკა. არ შეიძლება რუსები ბრიყვებად მიგვაჩნდეს. როგორც გაირკვა, პირიქით, მათ შეძლეს ჩვენი გაბრიყვება.

ჩვენ შორის დარჩეს და, ზვიადისტების „ოლოლოს“ ბევრ პუნქტში საფუძველიც აქვს. რა გააკეთეთ – გვეკითხებიან ისინი. სამაჩაბლო დაკარგეთ, აფხაზეთი დაკარგეთ, ქვეყანა დაამშიეთ, ბანდიტიზმი ააყვავეთ. ასე პატრონობთ ქვეყანას? დავიდოთ გულზე ხელი და ვთქვათ: არ არიან ზოგ რამეში მართლები? არიან. მაგრამ ერთი წამითაც ვერ მოვუწოდებ ზვიადისტებს გროზნოელი პრეზიდენტის დაბრუნებისათვის იარაღით ბრძოლას. ღმერთმა დაგვიფაროს ახალი შინაური ხათქახუთქისაგან.

პოლიტიკოსები „ოპოზიციონერ“ ჟურნალისტებთან შეხვედრას და კამათს რომ გაურბიან, ჩემთვის გაუგებარია.

მე, პირადად, ერთი ქართველი მწერალი, არც ერთ აუდიტორიაში არც ერთ კამათს არ გავურბივარ, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი ოპონენტების მხრიდან კამათი ყოველთვის როდი რჩება მიღებული ზომიერ ჩარჩოებში. ამას წინათ ერთმა ქალბატონმა შემაჩერა ქუჩაში. ძალიან მომწონს თქვენი ნოველები, მაგრამ თქვენს პოლიტიკურ შეხედულებაზე ამას ვერ ვიტყვიო. კერძოდ, რა არ მოგეწონათ-მეთქი, ქალბატონო, თუ წაიკითხეთ ესა და ეს, ანუ თუ მოისმინეთ ჩემი რადიო-ტელეგამოსვლები-მეთქი. მითხრა, რა შეურაცხყოფას მაყენებთ, ამათსას მე არც რადიო-ტელევიზიას ვუსმენ და არც გაზეთს ვკითხულობო. რაზე უნდა გვეკამათა, მითხარით ერთი. ამ დროს მეორე მანდილოსანი მოგვიახლოვდა – ნუ ეჩხუბები, ციალა, ამ ბოლო დროს ბატონი რეზო დაჭკვიანდა, ჩვენსკენ გადმოიხარაო. ახლა იმ ქალბატონს მივუბრუნდი: მე არავისკენ არ ვიხრები (პოლიტიკურ დახრას ვგულისხმობდი), მე ჩემი სახელი და გვარი მაქვს და ჩემი შეხედულებებით დავდივარ-მეთქი ამ ქვეყნად. მით უარესი თქვენთვისო, დამიგდეს ეს ორი სიტყვა და წავიდნენ. საერთოდ, ნურავის სამსახურს ნურავინ მაიძულებს და სხვასაც ამას ვურჩევ, კაცის კაცად ყოფნა დამამცირებელია პიროვნებისათვის. პოლიტიკა, სხვათა შორის, სკამისათვის ბრძოლაც არის და სხვისი სკამის გამმაგრებლად ვერასოდეს გამოვდგები. ადამიანი თავის ერს, თავის ქვეყანას უნდა ემსახუროს და თავის სინდისთან პირნათელი იყოს.

ჯერჯერობით ყველაფერი იქითკენ მიდის, რომ აფხაზეთშიც განმეორდეს (თავდაცვითი პოზიცია, გაგრის დატოვება, ტყვარჩელის ოპერაციის ჩაშლა...) სამაჩაბლოს ვარიანტი. დროა, ძლიერთა ამა ქვეყნისათა თავი გაანებონ ოფიცრის ცოლივით მაცდურ ღიმილს იმპერიის დამქაშების მიმართ.

არსებობს ერთადერთი გზა – დასავლეთის ჩარევა. თუ „გაერო“ და „ნატო“ არ ჩაგვერია, ჩვენ პრაქტიკულად ორივე ფრონტზე დავმარცხდებით, ახლა როდი ვიბრძვით, მხოლოდ თავს ვიცავთ, უფრო სწორად, დრო გაგვყავს, ჩვენი შვილები კი იღუპებიან. რუსმა ბევრჯერ გვიღალატა, რუსის იმედზე ყოფნა არას გვარგებს. ჩრდილოეთ კავკასიელ მეზობლებთანაც კეთილი ურთიერთობა უნდა დავამყაროთ.

როგორია ჩემი პოზიცია საქართველოს მომავალი ადმინისტრაციული მოწყობის მიმართ?

საქართველოში მხოლოდ კულტურული ავტონომიები უნდა დარჩეს. პოლიტიკური ავტონომიები უნდა გაუქმდეს. არ შეიძლება სახელმწიფო სახელმწიფოში.

რაც შეეხება საბაზრო ეკონომიკას, საბაზრო ეკონომიკა სპეკულაციის აღორძინება არ არის. ჩემი ფიქრით, სხვათა შორის, ეკონომიკურ რეფორმებზე სწორად მსჯელობს რომან გოცირიძე, მაგრამ, სამწუხაროდ, ბევრი დილეტანტი, საქმეში ჩაუხედავი „ოპონენტი“ ჰყავს.

საერთოდ, რუსეთთან დამოკიდებულებაში ჩემი პოზიცია ასეთია: რუსეთთან უნდა დავდოთ ზუსტად ისეთივე ხელშეკრულებანი, როგორიც თურქეთთან, ირანთან და ნებისმიერ საზღვარგარეთის ქვეყანასთან.

თუ რუსეთს გავურიგდებით ეთნოკონფლიქტების გაერთიანებული ძალებით ჩაქრობაში ან ერთმანეთის ტერიტორიაზე ერთმანეთის მოქალაქეთა უფლებების დაცვაში, ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენ რუსის მონად ვრჩებით. სისხლისგან დაცლილ საქართველოს რუსის ახალ აპეურს ნუ შევაბამთ კისერზე!

რაც შეიძლება დროზე უნდა გავემიჯნოთ მანეთის ზონას. ორი წელია გვესმის, ეროვნულ ფულს ვბეჭდავთო, შედეგი კი არ ჩანს. სხვათა შორის, ერთმა ეკონომისტმა–ფინანსისტმა ისიც მითხრა, შეიძლება მოლაპარაკება დასავლეთთან, რათა დროებით დოლარიც შემოვიღოთ საქართველოს ფინანსურ წრეებრუნვაშიო. ნუ დავუტოვებთ რუსეთს ხელში ჩვენი სახრჩობელის თოკს, რათა როცა მოეგუნებება, წაგვიჭიროს.

დღეები გარბის, ომს კი დასასრული არ უჩანს...

ისე ვარ გულგატეხილი და დაბნეულ-დამუხტული, თქვენ წარმოიდგინეთ, ისიც კი მაღიზიანებს, დილით რადიოში რომ გამოაცხადებენ – „წუხანდელმა ღამემ აფხაზეთში მშვიდად ჩაიარაო“. რანაირად შეიძლებოდა ღამეს მშვიდად ჩაევლო ჩვენს პირობებში. აბა, ჰკითხეთ სასტუმროთა ვესტიბიულებში მჯდომ, ლოდინით დაღლილ ლტოლვილებს, აბა, ჰკითხეთ, მუხლამდე წყალში მდგომ, ავტომატჩახუტებულ მებრძოლებს, თვალი რომ არ მოუხუჭავთ და ყოველ წამს ელოდებიან მომხდურთა იერიშებს. ჰკითხეთ და მიხვდებით, ღამემ მშვიდობიანად ჩაიარა თუ არა...

დროის გაყვანის პოლიტიკა, რაც ამ ბოლო დროს აფხაზეთის საკითხში ჩვენი მოქმედების მთავარ მიმართულებად იქცა, დამღუპველია საქართველოსათვის. ამ უმოქმედობას, სტრესებს, ყოველდღიურ დაძაბულობასა და თავდასხმის მოლოდინში ნელ ცეცხლზე წვას ერის ნერვები ვერ გაუძლებს.

აპრილი, 1993 წ.

„შევარდნაძე... დამსახურებულ პენსიაზე“

ელცინ-შევარდნაძის 14 მაისის შეხვედრას მონაწილეთა უმეტესობა, ქართული დიპლომატიის მიღწევად თვლის. მე კი, პირადად, ჩემს აზრს მოგახსენებთ: შეხვედრის შედეგებში ჩვენი პოლიტიკის მორიგი დამარცხება ამოვიკითხე. კომუნიკეში პირდაპირ არის მითითებული მძიმე ტექნიკისა და არტილერიის გამოყვანაზე კონფლიქტის ზონიდან. ღმერთმა ქნას ვცდებოდე, მაგრამ ეს იქნება სოხუმის დაკარგვის დასაწყისი. სოხუმს იცავს მძიმე ტექნიკა, არტილერია და ნაწილობრივ ჩვენი გაუბედურებული ავიაცია. თუ ამ სამ ძალას გამოთიშავ, ჩაგიბარებია მტრისათვის სოხუმი და ეგ არის.

პოლიტიკოსთა საქციელსა და გადაწყვეტილებებს ათასი წყალქვეშა და წყალზედა დინებები განაპირობებს. შეუმცდარი პოლიტიკოსი ჯერ არ დაბადებულა. სამწუხაროდ, ჩვენმა „შეუმცდარმა პოლიტიკოსებმა“ თვითონვე აღიარეს რომ 3 სექტემბრის ხელშეკრულებით რუსებმა ჩიხში მოგვამწყვდიეს და გაგრა, ლესელიძე, განთიადი დაგვაკარგვინეს. რა გარანტია მაქვს, რომ ელცინთან ამ მორიგი ტრიუმფალური შეხვედრით სოხუმს არ დავკარგავთ? როგორ შეიძლებოდა ერთ სიბრტყეზე დაგვეყენებინა რუსეთისა და საქართველოს მძიმე ტექნიკისა და არტილერიის გაყვანა კონფლიქტის ზონიდან. საქართველო თავის სახლშია და თავის მიწას იცავს, რუსი მეუბნება: მეც გავიყვან მძიმე ტექნიკას და შენც გაიყვანეო. ეს ხომ მორიგი ფანდი და მახეა, რათა საქართველოს ერთხელ და სამუდამოდ წაჰგლიჯონ თავისი ისტორიული მიწა – აფხაზეთი.

რა პასუხს ვაძლევთ ჩვენ ამით ქართულ შენაერთებს სისხლი რომ ჩააქციეს სოხუმის დასაცავად. რა პასუხს ვაძლევთ გენერლის წოდებამინიჭებულ თავდადებულ კაცს თამაზ ნადარეიშვილს და მის სახელოვან თანამებრძოლებს, ეს არის აფხაზეთის პრობლემის მშვიდობიანი გადაწყვეტა?

მე მეგონა მოსკოვში ლაპარაკი იქნებოდა გაგრის, ლესელიძისა და

განთიადის დაბრუნებაზე. პრობლემის ჩვენს სასარგებლოდ გადაჭრად ჩავთვლიდი, თუ ქართველთა სასაზღვრო ჯარი დაბრუნდებოდა და ლესელიძეში დადგებოდა რუსეთთან სახელმწიფო საზღვრის დასაცავად. როგორც ჩანს, ჩვენ გაგრა სამუდამოდ გაგვიწირავს, შევგუებივართ ქართველთა გენოციდს აფხაზეთში. ახლა სოხუმის პრობლემას „ვაგვარებთ“ და მალე „ვიზეიმებთ“ დაახლოებით ისეთ გამარჯვებას, როგორც დაგომისის ხელშეკრულებით სამაჩაბლოს დაკარგვით მივიღეთ.

20 მაისს ჩამოვაო, როგორც აცხადებენ, გაეროს მისია სოხუმში. რა ვუთხრათ რომ დავხვდებით? მადლობელი ვართ, რომ ჩამობრძანდით, მაგრამ ჩვენ უკვე გადავწყვიტეთ ეს პრობლემა რუსეთის დახმარებითო? ხომ გვკითხავენ, თქვე კაი ხალხო, თუ ისევ რუსეთთან გარბოდით და აფხაზეთის პრობლემის გადაწყვეტის გასაღები რუსეთთან გეგულებოდათ, ჩვენ რად აგვიკელით წერილებითო? ხომ უნდა მოეღოს ბოლო, ერთხელ და სამუდამოდ ქართველი ხალხის მოტყუებას.

ამ ორი თვის წინ გაეროდან ჩვენი პოლიტიკური მისია დაბრუნდა და გამოგვიცხადა: ფეხდაფეხ მოგვყვება გაეროს სპეციალური წარმომადგენლობა, რომელიც გადაწყვეტს თუ რა ადგილებში განლაგდნენ გაეროს სამშვიდობო შენაერთებიო. საკმაო ხანი გავიდა გაეროს სამშვიდობო შენაერთების მოლოდინში. ამასობაში გაერომ, იუგოსლავიას რომ თავი დავანებოთ, სომალიშიც გაგზავნა თავისი შენაერთები. საქართველოში არა და არა. რაღაცაშია საქმე, ეტყობა, ჩვენ გაეროს დანაპირები კარგად ვერ გავიგეთ, თორემ ასეთ ტყუილს გაერო საერთაშორისო დონეზე არ იკადრებდა.

ამ ბოლო კვირაში გაჩნდა იმედი გაეროს ეგიდით უკრაინის სამშვიდობო შენაერთების შემოყვანისა, მაგრამ იმედის ეს ნაპერწკალიც ჩააქრო ელცინ-შევარდნაძის შეხვედრამ. მე ვფიქრობ, ყველაზე მართალი ამ შეხვედრის შედეგების შეფასებაში ნოდარ ნათაძე იყო, რომელმაც თამამად განაცხადა ტელევიზიის ეკრანიდან; შეხვედრის შედეგები ნულის ტოლიაო. მართალია, ნოდარ ნათაძე ამას თავისი ქვეჯგუფის მოლაპარაკების შესახებ ბრძანებდა, მაგრამ ჩემი ფიქრით, მისი აზრით შეხვედრის მთელ სიტუაციაზე შეიძლება გავრცელდეს.

არავითარ სიკეთეს რუსეთისაგან არ უნდა ველოდეთ. რუსეთი ჩვენი დამპყრობელია და ჩვენი უპირველესი ეროვნული მტერი, და ვინც რუსული ორიენტაციისაკენ გვიბიძგებს, წამდაუწუმ ჩაგვძახის ჩვენი ბედი რუსეთთანაა გადაჯაჭვული, და თუ რუსეთის ნებას არ დავყევით მშვიდობა არ გვეღირსებაო, ან ბეცი პოლიტიკოსია, ან სერგო ორჯონიკის მემკვიდრე.

რა საბუთი მაქვს ამ რადიკალური დასკვნის გასაკეთებლად?

რუსეთმა დაგომისის სამარცხვინო ხელშეკრულებით მზაკვრულად წაგვართვა სამაჩაბლო, თავს მოგვახვია ომი აფხაზეთში. რუსეთის თვითმფრინავები ერთგულად ბომბავენ სოხუმს აგერ უკვე 8 თვეა, და მსოფლიო ლამის დაყრუვდა ჩვენი გასაჭირისთვის. ხავსს ვებღაუჭებით, გვატყუებენ; ელცინი უბრალოა, ელცინი ვერ აკონტროლებს გუდაუთაში რუსი გენერლების მოქმედებასო. რა თქმა უნდა ტყუილია, და თანაც უსირცხვილო ტყუილი, როცა გრაჩოვი იტყვის, ქართველები შეღებილი თვითმრინავებით თვითონ ბომბავენ სოხუმსო, თქვენ გგონიათ არ ესმის ეს ელცინს? როგორ მოხდა, სოჩაში ელცინთან ტელეფონით გასაუბრებისთანავე გრაჩოვმა ეშერიდან ჯარის გამოყვანაზე უარი რომ თქვა დააკვირდით ელცინის საქციელს; ჩვენი სახელმწიფოს მეთაურს იგი, როგორც თანასწორი სახელმწიფოს მეთაურს კი არ ხვდება, არამედ კრემლში იბარებს როგორც ვასალს, როგორც ქვეშევრდომს, როგორც, რესპუბლიკის ცეკას მდივანს იბარებდნენ კომუნისტური რეჟიმის დროს ურდოში. ნახეთ სადამდე მიდის ელცინის ცინიზმი, ასე დაიბარა მან შევარდნაძე 3 სექტემბერს მოსკოვში და ასე დაიბარა ახლაც 14 მაისს. 3 სექტემბრის შეხვედრას რა უბედურებაც მოჰყვა; მოგეხსენებათ – გაგრა, ლესელიძე, განთიადი დავკარგეთ. არც ამ შეხვედრას მოჰყვება დიდი სიკეთე. მე ძალზე ცუდი წინათგრძნობა მაქვს, ღმერთმა ქნას ჩემი წინათგრძნობა არ გამართლდეს.

აქამდე ელცინიც ვერ იდგა ფეხზე მყარადო, გაიძახიან.

ელცინის პოზიციების განმტკიცება ჩვენზე ვერავითარ სასიკეთო ზეგავლენას ვერ ახდენს. ელცინს მაშინაც შეეძლო სოხუმის დაბომბვის შეჩერება, როდესაც „მყარად ვერ იდგა“, ჩატარდება რეფერენდუმი და გვეშველებაო. ჩატარდა რეფერენდუმი. გაიმარჯვა ელცინმა, მერე? 25 აპრილიდან 20 დღეზე მეტი გავიდა, სოხუმის დაბომბვა კი უფრო გაძლიერდა. ეს არის თქვენი ელცინი? მე ვფიქრობ, იგი საქართველოს ერთ-ერთი დაუძინებელი მტერია.

ნახეთ გუშინ როგორი ირონიით, საქართველოს მხარისადმი აშკარა ზიზღით ილაპარაკა რუსეთის ტელევიზიამ ელცინ-შევარდნაძის შეხვედრაზე. რა მშვენივრად გამოჩნდა რუსეთის, ამ ორსახოვანი იანუსის პოლიტიკური ბუნება. თუ შევძელით, ჩვენ დავარწმუნებთ აფხაზეთსო შეწყვიტოს 20-ში საომარი მოქმედებაო (თითქოსდა მართლაც აფხაზეთი გვებრძვის და კიდეც გვჯაბნიდეს ამ უთანასწორო ომში), რა უტიფრად განაცხადა მოსკოველმა ჟურნალისტმა; როცა უნდათ რუსის ჯარს დამპყრობლად თვლიან, როცა უნდათ საშვე-

ლად უხმობენო. ხომ ფაქტია, რომ რუსეთის დახმარების გარეშე შევარდნაძე კიტოვანსა და იოსელიანს ვერ გაუმკლავდებაო. ეჭვი მაქვს, შევარდნაძის მოსკოვში ჩასვლის ერთ-ერთი მთავარი მიზანი კიტოვანისა და იოსელიანის წინააღმდეგ დახმარების თხოვნა იყო.

ბავშვიც მიხვდება, რომ გამსახურდიას ხელისუფლების დამხობას მარტო კიტოვანი და იოსელიანი ვერ შეძლებდნენ. რუსულმა ძალამ საკმაოდ დიდი როლი ითამაშა ამ საქმეში. ამ სამხედრო გადატრიალებას გამართლება მაშინ ექნებოდა და მრავლისმომთმენი ქართველი ერი რუსთაველის პროსპექტის დანგრევასაც აპატიებდა ახალ ხელისუფლებას, თუ იგი შეძლებდა ხალხისთვის მშვიდობა მოეტანა და შიმშილიდან ამოეყვანა ჩვენი ერი.

სამწუხაროდ, ახალმა ხელისუფლებამ ვერავითარი დანაპირები ვერ შეასრულა. ახლა წარუმატებლობათა გადაბრალების დროა, განტევების ვაცად კიტოვანი და იოსელიანი გასწირეს. არადა, კიტოვანი და იოსელიანი როდი ქმნიდნენ საქართველოს პოლიტიკას უკანასკნელი ერთი წლის განმავლობაში. პოლიტიკას, თქვენ კარგად იცით, სახელმწიფოს მეთაური და პარლამენტი ქმნის. თუ ხელისუფლების პოლიტიკა გაკოტრდა, რისი სიმპტომებიც უკვე სახეზეა, მაშინ მთელი ხელისუფლება უნდა გადამდგარიყო კიტოვანთან და იოსელიანთან ერთად, თორემ რა გამოდის, კიტოვანი და იოსელიანი არ ვარგოდნენ და ისინი, ვინც კიტოვანმა და იოსელიანმა ხელისუფლებაში მოიყვანეს, უცოდველი კრავები არიან?

პარლამენტში არაერთ ჭეშმარიტ ეროვნულ ძალას ვხედავ. პარლამენტის რამდენიმე წევრის ჯიუტმა ნებამ გადაწყვიტა საქართველოს მიმართ რუსეთის აშკარა აგრესიის მსოფლიოში გახმაურების საშური საქმე, მაგრამ სამწუხაროდ, ბევრი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საქმე საქართველოში, როგორც ჩანს, პარლამენტის გვერდის ავლით წყდება.

რაც შეეხება პარლამენტს, მათ თავისი ცოდვაც ეყოფა. გაოცება ვერ დავმალე, როცა 13 მაისს პარლამენტმა არ მიიღო საქართველოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის კანონი, რითაც სამუდამოდ მოგვარდებოდა საქართველოში მცხოვრები არამკვიდრი ერების კულტურული ავტონომიის გარანტია და სხვისი ტერიტორიის მაძიებელ სტუმრთა უფლებებიც კანონის ჩარჩოებში მოექცეოდა. ერთხე და სამუდამოდ დამთავრდებოდა უკანონო ავტონომიების საშინელი პრაქტიკა.

როგორ ფიქრობთ, არ ცხოვრობენ ამერიკაში, საფრანგეთში, გერმანიაში, თურქეთში, ირანში, იტალიაში კომპაქტურად, მკვიდრი

ერის გარდა სხვა ერების წარმომადგენლები? რატომ არ არის იქ, ავტონომიური რესპუბლიკები? რაო, ზემოჩამოთვლილი სახელმწიფოები ჩვენზე ნაკლებად დემოკრატიულნი არიან? იმიტომ არ არის, რომ სახელმწიფო სახელმწიფოში ყოვლად დაუშვებელია და იგი მომავალი ეთნიკური კონფლიქტის ნაცარში გაყუჩებული ნაღვერდალია, შესაფერის მომენტში რომ კოცონად აგიზგიზდება.

სხვათა შორის, ლამის ჩვენს ეროვნულ თვისებად ჩამოყალიბდეს ფაქტის გაზვიადება. რასაც გამსახურდიას ხელისუფლებას ნაკლად უთვლიდნენ, დღეს, პოლიტიკური ბრძოლისა და პიროვნებათა კომპრომეტირების ის ხერხები, რატომღაც დასაშვებად არის მიჩნეული.

უნივერსიტეტის 103-მა თანამშრომელმა ხელი მოაწერა განცხადებას. რა საჭირო იყო განგაშის ატეხვა, როცა მოგანგაშენი ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ, ეს ჩვენი აზრი არ გახლავთ, მხოლოდ 103 კაცის აზრიაო? იმ მიმართვას ხელს რომ ვაწერ, ეს ხომ უკვე ნიშნავს, რომ ვიზიარებ. ხოლო იმ 103 ხელმომწერს აზრადაც არ მოსვლიათ თავიანთი შეხედულება უნივერსიტეტის მთელი მრავალათასიანი კოლექტივის შეხედულებად გამოეცხადებინათ. მაშ, რისთვის ატყდა ეს აჟიოტაჟი? რაო, არ ჰქონდათ ადამიანებს თავიანთი აზრის გამოთქმის უფლება? სხვათა შორის 103-ის საწინააღმდეგო თვალსაზრისს, ასაკისათვის სრულიად შეუფერებელი ენერგიულობით გამოხატავდა ზოგი ღვაწლმოსილი მეცნიერი, რომელმაც ზვიად გამსახურდიას ხელაღებით მიანიჭა, დაუცველად, სადოქტორო ხარისხი.

ასე რომ, მე, პოლიტიკაშიც და სამოქალაქო ყოფით ცხოვრებაშიც ზომიერებისა და გონიერი განსჯის მომხრე ვარ.

შევარდნაძე უსათუოდ უნდა გადადგეს, თუ უახლოეს თვეებში რადიკალურ შედეგებს ვერ მიაღწია ჩვენი ცხოვრების გაუმჯობესების გზაზე. პირველ რიგში მხედველობაში მაქვს დღევანდელი საქართველოს ორი უმთავრესი პრობლემა: აფხაზეთში ქართველთა სამამულო ომის მოგება და სამაჩაბლოს დაბრუნება.

საერთოდ კი, ხელისუფლების შეცვლა აწ და მარადის საქართველოში უმტკივნეულოდ, ცეცხლისა და მახვილის გარეშე უნდა მოხდეს. საქართველოს სამარცხვინო ფურცლად მიმაჩნია დეკემბერ-იანვრის სამოქალაქო ომი და მისი შედეგები. მიხარია, რომ კიტოვან-იოსელიანი რაინდულად შეხვდნენ მათს, როგორც ზემოთ მოგახსენეთ, იქნებ სამართლიან გაშვებას დიდი პოლიტიკიდან და ექსცესების გარეშე დაუბრუნდნენ თავიანთ თავდაპირველ პროფესიებს.

რაც შეეხება ხელისუფლებას, იგი ერთხელ და სამუდამოდ არავის ეძლევა. ყოველდღე იწერება საზღვარგარეთულ პრესაში: ამა და ამ ხელისუფლებამ თავი გაკოტრებულად გამოაცხადა და გადადგაო. ნეტავ რამდენი შეცდომა უნდა დაუშვას საშუალოდ საქართველოში ამა თუ იმ ხელისუფლებამ, რომ თავი გაკოტრებულად გამოაცხადოს? უნდა დაელოდოს იგი მაინცდამაინც იმ წუთს, როცა ილაჯგაწყვეტილი ხალხი ქვას აიღებს ხელში და გამოეკიდება? გონიერი ხელისუფლება ის არის, ვინც გამოაცხადებს: ა, ძმაო, ბევრი ვეცადე, მაგრამ ვერ შევძელი თქვენი იმედების გამართლება, ქვეყნის ფეხზე დაყენებაო. მივდივარ და ასპარეზი ჩემი ახალგაზრდა თანამემამულეებისათვის დამითმიაო.

გამსახურდია უნდა დაბრუნდეს, მაგრამ არავითარ შემთხვევაში პრეზიდენტად. მან უნდა იცხოვროს თავის კოლხურ კოშკში. გაზარდოს მისი შვილები საქართველოში. გააგრძელოს თავისი მეცნიერულ-ლიტერატურული საქმიანობა. იქნებ ვცდები, მაგრამ ამ წუთში ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ ქვეყნის მართვა მისი საქმე არ არის. ამისთვის ზვიადს არც ნერვები ჰყოფნის და არც მიმტევებლობის უნარი.

საქართველოსთვის ძვირფასია ამ ორი ერთმანეთის მოძულე პოლიტიკოსის გამოცდილება, ერუდიცია. საქართველომ უკანასკნელ წლებში მათი ხელმძღვანელობით არაერთხელ გაიარა ბეწვის ხიდზე. ერთმაც და მეორემაც, ნუ დავუკარგავთ, ისტორიულ საქმეებთან ერთად, არა ერთი შეცდომაც დაუშვეს. ასე რომ, ქართველი ერის ისტორიულ ცნობიერებაში ორივე მათგანისთვის რჩება ადგილი. თუ, როგორც ზემოთ მოგახსენეთ, პოლიტიკურ მარცხთა პანორამა გაფართოვდა და რეალური შედეგი ვერ ვიხილეთ, შევარდნაძეც მალე უნდა გავიდეს დამსახურებულ პენსიაზე, წეროს წიგნები მსოფლიო პოლიტიკაზე, მოგონებები თავისი მდიდარი ცხოვრებისეული წარსულიდან, დააარსოს საქართველოში პოლიტიკური ინსტიტუტი და უხელმძღვანელოს მას.

საქართველოში ყველა ქართველს ეცხოვრება, თუ მას შეგნებულად არ უღალატნია თავისი სამშობლოსათვის და პირადი ამბიციებისათვის არ გაუყიდია იგი. ასეთი კი მეოცე საუკუნის საქართველოს ისტორიაში მე მხოლოდ ერთი კაცი ვიცი – სერგო ორჯონიკიძე. რაც შეეხება თეორიულ შეხედულებებს, თუნდაც მცდარი შეხედულებებისათვის კაცის გაკიცხვა, გასამართლება, რეპრესიები ყოვლად დაუშვებლად მიმაჩნია. ასეთია ჩემი აზრი. როგორც ხედავთ, საქართველოს მომავლის საკითხებში მე, დღევანდელი ხელისუფლების

ბევრი წარმომადგენლისაგან რადიკალურად განსხვავებული პოზიციისა გახლავართ: არა და არ ვფიქრობ, რომ საქართველოს ბედნიერი მომავლის გასაღები კრემლში ინახება. ამ აზრს თანმიმდევრულად გამოვთქვამ აგერ უკვე წელიწადნახევარზე მეტია, რაც ახალი ხელისუფლება გამოვიდა ასპარეზზე.

მწერალი რევაზ მიშველაძე საქართველოს ჭეშმარიტ დამოუკიდებლობაზე და თავისუფლებაზე ფიქრში ათენ-აღამებს და იგი მხარს ვერ დაუჭერს ვერცერთ ხელისუფლებას, რომელსაც სურს საქართველოს ხალხს ისევ იმპერიის უღელი დაადგას კისერზე, თუნდაც ის უღელი ცოტა შემსუბუქებული, აბრეშუმის ფოჩიანი და, როგორც პოლიტიკოსები იტყვიან, მოდერნიზებული იყოს.

26 მაისი, 1993 წ.

„ჩემი კრედო არ შეცვლილა“

ჩემი ლიტერატურული ცხოვრება ისე აეწყო, რომ მკითხველთა ერთ ნაწილს ჰგონია, თითქოს ნოველათა სიუჟეტს აუცილებლად სინამდვილიდან ვიღებდე. ამიტომაც, გამოვაქვეყნებ თუ არა ახალ ნოველას, ტელეფონით ხშირად მეკითხებიან: – ეს პერსონაჟი ხომ „ეს არის“ (რომელიმე ფუნქციონერს მისახელებენ), ხომ არ ვცდებითო, მეათასეჯერ ვიმეორებ: – მე არც ძველსა და არც ახალ ხელისუფლებას თავს იმდენად არ ვუყადრებ, მათზე ნოველები ვწერო. კონკრეტული აზრი ხელისუფლების წარმომადგენლებზე ჩანს მხოლოდ ჩემს წერილებსა და ინტერვიუებში. ერთი რამ კი ცხადია, ნოველებს ვწერ თითქმის ყოველთვის მოვლენათა ცხელ კვალზე და ეგრეთ წოდებული დისტანციის თეორია ჩემთვის სრულიად მიუღებელია. ამიტომაც, არაერთხელ ვიწვნიე სუსხიანი მზერა ძლიერთა ამაქვეყნისათა. კომუნისტური რეჟიმის დროს ჩემ მიერ გამოქვეყნებულ ზოგიერთ პოლიტიკური ხასიათის ნოველაში არაერთხელ უცვნიათ მარტო რუსის სამსახურში ჩამდგარი ქართველი ჩინოვნიკები კი არა, პოლიტბიუროს წევრები და თვით ბრეჟნევიც კი. დაემხო კომუნისტური წყობა, მოვიდა ეროვნული ხელისუფლება, რომელსაც, ბუნებრივია, მივესალმე, როგორც ყველა პატრიოტი ქართველის ნატვრის ახდომას. გავიდა რამდენიმე თვე და თანდათან დავრწმუნდი, რომ ჩემი აღტაცება ნაადრევი იყო. ხელისუფლების სათავეში მოსულიყო

რამდენიმე თავის თავზე შეყვარებული, განდიდების მანიით შეპყრობილი სნობი, რომლებიც თავიანთ მედიდურობას და ყოყლოჩინობას ვერაფრით ვერ მალავდნენ. მაშინ დავწერე ნოველა „დახვრეტამდე 5 წუთი რჩება“ და დიდის ვაინაჩრობით გამოვაქვეყნე გაზეთ „ცხოვრებაში“, რადგანაც სხვა ორგანოებმა კატეგორიული უარი მითხრეს. ნოველა გაფრთხილება გახლდათ მედიდური და ერთმანეთის მოძულე ეროვნული მოძრაობის წარმომადგენლებისა. ამ ნოველის გამოქვეყნებასთან დაკავშირებულ ინტერვიუში (13.07 „ცხოვრება“) რამდენიმე შენიშვნა გამოვთქვი ზვიად გამსახურდიას მისამართით. პრეზიდენტმა და მისმა ელიტამ გალაღებული საქართველოს მესიის მიმართ ეს პირველი მოკრძალებული შენიშვნები არ მაპატიეს და წამოვიდა სალანძღავი წერილების ნიაღვარი, რომელთაგან ერთ-ერთს თვით გამსახურდიას მარჯვენა ხელი, მაშინდელი საქართველოს იდეოლოგიის სარდალი აწერდა ხელს. მთელი სიცოცხლის მანძილზე ჩემი მამხილებლური მწერლური ბუნების გამო ლანძღვა-გინებას მიჩვეული ვარ და ჩემს გალიფრებულ კრიტიკოსს ორი წინადადებით ვუპასუხე: დღეიდან მწერლობას თავს ვანებებ და იქნებ მირჩიოს ქორიძემ, რა საქმეს მოვკიდო ხელი-მეთქი.

იმდროინდელი ხელისუფლების ჩემ მიმართ დამოკიდებულებაში მშვენივრად გამომჟღავნდა „კანონიერი ხელისუფლების“ დამოკიდებულება საერთოდ შემოქმედებითი ინტელიგენციის მიმართ. წავიდა ძველი და მოვიდა ახალი ხელისუფლება. არ დაგიმალავთ, იმედით შევხვდი, თუმცა შევარდნაძის ჩამოსვლის ორი კვირის თავზე მწერალთა კავშირში მისი სტუმრობისას დაუფარავად ვუთხარი, რომ მე, ერთი ქართველი მწერალი, არ ვითანამშრომლებ იმ ხელისუფლებასთან, თუ ისევ სსრკ მოქალაქის პასპორტი მექნება ჯიბეში, თუ საქართველო კვლავ იქცევა „სუფრა-რესპუბლიკად“, გასასვლელ ეზოდ ყველა ჯურის სტუმრისათვის, და თუ რუსეთის მიმართ კვლავ გაგრძელდება კომპრომისული, ნახევრადმონური პოლიტიკა, როგორც ეს იყო კომუნისტური რეჟიმის დროს-მეთქი. არ დაგიმალავთ, ვერც ახალმა ხელისუფლებამ გაამართლა ჩემი იმედები. ერის ჭრილობა ისევ ღიად დარჩა. ასე რომ, ჩემი მწერლური კრედო, რაც კალამს ხელი მოვკიდე, ერთი წუთითაც არ შეცვლილა. თქვენ მეკითხებით, რატომ სდუმხართო. ტრაბახად არ ჩამომართვათ და, ისე, როგორც პირველმა მივუთითე ზვიად გამსახურდიას მის პიროვნულ სისუსტეებზე, ასევე პირველმა დავუწერე დღევადელი საქართველოს ხელისუფლებას, რომ სწორი გზით არ მიჰყავს ქვეყანა. მოგაგონებთ რამდენიმე მაგალითს: „უფრო დიდი ომებიც მოგვიგია“ („თბილისი“, 8.02.93 წ.), „რუსის ახალ აპეურს ნუ შევიბამთ კისერზე“ (გაზ. „ხმა ერისა“ აპრილი, 93 წ.), „ვერ მოვისვენებ“ („ლიტ. საქართველო“, თებერვალი, 93 წ.). ასე რომ, მე როდი ვდუმვარ, პირიქით ხანდახან მეჩვენება ჩემი კრაზანასებური შეუპოვრობით ხალხს თავი ხომ არ მოვაბეზრე-მეთქი. ხოლო ხელისუფლებისათვის თავის არშეყვარების ტენდენცია, როგორც ზემოთ გითხარით, თავიდანვე მახასიათებდა.

ხელისუფლების სტრუქტურებში მწერლის ყოფნაზე კატეგორიულად უარყოფითი შეხედულებისა ვარ, მწერალი ყოველგვარ კარიერულ კონიუნქტურაზე მაღლა უნდა იდგეს. ჯერ კიდევ 20 წლის წინათ მოვუწოდე ჩემს თავს და არაერთგან დავწერე კიდეც, რომ არც ერთ ხელისუფლებას, არც ერთ თანამდებობაზე არ დავთანხმდებოდი. ჩემი ქვეყნის ეროვნული თავისუფლებისათვის ბრძოლაში მე ჩემი კალმით გახლავართ ჩაბმული და არ არსებობს მწერლის თანამდებობაზე უფრო დიდი თანამდებობა. ეროვნული მღელვარების დღეებში ვესწრებოდი მიტინგებს ტელევიზიასთანაც და მთავრობის სასახლის მოედანზეც. დაბნეული როდი გახლავართ. ჩემი პოზიცია მტკიცედ მქონდა გარკვეული, მაგრამ როგორც მწერალს, მაინტერესებდა რა ხდებოდა ჩვენს თავს. როცა ეგრეთწოდებული ხელისუფლება გაიქცა თუ გააქციეს, რამდენიმე ჩემი ოპოზიციონერი ნაცნობი უცებ გამიქრა თვალთაგან... რამდენიმე დღის შემდეგ ისინი სახელმწიფო საბჭოში დავლანდე, რა თქმა უნდა, ტელევიზიით. სახელმწიფო საბჭოდან ისინი პარლამენტში გადაბარგდნენ და თავიანთი უმწიფარი, ნერვიული პოლიტიკური გამოსვლებით ვერც ქვეყანას არგეს რამე და თავი კი არაერთხელ მოიჭრეს. შთაბეჭდილება ისეთი დამრჩა, რომ ზვიად გამსახურდიას წინააღმდეგ ბევრი იბრძოდა არა ქვეყნის უკეთესი მომავლისათვის, არამედ თავისი ამბიციური, კარიერისტული მიზნების დასაკმაყოფილებლად. მე ვიცი ერთი მაფიოზური დაჯგუფება, რომლის წევრებიც, უკლებლივ ყველანი, მშვენივრად ახერხებენ თბილ სკამებზე მოკალათებას პატიაშვილის, გუმბარიძის, ზვიად გამსახურდიას და შევარდნაძის მეორედ მოსვლის დროსაც. მათი უნიკალური ნიჭი ყველა მთავროის „დაბმისა“ შესწავლის ღირსია. გამოგიტყდებით, მრცხვენია ზოგიერთი ჩემი კოლეგის, რომლებიც საქართველოს ისტორიისთვის უსამარცხვინოეს დეკემბრის და იანვრის დღეებში მარტო სიტყვით კი არა, თოფითაც ებრძოდნენ ბუნკერში გამომ-

წყვდეულ ხელისუფლებას. საერთოდ ქართველმა არ უნდა აიღოს თოფი ქართველის წინააღმდეგ, მით უმეტეს მწერალმა, ღმერთმა დაგვიფაროს.

პოლიტიკა ჩემი აზრით, არის სახელმწიფოს უკეთ მოწყობის მეცნიერება, მისი საგარეო და საშინაო პრობლემების ოპტიმალურად გადაწყვეტის ხელოვნება. საზოგადოების მასობრივი პოლიტიზირება, რა თქმა უნდა, თავისთავად არასასიამოვნოა, მაგრამ საშიში სრულიადაც არ არის. ეს იმას ნიშნავს, რომ ხალხი დაინტერესებულია თავისი ქვეყნის ბედით. ჩვენს ცხოვრებაში იყო პერიოდი, როცა საზოგადოების ლამის 99 პროცენტს პოლიტიკა არ აინტერესებდა, გადაცემებს პოლიტიკურ თემაზე არავინ უსმენდა. პოლიტიკურ სტატიებს მხოლოდ პოლიტიკოსები კითხულობდნენ, რადგანაც ხალხის განსასჯელი თითქმის აღარაფერი რჩებოდა პოლიტიკაში. ჩვენ მაგივრად დიდი პარტიული „ბოსები“ აზროვნებდნენ. ახლა ყველანი ვცდილობთ, დიდიც და პატარაც, ერთად დავსახოთ ქვეყნის ხსნის გზა. რაც შეეხება დილეტანტიზმს, ამას თვით ოფიციალური ხელისუფლება უწყობს ხელს. თანამდებობაზე არაპროფესიონალების დასმა ზოგიერთი ჩვენი მსოფლიო პოლიტიკოსის წლების განმავლობაში ნაერთგულევი თვისება გახლავთ. მახსოვს, მწერალთა კავშირის მდივნებად გვიგზავნიდა ცეკა მწერალთა კავშირის არაწევრებს. დღესაც და წინა ხელისუფლების დროსაც დილეტანტიზმი და არაპროფესიონალიზმი არაჩვეულებრივად აყვავდა. ეტყობა, ადამიანი სუსტი არსებაა და უარს არ ამბობს ისეთ საქმეზე, რომლის ინჩიბინჩი არ გაეგება, ხელისუფლების გადაწყვეტილებით, სიამოვნებით თანხმდება მაღალ პოსტს. ხელისუფლების მაღალ ეშელონებში არცკი უფიქრდებიან, ამით რა ცოდვას სჩადიან. ზოგიერთი პირის გაზვიადებულ წარმოდგენას საკუთარ თავზე თაობების ბედი ეწირება. „მე ხომ გენიოსი ვარ, – ფიქრობს ერთმმართველი, ვისაც როგორც მინდა, ისე ავამუშავებ“.

– მოგწონთ ჩვენი პარლამენტი? ამ კითხვას ხშირად უსვამენ სხვადასხვა პიროვნებას ჟურნალისტები და პასუხი თითქმის ყოველთვის ერთნაირია – უარყოფითი. პარლამენტი თავისი სიჭრელის გამო (სხვანაირად იგი პარლამენტიც არ იქნებოდა) ზოგიერთს დაბალ ღობედ მიაჩნია, სინამდვილეში კი, ორიგინალობაში ნუ ჩამომართმევთ, მე ჩვენი პარლამენტი მომწონს. მისი წევრი არაერთი ღრმად განსწავლული და ნათელი მოაზროვნეა. სხვა საკითხია, მისცეს თუ არა ძლიერთ ამა ქვეყნისათა პარლამენტს უფლება იპარლამენტოს.

პარლამენტი, მისი სურვილის საწინააღმდეგოდ, ნელ-ნელა აქციეს სალაყბოდ. თქვენ გახსოვთ, ალბათ, არაერთი სამარცხვინო სხდომა პარლამენტისა, განსაკუთრებით კენჭისყრის პროცედურები, როცა რომელიმე პირის გაშავება უნდათ, ფარულ კენჭისყრას მიმართავენ, როცა გაყვანა სურთ სახელდებით კენჭისყრას გამოაცხადებენ. სახელდებითი კინჭისყრის დროს თითქმის საპირისპირო სურათს ვღებულობთ, რადგანაც ათი თავი არავისა აქვს, ხოლო თუ არც ამ ილეთმა გაჭრა, ხელისუფალნი უცერემონიოდ გამოაცხადებენ – ელექტრომრიცხველი მოიშალა და საკითხი განსახილველად ხვალისათვის გადავდოთო. ასეთ ვითარებაში რა დემოკრატიულ პარლამენტზე შეიძლება ლაპარაკი? არც ის გახლავთ საფუძველმოკლებული, მე ვფიქრობ, რომ თვით პარლამენტის არჩევნებზე დღემდე საეჭვო ხმები დადის. რა მანქანებით მოხვდა პარლამენტში სწორედ ედ. შევარდნაძის თანამებრძოლთა ძველი და ახალი შემადგენლობა? სწორედ ისინი, ვინც სახელმწიფო საბჭოში მიიწვიეს მხოლოდ იმ დამსახურების მიხედვით, ვინ მეტი ქვა ესროლა გამსახურდიას. ხოლო თუ ერთი-ორი „მჩხავანა კატა“ გამორჩათ, მათ თვითონ შეახსენეს თავი დაუპატიჟებელი მისვლით სახელმწიფო საბჭოს სხდომებზე და მერე სახელმწიფო საბჭოს ხელმძღვანელობა იძულებული გახდა დეფაქტო დე იურედ ელიარებინა. ასე რომ, პარლამენტი ზუსტად ისეთივეა, როგორიც საქართველო, ე. ი. სათავეში წმინდაა და თავანკარა, ძაღლის თავი კი სხვაგან არის დამარხული.

ყოველი ერის სასურველი იდეალური ისტორიული გზა, დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისათვის ბრძოლის გზაა. სხვა ყველა გზა, თუნდაც იგი დროებით ეკონომიკური კეთილდღეობის მომტანი იყოს, ისტორიის მიერ უარყოფითად იქნება შეფასებული. ამიტომაც ჟურნალისტებისაგან ესოდენ გაცვეთილი გამოთქმა ტაძრამდე მისასვლელი გზა ქვეყნისა, სხვა არა არის რა, თუ არა დამოუკიდებლობის გზა. თქვენ მოწმე ხართ ფარული ბრძოლისა, პარლამენტში იმ დეპუტატებს, რომელთაც სურთ ქვეყნის ჭეშმარიტი დამოუკიდებლობა, რაც საქართველოდან რუსის ჯარის უპირობო გაყვანით დაგვირგვინდება, და იმ ძალებს შორის, რომლებიც კვლავ იმპერიის ახალ აპეურს აბამენ კისერზე ჩვენს სამშობლოს. მაშინ როდესაც რუსეთმა სამაჩაბლო წაგვართვა და ყოველდღე ბომბავს სოხუმს, ხელისუფლების ზოგი „ბრძენი“ წარმომადგენელი იდგა და ქადაგებდა რუსეთთან სამშვიდობო მეგობრულ ხელშეკრულებას მოვაწეროთ ხელიო. ამ ხელშეკრულების საწინააღმდეგო ვის რა

უნდა ჰქონოდა, რომ თვით ხელშეკრულებაში არ ყოფილიყო რამდენიმე, საქართველოსთვის დამამცირებელი, ეშმაკური, კაბალური პუნქტი. ნუ გავაღიზიანებთ რუსეთსო, ამბობდნენ იმ რუსეთზე, რომელიც ყოველდღე უმოწყალოდ და შეუბრალებლად გვიხოცავდა ქალებს და ბავშვებს. პოლიტიკაში გაღიზიანება-არგაღიზიანება არ არსებობს. როცა სახელმწიფოს ბომბავენ, თუ სახელმწიფომ იძახა: კი არ გვბომბავენ, ციდან მანანა მოცვივაო, იგი შეგუებულია მონობას. ისტორიაში ყველაფრის დაფიქსირებაა საჭირო. ყელგამოწვდილი ბღაოდა ზოგი პარლამენტარი: ვაცნობოთ მსოფლიოს, რომ რუსეთი ხელახლა გვიპყრობსო, მაგრამ პარლამენტის დადგენილება კი არა, პირველი მიმართვა გაეროსადმი მხოლოდ მაშინ იქნა მიღებული, როცა სამაჩაბლო წართმეული და აფხაზეთში ქართველთა გაუგონარი გენოციდი უკვე მომხდარი იყო. განა ყველაფერს არ აკეთებდა ხელისუფლების ზოგი წარმომადგენელი, რომ აფხაზეთში სამამულო ომის კი არა, ლოკალური კონფლიქტის ილუზია შექმნილიყო საქართველოში? განა იმას არ ემსახურებოდა იდეოლოგიური საშუალებების ძალისხმევა, რომ ყურადღება გადაეტანათ მეორეხარისხოვან პრობლემებზე, რათა მთავარზე, მოსალოდნელ ეროვნულ კატასტროფაზე არ ეფიქრა ქართველ კაცს? მაშ, საიდან მოვიდა ამ გაგანია ომის დროს ამდენი შოუკონცერტი და სიცილ-ხარხარის საღამო, რატომ არ გამოაცხადა ხელისუფლებამ საყოველთაო მობილიზაცია, რატომ არ ჩათვალა თავი მოვალედ გამუდმებით, ერთიმეორეზე მიყოლებიათ გაეშვა SOS-ის სიგნალები: არიქა, გვიშველეთ, რუსეთმა ჩვენი მესამედ დაპყრობა განიზრახაო? რაკი ეროვნული მოძრაობის წარმომადგენლებმა ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკის კვალზე საქართველოს სვლის უფლება არ მისცეს ხელისუფლების ზოგიერთ რუსოფილ აქტივისტებს, ისინი დაადგნენ საქართველოს ნელ-ნელა დაჩოქების, დათრუგნვის პოლიტიკას, რასაც ნაწილობრივ მიაღწიეს კიდეც. ჩვენ თითქმის დავმარცხდით სამამულო ომში, ამიტომაც საქართველოს ხელისუფლებაში ასე მოდაშია დღეს წარუმატებლობის ერთმანეთზე გადაბრალების პოლიტიკა. პარლამენტი სახელმწიფოს მეთაურს და თავდაცვის სამინისტროს აბრალებს, თავდაცვის სამინისტრო – პარლამენტს და ა. შ. წარმატების შემთხვევაში ყველანი ცალ-ცალკე მიიწერდნენ გამარჯვებას, წაფორხილებას კი ერთმანეთს ოსტატურად გადააბრალებენ ხოლმე. ასე რომ, ჩემი ღრმა რწმენით, საქართველოს ხელისუფლების დღევანდელ კურსს სერიოზული კორექტივები ესაჭიროება.

სავალალო ის გახლავთ, რომ, მგონი ქვეყნის შველის ზუსტი რეცეპტი დღეს არავის გააჩნია. ეს უძნელესი საქმეა. მოგეხსენებათ, წიწილებს შემოდგომაზე ითვლიან, უკვე დგება შემოდგომა და ვნახოთ... სწორი კურსი, ალბათ, ზვიადიზმსა და შევარდნაძიზმს შორის სადღაც შუაში უნდა ვეძებოთ. ვფიქრობ, ზვიადის პრეზიდენტად დაბრუნება საქართველოში ახალ სისხლისღვრას გამოიწვევს, რადგანაც შევარდნაძის მომხრენი ნებისმიერ შემთხვევაში დარჩებიან საქართველოში. ზვიადიზმი, როგორც საქართველოს დამოუკიდებლობის იდეა, პრინციპულად სწორ იდეად მიმაჩნია, რომ არა თვით გამსახურდიას ოდიოზური ხასიათი. შევარდნაძე გამოცდილი პოლიტიკოსი გახლავთ, მაგრამ მას გაუჭირდება ქართველთა გაერთიანება. რაც შეეხება სამომავლო გზას, საქართველომ უფრო გაბედულად უნდა აიღოს კურსი დასავლეთისაკენ, ხოლო თავის უახლოეს მომიჯნავე ქვეყნებთან დაამყაროს კეთილმეზობლური სამშვიდობო ურთიერთობა.

ადამიანს ყოველგვარი სისუსტე უნდა აპატიო. კაცის მოკვლისა და სამშობლოს შეგნებულად გაყიდვის გარდა. საშინელებაა შეხედულებათა გამო ადამიანთა დევნა-გაქიაქება. როცა პიროვნების კომპრომეტირება უნდათ, მის ადრინდელ ფრაზებს ააფრიალებენ: შენ არ იყავი, ამ დროს ამას, ამას და ამას რომ ამბობდიო?! პიროვნება იცვლება, იზრდება და მას ევოლუციის უფლება უნდა მივცეთ. ჩემ თავს არაერთ სისუსტეს ვატყობ, მაგრამ ისეთს არც ერთს, რომ დანაშაულებრივ სისუსტედ მივიჩნიოთ. „ნუ განიკითხავთ, რათა არ განიკითხნეთ“ – ჩემთვის უმაღლესი ზნეობრივი სიბრძნეა. მაგ. შეხედულებათა ცვალებადობისაგან რევაზ მიშველაძე-პუბლიცისტი დაზღვეული არ არის. მაგრამ რევაზ მიშველაძე-ნოველისტი დღესაც სიამოვნებით მოაწერდა ხელს ამ 30 წლის განმავლობაში გამოქვეყნებულ ყველა თავის ნოველას. ჩემი ზოგიერთი კოლეგისაგან განსხვავებით, მე არც ერთი ჩემი სტრიქონისა არ მრცხვენია. რაც შეეხება პოლიტიკურ წინათგრძნობას ან პუბლიცისტურ ფრაზას, ბევრჯერ შევმცდარვარ, მაგ., „საქართველოს რესპ-ში“ 1991 წელს გამოქვეყნებულ ინტერვიუში მთელი სერიოზულობით ვამტკიცებდი, ვერ გამიგია, რატომ ჰგონია ზოგიერთ ხელისუფალს, რომ შევარდნაძე იმპერიაში თავისი დიდი პოლიტიკური გზის გავლის შემდეგ საქართველოში ჩამოვა და მეორე წრეს დაურტყამს სახელმწიფოებრივ ასპარეზზე ამ ხანდაზმულობის ასაკში-მეთქი. თურმე ღრმად ვცდებოდი. რაც შეეხება მიმტევებლობას, ქართველი ვარ და ჩემს

ერს ვურჩევ, სულგრძელად აპატიოს თავის არაერთ ძე შეცდომილს ნებსით თუ უნებლიეთ ჩადენილი დანაშაული. გუნებაში, თუ პროზაიკოსის ფანტაზიას მაპატიებთ, ხანდახან იმაზეც კი ვფიქრობ, რომ ერთ მშვენიერ, დაწყნარებულ საღამოს ვაკის პარკში შემხვდებიან, უკვე პენსიონერი, ერთმანეთის დაუძინებელი პოლიტიკური მტრები – შევარდნაძე და გამსახურდია. ერთი ძველებურად ღიმილიანი და მოქილიკე იქნება, მეორე – ძველებურად პირქუში და კატეგორიული, მაგრამ არც ერთ მათგანს აღარ ექნება გულში იმ ბოღმის ნატამალი, რომელსაც საქართველოს ამ ორმა სახელგანთქმულმა შვილმა ლამის სამშობლო გადააყოლეს.

ჩემი სამწერლო გზა დაიწყო კომუნისტური რეჟიმის პირობებში, მაშინ ჩვენ ყველანი ლიტერატურული მებრძოლები ვიყავით, მოჩვენებითი მშვიდობის დროს არენაზე გამოსულ გლადიატორებს ვგავდით. ახალ წიგნს რომ გამოვცემდით, პირველ რიგში იმ ადგილებს ვუჩვენებდით ერთმანეთს, რაც ცენზურას გავაპარეთ და მკითხველიც მშვენივრად გვიგებდა და მოგვყვებოდა. როგორც შევატყვე, ჭეშმარიტ ლიტერატურას ოფიციალურ ხელისუფლებასთან დრამატული შერკინებაც ბადებს. ახლა მეორე უკიდურესობაში გადავვარდით. ყველაფრის თქმა შეიძლება მაგრამ მწერლობამ დაკარგა ის ხიბლი და ინტერესი, რაც ადრე ჰქონდა.

ვისღა დავუმალო, მწერლები ძველებურად პოპულარულნი აღარა ვართ. თანაც გვეუბნებიან, რაც გინდა წერე და ბეჭდეო, მაგრამ ქაღალდს და სტამბას არ გვაძლევენ და ხანდახან მეჩვენება, რომ ხელისუფლება მწერლობას ახლა ამ ფორმით ებრძვის. თუ ჩვენ დროზე არ მივაწოდეთ ჩვენი ნაწერი ერს, ბუნებრივია, იგი აქტუალობას და სინედლეს დაკარგავს. აი, ასეთი დილემის წინაშე აღმოვჩნდით დღეს მწერლები. მწერალთა კავშირის ხელმძღვანელობა ცდილობს მწერალს შრომა გაუადვილოს და მისი ეკონომიკური დახმარების გზები მოძებნოს. ახერხებს კიდეც ამას, თუმცა დიდი ჭაპანწყვეტით. ჩვენ, მწერლები, უპრეტენზიო ხალხი ვართ. როგორც ერი ითმენს, ჩვენც მოვითმენთ შიმშილს და სიცივეს, ოღონდ ერს ეშველოს, ოღონდ მოვესწროთ ჭეშმარიტად თავისუფალ და დემოკრატიულ საქართველოს. წავიდა ის დრო, როცა მწერლობა ხელისუფლების ერთგული თანაშემწე იყო. წავიდა კარის პოეტობის დრო. აღარასოდეს იქნებიან საქართველოში ერთი მწერლური მეთოდის და ერთი „იზმის“ მოერთგულე ლიტერატორები. ერთიანი მაგისტრალიდან ჩვენ-ჩვენ შუკებში ჩამოვუხვიეთ, და ეს შემოქმედებითი ბედნიერების დასაწყისი გახლავთ. ერიც და ბერიც უნდა აფასებდეს მწერალს იმის მიხედვით, თუ რა ახალი შეიტანა მან საუკუნის აზროვნებაში და არა იმის მიხედვით, თუ რომელი პოლიტიკოსის და ოფიციალური პირის გვერდით დგას იგი. პოლიტიკოსები წავლენ და წამოვლენ. მწერალი – რჩება. პოლიტიკოსების სახელი უმეტეს შემთხვევაში ქრება ხალხის მეხსიერებიდან და დროის ქარბორბალას მიჰყვება, მწერალი კი საუკუნეებს ელაპარაკება და მისი წმიდათაწმინდა ვალია არ დაამადლოს ფიქრი თავის სამშობლოს, მომავალს შემოუნახოს ეპოქის უტყუარი სურათები. ასე რომ, მწერალს იგივე ფუნქცია აქვს დღეს, რაც ჰქონდა ჰომეროსის და რუსთაველის დროს.

1993 წ.

ქართული სულის გალამაზება

სხვადასხვა დროს არაერთ ლიტერატურულ ჟანრში მიცდია კალამი, მაგრამ ამ ბოლო დროს დავრწმუნდი, რომ ჩემი მთავარი საქმე ნოველაა. ნოველა კომპაქტურობით, ლაკონიზმით და მოქნილობით მეტ საშუალებას მაძლევს მკითხველს დროულად, ოპერატიულად ვუთხრა ჩემი სათქმელი. რაც შეეხება კინოს, როგორც ჩანს, აქ მარტო მწერლის ენთუზიაზმი საკმარისი არ არის. ორიოდე სცენარი დავწერე; იმ სცენარების მიხედვით გადაიღეს კიდეც ორიოდე საშუალო დონის ფილმი, მაგრამ დღემდე ამაოდ ველოდებოდი ჩემს რეჟისორს, ისეთს, როგორიც რეზო ჭეიშვილს გამოუჩნდა ელდარ შენგელაიას სახით.

ჩემი ოპერატიულობა, ალბათ, ნოველის ჟანრმა და ჩემმა ხასიათმა განაპირობა. როცა სხვები დიდსულოვნად დუმილს არჩევენ, მე მოედანზე გამოსვლის და საქვეყნო საქმეზე ჩემი აზრის საქვეყნოდ გამოთქმის სურვილი მიჩნდება. ხშირად ოფიციალურ წრეებს არ მოსწონთ ჩემი „ლიტერატურული სითამამე“, მაგრამ მე სხვანაირად არ ძალმიძს. შეიძლება ვიბრალებდე ერის მესიტყვეობას, მაგრამ სულ მგონია, რომ ყოველ საბედისწერო ისტორიულ მოსახვევზე (და ასეთი მოსახვევებით სავსეა ჩვენი ცხოვრება) ხალხი ჩემს სიტყვას ელოდება. ვფიქრობ, მწერალს გაჩუმების უფლება არ აქვს ჩვენს დროში. ასე მგონია, გაივლის წლები და დუმილი დანაშაულად

ჩამეთვლება. „განაჩენში“ ლამის რეპორტაჟული ნოველებიც შევიტანე. დაკვირვებული მკითხველი დოკუმენტური სიზუსტით იცნობს მასში ჩვენი დღეების სურათებს.

ის, რასაც მწერლურ ოპოზიციონერობას უწოდებენ, ჩემთვის მხოლოდ სიმართლის თქმის სურვილია და სხვა არაფერი. ამაზრზენია მწერლისთვის ხელისუფლების მეხოტბის მანტია; მეხოტბისა მკითხველს არასოდეს სჯერა, როგორ შეიძლება მწერალი თანამდებობის პირებთან ვასალურ ან რაც უფრო გულისამრევია, მეტაშე-კლაკიორის ურთიერთობაში იყოს. ჩემს ფუნქციად ხელისუფლების კრიტიკა მიმაჩნია, ოღონდ ვცდილობ ეს კრიტიკა ყოველთვის კეთილმოსურნის პოზიციიდან იყოს ნათქვამი.

მე ხბოს აღტაცებით არც ერთი ხელისუფლება არ მყვარებია და არც მტრად გავხდომივარ რომელიმე ხელისუფლებას. მტრობა მწერლის საქმე არ არის. მწერლის საქმე სიყვარულია.

ამ ოთარაანთქვრივულ პირში მთქმელობის გამო აკი ხშირად უსამართლოდ მაკრიტიკებენ ზევიდან, ქვევიდან და გვერდიდანაც.

მკითხველს არ უყვარს ხელისუფლებასთან შეამხანაგებული, ამალაში მყოფი მწერალი. კრიტიკა კი ხშირად ჩემი, როგორც მწერლის სასარგებლოდაც მოქმედებდა. მოგეხსენებათ, ხალხი ყოველთვის დაჩაგრულის მხარეზეა.

ახლახან ჟურნალი „ღიმილი“ დავაარსე.

„ღიმილი“ ჩვეულებრივი სქელტანიანი ლიტერატურული ჟურნალია, როგორც „მნათობი“, „ცისკარი“ ან „განთიადი“. თანაც მას ოდნავ განსხვავებული პროფილი აქვს. ძირითადად ირონიულ, მკვეთრად პუბლიცისტურ ნაწარმოებებს ვბეჭდავთ. ჟურნალი შარშანწინ (1991 წ.) იმიტომ დავაარსე, რომ ვგრძნობდი ჩემს ლიტერატურულ პერიოდიკაში მისი ადგილი ათეული წლების განმავლობაში ცარიელი იყო, არადა, მკითხველი ღიმილიან-ირონიულ ლიტერატურას ძალიან ეტანება. ჩემს ჟურნალს დაარსებისთანავე მხარში ამოუდგნენ მაღალნიჭიერი ქართველი მწერლები. ხუმრობაგაშვებით ერთსაც გეტყვით, რაკი „ღიმილი“ ლიტერატურული ასოციაციის ჟურნალია, ხელისუფლებამ ბევრიც რომ მოინდომოს ვერ მომხსნის მისი რედაქტორობიდან, რისი მწარე გამოცდილებაც მაქვს: „ობიექტურმა“ და „დიდბუნებოვანმა“, „ერის მებაირახტრემ“ მუხრან მაჭავარიანმა მთავრობის (რომელსაც თვალებში შესციცინებდა) დავალებით უყოყმანოდ, შესაშური ოპერატიულობით, მომხსნა ჟურნალ „კრიტიკის“ მთავარი რედაქტორის თანამდებობიდან.

ეს ისე, სხვათაშორის... საერთოდ კი, ვერც საკუთარი თავით და ვერც თავისი შემოქმედებით ჭეშმარიტი მწერალი კმაყოფილი ვერასოდეს ვერ იქნება. თვითკმაყოფილებიდან ერთი ნაბიჯია განდიდების მანიამდე, რითაც კარგა ხანია დაავადდა ზოგი ჩვენი საერთო ნაცნობი. თვითკმაყოფილებამ კისრის გაჩიკინება იცის და კისერ გაშეშებული, თავის პერსონაზე შეყვარებული კაცი ერის მსახური ვერასოდეს იქნება.

ამასწინათ, როგორც საქართველოს კულტურულ საერთაშორისო ასოციაციის პრეზიდიუმის წევრი საქართველოში თურქეთის ელჩმა, ბატონმა თიმოჩინ არბაქმა, საელჩოში მიმიწვია, კულტურის საერთაშორისო ასოციაციის პრეზიდენტთან ერთად.

თურქეთის ელჩთან ვიზიტი უშუალოდ გახლდათ დაკავშირებული კულტურის საერთაშორისო ასოციაციის და საზოგადოება „თვისტომის“ ყოველდღიურ საქმიანობასთან. მოგეხსენებათ, თურქეთში 7 მილიონი ქართველი ცხოვრობს, ე. ი. უფრო მეტი, ვინემ საქართველოში. ისინი უაღრესად ღირსეული, პატრიოტი, საერთოდ ქართული შეგნების მოქალაქენი არიან. არ შეიძლება დედა-საქართველომ თურქეთში მცხოვრებ ქართველებთან მჭიდრო ეროვნული კულტურული ურთიერთობა არ გააბას. კომუნისტური რეჟიმის 70 წლის განმავლობაში ჩვენსა და თურქეთის საქართველოს შორის ჩინური კედელი იყო აღმართული. ახლა, როდესაც უნდობლობის ყინული გალღვა, ჩვენ უნდა შევკრათ ის ტივი, რომელიც ორივე ნაპირს გააერთიანებს. თურქეთის ელჩს შევუთანხმდით, რომ პერიოდულად გავცვლით კულტურის მუშაკთა დელეგაციებს. თურქეთში მცხოვრებ ქართველებს ჩავუტანთ დედაენასა და სხვა ქართულ წიგნებს. ტაო-კლარჯეთში მოვაწყობთ ქართველ მხატვართა გამოფენებს და ჩავატარებთ ლექციებს საქართველოს ისტორიისა და ქართული კულტურის საკითხებზე.

დღევანდელ საქართველოს ეკონომიკურ-პოლიტიკური კრიზისი გარდა ჩვენი ხელისუფლების უნიათო, მოუქნელი პოლიტიკისა, ისტორიული ვითარების ბრალიც არის. მე ვფიქრობ, უფრო განსწავლული, პოლიტიკასა და ეკონომიკაში უფრო გარკვეული ხელისუფლებაც რომ გვყოლოდა, კრიზისი მაინც გარდუვალი იყო. ჩასაძირივად განწირული რუსეთის იმპერიის კრეისერი და კაპიტალისტური სამყაროს მშვენიერი, ჟანგგამძლე ხომალდი ერთმანეთს შორდებიან. საქართველო, როგორც პატარა უიალქნო ნავი, ისე დაცურავს მათ შორის. შეიძლება მოხდეს, რომ იგი იმპერიის

დამპალ კრეისერს გამოაბან და მასთან ერთად ჩაიძიროს. და ეს ყველაფერი ხელისუფლების ისტორიული დანაშაული იქნება. რაკი მე საქართველოს ჩაძირვა არ მსურს, ბუნებრივია, არ მინდა დღევანდელი ხელისუფლების დამარცხებაც, თუმცა პირდაპირ უნდა გითხრათ მას დიდ სიკეთეებს ვერ ვატყობ, გაოცებული ვარ ჩვენი „ბრძენი“, „შეუმცდარი“ პოლიტიკოსების დილეტანტიზმით და მათი ყოველდღიური შეცდომებით. დღეს 24 ივნისია. უმოწყალოდ დაბომბეს სოხუმი, ჩვენმა ბეცმა პარლამენტმა წერილი მისწერა გაეროს და ელცინს: აფხაზი სეპარატისტები სოხუმის დაბომბვას განაგრძობენო. იმის მაგივრად, რომ გაეროსთვის მიეწერათ, ელცინი გვბომბავსო, თვით ელცინს ამცნეს და საქართველოს უპირველეს მტერს შემწეობა სთხოვეს. ხომ გაუკვირდება გაეროს ჩვენი პარლამენტის მიამიტობა, სანამ შეიძლება ნამუსი შევუნახოთ რუსეთის იმპერიას. ნაცარტუტად იქცა სოხუმი. ვინ აგებს პასუხს ისტორიის წინაშე ფერფლად ქცეული ამ მშვენიერი ქალაქისათვის?

ამ ბოლო დროს, სამწუხაროდ, ჩვენი ეკონომიკურ-მორალური სიძნელეების გამო ეროვნული თვითკრიტიკის ჯოხი მეორე უკიდურობისკენ გადაიხარა. ხშირად გაიგონებთ: ეს რა ღირსებადაცემული, ზარმაცი და გაუტანელი ერი ვყოფილვართო...

კატეგორიულად არ ვეთანხმები ამგვარ თვითგვემას. საქართველოს არ სჭირდება თავის ერზე გაბრაზებული ნიჰილისტი მწერალი, მეცნიერი და ჟურნალისტი. ვერ ვიტან ერის მაგინებელ, „მაღალკულტურულ“ „ელიტარულ“ ინტელიგენციას. არ შეიძლება რუსთაველისა და ილია ჭავჭავაძის დამბადებელი ერი, თუნდაც დღეს, ვიღაც-ვიღაცების ხელწამოსაკრავი და გასალანძღავი ერი იყოს. ქართველები, მართლაც რომ, უნიკალური ხალხი ვართ. სწორედ ახლა სჭირდება მიზეზთა გამო შეჭირვებულ ჩვენს ხალხს მწერალმა საკუთარი ღირსების გრძნობა განუმტკიცოს და მომავლისკენ იმედიანად გაახედოს. მტრისას თავის ეროვნულ ღირსებებზე ხელჩაქნეული ქართველი. ჩვენ ქართველის სულის გალამაზებაგაკეთილშობილებაზე ისევე უნდა ვიზრუნოთ, როგორც ილია და აკაკი ზრუნავდნენ.

მე თვითონ კულტურის გადამრჩენი კომიტეტის წევრიც გახლავართ. ორიოდეჯერ შეგვკრიბეს, ზოგადი გულისამაჩუყებელი სიტყვები მოგვასმენინეს კულტურის გადარჩენის საჭიროებაზე და მეტი აღარ შევუწუხებივართ. ახლა, როცა ომია, ხელისუფლება კრიზისს განიცდის და ლამის თონეში აქვს თავი ჩაყოფილი, ვერც გაამტყუნებ, რომ კულტურის გადარჩენისთვის არავის ცხელა. კულტურის გადარჩენისთვის ბრძოლა სულაც არ ნიშნავს მორიგი სპექტაკლის შემდეგ ხელისუფლების აღტაცებული წარმომადგენლების შესვლას კულისებში და შიმშილით თვალებამოღამებული მსახიობებისთვის ხელის ჩამორთმევას. თუმცა ზვიად გამსახურდიას ხელისუფლებასთან შედარებით ეს უმნიშვნელო, მაგრამ, მაინც წინ გადადგმული ნაბიჯია. ზვიად გამსახურდიას და მისი კოჰორტისთვის ქუდიც რომ შეგეგდოთ, მაინც თეატრში და კინოში ვერ შეიყვანდი. მხატვრის გამოფენის დათვალიერებაზე ხომ ლაპარაკი ზედმეტი იყო.

ახლაც ასეა. ვწერ ნოველებს ყოველდღიურობაზე, მაგრამ რაც შეეხება ბეჭდვასა და გამოცემას, გამოქვეყნება ასე ძნელი არასოდეს ყოფილა. ქაღალდი არ არის, სტამბის ხარჯები უსაშველოდ გაიზარდა. არ დაიჯერებთ, ამ ბოლო დროს სამი წიგნი გამოვეცი და ჰონორარი არც ერთი კაპიკი არ ამიღია. წიგნის გაყიდვით შემოსული თანხა ქაღალდისა და სტამბის ხარჯებს ძლივს ეყო. მწერლები, სპონსორების ხელში შემყურე, მათხოვრებად გვაქცია დღევანდელმა ხელისუფლებამ. არ ვიცი, სანამ გაგრძელდება ასე. ჩემი პროფესორული ხელფასით ორ კილოგრამ ხორცსაც ვერ ვყიდულობ. არ ვიცი რითი ახერხებენ სხვები ოჯახის რჩენას. სიტყვას მოჰყვა, თორემ ჩემი გაჭირვება რა მოსატანია, როცა ქვეყანა შიმშილობს. ამ ტოტალურ გაჭირვების ჟამს მწერალიც ისევე უნდა ცხოვრობდეს, როგორც მისი ხალხი ცხოვრობს. შიმშილს როგორმე გავუძლებთ, მაგრამ სიმწრით მოპოვებული დამოუკიდებლობის დაკარგვას ვერა. ასევე ფიქრობს საღად მოაზროვნე ქართველი ხალხი. ეს კარგად უნდა იცოდეს იმან, ვინც შიმშილისაგან ილაჯგაწყვეტილ ჩემს ხალხს იმპერიის შავბნელი წიაღისაკენ ექაჩება.

1 ივლისი, 1993 წ.

„ორივე მხარეს ჩემი სისხლი და ხორცია!“

დღეს საქართველოს მთავარი საზრუნავია, როგორ უნდა გამოვიდეს იგი არსებული პოლიტიკურ-ეკონომიკური კრიზისიდან, რათა გახდეს ჭეშმარიტად დამოუკიდებელი, თავისუფალი, ერთიანი და ძლიერი ქვეყანა, როგორ უნდა დავიხსნათ თავი რუსეთის კლანჭებიდან ისე, რომ შევინარჩუნოთ ჩვენი საზღვრები და უფლებები მთელ ქართულ ტერიტორიაზე.

კრიზისიდან რომ გამოვიდეს, მთელმა საქართველომ უნდა ისურვოს კრიზისიდან გამოსვლა. ქვეყანამ რომ ერთიანად რაიმე ისურვოს, იგი ერთიანი, მთლიანი უნდა იყოს. პოლიტიკური ცხოვრების იმ წესით, ჩვენ რომ ახლა ვცხოვრობთ, საქართველო ვერ გაერთიანდება. „ზვიადისტებსა“ და „შევარდნაძისტებს“ შორის ახლა სიძულვილი დგას და უფსკრულიც ამიტომ უფრო და უფრო ღრმავდება. საქართველოს სიძულვილი ვერ გააერთიანებს, საქართველო სიყვარულმა უნდა გააერთიანოს. შევარდნაძის ხელისუფლება თუ დაემხობა, დამშვიდდება საქართველო? არამც და არამც. მე ვიცი, შევარდნაძის რეიტინგი საქართველოში დღეს დღითი დღე დაბლა იწევს (ცნობილ დამარცხებათა გამო), მაგრამ ისე დაბლა არასდროს დაიწევს, ათი პროცენტი მაინც რომ არ დარჩეს შევარდნაძის მომხრე. მერე და ის ათი პროცენტი გაჩერდება? ხომ ისევ დაიწყება პოლიტიკური „ძიძგი-ძიძგი მამალო“ (სხვათა შორის ამ სახელწოდების ნოველა მაქვს დაწერილი, ტელევიზიიდან ნაწყვეტიც წავიკითხე, მაგრამ დღემდე ვერ მოვახერხე დაბეჭდვა, რედაქტორებს როგორც ზვიადის დროს ეშინოდათ, ახლაც ისე ეშინიათ, რ. მ.), ამიტომაც მხარს ვუჭერ იმ იდეას, რომ რაც შეიძლება მალე დასხდნენ პარლამენტში ერთმანეთის გვერდით „ზვიადისტები“ და „შევარდნაძისტები“.

ჩვენ ამ ბოლო დროს ომი მიგვავიწყდა (ხანდახან მგონია, რომ ამას – ყურადღების სხვაგან გადატანას სახელმწიფო სპეციალურად აკეთებს) და შიდაპოლიტიკურ ბატალიებში ჩავერთეთ. ზოგიერთი პოლიტპატრიოტის გამაფრთხილებელ ზარებს: „ქვეყანა იღუპება, ომს ვაგებთ, ხალხი დაიმშა, იპოვოს ხელისუფლებამ ჩიხიდან გამოსვლის გზები, ანდა გადადგესო, შეშფოთებულ გააზნაურებულთა უსიამო წკავწკავი ხვდება. გაოგნებული ვარ, როგორ ეხვეწება შევარდნაძეს ზოგი ჩემი კოლეგაც კი (მაშინ როცა მწერალი სათნოების და მიტევების მქადაგებლად უნდა გვევლინებოდეს) გამკაცრდი, დასაჯე, დაერიე ოპოზიციას, ნუ ხარ ასე გულჩვილიო. შევარდნაძეს ჰყოფნის სიბრძნე, არ აჰყვეს ამ უგუნურ რჩევებს. მან კარგად იცის, რომ პირველსავე ფართომასშტაბიან „გამარჯვებას“ მისი ხელისუფლების დამხობა მოჰყვება. გაიხსენეთ, ზუსტად გულჩვილობას უწუნებდნენ ზვიადს მისი მრჩევლები და აიძულეს კიდეც 2 სექტემბრის მიტინგისთვის პრეზიდენტს ომონი მიესია, შედეგი?

მეორე არანაკლები კურიოზი ხდება დღეს: იმათ, ვინც მთელი სიცოცხლის მანძილზე იმპერიას ებრძოდა და ახლაც ხმისჩახლეჩით

ჰყვირის – არ გვეშველება, სანამ რუსის ჯარის გაყვანის მტკიცე გრაფიკს არ დავაწესებთ, სანამ იმპერიის მუცელში დარჩენის სურვილს არ ამოიღებთ გულიდანო, ზოგიერთი ჭკუასუსტი იდეოლოგი რუსეთის აგენტს ეძახის. უფრო სასაცილო რამის მოფიქრება შეიძლება? თუმცა ეს სასაცილო სრულიადაც არ არის, ცნობილი დემაგოგიური სვლაა – იმის აგენტად გამოგაცხადონ, რასაც ებრძვი. იქამდე მივიდა მათი თავხედობა, რომ ექსპრეზიდენტს დააბრალეს ზუგდიდში რუსის ორასი ჯარისკაცის შეყვანა. თუმცა ეს სისულელე მეორე დღესვე უარყვეს, რადგანაც ასეთი „სიმართლე“ (ისე დაუმშვენდა ცხვირი ამის მომჩმახავს) რუსეთს არ მოეწონა. არ გენიშნათ აგენტების და მტრების ძიების დღევანდელი პრაქტიკა ჩვენი ახლო წარსულიდან? მაშ, რა განსხვავებაა ახალსა და ძველ ხელისუფლებას შორის? მე მგონი ბევრი არაფერი იმის გარდა, რომ ძველმა არაკანონიერი ავტონომიური ჯოჯო ვაუკაცურად გააუქმა და მსოფლიოს გაბედულად განუცხადა, რომ რუსეთის იმპერიის უღელს აღარასოდეს დაიდგამდა.

არარსებულ მტრებს ზოგი პოლიტიკოსი დღეს ამ სფეროშიც ეძებს. თითქოსდა ვინმე ისეთი ბრიყვი იყოს, დღეს საქართველოში, რუსეთთან ყოველგვარი კავშირის გაწყვეტას ქადაგებდეს. ჭკუათმყოფელი ამას როგორ იტყვის. მთელ საქართველოს სურს რუსეთთან დავდოთ ისეთივე ხელშეკრულება, როგორც დავდეთ ჩინეთთან, ირანთან, აზერბაიჯანთან, სომხეთთან, თურქეთთან, უკრაინასთან... არც მეტი, არც ნაკლები, ვინ არის რუსეთთან სავაჭრო, ეკონომიკური, მეცნიერული, კულტურული ურთიერთობის წინააღმდეგი. რატომ დაეძებს ზოგი პოლიტიკოსი კატას ბნელ ოთახში, როცა კატა იქ კარგა ხანია აღარ არის? ნუთუ ასე ძნელი გასაგებია, რომ საქართველოს სურს თავისუფლება, დამოუკიდებლობა და არ სურს რუსეთის ვასალი იყოს? რომ ყოველი კომპრომისული ხელშეკრულება (გეორგიევსკის ტრაქტატი მოიგონეთ) ხელახლა საქართველოს დასამონებლად იქნება გამოყენებული?

გზა? კრიზისიდან გამოსვლის, ანუ საქართველოს გადარჩენის ერთადერთი გზა არსებობს. ვიმოქმედოთ ჩვენს უპირველეს მტერზე, რუსეთზე, ორი საშუალებით: I – ჩვენი სიჯიუტით და მოთმინებით (ორჭოფობა არ უნდა შეგვეტყოს, უნდა ვაგრძნობინოთ რომ გავწყდებით და აღარ დავემონებით) და II – საერთაშოისო არხებით. ჩვენი დესპანები ნიადაგ უნდა ტრიალებდნენ მსოფლიოს ზესახელმწიფოების კარზე თხოვნით – „დაგვიხსენით რუსეთის

კლანჭებიდან“. თანაც ეს უნდა ვაკეთოთ ფრთხილი, ჭკვიანური პოლიტიკით. რუსეთისათვის ენის გამოყოფა და მასთან გაცხარება არას გვარგებს. გამოვიყენოთ გერმანია-ბალტიისპირეთის გამოცდილება და რუსეთს შეძლებისდაგვარად მოკლე დროში – მაქსიმუმ ორ წელიწადში გამოვერიდოთ ისე, რომ მასთან სამხედრო-პოლიტიკურ-ადმინისტრაციულის გარდა სხვა ყოველგვარი კავშირურთიერთობა შევინარჩუნოთ. ამას შევარდნაძე ურიგოდ როდი ცდილობს, მაგრამ მის პოლიტიკას რუსეთისადმი ზედმეტი ნდობის და აქედან გამომდინარე გაუმართლებელი კომპრომისების კვალი ეტყობა.

მთელ საქართველოს აღელვებს აფხაზეთის საკითხი. გაგრა-ლესელიძე მტერს ისე ჩაბარდა, რომ მიზეზი და დამნაშავენი დღემდე არ გარკვეულა. მიუხედავად მრავალგზის შეთანხმებისა, სოხუმი კვლავ იბომბება. გუმისთასთან გავლებულ საზღვარს თითქოს შევეგუეთ კიდეც. წინ წასვლაზე და გაგრა-ლესელიძის განთავისუფლებაზე სიტყვაც არავის წამოსცდება, პირიქით, თბილისის დაბომბვით გვაშინებენ.

ჩვენთვის ამ ფრიად პარადოქსულ საუკუნეში საქართველომ თავისი ტერიტორიის თითქმის ნახევარი დაკარგა. კომუნისტურმა ტირანიამ ლამის დაგვავიწყა წართმეული მიწა-წყლის (ტაო-კლარჯეთი, ლორე, სოჩა, საინგილო) დაბრუნებაზე ფიქრი. ახლა კი, რაც დრო გადის, ეს ტერიტორიები უფრო და უფრო შორეული ხდება ჩვენთვის.

ვაფრთხილებ მთელს საქართველოს! თუ ერთი წელი კიდევ გავძელით უსამაჩაბლოდ, უგაგროდ, ულესელიძოდ და უგანთიადოდ, ჩვენ ამ მიწებს ვეღარასოდეს დავიბრუნებთ. მტრის მიერ ოკუპირებულ ტერიტორიებზე ისეთი პროცესები ვითარდება (ქართველთა გენოციდი, უცხოტომელთა დასახლება), რომ ჩვენს ეროვნულ ტერიტორიებს მალე ვეღარ ვიცნობთ. ამიტომ გაუმართლებლად მიმაჩნია ამ თემაზე დელიკატური წაყრუება რუსეთთან გამართული საუბრების დროს. პირიქით, ჩვენ დღედაღამ მსოფლიოს გასაგონად უნდა გავყვიროდეთ, რომ დაუყოვნებლივ უნდა დაგვიბრუნოს რუსეთმა წართმეული ტერიტორიები.

გაგრის დაკარგვის მიზეზს გაგრის ერთ მუჭა ბედკრულ დამცველთა შორის ამაოდ ვეძებთ. მთავარი დამნაშავე 3 სექტესბრის შეთანხმებაა. რუსეთმა ვერაგულად მოგვატყუა, ჩვენს გამოცდილ პოლიტიკოსებს ამ ხელშეკრულებით ყურადღება მოუდუნა და მტრებს გაამარჯვებინა. მერე კი წამოვიდა ქართული ტრაბახის

ნიაღვარი – ახალ წელს ბიჭვინთაში ვიზეიმებთო. მაგრამ ამ პოლიტიკურ მონაჭორ-ბაქიობას საფუძველი არ გააჩნდა.

გაეროს სამშვიდობო ძალების შემოსვლა და დასავლეთის მიერ რუსთის მიმართ გატარებული სანქციები (სესხზე უარის თქმა, პოლიტიკური ზეწოლა) თუ მოანდომებინებს რუსეთს დაეხსნას აფხაზეთ-სამაჩაბლოს, თორემ სხვა ვერაფერი გვიშველის. ელცინს და მის პირად გენერლებს შევარდნაძე თავისი ჭკუაგამოცდილებით და მომნუსხველი თეთრი თმით გულს ვერ მოულბობს. მისი ყოველი ცდა ამაოა. რუსეთის იმპერატორი შევარდნაძეს დასცქერის როგორც კაკანათში გაბმულ შაშვს. რა ქნას ასეთ შემთხვევაში სახელმწიფოს მეთაურმა? იგი, როგორც დავრწმუნდით, სასწაულმოქმედი (და შეუმცდარი) სრულიადაც არ არის.

უარესი მდგომარეობაა სამაჩაბლოში. აქ სრული ოკუპაცია მოხდა ოს-რუსთა „მშვიდობის დამამყარებელი“ სამხედრო ძალით. ათეულობით ქართველი დახოცეს და ლტოლვილებად აქციეს. ქართულ სოფლებს გამუდმებით თავს ესხმიან რუსების ნაჩუქარი 6 ვერტმფრენით. ცხინვალში ადგილობრივი ოსური ტელევიზია ამუშავდა, ქართულ ენაზე კი რადიოგადაცემებიც ენატრებათ ბლოკირებულ ქართულ სოფლებს; ცხინვალში 7 რუსული გაზეთი გამოდის და არც ერთი ქართული. საქართველოს მთავრობამ გაზეთ „შიდა ქართლს“, რომელიც გორში გამოდიოდა, დაფინანსება შეუწყვიტა. თბილისი-ცხინვალის მატარებელი ცხინვალში ვერ შედის, მხოლოდ ნიქოზამდე მიდის. მკვიდრი ქართვლებისგან ქალაქი დაცლილია.

წართმეული ტერიტორიების დაბრუნება უაღრესად ძნელად, იშვიათზე იშვიათად ხდება. გადახედეთ ბოლო წლების მსოფლიო პრაქტიკას და თავად დარწმუნდებით. რუსეთმა იძალა და წაგვართვა საქართველოს გული – სამაჩაბლო. რამდენიც უნდა ვიძახოთ, არ არის წართმეული, ცოლმკვდარი ქმრისა არ იყოს, დღეს ნათლად ჩანს წართმეული და ხვალ რა იქნება, ვნახოთ, დასანანი ის არის, რომ ჩვენ თვით შევუწყვეთ ხელი ამ წართმევას „დაგომისის“ ხელშეკრულებით. ახლა იხტიბარს არ ვიტეხთ. არ ვაგებინებთ მსოფლიოს, რომ რუსმა გვიმუხთლა, თუმცა ჩვენს გენიალურ პოლიტიკოსებს არ შეიძლება არ სცოდნოდათ, რომ სამშვიდობო ძალების ილეთი სამაჩაბლოს ომში ჩვენს დასამარცხებლად იყო მოგონილი. ნუთუ წამითაც არ შერცხვებათ, რომ გადახედავენ ახლა თავიანთ ძველ ინტერვიუებს, გულზე მჯიღის ცემით რომ გაჰყვიროდ-

ნენ – დაგომისის ხელშეკრულება ქართული დიპლომატიის დიდი გამარჯვებაა, ეს არის ეთნოკონფლიქტების გადაწყვეტის ქართული მეთოდი, რომელიც მთელმა მსოფლიომ უნდა გადაიღოსო. არ ვიცი მსოფლიომ როგორ გადაიღო ეს „მეთოდი“, მაგრამ ჩვენ რომ სამაჩაბლო დაგვაკარგვინა, ფაქტია.

ღმერთმა ნუ ქნას, ვიფიქრო, რომ სამაჩაბლოს დაკარგვა და აფხაზეთის გადახსნილი იარაც პოლიტიკური შეცდომის კი არა, ჩვენი ხელმძღვანელობის მხრივ სრულიად შეგნებული კომპრომისის შედეგია.

ახლა ეკონომიკასაც შევეხოთ. ქვეყანა შიმშილის ზღვარზეა. მთავრობამ მიიღო დადგენილება კუპონის გასამყარებლად, მაშინ როცა მრეწველობა გაჩერებულია, საწარმოები ვერ იღებენ გრძელვადიან კრედიტებს, რადგან უკვე გახარჯულია. კომერციული სტრუქტურები კუპონზე არ ვაჭრობენ. ჭეშმარიტად უფსკრულისკენ მივექანებით.

დღეს მავნებლობა იცით რა არის? დაიკრიფო გულზე ხელი და იძახო გაფუჭებული გრამაფონივით: – „ჩვენ მსოფლიოში თურმე ყველაზე ზარმაცი ერი ვყოფილვართ. ჩვენ აქამდე რუსეთი გვარჩენდა, როგორც ღარიბ ნათესავებს. ურუსეთოდ მიწაზე ბარის დაკვრაც არ შეგვიძლია, რადგანაც საკუთარ ტრაქტორს კი არა, ბარსაც ვერ ვაკეთებთ. ჩვენ ხომ არაფერი გაგვაჩნია. ჩვენი დარიშხანი თავის მოსაწამლავადაც არ გვეყოფა, ნავთობი არ გვაქვს. ჩვენი ციტრუსები მსოფლიოში ყველაზე უხარისხოა. ჩვენი ჩაი საზღვარგარეთ რომ აჩუქოთ ვინმეს, უკან გადმოგიგდებს, იმდენად ცუდია!“ ამ ხმებს სპეციალურად ავრცელებენ, ქართველს არასრულფასოვნების სინდრომი რომ შეჰყარონ და დაარწმუნონ, რომ დამოუკიდებლად არსებობა არ შეუძლია.

ჩვენი ახლანდელი ეკონომიკური გასაჭირი შევარდნაძის ბრალი სრულიადაც არ არის. ეკონომიკურ ბლოკადაში ვართ და იმპერია შიმშილით გამოცდას გვიწყობს, რასაც, თუ თავისუფლება გვინდა, უნდა გავუძლოთ. ეს შიმშილიც გათვლილია ცნობილი მიზნისთვის. დამშეული ადამიანები უკვე გაჰყვირიან ბაზარსა თუ პურის რიგებში: არ გვინდა თავისუფლება, შევიდეთ ესენგეში. მე თუ მოვკვდი მშიერი, ჩემს მერე ქვა-ქვაზე დადუღებულა. ეს დამოუკიდებლობა იმასა ჰგავს, მოლა შიმშილით რომ მოკლეს და მერე, უკანალში ფლავს ატენიდნენო. ეს იმას ნიშნავს, რომ იმპერიაში ჩვენმა შემბრუნებლებმა ზოგ მერყევ ელემენტებთან უკვე მიაღწიეს მიზანს.

ჩვენ დელეგაციები საზღვარგარეთ მხოლოდ სამათხოვროდ და სესხის ასაღებად არ უნდა დადიოდნენ, თორემ საქართველო მალე ვალებში დაიხრჩობა. რაღაც ვერ ვხედავ საქართველოში უცხოური კაპიტალის ისე შემოჭრას, როგორც ეს 1918-21 წლებში იყო (წიგნებიდან ვიცი). მეათასეჯერ ვიმეორებ, ჩვენ უმდიდრესი ბუნებრივი რესურსების ქვეყანა ვართ და სამათხოვრო არაფერი გვჭირს. რატომ ვერ გავშალეთ აქამდე ფართოდ ჩვენი რესურსების ათვისება საერთაშორისო ბაზრისთვის? რატომ არ მივყიდეთ უცხოელ კაპიტალისტებს თუნდაც ხუთ-ხუთი წლით აქციები? ელემენტარულ მაგალითს ვიტყვი. სხვას რომ თავი დავანებოთ (ვიცი გაეღიმებათ „დიდ ეკონომისტებს“) მთელ მსოფლიოს სასმელი წყალი არა აქვს და რატომ ვერ დავიწყეთ აქამდე წყლის ჩამოსხმა, ამას ხომ ნეილონ-ცელოფანის ბოთლები და მარტივი დანადგარები სჭირდება? ფიქრობს ვინმე რამდენი ათასი დოლარი გვეკარგება ყოველდღე დაღვრილი მინერალური და თუნდაც უბრალო წყლების სახით? ხომ არ კეთდება ყველაფერი ეს შეგნებულად, რათა კვლავ რუსეთზე ვიყოთ მიბმულ-მიჯაჭვულნი? რატომ ვერ ამუშავდა ძალუმად თურქეთ-ირან-უკრაინასთან დადებული ხელშეკრულებები? სად არის ირანის ბენზინი, სად არის უკრაინის ხორბალი, სად არის თურქეთის ხორცი და ელექტროენერგია? იმ ხელშეკრულებებით გათვალისწინებულ სხვა პუნქტებს აღარ ჩამოვთვლით. რას აკეთებენ ჩვენი საპარლამენტო-სამთავრობო დელეგაციები ყოველდღე რომ გადიან თბილისიდან ათ-ათკაციან ჯგუფებად (თანმხლებ პირებთან ერთად), ესწრებიან მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში უაზრო კონფერენციებს, მერე სერიოზული სახით ესაუბრებიან ჟურნალისტებს. თავიანთ დიდ „მისიაზე“ უმოწყალოდ რომ ხარჯავენ გაწვდილი ხელით და ხშირად თავმოყვარეობის გაშვების ხარჯზე ნაშოვნ გროშებს?

ჩვენი ეკონომიკური სამსახურების მთავარი ამოცანა ახლა რუსეთთან დარღვეული ეკონომიკური კავშირების მთლიანად აღდგენა კი არ არის, როგორც ამას გაჰყვიროდნენ, არამედ გზების ძიება, რათა ეს კავშირები სხვა მეზობლებზეც გადანაწილდეს. ვიცი, ეს იოლი არ არის, მაგრამ უნდა მივაღწიოთ როგორმე მხოლოდ და მხოლოდ რუსეთზე არ ვიყოთ დამოკიდებული, თორემ, რუსეთი მუქთად ერთ მარცვალსაც არ მოგვცემს, სანაცვლოდ იგი კვლავ დაგიმონებს.

როცა შევარდნაძის გადადგომაზე ჩამოვარდება სიტყვა, ვიწრო შუბლიანი ბელადისმაძიებელი უმალვე წამოიყვირებს: ვის ხედავთ საქართველოში შევარდნაძის შემცვლელს, ვინ უნდა დადგეს სახ-

ელმწიფოს საჭესთან, დავიღუპებით უშევარდნაძოდო. ეს მონის ფილოსოფიაა და სხვა არაფერი. გაიხსენეთ წინა ხელისუფლების მონათა ისტერიული ყვირილი. განა ერთი და იგივე არ არის? საქართველოში ვერ მოძებნი გალაკტიონის შემცვლელს, თორემ პოლიტიკური ხელმძღვანელის შემცვლელს რა გამოლევს. ღმერთმა ნუ მაცხოვროს ინტელექტისგან ისეთ დაცლილ საქართველოში, სადაც ორად ორი კაცი იქნება ქვეყნის სწორად წარმმართველი – შევარდნაძე „შევარდნაძისტების“ აზრით და გამსახურდია „ზვიადისტების“ აზრით. უფრო დიდი გაუგებრობაა თუ ამ პირთ თვითვე გაუჩნდება შეუცვლელობის სინდრომი. ამას განდიდების მანია ჰქვია.

თუ გახსოვთ ერთ ინტერვიუში გაზ. „შანსში“ ვთქვი: თუ შევარდნაძე ვერ გამოასწორებს საქართველოს თავდაღმადაქანებულ პოლიტიკურ-ეკონომიკურ საქმეს, უნდა გადადგეს-მეთქი. ახლაც ამ აზრისა გახლავართ. სხვა საკითხია, როდის და რა ფორმით უნდა მოხდეს.

ჯერ საქართველოში ომია. თუ ომი წავაგეთ, ან საქართველოსთვის წამგებიანი ხელშეკრულებით (რასაც აფხაზეთის დაკარგვა მოჰყვება) დავამთავრეთ, შევარდნაძეს ჩვენი თქმაც არ უნდა დასჭირდეს, ისე უნდა გაეცალოს სახელმწიფოს საჭეს. ასევე, ქვეყანა თუ კიდევ უფრო დაიმშა და ეკონომიკური კრიზისიდან საქართველოს გამოყვანის გზები ვერ მოიძებნა, შევარდნაძე როგორც გაკოტრებული პოლიტიკოსი, ამ შემთხვევაშიც უნდა გადადგეს.

მაგრამ მარტო შევარდნაძე? მთელი ხელისუფლება უნდა გადადგეს.

თანაც ხელისუფლება უნდა გავაფრთხილოთ, რომ საქართველოს ომი დღეში ოცდაათი მილიონი მანეთი უჯდება და ქართველთა მოთმინების ფიალა აივსო. შეიძლება დღეები და თვეები არ დავნიშნოთ, მაგრამ უსასრულო ვადას რომ ვერ მივცემთ, ეს ფაქტია.

ილუზია და თავის მოტყუებაა იმის თქმა, რომ შევარდნაძე და მისი რაზმი თუ გადავაყენეთ და განდევნილი ხელისუფლება დაბრუნდა – მეორე დღესვე დამთავრდება ომი და აფხაზეთ-სამაჩაბლოსაც მაშინვე დაგვიბრუნებენ. ასე რომ იყოს, საქართველოს შეგნებული მტრები გვყოლია დღეს სათავეში, რომ ჯიუტად სხედან საუფროსო კაბინეტებში. სამწუხაროდ არ არის ასე, მაგრამ უამრავი რამ რომ ეშლება ჩვენს ხელისუფლებას და სამეგრელოს შემოსარიგებლადაც მხოლოდ უეფექტო, უნიათო ნაბიჯებს დგამს – ესეც ფაქტია.

დღევანდელი ხელისუფლების საბოლოო დამარცხებამდე ან

საბოლოო გამარჯვებამდე რომ დიდი დრო არაა დარჩენილი ამას ყველა ხედავს. სწორი აღმოჩნდება მათი გათვლები – პირველი მე დავუკრავ ტაშს, თუ საბოლოოდ გაირკვევა, რომ ჩიხში მოამწყვდიეს ქვეყანა, რა თქმა უნდა, გული დამწყდება და პირველად მეწყინება ცხოვრებაში, რომ ჩემი პროგნოზები გამართლდა.

ღმერთმა დაგვიფაროს ხელისუფლების შეცვლის იმ ნაცადი ხერხისგან, შარშანწინ რომ მივმართეთ. არც ქუჩაში გამოსვლის და ბღავილ-დემონსტრაციების მომხრე ვარ. როცა საზოგადოებრივი აზრი მომწიფდება და ამას „ძლიერნი ამა ქვეყნისანი“ პირველნი იგრძნობენ, მათ უნდა ეყოთ გონიერება უმსხვერპლოდ, სკამისთვის ჯიუტი ჩაბღაუჭების და იარაღიან დამცველთა მოხმობის გარეშე წავიდნენ. ღმერთმა ნუ მანახოს კიდევ ერთხელ სანგრებად ქცეული რუსთაველის პროსპექტი.

არ გაგიკვირდეთ ამ ინტერვიუს კრიტიკული პათოსი: ჩემს მწერლურ მოვალეობად ვთვლი არსებული ხელისუფლების ხოტბას კი არა, მის გაკრიტიკებას, რათა, ჩემი ფიქრით, უფრო კეთილ, უფრო საქვეყნო, უფრო გონიერ საქმეებს მივადევნო იგი.

მომავალში? მე უფრო დიდი იმედი მაქვს იმ პარლამენტის, რომელიც ხვალ-ზეგ მოვა, რომელშიც იმერ-ამერის არჩეული, შერიგებული, მთლიანი საქართველოს მიერ არჩეული დეპუტატები იქნებიან, უპირატესად ახალგაზრდების სუფთა ხელებით, სუფთა ბიოგრაფიით, სუფთა სინდისით მოსულნი პოლიტიკაში.

ზოგიერთ წრეებში დღეს საქართველოში ეროვნულ იდეოლოგიაზე საუბარი პროვინციალიზმად ითვლება. სწორედ ესაა ჩვენი დამღუპველი. ერს თავისი ეროვნული იდეოლოგია თუ არ გააჩნია, ის ერი არ არის. ეროვნული იდეოლოგია სწორედ რომ ეროვნული ხასიათიდან, ერის ისტორიიდან, მისი ინტერესების სპეციფიკიდან უნდა გამომდინარეობდეს. ჩვენი ეროვნული იდეოლოგია არის შეხედულებათა ის კომპლექსიც, რაც სჭირდება დღეს საქართველოს გადასარჩენად.

როცა ამ ოთხი წლის წინათ საზოგადოება „თვისტომი“ შეიქმნა და საქვეყნოდ გავყვიროდით, ნუ იქცევა საქართველო ინტერნაციონალურ პოლიგონად, ინტერნაციონალური ექსპერიმენტების სასინჯ ქვად, უსაზღვრო, უჭიშკრო გამსვლელ ეზოდ, სადაც შეიძლება დასახლდეს ყველა შემოხეტებული გადამთიელი-მეთქი, ესეც კუთხურობისკენ, ნაციონალიზმისკენ მოწოდებად მიაჩნდათ და „ინტერნაციონალისტები“ უმოწყალოდ მაკრიტიკებდნენ. ახლაც თავი

მოგვაქვს, რომ ყველაზე „ინტერნაციონალისტური რესპუბლიკა“ ვართ და რაც დაგვმართა ქართული მიწების ხელაღებით დარიგებამ, მშვენივრად ვხედავთ. რუსმა შეძლო ჩვენს წინააღმდეგ სწორედ ჩვენს უბეში შეყუჟული სტუმრების ამხედრება და სწორედ მათი „წყალობით“ წაგვართვა ჩვენი ისტორიული მიწები.

თუ გონს არ მოვეგეთ, ჩვენი თავი არ ვიცანით და ჩვენს მიწებს ფასი არ დავდეთ, თუ არ გავმრავლდით და საქართველოს საზღვრები არ გავამაგრეთ, ას წელიწადში თუნდაც ყველაფერი მშვიდობიანად წარიმართოს (გარეშე მტრებმა თუ არ დაგვიპყრეს) საქართველოს მშვიდობიანი დემოგრაფიული ანექსია კარზეა მომდგარი. ას წელიწადში ჩვენი და ჩვენი სტუმრების გამრავლების ტემპით თუ ვიმსჯელებთ, საქართველოში ქართველები 44 პროცენტი აღმოვჩნდებით, ე. ი. ქართველ პრეზიდენტს ველარ ავირჩევთ.

აი, რისთვისაა საჭირო გამრავლება და ეროვნული გამოფხიზლება.

ამის გამხელა, ამ საშიშროებაზე მითითება დღეს ზოგ „პოლიტიკოსს“ უტაქტობად მიაჩნია, სერგო ორჯონიკიძესაც ასე ეგონა.

„რაც არ უნდა კაცმა მალოს, ჭირი თავსა არ დამალავს“, და მაშ უფრო ხმამაღლა, უფრო გაბედულად ვილაპარაკოთ საქვეყნო სატკივარზე.

3 ივლისი, 1993 წ.

ღვთის გულისათვის შეჩერდით!

საქართველოს ალბათ ისტორიის მანძილზე 1993 წელზე უარესი წელი არ ჰქონია. დამეწმუნეთ, ამას ჩემი პირადი განწყობილება არ მალაპარაკებს. საქართველოში დატრიალებული უბედურება ალბათ ჩემს ოჯახზეც უნდა განაწილებულიყო. ასე სურდა განგებას და მე მეამაყება, რომ ჩემი ერთადერთი შვილი სამშობლოსთვის დაიღუპა. მაგრამ ჩვენ სხვა ვიკითხოთ. მე გითხარით 1993 ყველაზე მძიმე წელი იყო-მეთქი. ჩვენს თვალწინ საქართველოს ისტორიის მთელი ტრაგედია გათამაშდა შესაძლებლობათა კვადრატში. დევნილლტოლვილობა საქართველოსთვის ახალი არაა. შაჰ-აბასმა 140 ათასი ქართველი გადაასახლა ფერეიდანში. მაგრამ როგორც ისტორიკოსები ამბობენ, სწორედ რომ გადაასახლა და სხვა არაფერი, მისცა მათ დრო და საშუალება, ურმით თუ მარხილით, ცხენით თუ

ჯორით, თან წაეღოთ ყველაფერი, რაც სურდათ, და საქონელიც გაერეკათ. ჩვენს თვალწინ აფსუა-ჩეჩენ-რუსთა გამძვინვარებულმა ურდომ 300 ათასამდე ქართველი გამოყარა (ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით) თავიანთი ისტორიული სამოსახლოდან და უმოწყალოდ გასწირა თოვლიან-ყინულიან ბილიკებზე სახეტიალოდ. ეს შემაძრწუნებელი ეპოპეა სამუდამოდ დარჩება ისტორიაში, როგორც ქართველი ერის გოლგოთის გზა. წარმოიდგინეთ, რა მასალა აქვს მწერალს, ისტორიკოსს, კინემატოგრაფისტს ამ მოვლენის უკვდავსაყოფად. შემაძრწუნებელია ის მწირი დოკუმენტური კადრებიც კი, ჩვენ რომ ვიხილეთ. თუნდაც ერთი დევნილი ოჯახის ისტორია რომ ასახოს მწერალმა (დედას რომ სამი შვილი ხელზე გაეყინა, მეოთხე ვიღაცას მიაჩეჩა და თვითონ კლდიდან გადაიხვეწა), ეს იქნებ უფრო ტრაგიკული ნაწარმოები იყოს, ვიდრე ანტიკური თუ შემდგომდროინდელი ტრაგედიები ახსოვს ლიტერატურას. ულმობელმა ეპოქამ, მოგეხსენებათ, არც ეს გვაკმარა. სისხლნაყნოსნი, გაბრუებულ-დარეტიანებულნი, აფხაზეთის ომში დამარცხებულნი და დედლურად გამოქცეულნი, ერთმანეთს დავერიეთ და არაჩვეულებრივი სისასტიკით, კბილთა ღრჭიალით, ველურის გემოსჩატანებით ვხოცავთ ერთმანეთს.

ვიღაცამ თქვა: ასე მამაცურად და ერთგულად, როგორც ერთმანეთს ვებრძვით, აფსუა-ჩეჩნების წინააღმდეგ რომ გვებრძოლა, ალბათ გავიმარჯვებდითო. ვერ გავიმარჯვებდით. ეს საქმეში ჩაუხედავი, გულუბრყვილო კაცის ნათქვამია. ვერ გავიმარჯვებდით იმიტომ, რომ აფხაზეთის ომში წინასწარ ვიყავით განწირულნი. ჩვენ ვებრძოდით რუსის ჯარს, ამ არმიის წინაშე კი მთელი მსოფლიო ძრწის. 27 ივლისს ჩვენვე დავთმეთ სოხუმი, უკანასკნელი მბჟუტავი იმედი აფხაზეთის შენარჩუნებისა, ჩვენვე მოვაწერეთ ხელი ხელშეკრულებას, რომლის ძალითაც 10–12 დღეში უნდა გაგვეყვანა მძიმე ტექნიკა და გავიყვანეთ კიდეც რუსის გემების დახმარებით. სოჭის ხელშეკრულების ხელმოწერამდე რამდენიმე დღით ადრე მწერალთა კავშირში განვაცხადე (და ტელევიზიითაც გადაიცა): ნუ მოვაწერთ ხელს ხელშეკრულებას, თორემ აფსუა-რუსები არ შეასრულებენ და სოხუმს დავკარგავთ-მეთქი. ხოლო ხელმოწერის შემდეგ დავწერე წერილი, სადაც ვამბობდი, ამ ხელშეკრულებით ჩვენ კაპიტულაცია გამოვაცხადეთ-მეთქი. წარმოიდგინეთ, თავისუფალი პრესის ჩვენს ეპოქაში ეს პატარა წერილი არც ერთმა გაზეთმა, ოფიციალურმა თუ ნახევრად ოფიციალურმა, არ დამიბეჭდა.

მე აფხაზებთან დამარცხებაში ვერავის გავამტყუნებ. იმ ხელშეკრულებაზე ხელმოწერაც იძულებითი ნაბიჯი იყო. ესენგეში შესვლაც იძულებითი ნაბიჯია. რუსმა ულმობელი სისასტიკით დაგვამარცხა და დამარცხებულ-დაბეჩავებულს, როგორც სურს ისე გვატრიალებს. რუსმა ამ საუკუნეში მეორედ დაგვიმონა. პირველი დამონების დროს (1918–1921) 111 ათასი კვ. კმა-დან 44 ათასი კვ. კმ. წაგვართვა. დამოუკიდებლობის მეორე წრეზე (1990–1993) რუსმა 25 ათასი კვ. კმ. წაგვართვა (აფხაზეთი და სამაჩაბლო) და დაგვიტოვა მხოლოდ 42 ათასი, მაგრამ ისიც დაგვიტოვა?! რუსის იარაღით შეიარაღებულ-გამარჯვებული ჩეჩენი და აფსუა აფხაზეთიდან ჩვენს გამოყრას არ დასჯერდა და ზედ ქუთაისის ჭიშკრამდე მოგვდია. იქნებ ხსნა მართლაც ესენგეში შესვლაში არის-მეთქი, ვიფიქრე ერთი თვის წინ, მაგრამ ბოლო დროის მოვლენებმა ამაშიც დამაეჭვა. ჩანს, რუსს ჩვენი განხალხება, ქართველი ერის და საქართველოს მოსპობა განუზრახავს, თორემ უკვე ესენგეში თითქმის შესულს ისე არ გაგვწირავდა, რომ უღელტეხილი არ ჩაეკეტა და იქიდან კონფედერაციის კაციჭამიები საქართველოში არ შემოეშვა. რაო, უძლურია რუსის არმია ჩეჩენ-ყაბარდოელ-ჩერქეზ-ადიღეელთა მომთაბარე ურდოების წინაშე? ეს ყველაფერი წინასწარი გეგმით კეთდება. ამ გეგმის ნაწილი გახლდათ ის მეათასე ღალატი, რუსმა ჩვენი ჩრდილოეთი ჭიშკარი – თავისივე სახლ-კარი რომ არ დაიცვა და იქიდან თავისი მოქალაქეები, კაზაკ-ჩეჩენთა მარბიელი ლაშქარი შემოუშვა საქართველოში.

გთხოვთ სწორად გამიგოთ, ესენგეში შესვლის მომხრე მაშინ ვიქნები, თუ რუსი აფხაზეთს და სამაჩაბლოს დაგვიბრუნებს. ჯერ-ჯერობით კი აფხაზეთ-სამაჩაბლოდან გამორეკილი ჩვენი თანამოძმეების თავიანთ მიწაზე დაბრუნებას კარგი პირი არ უჩანს და მე, ქართველი მწერალი, თავის მოკვლის ხასიათზე ვდგები, სიცივეგამეფებულ დერეფნებსა და ქუჩაბანდებში ლტოლვილების შიმშილისაგან გამოღამებულ თვალებს რომ ვუცქერ. თავი მისკდება, იმდენს ვფიქრობ საქართველოს ბედზე და ზოგჯერ ერთი შეხედვით აბსურდულ, უტოპიურ დასკვნამდეც კი მივდივარ – ჩვენ ამ მიწაზე ჩვენი „საყვარელი“ მეზობლები, სულ ერთია, მაინც არ გაგვახარებენ, დღეს თუ ხვალ, კანიბალური სისასტიკით მოგვიღებენ ბოლოს. ახლა თუ ჩვენს სისხლს სვამენ, ხვალ ჩვენ ძვლებს დახრავენ და (გთხოვთ არ გაგეცინოთ) ხომ არ გადავსახლებულიყავით აქედან ქართველები სადმე შორეულ, მაგრამ უხიფათო ადგილას, თუნდაც ავსტრალიაში?

მე ჩვენი უბედობის ყველა ნიუანსს ვუძებნი ახსნას ჩვენი გეოპოლიტიკური მდგომარეობიდან გამომდინარე. მაგრამ ერთი ვერ ამიხსნია – შინა ომი, ძმათა ომი. კარგად ვიცი, სამოქალაქო ომები ათწლეულობით მძვინვარებდა სხვადასხვა დროს, ჩვენზე უფრო ცივილიზებულ ერებში, მაგრამ ნუთუ ისტორიის გაკვეთილებმა ვერაფერი გვასწავლა? მომძულდა თავი, აღარ მჯერა ყბადაღებული სიტყვა „ინსპირირებულისა“. ეს სამოქალაქო ომი, იმდენად ინსპირირებული არა, რამდენადაც ჩვენი შინაგანი ბუნებიდან და ზოგი ვაი-პოლიტიკოსის ამბიციური ხასიათიდან გამომდინარეა. ღვთის გულისათვის შეჩერდით, მინდა ვიყვირო მთელი საქართველოს გასაგონად, მაგრამ ჩემი ხმა, სამწუხაროდ, არავის ესმის. ერთმანეთის ხოცვით საქართველოს გენოფონდს ვაქრობთ, ესე იგი ჩვენს ერს თავად ვუსპობთ მომავალს. ერთი პატარა დეტალი: ჩვენს საინფორმაციო საშუალებებში ზოგჯერ თვალყურს მოკრავთ განცხადებას: „გაიმართა ხობთან გააფთრებული ბრძოლა სამთავრობო ჯარებსა და ექსპრეზიდენტის მომხრეებს შორის. მოწინააღდეგემ გამოიყენა შვიდი ერთეული საომარი ტექნიკა. ბრძოლის შედეგად ჩვენებმა გაანადგურეს უკანონო ფორმირებათა ორი ტანკი, ერთი „ბმპ“ და ერთი ჯავშნოსანი მანქანა. არის „მსხვერპლი“. ჯერ ერთი, შვიდი ერთეული საომარი ტექნიკა რა უბედურებაა, მაგრამ ეგ არაფერი, დაწვრილებით ვაუწყებთ მკითხველს საომარი ტექნიკის შესახებ, ხოლო გარდაცვლილებზე უბრალოდ ვამბობთ, არის მსხვერპლიო. და ის „მსხვერპლი“ სწორედ ჩვენი უდანაშაულო შვილებია, რომელ მხარეზეც არ უნდა იბრძოდნენ ისინი, ძმათა ომში ჩათრეული ჩვენი თვალის სინათლე და ერის მომავალი. გამოფხიზლდით ქართველნო, ისტორიის ვეშაპი ჩასაყლაპად გვეპარება. საქართველოს ისტორიაში ამ ყველაზე საშინელმა 1993 წელმა, იქნებ მაინც გამოგვაფხიზლოს და გაგვაერთიანოს.

6 ნოემბერი, 1993 წ.

„დაკარგეთ 5 წუთი ჩემთვის“

თქვენი ფიქრით აფხაზეთში ძირითადად რუსი გვებრძოდაო? მეკითხებიან გულუბრყვილო მოქალაქენი.

ამას დიდი მიხვედრა არ სჭირდება. მე ვფიქრობ, ღრმად ცდებიან, ან შეგნებულად აყალბებენ სიმართლეს ისინი, ვინც წამდაუწუმ გაჰყვირის – უკეთესად რომ გვებრძოლა, გავიმარჯვებდითო. რაო, რუსეთს დავამარცხებდით? მოვერეოდით რუსის ჯარს, რომელიც დღესაც მსოფლიოს აზანზარებს? ნუ ვუქმნით ქართველს აფსუა-ჩეჩნეთთან ომში დამარცხების სინდრომს, ჩვენ რუსის უძლეველმა არმიამ გვძლია. ეს საპატიო დამარცხებაა.

თუ ასეა, რატომ იდგა სასწაულებრივად სოხუმი მთელი წლის განმავლობაში? რუსეთის ჯარს გაუჭირდა სოხუმის ერთბაშად აღება?

რუსის ჯარი სოხუმის აღებას სამი მიზეზის გამო აყოვნებდა:

1. სურდა, რაც შეიძლება მეტი ქართველი, აფსუა და ჩრდილოკავკასიელი შეწირვოდა ამ ომს. „კავკასიელ ველურთა“ ფიზიკური მოსპობა ხომ იმპერიის ინტერესებში შედის. 2. აფხაზეთის ომში ქართველთა ნელი განადგურებით რუსს სურდა ილაჯი გაეწყვიტა, სასოწარეკვეთა ქართველი ერისათვის, რათა ბოლოს და ბოლოს ერთხმად შევსულიყავით სნგ-ში. 3. სოხუმს არ ტოვებდა შევარდნაძე. მტერმა კარგად იცოდა, რომ შევარდნაძე მსოფლიო ფიგურაა და მისი ხელყოფა მსოფლიოში ავად გახმაურდებოდა.

სამშვიდობო ძალები? გაერო? ევროპარლამენტი? აკი დიდი იმედი გვქონდა ქართველებს საერთაშორისო ინსტიტუტებისა!

მსოფლიო ლამის გულგრილი აღმოჩნდა საქართველოს ტრაგედიის მიმართ. გამეორდა იგივე შეცდომა, რაც მსოფლიომ 1921 წელს დაუშვა. ზესახელმწიფოები გაუყუჩდნენ საქართველოზე შურისძიებით გამძვინვარებულ რუსეთს – ყურზე ხელი მიიფარეს და თვალს გვარიდებდნენ. ესეც შენი დასავლეთი. შეგვაგულიანეს, თვალი გვიპაჭუნეს, თავისუფლებისათვის განგვაწყვეს და მერე პილატესავით ხელი დაიბანეს. ქართული ანდაზა აგვიხდინეს „თხა აქეს, ადიდეს და მგელს შეაჭამესო“.

კატეგორიულად არ ვეთანხმები ზოგი ჩვენი პოლიტიკოსის პათოსს შინაღალატზე. დავანებოთ თავი ცალკეული პირების, საჯარისო ფორმირებების და თუნდაც რეგიონების მოღალატედ გამოცხადებას. ამით ერს ვაღიზიანებთ და ქვეყანა საბოლოო დაშლისაკენ მიგვყავს. შეიძლება შიშის, სიფრთხილის ფაქტორმა იმუშავა, მაგრამ მოღალატეებს მე ქართველთა შორის ვერ ვხედავ. ვინც გაიძახის „გვიღალატესო“, ის ერის გაერთიანების მომხრე არ არის. რა ლოგიკაა უთხრა კაცს „მართალია შენ მოღალატე ხარ, მაგრამ, მოდი, მაინც გავერთიანდეთო“.

და მაინც ჩვენ უბრძოლველად ვერ დავთმობდით ქართულ მიწებს. ეს ომი ისტორიისათვის იყო საჭირო. ისტორია კი ამ ომს რუსეთ-საქართველოს ომს დაარქმევს.

რატომ არ ვაცხადებთ ამას მსოფლიოს გასაგონად?

მე ვფიქრობ, დღეს საქართველოში (და მე მგონია, მსოფლიოში) არ არსებობს კაცი, ეს რომ არ იცოდეს. რაც შეეხება გამოცხადებას – აგერ ხომ გამოვაცხადე და ჩემამდე არაერთმა აღნიშნა. თქვენ გინდათ მაინცდამაინც შევარდნაძემ და გოგუაძემ გამოაცხადონ? აქ საქმე სხვაგვარადაა. რასაც მე, მწერალი რევაზ მიშველაძე ვიტყვი, იმას სახელმწიფოს სათავეში მყოფნი ვერ იტყვიან. იტყვიან და კარგ ჩიტსაც დაგვაჭერინებს რუსეთი. სნგ-ში რომ ჩვენი შეთრევა იძულებითი იყო, ჩემზე კარგად ეს სახელმწიფოს ხელმძღვანელებმა იციან. თქვენ როგორ ფიქრობთ, მართლა სამოქალაქო ომი იყო საქართველოში შარშან ოქტომბერში? არ დაიჯეროთ. რუსეთმა აფსუა-ჩეჩნებს ხელისუფლებაზე გაგულისებული ქართველებიც დაუმატა და აფხაზეთ-სამაჩაბლოს წართმევა როდი გვაკმარა – ქუთაისს მოადგა და ორ-სამ დღეში თბილისსაც აიღებდა. ეს იმას ნიშნავს, რომ ძირიანად გვთხრიდა, საქართველოს ახლადმოკვირტული სახელმწიფოს მთლიანად წაშლას აპირებდა. მოგვამწყვდია ჩიხში, საიდანაც გამოსავალი არ იყო და მხოლოდ სნგ-ს კაკანათში უნდა გაგვეყო თავი. ამიტომაც წინააღმდეგი ვარ, საქართველოს ეს შავბნელი მდგომარეობა კონკრეტულ პიროვნებებს გადავაბრალოთ.

რა შეცდომები დავუშვით ამ მეორე სამწლიანი (პირველი – 1918-21) დამოუკიდებლობის პერიოდში? იკითხავს მკითხველი.

უცხოეთის კაპიტალს კარი ფართოდ არ გავუღეთ. არ დავაბანდეთ ჩვენი ეროვნული სიმდიდრე დასავლეთის ბაზრებზე, ვერ გავყიდეთ აქციები, კვლავ რუსეთის ხელშემყურე დავრჩით და დამპყრობელი ახლა თავის გზადაბნეულ ვასალს, როგორც სურს ისე გვეპყრობა. გარდა ამისა, იოლად წამოვეგეთ რუსის დაგებულ მახეზე ერის გათიშვის მიმართულებით. დაბნეულებმა ერთმანეთს დავუწყეთ კორტნა.

სამწუხაროდ, ჩვენ უკვე სამანეთო ზონაში ვართ. ყბადაღებული საცოდავი კუპონით მხოლოდ პურის და გაზეთის ყიდვა შეგვიძლია. ერთი ნაბიჯიც არ გადაგვიდგამს კუპონის გასამაგრებლად. სამანეთო ზონაში შესვლით საბოლოოდ დაგვირგვინდება იმპერიაში შებრუნების საძრახისი საქმე.

ლტოლვილ შურისმაძიებლებს, უფრო კონკრეტულად „აფხაზე-

თის ხსნის კომიტეტს“ არა თუ დიდი იმედით ვუცქერი, მათ შორის ბაქიასა და მკვეხარას უფრო მეტს ვხედავ, ვიდრე რეალურად საქმის გამკეთებელს. ერთ ფაქტს მოგახსენებთ: ამასწინათ გრიბოედოვის თეატრში აფხაზეთიდან დევნილთა შეკრება იყო. ორატორები სცენიდან სიტყვით ცეცხლს ანთებდნენ, ბრძოლისაკენ მოუწოდებდნენ თანამემამულეთ. ყველამ იარაღი უნდა ავიღოთ და თავგანწირულად ვეკვეთოთ მეტოქესო, ვიღაცამ რომ დაიძახა, ამ მგზნებარე მოწოდებას დარბაზში დიდი ენთუზიაზმი არ გამოუწვევია, მაგრამ უნდა გენახათ, რა ტაში დასცხეს ერთი ორატორის წინადადებაზე: დავიქირავოთ ბოევიკები და ვაბრძოლოთო.

ცუდად მენიშნა ეს ამბავი.

ახლა, როგორც იცით აფსუა-რუსთა ლაშქარი სვანეთს გვართმევს. ჯაბა იოსელიანმა ტელევიზიით განაცხადა: ლტოლვილ რაინდთა შორის ასი კაციც ვერ ვიპოვეთ, ჭირში ჩავარდნილ სვანთა დასახმარებლად რომ წავიდნენ, სახალხო მოლაშქრეთა დონეზე ვიცავთ დალის ხეობასო.

ესა ვართ სულ?

ნახავთ აფხაზეთიდან გამოყრილი სამასი ათასი ოჯახიდან ნახევარი თავისი ნებით არ დაბრუნდება მშობლიურ მიწაზე. შიშს თურმე დიდი თვალები აქვს.

შეფასების ხაზით ყველაფერი რიგზე დადგება, თუ ამ ომს თავის ნამდვილ სახელს – 1992-93 წლების რუსეთ-საქართველოს ომს ვუწოდებთ, რუსეთმა დაგვსაჯა თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის სურვილისათვის. დაგვსაჯა სასტიკად: მოგვიკლა ოცდაათი ათასი პატრიოტი, სამასი ათასი მოსახლე საშინელი სისასტიკით გამოყარა თავისი ისტორიული სამშობლოდან და საქართველოს წაართვა 25 ათასი (აფხაზეთი, სამაჩაბლო) კვადრატული კილომეტრი. ამ „პატივისცემას“ საქართველო არასოდეს დაუვიწყებს „კეთილ, უფროს ძმას“.

მეორე, ჰუმანური რუსეთი ალბათ არსებობს, მაგრამ იგი ჯერ არ ჩანს ასპარეზზე. ჩვენ, ამჯერად ელცინის და გრაჩოვის რუსეთმა დაგვსაჯა.

მეტი საბუთი რაღა გინდათ; ესენგეში შევედით, საძმო ხელშეკრულებას ხელი მოვაწერეთ. ელცინს თბილისში დაბადების დღე გადავუხადეთ, გავაცილეთ და მეორე დღეს აფსუებმა თოვლსა და ყინვაში ადამიანთა სასიკვდილოდ განწირვა-დევნით „გაასუფთავეს“ გალის რაიონი.

ასე რომ, საქართველოს ბოლომდე გათელვის, ბოლომდე დაჩოქების პოლიტიკას რუსეთი ერთგულად განაგრძობს.

ვერ გამიგია, თავს რატომ ვიტყუებთ; რუსეთს თუ უნდა, ერთი კონფედერანტი-ყაჩაღი ვერ ჩამოვა აფხაზეთში (საქართველოს მიწაზე), რუსეთს თუ უნდა, ორ დღეში სამასი ათასივე დევნილი დაუბრუნდება თავის მიწას.

შევარდნაძემ კარგად იცის, რომ რუსებმა მოკლე ხანში იგი სამჯერ სასიკვდილოდ გაწირეს. პირველად, როცა მის თვიმფრინავს ესროლეს და მეთაური ბეწვზე გადარჩა, მეორედ, როცა 27 ივლისის ხელშეკრულებით მწარედ მოატყუეს და სოხუმი თავზე დაამხვეს. მესამედ, როცა სამოქალაქო ომის ინსპირირება უზრუნველყვეს. რამდენადაც ვიცი, ეროვნება კაზაკი ჯერ არ არსებობს. იგი რუსია – არც მეტი არც ნაკლები.

სოხუმის აღება მოსკოვში იყო გადაწყვეტილი. ჩვენი სამხედრო ხელისუფლების შეცდომა კი ის არის, რომ სიტუაციას ალღო ვერ აუღო. ვერ გააანალიზა მოვლენები. რა დიდი მიხვედრა უნდოდა იმას, რომ მთელი წლის განმავლობაში რუსული ავია-გამანადგურებლები სოხუმს ბომბავდნენ, ე. ი. რუსი აფსუას ეხმარებოდა. ჩვენს ხელისუფლებას უნდა მოეწოდებინა ქართველი მოსახლეობისათვის, ორგანიზებულად დაეტოვებინა სოხუმი და ოჩამჩირე და გალში გამაგრებულიყო. იქნებ, ამ გზით გალიც დაგვეცვა და მოსახლეობის ქონებაც გადაგვერჩინა. ამის ნაცვლად ატყუებდნენ ხალხს – სოხუმი საიმედოდ არის დაცული, ნუ გეშინიათო. აი, რა ბადებს ეჭვს.

გაეროს გაკეთებული საქმე მიჩვენეო – ქილიკობენ ზოგნი. გაეროს, როცა უნდა, არც რუსეთის ეშინია და თავის საქმესაც მშვენივრად აკეთებს, ხომ ნახეთ, ურჩობისათვის ნატომ ორჯერ დაბომბვით დასაჯა სერბები. ოცი ათასზე მეტი სამშვიდობო ჯარისკაცი ჰყავს ბოსნია-ჰერცოგოვინაში გაეროს. საქართველოს კი ორი ათასი ჯარისკაცის გამოგზავნაზეც უარი გვითხრა.

როგორც ჩანს, გაანაწყენა რუსეთის თვითნებობამ (ბოსნია-ჰერცოგოვინა, ბალტიისპირეთი, ნატოში ახალი წევრების მიღებაზე უარის თქმა...) დასავლეთი და საჭიროდ ჩათვალა ჭკუის სწავლების გაკვეთილები ჩაუტაროს. თუ 1993 წლის ოქტომბერში გულგრილი იყო დასავლეთი საქართველოს ტრაგედიის მიმართ, თუ ამერიკაში ვიზიტის დროს მსოფლიოს დემოკრატიულ მოძრაობაზე ამაგდარ შევარდნაძეს უშიშროების საბჭომ ერთგულების სპექტაკლი ჩაუ-

ტარა და თხუთმეტი დღის შემდეგ ყოველგვარ პოლიტიკურ ლოგიკას მოკლებული დადგენილება მოაყოლა აფხაზეთში სამშვიდობო ჯარების შეყვანისაგან თავის შეკავების შესახებ, ახლა, მე მგონია, გაერომ და ამერიკამ ოდნავ შეიცვალეს პოზიცია საქართველოს მიმართ. ეს იმდენად საქართველოს სიყვარულით არ მოსდით, რამდენადაც რუსეთს ეწინააღმდეგებიან, თავის სურვილში ხელახლა შეაკოწიწოს საბჭოთა კავშირი. რუსეთს ხომ საქართველოს ხელახალი ოკუპაციისათვის გაეროსაგან მილიონობით დოლარის მიღება სურდა.

შევარდნაძე ხშირ შემთხვევაში უძლურია. იგი იმ ანდაზის კოზაკის მდგომარეობაშია, აქლემები რომ წაიკიდნენ და კოზაკი გაჭყლიტეს. როცა იმპერიის სათავეში იყო და დიდი პოლიტიკური ფრთები ჰქონდა, შევარდნაძემ ურიგოდ როდი შეასრულა თავისი როლი. რუსეთმა დღემდე ვერ აპატია მას ბოროტების იმპერიის დარღვევისთვის ხელის შეწყობა, ახლა რა უნდა ქნას შევარდნაძემ? საქართველო დიდი მსოფლიო პოლიტიკის მსხვერპლია. გაიხსენეთ შევარდნაძის დეპეშა ელცინის სახელზე გაგზავნილი 1993 წლის 16 სექტემბერს: გამაგებინეთ, რა დააშავა ჩემმა სამშობლომ. ნუთუ მხოლოდ ის, თავისუფლება რომ მოისურვაო... რატომ გასწირეთ ასე. იძულებული ვარ წავიდე და შიშველი ხელებით დავიცვა სოხუმიო. თქვენ გგონიათ, დიდად მოეწონებოდათ იმპერიის მესვეურებს შევარდნაძის გამოსვლები გაეროში, პენტაგონში მისვლა ან ნატოს სამშვიდობო პარტნიორობაში საქართველოს შესვლა? თქვენ გგონიათ, ასე ადვილად ივიწყებს იმპერია შევარდნაძის „ნაციონალისტურ შეცდომებს?“ არ არიან მართალნი ისინი, ვინც ჯოხის ერთი კაცის თავზე გადატეხვას ცდილობენ.

ჩვენ ურიგო პარლამენტი არა გვაქვს. განსაკუთრებით ოპოზიციის ზოგი წევრის გამოსვლა მომწონს. ისინი თანდათანობით ჩამოყალიბდნენ გამოცდილ, ობიექტურ, მგზნებარე პოლიტიკოსებად. მაგრამ ხანდახან რომ ვუსმენ, მგონია ზოგს ისტორიაში თავისი პოზიციის დაფიქსირება უფრო აინტერესებს, ვიდრე ქვეყნის შველა. მაგალითი? სამ დღეს განიხილავდნენ უკვე ხელმოწერილ ოთხმხრივ შეთანხმებას. არ სჯობდა ის ენერგია, რამდენიმე დღით ადრე ხელშეკრულების მომზადებაზე დაეხარჯათ? ხელი არ მიუწვდათ? შესულიყვნენ შევარდნაძესთან, კატეგორიულად მოეთხოვათ კომისიაში ოპოზიციის წარმომადგენლების ჩართვა. რამდენადაც მე ვიცნობ, შევარდნაძე ასეთ დროს არ გაჯიუტდება და უარს არ იტყვის.

უმრავლესობისა არ მომწონს ლამის უსიტყვო, ჯიუტი ერთგულება „საერთო კურსისადმი“. ხანდახან ერთმანეთსაც ხომ არ უნდა დაეთანხმონ რაღაცაში. სხდომაზე ხშირად ისეთი შთაბეჭდილება რჩება, რომ უმრავლესობის წარმომადგენლები ერთმანეთის გამოსვლასაც არ უსმენენ: „ჩვენია? ესე იგი ყველაფერს სწორს იტყვის“.

ჩვენს ეროვნულ უბედურებას ისიც ემატება, რომ ქართველები სამშობლოდან გარბიან. და ვინ გარბის? ძირითადად ახალგაზრდობა, იმათი თანატოლები, ვინც სამშობლო მიწას უკანასკნელ სისხლის წვეთამდე იცავდა. სახელმწიფომ არაფერი გააკეთა ახალგაზრდობის სულის გასალამაზებლად. ვატყუეთ ყოველი ფეხის ნაბიჯზე. ვატყუეთ – დემოკრატიას მოგიტანთო და უზურპაციის ქურქი ჩამოვაცვით, სამშობლო დაიცავითო და რუსეთის ჯარის წინააღმდეგ უსარდლო-უკომპრომისო ომში ჩავაბით. აფხაზეთს დაცემის საშიშროება არ ემუქრებაო და განიარაღებული ბიჭები მკვლელების ანაბარა დავაგდეთ, თქვენს ღვაწლს დავაფასებთო და დაღუპულთა ცოლ-შვილს პენსიაც ვერ დავუნიშნეთ, ხოლო ხეიბრები ღვთის ანაბარა მივატოვეთ. ჰოდა, დაკარგა რწმენა ზოგმა ახალგაზრდამ. რწმენა მარტო ხელისუფლებისადმი კი არა, მომავლის რწმენა დაკარგა, რაც ყველაზე უფრო საშიშია. აიღო ავტომატი და შარაგზის თულად იქცა.

საზოგადოებაში შეიმჩნევა საოცარი გაუცხოვება და ამავე დროს აუხსნელი თვითდაჯერებულობა. ყველამ ყველაფერი იცის, ყველა ყველაფერში ერკვევა. დილეტანტიზმი მეფობს. თანაც თავნება, უტიფარი დილეტანტიზმი, თორემ მოკრძალებულ დილეტანტიზმს კიდევ არა უშავს. ერთ მაგალითს გეტყვით: შეგხვდება ქუჩაში მოქალაქე და გეტყვის: გიცანით ბ-ნო რევაზ, მე თქვენ დიდ პატივს გცემთ. თუ კაცი ხართ, დაკარგეთ 5 წუთი ჩემთვის, გამარკვიეთ რა ხდება, საით მივდივართო. აგაშენა ღმერთმა, ფიქრობ გულში, კიდევ შემორჩენილა ქართველი, ვისაც სხვისი აზრი აინტერესებს. მოუხმობ მეხსიერებას, დაძაბავ გონებას და დაუწყებ ლაპარაკს, ეუბნები შენს მოკრძალებულ აზრს მოვლენებზე. უეცრად შეამჩნევ, რომ არ გისმენს. იქნებ მეჩვენებაო, ფიქრობ, და განაგრძობ, მაგრამ უცნობი მოქალაქე უეცრად თვითონვე იწყებს ღაღადისს. თურმე მას შენი აზრი სრულიადაც არ აინტერესებდა. შენი სახით მსმენელი (თანაც ცოტა ავტორიტეტიანი მსმენელი) იპოვა. ჩაგავლებს ხელს და ჩაგყვირის. ბიჭი ხარ და რამეში არ დაეთანხმო; პროვოკატორის და უვიცის დაძახებას თავი გაანებე, მადლობელი იყავი, თუ შანტაჟი

არ მოგიწყო და პანღურისცემით არ მოგიშორა. ეს არის ლამის ტიპიური სურათი ორი ქართველის ურთიერთობის.

ამ აპოკალისფურ დროში ჩემთვის ყველაფერი გასაგებია, მაგრამ ალბათ ისე ჩავალ საფლავში, რომ ვერასოდეს გავიგებ, რატომ ესროდნენ ქართველები ერთმანეთს საშინელი კბილთაღრჭიალით 1993 წლის ოქტომბერში და რატომ გაუყუჩდა კეთილი ნების მსოფლიო დედამიწაზე დატრიალებულ უბედურებათა შორის ერთ-ერთი ყველაზე საშინელს, კოდორ-ჭუბერის ეპოპეას. ვერც ჟურნალისტებმა გააშუქეს სათანადოდ ეს ტრაგედია.

ჩვენ უნიჭიერესი ჟურნალისტები გვყავს, მაგრამ სამწუხაროდ მათი უანგარო შრომა სათანადოდ არ ფასდება. ვისაც არ ეზარება, ყველა ჭკუას ასწავლის ჟურნალისტს. უფრო მეტიც – თითსაც უქნევს მაღალი ტრიბუნიდან. ეს დაუშვებელია. სურვილით ის შეიძლება ვისურვო, რომ მეტი დამაჯერებლობისათვის პრესამ ოქროს ზომიერების გრძნობა არ უნდა დაკარგოს. ოპოზიციურმა პრესამ ხანდახან ხელისუფლების კარგი ნაბიჯის მიმართ მხარდაჭერაც უნდა გამოამჟღავნოს, ხოლო ოფიციოზმა ზოგჯერ ოპოზიციასაც თუ არ დაუთმო ტრიბუნა, მკითხველი მის მიმართ ინტერესს დაკარგავს.

საერთოდ კი, ჩვენი ძმა ჟურნალისტიც იშვიათად როდი სცოდავს. არ ვარგა ჟურნალისტური წინამასწარობა და დაუფიქრებელი სენსაციები. მახსოვს ერთხანს არძინბა არ ჩანდა, „გარდაცვლილი გახლდათ და მოსკოვის ერთ-ერთ მორგ-მაცივარში იყო შენახული“, მერე იყო და „არძინბა არ შეუშვეს გაეროში“. სინამდვილეში, არათუ შეუშვეს, გაეროს შენობაში პრესკონფერენციაც კი გამართა და უშიშროების საბჭოს წევრთა დიდ ნაწილსაც შეხვდა. ახლა ყოველდღე ვწერთ: სვანები თავიანთ საცხოვრებელს არ ტოვებენო, იქვე ორიოდე სტრიქონის შემდეგ მკითხველს ინფორმაციას ვაწვდით, ქუთაისის აეროპორტში სვანეთიდან გამოქცეული ლტოლვილების ტევა არ არის. ყოველდღე ლტოლვილთა ახალი ნაკადი ჩამოგვყავსო“. ვის ვატყუებთ? ჩვენ ხომ ფაქტიურად ლტოლვილთა დამბინავებელი რესპუბლიკა ვართ. ჩვენ ხომ, ბოლო ორი წლის მანძილზე მხოლოდ მოგვსდევენ და გვცემენ, ჩვენ კი მხოლოდ გამოვრბივართ და სხვა არაფერი.

ახლა მთავარია ბოლომდე არ ჩავეფლოთ იმპერიის ჭაობში, ჩვენი ეროვნული ატრიბუტები და თავისუფლების სიყვარული შევინარჩუნოთ. არ შეიძლება მომავალ თაობებს მოვუსპოთ ჩვენი მარცხის გამოსწორების საშუალება. იქნებ ხვალინდელმა საქართველომ არ

მოისურვოს ესენგეში ყოფნა? მსოფლიოს უდიდესი სახელმწიფოები ყველაფერს აკეთებენ, რათა რუსეთი, როგორც აგრესორი, დაასუსტონ და დემოკრატიის ფერხულში ჩააბან. ამერიკის მეთაურობით ეს საქმე მალე დაგვირგვინდება. ასე რომ, საქართველო მალე ისევ დაიძვრენს თავს რუსეთის მარწუხებისაგან. ჩვენმა მტრულმა გარემოცვამ არ შეგაშინოთ. სხვა მსოფლიო მოვა. გავლენის სფეროთა სხვა განაწილება შევა ძალაში. ისეთ კოალიციაში აღმოვჩნდებით, რომ დამოუკიდებელიც ვიქნებით და ბუზსაც ვერავინ აგვიფრენს. მთავარია ეროვნულ საღათას ძილს არ მივცეთ თავი და თავისუფლების სურვილი გულიდან არ ამოვიგდოთ.

21 აპრილი, 1994 წ.

იმედის ნაპერწკალი რომ არ ბჟუტავდეს

საქართველო უმძიმეს დღეშია. გარდა გულგატეხილობისა, შიმშილმაც დაგვრია ხელი.

თითქმის ყოველწლიურად ვახერხებდი ახალი წიგნის გამოცემას. ყველა წიგნს, რომელსაც ჩემი გვარი აწერია, თავისი ბიოგრაფია აქვს. წიგნის დაბადებას თავისი დრამატიზმიც ახლდა. იყო ჭიდილი მთავლიტთან თუ გამომცემლობასთან, შესულიყო თუ არა ესა თუ ის მამხილებელი ნაწარმოები ახალ კრებულში. მერე იყო ორმხრივი კომპრომისი და წიგნიც დაიბადებოდა ხოლმე. ახალმა ცხოვრებამ სხვა არაერთ სიხარულთან ერთად ეს სიხარულიც მოგვისპო. წიგნის გამოცემა თითქმის შეუძლებელი გახდა. მეც და ზოგიერთი ჩემი კოლეგაც იმ ზომამდე მივედით ამ შიმშილობის დროს, რომ გამომცემელს ვეხვეწებით: უარს ვამბობთ ჰონორარზე, ოღონდ გამოეცით ჩვენი წიგნი, ნუ მოგვიჭრით მკითხველთან მისასვლელ გზას. ჯერჯერობით მშველელი არ ჩანს. მუშაობით ვმუშაობთ იმაზე, რაზეც შარშან, ერთი წლის წინ, ათი წლის წინ ვმუშაობდი. ვწერ ნოველებს თანამედროვე ცხოვრებაზე, ჩვენს გაუხარებელ ყოფაზე, საქართველოს თავისუფლების ხელყოფაზე, ვწერ და ვალაგებ უჯრაში. იშვიათზე იშვიათად წელიწადში ერთი-ორი ნოველის დაბეჭდვას ვახერხებ. მანქანაზე გადაბეჭდვის სახსარიც არ გამაჩნია. ასე რომ, მე, და არა მარტო მე, როგორც მწერალი წარსული წლების ინერციით ვარსებობ; ახალს, რასაც ვქმნი, მკითხველამდე ვერ აღწევს და მგო-

ნი, ღმერთო შეგცოდე, არც მკითხველი ელოდება სულმოუთქმელად ჩვენს ახალ ქმნილებებს.

თანამედროვე საქართველოს მდგომარეობა არც ისე ძნელი დასახასიათებელია, როგორც უკანასკნელ ხანს პოლიტიკოსთა გაუთავებელ დისკუსიებში ჩანს. ხელისუფლების ზოგიერთი წარმომადგენელი ენერგიულად უმალავს ხალხს სიმართლეს, თორემ მთელმა მსოფლიომ ძალიან კარგად იცის, რომ 1992-93 წლების რუსეთ-საქართველოს უთანასწორო, სისხლისმღვრელ ომში, როგორც მოსალოდნელი იყო, რუსეთმა გაიმარჯვა და ამ საუკუნეში ხელმეორედ დაიპყრო საქართველო. თუ 1921 წლს თებერვალში მე-11 არმიამ ოკუპირებულყო საქართველო, 1993 წლის ოქტომბერში რუსის უძლეველი არმადა ფოთის ნავსადგურში 9 მრისხანე კრეისერით შემოიჭრა და საქართველო დაიპყრო. სხვა ყველა შეთანხმება და სამეგობრო ხელშეკრულება რუსეთთან, ქართველთა ხელშეწყობითვე გაფორმებული, დამორჩილებული, დამარცხებული ქვეყნის იძულებითი ნაბიჯია და სხვა არაფერი. მე ბრალს არავის ვდებ, მე მწერალი ვარ და მოვლენებს ჩემი სარკმლიდან ვუცქერი. საქართველოს გადარჩენის გზებს სხვები სხვადასხვაგვარად ხედავენ, მე კი მიმაჩნია, რომ ერის მიზანი და იდეალი თავისუფლება და დამოუკიდებლობაა, ხოლო ყოველი ნაბიჯი, ქვეყნის დამოუკიდებლობის ხელყოფისათვის გადადგმული – ერის სურვილის წინააღმდეგ წასვლას ნიშნავს. ქართული ფილოსოფიის, ქართული მწერლობის, ქართული სახელმწიფოებრიობის მთელი ისტორია თავისუფლებისათვის ბრძოლის ისტორიაა. ნებით თუ უნებლიე პოლიტიკურ მარცხს ხვალინდელი საქართველო პირუთვნელად შეაფასებს, დრო ყველაფერს განსჯის. გული იმაზე მწყდება, რომ ზოგიერთი პოლიტიკოსი ქართველ ერს თვალში ნაცარს აყრის და ცდილობს, დამარცხება გამარჯვებად მოაჩვენოს. „ვერ მააწონებთ კარგ ყმასა, რაც არ უჯდება ჭკვაშია“, – უთქვამს ვაჟა-ფშაველას. დაგვიპყრო რუსეთმა, მორჩა და გათავდა, რად უნდა ამას შელამაზება და ფერუმარილი. ვინც ამას არ აღიარებს, იგი ერში თავისუფლებისთვის ბრძოლის სურვილს კლავს. ხომ შეიძლება, ჩვენმა შვილებმა არ ისურვონ რუსის ტყვეობაში ცხოვრება. რა უფლება გვაქვს, მათ გზაკვალი ავურიოთ, საქართველო მონობას არც ერთ საუკუნეში არ შეგუებია (ერის საუკეთესო ნაწილზე მოგახსენებთ), არც ახლა შეურიგდება.

ჩვენს დამარცხებაში მთავარი დამნაშავე ეს საშინელი დროა. რუსეთმა არ დაგვთმო, პირიქით უმკაცრესად დაგვსაჯა თავისუფლების სურვილისათვის. 1993 წელს საქართველო არასოდეს დაივიწყებს. ჩემთვის აბსოლუტურად გაუგებარია, რატომ გაგვწირა რუსმა ასე. იმპერიის დამქაშებმა, ახლა რომ რუსეთის სათავეში არიან, ერთი წლის განმავლობაში საქართველოს მოუკლეს 30 000 პატრიოტი მებრძოლი და 300 000 მცხოვრები თავიანთი მშობლიური მიწიდან გამოყარეს, უსახლკაროდ დატოვეს. 1921 წელს იმპერიის კარზე ორ ქართველს უზარმაზარი თანამდებობები ეჭირა, მათ შეეძლოთ საქართველოსთვის აეცილებინათ მე-11 არმია, შევარდნაძეს კი ეს არ შეეძლო. შევარდნაძე სამჯერ სასიკვდილოდ გაწირეს რუსებმა. ერთხელ, როდესაც მის თვითმფრინავს ესროლეს ჩამოსაგდებად, მეორეჯერ, როდესაც 27 ივლისის ხელშეკრულებით მუხანათურად მოატყუეს და სოხუმი თავზე დაამხეს, და მესამეჯერ, როდესაც სამოქალაქო ომი მოუწყვეს და არა მარტო სამტრედია-ქუთაისის, არამედ თბილისის აღებითაც დაემუქრნენ. ეს ყველაფერი მხოლოდ იმიტომ ხდებოდა, რომ საქართველოს „ურჩი მეთაური“ სნგ-ში შესვლას აგვიანებდა.

საჯაროდ ვაცხადებ, სნგ-ში შესვლა ბოროტებაა?

თუ იმ ინერციის მიხედვით ვიმსჯელებთ, რა ინერციითაც ესენგეს მიაქანებენ რუსეთის დღევანდელი ხელისუფალნი, რასაკვირველია, ბოროტებაა. სნგ რომ იყოს დამოუკიდებელ სახელმწიფოთა კეთილი ნების გაერთიანება, მაშინ ამ გაერთიანებაში შესვლა დიდად საშიში არ იქნებოდა საქართველოსთვის, მაგრამ ხომ ხედავთ, ჩვენს თვალწინ აშკარად მიმდინარეობს იმპერიის რესტავრაცია, ხომ ხედავთ, როგორ დასაჯა იმპერიამ ტაჯიკეთი, საქართველო და აზერბაიჯანი. რუსეთი უკვე გაღმა გასულ ბალტიისპირეთსაც კი ებღაუჭება და სერბიასაც ბოევიკებს უგზავნის. ასე რომ, მსოფლიოს არა ჰყავს ახლა უფრო დიდი აგრესორი, ვიდრე იმპერიული რუსეთია.

ნუთუ აბსოლუტურად ვერაფერი მოვიგეთ სნგ-ში შესვლით? კითხულობენ.

თუ გნებავთ ერთ „მოგებას“ დაგისახელებთ. მოვიწვიეთ ელცინი, გრაჩოვი და მათი თანმხლებნი. საქართველოში ელცინს დაბადების დღე გადავუხადეთ, გულთბილი სიტყვები ვუთხარით, ერთგულება შევფიცეთ. თვითონაც გული აუჩუყდა, ძველებურად ერთგული საქართველო რომ იხილა. გაფრინდა თავის სატახტო ქალაქში და მეორე დღეს თითქოს ნიშანი მისცესო, აფსუებმა და კონფედერაციის ყაჩაღებმა მთელი სისასტიკით დაიწყეს გალში ჩარჩენილი ქა-

ლების, ბავშვების და მოხუცების წამება. თოვლში, ყინვაში ფეხშიშველანი გამოდევნეს ისინი ისტორიული სამურზაყანოდან. ამაოდ რეკავდა მოსკოვში საქართველოს სახელმწიფოს მეთაური. ტელეფონთან არც ელცინი მოდიოდა, არც გრაჩოვი. ზუსტად ანალოგიური სიტუაცია განმეორდა, რაც სოხუმისა და გაგრის აღების დროს მოხდა. გულუბრყვილობაა, თითქოს ელცინმა და გრაჩოვმა არ იცოდნენ გალის ტრაგედიის შესახებ. ცნობა მათ ამ ენით გამოუთქმელ ვანდალიზმზე 15 წუთის შემდეგ მაგიდაზე ედებოდათ, მაგრამ „ნე ვიჟუ“-ს ნაცად ხერხს მიმართეს და ეს მაშინ, როდესაც რუსეთთან ყოვლისმომცველი ხელშეკრულება გვქონდა დადებული და სნგ-შიც საიმედოდ ვიყავით დაბინავებული. რა ჰქვია ამას, თუ არა ზიზღის გამომჟღავნება საქართველოს მიმართ. რა ჰქვია ამას თუ არა მუხთლობა.

რითი გავანაწყენეთ?! ხანდახან თხუთმეტკაციან მიტინგზე რომელიმე პატრიოტი რომ წამოიძახებს „გაუმარჯოს თავისუფლებას ძირს ბოროტების იმპერიაო?!“ იქნებ იმით, რომ ათასტირაჟიან ოპოზიციურ გაზეთში ხანდახან სტატია გამოჩნდება იმპერიის აღდგენის წინააღმდეგ მიმართული?! ამ უკანასკნელ წლებში თქვენ ვერ დამისახელებთ საქართველოს პარლამენტის ან მთავრობის ვერც ერთ დოკუმენტს მიმართულს რუსეთის წინააღმდეგ. თვით ყველაზე უკიდურესი ოპოზიციონერიც არ ქადაგებს რუსეთთან კავშირის გაწყვეტას, პირიქით, სნგ-ს თავგადაკლული მოწინააღმდეგენიც ყოველთვის ამბობდნენ: რუსეთთან, როგორც თანასწორ სახელმწიფოსთან, ნორმალური, მეგობრული ურთიერთობა დავამყაროთ, ისეთი როგორიც თურქეთთან, ირანთან, ჩინეთთან, გერმანიასთან გვაქვს დამყარებულიო.

როგორც ჩანს, რუსეთის იმპერიამ ლამის დათმო ბალტიისპირეთი, მაგრამ საქართველოს დათმობაზე ერთი წუთითაც არ უფიქრია. იმპერიამ იცის, რომ საბოლოოდ მაინც ვერ დააჩოქებს საქართველოს. იცის, რომ ქართველი კაცი გულიდან არ ამოიღებს რუსეთის კლანჭებისგან თავის დახსნის ოცნებას. ამიტომაც დღეს უკვე ყველასათვის ცნობილია, რომ რუსეთმა საქართველოს, როგორც სახელმწიფოს საბოლოოდ დაშლა, დანგრევა გადაწყვიტა. დავით აღმაშენებლის დროს საქართველო იყო 350000 კვადრატული კილომეტრი, მე-20 საუკუნის დასაწყისში ჩვენ მესამედზე ცოტა ნაკლები ტერიტორია შემოგვრჩა – 111000 კვადრატული კილომეტრი. ამ საუკუნეში რუსეთმა ჯერ ჩამოგვაჭრა 44000 კვ. კილომეტრი,

ნაწილი თვითონ შეიერთა, ნაწილი მეზობელ ქვეყნებს დაურიგა, თითქმის გაგვანახევრა. 1992-93 წლებში რუსეთ-საქართველოს ომში საქართველოს დამარცხების შემდეგ, რუსეთმა ჩამოგვაჭრა 25000 კვ. კილომეტრი, დიახ, ამ საუკუნეში რუსეთმა მიაღწია იმას, რომ საქართველოს ტერიტორია 111000-დან 51000-მდე დავიდა, მითხარით აბა, რომელმა მტრებმა ჩაიდინეს საქართველოს მიმართ ასეთი გაუგონარი კატასროფულშედეგებიანი სიმხეცე? არაბებმა, თურქებმა, სპარსელებმა თუ მონღოლებმა?

რაც დრო გადის იმედი უფრო და უფრო მეწურება. ჩვენ ისეთი ვეშაპი გვაზის თავზე, რომლის შიშითაც მთელი მსოფლიო ძრწის და კანკალებს. რუსეთის ხათრით თვით ძლევამოსილი ამერიკაც და გაეროც ღარიბი ნათესავივით გვიცქერის. ხანდახან ვფიქრობ, აფხაზეთის და სამაჩაბლოს დაბრუნების იმდენივე შანსი არსებობს, რამდენიც ტაო-კლარჯეთის, სოჭის ოლქის, ლორეს და საინგილოს დაბრუნებისა. ე. ი. ძალიან ცოტა თითქმის მიზერული. ეს ხელოვნურად გაწელილი საკომისიო შეხვედრა-რაუნდები დროის გაყვანის პოლიტიკას და სატყუარას უფრო ჰგავს. რა იმედი უნდა მქონდეს ხელშეკრულებისა, რომელშიც ოჩამჩირე-სოხუმ-გუდაუთა-ბიჭვინთაში ქართველთა დაბრუნებაზე სიტყვაც არ არის ნათქვამი, ხოლო გალში მხოლოდ ის ქართველები უნდა დაბრუნდნენ, ვისაც სამშობლო მიწის დასაცავად არ უბრძოლია. ეს ყველაფერი განა უბედურება არ არის? იქნებ გაუგებრობაა? ხელშეკრულება დამნაშავეებს მხოლოდ ქართველ ლტოლვილებში ეძებს. კაცობრიობის წინააღმდეგ არძინბას ხროვის მიერ ჩადენილ დანაშაულზე კი კრინტსაც არ ძრავს. ვინ უნდა გადაარჩიოს აფხაზეთში თავის მიწაზე დასაბრუნებელი ქართველები? არძინბას ხროვამ?! „ვაი სირცხვილო, სადღა არის შენი სიწითლე?!“ ძალიან სკეპტიკური ვჩანვარ ჩემს ფიქრებში, განა ფაქტებით არ ვლაპარაკობ?! განა არ იგრძნობა, რომ გაეროც და დასავლეთიც ბევრს ეცადნენ განრისხებული რუსეთისათვის საქართველოსათვის თუნდაც ოდნავ სასარგებლო რამ, ჭეშმარიტებით განპირობებული, გამოეთხოვათ, მაგრამ ჯერჯერობით ვერას გახდნენ. მოაწერეს მოსკოვში ხელი ხელშეკრულებას. უკანმიდევნებული ლამპარივით იყო უკვე ხელმოწერილი ტექსტის განხილვა საქართველოს პარლამენტში და, როგორც ყველა აქამდე რუსეთ-გაეროს შუამდგომლობით დადებული ხელშეკრულება, ესეც უტიფრად დაირღვა. სვანეთში (არავითარი აფხაზეთის სვანეთი არ არსებობს), სადაც აფსუას ექსკურსიაზეც

კი არასოდეს დაუდგამს ფეხი, რუსის ტანკებზე ამხედრებული გადამთიელები ქართველებს კვლავ უმოწყალოდ ანადგურებენ და ეს ხდება მთელი მსოფლიოს თვალწინ. ეს ხდება ელცინ-გრაჩოვის დასტურითა და ხელდასმით. დამიჯერეთ, რუსეთის სურვილი რომ არ ყოფილიყო, არც სოხუმს აიღებდნენ და არც საქართველოს ხელახალი ოკუპირება მოხდებოდა. რუსეთის სურვილი რომ არ ყოფილიყო ვერც ერთი კონფედერანტი, გარეწარი ვერ დაადგამდა ფეხს აფხაზეთის მიწაზე. აი, ახლაც სვანეთში ქართველთა წინააღმდეგ მებრძოლი რამდენიმე კაზაკი მოკლეს და ტყვედ აიყვანეს. ვინ არიან, რომელი სახელმწიფოს მოქალაქეები არიან ისინი, როგორ ფიქრობთ? გაგიგონიათ თქვენ აქამდე ეროვნება კაზაკი? რუსები არიან, რუსები.

მე ეროვნული სახელმწიფოს მომხრე ვარ. არც თურქეთს, არც ირანს, არც საფრანგეთს, არც გერმანიას, არც ამერიკას თავიანთ ფარგლებში პატარ-პატარა გამოგონილი სახელმწიფოები არ გააჩნიათ. საქართველო ერთიანი სახელმწიფო უნდა იყოს, თავისი მრავალეროვანი მოსახლეობით, მაგრამ თუ დღევანდელი აწეწილ-აბურდული სიტუაციის გამო მცირეოდენ დათმობებზე წავალთ, ერთიანი, მონოლითური სახელმწიფოს დროშის ქვეშ საქართველოში შეიძლება გამოიყოს მხარეები ეთნიკური კუთხეების მიხედვით. ოღონდ ყოველგვარ პოლიტიკურ ავტონომიაზე უარი უნდა ითქვას, ჩვენმა კონსტიტუციამ. ავტონომიური ოლქი, თუ ავტორესპუბლიკა ეროვნული სახელმწიფოს მუცელში ჩადებული ისეთი ნაღმია, რომელიც ადრე თუ გვიან უსათუოდ ამოქმედდება და ახალ პრობლემებს გაუჩენს ჩვენს შვილებს და შვილიშვილებს.

საქართველოს დღევანდელი უბედურების გამო ჩემს ნოველებსაც, ბუნებრივია, სევდა და წუხილი მოეძალა. მკითხველები ხშირად მეუბნებიან იუმორის გრძნობა ხომ არ დავკარგე, შენი ნოველები პოლიტიზირებული გახდაო. ალბათ, ნაწილობრივ მართალია, მწერალი მაინც განწყობილების შვილია და მეც ამ განწყობილებას ვერ გავექეცი. თუმცა, არა მგონია ირონია არ იგრძნობოდეს ჩემს ახლახანს გამოქვეყნებულ ნოველაში „ქიონია“. ყველაფერი იქიდან მოდის, რომ მე ვერ წარმომიდგენია მწერლობა სამშობლოს ბედზე ჭმუნვისა და მის ყოველდღიურობაში აქტიური მონაწილეობის გარეშე. რაც შეეხება სატირას და ირონიას, იგი ჩემი ნოველების სტილური ხერხია და შეძლებისდაგვარად ყოველთვის მივმართავ. არ ვიცი, ოდესმე გავხდები თუ არა უფრო იმედიანი და მხიარული. ეს

მხოლოდ საქართველოს მომავალზეა დამოკიდებული. თუ ღმერთმა ქნა და სასიკეთოდ გაგვითენდა, მეც წელში გავიმართები.

საქართველო, ალბათ, ერთადერთი ქვეყანაა დედამიწაზე, სადაც არსებობს ეროვნული ფულის სუროგატი, რომლის მსყიდველობითი უნარიანობა ნულის ტოლია. მე ვარ უნივერსიტეტის კათედრის გამგე, პროფესორი და ამავე დროს ჟურნალ „ღიმილის“ მთავარი რედაქტორი. ორივეგან ერთად თვეში ვიღებ 300000 კუპონს, ეს არის ჩემი მთელი შემოსავალი. ჩემი მდგომარეობის გამო მე უნდა ვითვლებოდე საზოგადოების უზრუნველყოფილ ნაწილად. ახლა თქვენ წარმოიდგინეთ, რა მდგომარეობაში იქნებიან სხვები. გასაოცარია ქართველი კაცის მოთმინება. მან იცის, რომ ქვეყანას უჭირს, დღითი დღე გადასწევს ხოლმე ქამრის ბალთას, მაგრამ არ წუწუნებს, ქუჩაში არ ჯდება და არ ტირის. შიმშილმა თავმოყვარეობის გრძნობა ვერ ჩაკლა ქართველ კაცში. თითო-ოროლა ქურდბაცაცები ერის სახეს ვერ ქმნიან და ასეთ ერზე ხანდახან მოუფიქრებლად გაივლის ხოლმე ზოგიერთი უმწიფარა და გაქსუებული თვითმგვემი. სასტიკად მაღიზიანებს მათი „გულუხვობა“. ეს რა საშინელი, რა გულნამცეცა, რა ურთიერთმოძულე ერი ვყოფილვართო. არ არის ასე. ქარველი ერი თავისის სიდარბაისლით, სიკეთით, გამორჩეული ერი იყო საუკუნეების განმავლობაში და არის ახლაც. დაიწმინდება პოლიტიკური ამინდი, დასავლეთი დაასრულებს მის მიერ აღებულ სწორ პოლიტიკურ-ეკონომიკურ კურსს, რუსეთის იმპერიის თანდათანობითი დასუსტებისას, რათა რუსეთი ჟირინოვსკის სახელმწიფოდ, ან იქცეს ნორმალურ, თვინიერ, სუვერენულ, თავის კანსა და საზღვრებში დატეულ სახელმწიფოდ. მოხდება გავლენის სფეროთა ხელახალი გადანაწილება და ეკონომიკასაც უსწრაფესად ეშველება. საქართველოს მაღაზიებიც ისევ აივსება შემოზიდული თუ ადგილობრივი წარმოების პროდუქტებით, როგორც ბუნებრივი რესურსებით საქართველოსთან შედარებით ღარიბი თურქეთის მაღაზიებია ავსებული. საქართველოს გამათხოვრება არავითარ ეკონომიკურ ლოგიკას არ ემორჩილება, ეს იმპერიის მიერ დაგეგმილი ხელოვნური გამათხოვრებაა. ისევ და ისევ ქართველის ილაჯის გაწყვეტისაკენ მიმართული. მანამდე კი, ჩვენ უნდა ვიბრძოლოთ ჭკვიანურად, როცა საჭიროა მოთმინებითაც უნდა აღვიჭურვოთ. მონობას არც ერთი წუთით არ უნდა შევეგუოთ, მაგრამ კედელსაც შუბლი არ უნდა ვახალოთ. ჩვენი ისტორია, იმის ისტორიაა, რომ საქართველო სწორედ მაშინ დაიგრგვინებდა, როცა საჭირო იყო, როცა ამისათვის სათანადო ისტორიული პირობები არსებობდა.

უფროსი თაობის ზოგიერთ წარმომადგენელს, თავისი განსხვავებული ცხოვრების წესის გამო, ზოგჯერ ეჩვენება, რომ ახალგაზრდობა მის იმედებს ვერ ამართლებს. უკანასკნელი წლების მოვლენებმა არავის არ უნდა დაუტოვოს ამ ეჭვის საფუძველი. ჩვენმა ახალგაზრდებმა პოლიტიკური სიმწიფის, სამშობლოს ერთგული დაცვის მაგალითი გვიჩვენეს, არა მარტო მაგალითი, არამედ ისტორიული გაკვეთილი მისცეს მომავალ თაობებს. რა ენა უნდა მოგიბრუნდეს, ასეთ ახალგაზრდებზე აუგი წამოგცდეს კაცს. ეს მაშინ ხდება, როცა ჩვენმა სინამდვილემ ახალგაზრდულ ოპტიმიზმს ყოველმხრივ შეაკვეცა ფრთები. ჯერ იყო და ეროვნული მოძრაობის იმედით გალაღებულებს პროვინციულ-უზურპატორული წყობა შევთავაზეთ, მერე სამშობლოს დასაცავად რომ გავუშვით, მოტყუებით განვაიარაღეთ, შიშველი ხელებით დავტოვეთ მრისხანე მტრის წინაშე და ბევრი მათგანის საფლავიც დაგვეკარგა. ახლა, თითქმის, სრულებით არ ვპატრონობთ დაღუპულთა და დაჭრილთა ოჯახებს. მიუხედავად ამისა, ახალგაზრდები მაინც სიყვარულითა და იმედით გვიცქერიან. მე ლექციაზე რომ შევდივარ, ან ახალგაზრდათა აუდიტორიაში გამოვჩნდები, მრცხვენია ხოლმე ისე სუფთა და საყვარელნი არიან ისინი. ამას ვამბობ მე, რომელსაც, რევერანსად ნუ ჩამომართმევთ, მათთვის არც ყალბი დაპირებები მიმიცია, არც მრუდე სიტყვა მითქვამს და ზოგიერთივით ისინი სწორი ეროვნული ფიქრიდან განზე არ გამიტყუებია. ახლა ზოგჯერ უკვირთ ახალგაზრდების მასობრივი პოლიტიკური გაჩუმება. მე მგონი ეს პოლიტიკურ ინდიფერენტიზმს კი არ ნიშნავს, არამედ ქარიშხლის წინ ჩამოვარდნილ ავისმომასწავებელ სიჩუმეს.

რწმენა მხოლოდ მორწმუნეთათვის არის ყველაფერი, მორწმუნენი დიაღაც რომ, „ნეტარ არიან“, მაგრამ მე ვფიქრობ, გამართლებული არ უნდა იყოს რომელიმე სარწმუნოების გაუთავებელი პროპაგანდა საინფორმაციო საშუალებებიდან სხვა რელიგიისადმი სრული უყურადღებობის ხარჯზე. მე ქრისტიანი გახლავართ, მაგრამ უაღრესი მოწიწება და პატივისცემა მაქვს სხვათა რწმენის, სხვა რელიგიების მიმართ და არასოდეს არ ვცდილობ ან ნაწერებში, ან პირად გამოსვლებში ქრისტიანობის უზესთაესობას, უჭეშმარიტესობას გავუსვა ხაზი. მსოფლიოში ათ მილიონამდე ქართველი ცხოვრების და მათ შორის ნახევარზე გაცილებით მეტი ექვსი მილიონი მაჰმადიანია. აბა, თუ წაიკითხავთ, ან თუ მოგისმენიათ ოფიციალური არხებით მაჰმადიანური სარწმუნოების ამა და ამ დღესასწაულის

შესახებ; რელიგიას საზოგადოების ცხოვრებაში თავისი ადგილი უნდა ჰქონდეს. არც მეტი, არც ნკლები. გაუთავებელი რელიგიური პროპაგანდა ზოგჯერ უკუშედეგს იღებს და იმის საშიშროებასაც ქმნის, რისთვისაც ჩვენ ასე უმოწყალოდ სწორად ვაკრიტიკებდით ხოლმე მარქსიზმის პროპაგანდისტებს. ვინც მორწმუნეა, ის ეკლესიაში თვითონ მივა და ილოცებს. ეკლესიის მსახურის ყოველდღე ტელევიზიით გამოყვანა და მრავალათასიანი ლიტანიების თავიდან ბოლომდე გადმოცემა, ჩემი წარმოდგენით, სხვა რელიგიის მიმდევრებს გააღიზიანებს და მაინცდამაინც არც საქართველოს ერთ მონოლითურ მუშტად შეკვრას შეუწყობს ხელს.

ხანდახან გამაგონებენ ან წამაკითხებენ ხოლმე, რევაზ მიშველაძემ სამშობლოს დაცვას ერთადერთი შვილი შესწირაო. ეგ არ არის მართალი, მე არ შემიწირავს, თვითონ შეეწირა. 20 წლის ბიჭმა კარგად იცოდა, რასაც აკეთებდა და რაზეც მიდიოდა. ომში რომ მიდიოდა, ყოველთვის ცხარედ ვკამათობდით. მე ვეუბნებოდი თავს გაუფრთხილდი, იმპერია გვებრძვის, სოხუმს მაინც აიღებენ-მეთქი. მერე რაო, უფრო დიდი უბედურება იქნება, რომ არ ვიბრძოლოთ და სოხუმი ისე ჩავაბაროთ მტერსო. მე ვიცი რუსეთს ვერ დავამარცხებთ, მაგრამ განა ყველა ომში იმარჯვებდა ქართველი? ასეთი ყოფილა ჩვენი ისტორიული ბედი და რას ვიზამთო, მეორეც, შენ მწერალი, მოღვაწე კაცი ხარ და მე საქართველოს არ ვათქმევინებ, რევაზ მიშველაძემ თავისი შვილი გადამალაო. ასე დამეხმარა ჩემი შვილი, ასე გამაკეთილშობილა მან მე თავისი სიკვდილით. იგი სხვა ბიჭი იყო, დიდი გული ჰქონდა. რისხვით აენთებოდა თვალები, როცა საქართველოს მიწების ხელყოფას გაიგონებდა. მისი სიკვდილი ალბათ ჩემი ბრალიც არის. ჩემს სახლში საუბარი უპირატესად საქართველოს ბედზე იყო, მისთვის თავდადებაზე. გული მწყდება ზოგიერთი პოლიტიკოსი სოხუმში ქართველთა დამარცხებას ქართველებისვე უნიათობით და ღალატით რომ ხსნის, ეს ან პოლიტიკური სიბეცით მოსდით, ან შეგნებულად ამღვრევენ წყალს. მტერი სოხუმს მაინც აიღებდა და აფხაზეთს მაინც წაგვართმევდა, რადგან დაბეჯითებით ვიმეორებ, ეს იყო რუსეთ-საქართველოს ომი და სხვა არაფერი. ამ ომის ყველა მონაწილე გმირია. პატარა საქართველო უზარმაზარ იმპერიას შეებრძოლა და ღირსეულად დამარცხდა. პროვოკატორები არიან ისინი, ვინც ქართველში ლაჩარსა და ძაბუნის სინდრომს ნერგავს. ეს მიუტევები ცოდვაა ჩემი აჩიკოს და აჩიკოსთანა ბიჭების წინაშე.

მე ვიქნებოდი ათასგზის უფრო უბედური კაცი ჩემს გულში

იმედი ნაპერწკალი რომ არ ბჟუტავდეს. ამ იმედით გულმოცემული გავდივარ ყოველდღე სახლიდან. საქართველოს მრავალსაუკუნოვანი ტანჯული ისტორიაა იმის დასტური, რომ ჩვენ არ დავილევით, არ გადავშენდებით, ჩვენი ეროვნული გენი ძლიერია. მას ჯერ სიბერე არ შეჰპარვია. თქვენი, ახალგაზრდების იმედი უფრო მაქვს, ვიდრე ჩემი თაობის. თუ ჩვენ ვერ მოვახერხებთ ამ საუკუნეში მესამედ თავისუფლების სარკმელი ერთხელ კიდევ გამოვგლიჯოთ და დამოუკიდებლობის ნანატრ ჰაერს მივუშვიროთ შუბლი, იმას მაინც გავაკეთებთ, რომ თავისუფლება შეგაყვაროთ და მისთვის ბრძოლა დაგიდოთ უორჭოფო ანდერძად.

13 მაისი, 1994 წ.

თუ ხელისუფლება მოინდომებს

მძიმე სოციალურ-პოლიტიკურმა მდგომარეობამ და ეკონომიკურმა სიდუხჭირემ ნოყიერი ნიადაგი შექმნა ეროვნული ნიჰილიზმის გაღვივებისათვის. იმძლავრა გატეხილი, დამცირებული და სასოწარკვეთილი კაცის ფსიქოლოგიამ. აქა-იქ უკვე საკმაოდ ხმამაღლა გაისმის ძველი ჰანგები ჩრდილოელი „ძმისაგან“ დახმარების ძიების თაობაზე.

ასეთ პირობებში ოპტიმიზმი და გაუტეხელი სული უნდა იქცეს ქართული სახელმწიფოებრიობის გადამრჩენ მაშველ რგოლად.

სანამ მდგომარეობიდან გამოსვლის გზებს დავსახავდეთ, ჯერ „მდგომარეობას“ დავარქვათ თავისი სახელი: 1992-93 წლების რუსეთ-საქართველოს ომში რუსეთმა დაგვამარცხა და დაგვიპყრო. ახლა ჩვენი ქვეყანა – საქართველო რუსეთის მიერ ოკუპირებული და ანექსირებული ქვეყანაა. დაპყრობილ ქვეყანას დამპყობელი (რუსეთი) როგორც სურს, ისე ექცევა. ეს მთელმა მსოფლიომ იცის და ამას მთელი მსოფლიო ხედავს.

დამპყრობელი ქვეყნის მესვეურს შეუძლია დაპყრობილი ქვეყნის მის მიერ შერჩეული ხელმძღვანელი გუდაუთაში ჩააფრინოს და მოსისხლე მტრისთვის ხელი ჩამოართმევინოს, მერე დასასვენებლად მყოფ „იმპერატორს“ მიჰგვაროს, ტრიბუნაზე აიყვანოს და ათქმევინოს – მე დაპყრობილი როდი ვარ, რუსეთს ჩემი ნებით ჩავეხუტე

და რუსეთი გადამიწყვეტს ყველა ჩემთვის სასურველ პრობლემასო. თუ ამას არ გააკეთებს დაპყრობილი ქვეყნის ხელმძღვანელი, რესტავრირებული იმპერია სხვა მეთაურს შეარჩევს. სიმართლე თუ გნებავთ, ეს არის.

ახლა გამოსავალზე ვთქვათ: ამ საუკუნეში რუსეთმა მეორედ დაგვიპყრო და საქართველოს ეშველება (ე. ი. თავისუფალი გახდება) მხოლოდ მაშინ, როცა იმპერია საბოლოოდ თუ არა იმდენად მაინც დაინგრევა, რომ ჩვენ მისი კლანჭებიდან გასხლტომა შევძლოთ. ჩვენ ამ ეტაპზე მხოლოდ ის უნდა გავაკეთოთ, რომ რუსეთის ხელში მარიონეტად კი არ ვიქცეთ, ვიცხოვროთ გონივრული პოლიტიკის გატარებით. მოვითხოვოთ, რაც გვეკუთვნის, რაკი ახლა ის დრო არ არის, რომ რომელიმე ქვეყანამ გამოაცხადოს – მე ეს ქვეყანა დავიპყარიო, ჩვენც გამოვიყენოთ ეს სიტუაცია და, თუ რუსეთი თავის „სამშვიდობო მისიას“ არ შეასრულებს, უარი ვთქვათ სამშვიდობო ძალებზე და მსოფლიოს ვამცნოთ, რაც დაგვმართა დამპყრობელმა. ვიმეორებ, მსოფლიომ ყველაფერი კარგად იცის, მაგრამ ჩვენ მიერ ნათქვამი სჭირდებათ საერთაშორისო ინსტიტუტებს რუსეთის მიმართ გარკვეული სანქციების გასატარებლად.

მწერლის მისია ის არის, რაც ოდითგან იყო, რაც ილია ჭავჭავაძემ გვიანდერძა, ქართველმა მწერალმა არ უნდა მისცეს საქართველოს ჩაძინების საშუალება, ნიადაგ უნდა შეახსენოს მისი მდგომარეობა, არ შეაგუოს მონობას. რაკი ილია ჭავჭავაძე ვახსენე, აქვე ვიტყვი, რომ შემაძრწუნებელია ზოგი ვაიპოლიტიკოსის სურვილი ილია ჭავჭავაძე საქართველოს რუსეთის იმპერიაში დარჩენის მომხრედ გამოაცხადოს. განა „მგზავრის წერილები“, „კატკოვის პასუხად“, „იანოვსკის“, „ქვათა ღაღადი“, რომელი ერთი ჩამოვთვალო, მკაფიოდ არ მეტყველებენ დიდი ილიას პოზიციაზე ამ მხრივ? განა ლელთ ღუნიას ამონაკვნესი – „აწინა რუსობაჩი ვართ“, არ არის საბუთი, ან, განა ილიამ არ თქვა 1905 წლის 6 მარტს „რაც რუსისთვის სასარგებლოა, ის შეიძლება, ქართველისთვის მავნე იყოსო“?

აფხაზეთის საკითხი მშვიდობიანი გზით მხოლოდ მაშინ გადაიჭრება საბოლოოდ, როცა იმპერია დაინგრევა და საქართველო დამოუკიდებლობას მიაღწევს.

ახლა ჩვენი მტერი – რუსეთი, რასაკვირველია, ამ საკითხს ჩვენთვის სასურველად არ გადაგვიწყვეტს. საერთაშორისო ორგანიზაციების მოსატყუებლად იგი, ალბათ, დაგვაბრუნებინებს ლტოლვილთა ნაწილს აფხაზეთში, მაგრამ იმდენს და ისეთი სტა-

ტუსით, რომ თავის მიწაზე ქართველებმა იქ ვერც დემოგრაფიული ამინდი შექმნან და ვერც პოლიტიკური. სანამ რუსეთი ჩვენი „მფარველია“, აფხაზეთი ჩვენი ვერ იქნება და ვერც სამაჩაბლო. ახლა მთავარია, ისეთი კონსტიტუცია შემოვიღოთ, რომელშიც საბოლოოდ წაიშლება ავტონომიების მცდარი, მთელ მსოფლიოში ყბადაღებული ინსტიტუტი და აფხაზეთიც ისეთივე უფლებებით შემოვა საქართველოს ფარგლებში, როგორც მისი სხვა კუთხე – რაჭა ან გურია. სხვა მხრივ კი ხელსაყრელ დროს უნდა დაველოდოთ.

ჩვენი შვილების თავგანწირვას აფხაზეთის ტერიტორიაზე რუსეთ-საქართველოს ომში უშედეგოდ არ ჩაუვლია. ამით მსოფლიომ დაინახა, რომ ქართველებში დიდგორისა და ბასიანის გენი ისევ ფეთქავს. ჩემმა შვილმა ამ ომში წასვლის წინ მითხრა – ვიცი, მამაჩემო, ჩვენ რუსეთს ომს ვერ მოვუგებთ, მაგრამ ეს ომი ისტორიისთვის არის საჭირო, მსოფლიომ უნდა დაინახოს, რომ ჩვენ არც ერთ მტკაველს ჩვენი მიწისას უბრძოლველად არ ვთმობთო. წავიდა და დაიღუპა, მე, სხვებივით ვერ დავმალავდი ჩემს შვილს. საქართველოს უბედურება ჩემზეც უნდა განაწილებულიყო.

იმ დაღუპული ბიჭების ცოდვა იყოს იმათ კისერზე, ვინც იცოდა, რომ რუსეთს ვეომებოდით და მაინც უხმობდა მთელს საქართველოს, სოხუმთან სასიკვდილოდ. დიახ, რუსი გვებრძოდა სოხუმშიც და რუსი მოდიოდა თბილისის ასაღებად, ხონთანაც და სამტრედიასთანაც. რატომ? რაკი საქართველო ესენგეში შესვლას აგვიანებს, ჭკუა ვასწავლოთო... გვასწავლეს კიდეც, არც ერთ აგრესორს ისე არ დაუსჯია თავისი კოლონია, როგორც ჩვენ რუსეთმა დაგვსაჯა: მოგვიკლა 30 ათასი პატრიოტი, წაგვართვა 25 ათასი კვ. კმ. და 300 ათასი კაცი სახლ-კარიდან გამოგვიყარა, კიდევ მეტი, როცა 300 ათასი კაცი კოდორ-ჭუბერის ვიწროებში იტანჯებოდა, რუსეთმა მსოფლიო სამაშველო სამსახურებს ნება არ მისცა განწირულ ადამიანებს დახმარებოდნენ. მხოლოდ მეოთხე დღეს გამოაღწია უკრაინის ხუთმა ვერტმფრენმა მკვდრების ასახიკავად.

როცა ამხელა მსხვერპლის ფასად „შეგვამზადეს“, დაგვაჩოქეს და დაჩოქილი შეგვათრიეს ესენგეში.

დაიღუპა 30 ათასი კაცი. ამ უბედურებისთვის მორალური პასუხისმგებლობაც კი არავინ იკისრა. განიარაღებული, მოტყუებული დაღუპული ბიჭების ოჯახებს დახმარებას კი არა, ორსტრიქონიან ქაღალდსაც კი არ აძლევენ, რომ მათი შვილი მამულისთვის ბრძოლაში დაიღუპა ან უგზო-უკვლოდ დაიკარგა.

გაძვალტყავებულ მშიერ კაცს რომ პურს (ერთადერთ იმედს შიმშილით სიკვდილისაგან) გაუძვირებ, მე არ ვიცი, ეს რა სასიკეთო რეფორმაა. რეფორმების რთულ ნიუანსებში, ალბათ, თვითონვე უკეთ ერკვევიან, მაგრამ ერთი რამ ვიცი, ჩვენთან საქართველოში არავითარი ბიზნესმენ-კომერსანტობა არ არსებობს, იგი მხოლოდ და მხოლოდ ჩარჩობა-სპეკულანტობაა, არავითარი პრივატიზაცია არ მიმდინარეობს – იგი მხოლოდ საწარმოო-დაწესებულებათა სიმბოლურ ფასში მიტაცება, ან ნათესავ-მეგობრებისათვის დარიგებაა და, საერთოდ, რეფორმებზე ლაპარაკი მხოლოდ მაშინ იქნება რეალური, როცა ძლივსმფეთქავ ვაჭრობა-მრეწველობაზე ყაჩაღ-მაფიათა პატრონობა მოისპობა. საქართველო ასე გამათხოვრების ღირსი არ იყო და დიდი ნიჭი სჭირდებოდა, ალბათ, იმასაც, რომ ქვეყანა ასე გაგვეღატაკებინა.

ვინც წამდაუწუმ გაიძახის, ჩვენ ლაჩრების, ყაჩაღებისა და ზარმაცების ქვეყანა ვართ, ჩვენი ბრალია რაც გვჭირსო, იგი შეგნებულად თესავს ქართველ ხალხში უილაჯობის სინდრომს. იგი მოსყიდულია რუსეთის სპეცსამსახურების მიერ, რათა ქართველებს ჩააგონოს, ნუ იბრძვით დამოუკიდებლობისათვის, თქვენ დამოუკიდებლად არსებობა არ შეგიძლიათ, მუდამ რუსეთის მონობის ქვეშ უნდა იყოთო.

თუ მოინდომებს ხელისუფლება, საქართველოს აქვს რესურსები იმისა, რომ საქართველო სამიოდე თვეში გამოვიდეს კრიზისიდან, ხოლო თუ არ მოინდომებს, კიდევ უფრო ჩავეფლობით შიმშილისა და მიუსაფრობის ჭაობში.

24 სექტემბერი, 1994 წ.

ს ი ტ ყ ვ ა
წარმოთქმული ყოველთა ქართველთა მსოფლიო ფორუმზე 1994 წლის 10 ოქტომბერს

ბატონებო, –

ძვირფასო სტუმრებო!

წინასწარ ვიხდი ბოდიშს, რაკიღა ჩემს გამოსვლას საზეიმო იერი არ ექნება. საქართველოს დღეს არ ეზეიმება.

თქვენ აქ საქართველოს ფერფლის სანახავად როდი ჩამობრძანდით, ან საქართველოს პანაშვიდზე ცრემლის საღვრელად, თქვენ აქ საქართველოს საშველად გიხმეთ.

დღეს, როცა ინფორმაციის საშულებათა ფეიერვერკის გამო მსოფლიო ხელისგულივით ჩანს და პოლიტიკოსები მცირე ერთა გადარჩენის ეფექტურ ხერხებს ეძებენ, მსოფლიოს თვალწინ იმპერიის მიერ სასტიკად, მსოფლიოში არნახული ჯოჯოხეთური მეთოდებით დაისაჯა საქართველო და გადაჭარბების გარეშე, მისი ყოფნა-არყოფნის საკითხი დადგა.

ნუთუ საქართველოსთვის ყველაფერმა დაკარგა მნიშვნელობა: მისმა ორიათასწლოვანმა სახელმწიფოებრიობამაც, მისმა სწორუპოვარმა ისტორიულმა ძეგლებმაც, მისმა განუმეორებელმა მუსიკალურმა ფოლკლორმაც, მისმა შოთა რუსთაველმაც?

ნუთუ არც ისტორიულ მიწებსა აქვს რაიმე მნიშვნელობა და ისიც არაა მხედველობაში მისაღები მკვიდრ ერებს რომ სტუმრები თავიანთი სახლებიდან ერეკებიან?

შარშან რესტავრირებულმა იმპერიამ მოგვიკლა სამშობლოს დამცველი 30 ათასი პატრიოტი, ჩამოგვაჭრა 25 ათასი კვადრატული კილომეტრი და სახლ-კარიდან გამორეკა 300 ათასი კაცი.

მაგრამ ეს ყველაფერი თქვენ ძალიან კარგად იცით.

თქვენ ისიც იცით, ვინ დაგვიპყრო ჩვენ და გვაიძულა დაჩოქილნი, სისხლიდან დაცლილნი იმპერიაში შევბრუნებულიყავით.

და ეს მოხდა შენს თვალწინ, მსოფლიოვ!

მაშინ, როცა იმპერიის ძალების მიერ ზურგგამაგრებული ტომების სიველურით ნაცემ-ნაგვემი 300 ათასი კოდორ-ჭუბერის ვიწროებში მიირწეოდა, გავიფიქრე, ახლა კი ატყდება მსოფლიო განგაში-მეთქი. სწორედ მაშინ მსოფლიო შემაძრწუნებლად გაყუჩდა.

როგორ გეძინა, კეთილი ნების მსოფლიოვ, შენ მაშინ, როცა კავკასიონის ყინულიან მწვერვალებზე მოთქმით მოდიოდნენ გაწამებული დედები და ხელთ გაყინული შვილების ცხედრები ეჭირათ?

ჩვენ ვყვიროდით და არ გაგვეცით ხმა, საშველად გიხმეთ და არ გამოჩნდით, დაგიკაკუნეთ და არ გაგვიღეთ.

მხოლოდ მეოთხე დღეს გამოჩნდა უკრაინის ხუთიოდე ვერტმფრენი მკვდრების გადმოსაზიდად.

ვეკითხები კეთილი ნების მსოფლიოს, ნუთუ ასე ძლიერია მომაკვდავი, ძლივსმფეთქავი იმპერიის შხამი, რომ შენც შეგაკრთო და პირში წყალი ჩაგიგუბა?

ახლა ერაყის ჯარისკაცები კუვეიტისკენ რომ დაიძრნენ, ევროპისა და ამერიკის არმადა ფეხზე დადგა.

ნუთუ ვერაფერს ხედავს მსოფლიო საერთოს კუვეიტისა და საქართველოს ბედს შორის?

მე აქ პრეზენტაციების წამოსაყენებლად, საწუწუნოდ არ გამოვსულვარ.

მე მადლობა მინდა გითხრა ამერიკავ და ბებერო ევროპავ, შენ მიერ გამოწვდილი ჰუმანიტარული ხელისთვის. მაგრამ მე მინდა უფრო ქმედითი იყოს საქართველოსთვის მოპყრობილი მსოფლიოს პოლიტიკური თვალი.

მადლობა მინდა ვუთხრა განსაკუთრებით იმ ძვირფას ემიგრანტ ქართველებს, ევროპაში რომ დადიან და საქართველოსთვის ძვირფას ტვირთს აგროვებენ.

იცოდეს მსოფლიომ, საქართველო არ არის ღირსი იმისა, რაც ამჟამად სჭირს! მსოფლიო უნდა გაერთიანდეს, რათა არ მისცეს საშუალება ბოროტების იმპერიას ძალები მოიკრიბოს და კვლავ მოიქციოს თავის ბნელ ხახაში მცირე ერები. თუ საქართველოს ხელისუფლება დღეს მსოფლიოს არ აუწყებს სიმართლეს იმის შესახებ, რომ საქართველო ამჟამად დაპყრობილი და ანექსირებულია, მხოლოდ იმიტომ, რომ მან კარგად იცის, ვისთან აქვს საქმე. ყურთან ჩაესმის რუსული მათრახის ტკაცანი.

და კიდევ ერთი; თუ ევროპასა და ამერიკაში მწუხარე სახის კაცი შეგხვდებათ, იცოდეთ, იგი ქართველია. მას სამშობლოსათვის არ უღალატნია, უბრალოდ, შიმშილით სიკვდილს და რუსულ ჩექმას ყელზე, რუსულ ხიშტს გაექცა. კეთილად განიკითხე იგი.

და მაინც, ნუ გაიხარებენ ჩვენი მტრები.

დავსხდებით დღეს და ხვალ ჩვენ, ქართველები და საქართველოს გადარჩენის გზებს დავსახავთ.

ნუ გაიხარებენ-მეთქი ჩვენი მტრები!

რადგანაც ისე, როგორც ყოველ ჭეშმარიტ ქართველს, მეც ყოველ ღამე მესიზმრება საქართველოს მთებზე გადმომდგარი თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის მთვარე.

ს ი ტ ყ ვ ა
წარმოთქმული საბურთალოს ძმათა სასაფლაოზე ყოველთა ქართველთა მსოფლიო კონგრესის მონაწილეთა მიტინგზე 1994 წლის 12 ოქტომბერს

ბატონებო!

არ უხდება ამ ადგილს მიკროფონი და ლამაზსიტყვაობა.

აქ ჩურჩულით უნდა ვისაუბროთ.

აქ რუსის ტყვიით განგმირულ ჩვენს შვილებს სძინავთ.

თქვენ მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში მიმოფანტულ ქართველთა ელჩები ხართ და, თუ მთელ მსოფლიოს არა, ჩვენს თანამემამულეებს ხომ მაინც უამბობთ, როგორ დაისაჯა საქართველო იმპერიის კლანჭებისაგან თავის დაღწევის სურვილისათვის.

საქართველოს მატიანეს, ერის ისტორიულ ხსოვნას ჩვენი არსებობის გრძელ მანძილზე ყველაფერი როდი შემორჩა. აღარ გვახსოვს ევრაზიის მტვრიან გზებზე ხეტიალით დაღლილი, ან სამშობლოდან დევნილი რამდენი კაცი შევიხიზნეთ სხვადასხვა დროს და შევიფარეთ, იქნებ ჯვრისა და ალავერდის ამშენებელთა გვარებიც დაგვავიწყდეს ზოგჯერ, მაგრამ მწარე მოგონებებად ერთხელ და სამუდამოდ აღბეჭდილა ჩვენს გონებაში არაბთა და მონღოლთა ურდოების თარეში... დიდგორი და ბასიანი, ასპინძა და კრწანისი.

მართალია, დამპყრობთა ჯარი ყოველთვის სჭარბობდა ჩვენს მხედრობას, რომ იტყვიან, ერთზე ათი მოდიოდა, მაგრამ მეოცე საუკუნემდე ორასმილიონიან სახელმწიფოს არასოდეს შევბმივართ.

და სწორედ ბედის ირონიის გამო ამ საუკუნეში რუსეთის იმპერიასთან ორი საშინელი ომი გადავიტანეთ – 1921 წელს და 1992–93 წლებში.

როგორც მოსალოდნელი იყო, იმპერიის მრისხანე ძალამ თავისი მიწის დასაცავად აღმსდგარ, მოხალისეთა რაზმებისაგან შეკონწიწებულ ქართველთა ჯარს სძლია.

ჩვენ დავმარცხდით.

მიკვირს ამოდენა ურჩხულთან კვეთების შემდეგ ფეხზე კიდევ რომ ვდგავართ.

ცრემლიანი, მგლოვიარე საქართველო და ეს საფლავებია იმის თავდები, რომ საქართველოს ეროვნული მეხსიერება რუს დამპყრობლებს ამ „პატივისცემას“ არასოდეს დაუვიწყებს.

მოიგონეთ, რა მშვიდობიანად წავიდნენ ამ საუკუნეში კოლონიზატორები დაპყრობილი ტერიტორიებიდან (თუნდაც ინგლისისა და ინდოეთის მაგალითი რად ღირს). ასე სასტიკად წარმოუდგენელი ცინიზმით არც არც ერთი იმპერიული მონსტრი არ მოპყრობია თავის ყოფილ კოლონიას.

მოსკოვმა სამშობლოს დამცველი ქართველი ბიჭები ჯერ ოცდაშვიდი ივლისის ხელშეკრულებით მოტყუებით, უსირცხვილოდ განაიარაღა და მერე მთელი მსოფლიოს თვალწინ უმოწყალოდ ამოხოცა.

სასწაული ეს ვერაგობა როდია. ჩვენ „უფროსი ძმისგან“ ამგვარ სისასტიკეს მოველოდით კიდეც, სასწაული ის გახლავთ, რომ საერთაშორისო სამართალმა არსად, არც ერთ დონეზე არ მოსთხოვა თავგასულ იმპერიას პასუხი საქართველოს ხელახალი ანექსიისა და ოკუპაციისათვის.

ქართველად დაბადება, როგორც ჩანს, ბედისწერაა და ჩვენ მზად უნდა ვიყოთ ბოლომდე ვზიდოთ ჩვენი ბედისწერის ეკლიანი მუზარადი.

რა გააკეთეს ამ ბიჭებმა თავიანთი სიკვდილით?

მათ ცოცხლად დარჩენილ ქართველებს და მსოფლიოსაც (თუკი ოდესმე მსოფლიო საქართველოს ბედით დაინტერესდება) დაუმტკიცეს, რომ ქართველში მამულის დაცვის ნიჭი არ ჩამკვდარა, რომ ჩვენს ძარღვებში დავითის, თამარის, ცოტნე დადიანის სისხლი მიმოდის დღესაც.

ხელისუფლების ღალატით წინასწარგაყიდულ ომში, სასიკვდილოდ რომ მიდიოდა, ჩემმა ერთადერთმა შვილმა მითხრა: ვიცი, მამაჩემო, რუსის ჯარს რომ ვერ მოვერევით, მაგრამ ეს ომი ისტორიისთვის არის საჭირო, ყველამ უნდა დაინახოს, რომ ჩვენ უბრძოლველად არც ერთი გოჯი მიწის დათმობას არ ვაპირებთო.

წავიდნენ და დაიღუპნენ.

ისტორიის წინაშე ისინი პირნათელნი დარჩნენ. ხოლო მათი უდროოდ შეწყვეტილი სიცოცხლე იმათ სინდისზე იყოს, ვინც ყველაფერი კარგად იცოდა, მაგრამ ბოლო საათებამდე გაიძახოდა: სოხუმი საიმედოდაა დაცული, აქ ჩიტიც ვერ შემოფრინდებაო.

დრო გაარჩევს მტყუანსა და მართალს, მაგრამ ვაგლახ, რომ ამ ბიჭების თვალებს მზის სხივი ვეღარასოდეს გაანათებს.

საქართველოს წმინდა ადგილები არ აკლია, მაგრამ ეს სავანე ამიერიდან უმანკო საფლავთა წინაშე მუხლმოსაყრელ ერთ წმინდა ადგილად უნდა იქცეს.

ძვირფასო სტუმრებო, წადით და უამბეთ მსოფლიოს ეს სევდიანი ამბავი მამულისთვის ზვარაკად შეწირულ ბიჭებზე.

წადით და უთხარით ყველას, რომ საქართველო სულს ღაფავს, მაგრამ მტრის წინაშე არასოდეს დაიჩოქებს. რომ გიორგი სააკაძის ქვეყანა მონობას არასოდეს შეურიგდება.

მშვიდად იძინეთ, შვილებო!

ჩვენ ვცოცხლობთ!

ღია წერილი რუსეთის პრეზიდენტს ვლადიმერ პუტინს

როგორც კი დადექი მსოფლიოს ერთ-ერთი უდიდესი სახელმწიფოს საჭესთან, არ დავმალავ, პოლიტიკური ბატალიებით დაღლილმა მსოფლიომ იმედის თვალი მოგაპყრო.

ჯერ ერთი იმიტომ, რომ დანგრეული საბჭოთა იმპერიის ცხელ კვალზე აღმოცენებულ ახალ წესრიგს მოჰყევი, მეორეც, ახალგაზრდა, სპორტული, თავდაჭერილი ახალგაზრდა კაცი ხარ და განსხვავებით უახლოეს წინამორბედთაგან ალკოჰოლს არ ეტანები.

რაც შეეხება საქართველოს, ჩემს თანამემამულეებს შენი აღზევების სიხარულს, ჭორად დარხეული პატარა საიდუმლოც უვსებდა: ძალიან ჰგავსო, სოფელ მეტეხის მკვიდრ ერთ მოხუც ქალს.

მე არ ვიცი შენი დედაა თუ არა ის ქალბატონი, მართლა ჰგავხარ თუ არა მას სახის ნაკვთებითა და სიარულის მანერით, ღმერთმა დამიფაროს ზღაპრებს ავყვე, მაგრამ რაკი ჩემმა ხალხმა საქართველოსთან, სოფელ მეტეხთან თუნდაც სუსტი ძაფებით დააკავშირა, არც ეს გაგიკვირდეს.

იქნებ, ეს უფრო ივერიელთა სურვილი იყო. ქართული მზის და მიწის მადლი შეემჩნია შენში და ხავსს ჩაბღაუჭებოდა – ჩვენებურია, არ გაგვწირავსო.

თუმცა, ესეც ქართული გულუბრყვილობის ნიშანია, რას გემართლები, შვილოსა – რა გვეპეტრეპირველება, რა გვეპუტინება და რა გვეივანოვპრიმაკოვება მაშინ, როცა ჩემმა სისხლმა და ხორცმა, თვით გენიალურმა სტალინმაც ვერ განჭვრიტა, რომ მუდმივად არ იქნებოდა იმპერატორის ტახტზე და არ იზრუნა საქართველოსთვის დაებრუნებინა თურქეთის მიერ მიტაცებული ტაო-კლარჯეთი – ლამის მესამედი საქართველო.

არადა, ამის გაკეთება სიცოცხლის ბოლო თვეებშიც შეეძლო.

შეეძლო, მაგრამ არ გააკეთა და თავისი ტანჯული სამშობლოს გადაუხდელი ვალი თან გაიყოლა.

ახლა XXI საუკუნეა. არანაკლებ მძიმე დრო რუსეთ-საქართველოს ურთიერთობისთვის.

დღის წესრიგში დადგა, ხაზი გადაგვესვა ღალატთა და გაუგებრობათა იმ წყებისთვის ორი საუკუნე რომ კვებავდა ჩვენს საერთო ისტორიას და ერთმანეთთან მისასვლელი ახალი გზები გვეპოვა.

მეტი რა ექნა ჩვენს ახალგაზრდა პრეზიდენტს, აარიდა თვალი ძია სემის შეყრილ წარბებს და პირველად შენ მოგაშურა.

ძმობის ხელი გამოგიწოდა და მიტაცებულ აფხაზეთ-სამაჩაბლოს დაბრუნება გთხოვა.

თანაც სანაცვლოდ საქართველოს სამუდამო კეთილგანწყობას დაგპირდა.

ფარისევლურად დახმარება აღუთქვი და, როცა შენი კაცური სიტყვის მოიმედემ თავის მიწაზე, თავის ცხინვალში შესვლა დააპირა, როგორც ერთხელ შენმა სულიერმა (მაგრამ ლოთმა) პოლიტიკურმა მამამ ელცინმა, მთელი შენი საოკუპაციო სამხედრო მანქანის მეხთატეხა აამოქმედ: 50-მდე ქართველი ბიჭი მიჯრით მოცელე და 50 კი ისე დაგვიმცირე-დაგვიჩოქე ცხინვალის მოედანზე, რომ საწყალობელთ დღემდე თავი სახლიდან ვერ გამოუყვიათ და ხალხში ვერ გამოჩენილან.

სად საქარველო და სად რუსეთი, ვლადიმერ ვლადიმერის ძევ.

დახედე შენს კაბინეტში გაკრულ რუკას და ერთხელ კიდევ დარწმუნდი, რა ბუმბერაზი, მდიდარი ქვეყნის პრეზიდენტი ხარ და რა პატარაა შენი მეზობლობით, რწმენის საერთოობით და „ძმობა-მეგობრობით“ უბედურ დღეში ჩავარდნილი საქართველო.

რა შესცოდა ასეთი ჩემმა სამშობლომ, რა ყელში გაეჩხირა რუსეთს – ზესახელმწიფოს და დღემდე ვერ მოუნელებია.

არ შეიძლება არ გახსოვდეს შენ, ქართველთა ერთ-ერთი რუსი კეთილმოსურნის – სობჩაკის უმცროს მეგობარს, რა დანაშაული ჩაიდინა რუსეთმა საქართველოს მიმართ ამ ბოლო თხუთმეტი წლის განმავლობაში.

გაგახსენო?

1989 წლის 9 აპრილს მოშიმშილე წამებულთა ხოცვა-ჟლეტა!

ეროვნული ხელისუფლების დამხობა 1992 წლის იანვარში!

1993 წლის რუსეთ-საქართველოს ომი და თავისი მიწა-წყლის დამცველი 30 ათასი ქართველი მოხალისის ამოჟლეტა, ხოლო 400000 მშვიდობიანი ქართველის ელვისსისწრაფით გამორეკვა თავისი საცხოვრისიდან.

და როცა რუსის ჯარისკაცის მიერ ოტებული, ნაწამები ქართველობა თოვლსა და ყინვაში კოდორ-ჭუბერის გოლგოთის გზაზე მიირწეოდა, მსოფლიოს სამაშველო სამსახურების გაფრთხილება ელცინის მიერ:

არავინ გაბედოს ქართველის მიშველება, თორემ ამ ფაქტს რუსეთის საზღვრების ხელყოფად შევაფასებო.

რუსეთ-საქართველოს ომში დამარცხებული საქართველოსთვის თავისი ძირძველი კუთხეების მეკობრული წართმევა და ამ მიწებზე რუსის საოკუპაციო ჯარის ჩაყენება; დღემდე რომ ცინიკურად „სამშვიდობო ჯარს“ ეძახის.

შეიძლება სამშვიდობო ჯარი ერქვას ომში მონაწილე ორი მხრიდან ერთ-ერთის შეიარაღებულ ძალებს?

ხომ მთელმა მსოფლიომ იცის, რომ რუსეთს საქართველოს დიდი ნაწილი დაპყრობილი აქვს.

დიდი ნაწილი-მეთქი შემთხვევით არ მითქვამს:

დავით აღმაშენებლის დროს საქართველოს ტერიტორია 300000 კვ.კმ იყო.

XX საუკუნემდე მოვედით 111000 კვ.კმ-ით,

და სწორედ ამ საბედისწერო XX საუკუნეში „მოძმე რუსის“ წყალობით 111000-დან 45000-მდე ჩამოვედით.

დიახ, დღეს სქართველოს იურისდიქცია მხოლოდ 45 ათას კვ.კმ-ზე ვრცელდება.

ხომ ხედავ, საქართველო იმ დიდი საქართველოს ჩრდილოეთ დარჩა.

და ეს მოხდა რუსის მეოხებით, პრეზიდენტო.

მე ერთი ქართველი მწერალი ვარ.

იმას როგორ გაგიბედავ, გკითხო, ჩემი ნაკალმარი თუ მოგხვდა-მეთქი როდესმე თვალში.

იმითაც კმაყოფილი ვიქნები შენი პუშკინი და ჩეხოვი, შენი დოსტოევსკი და ტოლსტოი თუ წაგიკითხავს.

ჩემი პროფესია იმიტომ ვახსენე, რომ ერები ერთმანეთს უპირატესად ლიტერატურის ენით ესაუბრებიან და ვერ დაასახელებს ვინმე ჭეშმარიტი ქართველი მწერლის მიერ რუსი კაცის აუგად ხსენების თუნდაც ერთ მაგალითს მითაჟამიდან დღემდე.

თანამედროვე რუსულ მწერლობაში კი ქართველოფობიის ფაქტი უამრავია, მაგრამ ამაზე სხვა დროს.

როცა მეგონა, რომ ამ ბოლო დროს გაეროს თუ ყველა საერთაშორისო პოლიტიკური ინსტიტუტების გაუთავებელი ჩიჩინით ცოტა

მაინც გაეხედნა ყური ველიკორუსულ შოვინიზმს და შენც, დიდი შვიდეულის წევრი, ერთი ჯანმრთელი, ინტელიგენტური რუსი, უამრავი საერთაშორისო შეხვედრის წარმატებული მონაწილე, მაინც აღარ ივლი-მეთქი წინამორბედთა ბილიკით, არ ვიცი, რა ეშმაკი შეგიჯდა, ან როგორ გაუწიე ანგარიში შენს სახელმწიფო კარზე მორიალე ნაციონალ-მორიელებს, რომ ლამის შენი პოლიტიკური კარიერის დასასრულს საქართველოს მიმართ გაუგონარი მკრეხელობა ჩაიდინე:

შენ უკვე პოლიტიკაში ჭიპმოჭრილი, კგბ-ს სკოლაგამოვლილი კაცი, ისე როგორ ამჩატდი, რომ თუნდაც თითო-ოროლა პოლიტიკოსის შეცდომის გამო მთელი ერი შეიძულე.

ნაბან წყალს ბავშვიც გადააყოლე.

შეიძლება მთელ ერს უსწორებდეს ანგარიშს პოლიტიკოსი და მერე სერიოზულ პოლიტიკოსად მოჰქონდეს თავი?

საქართველო-რუსეთის ვიზების შეჩერება რა შუაში იყო?

ყოვლად გაუმართლებელი ეკონომიური ემბარგო რა შუაში იყო?

ქართულმა ღვინომ და ბორჯომმა მაინც რა დაგიშავა?

საბანკო გადარიცხვების შეჩერება რამ მოგაფიქრებინა?

ელჩის გაწვევა (მერე რომ შენვე მორცხვად მოაბრუნე) რა ბავშვური თამაში იყო?

საჰაერო და სახმელეთო მიმოსვლის შეჩერება ვინ ეშმაკმა გირჩია?

დაბოლოს თვით ფაშისტებსაც რომ არ მოსვლიათ თავში – ეთნიკური ნიშნით მოსკოვში ქართველებზე ნადირობა, მათი თხებივით შერეკვა საბარგო თვითმფრინავებში და თბილისში ჩამოლალვა რაღამ გაფიქრებინა?

ნუთუ ფიქრობ, რომ ამას ოდესმე დაივიწყებს მსოფლიოს ისტორიული მეხსიერება?

ან იქნებ ზოგი მჩატე ჭკუის სეპარატისტ ტომის ბელადისა გჯერა – დრო გავა, ქართველები დაივიწყებენ ეროვნულ გენოციდს და შეეგუებიან უაფხაზეთო, უსამაჩაბლო ცხოვრებასო.

ალბათ, შენ არ გაჩვენეს ამ ერთი კვირის წინათ აფხაზეთ-სამაჩაბლოს ოკუპაციისადმი პროტესტის ნიშნად მთელ საქართველოში სტუდენტების მიერ დანთებული კოცონი და არც ქართველი ახალგაზრდობის ნათქვამი მოხვდა შენს ყურთასმენას:

ვიდრე საქართველოში თუნდაც ერთი ქართველი იარსებებს, ჩვენ აფხაზეთის და სამაჩაბლოს დასაბრუნებლად ვიბრძოლებთო.

ამ წერილს ლამის სამი ათეული წლით შენზე უფროსი (თითქმის მამისტოლა) ქართველი გწერს.

თუ გონიერებას მოუხმობ, ჯერ კიდევ გაქვს შანსი წარმატებით დაასრულო შენი საპრეზიდენტო კარიერა და რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიაში ნათელი კვალი დატოვო.

რა ძნელიც უნდა იყოს ამჟამად შენთვის, უნდა გადადგა გადამწყვეტი ნაბიჯი: გააუქმო რუსეთ-საქართველოს შორის საბედისწერო ბარიერად აღმართული პოლიტიკურ-ეკონომიკური ბერკეტები და დაუბრუნო საქართველოს წართმეული ტერიტორიები – აფხაზეთი და სამაჩაბლო.

მე კარგად ვიცი, რომ ტერიტორიებწაგვრილი, დაჩოქებული, მთხოვნელის პოზაში მდგომი საქართველო რუსეთსაც ხელს აძლევს და იმ „მეგობართა წრესაც“ ვისაც ეს ბოლო წლებია იმედით შევყურებთ.

რუსს სურს საქართველოს გამთლიანების ბერკეტები ხელიდან არ გაუშვას, დასავლეთს კი: რაც შეიძლება დიდხანს წოვოს ბოჩოლა საქართველომ იმედის თითი და ოკეანისგაღმელ მეგობარს მუდარიანი მზერა არ მოაცილოს.

დიახ, გამთლიანებული, გალაღებული, ბედნიერი საქართველო არც ერთს სურს და არც მეორეს.

და იჭყლიტება საქართველო – კოზაკი ორ აქლემ-სახელმწიფოს შორის.

დამერწმუნე, ჩვენ ყველაფერს კარგად ვხვდებით.

თუ შენ გადადგამ ამ გონივრულ ნაბიჯს, ორი მართლმორწმუნე ხალხის ისტორიულ ურთიერთობასაც გადაარჩენ და ქართველი ერის კეთილგანწყობასაც მოიპოვებ.

ეს კი ცოტას როდი ნიშნავს.

ჩემზე უკეთ მოგეხსენება, დღევანდელი მსოფლიოს წონასწორობა იმაზეცაა დამოკიდებული, თუ საით იმზირება საქართველო.

სხვა მხრივ მშვიდობით ბრძანდებოდე.

18 მარტი, 2006 წ.

ჯერ მონასტერი არ არეულა

ბაბილონის გოდოლის სინდრომი დღემდე არ ასვენებს კაცობრიობას.

ერთხელ რომ აურია ღმერთმა ადამიანს ენა და გონება, ასე ჟამკარარევით მორიხინდა იგი ოცდამეერთე საუკუნემდე.

და აი, ჯერ ერთი კვირაც არ შესრულებულა, რაც მსოფლიო ომის ხანძარი დაინთო წინა აზიაში.

დიახ, მსოფლიო ომისა, რადგანაც იგი ამერიკა-ერაყის ლოკალური კონფლიქტი არავის ეგონოს.

ამ ომმა მსოფლიო თითქმის სამად გაყო, ამერიკის მომხრეებად, ერაყში შეჭრის მოწინააღმდეგეებად და ნეიტრალიტეტის ნიღაბაფარებულ სახელმწიფოებად, რომელთაგან არაერთი უკვე შეიპყრო ყოყმანმა და მალე გამარჯვებულისკენ გადაიხრება.

ომი ყველა უსამართლოა, მაგრამ ვინ გაიმარჯვებს (თუნდაც დროებით, რადგან დიდი ისტორიისთვის ყველა გამარჯვება და დამარცხება დროებითია), ამ ომში საეჭვო იმისთვის არ არის, ვინც ყალბი ილუზიებით კვებავს თავის თავსაც და გარეშემყოფთაც.

მსოფლიოს რომ ახალი წესრიგი სჭირდება, საკამათო არ არის.

თითქმის არ არსებობს დედამიწაზე სახელმწიფო, ტერიტორიული ან სხვა მიზეზით განპირობებული დავა გულის სიღრმეში მაინც რომ არ ჰქონდეს მეზობელ სახელმწიფოსთან.

გაერო მსოფლიო კონფლიქტებს სრულიადაც ვერ აწესრიგებს.

იგი ჩვენ თვალწინ ფაქტობრივად მიიცვალა.

ამერიკამ აიღო ხელში მსოფლიოს იმგვარად მოწყობის ფუნქცია, რომ ყველა სახელმწიფო თავის კანში დაეტიოს, ფული, მიზეზთა გამო რომ დაუგროვებია, სიცოცხლის მოსპობის საშუალებებზე აღარ დახარჯოს, შიშის ქარში ნუ იქნება თვითონ და ნუ ამყოფებს სხვებსაც.

რა მიიღო ამერიკამ სანაცვლოდ მცდელობისა, დემოკრატიისა და თავისუფლების გარანტად დადგომოდა პლანეტას?

მიიღო 2001 წლის 11 სექტემბერი...

წარმოიდგინე, იყო ზესახელმწიფო შეძლებისდაგვარად ხელგამმართავი ყველა ჩამორჩენილი და უპოვარი ხალხისთვის და დღისით-მზისით შენსავე უდიდეს ქალაქში თავზე დაგაქციონ ჭერი, აგიფეთქონ მსოფლიოს ფინანსური გული და თავდაცვის ცენტრი.

და ამერიკამ ამჯერად არ მოითმინა.

არ მოითმენდა თუნდაც იმიტომ, რომ, როგორც გაირკვა, 11 სექტემბერი ფანატიკოსთა ერთჯერადი აქცია როდი გახლდათ, იგი კაცობრიობისკენ მიმართული აგრესია იყო, რაც უფრო მაშინ

გაცხადდა, უგუნური კამიკაძეების დაფარვას ასე ენერგიულად რომ ცდილობენ ისინი, ვისაც მსოფლიოს ადამიანთა თანაცხოვრება რელიგიათა და სახის ფერთა დაპირისპირებაზე დაუყვანია. დიახ, სასტიკი დროა.

გული მეკუმშება, ბაღდადის შავ ცას რაკეტები რომ ჰკვეთენ და წითელი კვამლი აღმართულა სასახლეთა თავზე.

მაგრამ განა ნაკლები სისასტიკე იყო, ნიუ-იორკის სავაჭრო ცენტრის ცათამბჯენებში მოფუსფუსე 5000 მშვიდობიან მოქალაქეზე მგზავრებით სავსე თვითმფრინავები რომ მიმართეს? რა ზიზღი, რა ფანატიზმი ამოძრავებდათ ასეთი შტურვალთან მიმსხდარ უბედურ კაცებს?

ბაბილონი – მსოფლიოს კულტურის ერთი უძვირფასესი რელიკვია ერაყის ტერიტორიაზეა და ისე ჩარაზა დიქტატორმა სადამ ჰუსეინმა კარები, რომ ეს დიდებული ქვეყანა ლამის მიუწვდომელია მსოფლიოს ცივილიზაციის შემსწავლელთათვის.

ერაყში დათრგუნულია პიროვნების ელემენტარული თავისუფლება. შავი დიქტატორი ეჭვის ცხრილში ატარებს თავის უახლოეს გარემოცვასაც, მას საკუთარმა შვილმა სინით მიართვა საკუთარი სიძის მოჭრილი თავი და ჰუსეინმა „ყოჩაღ ყმაწვილს“ მადლობის ნიშნად მხარზე ხელი დაჰკრა.

რა იყო ბოლო მოთხოვნა ბუშისა ერაყის დიქტატორის მიმართ? რაკი შენი ბირთვული იარაღის განადგურებას თავს არიდებ, რომ შენი მეფობით საკუთარ ხალხს და მსოფლიოს საშიშროება არ შეუქმნა, გამოდი ერაყიდან, გადასახლდი მსოფლიოს ნებისმიერ ქვეყანაში და მშვიდად იცხოვრეო.

ამგვარ წინადადებაზე ჭკუით სავსე ნაპოლეონი დათანხმდა. მეყო, რაც ფრანგების სისხლი ვღვარე, მე გადავდექიო, თავისი სურვილით ტყვედ ჩაბარდა და ლამის უკაცრიელ კუნძულზე დაამთავრა სიცოცხლე.

რამ შეაძულა ასე ჰუსეინს საკუთარი ხალხი, რატომ გაწირა იგი. განა უფრო არ ეყვარება იგი თავის ხალხს და ისტორიულ გმირად არ გამოაცხადებს, რომ თუნდაც ახლა გამოვიდეს და თქვას: ნუ გადამიწვავთ ბაღდადს, ბაბილონს, ბასრას – მე წავედი!

მაგრამ ვერ მოსთხოვ ერაყელ წვრილშუბლა დიქტატორს მეფე დიმიტრი თავდადებულობას.

ახლა ისეთი ეპოქაა, გამარჯვებულსაც კი ასამართლებენ, მაგრამ იმათი საქციელი ვნახოთ, ამერიკას ბოლო დღეებში რომ გვერდიდან შემოეცალნენ. თუმცა, როგორც ზემოთ მოგახსენეთ, მხოლოდ დროებითია.

საფრანგეთი – ნაპოლეონის სამშობლო „მშვიდობის მტრედად“ მოგვევლინა. ეს ის საფრანგეთია, რომლის ტერიტორიიდანაც სწორედ ამერიკამ განდევნა ფაშისტები და საფრანგეთს თუ ახლა სახელმწიფო აქვს, პირველ რიგში ამერიკას უნდა უმადლოდეს.

გერმანია – ჰიტლერის სამშობლოც „მშვიდობის მტრედის“ თამაშს ცდილობს. ეს ის გერმანიაა, ამ სამოცი წლის წინათ მსოფლიოს დაპყრობის მცდელობისთვის სასტიკად რომ დაისაჯა და საბჭოთა რუსეთის მიერ ტორდადებული სწორედ ამერიკის დაუცხრომელი ძალისხმევით გაერთიანდა.

ჩვენი მეზობელი თურქეთი ხომ თითქმის ამერიკამ დაიცვა თავისი მძლავრი ფრთებით, მიტაცებული ტაო-კლარჯეთის საქართველოსთვის დაბრუნება სტალინს ამერიკამ გადააფიქრებინა. ამერიკამ იარაღით და სამხედრო ბაზებით გაავსო თურქეთი, შეიყვანა ნატოში და ეგონა, თავის უპირველეს მოკავშირედ გამოზარდა, მაგრამ თურქი, როგორც ჩანს, ბოლომდე საიმედო მეგობარი ვერ აღმოჩნდა, თუმცა ბოლოს თურქეთმაც დაიხია.

რუსეთის პოზიცია ჩვენთვის ახალი არ იყო.

რუსეთს თავისი ეკონომიკურ-პოლიტიკური ინტერესები აქვს ერაყთან და ბუნებრივია, რომ მის მხარეს დგება.

აღშფოთდა პუტინი: როგორ შეიძლება მუშტის პოლიტიკაო, თითქოსდა მუშტის პოლიტიკით არ წაერთმიოს მას საქართველოსთვის აფხაზეთი და სამაჩაბლო, თითქოს მუშტის პოლიტიკას არ მიმართავდეს იგი ყოველდღიურად ჩეჩნეთის წინააღმდეგ.

რუსეთი ჩვენი მეზობელია, ეს საქართველოს ისტორიული ბედისწერაა. ღმერთმა დამიფაროს იმის გაფიქრებისგანაც კი, რომ მეზობელთან თბილი ურთიერთობის, საერთო ენის გამონახვის განზრახვა გულიდან ამოვიღო.

თუმცა რუსთან „ძმობის“ ორასწლოვანი ისტორია რომ სავსეა ღალატით, პირუმტკიცობით, გაუთავებელი ცემა-გვემით ჩრდილო მეზობლის მხრიდან?

ნუთუ ასე იოლად ამოიღებს გულიდან ქართული ისტორიული მეხსიერება დალის ხეობაში, კოდორ-ჭუბერის ჭიუხებზე გამწკრივებული სამასი ათასი ორ საათში რომ გამოდევნა რუსის ჯარისკაცმა თავისი სახლებიდან და სასიკვდილოდ გაწირა.

მსგავსი ფაქტების ჩამოთვლას აღარ შევუდგები, ეს ჩვენი დღევანდელი ისტორიაა და ბავშვსაც ყველაფერი ახსოვს.

საქართველოს ნომერ პირველი პრობლემა დღეს რუსის მიერ წართმეული მიწების – აფხაზეთის და სამაჩაბლოს დაბრუნებაა. რა პერსპექტივა-იმედი არსებობს ამ მიმართულებით?

ტყუილების ათწლოვანმა კასკადმა (გაერო ატყუებდა შევარდნაძეს, ელცინი და პუტინი ატყუებდნენ შევარდნაძეს, შევარდნაძე კი თავის მხრივ, ნებით თუ უნებლიეთ, საკუთარ ხალხს ატყუებდა) შედეგი ვერ გამოიღო.

გავიდა ხანი.

პუტინი და შევარდნაძე სოჭში ხვდებიან ერთმანეთს და ყველა იმ პუნქტზე მოილაპარაკებენ, რაზეც თავდაპირველად ასე გაწიწმატდა ჩვენი პრეზიდენტი.

ავამუშაოთ რკინიგზა, ავაღორძინოთ ენგურჰესი, მოვახდინოთ რეგიონის ეკონომიკური რეაბილიტაცია და დავაბრუნოთ ლტოლვილები – ძირითადად ესაა ამ ყბადაღებული კომუნიკეს პუნქტები (ერთი სრულიად გაუგებარი ფრაზის – „ლტოლვილთა სინქრონული დაბრუნების“ დამატებით).

აქ აღარაფერს ვამბობ იმაზე, რუსეთის მოთხილამურე იმპერატორმა ჩვენს პრეზიდენტს სოჭში იმითაც დასცინა, რომ მოლაპარაკებაზე სრულიად შეუთანხმებლად აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის თვითგამოცხადებულ პრემიერ-მინისტრს უხმო და ჩვენი პრეზიდენტისთვის ხელი ჩამოართმევინა.

არ შეასრულებს რუსეთი არც ამ შეთანხმებას, ბატონებო.

თავს ნუ მოვიტყუებთ.

მეორე დღეს გაგულია მოსკოვში პრესკონფერენციაზე უტიფრად აცხადებს – რა ფედერაციაზე და კონფედერაციაზეა ლაპარაკი, ჩვენ უკვე დამოუკიდებელი სახელმწიფო ვართ და დუმა რუსეთის შემადგენლობაში აფხაზეთის და სამაჩაბლოს წევრად მიღების საკითხის განხილვას იწყებსო.

როგორ ფიქრობთ, არძინბა-გაგულიას ხროვა ან დუმა პუტინის გარეშე გაბედავს საქართველოს ასე აბუჩად აგდებას?

სად ბჟუტავს ის მცირეოდენი ნაპერწკალი, ოცდამეერთე საუკუნეში გადმოყოლილ ამ ტკივილს რომ მოგვირჩენს და აფხაზეთ-სამაჩაბლოს დაგვიბრუნებს?

მხოლოდ და მხოლოდ ამერიკასთან საქართველოს მჭიდრო სამხედრო ურთიერთობასა და მეგობრობაში. კიდეც „ჰო“ და კიდეც „არა“.

ნუ დავივიწყებთ, ამ ბოლო ქაოტურ ათწლედში რომ ამერიკამ არაერთგზის გვიხსნა შიმშილით სიკვდილისგან, ნუ დავივიწყებთ, რომ ჩვენი მოღიავებული ჩრდილოეთის ჭიშკრის გადამკიდეთ, ამერიკა მოგვევლინა მწედ, პირველად დაადგა იანკმა ოფიცერმა საქართველოს მიწას ფეხი, როგორც სამხედრო მწვრთნელმა, კონსულტანტმა და მანვე შეგვიწყო ხელი თითქმის წართმეული პანკისის ხეობის დაბრუნებაში.

თვალთმაქცობაა რუსეთთან მოლაპარაკებით ან დაცვედნებული გაეროს შემწეობით აფხაზეთისა და სამაჩაბლოს დაბრუნება და ქართული სახელმწიფოს სასტიკი დაცინვაა რუსი პოლიტიკოსების რჩევა – მიუჯექით აფხაზებთან მოლაპარაკების მაგიდასო.

ამერიკამ, მხოლოდ ამერიკამ უნდა აიძულოს რუსეთი დაგვიბრუნოს წართმეული ტერიტორიები.

ჩვენ ისტორიამ სხვა შანსი არ დაგვიტოვა.

ამიტომაც გამართლებულად მიმაჩნია პარლამენტის მიერ ამერიკა-საქართველოს სამხედრო ხელშეკრულების რატიფიკაცია.

სამწუხაროდ, ჩვენმა გეოპოლიტიკურმა მდგომარეობამ და ისტორიულმა გამოცდილებამ გვასწავლა, რომ ნეიტრალიტეტის დაცვა ისტორიის საბედისწრო მოსახვევებზე წამგებიანი ნაბიჯია!

უპატრონო ეკლესიას, ჩვეულებრივ, ეშმაკები ეპატრონებიან.

რა თქმა უნდა, გულუბრყვილობაა, ასპროცენტიან გარანტიად მიიღო საეჭვოდ დიპლომატიური ფრაზა ბუშის წერილიდან (არ ვიცი, რომელმა „მრჩეველმა“ ჩაუწერა): ცოტა მაცალე, ბატონო ედუარდ, და მოვიცლი აფხაზეთისთვისაცო, ან ზოგი მჩატე პოლიტიკოსის აზრი იმის შესახებ, თითქოს ბუშს სულზე მიუსწრო ჩვენი პარლამენტის თანხმობამ და თურმე ამერიკის პრეზიდენტს გული უკანკალებდა, ვაითუ საქართველოს პარლამენტმა არ დაამტკიცოს ამერიკა-საქართველოს სამხედრო თანამშრომლობის ხელშეკრულებაო, მაგრამ ხომ ფაქტია, რომ ჩვენი ქვეყნის უმაღლესმა ხელისუფლებამ (პრეზიდენტმა, მინისტრთა კაბინეტმა და პარლამენტმა) თავისი კეთილი ნება, მხარდაჭერა, თანაგრძნობა გამოხატა იმ ჭეშმარიტი სტრატეგიული მოკავშირის მიმართ, ყოველწლიურად 64 მილიონ დოლარს რომ გვაძლევს ჩვენი თავდავიცუნარიანობის გასაძლიერებლად.

ახლა მთავარია, დინჯად დაველოდოთ მოვლენათა განვითარებას. არც თავწასაგდები მამალივით უდროო დროს დავიყივლოთ და არც ჩვენი უგერგილობით ჩამოვრჩეთ ისტორიის მატარებელს.

მთავარია, ერთმანეთს არ დავერიოთ, მთავარია თავი არ მოვაბეზროთ საკუთარ ხალხს კინკლაობა-ჭირვეულობით.

სიყვარული, მიმტევებლობა, თანადგომა არ ამოვირეცხოთ გულიდან.

2006 წ.

„ვინც არ არის კახაბერი...“

მწერალი ვერც ერთი ხელისუფლების პირობებში თავს კომფორტულად ვერ გრძნობს. როგორც კი მწერალს შეიპყრობს თვითკმაყოფილების გრძნობა, ანუ გრძნობა ისეთი, რომ მის ქვეყანაში ყველაფერი რიგზეა, ჩავთვალოთ, რომ ის მწერალი მოკვდა. ლიტერატურის ისტორიამ იცის უამრავი მაგალითები იმისა, როგორ დაღუპა ნიჭიერი, მაგრამ უნებისყოფო მწერალი ხელისუფლებისადმი ზედმეტად ლოიალურმა, უფრო მკვეთრად რომ ვთქვა, მლიქვნელურმა დამოკიდებულებამ. როგორც კი იქცევი ხელმწიფის კარის მწერლად ან პოეტად, შენ უარს ამბობ ამით მწერლობის მრავალსაუკუნოვან ტრადიციაზე. ვერ დამისახელებთ ვერც ერთ სახელოვან მწერალს, რომელიც თავისი შემოქმედების რომელიღაც პერიოდში არ იყო ოპოზიციონერი მისი დროის ხელისუფლებისა და მისი დროისადმი, საერთოდ. ეს სრულიად ბუნებრივია. მე ჩემი შემოქმედებით ჩამოვყალიბდი ქრონიკულ ოპოზიციონერად. ოპოზიციაში ვედექი საბჭოთა წყობილებას და ჩემი პირველი წიგნები განიცდიდა ცენზურის მიერ დიდ ზეწოლას. ასე რომ, ცენზურის მაკრატლის მსხვერპლი გამხდარა ბევრი ჩემი ნოველა. მერე დაინგრა საბჭოთა იმპერია და მოვიდა საქართველოში სამწლიანი დამოუკიდებლობის პერიოდში – 90-92 წწ-ები. მაგრამ თქვენ მოგეხსენებათ, იმ ხელისუფლებას, რომელსაც მე ეროვნულს ვუწოდებ და რომელსაც წილად ხვდა ბედნიერება, ყოფილიყო მესაფლავე საბჭოთა წყობილებისა საქართველოში, თვითონაც უამრავი ნაკლი აღმოაჩნდა. ეს ნაკლი ძირითადად გამომდინარეობდა სახელმწიფოს მართვის გამოუცდელობიდან, რაც ზვიად გამსახურდიას და მის გარემოცვას ახასიათებდა. შემდეგ იყო შევარდნაძის მეორედ მოსვლა და უმძიმესი პერიოდი საქართველოს ცხოვრებაში, პირმოთნეობის, ტყუილის, საქართველოს

მიწების გაჩანაგების, პიროვნების შეურაცხყოფისა და, დაუცველობის. ახლა „ვარდების რევოლუცია“ მოხდა და სრულიად ბუნებრივია, რომ რევაზ მიშველაძე იმედით შუვყურებ „რევოლუციურ სამეულს“. სამივეს კარგად ვიცნობ, პარლამენტში ერთად ვმუშაობდით. სრულიად ბუნებრივია, რომ საქართველოს ახალმა ხელმძღვანელობამ, რომელსაც ჩემთვის ძალიან სასიამოვნოდ და სწორად აქვს აღებული ორიენტაცია ამერიკისაკენ, დასავლეთისაკენ, მეც ასეთი ორიენტაციის კაცი ვარ და ეს მისაღებია ჩემთვის და მსურს ამ ხელისუფლებამ გამოიყვანოს ქვეყანა იმ ბურუსიდან, რასაც შევარდნაძის დრო ერქვა. ჩვენ დაგვღალა შევარდნაძის თითქმის 30-წლიანმა ბატონობამ საქართველოში. განახლება საჭირო იყო. მე ვერ ვუწოდებ ამას „ვარდების რევოლუციას“, რადგან ეს იყო სოროსის და ამერიკის მხარდაჭერით მომხდარი სახელმწიფო კარის გადატრიალება. ვარდი ეს იყო შირმა, დეკორაცია, რომელიც ხელში ეჭირათ ჩვენს დემონსტრანტებს. სინამდვილეში ისინი საკმაოდ ღონიერი წიხლებით შემოიჭრნენ საქართელოს პარლამენტში, რაც სამართლებრივი თვალსაზრისით მისაღები არ არის. ყველა თუ ასე შეიჭრა თავისი ქვეყნის პარლამენტში და ასე მოახდინა რევოლუცია, მსოფლიოს საშინელი ქაოსი მოიცავს. ხომ მოაწყო ახლახან ლიტვის პარლამენტმა პრეზიდენტის იმპიჩმენტი. ჩვენ კი წიხლებით გავრეკეთ პარლამენტი. აბსოლუტურად გაუმართლებლად მიმაჩნია პარლამენტის დამხობა ძალის საშუალებით, რაც „სამეულმა“ გააკეთა. მას შეეძლო დაემხო შევარდნაძის ხელისუფლება, მაგრამ ხალხის მიერ არჩეულ პარლამენტში შევარდნის უფლება მას არამც და არამც არ ჰქონდა.

სამწუხაროდ, 28 მარტის არჩევნები არ იყო დემოკრატიული არჩევნები. საერთოდ, სასაცილოდ მიმაჩნია დამკვირვებლის ინსტიტუტის არსებობა. ჩამოიყვანენ ამერიკიდან 15, საფრანგეთიდან 10 დამკვირვებელს და ამას ეძახიან „დამკვირვებელთა მისიას საქართველოში“. რადიკალურად უნდა შეიცვალოს ეს წესი, თუ ჩვენ დემოკრატიული არჩევნები გვინდა. შეიძლებოდა, ეს არჩევნები ჩაეტარებინა მესამე ნეიტრალურ ძალას. მაგალითად, გაეროს წარმომადგენლობას, ხმების დასათვლელად რომ არ მიეშვათ არც ერთი პარტიის და არც ხელისუფლების წარმომადგენლები. მე გეტყვით გულახდილად, ისინი ვინც ეს არჩევნები ჩაატარა, შემჩნეულნი იყვნენ წინა არჩევნების დროს, სადაც შევარდნაძის ერთგული თანამებრძოლნი იყვნენ, ასევე საოცარი ენერგიულო-

ბით იბრძოდნენ ეს ადამიანები, რომ საქართველოს პრეზიდენტად აერჩიათ შევარდნაძე, რომელიც მერე მათვე დაამხეს, იმიტომ, რომ ეს დამხობის მექანიზმებიც კარგად ჰქონდათ დამუშავებული და საქართველომ დაინახა, როგორ არჩევნებს ატარებენ დღეს ეს ჩვენი რევოლუციონერები, ანგელოზებად რომ მოაქვთ თავი. მეგონა, რომ 4 იანვრის არჩევნებით საქართველოში მოსული ახალგაზრდა პრეზიდენტი მართლა რადიკალურად გაემიჯნა იმ წინაღობებს, რაც შევარდნაძემ აღმართა საქართველოს დასათრგუნავად; მართლა მოუწოდებდა თავის თავსაც და ირგვლივ მყოფთაც, რომ ჭეშმარიტი დემოკრატიზაციის გზაზე დამდგარიყო საქართველო, სამწუხაროდ, სააკაშვილის არჩევის პირველსავე დღეს მე ვიგრძენი, რომ ღრმად შეცდა ვინც მას ხმა მისცა საპრეზიდენტო არჩევნებში.

ახლა რაც შეეხება თანამედროვე ლიტერატურას ჩვენი ხელისუფლების ხელში:

საერთოდ საქართველო ლიტერატურული ქვეყანაა, მწერლობის ქვეყანაა. საქართველოში მწერალს, უპირველეს ყოვლისა, უსმენდნენ და დღემდე ერის მედროშე, კეთილი მრჩეველი, სულიერი წინამძღოლი სწორედ მწერალია. ტრადიციულად მოგვდგამს ასე. ცხოვრებაში იშვიათია ადამიანი, რომ ლექსი არ დაეწეროს. ჟურნალისტებში 80% ხელმოცარული მწერალია, მწერლებში 10%-ს, მწერლებად რომ მოაქვთ თავი, ხელმოცარული მწერლები არიან. სრულიად ბუნებრივია, აქედან გამომდინარე, იმ კავშირთან რასაც მწერალთა კავშირი ჰქვია, ზოგს ქიშპის დონეზე აქვს გათვალისწინებული თავისი პირადი ინტერესი, რომ შენ რატომ უნდა იყო ასეთი სახელგანთქმული და მე რატომ ვარ მეორე პლანზეო. ზოგს ჭორიკნობა სჩვევია მწერალთა კავშირზე. მწერლების პირადი ცხოვრება ხშირად განიხილება ჭორის დონეზე და ასე მოხდა დღესაც. საქართველოში მწერალთა კავშირი არის შემოქმედებითი კავშირი, დამოუკიდებელი სახელმწიფო სტრუქტურებისგან და შემოქმედებითი კავშირის ცხოვრების წესით უნდა იცხოვროს. ამიტომ, რაკი მწერალთა კავშირი მხოლოდ შემოქმედებითი სტრუქტურაა და სხვა არაფერი, არ უნდა იყოს მის მიმართ ასეთი გაფაციცებული ყურადღება, მაგრამ ჯერ კიდევ ყურადღების ცენტრშია.

ყრილობამ ახალი ხელმძღვანელობა აირჩია, რომლის ერთ-ერთი წარმომადგენელი მეც ვარ. თავმჯდომარედ აირჩიეს ქალი – მაყვალა გონაშვილი, რომელიც არის ძალიან კარგი პოეტი, ფუტკარივით დაუცხრომელი მოღვაწე, თავმდაბალი, ყოველგვარი ამბიციებისაგან თავისუფალი და მონდომებული, მოწადინებული. ავირჩიეთ იმიტომ, რომ მწერალთა კავშირში მწერალს მოესვლებოდეს, იყოს თბილი ატმოსფერო, იყოს წიგნების გარჩევა, იუბილეები.

ჩვენ დავამტკიცეთ გეგმა, გავანაწილეთ ფუნქციები. თითქმის ყოველ კვირას მწერალთა კავშირში ტარდება საინტერესო დისკუსიები „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის აღდგენის შესახებ, ქართული ენის შესახებ, მოქალაქეობის დამამტკიცებელ საბუთში ეროვნების ჩაწერის შესახებ. ეროვნული ცნობიერების დაცვის შესახებ და ა.შ.

მწერალთა კავშირი უკვე აღორძინდა. ამას მოწმობს ის ფაქტი, რომ დაბრუნდნენ მწერალთა კავშირიდან სხვადასხვა დროს გასული სახელოვანი მწერლები: მერაბ ელოიოზიშვილი, ნოდარ წულეისკირი, ოტია იოსელიანი, სოსო სიგუა და სხვები. მე არც ამით ვზომავ მწერალთა კავშირს. ასეთი მოძრაობა ყოველთვის იქნება. ზოგი გავა, ზოგი შემოვა. მწერალთა კავშირი, როგორც ეროვნული, ჭეშმარიტად შემოქმედებითი სახლი მწერლობისა მუდამ იარსებებს.

2004 წ.

გილოცავთ

ახალი, 2005 წელი ახლოვდება.

ჭეშმარიტი ქართველი მწერლები ახალ წელს ვულოცავთ დედა საქართველოს.

ალავერდს ჩვენს ძვირფას მკითხველთან გადავდივართ; იმ მკითხველთან, ვისაც ჯერ კიდევ სჯერა ჩვენი, ვინც იმედითა და რწმენით იღებს ხელში ჩვენს ნაწერებს და დარწმუნებულია, რომ მამულის გუშაგობის ნაცად გზას არ გადავუხვევთ.

მძიმე იყო 2004 წელი.

განსაკუთრებით ძნელი აღმოჩნდა იგი ქართველი მწერლებისათვის.

ცალკე თავგანწირვით ვიგერიებდით ჩვენს ეროვნულ ცნობიერებაზე სოროსელთა გააფთრებულ შეტევებს და ცალკე ხელისუფლების ზოგი ვაიწარმომადგენლის მცდელობას – ქართველი მწერ-

ლებისთვის მწერალთა სასახლე წაერთმია და ეს სახელოვანი ბუდე მოეშალა.

მიუხედავად იმისა, რომ ჩვენს წმიდათაწმიდა ენას, მამულს და სარწმუნოებას საშიში დღეები უდგას (ხელისუფლებამ არც ერთი დანაპირები არ შეასრულა: არ მიიღო კანონები სახელმწიფო ენის, სახელმწიფო რელიგიისა და ეროვნული რეკვიზიტის შესახებ; ვერ დაიბრუნა წართმეული ტერიტორიები, მიიღო ეროვნული უმაღლესი განათლების დამანგრეველი კანონი, დააკანონა იეღოველები, გააუქმა ენის პალატაც), ქართველმა მწერლებმა მაინც შევძელით საზოგადოებრივი აზრის შექმნა, ვამხილეთ ეროვნული კულტურის დასამხობად მოწოდებული კულტურის სამინისტრი და მისი შავბნელი რაზმი... და, რაც მთავარია, ვცდილობთ კბილებით დავიცვათ, დაშლა-დაქუცმაცებას, პრივატიზაცია-გაყიდვას გადავარჩინოთ ქართული მწერლობის სასახლე.

ვნახოთ, რას გვიჩვენებს მომავალი.

გაუსაძლისმა ვითარებამ ჩვენ როდი გაგვაბოროტა: ამ საახალწლო დღეებში, როცა ჩვენი სამშობლოს თავზე ავი ღრუბლები დაჯარდა, გაძლებას, გამხნევებას ვუსურვებთ ჩვენი ერის თითოეულ ჭეშმარიტ გულშემატკივარს.

ხოლო საეჭვოდ გალაღებულ ხელისუფლებას კიდევ ერთხელ ვურჩევთ, გონს მოეგოს, ნუ დაუპირისპირდება დავით აღმაშენებლის უკვდავ ანდერძს!

ახსოვდეს, საქართველოს მომავალი მხოლოდ და მხოლოდ ეროვნული სახელმწიფოს აშენება–გამაგრებაზე გადის.

სხვა გზა გლობალიზაციისა და კოსმოპოლიზმის უფსკრულისაკენ მიგვაქანებს. იგი საქართველოს ეროვნული თვითმყოფადობის წაშლის სოროსული გზაა!

2004 წ.

მიდით, დასცინეთ, გადაუარეთ...

დაღვრემილი ილაჯგაწყვეტილი, მშიერი, სასოწარკვეთილი ხვდება ახალ წელს საქართველო.

არაეროვნული ხელისუფლება ჩქარობს საქართველოს დაქცევას და იავარქმნას.

ქვეყანაში ტერორი, „ნაციონალისტთა“ დიქტატურა, დესპოტიზმი მძვინვარებს.

ხელისუფლებას ყოველ ნაბიჯზე ეტყობა, რომ სძულს ქართველი ხალხი.

სიტყვა „ქართველს“ რატომ ვუსვამთ ხაზს, დაკვირვებული მკითხველი მიხვდება.

სახელმწიფო ტელევიზიის მონიტორინგის კომისიის წევრები ტელევიზიის შესასვლელთან დგანან და დამსახურებულ, ხანდაზმულ ჟურნალისტებს (მთელი სიცოცხლე რომ ტელევიზიას შესწირეს) შენობაში არ უშვებენ. კომისიის უღირსი წევრი დავით პაიჭაძე სახეგამგელებული ხელს ურტყამს მაგიდას, როცა პაიჭაძეს დამსახურებული ჟურნალისტი დოდო იორდანიშვილი ესაუბრება (ეს ის დოდო იორდანიშვილია, რომელიც სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას სამუდამოდ დახეიბრდა).

თითქოს დასცინისო დაპყრობილ-დამონებულ საქართველოს, ზეიმს ზეიმზე აწყობს „ვარდებით მოსული“ ხელისუფლება.

ზეიმი-ინაუგურაცია, ზეიმი-თბილისობა, ზეიმი „რევოლუციის წლისთავი“, ... წვრილ-წვრილ ზეიმებზე არას მოგახსენებთ.

ხალხი შიმშილით წყდება და საახალწლო ზეიმებისთვის ქალაქის მერიამ 326 ათასი ლარი გამოყო, მერიის წინ ყინულის მოედანი რომ გააკეთონ, ხოლო ყინული ლონდონიდან უნდა ჩამოიტანონ.

ასეთი ფუფუნების უფლებას საახალწლოდ თავს არ აძლევენ: საფრანგეთი, გერმანია, ესპანეთი, იტალია, დანია, ჰოლანდია...

ტირიან სტუდენტები, ახალი კანონით უნივერსიტეტი ხერხემალში გადაგვიტეხესო, ტირიან ქუჩაში გამოყრილი უმუშევრები, რომელთა რიცხვი კატასტროფულად იზრდება, ტირიან იმედდაკარგული ლტოლვილები, ტირის მოტყუებული საქართველო...

ამ დროს ხელისუფალნი უაზრო ღიმილით მი და მო აწყდებიან, სადღაც გარბიან, ჩქარობენ, ხალხს თვალში ნაცარს აყრიან.

326 ათასი ლარი ყინულის ჩამოტანაში უნდა დახარჯონ და ბავშვების უსაყვარლეს „დილას“ წელიწადში სულ 30 ათასი ლარი სჭირდება. ამდენივე ეყოფა „მწერლის გაზეთს“, მაგრამ ზრდილობიან უარს კი არა, უტიფრულ ხულიგნურ უარს ეუბნებიან.

მწერლებს, ეროვნული ცნობიერების უპირველეს დამცველებს, ხელისუფლება სამი თითის კომბინაციას უჩვენებს: „თავში ქვა იეც და ისა ჰქენი“-ო.

ამ სტრიქონებს სიცივისაგან წელგაკავებული, გაყინულ მწერალთა კავშირში ვწერ.

ხელისუფალნი ახალ წელს შამპანურების ბათქა-ბუთქით შეხვდებიან, მე კი ჩემს თანამოკავშირეებთან ერთად მწერალთა კავშირში უნდა ვეგდო და დილამდე ვეწამო, რომ გოკა გაბაშვილის მიერ გამოგზავნილმა ნაძირალებმა კარები არ შემოამტვრიონ და შენობა არ დაიკავონ.

გამარჯვებულები ხართ, ძვირფასო ხელისუფალნო, და მიდით, დასცინეთ, გადაუარეთ საქართველოს.

გაფრთხილდით კია: ე მანდ ლონდონიდან ჩამოტანილ ყინულზე ფეხი არ დაგიცურდეთ.

2004 წ.

პრეზიდენტი – ახალი, პრობლემები – ძველი

საქართველოს ახალი პრეზიდენტი ჰყავს.

ჩხუბის მერე ხელების ქნევას ჰგავს ახლა საუბარი იმაზე, რომ პარლამენტის შენობაში შევარდნა და ხალხის მიერ არჩეული პარლამენტის გარეკვა დანაშაულია, რომ 4 იანვარს, საღამოს რვა საათზე, შეწყდა არჩევნები და ხუთი საათით ადრე ცენტრალური საარჩევნო კომისია უკვე ულოცავდა მიხეილ სააკაშვილს „ბრწყინვალე გამარჯვებას“, ხოლო სულსწრაფი პრეზიდენტი მეტეხი-პალასში უკვე მილოცვებს იღებდა.

... და ეს მაშინ, როდესაც ხმების დათვლა ჯერ კიდევ არ იყო დაწყებული.

რაც მოხდა, მოხდა.

ახლა მთავარია, ყველანი, ერიც და ბერიც, დავირაზმოთ იმისათვის, რათა საქართველოს სათავეში ამერიკის დახმარებითა და ტელერევოლუციით მოსულ სამეულს, რაც შეიძლება, ნაკლები შეცდომა დავაშვებინოთ.

ახლა „ოლოლოს“ შეძახილის და „საქმის გარჩევის“ დრო არ არის.

მით უმეტეს, რომ მსოფლიოში არ არსებობს ინსტანცია, რომელიც „გამარჯვებულებს გაასამართლებს“ და ეტყვის მსოფლიოს: ის, რაც საქართველოში ჩაიდინეს, ხელისუფლების შეცვლის არაკონსტიტუციური, არაკანონიერი, არასწორი საქციელია.

სამეული უკვე იმ სავარძლებში ზის, რა სავარძლებისთვისაც „თავგანწირვით“ იბრძოდა.

დავიწყოთ იქედან, რომ პრეზიდენტი ახალია, პრობლემები კი – ძველი.

დასადბურენებელია რუსეთის მიერ წართმეული ტერიტორიები – აფხაზეთი და სამაჩაბლო.

ასამუშავებელია გაყინული მრეწველობა და სოფლის მეურნეობა.

გასაცოცხლებელია მკვდარი ეკონომიკა.

შესავსებია ბიუჯეტი.

მოსაგვარებელია გაუკუღმართებული ურთიერთობები ცენტრსა და რეგიონებს შორის.

დასარიგებელია მავანთა მიერ მიტაცებული, დღემდე გაუცემელი ხელფასები და პენსიები.

მოსაპოვებელია სამუშაო ადგილები და ნაბიჯ-ნაბიჯ გასაზრდელია ხელფას-პენსიები, დასამარცხებელია კორუფცია.

ამას თუნდაც ოთხ ენაზე ლამაზი ჭიკჭიკით და დაპირებებით ვერ გააკეთებ.

საქმე, საქმეა საჭირო... საქმე კი, ცოტა არ იყოს, უფრო ძნელი საქმეა, ვიდრე თანამოაზრეთა გარემოცვაში მოქცეული და ბრონეჟილეტში გამოწყობილი რევოლუციონერის ძახილი: – „გადადექი! გადადექი!“

როგორ დავუკარგავ; გამეხარდა, როცა პრეზიდენტობის კანდიტდატი მიხეილ სააკაშვილი ცხინვალში შევიდა და იქაურებს გამოუცხადა: იცოდეთ, ეს საქართველოა და დროა, შეეგუოთ ამ გარემოებასო.

მაგრამ სიტყვებიდან ერთ საათში გამოდის თვითმარქვია პრეზიდენტი კოკოითი და აცხადებს: ვერ მივუსწარი ამ პროვოკატორს, თორემ დავაპატიმრებდიო.

ახლა? რა გეგმები აქვს ახალგაზრდა პრეზიდენტს იმისათვის, რათა საქართველოს მიწაზე შევარდნაძის დანაშაულებრივი შეცდომებით გამოჩეკილი ცრუსახელმწიფოების ცრუპრეზიდენტებს (არძინბა, კოკოითი) ქართული მიწების მიტაცების მადა დაუკარგოს?

ჯერჯერობით ქვეყნის „სასიკეთოდ გარდასაქმნელად“ მხოლოდ ის გაკეთდა, რომ ინკასატორების ინსტიტუტი გავაუქმეთ (?), გაუბედურებულ პენსიონერებს 14 ლარის მისაღებად საბანკო განყოფილე-

ბაში დავარბენინებთ (?) და „გარევაჭრობას“ გაბედულად შევუტიეთ (?)... ამისთვის მოხდა რევოლუცია? კვლავ ვერ ვარიგებთ ხელფასებს და, მიუხედავად სამართლიანი თუ უსამართლო დაჭერებისა, კვლავ დაგრაფიკებულია ელექტროენერგია.

ღმერთმა გაძლება მოგცეს პრეზიდენტო.

შეუძლებელს რომ ვერ შეძლებ, მეც კარგად ვიცი, მაგრამ ამ ჯერზე იქნებ ორი მთვარი საქმე მიიყვანო ბოლომდე: აამოქმედო მსოფლიოს პროგრესული საზოგადოება (უპირველესად ამერიკა და რუსეთი), რათა როგორმე დავიბრუნოთ წართმეული ტერიტორიები აფხაზეთი და სამაჩაბლო. და მთელი შენი ახალგაზრდული შემართებით შეუტიო კორუფციას.

როგორი უნდა იყოს ქართველი მწერლის დამოკიდებულება ამ მოვლენათა მიმართ, რაც უკანასკნელი თვეების საქართველოში ხდება?

ქართველი მწერალი, როგორც ეს საუკუნეთა განმავლობაში ხდებოდა, უნდა იყოს კეთილი და გონიერი მრჩეველი თავისი ხალხისა.

„არ დაამადლო, პოეტო, ფიქრი...“ გვეუბნებოდა მურმან ლებანიძე და, ღმერთმა ნუ ქნას, ჭეშმარიტი ქართველი მწერალდი რევოლუციის ქარტეხილით აფორიაქებულ საქართველოში შეიყუჟოს შუშაბანდში (როგორც ეს უკვე იგრძნობა ზოგი ჩვენი „კლასიკოსის“ საქციელში), აქაოდა, რაც ახლა გარეთ ხდება, მე არ მეხებაო.

მწერლობა ხელისუფლების ყოველ ნაბიჯს განსჯის ქურაში უნდა ატარებდეს, დროდადრო შეახსენებდეას პრეზიდენტს აქტუალურ პრობლემებს და ასრულებდეს დინჯი, კონსტრუქციული ოპოზიციონერის როლს.

გავიხსენოთ, რამდენმა ნიჭიერმა ლიტერატორმა დაისამარა თავი, რაკიღა ბერიას, მჟავანაძის, შევარდნაძის ტაშისმკვრელის როლს ვერ გასცდა.

ჩვენს მთავარ საქმეს – ერის გუშაგობას, თანამედროვეობის მხატვრული მატიანის შექმნას, ეროვნული ცნობიერების დაცვისთვის თანმიმდევრულ ბრძოლას – ერთხელ კიდევ შეგახსენებთ, ძვირფასო მწერლებო.

წინ ახალი საქართველოსკენ!

2004 წ.

მეტს რაღას გვიზამს!

ახალი წლის შემობრძანება, როგორც ქართველებს გვჩვევია, ლაზათიანად ვიზეიმეთ. ჩვენ ხომ „ლხინისმოყვარე“, „გაუტეხელი“ ერი ვართ.

ახალი წლის ღამეს ოცი ათასამდე თბილისელი ახალგაზრდა ისე თავფეხაწყვეტით ბრაციბრუც-ყვანცალებდა „რესპუბლიკის მოედანზე“, გარედან შემხედვარეს ეგონებოდა: ეს ქვეყანა არც ომში დამარცხებულა ათიოდე წლის წინათ, არც მესამედი ტერიტორია დაუკარგავს, არც 30 ათასი მოხალისე- მეომარი დაღუპვია რუსეთის წინააღმდეგ უთანასწორო ომში, არც სამასი ათასი ლტოლვილი ჰყავს, არც რუსის საოკუპაციო ჯარი უდგას ზუგდიდთან შუა საქართველოში და არც თოთხმეტლარიანი პენსიით ეტანჯება მოსახლეობა.

ქვეყნის დაცინვა, ახალგაზრდების მასობრივი გამოთაყვანება იყო ქალაქის მთავარ მოედანზე მოწყობილი საახალწლო ორგიაბაკქანალია, ხოლო შინ დარჩენილებს თავისი უგემოვნობით, სიყალბით, დათვური იუმორით გული გაგვიწყალა საახალწლო გადაცემებმა, ასე ენერგიულად რომ რეკლამირდებოდა მთელი თვის განმავლობაში.

თუმცა ეს სტრიქონები ჩაშლილი საახალწლო ზეიმის გამო არ იწერება. ორიოდე წელი დარჩა ბალტინის ტანკებით მოსულ ხელისუფლებას და სწორედ რომ ასეთი გულისამრევი ზეიმებით უნდა გამოგვეთხოვოს.

ჩვენი სათქმელი ამჯერად სხვა რამ გახლავთ:

ჩარიხინდა საახალწლო ზეიმი, მიწყდა დაფდაფების ხმა და ნამთვრალევ საქართველოს ეუწყა, რომ რუსეთმა განაახლა პასპორტების გაცემა აფხაზეთსა და სამაჩაბლოში. აფხაზეთის მოსახლეობის 70 პროცენტი უკვე რუსეთის მოქალაქეა.

გიხაროდენ!

მაშ ასე, რუსმა ომით წაგვართვა აფხაზეთი და, ნუ გეშინიათ, ღირსეულად დავბრუნდებითო, გვამშვიდებდა მარიონეტული ხელისუფლება.

რუსმა საზღვარი ზუგდიდთან გადმოიტანა და ნუ გეშინიათო, დროებითი მოვლენაა, მოლაპარაკებებით დავიბრუნებთ აფხაზეთსო, გვატყუებდა გამყიდველი ხელისუფლება.

რუსმა სოჭი-სოხუმის სარკინიგზო მაგისტრალი აამოქმედა და, ნუ გეშინიათ, ეს „ერთჯერადი მიმოსვლაა“.

რუსმა აფხაზეთში მცხოვრებთ რუსეთის მოქალაქეობა დაუმტკიცა და, ნუ გეშინიათ, ეგ ჯერ კიდევ არაფერს ნიშნავსო, ცეცხლზე ნავთს გვისხამს ჩვენი უნიათო ხელისუფლება.

კიდევ რა უნდა მოიმოქმედოს დამპყრობელმა რუსმა, რომ აფხაზეთ-სამაჩაბლო სამუდამოდ დაკარგულად მივიჩნიოთ, ყოველგვარი მოლაპარაკება ფუჭ საქმედ ჩავთვალოთ და იმ გზას დავადგეთ, რასაც მტრისადმი დაუმორჩილებელი ყოველი ნორმალური ქვეყანა დაადგებოდა.

ჰიტლერს აზრადაც არ მოსვლია მის მიერ დაპყრობილ რუსეთის ტერიტორიაზე მშვიდობიანი მოსახლეობისთვის გერმანიის მოქალაქეობა მიეცა.

მსოფლიოში პირველი და ერთადერთი შემთხვევაა, სხვა ქვეყანა სხვა ქვეყნის მოქალაქეებს დღისით-მზისით, უსირცხვილოდ თავისად მიითვლიდეს, თავის მოქალაქეობას აძლევდეს.

ნუთუ ასე უნაპირო და უძიროა ჩვენი მოთმინების ფიალა?

სანამ ვიჯდეთ გულხელდაკრეფილნი?

ხმა ამოიღე პარლამენტო, ხმა ამოიღე პრეზიდენტო!

სად არის გაერო, ევროპარლამენტი, რას იქმან „საქართველოს მეგობრები?“

კიევში შეხვდა პუტინი საქართველოს გაბრაზებულ პრეზიდენტს, ნატურმორტი აჩუქა, მაგრამ რკინგზას რაც შეეხება, რა ვქნა, უფლება არა მაქვს კომერციული ფირმის საქმეებში ჩავერიოო, საჩუქრით გულაჩუყებული ჩვენს პრეზიდენტს წართმეულ აფხაზეთ-სამაჩაბლოზე კრინტი არ დაუძრავს.

ამ მდგომარეობასთან შეგუება საქართველოს სიკვდილს ნიშნავს.

განვაახლოთ ფართომასშტაბიანი პარტიზანული მოძრაობა!

მოღალატეებად გამოვაცხადოთ საქართველოს ყველა მოქალაქე (მათ შორის აფხაზეთსა და სამაჩაბლოში მცხოვრები, რა ეროვნებისაც უნდა იყოს), ვისაც რუსეთის მოქალაქეობის პასპორტი უდევს ჯიბეში! ყოვლის ღონისძიებით ხელი შევუშალოთ სოჭი-სოხუმის რკინიგზას.

წინ აღვუდგეთ რუსეთის მიერ საქართველოს ტერიტორიის ფაქტობრივ მიტაცებას.

2003 წ.

მწერლობა თვალში არ გეპატარაოს!

რაც დრო გადის, სადეპუტატო ასაკს სულ უფრო ვშორდები, მაგრამ ჯერჯერობით ენერგიაც მაქვს, ძალაც და გონებაც, რომ ერთი პარლამენტარობა კიდევ გავწიო. თანაც მოთხოვნილება მაქვს, ტრიბუნიდან სიტყვით გამოსვლის სურვილი ხანდახან შუაღამით გამომაღვიძებს ხოლმე. რაც უნივერსიტეტის მესამე კურსის სტუდენტმა ჩემი პირველი წიგნი გამოვაქვეყნე, იმ დღიდან პოლიტიკაში ვარ. ჩემი ბომბი და ავტომატი კალამი იყო. როცა მწერლებს გვითხრეს, თქვენს წიგნებსა და გაზეთებს ველარ გამოვცემთო, ხალხთან საუბროდ უფრო უკეთეს გზად პარლამენტის ტრიბუნა მივიჩნიე. ვთქვი, ეგებ ქვეყანას ამ ტრიბუნიდან მოლაპარაკე რეზო მიშველაძე გამოადგეს-მეთქი.

პარლამენტმა, როგორც მწერალს, ბევრი რამ მომცა. ჯერ ერთი, ყოველდღე შემეძლო მიკროფონთან ვმდგარიყავი და ის, რისი დაწერისა და ხალხთან კალმით მიტანის საშუალება არ მქონდა, პარლამენტის ტრიბუნიდან მეთქვა. თანაც, ჩემი კოლეგების ხასიათებსაც ვიწერდი, უბის წიგნაკები გავავსე. პარლამენტში უამრავი მედროვე იყო. იქ ქვეყნის ბედით გულატკივებული მხოლოდ რამდენიმე კაცი იჯდა, უმრავლესობას კი პირადი ინტერესები ჰქონდა, თავის ბიზნესს ლობირებდა, კანონებს ირგებდა. მე მხოლოდ ეროვნული ინტერესები მამოძრავებდა. რეზო მიშველაძეს სახელზე ერთი ჯიხურიც კი არ მდგარა საქართველოში და ბიზნესი არ მქონია. მე, ქართველი მწერალი, პარლამენტში ცარიელ-ტარიელი შევედი და იქიდანაც ასეთი გამოვედი.

პარლამენტში ძალით გაპოლიტიკოსებული მწერალი ვიყავი, რადგან ლიტერატურული საქმიანობა უშუალოდ პოლიტიკურისაგან დიდად განსხვავდებოდა. თავს ძალას ვატანდი, კანონების შექმნასა და ქვეყნის მართვაში როგორმე წვლილი შემეტანა. მაგრამ, როცა პარლამენტიდან წამოვედი და მწერალთა კავშირის მდივნად ამირჩიეს, სულიერი კმაყოფილება იქ უფრო ვიგრძენი. ყველა მწერალი, ვისაც სინდისი აქვს, იტყვის, რომ რეზო მიშველაძის მისვლის შემდეგ მწერალთა კავშირი გაცოცხლდა. მაგრამ ის ტრიბუნა, საიდანაც ყოველდღე შემეძლო ერთან საუბარი, აღარ მაქვს, სამაგიეროდ, „მწერლის გაზეთით“ ვცდილობ, ქვეყანას შევეხმიანო. გაზეთს წელიწადში ოცი ათასი ლარი სჭირდება. პარლამენტარის პენსიას რომ ვიღებ, ჩემს ცოლ-შვილს ლუკმა-პურს ვაკლებ და სამას ლარს ამ გაზეთში ვდებ.

ამას წინათ ერთ-ერთ ღონისძიებაზე ბადრი პატარკაციშვილს შევხვდი, თავად წამოიწყო საუბარი მწერალთა კავშირში საქმე როგორ არისო, თქვენი გაზეთი ისევ თუ გამოდისო. ვბორძიკობთ-მეთქი, – ვუთხარი. ბადრი პატარკაციშვილი ისეთი მასშტაბის ქველმოქმედია, კიდევ მათხოვრის დამატება აღარ ვაკადრე. მაგრამ თავად მითხრა, სიტუაციას გადავხედავ და ექვსი თვის ნომრების გამოსაცემი თანხით დაგეხმარებითო. ჩვენ აღარ შეგვიხსენებია, მაგრამ, ალბათ სიტყვას არ გასტეხს, გულისხმიერი კაცია.

ვწუხდი, ხალხთან სასაუბროდ ტრიბუნა რომ არ მქონდა. ერთხელ ასლან აბაშიძის დავალებით ჩემთან ჯემალ გოგიტიძე და ვალერი გელბახიანი მოვიდნენ და შემომთავაზეს, პარლამენტში „აღორძინების“ სიით შემოდითო, სიამოვნებით დავთანხმდი. ასლან აბაშიძე ეროვნულ საქმეს აკეთებდა და მის ბლოკში ყოფნა სამარცხვინოდ არ მიმაჩნდა. სხვათა შორის, პარლამენტში შესასვლელად ასევე დავთანხმდებოდი ლეიბორისტებს და ყველა ოპოზიციურ პარტიას. ერთადერთი, მოქალაქეთა კავშირის წინადადებას არ მივიღებდი. ყოველთვის ოპოზიციონერი მწერალი ვიყავი.

აბაშიძე ქართული ეკლესიების ამშენებელი, ხელოვნების საოცარი მეცენატი, კარგი კაცი იყო. როგორც ქვეყნის მტერს, ვერ აღვიქვამდი, მტერი არც იყო. საქართველოდან მისი გაძევება სწორად არ მიმაჩნია. თუმცა აბაშიძეს განდიდების მანია სჭირდა, მედიდურობა, ამბიციურობა და დიქტატორული თვისებები ჰქონდა. ამას ვერ ვეგუებოდი. თბილისიდან კაცს დაიბარებდა და თავის კაბინეტთან სამ დღეს აცდევინებდა ხოლმე. ასეთ მდგომარეობაში არაერთხელ აღმოვჩენილვარ. ბათუმიდან ბევრჯერ წამოვსულვარ შეურაცხყოფილი. მე ვინ ოხერი ვარ, როცა ვახტანგ ბოჭორიშვილიც კი სამი დღის განმავლობაში კაბინეტთან ელოდებოდა. მისი ბლოკიდან გასვლაზე არასდროს მიფიქრია, პარლამენტში აჭარის წარმომდგენელი ახლაც სიამოვნებით ვიქნებოდი, მაგრამ ამ პარლამენტში ყოფნას აზრი აღარ აქვს. დღეს დეპუტატთა 80 პროცენტს ორ ბატს ვერ ჩააბარებ. ფრაქციის თავმჯდომარე წინასწარ აფრთხილებს, რომელ კანონს უნდა მისცეს ხმა. გუშინდელი ნაქეიფარი ამ დირექტივას როგორღაც იმახსოვრებს, მაგრამ ფრაქციის თავმჯდომარე არ ენდობა, კენჭისყრის წინ მაინც ჩამოივლის და დეპუტატებს სათითაოდ ეუბნება: „ვაძლევთ, ვაძლევთ!“. რაოდენ საჩოთიროც უნდა იყოს, ამ სიტყვებს ამბობს ისეთი ლამაზი და კარგი გოგო, როგორიც მაია ნადირაძეა, რომელსაც დიდ პატივს ვცემ.

პარლამენტში შევედით თუ არა, „აღორძინების“ ხელმძღვანელებმა პირველივე შეკრებაზე გვითხრეს: რასაც „აღორძინების“ პარტია დაუჭერს მხარს, თქვენ ხმას იმ კანონს მისცემთო. ყველა ჩუმად იყო, მხოლოდ მე ვიკითხე – როგორ, თუ არ გვჯერა, რომ ეს სწორია, მაშინ ამ კანონს ხმა რატომ უნდა მივცე, რადგან აბაშიძეს ასე სურს, მონურად ხელს არაფერს ავუწევ-მეთქი. მაშინვე დამიწყეს აღზრდა და დამუშავება. შეიძლება იმ წუთიდანვე ინანეს კიდეც – მიშველაძის სიაში ჩასმით თავი რას ავიტკიეთო. შემდეგ პატარ-პატარა გაკვეთილებს მიტარებდნენ, მაგრამ ვერაფერს გახდნენ, რასაც მხარს არ ვუჭერდი, იმ საკითხის კენჭისყრის დროს სხდომათა დარბაზიდან გავდიოდი. აბაშიძე წელიწადში ერთხელ რომ დაგვიძახებდა, ყველაზე თამამად ისევ მე ველაპარაკებოდი. რა მომწონდა და რა არა, დაუფარავად ვეუბნებოდი.

როცა მძიმე ვითარება შეიქნა, ვურჩიე: ნავსი უნდა გატეხოთ, თბილისში ჩამოხვიდეთ და ახალგაზრდა ხელისუფლებას დაელაპარაკოთ-მეთქი. თავი კი არ უნდა გაესაპნა, როგორც პოლიტიკურ პარტნიორს შეეფერებოდა, ისე უნდა მოქცეულიყო მაგრამ აბაშიძეს ჩემზე უკეთესი მრჩევლები ჰყავდა, თანაც სააკაშვილი ისე სძულდა, დათმობაზე არ წავიდა. საერთოდ, ჭკუის დამრიგებელი არავის უყვარს.

მიხეილ სააკაშვილს არასოდეს თანავუგრძნობდი, თუმცა შევარდნაძის ოპოზიციონერი ვიყავი, ჩემი განწყობის მიუხედავად, შეურაცხყოფილად ვიგრძენი თავი, როცა პარლამენტიდან ასეთი ქუჩური მეთოდებით გამოგვრეკეს. პირველი ქართველი მწერალი ვარ, ვინც ვარდების რევოლუციაზე ირონიული მხატვრული ნაწარმოები დაწერა. მწერალთა კავშირის მხრიდან ახალ ხელისუფლებას პირველი ექვსი თვე ნაწილობრივი მხარდაჭერა ჰქონდა. თუმცა, როცა მწერლებმა პრეზიდენტს მიღება ხუჯერ ვთხოვეთ და ყურადღება არ მოგვაქცია, როცა მან კულტურის მინისტრს უფლება მისცა, პათოლოგი ავტორების მიერ გამოცემული ჟურნალები და გაზეთები დაეფინანსებინა, ხოლო ქართული მწერლობის მაგისტრალური ხაზის გამტარებელი „მწერლის გაზეთი“ უსახსროდ დატოვა, როცა მწერლებისთვის შენობის წართმევა გადაწყვიტა, აღვშფოთდი და სააკაშვილის აქტიურ ოპონენტთა რიგში დავდექი. „ჩემო საყვარელო მიშა, ქართული მწერლობა თვალში არ უნდა გეპატარაოს! მერე რა, რომ შენ შეგიძლია მწერლის დაპატიმრება, მისი შიმშილით მოკვლა, ქართულ მწერლობას ასე არ ეთამაშო და ხელი

არ უნდა წამოჰკრა! გურამ შარაძე ეროვნული ცნობიერების დამცველი მწერალია, მისი დაპატიმრება და ხულიგანივით ციხეში ჩასმა ამ ხელისუფლებას არ ეკადრება. ამით მან ოპოზიცია გააფრთხილა, არ დაგინდობთო! ჩვენს ახალგაზრდა ხელისუფლებას ასეთი გაფრთხილებების კასკადის წამოწყებას არ ვურჩევ, რადგან ასეთი სიმკაცრე ხალხში ხელისუფლების მიმართ ზიზღს გააღვიძებს. თუკი ნაციონალისტური პარტია ილია ჭავჭავაძის ხაზის წინააღმდეგ წავა, მისი ოპროზიციონერი ვიქნები, მაგრამ, თუ ეროვნული სახელმწიფოს მშენებლობის გზით ივლის, გვერდით დავუდგები, კარგ საქმეს მხარს დავუჭერ, ხოლო ცუდს და არაეროვნულს გავაკრიტიკებ. ეს ჩვენს ახალგაზრდა ხელისუფლებას ნუ ეწყინება.

2005 წ.

ჟვანიას განკარგულებით...

როგორც კი ესენი, ე. წ. „ნაციონალები“ ხელისუფლებაში მოვიდნენ, მაშინვე ეჭვი შემეპარა, რომ არ ივლიდნენ იმ გზით, რა გზითაც ილია ჭავჭავაძე დადიოდა, რომელიც ჭეშმარიტი ნაციონალისტი და საქართველოს ეროვნული მედროშე იყო.

ოთხი წლის წინ, პარლამენტში ყოფნის დროს, მე, როგორც ქართველი მწერალი, გავწევრიანდი „ეროვნულ საქმეთა კომიტეტში“. სააკაშვილის ინიციატივით პარლამენტმა „ეროვნულ საქმეთა კომიტეტს“ სახელი შეუცვალა და „სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტი“ დაარქვა.

როცა მიზეზით დავინტერესდი, მიპასუხა. სიტყვა ეროვნული არ გვინდა, რადგან ვიწრო-პარტიკულარისტულ განწყობას გამოხატავსო. თავიდანვე ასეთი გახლდათ სააკაშვილის განწყობა და რამე ხეირს მოუტანდა ის ქვეყანას?

აქვე გავიხსენებ, ოთხი წლის განმავლობაში, გურამ შარაძე, მე და ასე თუ ისე, პარლამენტის ეროვნული ფრთა, სამი კანონის მისაღებად ვიკლავდით თავს, რომლის გარეშეც სახელმწიფო სახელმწიფო არ არის.

საქართველო როდესმე მაინც ხომ უნდა ჩამოყალიბდეს ეროვნულ სახელმწიფოდ და უნდა ჰქონდეს რელიგიის, სახელმწიფო ენის და ეროვნული რეკვიზიტის კანონი? ხმის ჩახლეჩამდე, ყელის გაგლეჯამდე, გულისგახეთქვამდე მიგვიყვანა პარლამენტში სამმა პირმა – სააკაშვილმა, ჟვანიამ და ბურჯანაძემ.

აქედან გამომდინარე, არცერთი წუთით არ დამიჯერებია, რომ ესენი ქვეყნის ინტერესებისთვის იბრძოდნენ. როდესაც მოხდა „ვარდების რევოლუცია“, ყველამ კარგად იცოდა სადაც დაიგეგმა, სოროსის დაფინანსებით. სოროსი არის მთავარი იდეოლოგი იმისა, რომ მოხდეს გიგანტური გლობალიზაცია მსოფლიოში და პატარა ერები თავიანთი კულტურით, ეროვნული ცნობიერებით გაქრნენ.

რაკი რუსეთს არ გამოუვიდა, საქართველოსთვის წაერთმია ენა და ეროვნული ცნობიერება, სოროსი თავის მოკლე ჭკუით ფიქრობს, რომ ეს ამერიკის შეერთებულ შტატებს გამოუვა, ამიტომაც არ ზოგავს ფულს, როგორმე საქართველოში სახელმწიფო ენად ინგლისური გამოცხადდეს, მართლმადიდებლობა შესუსტდეს, ქართული სული ჩაკვდეს და მომავალი თაობები ქართულ იდეოლოგიაზე აღარ აღიზარდოს.

ეს არის მიზეზი იმისა, რომ მოვიდა თუ არა ხელისუფლებაში რევოლუციური სამეული, უფრო სწორად, სოროსის სამეული, იმ წუთშივე ჩვენს სიწმინდეებს შეუტიეს, შეცდა საზოგადოება, მოტყუებული დარჩა შემოქმედებითი ინტელიგენციის დიდი ნაწილიც, როცა ეს მთავრობა უკანონოდ მოვიდა. ქართველი ერი ამას გაუჩუმდა, გაუჩუმდა მხოლოდ იმიტომ, რომ ფიქრობდა, ქვეყნის სასიკეთოდ იქნებ რამე მართლა შეიცვალოსო, მაგრამ სულ რამდენიმე თვე დასჭირდა ერს, რომ რევოლუციის ჭეშმარიტ არსში გარკვეულიყო.

მოვიდნენ თუ არა ხელისუფლებაში, მეორე დღესვე გამოაჩინეს ბრჭყალები და ისედაც მწირი ფინანსური დახმარება საერთოდ შეუწყვიტეს ქართველ მწერლებს. საქართველოს მწერალთა კავშირი არის მემკვიდრე საქართველოს მწერალთა იმ კავშირისა, რომელიც 1917 წელს შეიქმნა.

პირველ რიგში, მწერლობა სახსრებში უნდა მოშლილიყო ეკონომიკურადაც და მორალურადაც, რომ მთავარი მიზნები განეხორციელებინათ. მსოფლიოში არ არსებობს ქვეყანა, სადაც შემოქმედებითი და განსაკუთრებით მწერალთა კავშირები არ იყოს და არ არის მეორე ქვეყანა, სადაც მწერლებს ოფიციალურად არ ეხმარებოდეს სახელმწიფო.

მარტო საქართველოში გამოუცხადა მთავრობამ ზიზღი მწერლობას. დააკვირდით სააკაშვილის, ჟვანიას და ბურჯანაძის მეტყველებას, სიტყვები, მარაგს, თქვენ გაგიგონიათ მათგან ერთხელ მაინც რუსთაველის, ან ილია ჭავჭავაძის, ან აკაკი წერეთლის ციტატა?

სამეულის ცხოვრების წესიდან გამომდინარე თუ ვიმსჯელებთ, ისინი ხომ არაფერს კითხულობენ, მათ სიყმაწვილე ქართულ ზღაპარზე, შემდეგ იაკობ გოგებაშვილის, ილია ჭავჭავაძის, სულხან-საბა ორბელიანისა და ვაჟას წიგნებზე არ გაუტარებიათ. ისინი არ დახრილან ამ წიგნების წასაკითხად.

მაშინ, როცა უნდა წაიკითხო ეს შენი ეროვნული ფენომენი, რაზედაც ქართული სული და ქართული ცნობიერება დგას, ზოგი ამერიკაში უსტვენდა, ზოგი რუსეთში და ხელთ შეგვრჩა არაქართული ცნობიერების მატარებელი მმართველი ძალა. ძალა, რომელსაც პროვინციალიზმად მიაჩნია ილიაზე, აკაკიზე, ვაჟაზე ლაპარაკი. შეუტიეს სკოლას საშინელი განათლების რეფორმის კანონით, ასევე შეუტიეს უმაღლეს განათლებას, ქართულ მენტალიტეტში აბსოლუტურად გაურკვეველ კახა ლომაის დაავალეს სახსრებში გადაემტვრია ქართული განათლება. რა დღეში ჩააყენეს ქართული ეკლესია და როგორ გაჯეჯილდნენ იეღოველები და სხვადასხვა სექტის წარმომადგენლები, კარგად მოგეხსენებათ.

სააკაშვილი აგერ უკვე ერთი წელია პრეზიდენტია და სიტყვა „ქართველი მწერალი“ არ უხსენებია. მას არ დასჭირვებია ქართველი მწერალი.

მწერალთა კავშირის შენობა ხომ მუზეუმია ქართული კულტურისა და ეროვნული სულისა. ამ შენობაში თვეში სამჯერ იკრიბებოდნენ ქართველი მწერლებისა და მეცნიერების საუკეთესო წარმომადგენლები. ამ შენობაში ილია ჭავჭავაძემ „განდეგილი“ წაიკითხა.

აქ რამდენიმე თვე აკაკი წერეთელი ცხოვრობდა. ეს ჩვენი მწერლობისა და კულტურის მთელი ისტორიაა. შენობის ყოველი კუთხე-კუნჭული ამაზე ღაღადებს. დავით სარაჯიშვილმა ეს ბინა ანდერძით მწერლებს დაუტოვა. შემდეგ ანდერძიანად შენობა აკაკი ხოშტარიამ იყიდა და მანაც საქართველოდან წასვლის წინა დღეს მწერლებს ჩააბარა.

რევკომმა კი შენობა უკვე ოფიციალურად გადასცა ქართველ შემოქმედთ. ოთხმოცდათოთხმეტი წელია საქართველოს მწერალთა კავშირი განთავსებულია ამ ბინაში.

რამდენიმე თვის წინ ზურაბ ჟვანიამ ხელი მოაწერა განკარგულებას მწერალთა კავშირის შენობის კულტურის სამინისტროსთვის გადაცემის შესახებ. საქართველოს ეკონომიკის სამინისტროს უნდა უზრუნველეყო შენობის ჩამორთმევა ჩვენთვის, ამით დაიწყო ყველაფერი.

კახა ბენდუქიძემ ჟვანიას არასწორი განკარგულების საფუძველზე დაწერა, რომ უსასყიდლოდ უნდა გადაეცეს შენობა კულტურის სამინისტროს, თურმე იმიტომ დაიცვეს ქართველმა მწერლებმა ეს შენობა, იმიტომ შეეწირა თაობათა სიცოცხლე, გონება მწერალთა ბუდეს, რომ შემდეგ ვიღაც შარკოვისთვის გადაგვეცა.

ბენდუქიძემ, როგორც ჩანს, ამ შენობას თვალი დაადგა. იფიქრა, რად უნდათ მწერლებს ასეთი შენობაო. გადაწყვიტა, პრივატიზება მოეხდინა და გაეყიდა, მაგრამ რადგან მიხვდა ეს ხერხი არ გამოადგებოდა, სხვა ფანდს მიმართა – განიზრახა, პირველ ეტაპზე კულტურის სამინისტროსთვის გადაეცა და მერე გაეყიდა.

კულტურის მინისტრის მოადგილემაც მოგვიწოდა, რომ მწერლებს კანონის შესაბამისად გაგვეთავისუფლებინა მწერალთა კავშირის შენობა. ჩვენი გარეთ გაყრა აქვთ მიზნად დასახული, ცინიზმი უფრო შორს ვერ წავა.

თხუთმეტი მწერალი ყოველ ღამე აქ არის და შენობას დარაჯობს, ისე როგორც პაოლო იაშვილი და ტიციანი დარაჯობდნენ, ვინმე უკეთური არ შემოიჭრასო.

ასე ვდარაჯობთ ჩვენც, რათა ეროვნული ცნობიერების მტრებმა სააკაშვილის ხელმძღვანელობით, სპეცრაზმი არ გამოგზავნონ და შენობა არ დაიკავონ.

2004 წ.

არ შედრკეთ ბიჭებო!

ომის დაწყებამდე საათები რჩება.

მოვლენათა მსვლელობა, რომ ვაკვირდები, უფრო და უფრო ვრწმუნდები, რომ ეს ყველაფერი უკვე იყო 1992-93 წლებში.

მაშინაც რუსი ხოცავდა მშვიდობიან ქართველ მოსახლეობას და ახლაც რუსი უტევს.

განსხვავება ის არის, რომ მაშინ (და შემდეგაც მთელი 14 წლის მანძილზე) საქართველოს პრეზიდენტი გულმოდგინედ უმალავდა მსოფლიოს, რომ რუსი იყო ჩვენი დაუძინებელი მტერი. ახლანდელი პრეზიდენტი რუსი ჯალათებისთვის პოლიტიკურ პირის მოწმენდას აღარ აპირებს.

ურეკავდა მაშინ შევარდნაძე ლოთ ელცინს და ლოთი ელცინი პირდებოდა, რომ საქართველოს საქმეებში არ ჩაერეოდა. ურეკავს დღესაც მიხეილ სააკაშვილი პუტინს და პუტინი პირდება, რომ „ცხ-

ინვალის პრობლემა“ საქართველოს საშინაო საქმეა და ამ საქმესთან რუსს არა ესაქმება რა.

სინამდვილეში კი რუსი ჯარისკაცები გარსშემოეკვრნენ ერედვსა და თამარაშენს და დაუზოგავად ესვრიან ქართულ მხარეს.

როგორც მაშინ ვამბობდი (და არავინ იღო ყურად), ახლაც დაბეჯითებით ვუმტკიცებ, ჩვენს ახალგაზრდა პრეზიდენტს, რომ რუსის ნდობა ერთ ნაბიჯზე არ შეიძლება.

ბრწყინვალე იყო 10 ივლისს მიხეილ სააკაშვილის მიერ გაკეთებული განცხადება, პოლიტიკურად გამართული, პატრიოტული, ვაჟკაცური ტელეფონის ხაზით (ჯერჯერობით მხოლოდ ტელეფონით) თანაგვიგრძნობენ ჩვენი უპირველესი მეგობარ-მოკავშირე ამერიკელები, თუმცა თავს არ იწუხებენ, პუტინს ერთი საპროტესტო ნოტა მაინც გაუგზავნონ, ნუ ხელჰყოფ საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობასო.

გაერო? თუმცა გაეროს ტყუილი დაპირებების იმედი არც არასოდეს მქონია.

ამერიკის ელჩი რიჩარდ მაილსი კი თავისი ძვირფასი ვილიდან მშვიდად აცხადებს: იმედი მაქვს, მხარეები მოლაპარაკების მაგიდას მოუსხდებიანო.

აგაშენა ღმერთმა, უფრო დიდ სიბრძნეს ვინ, გვირჩევდა!

რომელი მხარეები, სერ? ნუთუ მართლა გგონია, რომ ჩვენს მიწას დაპატრონებული სტუმარი ოსების თავწვრილი ატამანი მართლა მხარეა?

ჩვენ რუსი გვეომებოდა 1992 წელსა და რუსეთი ახლაც გვიცხადებს ომს.

განა ომის გამოცხადება არ არის დუმის მიერ ახლახანს მიღებული განცხადება, რომ ჩრდილოეთი და სამხრეთ ოსეთი ერთი ქვეყანაა, მეთვრამეტე საუკუნიდან რუსეთის ქვეშევრდომობაში შესული და იქ ქართველს რა ესაქმებაო?

თუნდაც ერთი რუსი დეპუტატი შეეწინააღმდეგა ამ სისულელეს?

ასე ერთსულოვანია რუსეთის პოლიტიკურ-საკანონმდებლო მმართველობა, როცა ქართველთა ჩაყლაპვის დადგენილებას იღებს.

ახლა ჩვენს საომარ სამზარეულოში ჩავიხედოთ.

დაიჭრა შვიდი კაცი... რუსები ცხვრებივით გვხოცავენ და ჩვენ გავყვირით – „პროვოკაციებს არ ავყვეთო“.

„პროვოკაციის“ შიშით 50 ქართველი პოლიციელი „მშვიდად“ ბარდება მტერს, მშვიდად იჩოქებს „გამარჯვებული“ რუსის და ოსის წინაშე და, როცა მესამე დღეს ამ ნაცემ, მორალურად გაუპატიურებულ ბიჭუნებს უკან გვიბრუნებენ, მასმედიის წარმომადგენლები უკან მისდევენ, იქნებ ჩვენს „გმირ“ პოლიციელებს ინტერვიუ ჩამოვართვათო.

ვაჟკაცურად მოიქცა ირაკლი ოქრუაშვილი. „მოაშორეთ აქედან... გამოვიძიებთ, ვინ გასცა იარაღის დაყრის ბრძანება და სასტიკად დავსჯითო“...

იცის ირაკლი ოქრუაშვილმა, რა დიდია ორმოცდაათი ქართველი ჯარისკაცის მტრის წინაშე დაჩოქების მორალური ზარალი.

დამარცხებული ქართული ჯარის მიმართ რწმენა ძლივს განგვიმტკიცდა და ის მცირეოდენიც ჩაკლეს გულში უჯიგრო „პოლიციელებმა“.

რა უბედურება გვჭირს, რა დაგვემართა?

ამას წინათ „ოსურმა მხარემ“ უშიშროების თანამშრომლები დააკავა ორი დღით და უნდა გენახათ, რა ტირილ-ზლუქუნით ჩაეფსკვნენ გათავისუფლებულები თავიანთ მშობლებს და მამიდაშვილებს, გეგონებოდათ სულ მცირე ათი წელი მაინც იტანჯეს ჯურღმულებში და, როგორც იქნა, დააღწიეს თავი ტყვეობასო.

ჩვენთან ხომ საომარი ოპერაციები მშობელთა ჯგუფების თანხლებით და ზედამხვედველობით მიმდინარეობს.

„სადაა ჩემი შვილი, შე გათახსირებულო... ჩემი შვილი დამიბრუნე ახლავეო...“ ეპოტინებოდა მკლავზე რომელიღაც დედა სახელმწიფო მინისტრს, როცა გოგა ხაინდრავამ, ცხინვლაიდან 50-ის ნაცვლად 47 „სახელოვანი პოლიციელი“ გამოიყვანა.

ჩემი საქმე რომ იყოს, იმ პოლიციელთა მეთაურს ციხეში ჩავალპობდი, ხოლო ხუთ ათეულ მხდალ ქართველ ყმაწვილს ას როზგს დავკრავდი თავისუფლების მოედანზე მთელი საქართველოს დასანახად.

მაქვს ამის თქმის მორალური უფლება: ერთადერთი შვილი გავუშვი რუსების წინააღმდეგ ომში აფხაზეთისთვის და ვაჟკაცურად დაცემულ ჩემს გმირ შვილს ავტომატი ისე მაგრად ჰქონდა ჩაბღუჯული, ხელი მკვდარსაც ვერ გააშვებინეს.

რას ჰქვია „იარაღის დაყრა“, შე დედალო!

ქამარი რომ შემოგხსნეს, ქეჩოში ხელი გტაცეს და დაგაჩოქეს, ხომ იქ დამთავრდა შენი ვაჟკაცობა.

„პროვოკაციების არ აყოლაზეც“ მაქვს ჩემი შეხედულება.

ნუ ავყვებით პროვოკაციებსო და, ჩავბარდეთ აბა ორმოცდაათორმოცდაათად მტერს?

როცა გესვრიან, თუ გული გაქვს, შენც უნდა ესროლო, თუ არა

და, უნდა დაიწყო ხელი ყურებზე (კინაღამ სხვა სიტყვა წამომცდა) და გაერიდო ბრძოლის ველს.

მიატოვო ქართული სოფლები ბედის ანაბარა და სამარცხვინოდ გამოიქცე.

ასეთი რამ უკვე ჩაიდინა ქართველმა მხედრობამ 1993 წელს, და თუ დღეს სხვა საქართველოში ვცხოვრობთ, ყველანი ერთ მუშტად უნდა შევიკრათ მომხდურთა წინააღმდეგ.

არ შედრკეთ, ბიჭებო! მარტო პარადის ჯარის სახელით ნუ შეხვალთ ისტორიაში. თქვენ შვილებსა და შვილიშვილებს ავნებს, იცოდეთ, თქვენი შერცხვენილი სახელი!

ჩვენც წამოვალთ, მამებიც წამოვალთ და ვიბრძოლებთ თქვენ გვერდით!

საქართველოს დაპყრობას ცდილობს რუსი და ზოგ უგუნურ კავკასიელს იმდენი გაგება არა აქვს, რომ საქართველოს დამარცხება მთელი კავკასიის დამარცხებას ნიშნავს.

თუ ვართ ერი და თუ ვართ ქვეყანა, ჩვენი დამოუკიდებლობისთვის ისე უნდა ვებრძოლოთ დამპყრობელს, როგორც უკანასკნელ ათწლეულებში ავღანეთი იბრძოდა, როგორც ჩეჩნეთი და ერაყი იბრძვის.

არ უნდა გავაჯეჯილოთ ქართულ მიწაზე რუსი დამპყრობელი.

უნდა შეიგნონ ერთხელ და სამუდამოდ ჯალათებმა, რომ აფხაზეთი და სამაჩაბლო საქართველოა და ჩვენთვის რუსის მიერ ამ ჩვენი მიწა-წყლის წართმევას არასოდეს შევურიგდებით.

2004 წ.

ღია წერილი კულტურის მინისტრს გოკა გაბაშვილს

გოკა!

შენ ჩემი შვილის ტოლა ხარ და, სამწუხაროდ, მხოლოდ ასაკით ჰგავხარ ჩემს შვილს. იგი ახლა საძმო საფლავში წევს, შენ, ღმერთმა ჩემი აჩიკოს დაკლებული წლები შეგმატოს და, მინისტრი ხარ.

ცოტა შორიდან დავიწყებ.

1993 წლის 16 სექტემბერს გაგახსენებ. მაშინ მამაშენი კოტე გაბაშვილი ქალაქის მერი და შევარდნაძის უერთგულესი თანამებრძოლი იყო, დღეს პარლამენტის წევრი და შევარდნაძის უერთგულესი მტერია, რუსები სოხუმს ბომბავდნენ. ქალაქის მერი აეროპორტში იჯდა და მოხალისეთა რაზმებს „ადგენდა“.

მის წინ საზარბაზნე ხორცად მოტყუებულ ყმაწვილთა გრძელი რიგი იდგა. აჩიკოს ვინაობა რომ გაიგო, ხმამაღლა გამოაცხადა:

– ახალგაზრდებო, მწერალი მიშველაძე თავის ერთადერთ შვილს ომში გზავნის, აი, მისაბაძი მაგალითი!

ეგ ყველაფერი კარგი, მაგრამ იქვე, იმ დღეებშივე, იმავე აეროპორტიდან მამაშენმა შენ გერმანიაში გაგაფრინა, საქართველოში ომია და ემანდ ჩემს გოკას ფარსაგი არაფერი შეემთხვასო.

ეგ არც მაშინ გამკვირვებია, მთავრობის ყველა წევრმა საზღვარგარეთ გადამალა თავისი შვილი და კოტე გამონაკლისი რატომ იქნებოდა.

მამულის დასაცავად ჩემი და ჭაბუა ამირეჯიბისთანა უჩინო ხალხის შვილებს უნდა ეომათ და როგორ იომეს, ქვეყანამ იცის.

გაკვირვებით სხვა რამ გამიკვირდა: როცა შვილის ცხედარი ჩამომისვენეს, საბურთალოს სასაფლაოზე ადგილი არ აღმოჩნდა. უადგილობის გამო მერი უარს ამბობსო, შემომითვალეს. გადაეცით, მე ჩემი უბედურება მყოფნის და მანდ არ მომიყვანოს, მისი ცოლშვილის ცოდო არ დამადოს-მეთქი, შევუთვალე.

ბოლოს იკადრა და გამომიყო გმირი ბიჭისათვის სასაფლაო.

შენ ყოველივე ამაში დამნაშავე, რასაკვირველია, არა ხარ. უბრალოდ, შენი აღზრდის ერთი მამაშენისეული მეთოდი გავიხსენე.

სწავლაგასრულებული შევარდნაძის საქართველოშივე დაბრუნდი.

შენ მინისტრის თანაშემწედ გაგამწესეს, მამაშენი – ელჩად გერმანიაში.

გაივლის დრო და ვარდების რევოლუციის მოსამზადებელ ჯგუფში აღმოჩნდები.

სოროსს ასე სურსო, აგიხსნეს და შენც არ გიყოყმანია. ერთი გიკითხავს მხოლოდ: კი მაგრამ, მამაჩემი რომ შევარდნაძისტიაო?

არა უშავს, ეგ ნუღარ დაგაღონებსო, დაუშიშმინებიხართ.

თუ შევარდნაძე გაიმარჯვებს, მამაჩემი ხომ ელჩია, მეც, მისი შვილი, მასთან ერთად გამარჯვებული ვიქნებიო, ხოლო თუ „ვარდები“ გაიმარჯვებს, ორივე (მამაშვილი) ხომ გამარჯვებული ვიქნებით და ვიქნებითო.

სააკაშვილისა და ჟვანიას უკან ერთ-ერთ მიტინგზე ტელევიზორში შენი შიშისაგან აწრიალებული თვალები გაკრთა და ეს საკმარისი აღმოჩნდა, კულტურის მინისტრის ხალათი ებოძებინათ შენთვის.

რა ნიშნით, რა შრომებისთვის, რა სახელოვანი ღირსებებისთვის დაგავალეს კულტურის თავკაცობა, არავინ დაინტერესებულა. რევოლუციის სამეულს ასე სურდა! მორჩა და გათავდა.

შენ თვითონ უარს როგორ იტყოდი. „თავი არ ეღირსებოდას“ ეპოქა კარგა ხანია დამთავრდა.

ჩაჯექი თუ არა მინისტრის სავარძელში და მიიკეტე კაბინეტის კარი, იმ დღიდანვე ზიზღი გამოუცხადე ქართულ ხელოვნებას. სწორედ იმას, გოკა, რითაც თავი მოგვაქვს ქართველებს, რაზეც თავიდან ბოლომდეა დაფუძნებული ქართული ფენომენი და რის დაცვა-აღორძინებისთვისაც შენი სამინისტრო უნდა იყოს მოწოდებული.

იმდენი მოახერხე, რომ ეროვნული ცნობიერებისაგან დაცლილმა ხელისუფლებამ შემოქმედებითი კავშირებისთვის გამოყოფილი მწირი თანხა შენ გადმოგილოცა, კულტურაში კარგად ერკვევი და ეს ფული შენ გაანაწილეო.

შენც მოდექი და „ანაწილე“. ფეხებზე დაიკიდე მწერალთა, მხატვართა, თეატრის მოღვაწეთა, კომპოზიტორთა, ქორეოგრაფთა, დიზაინერთა მოთქმა-გოდება და ათი თვის განმავლობაში, ჯიუტად შეაქციე ზურგი ჭეშმარიტ, სახელგანთქმულ, ხალხისთვის საყვარელ მწერალთ და ხელოვანთ, ჯიუტად აფინანსე შენი და შენი ლაზღანდარა ძმაკაცების მიერ მოფიქრებული, დროის გატარებისთვის, მათი ტერმინი რომ ვიხმარო, „საკაიფოდ“ მოფიქრებული ღონისძიებები: „ბათუმის შოუფესტივალი“, „გონიოს ლიტერატურული ბლიცკონკურსი“, „შოუ პახმელია“, „მწერალთა და ხელოვანთა ფოთის კოლექტიური თევზჭერა“ და ასეთი პათოლოგიური სიმახინჯეები. უჩვენებდა მეორე დღეს სახელისუფლებო (ახლა რომ ხალხის მოსატყუებლად „საზოგადოებრივი“ სურთ დაარქვან) ტელევიზია ლუდის ბოთლებით ხელში, „პახმელიაზე“ მოძიგძიგე უნიჭო პოეტებს და ამით დასცინოდა სამაჩაბლოს დაბრუნებისთვის ხელისუფლების უაზრო, წინდაუხედავ ფართხალში დამარცხებულ საქართველოს, რომელსაც შინ ოცდაათი ცხედარი ესვენა სავალალოდ და თავშისაცემად.

შენ კი საქართველოს ამ გამოუცხადებელი, საყოველთაო გლოვის ჟამს, დაჰკარი ფეხი და საბერძნეთში ამოყავი თავი. აბა, რა გექნა. ხელოვნების აღორძინებისათვის გამოყოფილი ფული რაღაცაში ხომ უნდა დაგეხარჯა. მართლა ხელოვნების წარმომადგენლებს ხომ არ დაურიგებდი სულის მოსათქმელად, ქაღალდის და ფუნჯის შესაძენად.

რაკი შევატყვე, რომ მწერლობისათვის სასიკეთო არაფერი გქონდა ჩაფიქრებული, რაკი ძალიან გაუტიე, გავიწყვიტე შუბლის ძარღვი და მოვედი შენს კარზე.

სამჯერ გამომაბრუნეს, მინისტრი დაკავებულიაო.

მეოთხედ მოსვლისას მდივანს გავეპასუხე, ვიცი, დაკავებულია, მაგრამ იქნებ მოახსენოთ, მე, მწერალთა კავშირის მდივანი რევაზ მიშველაძე, ხუთწუთიან მიღებას ვთხოვ-მეთქი.

ვზივარ, გელოდები. გავიდა დაახლოებით სამი საათი. მდივანი ამ ხნის განმავლობაში ხუთჯერ შემოვიდა შენთან. თუ მოახსენეთ-მეთქი? მოვახსენე, მაგრამ არაფერი უთქვამსო.

ბოლოს, შეურაცხყოფისაგან გათეთრებული, რაღაც საქმეზე გამოსულს კარებში დაგხვდი და კაბინეტში შეგყევი.

შეგყევი და მწარედ ვინანე. გაბოლილ კაბინეტში შენ და შენი მოადგილე თათა ქვარიანი, როგორც ჩანდა, იმ „მსოფლიო პრობლემას“ წყვეტდით, თუ როგორ დაგეფინანსებინათ მორიგი „შოუ პახმელია“ და ჩემთვის როგორღა მოიცლიდით.

ეს, რაც შეეხება შენს უზრდელობას.

მწერალთა კავშირს ძალიან უჭირს; რატომ მოგვიხსენით სტიპენდია (რაც სახელმწიფო დახმარების სახით მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანაში ეძლევათ მწერლებს), უსახსრობის გამო ვერ ვახერხებთ ლიტერატურული ღონისძიებების ჩატარებას, ვერ ვცემთ წიგნებს, სულს ღაფავს-მეთქი ლიტერატურული პრესა, ჩამოგიმარცვლე.

თვალები ჭერისკენ ინბეცილურად ააპარპალე და გულწრფელად მკითხე:

მწერალთა კავშირი კიდევ არსებობსო? რატომ არ აუქმებთ, ეგ ხომ კომუნისტური გადმონაშთიაო.

აღარ გითხარი, კომუნისტური გადმონაშთი შევარდნაძის ნაძმაკაცარი მამაშენი და კომუნისტების ძუძუთი, კომუნისტების კალთაში გაზრდილი შენა ხარ, მე კი რაც კალამს მოვკიდე ხელი, სულ კომუნისტებს ვაკრიტიკებდი-მეთქი. აღარ გითხარი, არ გაბრაზდეს და უარესი სისულელე არ ჩაიდინოს-მეთქი.

კიდევ უფრო ააპარპალე თვალები და მეორე შეკითხვა დამისვი: მწერალთა კავშირი სად არისო.

მაჩაბლის ქუჩაზეა, მაჩაბლის ქუჩა კი ლენინის მოედნის ასახვევში, მარცხნივ პირველივე ქუჩაა-მეთქი.

საიდან გეცოდინებოდა, სად არის მწერალთა კავშირი, იქ ხომ მამაშენს – ქართული ენის სპეციალისტს, ბავშვობაში არასოდეს მოუყვანიხარ, შენ კი შენი სურვილით რაზე მოხვიდოდი. ეგ კი არა, რაც მინისტრი გახდი, შენგან დაუხმარებლად მწერალთა კავშირში ამ ათი თვის განმავლობაში ივანე მაჩაბლის, აკაკი წერეთ-

ლის, ტერენტი გრანელის, შოთა ნიშნიაძის საიუბილეო საღამოები, უამრავი ლიტერატურულ-შემოქმედებითი შეხვედრა გავმართეთ, ყოველ მათგანზე მოგიწვიეთ, მაგრამ არც ერთხელ მწერალთა სასახლეში ფეხი არ შემოგიცდა. სახელოვანი მწერლები დავკრძალეთ, არც დაკრძალვაზე მოუსამძიმრე ჭირისუფალთ. ეს იყო შენი აუხსნელი ზიზღის გამოხატულება მწერლობის მიმართ.

სტიპენდიასო, დაგვპირდი მაშინ, მხოლოდ 65 წლის (და მეტი ასაკის) მწერლებს დავუნიშნავო, ლიტერატურულ ღონისძიებებს და „მწერლის გაზეთს“ სათანადო პროექტის წარმოდგენის შემდეგ დავაფინანსებო.

მადლობა მოგახსენე. რა ვიცოდი, რომ დაგვცინოდი.

ერთ კვირაში მოგიტანეთ სამოცდახუთშესრულებულ, სასტიპენდიო მწერალთა სია, გადახედე და სახე მოგემგელა, ძალიან ბევრი ყოფილხართ, 70 წელს ზემოთ დაგასტიპენდიებთო.

წამოვიღე ის სია და ერთ კვირაში გაახლეთ 70-იანებისა.

გადახედე და სახე მოგელომა: ძალიან ბევრი ყოფილხართო. 75 წლის მწერლებს კი, წყალი არ გაუვა, უსათუოდ დავაფინანსებო.

ერთ კვირაში მოგადექი იმ მწერალთა სიით, რომლებსაც 75 კარგა ხანია შეუსრულდა.

გადახედე სიას და სახე მოგემგელა: ძალიან ბევრი ყოფილხართო. წაიღე ეს სია და 80 წლის მწერალთა სია მომიტანეთო. მტკიცედ მაქვს გადაწყვეტილი 80 წლის მხცოვან მწერლებს აღვუდგინო 22-ლარიანი სტიპენდიაო.

როცა ამ უკანასკნელთა დაფინანსებაზეც უარი გვითხარი, მივხვდი, ვისთან მქონდა საქმე, ყური უნდა ამეხია შენთვის, მაგრამ ჩემს თავს არ ვაკადრე.

მერე „მწერლის გაზეთის“ დაფინანსებაზეც უარი გვტკიცე და არც ლიტერატურულ ღონისძიებათა (იუბილეთა, შეხვედრათა) ჩასატარებლად გამოგვიყავი თუნდაც ერთი ლარი.

ესეც არ გვაკმარე. შენ და კახა ბენდუქიძემ („გულქვა“) მწერალთა კავშირის შენობას დაადგით თვალი და ჟვანიას უკანონობა ჩაადენინეთ, №50 განკარგულებაზე ხელი მოაწერინეთ, მწერალთა კავშირს კუთვნილი სასახლე ჩამოერთვასო.

ახლა, როცა ამ სტრიქონებს ვწერ, გოკა, ჩასატარებელია რაფიელ ერისთავის, გრიგოლ ორბელიანის, გრიგოლ აბაშიძისა და ანა კალანდაძის იუბილეები, მწერალთა სასახლეში დაგეგმილი გვაქვს ათიოდე ლიტერატურული დისპუტი და შემოქმედებითი საღამო,

ჩვენ კი, ქართველი მწერლები, სასამართლოში ვზივართ, არიქა, სულგაყიდულმა ხელისუფლებამ შენობიდან არ გამოგვასახლოსო.

ვინა ხარ, გოკა? ვინ მოგავლინა ქართული კულტურის დაუძინებელ მტრად. ნუთუ ისე გაქვს გასქელებული ყურის აპკი, რომ არ გესმის ჭეშმარიტ პროფესიონალთა, კლასიკოსთა ხმა?

წაიკითხე გაზეთები; ყველა ნორმალური ქართველი მწერალი მოგიწოდებს, სისულელე, საუკუნის ცოდვა არ ჩაიდინო და მწერლებს ასწლოვანი სასახლე არ წაართვაო, შენ კი თვალებს უაზროდ ატრიალებ და შენსას მიერეკები.

ვიცი, შენთვის არ არიან ავტორიტეტები: ჭაბუა ამირეჯიბი, ანა კალანდაძე, ოტია იოსელიანი, ოთარ ჭილაძე, მერაბ ელიოზიშვილი, ნოდარ წულეისკირი, მუხრან მაჭავარიანი... არც ქალბატონი სანდრა რულოვსი, რომელიც ამ საქმესთან დაკავშირებით სპეციალურად მობრძანდა მწერალთა კავშირში და დაგვაიმედა: როგორ შეიძლება მწერალთათვის სასახლის წართმევა, ამ აღმაშფოთებელ ფაქტს დღესვე მიშა სააკაშვილს ვეტყვიო.

შენთვის ავტორიტეტები, გოკა, ერთი ტელეარხი და შენ მიერ გამოგონილი ხელმოცარული მწერლები არიან, რომელთაც ღირებული ჯერ არაფერი შეუქმნიათ, მაგრამ უტიფრობა და ამბიცია ჰყოფნით, საქართველოს თვალში ნაცარი შეაყარონ.

გამოიხედე შენი გაბოლილი კაბინეტის ფანჯრებიდან. დაინახე, რა ხდება შენი გულგრილობით განადგურებულ ქართულ ხელოვნებაში.

გაიყინა თეატრები... აღარ იღებენ ფილმს, ფუნჯისა და ტილო-საღებავის ფული არა აქვთ მხატვრებს... ახალი ნაწარმოებები ორკესტრამდე ვერ მიუტანიათ სახელოვან კომპოზიტორებს.

ანტისიმღერა, ანტიესტრადა, გულისამრევი მანჭვა-გრეხა დღითი დღე ავიწროვებს ჭეშმარიტ ქართულ ჰანგებს.

შენ და თათა ქვარიანი კი თქვენს თანატოლ და აუცილებლად უმწიფარს უნიჭო ხელოვანთ აძლევთ ასპარეზსა თუ გასაქანს.

სავალალო დღეშია მუზეუმები. წვიმა რეცხავს და ანადგურებს ჩვენს წმინდა ადგილებს, სახელოვნო წისქვილებს. ყოფილხარ, გოკა, კონსტანტინე გამსახურდიას იავარქმნილ მუზეუმში, ნიკო ლორთქიფანიძის, დავით კლდიაშვილის, უშანგი ჩხეიძის, აკაკი წერეთლის... მუზეუმებში?

ყოველდღიურად შენობებს ართმევენ ბიბლიოთეკებს, წიგნებს ქუჩაში ჰყრიან და იქ სახინკლე-სამორინეებს ხსნიან.

შენ კი, კულტურის ბეცი მინისტრი, ხმას არ იღებ.

გაიყიდა არქიტექტურული და კულტურული ძეგლები – ბათუმის „ინტურისტი“ და თბილისის „ივერია“. შენ არც მაშინ ამოიღე ხმა.

სხვას რას უნდა მოველოდოთ, როცა შენ თვითონვე წერილს წერილზე გვიგზავნი: მწერალთა სასახლე – ისტორიული, არქიტექტურული, კულტურული ძეგლი – დაცალოს მწერალთა კავშირმაო.

ვაი, იმ საქართველოს, გოკა, სადაც შენ, შუშაბანდში გაზრდილი, ქუჩაში გამოუსვლელი, კულტურის ინჩი-ბინჩის არმცოდნე სნობი, კულტურის მინისტრი იქნები.

2004 წ.

საშინელება

შარშან, 24 ივნისს ჯემალ აჯიაშვილი და მე ჯვრის მონასტერში რუსთაველის ფრესკასთან ვიდექით.

ამ დღეს ჩემი ცხოვრების ყველაზე დიდი ოცნება ამისრულდა – რუსთაველის ფრესკას ვემთხვიე.

მაქსიმე აღმსარებლისა და იოანე დამასკელის ფერხთით მოკრძალებით მიუხატავს დედამიწის უპირველს პოეტს თავისი ავტოპორტრეტი.

მე ასე წავიკითხე ის წარწერა და ჩემი თავი დავარწმუნე, რომ „ვეფხისტყაოსნის“ დამწერი დიდი მხატვარიც იქნებოდა.

რვაასი წელი გაძლო გრძნეული მხატვრის ჯადოსნურმა საღებავმა.

სამასი წლის წინათ თეთრად გადაღებეს და გასული საუკუნის სამოციან წლებში ქართველმა მეცნიერებმა (ა. შანიძე, ი. აბაშიძე, გ. წერეთელი) ახალი სიცოცხლე აჩუქეს.

უბედნიერესი კაცი ვიყავი, გენიალური შოთას რვაასწლოვან თეთრ წვერს ვკოცნიდი.

თავზარი დამეცა წუხელის იავარქმნილი ფრესკის ხილვისას.

მეათე საუკუნეში ქართველთა მიერ აგებული ღვთის სახლი სწორედ იქ, წმინდა მიწაზე, ქრისტეს საფლავთან ახლოს, ავი თვალის სამიზნე იყო ყოველთვის.

ასი წლის ნაკურთხი არ იყო, ყიზილბაშებმა პირველად რომ წაგვართვეს, დავით აღმაშენებელმა დაიბრუნა მამლუქთა შემწეობით.

ისევ იძალეს მომხდურთა და თამარ მეფემ გადააფარა მონასტერს მოწყალე კალთა.

აგერ ა, მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში ბერძნებმა წაგვართვეს ქართული კულტურის უდიდესი კერა, რომლის ქართულობაში თვით ბერძენ მეცნიერებსაც არასოდეს შეჰპარვიათ ეჭვი (ქართულ არქიტექტურა-ჩუქურთმებს რომ თავი გავანებოთ, გავსებულია ქართული ფრესკებით).

ნუთუ ვერასოდეს დავიბრუნებთ-მეთქი, ვკითხე საქართველოს ელჩს რევაზ გაჩეჩილაძეს.

შეგვიძლია გამოვისყიდოთ, ბერძნები 2 მილიარდად ჰყიდიანო.

ორ მილიარდად უნდა ვიყიდოთ-მეთქი ჩვენი ქონება, წინაპართა დანატოვარი? ორი მილიარდი ვინ მოგვაშავა-მეთქი.

...და აი ხელჰყვეს საქართველოს ყველაზე დიდი განძი – რუსთაველის ერთადერთი ფრესკა.

დაცული იყოო... ბერძნები სათუთად ინახავდნენო.

არ დაიჯეროთ.

ერთი რუსის გამოყრუებული ილუმენია და სამიოდე ბერძენი ბერი დაფათურობდა უზარმაზარი ტაძრის ტალანებში.

არავითარი შეიარაღებული დაცვა, არავითარი სახელმწიფო ყურადღება მე იქ არ მინახავს.

ასე გასინჯეთ, ფოტოაპარატმა მიმტყუნა და მე და ჯემალ აჯიაშვილი სამი საათის შემდეგ მარტონი დავბრუნდით მონასტერში სურათების გადასაღებად.

არც კარებში იდგა დარაჯი და არც მონასტერში დაგვილანდავს ვინმე.

ჩანს, მონასტრის მესვეურნი სატრაპეზოდ იყვნენ წასულნი.

ასე უპატრონოდ რომ მიუტოვებიათ ჩვენი უძვირფასესი განძი, ხომ შეიძლება ფრესკები ვინმე უკეთურმა ხელჰყოს-მეთქი, ჯემალს გავეხმიანე ამ საშინელი გაფიქრებით.

ეს აქ არ მოხდება, ეს ისრაელიაო, ჯემალმა.

აკი მოხდა, ჩემო ჯემალ.

მოხდა ის, რისიც ყველაზე მეტად მეშინოდა.

ალბათ, აღადგენს მხატვარი, მაგრამ აღდგენილი, ის რვაასწლოვანი ფრესკა რომ არ იქნება?

ცრემლი მდის და ხელი მიკანკალებს ამ სიტყვების წერისას.

რატომ გაგვწირე ასე, ღმერთო?

აღარ დამთავრდა ახალ-ახალი განსაცდელებით ქართული სულის გამოცდა?

2004 წ.

თქვენი დღეები დათვლილია

(ირონიული პასუხი კითხვაზე: „ვინ გვარცხვენს“)

„რესპუბლიკის შემრცხვენლები და თავის მომჭრელნი“ უწინ იყვნენ – წყეულ კომუნისტურ ეპოქაში. ვარდების რევოლუციამ ისინი ერთბაშად მოისროლა ისტორიის სანაგვეზე.

დღეს საქვეყნო საქმეების მრუდედ მქსოველს, დიოგენის ფანრითაც რომ ეძებო, ვერ იპოვი.

მართალია, თითო-ოროლა „დარეტიანებული“ ოპოზიციონერი ჯერ კიდევ დახანხალებს თხიპიანი ქათამივით, მაგრამ იმათაც მალე მოეღებათ ბოლო.

რაც მთავარია, ოპოზიციონერთა ბოროტ რჩევებს არავინ უსმენს.

რესპუბლიკა-ხომალდი მსოფლიო ოკეანეში სწორი კურსით, სრული სვლით მიაპობს ტალღებს.

ორიოდე მაგალითს გეტყვით; როგორ აისხლეტენ ხოლმე ხალხზე მზრუნველი ხელისუფლები „ბოროტ ოპოზიციონერთა“ დამღუპველ რჩევებს:

რა დასამალია, საქართველოს ეკონომიურად უჭირს.

ამ დროს დრო იხელთა ერთმა „ნაძირალა“ ოპოზიციონერმა; გაძვრა-გამოძვრა, სადაც ჯერ არს და სახელმწიფო საჭესთან თვალმოუხუჭავად მდგართ ურჩია:

საქართველოს საქმე მაინც წასულია. ბოლო კოცონზე ხელი მაინც მოითბეთ, ადექით და სტრატეგიული ობიექტები გაყიდეთო.

რად უნდა საქართველოს ნავსადგური და გემები, რაში არგია რკინიგზა, რა შავქვად უნდა ჭიათურმარგანეცი და სხვა წიაღისეული, რა თავში იხლის საავიაციო ქარხანას, რა ყურად უნდა (რბილად რომ ვთქვა) საზღვაო სანაპირო – საერთოდ მიწა, ცა, ვარსკვლავებიო...

გაყიდეთ ყველაფერი, ორიოდე გროშს რომ აიღებთ, იმ ფულით ხალხს ხელფასი მოუმატეთ და ყველა მადლიერი იქნებაო.

როგორ ფიქრობთ, ყურად იღო ხელისუფლებამ ეს ბოროტი რჩევა?

სულმა წასძლია და ყველაფერის გაყიდვა დაიწყო?

არამც და არამც.

მეტი არა მაქვს საქმეო, მტკიცედ უპასუხა „გადამცდენელს“ გაყიდვის საქმეთა მინისტრმა – შენს ჭკუაზე ვივლი და ერს იმ ქონებას გავუყიდი, რომლის გარეშეც სახელმწიფოს არსებობა წარმოუდგენელიაო.

რა იცი, ხვალ-ზეგ რა ხდებაო.

საქართველოს გაყიდვაში აღებული ფული, მართალია, ყაირათიანი მხარჯველები ვართ, მაგრამ მაინც რომ შემოგვეჭამოს, ქვეყანას „იმპუზე“ ხომ არ დავაგდებთო.

ამ ქვეყნის ზღვა, ცა, მიწა და წიაღისეული ისევე ეკუთვნის 25-ე საუკუნის ქართველს, როგორც თანამედროვესო. არა ვიქმ საძრახის საქმეს, საქართველოს სტრატეგიულ ობიექტებს ვერ გავუყიდიო.

აბა, ასეთი ფოლადური პასუხი გაეცა ქვეყნის დაღუპვის მოსურნე ოპოზიციონერს.

ხაზინაში ძველი ჩინოვნიკებისთვის წართმეული ცოტაოდენი ფული მაინც დაგროვდა.

ისევ გამოჩნდა მელია-ოპოზიციონერი.

ახლაო, ეგ ფული ყველას არ გაწვდება და თქვენ მაინც იყავით მაძღრებიო. დაინიშნეთ „ბატონებმა“ სამიათას-სამიათასი ლარი, ხოლო წვრილ-წვრილ სახელმწიფო მოხელეებს 115 ლარამდე გაუზარდეთ ხელფასი. დანარჩენ საქართველოს თავში ქვა უხლია და მუცელში სამართებელიო.

როგორ კადრულობ ასეთ რჩევასო, – თვალი დაუბრიალა ამოღებული თანხის მინისტრმა ოპოზიციონერს. ვინ გგონივართ ბოლოს და ბოლოსო. იმას ვიზამთ, რომ ჩვენ ამხელა ხელფასი დავინიშნოთ და მასწავლებელს, მეცნიერს, – ერის გონებას და სინდისს, ერთი ლარიც არ დავუმატოთ ხელფასებზე ამ გახუთმაგებული ფასების ეპოქაშიო?

გაწბილებულ ოპოზიციონერს ტირილამდე ცოტაღა აკლდა, მაგრამ, ქვეყნის დაქცევის სურვილით შეპყრობილი, ხელისუფლების კარებს არ შორდებოდა.

ერთსაც გეტყვით და ეს მაინც შემისრულეთო.

გისმენთო, უპასუხეს.

ცოდვას ვერ დავიდებ, ახალ ხელისუფალთ მოქალაქის მიღება, სხვისი გასაჭირის მოსმენა ძალიან უყვართ.

გონიერი, წელში გამართული, სანდომიანი კაცები არ გაიკაროთ ახლოსო. ისეთი კადრები შეარჩიეთ, ან ფიზიკურად იყოს პათოლოგიური, ან გონებით ბრმობილიო.

ვერ მოგართვესო, ლამის ერთხმად უპასუხეს ხელისუფლების წარმომადგენლებმა.

ჩვენ ისეთ ხალხს გავიკარებთ გვერდზე, უშედეგო აბორტის მსხვერპლი რომ არის, მშობიარობის ტრამვის კვალი სახეზე ახა-

ტია, ან ბავშვობაში ტვინის ანთება აქვს გადატანილიო? ჩვენ ჩვენს რიგებში შემოვიჩვევთ იმათ, ვინც აფხაზეთს ცალკე სახელმწიფოდ მიიჩნევს, ქართვლის დედის ხელში ისეთ რამეს დალანდავს ხოლმე, თვით რომ ნიადაგ ხელში უჭირავს, ხოლო დავით აღმაშენებლის ძეგლის ხილვისას მარტო ცხენის ყურებს (რბილად ვამბობ) ხედავს, ან ქართული სუფრა მამათმავალთა გარიგების სერობა ჰგონიაო?

ანკესზე ამათი წამოგება ძნელი ყოფილაო, ოპოზიციონერმა და მისმა ოპოზიციურმა გონებამ „სვლა“ მოიფიქრა:

ერთპარტიული პარლამენტი რომ შექმენით, ეს რა გენიალურად მოიფიქრეთო.

პარლამენტში პრობლემები აღარ გაქვთ და უმრავლესობის ლიდერების პირველივე დაძახილზე: „ვაძლევთ!“ თვით ყველაზე მოუმწიფებელი კანონიც რიხინ-რიხინით გადისო.

ახლა ბოლომდე მაგრად დადექით, არ დაუჯეროთ საქართველოს სამ დაუძინებელ მტერს – მიშველაძეს, შარაძეს და ჯაველიძესო.

არ მიიღოთ სახელმწიფოსთვის სრულიად ზედმეტი, მათ მიერ შემოთავაზებული სამი ეროვნული კანონიო.

რა საჭიროა ქართველობა და მამის სახელიო. ყველამ ჩვენ-ჩვენს გულში დავიმახსოვროთ, რომ ქართველები ვართ, საბუთებში სულელ ფრანგებს, გერმანელებს, ინგლისელებს, ამერიკელებს და მთელ მსოფლიოს რომ უწერია ეროვნება, ჩვენ მათგან რამეთი ხომ უნდა გამოვირჩეოდეთ ამაყი ქართველებიო. თუ მეზობელ აზერბაიჯანში ყველას, მათ შორის ქართველებსაც აზერბაიჯანელს უწერენ საბუთებში, ეს ჩვენი პრობლემა არ არის, მათი პრობლემაა.

რაც შეეხება მართლმადიდებლობას, დავით აღმაშენებლის ხათრი რომ არ მქონდეს, სულაც გასაუქმებელიაო. ვის რად უნდა რელიგიის კანონი, რითაა მართლმადიდებლობაზე ნაკლები იეღოველთა სექტაო.

ჩვენი მღვდლები მხოლოდ ჯვარზე აკოცნინებენ ხოლმე მრევლს (სულ ესაა მათი პატივისცემაო), იეღოველები კი, ხომ ხედავთ, შაქარს და ფქვილსაც ურიგებენ მცირედმორწმუნეებსო.

მართალია, შაქრის, ფქვილის და აზოტის დარიგების გენიალური სტრატეგიით სამაჩაბლო ვერ დავიბრუნეთ, მაგრამ, სამაგიეროდ, ამ გზით იეღოველობა ფრთებს შლის საქართველოში და მეც ამის მომხრე ვარო.

ასევე კატეგორიულად უარი თქვით ენის კანონის მიღებაზე. უთხარით ნინო ბურჯანაძეს, მშობელი მამა დააფიცეთ, არ გააკაროს პარლამენტს ენის კანონიო.

რა საჭიროა საქართველოში ქართული ენის სახელმწიფო ენად გამოცხადებაო.

ამით ხომ საქართველოში მომრავლებულ სხვა ერებს გავანაწყენებთო.

დაუჟინია მიშველაძეს: მსოფლიოში არ არსებობს ქვეყანა, სადაც პარლამენტის მიერ დაკანონებული არ არის სახელმწიფო ენად სახელმწიფოს ძირითადი, მკვიდრი ერის, სახელმწიფოს შემქმნელი ერის ენაო.

რით ვერ გაიგო ამ კაცმა, რომ ჩვენ გამორჩეული მენტალიტეტის ერი ვართო.

რატომ უნდა ვჩაროთ წამდაუწუმ პიტნასავით ცხვირში ქართული ენა ჩვენს მოქალაქე არაქართველებს (სომეხი, აზერბაიჯანელი, რუსი, ბერძენი...), რომლებიც უქართულოდაც მშვენივრად გრძნობენ თავსო.

რას კადრულობ, ოპოზიციონერო, მთლად დაკარგე ნამუსიო? დაუცაცხანა ბოროტ ოპოზიციონერს მაღალი ეშელონების წარმომადგენელმა, – თუ ცნება „ქართველი“ გავაუქმეთ, თუ მამის სახელი წავუშალეთ კაცს, თუ მართლმადიდებლობა სახელმწიფო რელიგიად არ მოვიაზრეთ, რა პასუხი გავცეთ ასი წლის შემდეგ, იმ ქვეყნისაკენ რომ ვიზამთ პირს, საიქიოში ხელგაშლით შემოგებებულ დავითს, თამარს, ან ილიასო?

მართალია, დაბეჩავებული საქართველო ლუკმა-პურის შოვნის ფიქრითაა გართული და ჯერ-ჯერობით არც ანაღვლებს, არც ერთ საბუთში რომ ეროვნება არ უწერია, რომ მუხლებზე უზის უეროვნებო შვილიშვილი, რომელსაც თავისსავე სამშობლოში ხვალ თუ ზეგ გადამთიელნი ჰკითხავენ; ვინ ხარ, ვის დაეკარგეო და იგი ძირითადი, ავტოქტონური ერის წარმომადგენლობას ვერაფრით დაამტკიცებს, მაგრამ გავა დრო; ქართველი გონს მოვა და მერე ყველაფერი გვიან იქნებაო.

ან ქართული ენისთვის სახელმწიფო ენის ფუნქციის წართმევა რამ მოგაფიქრებინა, შე მართლა ოპოზიციონერო, შენო.

შე, კაი კაცო, ევროპაში მეეზოვედ არ მიგიღებენ, თუ სახელმწიფო ენა არ იცი და ჩვენ რა წითელი კოჭი ვართ.

კეთილი ინებოს და ვისაც საქართველოს მოქალაქეობა უნდა, ისწავლოს ქართულიო.

არ ელოდით ასეთ მტკიცე პასუხს ხელისუფლების წარმომადგენლებისაგან? აბა, რას ელოდით. „ნაძირალა“ ოპოზიციონერის ჭკუაზე გაივლიდა მაღალი ეშელონის წარმომადგენელი?

მეტსაც გეტყვით, ატირებული ოპოზიციონერი რომ გარეთ დაიგულა, მან ყურმილი აიღო და ნინო ბურჯანაძეს დაურეკა – ნინო, თუ ქალი ხარ, ხვალვე ამოიღე ნაფთალინიდან ყბადაღებული სამი ეროვნული კანონი და მიაღებინე პარლამენტს. სირცხვილია, ბოლოს და ბოლოს, ეროვნულ მთავრობად ვასაღებთ თავს და აქამდე სამი ეროვნული კანონი დავიწყების სკივრში გვიდევსო.

ოღონდაც, ოღონდაცო, კვერი დაუკრა ნინომ, რად მინდა ისეთ ქვეყანაში ცხოვრება, სადაც ქართველი არ იქართველებს, სადაც მართლმადიდებლურ აღმსარებლობას საშიშროება დაემუქრება ან სახელმწიფო ენად ქართული არ გამოცხადდება. „ენა, მამული, სარწმუნოება“, ჩემთვის, როგორც პარლამენტის თავმჯდომარისათვის, წმიდათაწმიდა ცნებებია. აბა, რისთვის ვზივარ ამ მაღალ სკამზე, ან რისთვის ვიკლავ თავს საზღვარგარეთ წამდაუწუმ საქმიანი თუ უსაქმო ვიზიტებითო.

ამათთან არაფერი გამოვა. მართლაც, რა ეროვნული ხელისუფლება გვყოლია, თურმე ტყუილად კი არ ატოლებენ დავით აღმაშენებელს ბეჭებსო, გაიფიქრა იმედდაკარგულმა, ლამის გაკოტრებულმა ოპოზიციონერმა და ბოლოს ერთმა აზრმა გაუნათა სახე:

მივალ რომელიმე რიგით მოსამართლესთან, იქნებ უბრალო მოსამართლე მაინც ვაცდუნოო, ხავსს ჩაებღაუჭა.

მივიდა მოსამართლე ტარიელ ზამბახიძესთან.

რა უსაქმოდ ზიხარო, ჰკითხა.

რა ვქნა, ხალხი დანაშაულს აღარ სჩადის. რაც ვარდების რევოლუცია მოხდა, ყველა ერთბაშად გაანგელოზდა და ვინ გავასამართლო, არ ვიციო, ზამბახიძემ.

მე მოგცემ ერთ საქმესო, უსინდისო ოპოზიციონერმა.

ზამბახიძემ ყურები ცქვიტა.

მართალია, 1921 წელს (28.02) საქართველოს რევკომმა მიიღო გადაწყვეტილება მაჩაბლის ქ. №13 სახლის მწერალთა კავშირისთვის გადაცემის შესახებ და ამის შემდეგ თითქმის 90 წელია, ამ შენობაშია მწერალთა კავშირი.

მართალია, იმ შენობაში ილია ჭავჭავაძემ „ოთარაანთ ქვრივი“ წაიკითხა და აკაკიმ არაერთი ღამე გაათია.

მართალია, ამ ისტორიულ შენობასთანაა დაკავშირებული გალაკტიონის, მიხეილ ჯავახიშვილის, კონსტანტინე გამსახურდიას, გიორგი ლეონიძის, ლადო ასათიანის და ყველა ცნობილი (გარდაცვლილი თუ ცოცხალი) ქართველი მწერლის შემოქმედება, მაგრამ შენ ეს ყველაფერი ფეხებზე დაიკიდე და წაართვი დაბალ ღობედ გამოცხადებულ ყველაზე დაუცველ ფენას – მწერლებს, თავიანთი ბუდე-თავშესაფარიო.

ეს რა მკადრეთო, ქოში უკუღმა ჰყარა მოსამართლე ტარიელ ზამბახიძემ.

მეო, იმისთვის, რომ ხელისუფლების ზოგი ინბეცილი წარმომადგენლის მადლობა დავიმსახურო, ქართული მწერლობის პატივისცემას ამოვიღებ გულიდანო?

მე ხომ ჩვენი ძვირფასი კლასიკოსების და თანამედროვე ქართველი მწერლების წიგნებზე გავიზარდეო.

როგორ მომიბრუნდება ხელი, ქართველ მწერლებს ერთადერთი თავშესაფარი, ერთადერთი ტრიბუნა წავართვა ამ მგლურ საუკუნეშიო.

აბა, რა გგონიათ, ასეთი უანგარო, მტკიცე და გაბედული აღმოჩნდა მოსამართლე ტარიელ ზამბახიძე (ისე დაუმშვენდა ცხვირი, რ. მ.).

მოკლედ, არაფერი გაუვიდა ოპოზიციას.

რა ქვას ეცა, რა ხერხს მიმართა, მაგრამ ვერ იქნა და ვერ დააშვებინა საქართველოს ხელისუფლებას ისეთი შეცდომა, ქვეყნის მომავლისთვის რომ საზიანო აღმოჩნდებოდა.

მინაწერი: ოპოციზიონერთა მაცდუნებელ წინადადებებს ვაჟკაცურად, მამაკაცურად რომ მოიგერიებენ, დღიური შრომით, ხალხზე ზრუნვით დაღლილი ხელისუფალნი გვიან ღამით შინ ბრუნდებიან და, როგორ ფიქრობთ, სადმე, ვიღაცის მიერ დაქირავებულ ოთახში სოსითითა და ნარდით კი არ ერთობიან, არამედ საკუთარ ცოლშვილში ნეტარებენ და შიგადაშიგ მტკივნეულად გამოაღვიძებთ ხოლმე სასარგებლო ფიქრი იმის შესახებ, თუ ხვალ რა არგონ მშობლიურ საქართველოს.

ასე რომ, გასკდით გულზე, ოპოზიციონერებო.

კარგა ხანია, რომ იტყვიან ყავლი გაგივიდათ.

თქვენი დღეები დათვლილია.

2004 წ.

სიტყვა მსოფლიოს მწერალთა რუმინეთის კოლოკვიუმზე „მარტო გლობალურ სოფელში“

უნდა დავიწყო იმით, რომ კოლოკვიუმის სახელწოდება ფრიად ორიგინალური, შეიძლება ითქვას, პოეტური შეგირჩევიათ.

„სოფელი“ სიმყუდროვეს, იდილიას, სიმშვიდეს, თუ გნებავთ მარტოობასაც გულისხმობს. ისეთი ხმაურიანი სიტყვა როგორიც გახლავთ „გლობალიზაცია“ სოფელს და სიმარტოვეს თითქმის გამორიცხავს, ხოლო „გლობალური სოფელი“ ისევე ძნელი წარმოსადგენია, როგორც მაგალითად: „თბილი ყინული“.

... და მაინც მომწონს ჩვენი სიმპოზიუმის თემა – სახელწოდება. იქნებ იმიტომ მომწონს, რომ ჩვენი დისკუსიის საგანი შეიცავს ერთ კეთილ დასკვნამდე მისვლის იმედს – საყოველთაო გლობალიზაციამ არ წაშალოს ისეთი მდგრადი და ისტორიულად გამძლე ფენომენი – როგორიც გახლავთ სოფელი.

მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის საუკუნემ, გლობალიზაციის ეპოქამ, ვაითუ, ადამიანის სულის დაცარიელებამდე მიგვიყვანოს.

ზესახელმწიფოების ურთიერთჭიდილით და მსოფლიო პრობლემების განსჯა-განხილვით გართულებს, გამოგვრჩა ადამიანის სულის გაკეთილშობილების ამოცანა, რაც უპირველესად მწერლებს გვაწევს ვალად.

კომპიუტერიზაციამ და ტელეზაციამ ერთის მხრივ ინფორმაციით გაავსო ჩვენი გონება, ხოლო ტელეკომპიუტერს მიჯაჭვულმა თანამედროვე მოქალაქემ წიგნისთვის ველარ მოიცალა.

უწიგნურობამ, ანუ მწერლების შეთხზული ლამაზი ზღაპრების გარეშე ადამიანის დატოვებამ, შედეგად ის მოიტანა, რომ ჩვენი თანამედროვე გულისამრევად პრაქტიკული, ანგარიშიანი და თქვენ წარმოიდგინეთ, უფრო სასტიკი გახადა.

სისასტიკის მაგალითებით გუნება რომ არ მოგიშხამოთ, ძვირფასო კოლეგებო, მარტოოდენ ერთ თარიღს 2001 წლის 11 სექტემბერს დაგისახელებთ.

ჩვენ უნდა ვუშველოთ გლობალიზაციით დაღლილი ადამიანის სულს.

მოვახედოთ, მოვაბრუნოთ იგი ლიტერატურის რომანტიკული სამყაროსკენ.

მომხრე ვარ გლობალიზაციისა ტექნიკის სამყაროში.

ჩვენი ცხოვრების წესით ჩვენ კარგა ხანია გამოვედით გამოქვაბულებიდან და უკან ველარ შევბრუნდებით.

მსოფლიოს მეცნიერებმა უნდა ითანამშრომლონ, რათა უკეთესი გახდეს ჩვენი მაციონი...

მაგრამ არამც და არამც გლობალიზაცია კულტურის, ადამიანის სულიერი ცხოვრების სფეროში.

კულტურის „პროკრუსტეს სარეცელი“ დაღუპავს კაცობრიობას.

ჩვენი დედამიწა სწორედ რომ თვითმყოფადი, ორიგინალური ცივილიზაციებით არის ასე მშვენიერი.

მე საქართველოდან გახლავართ. თბილისში ვცხოვრობ. საქართველოში მუშაობს ერთი გამოცდილი დიპლომატი კონსტანტინ გერბია. იგი რუმინეთის საგანგებო, სრულუფლებიანი ელჩი გახლავთ საქართველოში.

რუმინული და ქართული კულტურების ჩინებულად მცოდნე ამ კაცმა შეძლო კულტურის მუშაკთა დიდი ჯგუფის შემოკრება და ჩვენ ლამის ყოველთვიურად ვართ მოწმენი რუმინულ-ქართული ხელოვნების მშვენიერი ღონისძიებებისა თბილისში.

იცით, რითაა საინტერესო ეს ღონისძიებები? – რუმინულ სიმღერას ქართული სიმღერა მოსდევს, რუმინულ ლექსს ქართული ლექსი ენაცვლება...

ერთი წუთით წარმოიდგინეთ ნელ-ნელა იშლებოდეს თვითმყოფადობის ზღვარი ამ ორი უძველესი ხალხის კულტურებს შორის. – ხომ მივიღებთ მოტორტმანე კულტურების აჯაფსანდალს.

ღმერთმა გვაშოროს ასეთი აჯაფსანდალი.

ეს გახლავთ ჩემი სათქმელი.

19 სექტემბერი, 2004 წ.

ვინ ებრძვის საქართველოში ეროვნულ ცნობიერებას

მინდა გამოვთქვა ჩემი შეშფოთება, ეჭვი იმის შესახებ, რომ შეიძლება ჩვენს რევოლუციურ ხელისუფლებას (რომელიც, ვერ დავმალავ და შეეჭიდა უპირველესს და უმთავრესს – საქართველოს ტერიტორიული გამთლიანების საკითხს), მხედველობიდან რჩება ეროვნული ღირსებების დაცვა. მიხარია, პრეზიდენტი ხშირად რომ ხმარობს ასეთ ფრაზას: ჩვენ მსოფლიოში ყველაზე ჭკვიანი, გაბედული, ლამაზი, გამორჩეული ერი ვართ, ხომ დავუმტკიცეთ

მსოფლიოს, თუ როგორ შეგვიძლია ვაშენოთ ახალი სახელმწიფო, როგორ შეგვიძლია შევცვალოთ ხელისუფლება უსისხლოდ. მალე იმასაც დავუმტკიცებთ, როგორ შეუძლია საქართველოს შემოიმტკიცოს დაკარგული მიწები და დადგეს ფეხზეო. ასეთ ეროვნულ ფრაზებს, რასაკვირველია, უნდა ამბობდეს საქართველოს პრეზიდენტი, მაგრამ არანაკლებ სასურველი იქნებოდა, ეროვნული ცნობიერებისთვის და პრობლემებისთვის მიეხედა. ალბათ, ფიქრობს, რომ დღეს საქართველოსთვის სხვა საკითხები უფრო მნიშვნელოვანია. არ მინდა შეცდეს და ხელიდან გაექცეს ის უმთავრესი, რითაც ჩვენ ქართული სახელმწიფო ვიქნებით.

უმთავრესი კი, აი, რა არის: ჭორებს გამოდევნებული კაცი არა ვარ, რომ ხელაღებით ვამტკიცო – ეს ჩვენი რევოლუცია სოროსის რევოლუციაა, რომ ყველაფერი მოხდა ქართველი ერის დასათრგუნად. ყოველ მოსახვევში გაისმის: ჩვენ არაეროვნული ხელისუფლება გვყავს (და ასახელებენ ერთ-ერთ მეზობელ სახელმწიფოს, ფაქტობრივად იქაური ხელისუფლება გვყავსო) სოროსის და ამერიკის გამაგრებულიო. თუ კაცი ქართულ საქმეს აკეთებს, იმის გამო რომ მამიდა ან ბიცოლა არაქართველი ჰყავს, მას ვერც ქვას ვესვრი, ვერც ანათემას გავუგზავნი და ვერც მის ავტორიტეტს შევდებ სასწორზე. ვნახოთ, აძლევს თუ არა ჩვენი ხელისუფლება თავისი საქმიანობით საბუთს ჭორებს?

წარმოიდგინეთ, ახალი მინისტრი შედის თავის კაბინეტში და ავრცელებს ასეთ არაგონივრულ განცხადებას: 2005 წლიდან მოხდეს საქართველოში რეფორმა, მეცნიერული კვალიფიკაციების და დისერტაციების დაცვა ორ ფაზად – საკანდიდატო, სადოქტორო, მიჩნეულ იქნას ძველმოდურად და მოხდეს მხოლოდ ერთი ხარისხის მიკუთვნებაო. მეორე და უფრო საშიში: ძნელად სწავლობენ სკოლაში ჰაგიოგრაფიას და რუსთაველს, ამიტომ ვიზრუნოთ ფილოლოგიის საყრდენისგან განვტვირთოთ სკოლებიო. ასეთივე ბედი დააწიეს საქართველოს ისტორიას. არ ვიცი, ასეთი სიჩქარე, ჩვენი მენტალიტეტიდან გამომდინარე, ვინ უკარნახა პატივცემულ მინისტრს? ან თუნდაც 65 წლის ზემოთ, საშუალო და უმაღლეს სკოლებში სწავლული არ გაჭაჭანდესო. უფიქრდება, ამით რას აკეთებს? უთხარი, აბა, 90 წლის კორნელი კეკელიძეს, 98 წლის ივანე ბერიტაშვილს, ან ნიკო მუსხელიშვილს, უნივერსიტეტისთვის აღარა ხართ საჭირო, პენსიაზე წაბრძანდით, თავისუფლები ხართო?! არსებობს ინტელიგენტურობის და ინტელიგენციის ფორმები. ეს ხომ ბალეტის ცეკვა არ არის – შეგისრულდა 35 წელი და მეტს ველარ იცეკვებ (თუმცა ვახტანგ ჭაბუკიანი 70 წლის ასაკშიც ისევე ცეკვავდა, როგორც 18 წლის ბიჭი). ვინ მოგცა უფლება, ეძიო მეტრიკა და მაკრატლით წააჭრა გონება ქართულ მეცნიერებას? ბავშვურ გულუბრყვილობად მეჩვენება ისიც, რომ კვლევითი ინსტიტუტები გააუქმო და ფაქტიურად მეცნიერებათა აკადემია, ჩვენი ერის ღირსება, ეჭვის ქვეშ დააყენო. ამასაც რომ არ გამოვეკიდოთ, ისედაც საკმაოდ შფოთავს ქართული ინტელიგენცია.

გეტყვით ჩვენი ახალი ხელისუფლების ძირითად მიმართულებას: ოთხი წელი პარლამენტში გახლდით და ამ დროის განმავლობაში ყელის გაგლეჯვით ვცდილობდით მიეღო პარლამენტს სამი კანონი, ურომლისოდაც საქართველო არასრულფასოვან სახელმწიფოდ მეჩვენება. ერთი კანონი – ეს არის სახელმწიფო ენის შესახებ.

როგორ არ გვებრძოდა პარლამენტის თავმჯდომარე, რომ ჩვენ არ მიგვეღო კანონი ქართული ენის შესახებ. რა ექსპერტები არ ჩამოიყვანეს და არ დაგვიპირისპირეს მე და გურამ შარაძეს.

ევროპელი ექსპერტები ჩვენი დღევანდელი ხელისუფლების ახლო მეგობრები და ნაცნობები, სემინარებს გვიტარებდნენ ცალკე ორ კაცს – გაიგეთ, რომ საქართველო არ არის არც სომხეთი, არც საფრანგეთი! საქართველო მრავალეროვანი სახელმწიფოა და აქ არ შეიძლება ერთი სახელმწიფო ენა იყოსო! საიდან ხარ-მეთქი – ევროექსპერტს ვკითხე. საფრანგეთიდანო. საფრანგეთი არ არის მრავალეროვანი სახელმწიფო-მეთქი? არა, საფრანგეთი მონოეთნიკური სახელმწიფოაო. გადმოვიღე წიგნი, სადაც შავით თეთრზე წერია: თანამედროვე საფრანგეთში, ეთნიკური ფრანგი მხოლოდ 23%-ია. საქართველოში ქართველები 51% ვართ. სამაგიეროდ, გენაცვალეო, 30 წლის წინ მივიღეთ კანონი, საფრანგეთში არ ცხოვრობს არავინ, გარდა ფრანგისა, ყველას მოქალაქეობის დამადასტურებელ საბუთში უწერია ეროვნება – ფრანგი. თუ საფრანგეთში მაგის გაკეთება შეიძლება, რატომ საქართველოში არ შეიძლება-მეთქი? იმიტომ, რომ თქვენთან ეთნოკონფლიქტებიაო! თუ არ მივიღეთ შესაბამისი კანონები, ეთნოკონფლიქტები ყოველთვის იქნება და აი, ახლა, გაუბედავი ნაბიჯებით ვიწყებთ ამის მოგვარებას-მეთქი.

სამი ადამიანი იყო იმის კატეგორიული წინააღმდეგი, რომ საქართველოში სახელმწიფო ენა ყოფილიყო ქართული: ნინო ბურჯანაძე, მიხეილ სააკაშვილი, ზურაბ ჟვანია. იცოდეთ თქვენ, მათ გაიმარჯვეს და მიაღწიეს იმას, რომ დღეს ქართული არ არის სახელმწიფო ენა. ისინი მაშინ სხვადასხვა პოსტებზე იყვნენ. დღეს კი რევოლუციის გვირგვინი „სამეულია“ და საქართველოს ხელმძღვანელობენ. როგორ ფიქრობთ, დაუშვებენ სააკაშვილი, ბურჯანაძე, ჟვანია რომ

ქართული იყოს სახელმწიფო ენა? არავითარ შემთხვევაში! ეს რას ნიშნავს იცით? საფრანგეთში არ არის არც ერთი არაფრანგული სკოლა – ყველა სკოლა ფრანგულია. საქართველოში არის სომხური, რუსული, აზერბაიჯანული სკოლები. ჩვენი მინისტრი რომ მოვიდა, თუ მართლა ეროვნულადაა მომართული, შუშანიკს და „ვეფხისტყაოსანს“ რომ ეტაკა, პირველი, რაც მის ღირსებას დაამტკიცებდა, იქნებოდა ის, რომ გააუქმებდა ყველა არაქართულ სკოლას, როგორც ეს მთელ მსოფლიოშია. სახელმწიფო ენა ქართული რომ არ არის, აქედან გამომდინარეობს უამრავი გაუკუღმართება. იცით, რა კანონი მიიღო ნინო ბურჯანაძემ წინა მოწვევის პარლამენტში? – პარლამენტარისთვის არ არის ქართული ენის ცოდნა აუცილებელი. ეს ხომ გაუგონარია?! ეს ხომ მსოფლიო ქვეყნების არც ერთ პარლამენტში და კანონმდებლობაში არ არის! თუ ქართულ ენაზე ლაპარაკს ვერ გაიგებს სომეხი ან აზერბაიჯანელი, შეიძლება ის პარლამენტის სრულფასოვან წევრად ჩაითვალოს, მან შეიძლება საქართველოში კანონები მიიღოს?

1919 წელს თბილისის მერიაში შეიქმნა „ქართული ენის კომისია“. როდესაც ნებისმიერ სამსახურში, თანამდებობაზე ინიშნებოდა კაცი, სადაც უნდა ყოფილიყო – ბორჩალოში, ახალციხეში თუ მარნეულში, ეს „კომისია“ უნდა გაევლო. თუ ქართული არ იცოდა და ვერ გაივლიდა, მისი დანიშვნა არ მოხდებოდა. ახლა ყველგან ყველას ნიშნავენ და არ ეკითხებიან – ქართული ენა იცი თუ არაო. პარლამენტის ეროვნულმა ჯგუფმა ეს დიდი ბრძოლით, პირველი მოსმენით მივაღებინეთ. გააჭიანურა პროცესი ქალბატონმა ბურჯანაძემ და ახლა თავი ქუდში აქვს – ის კანონი ჩაუშვეს არქივში და აღარავის ახსოვს.

რეკვიზიტის კანონიც პირველი მოსმენით ჩხუბით, დავიდარაბით მივაღებინეთ და შემოდეს ისიც თაროზე. ეს რომელი კანონია იცით? ამის სპეციალისტი ვარ და მთელი პასუხისმგებლობით ვაცხადებ: მსოფლიოში ვერ ნახავთ სახელმწიფოს, სადაც პირადობის დამადასტურებელ საბუთებში და გნებავთ, პასპორტში არ ეწეროს ეროვნულობა. მარტო ქართულ პასპორტში არ წერია! კომუნისტურ სახელმწიფოშიც კი ყველას ეწერა ეროვნება.

რა ჯიშის ვართ, არც ერთ საბუთში არ გვიწერია. იმას მოვიფიქრებდი, რომ მოვიდოდა მიხეილ სააკაშვილი სახელმწიფოს სათავეში, თავის თავს გამოაცხადებდა ზვიად გამსახურდიას, ეროვნული დამოუკიდებელი ქვეყნის სახელმწიფოს მემკვიდრედ, გადააგდებდა შევარდნაძეს და მიუხედავად ამისა, არ ახსენებდა იმას, რომ ეს ეროვნულობა ჩანდეს თუნდაც დაბადების მოწმობაში.

თვითონ როგორ იტანს ამას მიხეილ სააკაშვილი, რომ მის შვილს (ნახევრად მაინც ხომაა ქართველი) არ უწერია დაბადების მოწმობაში ქართველი?!.

მეშინია, როდესაც ამისთვის მოიცლის, მერე გვიანი არ იყოს. საქართველოში, რა დასამალია და, მოძმე ერების წარმომადგენლები უფრო მეტად მრავლდებიან, ვიდრე ქართველები, როდესაც ისინი იმდენად გამრავლდებიან (დღეს თუ 51% ვართ, 50 წლის შემდეგ ვიქნებით 24% – სტატისტიკა ასე ანგარიშობს) წამოაყენებენ ასეთ ჰიპოთეზას: რატომ უნდა იყოს სკოლებში სწავლა ქართულ ენაზე, ან უმაღლეს სასწავლებლებში? ჩვენ კი ვიტყვით, რომ ეს საქართველოა და ქართველების ქვეყანაა, მაგრამ გვეტყვიან: კი მაგრამ სად გიწერიათ, რომ ეს საქართველოა და თქვენ კი ქართველები ხართო.

როგორ გავიგო, რომ შენ ქართველი ხარ?

ახლა რომ ილია ჭავჭავაძეს, კონსტანტინე და ზვიად გამსახურდიებს წამოახედათ და ეს ამბავი უთხრათ (აღარაფერს ვამბობ დავით აღმაშენებელზე, თამარზე და სხვებზე), მეორედ მოკვდებოდნენ.

ამიტომაა ეჭვი ხალხში – ეს მართლაც ქართული ხელისუფლებაა თუ არა. ამიტომაც დაეძებდნენ მათ საბუთებში, რა გვარი იყო მისი პაპა, თორემ ამათ რომ ეროვნული კანონები მიეღოთ, ძებნას არავინ დაიწყებდა.

მსოფლიოში არის ორი მოდელი: 1 – როდესაც ყველას თავისი ეროვნება ეწერება: 2 – ყველას ეწერება ძირითადი ერის ეროვნება. ინგლისში, საფრანგეთში, გერმანიაში, ამერიკაში, ეს მეორე მოდელი მოქმედებს. ყველას უწერენ: ამერიკელი, ინგლისელი, ფრანგი, გერმანელი.

ჩვენთან არც ერთი მოდელი არ არის! ანუ გამოვიგონეთ ახალი ველოსიპედი, რომელსაც რვა ბორბალი აქვს. უფრო ცივილიზებულად მიმაჩნია, რომ ყველა აქ მცხოვრებს, ჩავუწეროთ „ქართველი“. მაგრამ თუ ამას არ მიკეთებ, მე მაინც ნუ გამაქრობ როგორც ქართველს!!!

მესამე: ტოლერანტული ერი ვართ და ყველა რელიგიას პატივს ვცემთ. ასე იყო ოდითგან და ასეა დღესაც. მაგრამ სექტებს, თვითონ ევროპაშიც ერეკებიან. ასეთია იეღოველთა სექტა საქართველოში. რა სასამართლოები არ ჩაატარა გურამ შარაძემ, რა არ იბრძოლა, ადგნენ და, რომ მოხდა ვარდების რევოლუცია, ეს სექტა კანონიერად გამოაცხადეს. არის ეს სწორი? ანდა სწორია, ეკლესიას კარი რომ შევუნგრიეთ, მღვდელი დავიჭირეთ და ციხეში გვყავს? საქართველოს ისტორიაში ჩაიხედონ და ნახონ, როგორ ებრძვიან

კათალიკოსები შემოჭრილ სხვა რელიგიებს. მაინცდამაინც ჩვენ უნდა გავამრავლოთ დღეს ფულიანი სექტები?

დღისით-მზისით მწერალთა კავშირს შენობას ართმევენ. ამ ბოლო დროს ავ სიზმრებს ვხედავ. ცუდი წინათგრძნობა მაქვს. შენობათა ხელში ჩაგდების მეკობრული სტადია, როგორც ჩანს, არ დასრულებულა. რამდენიმე მოლიტერატურო საქმოსანი შეიკრიბა და შეცდომაში შეიყვანა ზურაბ ჟვანიაც და კულტურის მინისტრიც. ვითომ ფიროსმანის ეგიდით მოძრაობდნენ. არავითარი ფიროსმანის საზოგადოება არ არსებობს ბუნებაში. სინამდვილეში ჩაფიქრებული იყო კაფე-რესტორანი. კულტურის მინისტრთან მივედით ხუთი კაცი: ოტია იოსელიანი, მაყვალა გონაშვილი, ლადო მრელაშვილი, ვაჟა ოთარაშვილი და მე. ავუხსენით, რის გაკეთებას ვაპირებთ ამ შენობაში. გვიპასუხა, რომ არ იყო ვითარებაში კარგად გარკვეული.

თუმცა ამას თავი დავანებოთ. ორიოდე სიტყვა მინდა ვთქვა დღევანდელ ახლადგამომცხვარ მწერლებზე. ტელეჟურნალისტები და მათზე მიტმასნებული ზოგიერთი ენაჭარტალა ჟურნალისტის მიერ მწერლობის მასხრად აგდებამ და გემოვნების დევალვაციამ გამოიწვია ის, რომ „რუსთავი-2“-მა საქართველოს მწერლებად მოაჩვენა დამწყები, საშუალოზე დაბალი ნიჭის კაცი: რადგან ცხვირში პიტნასავით ჩრიდა ტელევიზია ხალხს. მართლა პოეტი ეგონა მიხეილ სააკაშვილს და დაავალა ჰიმნის დაწერა. არავითარი კონკურსი არ ჩატარებულა და არავითარი შერჩევა არ ყოფილა. ვნახოთ, ვინ იყვნენ ჟიურის წევრები, ვისზეც თურმე საქართველომ გემოვნება უნდა ააგოს. ერთადერთი მწერალი – ვახუშტი კოტეტიშვილი გახლდათ. დანარჩენები: რეზო სირაძე, რეზი თვარაძე, ზურაბ კიკნაძე და კიდევ რამდენიმე... რეზო სირაძის ან თვარაძის გემოვნებით შეიძლებოდა ჰიმნის შერჩევა? შიგ მარგალიტად ორი სტრიქონია, ისიც აკაკი წერეთლის: „ჩემი ხატია სამშობლო, სახატე მთელი ქვეყანა“. რატომ ჩააგდე ქვეყანა ასეთ მდგომარეობაში?

ერთი სიტყვით, ბევრი რამ გვაქვს მოსაგვარებელი და ნუ ვჩქარობთ. ჰიმნიც გამოსწორდება და ჰერალდიკასაც ეშველება, მაგრამ არ ეშველება დარღვეულ ეროვნულ ცნობიერებას. ამიტომ მიხეილ სააკაშვილს, ვურჩევ, ამ მხარესაც მიხედოს. არ უნდა დაივიწყოს ჩვენმა ხელისუფლებამ ქართველი ერის გულისთქმა და მისი უპირველესი მოთხოვნილება:ᲒᲒ ნუ წამართმევ ჩემს ეროვნებას, ენას, რელიგიას! ამ სამ ღვთიურ საგანძურს, რაც შემორჩენილი აქვს საქართველოს.

2004 წ.

სამი თავსატეხი

2005 იწურება.

მართალია, პრეზიდენტი ახალგაზრდა და ენერგიული გვყავს, იმდენად ენერგიული, რომ ჩქაროსნულ სიარულში საკუთარი დაცვის ბიჭებიც ძლივს ეწევიან, მაგრამ 2005 წელი მაინც ძალიან გაიწელა.

არა და, ქართველი კაცი სულსწრაფია, მართლაც რომ, აღუვსებელი საწყაულია, ყველაფერი ერთბაშად უნდა.

ახლა გამეცადინებული იმაზე ვართ, იქნებ, რაც შეიძლება მეტი შეცდომა დაუშვას სააკაშვილმა, რომ დროზე მომწიფდეს ახალი რევოლუცია.

ჩვენ ხომ ურევოლუციოდ მოვიწყენთ ხოლმე.

თუ ჩვენსავე მოძმეზე იერიში არ მივიტანეთ, სახელისუფლებო თქარათქური და კბილთა ღრჭიალი არ ჩაგვესმის, სიცოცხლე გაგვიარმდ-გაგვისამსალდება.

ამ საახალწლოდ ერთი წამით მაინც დავდგეთ, თვალი შევავლოთ ჩვენს ნაბურჯანალ-ნამუდრეგალს და სარევოლუციო საბაბის ძებნის ნაცვლად იმაზე დავფიქრდეთ, რაც გვჭირს, ჩვენივე ბრალი ხომ არ არის?

ხომ ამოგვივიდა ყელში შევარდნაძე, ხომ ავჯანყდით, ხომ გამოვიარეთ მაშხალებით ხელში რევოლუციური გზა წალენჯიხიდან თბილისამდე, ხომ დავფშვენით და დავწვით პრეზიდენტის სავარძელი, ხომ შევცვივდით პარლამენტში...

ახლა დავანებოთ თავი სულელურ უკუჯექობებს: „მოვტყუვდით! სოროსმა მოგვაღორა! ჩვენ არაფერ შუაში ვართ!“

შეავლეთ თვალი ნოემბრის კადრებს და ნახავთ, ვართ თუ არა შუაში.

თუ ჩვენ არ ვიდექით თავზეცელოფანწაფარებულნი წვიმაში, უამრავი ქართველი იდგა. ჩვენი ძმები და ძმიშვილები იდგნენ და მორჩით, თუ ღმერთი გწამთ, ახალ სარევოლუციო ფუსფუსს.

კიდევ ერთ რევოლუციას საქართველო ვეღარ გაუძლებს.

გადახედეთ უახლოეს წარსულს. ჩვენი აქტიური თუ პასიური დასტურით საქართველო სისხლის კალოდ ვაქციეთ.

წამდაუწუმმა რევოლუციებმა მსოფლიოს თვალში არასერიოზული, მოგიჟო-მოყვანცალე ერის იმიჯი შეგვიქმნა.

ასე რომ არ ყოფილიყო, ჯერ ერთი, ჩვენ გარეშე ვერც ერთი სოროს-ბუშ-ივანოვ-პუტინები ვერ შეძლებდნენ ცივილიზებულ ქვეყანაში კანონიერი პარლამენტის განდევნას და საქართველო რომ

ნორმალურ, კულტურულ ქვეყანად ყოფილიყო მიჩნეული, ვარდების რევოლუციის მონაპოვარს მსოფლიო მხარს არ დაუჭერდა.

მახსოვს, სალომე ზურაბიშვილი რომ მოვამინისტრეთ, ერთი ამბავი ატყდა, როგორ შეიძლება საფრანგეთის მოქალაქეს, დიპლომატს (და ამის გამო, ვინ იცის, საიდუმლო სამსახურებთან თუნდაც ირიბი კავშირების მქონეს) შენი საგარეო უწყება ჩააბაროო. მოხსნეს სალომე და მის დასაცავად 10000 კაცი გავარდა იპოდრომზე.

დავით აღმაშენებლის ძეგლის დასაცავად 47 მოქალაქე მოვიდა, სალომეს დასაცავად, როგორც მოგახსენეთ – 10000.

ჩვენ „ახალ იმედს“ – სალომეს, ცოტა არ იყოს, ეშინია სააკაშვილის და მორცხვ-ნაზად ბელადობს.

ჯერ იყო და იპოდრომზე მეგაფონს არ მოკიდა ხელი, ახლა დროდადრო თავის მხარდამჭერ-მოხალისეებს ასეთ რევოლუციურ, რადიკალურ დავალებას აძლევს; თეთრი ვარდით ხელში ჩაიარეთ რუსთაველზე, ოღონდ გაჩერებით არ გაჩერდეთ (თუნდაც მდუმარე აქცია), ჩაიარეთ და წადით სახლშიო.

თუ ამდენი თეთრი ვარდი ვერ იშოვეთ, ხომ შეიძლება სამს ერთი ვარდი გვეჭიროსო, ეკითხებიან.

მახსოვს, უყურა ოპოზიციის ერთმა ბელადმა დავით აღმაშენებლის ძეგლთან შეკრებილ 47 პატრიოტს და ჩაილაპარაკა, – მე აქ თქვენთვის ვდგავარ და ვისველებ ძლივს დავარცხნილ ქუთაისურ ქოჩორს და, თუ საქართველოს ეს ძეგლი არაფრად უღირს, მოგსრიათ პატრონიო.

ქუდი არ დაუხურავს (ქუდი არ ჰქონდა), გატრიალდა და წავიდა.

ახლა ოპოზიციის დიდი ნაწილი იმითაა დაკავებული, რადაც უნდა დაუჯდეს, იგორ გიორგაძე ჩამოიყვანოს და ახალი „ძიძგლი-ძიძგლი“ მამალო გამართოს მთავრობის სასახლესთან.

მე პირადად რუსის მაჯაგანით წაჯიკავებულ-გაგდებული სააკაშვილი არ მინდა.

მირჩევნია, ჩვენი შვილი ჩვენვე აღვზარდოთ, მოვაჭკვიანოთ, გამოვაწრთოთ, დავაბრძენოთ. კარგი მოვუწონოთ, ცუდი გავუკრიტიკოთ, ვურჩიოთ და სწორ გზაზე დავაყენოთ, ვიდრე „მესამე ძალას“ მოვუხმოთ ჩვენს სახლში წესრიგის დასამყარებლად.

რუსი თუ შემოვა, ნუ იფიქრებ, ქართველო, ახლანდელი მთავრობისაგან გაგიწმენდს ქვეყანას და წავა.

რუსი თუ შემოვა, აღარ გავა და ვიცი მე, რას ნიშნავს რუსის ჩექმა ყელზე.

რვაასი წლის წინ დავით აღმაშენებელი საოცარი გამჭრიახობით აგვარებდა ურთიერთობას მეზობლებთან და ახლა რა ჯანდაბა გვჭირს.

თარგამაძეს ვიზა არ მისცეს და დიდმა პოლიტიკოსმა ბურჯანაძემ თარგამაძისადმი სოლიდარობის ნიშნად უარი თქვა სამიტში მონაწილეობაზე.

ბოროტი ენები ამბობენ, ცოტა ქე ეზარება 547-ე საზღვარგარეთული ვოიაჟიდან ახალდაბრუნებულ ნინოს ცივ მოსკოვში გაფრენაო.

მერე ის იყო, რუსმა საახალწლოდ საქართველოში რუსული კამფეტებით ხელში გამოსამგზავრებლად გახაზირებულ მილიონ ქართველს ვიზა შეუწყვიტა.

თხა თხაზე ნაკლებიო და, ჩვენც შევუწყვიტეთ ვიზა რუსებს.

განსხვავება ის არის, რომ საქართველოდან რუსეთში კვარტალში 5 (ბოლო მონაცემებით – 4) რუსი მიდი-მოდის, ხოლო რუსეთიდან საქართველოში ერთი მილიონი (საახალწლოდ მილიონ-ნახევარი) ქართველი მოეშურება.

ვინ რჩება დასჯილი?

შევაჩერდით ძუძუს გოჭივით ამერიკას.

რას მომჩერებიხართო, ამერიკამ.

შეგვაყოფინე თავი ნატოშიო, ვეხვეწებით.

ამერიკა ღარიბი ნათესავივით გვიცქერის და ისე გვიღიმის, მოდებილო ბავშვს რომ კანფეტს შეპირდები გასაჩუმებლად.

შეგიყვან ნატოში, აბა, არ შეგიყვან? ოღონდ არ მკითხო, როდისო.

თუ ჩვენ არ გავმარჯვდით, ვერც რუსი გვიშველის და ვერც ამერიკა. გავიგოთ ერთხელ და სამუდამოდ, რომ არავინ ჩვენთვის თავს არ აიტკივებს.

ჩვენ? ტრაგიკომედიად გვექცა ცხოვრება.

ჩვენი ჭორიკანა ტელევიზია დღეში ცხრაჯერ მაინც გვიჩვენებს, როგორ დაიძვრება ერთმანეთისაკენ საჩხუბრად ორი „მამაცი“ პარლამენტარი.

თან ორივე შემკრთალი, დინჯად მიდის და ფიქრობს: „დროზე გაგვაჩერეთ, ხალხი არა ხართო?“

რა მნიშვნელობა აქვს ჩვენთვის, პირველი რომელი მამლაყინწა დაარტყამს.

ახლა საპენსიო ცოდვის კითხვაა.

თურმე გაეზრდებათ პენსია II მსოფლიო ომის მონაწილეებს.

ამ დროს საქართველოში II მსოფლიო ომის მონაწილე სულ 39

მოხუცილა დარჩა და იმათგან 17 თითქმის აღარაფერს ჭამს მაწვნის გარდა.

თურმე ყოფილი სამხედრო მაღალჩინოსნები 4 000 ლარიან პენსიას იღებენ.

რაში? აფხაზეთში შევარდნაძის ხელმძღვანელობით სამარცხვინოდ რომ დამარცხდნენ, უკან მოუხედავად რომ გამოიქცნენ და შეშინებული დათვებივით სულ ძუნძულ-ძუნძულით რომ გადმოიარეს კოდორ-ჭუბერის უღელტეხილი?

პენსიების შემცირებაზე ლაპარაკობს პარლამენტარი და იმას არ უფიქრდება, თვითონ ვარდების რევოლუციის მიერ საკანონმდებლო ხელისუფლებაში გოდრით შედგმული რომ 2500 ლარს ღუნავს თვეში.

თვით შევარდნაძეს 28-ლარიან პენსიას დაუნიშნავენო, ამბობენ.

ახია, მასზე, მაგრამ სამართალია. ვინც ბოლო 2 წელიწადში მიიღო ღირსების ორდენი, მხოლოდ იმას ეძლევა ჯილდოდ 600 ლარი, ხოლო უფრო ადრე ვინც მიიღო, სამი თითის კომბინაციას უჩვენებენ?

არა და, თქვენ თვითონ შევარდნაძის დაჩეკილი ბარტყები არა ხართ, თქვე კაი ხალხო? შევარდნაძისაგან არ მიიღეთ ჩინ-ტემლაკები და თანამდებობები?

ვზივარ ახლა ჩემს სარდაფ-ბიბლიოთეკაში მტვერში ამოგანგლული და ვეძებ, სად რა სტატია დამიბეჭდავს, ვისი ხელმძღვანელ-კონსულტანტი ვყოფილვარ, რომ „ქულები“ დამიგროვდეს და უნივერსიტეტიდან არ გამაგდონ.

ღვთის წყალობით, იმდენი მიწერ-მიხელმძღვანელებ-მიჯახირია, რომ ქულებით სამი საშუალო პროფესორი ვერ დამეწევა.

და მაინც, ახალი დამოკლეს მახვილი დაკიდეს ჩვენს თავზე; ვიღაც ტუტუც რეფორმისტ ხუნვეიბინელს უთქვამს, როგორც ვატყობთ, უნივერსიტეტის წმენდა (ძველი კადრებისაგან ბოლშევიკური „გათავისუფლება“) არ გამოგვდის. წინასწარ გავთვალეთ და ისევ ძველები რჩებიან მთავარ პროფესორებადო.

ისღა დაგვრჩენია, პროგრესულ მოაზროვნეთა კეთილგონიერების იმედზე ვიყოთ.

კათედრაზე ერთი ღვაწლმოსილი ლექტორი ყოველდღე მეკითხება; შევიდე დღეს ლექციაზე, მაქვს უფლებაო?

დღეს კი, მაგრამ ხვალინდელზე რა მოგახსენო-მეთქი, ვპასუხობ.

საერთოდ, ასე პირქვეწაწოლილი, დაგლახავებულ-დადედლებული საქართველო ახლა როა, ისტორიას არ ახსოვს.

იმის მაგივრად, რომ მტრობას მტრობით ვპასუხობდეთ და პარტიზანული ბრძოლები გავაჩაღოთ აფხაზეთ-სამაჩაბლოში, სამგლოვიარო არშიებით თავწაკრულებს დიდ გმირობად მიგვაჩნია მოტაცებულ-მოკლული ხაჭაპურიძეების ძვლებს რომ დავიბრუნებთ.

ყველაფერი ვერ მოვასწარითო, გვამშვიდებენ. მართლაც, ბევრი რამ ვერ მოასწრეს და მომავლისათვის გადადეს.

კვლავ „დღის წესრიგშია“ მწერლებისათვის მწერალთა სასახლის და მოსწავლეებისათვის მოსწავლეთა სასახლის წართმევა, ილია ჭავჭავაძის ყვარლის და საგურამოს სახლ-მუზეუმების გაყიდვა, აკაკის და ნიკო ნიკოლაძის სახლ-კარის გაყიდვა.

თუმცა „ცისკრის“, „მნათობის“, „ნუგეშის“ დახურვა მაინც მოვასწარით. ესეც საქმეა.

„ცისკარზე“ გამახსენდა:

1852 წელს „ცისკარი“ რომ დაარსდა, მეფისნაცვალ მიხეილ ვორონცოვს მოახსენეს:

თქვენი წყალობით გიორგი ერისთავმა „ცისკარი“ გამოსცა, მაგრამ, როგორც ჩანს, ქართული ჟურნალი მალე მოკვდებაო.

რატომ? უკითხავს ნამესტნიკს.

ხელისმომწერლები არ ჩანან; გორში მხოლოდ ერთმა მკითხველმა გამოიწერა, ქუთაისში არც ერთმაო.

ადგა და 300 ეგზემპლარი გამოიწერა ვორონცოვმა. 100 ცალი თვითონ დაიტოვა, 200 ცალი წმინდა ნინოს სასწავლებელს გაუგზავნა.

ამით მეფისნაცვალმა ჟურნალს სული შთაბერა.

დღეს, ამ აყვავებულ საქართველოში, გუტენბერგის საბეჭდი მანქანისა და კომპიუტერების ეპოქაში, ვნატრობ, ნეტავ 300-იანი ტირაჟით გამოვიდეს ჟურნალი „ცისკარი“, „მნათობი“, „ნუგეში“ და სხვა ლიტერატურული ჟურნალები.

იმაზე კი, რა თქმა უნდა, აღარ ვოცნებობ, სააკაშვილმა, ნოღაიდელმა ან უგულავამ (ნინო ბურჯანაძის იმედი აღარ მაქვს) რომელიმემ 300-ის მესამედი მაინც გამოიწეროს და თავის წერა-კითხვის მცირემცოდნე თანამშრომლებს დაურიგოს.

და მაინც, ჩვენი უფერული ოპოზიციისა გამკვირვებია; ახალი რევოლუციის იმედით რომ საზრდოობს.

მოვეშვათ რევოლუციურ ჩხირკედელაობას, ბატონებო.

ის ხალხი, ვისაც ეროვნება წაართვეს და ქუჩაში არ გამოვიდა, მამის სახელი წაართვეს და ხმა არ ამოიღო, ქართული ენა სახელმწიფო ენად არ დაუკანონეს და არ უნაღვლია, თქვენს „მგზნებარე დაძახილზე“ გამოვა?

შევურიგდეთ იმ აზრს, რომ ერი დაიღალა რევოლუციებით და სხვა ვარსკვლავს ვსდიოთ.

რისი აფხაზეთ-სამაჩაბლოს დაბრუნება, რომელი ეროვნული ფენომენის დასაცავად ბრძოლა, საქართველოს ახლა სამი უმთავრესი თავსატეხი აქვს:

1. მოიკლა თუ არა თავი პირველმა პრეზიდენტმა.

2. მოკლეს თუ არა ზურაბ ჟვანია და ამჩნევია თუ არა კონსპირაციულ ბინაში ნაპოვნ სოსისს პრემიერის კბილების კვალი.

3. არის თუ არა მეტეხში მცხოვრები რუსი ქალბატონი პუტინის დედა.

ამ უკანასკნელ საკითხზე დიდი ბჭობა-გნიასია ატეხილი. ჩვენ ვამტკიცებთ დედაო, ყურის ბიბილოებით და ფრჩხილებით ჰგავსო.

ეს სამი სფინქსის ამოცანა თუ გადავწყვიტეთ, გვეშველება ქართველებს. იმ საათიდანვე წინ წავა ჩვენი საქმე:

აფხაზები და ოსები ჩვენკენ სიხარულით ხელგაშლილნი გამოიქცევიან. კორუფციის ისარი შკალაზე მეყვსეულად ნულზე დავა, ხოლო გაყინულ-გაძარცული ფაბრიკა-ქარხნები მეორე დღესვე ამუშავდება.

ამ წერილს საყოველთაო შერიგების ნიშნით ვწერ. სხვა პოზიცია მე – რევაზ მიშველაძეს – არ მეკადრება.

შევრიგდეთ, გავერთიანდეთ, ქართველებო, და ჩვენი მტრებისკენ მივმართოთ, თუ რამე ძალა კიდევ შეგვრჩენია.

ღმერთო, მთლად ნუ აგვაღებ ხელს.

2006 წელს მაინც შეგვეწიე.

2005 წ.

ღმერთს შეხედეთ, ღმერთს!

ხელისუფალნო და მოსამართლენო!

6 ივლისს მწერალთა სასახლის კუთვნადობის საქმეს უზენაესი სასამართლო განიხილავს.

კარგად ვიცი, რომ დღეს მოსამართლენი, რბილად რომ ვთქვა, „საკონსულტაციო ჯაჭვით“ არიან მიბმულნი ხელისუფლებაზე და ამიტომაც ორივეს ერთად მოგმართავთ.

იგი, ვინც მწერალთა კავშირისათვის შენობის წართმევა წამოიწყო, აღარ არის ცოცხალთა შორის (აცხონოს ღმერთმა), პრემიერ-

მინისტრს რომ ამ უკეთურ საქმეში მხარში ედგა და თავისი რუსეთულ-მგლური მადის დაკმაყოფილებას მწერალთა სასახლის ხარჯზე ცდილობდა, აღარ არის ეკონომიკის მინისტრი და „განკარგულებებს“ ველარ მოგვწერს. ერთადერთი კაცი ხელისუფლებაში, ქართველი მწერლების ქუჩაში გამოძევებას რომ ძველებურად ფიქრობს, „ძე შეცდომილი“ კულტურის მინისტრია, რომელიც, ალბათ, ნელ-ნელა მიხვდება, რა საბედისწერო დანაშაულს ჩაიდენს, თუ კვლავ სამართლის გამრუდების გზას დაადგება.

რაც შეეხება საქართველოს პრეზიდენტს, ორჯერ ოფიციალურად განაცხადა: მწერალთა კავშირისათვის ისტორიული სასახლის წართმევაზე არასოდეს გვიფიქრია, ყველა ყველა და მე ამას არასოდეს დავუშვებ, მწერალთა და მეცნიერთა ოჯახში გაზრდილი კაციო.

საზოგადოებრივ აზრს თუ მიაყურადებთ, იგი აშკარად ისტორიული სიმართლის მხარეზეა. საქართველომ კარგად იცის, რომ მწერალთა სასახლე მარტოოდენ მწერალთა თავშესაფარი (დღეს რომ „ოფისს“ ეძახიან) როდია. იგი ეროვნული ტრიბუნაა, საიდანაც ქვეყანას ყოველდღიურად ჩვენი ეროვნული ცნობიერების დამცავი სიტყვა მოეფინება ხოლმე.

საქართველომ ისიც კარგად იცის, რომ კომუნისტების შემოსვლამდე კარგა ხნით ადრე შექმნილი მწერალთა კავშირი „კომუნისტური გადმონაშთი“ კი არა, ჭეშმარიტ ქართველ მწერალთა სახელოვანი საკრებულოა.

ვინც კეთილმოსურნე თვალით შეხედავს მწერალთა კავშირის დღევანდელ საქმიანობას, იოლად დარწმუნდება, რომ იგი კარგა ხანია აღარ არის ხელისუფლების განშტოება. მწერალთა სასახლეში ლამის ყოველდღიურად იმართება ქვეყნისათვის სასარგებლო სჯა-ბაასი შესახებ იმისა, როგორ ვუშველოთ საქართველოს, როგორ დავიბრუნოთ რუსეთის მიერ წართმეული მიწები და როგორ შევინარჩუნოთ ეროვნული სული, რომლის გარეშეც საქართველოს არსებობა წარმოუდგენელია.

ლამის ერთი წელია, სადაც ქართველი მწერლები გამოვჩნდებით, მოქალაქენი ყველა ერთი და იგივე კითხვა-დავალებით მოგვმართავენ: „როგორაა შენობის საქმე, კვლავ გიპირებენ წართმევას? აბა, თქვენ იცით, გამაგრდით, ცოცხალი თავით არ დათმოთ!“

ასეთია საზოგადოებრივი აზრი.

იურიდიული სიმართლე?

1921 წლის 28 თებერვალს რევკომმა შალვა ელიავამ ხელი მოაწერა №174 განკარგულებას, რომელშიც გარკვევით სწერია: „რევოლუციური რევკომის დადგენილებით ხოშტარიას სახლი, რო-

მელიც იმყოფება სერგიევის ქუჩაზე, გადაცემული იქნას საქართველოს მწერალთა კავშირისათვის“.

ამ განკარგულების გამოცემამდე კი ათი წლით ადრე სულკურთხეულმა დავით სარაჯიშვილმა ქართველ მწერლებს უანდერძა. ეს შენობის ბოლო მფლობელმა აკაკი ხოშტარიამ იმით განამტკიცა, რომ ემიგრაციაში წასვლის წინ შენობა გადასცა პაოლო იაშვილს, ტიციან ტაბიძეს, კოტე მაყაშვილს და კონსტანტინე გამსახურდიას.

დიახ, ლამის ასი წელია ეს სასახლე საქართველოს მწერალთა კავშირს ეკუთვნის.

კიდევ რა მტკიცებულება გნებავთ?

ცოტაა, რომ ამ სასახლეში ილიამ „განდეგილი“ წაიკითხა, აქ ორი თვის განმავლობაში აკაკი ცხოვრობდა, რომ სასახლეში დღესაც წრიალებს ვაჟას, გალაკტიონის, ჯავახიშვილის, გამსახურდიას, ლეონიძის, ლადო ასათიანის და სხვათა გრძნეული ხმების ექო?

თქვენ როგორ ფიქრობთ, დღეს მწერალთა სასახლე მხოლოდ და მხოლოდ კავშირის წევრთა შესაკრებ-საბაასო ადგილია? არამც და არამც.

გარდა საქართველოს ერთადერთი მწერალთა კავშირისა, ამ შენობაში განთავსებულია აფხაზეთის დევნილი მწერალთა კავშირი, „მწერლის გაზეთის“ რედაქცია, „ლიტერატურისა და ხელოვნების“ რედაქცია, „რიწას“ რედაქცია, „იალქნის“ რედაქცია, ლიტფონდი, სასულიერო გამომცემლობა, ხელოვანთა საგამოფენო დარბაზი, ლიტერატურული თეატრი, ასწლოვანი ბიბლიოთეკა ქართველ მწერალთა ავტოგრაფებით და ხელნაწერებით და, რაც მთავარია, ქართველი მწერლების სხვადასხვა თაობის წარმომადგენელთა უნიკალური არქივი, მათი დრამატული ბიოგრაფიის შემცველი კონფიდენციალური საბუთებით სავსე.

მწერალთა კავშირი დღეს სხვადასხვა ლიტერატურულ ასოციაციათა ფედერაციული გაერთიანებაა. ცნობისათვის დაგიზუსტებთ, რომ საქართველოში დღეს მოქმედი 38 ლიტერატურული გაერთიანებიდან 36 მწერალთა სასახლეშია ასოცირებული. თავიანთი სურვილით გარეთ დარჩენილ ორ 7-9-კაციან ჯგუფს – „ომეგას“ და „პენმარათონელს“ – გამუდმებით ვთხოვთ მობრძანდნენ, შემოგვიერთდნენ, ჩაატარონ მწერალთა სასახლის კლუბში თავიანთი ღონისძიებანი.

ხელისუფლების კიბეებზე სირბილს და მავან ოფიციალურ პირთათვის შეჩუჩხურებას („ისინი გამოასახლეთ და ჩვენ შეგვასახლეთო“), მამაჩემსა აქვს ცხონება, ის ურჩევნიათ, დაწყნარდნენ, დადგნენ, დაბრძენდნენ, დედის გინებით და სექსუალური უკულმართობით დაზუზღული წიგნების ნაცვლად ჭეშმარიტი ლიტერატურა შექმნან, ეროვნული ცნობიერების განმტკიცებას ემსახურონ.

ისინი ხომ ჩვენი უმცროსი ძმები და შვილები არიან. ვერ ამიხსნია, რატომ იბღვირებიან?

იბღვირებიან მხოლოდ უნიჭონი, რაკიღა ფიქრობენ, რომ თუ ვინმემ იცის მათი უნიჭობის შესახებ, უპირველესად ჩვენ ვიცით, თორემ ნიჭიერ ახალგაზრდებს, ჭეშმარიტ მწერლებს ჩვენც ისევე დავუდგებით გვერდით, როგორც ერთ დროს ჩვენ დაგვიდგნენ ჩვენი უფროსი თაობის წარმომადგენლები.

ცრემლი მომადგა თვალზე, როცა ამას წინათ ტელევიზიით ვნახე, რამდენიმე „პენმარათონელი“ ხელიხელგადახვეული სიმართლეს რომ ღაღადებდა („ჩვენაო, წვიმაში იმიტომ კი არ ვიდექით, ხელისუფლების უზურპაციას და დემოკრატიის დათრგუნვას დავუჭიროთ მხარიო“), მივირბინე რუსთაველის კინოთეატრში დათო ტურაშვილის და ნუგზარ წიკლაურის მიერ მოფიქრებულ მშვენიერ ეროვნულ ღონისძიებაზე დასასწრებად და „ვეფხისტყაოსნის“ კოლექტიური კითხვის მოსურნეთა რიგში ჩავდექი.

ეს მწერალთა კავშირი, ეს სასახლე ყველა ჭეშმარიტი მწერლის სახლია, ძვირფასებო, – ასეთია ყველა სინდისიანი მწერლის დამოკიდებულება იმათ მიმართ (აკა მორჩილაძე, დათო ტურაშვილი, ირაკლი კაკაბაძე, მიხო მოსულიშვილი, ლაშა ბუღაძე...) ვინც ყურადღება მიიპყრო და თავი კარგად დაგვამახსოვრა.

დღეს საქართველოს მწერალთა კავშირის წევრთა რიცხვი 457-ს შეადგენს. გაწევრიანების მსურველთა რიცხვიც საკმაოდ დიდია. ჩვენს პორტფელში 200-მდე განცხადება დევს იმ ავტორებისა, საქართველოს მწერალთა ოჯახში რომ აპირებენ შემოსვლას.

მაშ, რა „დაშლაზე“ და „ყავლგასვლაზეა“ უსაბუთო მითქმა-მოთქმა?

სახელმწიფო დახმარება შეგვიწყვიტეთ, ხელისუფალნო. „მნათობი“, „ცისკარი“, „ლიტერატურული საქართველო“, „მწერალთა გაზეთი“, „დილა“, „ნერგი“, „დროშა“ და სხვა ტრადიციული ორგანოები უსახსრობის გამო სულს ღაფავენ (მათს ნაცვლად საეჭვო ლიტერატურული პრესა გააჯეჯილეთ!) და ახლა შენობასაც გვართმევთ?

არ გამოვა ეგ საქმე.

გაფრთხილებთ, თქვენს უკულმართ გადაწყვეტილებას შეიძლება რამდენიმე მწერლის სიცოცხლე შეეწიროს და მათ შორის ერთ-ერთი პირველი მე ვიქნები.

ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის და გალაკტიონის წმინდა აჩრდილები გვავალებენ ამ ჩვენი ეროვნული საუნჯის დაცვას მედროვეთა ხელყოფისაგან და ნუ გაგიკვირდებათ, თუ იქ, სადაც ქართველ მწერალთა ახალი თაობები უნდა გაიზარდონ, არ დავუშვებთ გონებაბრმობილთა, საეჭვო სექსუალური ორიენტაციის წარმომადგენელთა და მოკაიფე პოეტ-კუპლეტისტთა პარპაშს.

2005 წ.

რევოლუცია ქონების გადანაწილებაა

შიში, რომელმაც ამ ხელისუფლების დიდი ნაწილი მოიცვა, რომ ახლოვდება გუგუნი ახალი რევოლუციისა, ვგონებ, სრულიად უსაფუძვლოა. ისეთ პოლიტიზირებულ ქვეყანაშიც კი, როგორიც საქართველოა, როდესაც ყველა გატაცებულია პოლიტიკით, რევოლუციები ერისა და ქვეყნის სათანადო ფსიქოლოგიური მომზადების გარეშე არ ხდება. მთელმა ქვეყანამ – ერმაც და ბერმაც იცის, რომ ხალხი გულგატეხილია, რომ ხალხს იმედები გაუცრუვდა. სიმართლე გითხრათ, მე, ერთ ქართველ მწერალს, რამე განსაკუთრებული ილუზიები რევოლუციის მიმართ არ მქონია. მართალია, ქუჩაში არ გამოვსულვარ და თავზე არ მხურებია ცელოფანი, როგორც სხვა ჩვენს რევოლუციონერებს წვიმაში, მართალია, „კოლექტიური ცელოფნის“ ქვეშ არ ვმდგარვარ, მაგრამ შინაგანად ვუთანაგრძნობდი რევოლუციას, ეტყობა, ჩემი ბუნების გამო, თანაც მწერალი ყოველთვის ახლის, რევოლუციურის, გარდაქმნის მხარეს დგას. ათეული წლების განმავლობაში შევარდნაძე იყო საკმაოდ კულტურული, რაფინირებული, ინტელიგენტი. მხოლოდ ინტელიგენტი, რომელმაც ალღო ვერ აუღო თანამედროვეობას. შევარდნაძე დაიბნა რუსეთსა და ამერიკას შორის. შეიძლება მას სურვილი ჰქონდა, საქართველოსთვის სიკეთე ექნა. მას ვერ დავაბრალებ, რომ შეგნებულად გაყიდა აფხაზეთი, სამაჩაბლო, შეგნებულად ჩააბარა ქართული მიწები სხვას და შეგნებულად სურდა, საქართველოში არ ამუშავებულიყო მრეწველობა, სოფლის მეურნეობა, მაგრამ შევარდნაძეს არ ეყო პოლიტიკური ალღო და არც ეკონომიკის ცოდნა.

მეგონა, რომ ახალგაზრდები მოვიდოდნენ და ქვეყანას შეცვლიდნენ. მაგრამ, თქვენ წარმოიდგინეთ, ეს შიში, რომელსაც მასა ხელისუფლების მიმართ გამოხატავს, რომელიც ყოველთვის რევოლუციურია, ასეთი აპათიური არასოდეს ყოფილა. რომ ხალხს ასე სძულებოდა თავისი ხელისუფლება, არ მახსოვს, მაგრამ მაინც მინდა, დავამშვიდო ეს ხელისუფლება, მე ვერ ვხედავ ისეთ ოპოზიციურ ძალას, რომელიც შეძლებს ახლა საქართველოში რევოლუციის მოხდენას. მივიხედ-მოვიხედე, თუ სად შეიძლებოდა დავმდგარიყავი, ვის გვერდით. აღმოვაჩინე, რომ – ვერსად. ასე რომ, მშვიდად ძარცვონ ქვეყანა ჩვენმა ახალბედა მმართველებმა, მშვიდად გაყიდონ საქართველოს ტერიტორიები, მიჰყიდონ გადამთიელებს, მშვიდად მიიღონ პარლამენტში უმწიფარი, ქვეყნის დამქცევი კანონები. უახლოეს 5 წელიწადში მათ არავითარი საშიშროება არ ემუქრებათ. ამასობაში, ალბათ, საქართველოც დამთავრდება, ისინი მოასწრებენ და მოახერხებენ საქართველოს ნულზე დაყვანას. ამისი ყოველგვარი იმედი არსებობს.

გარდა რევოლუციის ძალისა, სხვა მხრივ საქართველოს გარდაქმნა მშვიდობიანი გზით არ შეიძლება. იმიტომ არ შეიძლება, რომ საქართველოში არჩევნების კულტურა არ არსებობს. დარწმუნდებით ამაში, თუ რა შედეგით დასრულდება საქართველოში შუალედური არჩევნები. არ დაიჯეროთ, მიუხედავად იმისა, რომ ოპოზიციამ კარგი კანდიდატები წარადგინა, რომელიმე გაიმარჯვებს. ვერც ერთი ოპოზიციონერი ვერ გავა, ეს არ მოხდება, ამას არ დაუშვებს დღევანდელი ხელისუფლება.

აუცილებლად გააყალბებს. დღევანდელი ხელისუფლება მოჩვენებით დემოკრატიასაც კი არ უშვებს. ესენი დასცინიან. თავში ჩაქუჩს ურახუნებენ მთელ ერს. დასცინიან მთელ ოპოზიციას, თანაც ეუბნებიან მთელ ქვეყანას, ჩვენ ვართ თქვენი მოყვანილი, კეთილი ინებეთ და აგვიტანეთ, თორემ გაგსრესთ ბაღლინჯოსავითო. ამ გასრესის ნიმუშები, ფაქტები, არაერთია.

დედაბერმა უღელი რომ მოისროლა და კურდღელი მოკლა, აი, ასეთი მოსროლით ხელისუფლება არაერთ საქმეს აკეთებს. ვფიქრობ, რომ ისინი შეგნებულად მტრობენ საქართველოს, რომ დაუძინებელი მტრები არიან, რომ ისინი შეგნებულად არღვევენ ეროვნულ ცნობიერებას, რომ ისინი შეგნებულად ყინავენ ეკონომიკას. სიმართლე ის არის, რომ ამ ხელისუფლებას არ ჰყოფნის ცოდნა არც ეკონომიკის, არც პოლიტიკის. მათ არ ჰყოფნით ცხოვრებისეული გამოცდილება. ისინი ჩქარობენ, შეშინებულები არიან. მათ იციან, რომ უკანონოდ მოვიდნენ ხელისუფლებაში, აბსოლუტურად უკანონოდ იმ ქვეყანაში, სადაც პარლამენტია, რომელიც გაეროს წევრი ქვეყანაა, რომელიც ცნო მსოფლიოს უამრავმა სახელმწიფომ.

ეს ხომ არ არის პაპუასური ქვეყანა, რომ რევოლუცია გამხდარიყო საჭირო. როდესაც ქვეყანაში პარლამენტია, რომელ რევოლუციაზეა საუბარი?! 235 პარლამენტარს, ხალხის არჩეულს რომ პანღურს ჰკრავ და ეტყვი, მე რევოლუცია მოვახდინე და ახლა მე ვარო, საერთოდ რაზეა ლაპარაკი. გაოცებული ვარ, რამდენად ბნელ ქვეყნად უნდა ეცნო ამერიკას და რუსეთს საქართველო, რომ ეს რევოლუცია მიეღო მსოფლიოს და დაეკანონებინა. რაც შეეხება იმას, თუ რა მომწონს, უნდა გითხრათ, რომ თავიდანვე მივესალმე უმაღლესი სასწავლებლებიდან მისაღები გამოცდების გატანას, მიუხედავად იმისა, რომ კახა ლომაიას პირადი მტერი ვგონივარ. ეს საქართველოს დიდი გამარჯვება იყო. თუ ასე გაგრძელდა გამოცდების ჩატარება, როგორც ახლა ჩატარდა, ძალიან კარგი იქნება, რადგან იმ 500 გამომცდელს, სურვილიც რომ ჰქონოდა, ვერავის ნაწერს ვერ იპოვიდა, რომ მაქინაცია მოეხდინა.

თავს ვერ დავდებ, მაგრამ ვიცი, რომ ერთგვარი განწყობილებები უკვე ჩამოყალიბდა. რაც შეეხება ტრადიციულ დამოკიდებულებას მისაღები გამოცდებისადმი ანუ მომავალი სპეციალისტების აღზრდისადმი, ბავშვი როგორ ვამეცადინოო, ამაზე კი არ ფიქრობდა მშობელი, არამედ, უპირველეს ყოვლისა, ფიქრობდა, როგორ მოვძებნო უმაღლესი სასწავლებლის რომელიმე დოცენტი, რომ გამოცდებზე საქმე გამიკეთოსო. ერთიან ეროვნულ გამოცდებზე თითქმის მსგავსი რამ არ ყოფილა. რომ ჩახედავთ სიას, ნახავთ, სწორედ უპატრონო (ვგულისხმობ გამოცდებზე პატრონს) ბავშვი თელავიდან, უპატრონო ბავშვი კასპიდან ირიცხება ყველაზე პრესტიჟულ ფაკულტეტებზე. უნდა ვთქვა, რომ მართლა ცოდნამ გაიმარჯვა. ერთიან ეროვნულ გამოცდებზე შეიძლება იყო პატარა ხარვეზები, ამის შესახებ თვითონ ლომაიამ თქვა: ინფორმაცია ვერ მივაწოდეთ მშობლებს, რომ 17 ათასში მოხვედრა არ ნიშნავდა სტუდენტად გახდომასო. 17 ათასში ვინც აღმოჩნდა, ის უკვე მიღებულია, ასეთი ხმა რომ გამოვიდა, აი, ეს იყო შეცდომა. ასეთი ხარვეზები უსათუოდ გამოსწორდება. ეს არის ერთი პლუსი ჩვენი ხელისუფლების. მეორე ის, რომ სასწრაფო დახმარება და გადაუდებელი სამედიცინო დახმარება უფასოა. ეს ცოტა არ არის. ხალხი სასოწარკვეთილი იყო, რადგან, სასწრაფოში რომ დარეკავდი, ვაჭრობას გიწყებდნენ – თუ გადაიხდი 25 ლარს, მოვალთ, თუ არადა, კისერი გიტეხიაო. მესამე, რაც მომწონს – ეს არის საპატრულო პოლიცია. მქონდა რამდენიმე შემთხვევა, მიმემართა მათთვის. იმ წუთშივე გაჩნდებიან, ზრდილობით სავსენი. როდესაც მათ ვთხოვდი, ჩემი ქუთაისური ბუნებიდან გამომდინარე,

კერია დამილოცეთ-მეთქი, უარს მეტყოდნენ, იმ პასუხისმგებლობიდან გამომდინარე, რაც მათ აკისრიათ. მეოთხე, ასფალტი რომ იგება თბილისში, ამაზე როგორ შეიძლება მოჩვენებითიაო, თქვა. როგორ შეიძლება, გზების გადაკეტვაც ვერ აიტანო ამის გამო. ეს, იცით, რას ჰგავს? ჭაობიდან რომ კაცი ამოიყვანეს, მან რომ გაიკვირვა, რატომ ამომიყვანეო, მე იქ ვცხოვრობ, ის ჩემი სახლიაო.

მიუხედავად ჩემ მიერ ჩამოთვლილი დადებითი საქმეებისა, ხელისუფლება რომ დაბნეულია, რომ მათ არა აქვთ ერთიანი სტრატეგია საქართველოსთვის წართმეული ტერიტორიების დაბრუნებისა, ეს ფაქტია. ახლა რომ გაეროში გამოვიდა სააკაშვილი და უსაყვედურა გაეროს, რაღაც გაურკვეველ პასუხებს იძლევა კოფი ანანი, ვერც იქ, გაეროს რეზოლუციაში დავინახე იმედი, რომ საქართველოში შემოსულ ყაჩაღებს, ჩვენს ისტორიულ მიწაზე სამაჩაბლოში და აფხაზეთში გამრავლებულ უცხოტომელებს, რომლებსაც ჩვენს დასაჩოქებლად თავზე ხელს უსვამს მსოფლიოს ნომერ პირველი დამპყრობელი და კოლონიზატორი – რუსეთი, რაღაცით მაინც წინააღმდეგობას გაუწევდეს ამერიკა ან გაერო. ჩემდა სამწუხაროდ, ჩემი ცრემლი და სიცოცხლე სწორედ აფხაზეთთან არის დაკავშირებული. არაფრის დამბრუნებელი სააკაშვილი თავისი პრეზიდენტობის დროს არ იქნება. არავითარი გონივრული პროგრამა ხელისუფლებას არ აქვს მთავარი პრობლემის გადასაჭრელად.

შევარდნაძეს მენტალიტეტი ჰქონდა ჩამოყალიბებული, როგორც რუსეთის ცკ-ის მდივნისა, რომელიც რუსეთს ყოველთვის თვალში შესციცინებდა. მერე გამოჩნდა ამერიკა. საქართველოს ბედის გასარკვევად შევარდნაძემ გაიხედა დასავლეთისკენ და ძალიან ენერგიულადაც გაიხედა, ისე ენერგიულად, რომ საბჭოთა კავშირის დანგრევას შევარდნაძეს „აბრალებენ“. თუ გაირკვა, რომ ეს მართალია, რაშიც ძალიან მეპარება ეჭვი, შევარდნაძეს სიკვდილის შემდეგ ისტორია უმაღლეს კვარცხლბეკზე აიყვანს. შევარდნაძე ისტორიულ გზაჯვარედინზე მოხვდა. აფხაზეთი გაყიდული, რა თქმა უნდა, არ არის, მაგრამ მოხდა ელემენტარული რამ: რუსეთმა გვითხრა, შენ, საქართველოვ, დამოუკიდებლობა მოინდომე, 200 წელი რომ ჩემი მონა იყავიო? ახლა კი ამ დამოუკიდებლობას არ გვპატიობს რუსეთი. რუსეთმა კარგად იცოდა, რომ საქართველოს ყველაზე ზურმუხტოვანი კუთხე იყო აფხაზეთი. 10 დღით რომ გაგრის, ბიჭვინთის, სოხუმის საგზური მოეპოვებინა, რუსი სტახანოველი მოწინავე მუშა 10 წელი მუშაობდა. 10 დღის საგზურს ჯილდოდ აძლევდა მიტინგზე რუსეთის ხელისუფლება მუშას. რუსეთმა იცის აფხაზე-

თის ფასი. როგორ ფიქრობთ, ამის მერე რამე დათმობაზე წავა?! ბუშს პუტინი ეუბნება, რა დათმობაზეც გინდა წავალ, რასაც გინდა, დავთმობ საქართველოსთან მიმართებაში, ოღონდ აფხაზეთი არ დამაბრუნებინოო. აფხაზეთის დაბრუნებასთან ერთად დამთავრდება პუტინის პრეზიდენტობა. მთელი რუსეთი შეჰყურებს აფხაზეთს. თუ რუსი ამერიკამ მუხლებზე არ დააჩოქა, რაც არ მოხდება, აფხაზეთს რუსეთი არ თმობს. აფხაზეთი აჭარა არ არის, რომ იქ ტაშისკვრით და მიტინგით შევიდეთ. სისულელედ მიმაჩნია ჩვენი სამხედრო აღლუმები, ვის ვუკეთებთ ამით გულს, ვის წინაშე ვიწონებთ თავს – რუსეთის? აქლემი ისე არ დავარდება, რომ ვირის საპალნე ვერ ზიდოს. ამიტომ ყოველგვარი რევანშიზმი გამორიცხულია. ყოველდღიურად უნდა უჩურჩულოთ ამერიკას ყურში, როგორ იქნება ჩემი საქმეო, როგორც ნელ-ნელა დაგვშორდა ტაო-კლარჯეთი, ისე გვშორდება აფხაზეთი, თუ არ მოხდება მსოფლიოში ძალთა ისეთი გადანაწილება, რომ ამერიკამ გამოაცალოს მთავარი საყრდენი რუსეთს და დატოვოს რუსეთი შიშვლად თავის ტერიტორიაზე. თუმცა პერსპექტივა იმას გვეუბნება, რომ ნელ-ნელა ამერიკა 20 წლის მერე აუცილებლად ჩამოვარდება; ჩინეთი ძლიერდება, რუსეთს ყველაზე დიდი უპირატესობა აქვს ყველა ძლიერ ქვეყანასთან, მას ყველაზე დიდი ტერიტორიები აქვს.

ახლა უნივერსიტეტზე, იქ მიმდინარე პროცესებზე ვისაუბროთ.

აქციაზე გამოვდიოდი და ვამბობდი: როგორ შეიძლება დახურონ აკაკი წერეთლის, ვაჟას, გალაკტიონის, ივანე ჯავახიშვილის კაბინეტები, მაგრამ, სიმართლე გითხრათ, იქაც გული გამიტყდა, ახლა მიტინგზე არ მივდივარ. იქ დავინახე იგივე, რაც სჭირს დღეს საქართველოს. ეს არის საშინელი წყლული და ავადმყოფობა. როცა ხელისუფლებამ შემოგვიტია და დაგვიპირა მწერალთა კავშირის წართმევა, თბილისის ინტელიგენციამ თავი არ შეიწუხა და სახლიდან გარეთ არ გამოვიდა. როდესაც პიონერთა სასახლეს დაუპირეს იგივე, როდესაც ბავშვები ტირიან, არც ოპოზიციურმა პარტიებმა, არც ხალხმა ეს საკუთარ ტკივილად არ ცნო.

ლიდერები იყვნენ ტელევიზიაში გამოსასვლელად. თავიანთი მრევლი იქ არ მიიყვანეს. ერთადერთი, ერთგულად დადის და სულისჩამდგმელია ყველა საპროტესტო მიტინგებისა ზვიად გამსახურდიას ქვრივი – მანანა არჩვაძე-გამსახურდია. დანარჩენებს, მგონი შეჰყრიათ რაღაც პატივმოყვარული გრძნობა, უნივერსიტეტის ეზოში ერთი კვირა გვქონდა მიტინგი და არც ერთი ოპოზიციონერი პარტიის წევრი არ მოსულა. მაშინ ვთქვი, კეთილი გონებისკენ მოვუწოდოთ

სააკაშვილს, უნდა დავუწეროთ რჩევები სიყვარულით, რომ ქვეყანას უშველოს. მე 20 რჩევა დავუწერე. არ ვიცი, მიიღო თუ არა ეს რჩევა.

გავუგზავნე, წიგნადაც კი გამოვეცი. „20 რჩევა პრეზიდენტს“, სადაც ვეუბნები, რომ არ არის ეროვნული, რომ ქართულ ეროვნულ ფენომენს არ იცავს და ა. შ. იქნებ ამ გზამ, რომ ჩავძახოთ, მოვუწოდოთ, დავუყვავოთ, გვიშველოს. ახალგაზრდები არიან ისინი. რაღაც რომ შევაცვლევინოთ, იქნებ ამ გზამ უფრო აჯობოს, რადგანაც ჩვენი ერი დაიღალა რევოლუციებით. რევოლუცია მხოლოდ პრეზიდენტის გადმოგდებას კი არ ნიშნავს, ქონების კიდევ ერთხელ გადანაწილებას. საქართველო ამდენ რევოლუციას ვერ გაუძლებს. ნურავის ჰგონია, რომ, თუ კიდევ ერთ რევოლუციას მოვახდენთ, ყველაფერი კარგად იქნება. არა, ჩემო უბედურო ხალხო, ეს ჩვენთვის არ იქნება კარგი. კარგი იქნება იმ 15 კაცისთვის, რომელიც შეცვლის სააკაშვილის ხელისუფლებას. იქნებ სჯობდეს რღვევას, ახალ სისხლისღვრას, მივიდეთ ერთმანეთთან, ჩავჭიდოთ ხელი ერთმანეთს, ვურჩიოთ პრეზიდენტს და ამით ვუშველოთ ქვეყანას. პრეზიდენტს იმდენად უღირს თავისი სკამი, რომ ხალხს თავი არ შეაძულოს. რაც შეეხება უნივერსიტეტს, იქ მიმდინარე მოვლენებს, აქციებით ვერაფერს შეცვლი, მეცნიერი თავისი ბუნებით მოკრძალებულია, მშვიდია. რეზო მიშველაძეს, ნესტან კირთაძეს დიდი თავი აქვთ, იჩხავლონ ამათ, მე მაზოლზე არ დამაბიჯონ ფეხი, რაზე ვიდგე ქუჩაში, ესენი რევოლუციონერები არიან და, თუ გააკეთეს ჩემი საქმე, ხომ კარგი და, თუ არა, ბედსაც შეეგუებიან.

2005 წ.

ბუშის ვიზიტის დღიური

ამერიკის პრეზიდენტი ესტუმრა საქართველოს.

უგულო და ურწმუნო უნდა იყო, ამ ვიზიტის დიდი მნიშვნელობა რომ არ გესმოდეს.

საქართველო უეცრად განათდა მსოფლიო რუკაზე.

ვინც არ იცოდა, გაიგო, რომ არის კავკასიის მთების ძირში უნიკალური კულტურის მქონე, იმპერიებისაგან არაერთგზის გათელილი და ბოლო ორასი წლის განმავლობაში რუსეთის მიერ დაპყრობილი, თავისუფლების სურვილისათვის „უფროსი ძმის“ მიერ სასტიკად დასჯილი პატარა ქვეყანა, რომელსაც საქართველო ჰქვია.

უგრძნობელი და უჯიგრო უნდა იყო, ცრემლი რომ არ მოგრეოდა, ჩვენი ხელოვნებით რომ მოვხიბლეთ მაღალი სტუმარი, რომელიც ჯერ ტაშს ატანდა გემოს, მერე კი თავი ველარ შეიკავა და ცეკვის რიტმს აჰყვა.

იმ ნერვიულობაში სააკაშვილის ყვირილი-სიტყვაც ასატანი გახლდათ, გულწრფელი იყო და იმიტომ.

ბუშს ოპოზიციონერთაგან მხოლოდ ერთი დავით გამყრელიძე შეახვედრეს. სხვა პარლამენტარები კი, როგორც ზოოპარკის სპილოები, ისე ჩაატარეს ამერიკის პრეზიდენტის შორიახლოს.

ვიზიტის სანახაობრივი მხარე, როგორ დავუკარგავ ჩვენს ხელისუფლებას, მაღალი დონისა გახლდათ.

შედეგი?

აქეთ მხარეს ვიყავით მე და ჩემი მეუღლე და შემოგიარეთ, რომ გამარჯობა გვეთქვაო, ბუშმა.

გეგონება, ნათლიმამასთან იყვნენ სტუმრად და გზად შემოიარეს, რათა ცოტა ხანს ცაცხვის ჩრდილში ჩამოსხდნენ, მუხლებს ქარი ამოაღებინონ და გზა განაგრძონ.

ახლა ჩვენ გვკითხეთ, ჩვენ ამ ვიზიტს რევოლუციისა თუ სტიქიისაგან დანგრეული საქართველოს აღსადგენად მოსისხლფასებული ორიოდე გროში პირწმინდად მივახარჯეთ.

ქართული ფოლკლორი და სამზარეულო ძალიან მომეწონაო (თქვენც გირჩევთო, მშიერ ჟურნალისტებს გაეხუმრა), გუშინ კარგად გავერთე და კარგად დავისვენეო, ამერიკის პრეზიდენტმა.

ღმერთმა შეგარგოთ, მაგრამ ჩვენს ჭირს რა ეშველებაო, ჰკითხეს.

რომელ ჭირსო, ძია სემმა.

თუ გქონდათ პუტინთან ლაპარაკი საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენაზეაო.

ამერიკა ამ საქმეში ვერ ჩაერევა, ეგაო, თქვენი და რუსეთის გადასაწყვეტიაო, სტუმარმა.

თქვენ ხომ კარგად ხვდებით, რომ თქვენი ჩარევის გარეშე რუსი აფხაზეთს და სამაჩაბლოს არ დაგვიბრუნებსო, ცრემლი მოადგა თვალებზე „იმედის“ ჟურნალისტ გოგონას.

არც ეგრეა საქმეო. ყველაფერს დრო უნდაო. რუსეთს თუ ჭკუა აქვს, მეზობლად სტაბილური და მდიდარი საქართველო ხელს უნდა აძლევდესო.

ნატოში გაწევრიანების საკითხი მაინც მოგვიგვარეთო, არ მოეშვნენ ჟურნალისტები.

საერთოდ თანახმა ვარ, თქვენ წარმოიდგინეთ, მე, როგორც

ერთი კაცი საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენასაც ვემხრობიო, ბუშმა.

როგორც ხედავთ, არც ერთ ჩვენს საჭირბოროტო კითხვაზე ვაშინგტონელ სტუმარს დამაიმედებელი პასუხი არ გაუცია.

ნეტარ არიან ხელისუფლების მომხრე პოლიტიკოსნი და, გაფუჭებული გრამაფონივით იმეორებენ – აბა, როგორ გინდათო, კაკას და ჩიჩიას ახლავე ხომ არ დაგირიგებდათო. ზოგი რამ მიმიკაზე, ინტონაციაზე უნდა შეგეტყოთო, მუცელზე რომ ხელი მიირტყა და კინტაურის პირველი ილეთი რომ გააკეთა, ეს პატარა საქმეა ჩვენთვისო?

არადა ის მაინც შეეძლო ამ ოჯახაშენებულს, ეკითხა პუტინისათვის, რატომ არ ასრულებ სტამბოლის სამიტის დადგენილებას, რატომ არ გაგყავს ბაზები საქართველოდანო. ის მაინც ეკითხა, რატომ აძლევ რუსეთის მოქალაქის პასპორტებს საქართველოში მცხოვრებ აფხაზებს და ოსებსო.

სამაგიეროდ, არ დაუმალა მსოფლიოს: „მადლობელი ვარ თქვენი, ხუთჯერ რომ გაზარდეთ ერაყში თქვენი ჯარების რაოდენობაო“.

რა სიყვარულით შემოგვხედავდნენ სპარსელები, თურქები და საერთოდ, მეზობელი მუსულმანები, ამას რომ გაიგებდნენ. არ იტყვიან ერაყელები, საქართველოს დავუღუპივართო?

გაფრინდა ბუში და საოცარმა სევდამ შემიპყრო.

ასე მგონია, ქუდი ამაცალა თავიდან და თან გაიყოლა.

ასე მგონია, ბუშის წასვლის მერე უფრო მეტი ზიზღით მიცქერის კავკასიონზე თოვლივით გადმომჯდარი თეთრი დათვი და ნახტომისათვის ემზადება.

ღმერთო, გვიშველე.

2005 წ.

უნივერსიტეტში ეროვნული უბედურება ტრიალებს

ამჟამად რაც უნივერსიტეტში ხდება, გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, ეროვნული უბედურებაა. შეიძლება პირდაპირ მოგახსენოთ, რომ რეფორმა, რომელიც უნივერსიტეტში ტარდება, თანდათანობით აგრესიულ-ფაშისტურ ხასიათს იძენს. ეს არის ცოდვის განკითხვა, მხოლოდ იმ განსხვავებით, თქვენ რომ გინახავთ

მიქელანჯელოს „ცოდვის განკითხვა“, ცენტრში ქრისტე კი არ დგას, არამედ უმიზნო, უსაგნო, რეფორმის ჟინით შეპყრობილი რამდენიმე თამამი ახალგაზრდა. განათლების გაუნათლებელი მინისტრის, სანტექნიკოს კახა ლომაიას ხელმძღვანელობით.

ამ ჟინით შეპყრობილი ახალგაზრდები განათლების სამინისტროდან არიან, რომლებმაც არ იციან, რა ცოდვას უმზადებენ თავიანთ სულს ჩვენი ეროვნული უნივერსიტეტის დაშლით და დანგრევით.

დიახ, ეს უნივერსიტეის ნგრევის რეფორმაა. უნივერსიტეტის, როგორც ეროვნული და მეცნიერების ტაძრის დაშლა სურთ. რადგან ამ დასკვნის გამოტანა შეიძლება, მაშინ ისინი საქართველოს დაუძინებელ მტრებად უნდა გამოვაცხადო, მაგრამ ასეთი ტიტულისთვის ჯერ კიდევ არ მემეტებიან ისინი. ჩემი სურვილია, რაც შეიძლება ჩქარა მოეგონ გონს, თუმცა, მათი საქციელი ამის ნიშანს არ მაძლევს. თავის დროზე მხარი დავუჭირე მისაღები გამოცდების უნივერსიტეტიდან გატანას. კახა ლომაიასაც ვუთხარი, რომ ეროვნული გამოცდების ჩატარება მართლაც შეიძლება ერთ-ერთ პოზიტიურ ნაბიჯად ჩაითვალოს, მაგრამ ისეთ ფორმას ღებულობს საუნივერსიტეტო რეფორმა, რომ მას ვერავითარ შემთხვევაში მხარს ვერ დავუჭერ.

პრეზიდენტის მიერ ხელმოწერილი ბრძანებულება ითვალისწინებს უნივერსიტეტის თანამშრომელთა ახალ თანამდებობებზე გადაყვანას. ამ ბრძანებულებაში არსად წერია კონკურსის შესახებ. საქმე ის არის, რომ, რადგან უნივერსიტეტის თანამდებობრივი სტრუქტურები იცვლება, კათედრის გამგეს სრული პროფესორი დაერქმევა, დოცენტს – ასოცირებული პროფესორი, მასწავლებელს და უფროს მასწავლებელს – ასისტენტ-პროფესორი, როგორც ამას ბოლონიის პროცესი ითვალისწინებს. ეს სრულიად არ ნიშნავს იმას, რომ უნივერსიტეტმა თავისი ძირითადი ფუნქცია დაკარგა და უნივერსიტეტი სახსრებში უნდა მოვშალოთ, როგორც სამეცნიერო-პედაგოგიური დაწესებულება. განათლების სამინისტროს თუ ისეთი მიზანი აქვს, რომ დღეს ჩვენი საამაყო, ეროვნული უნივერსიტეტიდან მივიღოთ მხოლოდ კოლეჯი შემცირებულ-შეკვეცილი ფაკულტეტებით, ეს ნიშნავს იმას, რომ ჩვენ ივანე ჯავახიშვილის სახელს შეურაცხვყოფთ და პირქვე ვამხობთ იმ გამოცდილებას და საამაყო გზას, რაც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს გაუვლია. უნივერსიტეტის თანამშრომლები უმტკივნეულოდ უნდა გადაეყვანა ახალ თანამდებობებზე. არავითარ შემთხვევაში არ უნდა ჩატარდეს კონკურსი, რადგან კონკურსი იურიდიულად უსამართლოა. ყველა მოსამართლე, ვინც სამართლის კოდექსშია ჩახედული, ამ კონკურსის ჩატარებასაც წინ აღუდგება და მის შედეგებსაც გააუქმებს. თუმცა, ნახეთ, რა ხდება სასამართლოში, რას უშვრებიან სასამართლო სისტემას. თავწასაგდები მამალივით სამმა წესიერმა მოსამართლემ წამოიყივლა უამრავ მოსამართლეთა შორის, რომლებიც უსიტყვოდ მონურად ასრულებენ საქართველოს დღევანდელი ხელისუფლების უკეთურ დავალებებს ეროვნულობის წინააღმდეგ. იმ სამ მოსამართლეს კი როგორ აწამებენ და როგორ ყოველდღიურად ხდება ერთი ქართული ანდაზის გამართლება – „დოქო, შენ გეუბნები, კოკავ, შენ გაიგონეო“. სამი პატიოსანი მოსამართლის ჩამოშორებით მათ უნდათ, სამუდამოდ დაასამარონ სამართლებრივი სისტემა საქართველოში, სასამართლოს უზურპაცია მოახდინონ და ქართველ ერს უთხრან, არავითარი სასამართლო არ არსებობს, ტყუილად თავი არ აიტკივოთ, კანონიც ჩვენ ვართ და სამართალიც. კი მაგრამ, ვარგა ეს პოზიცია 21-ე საუკუნის საქართველოში?! აკი გაიძახოდნენ, დემოკრატიას ვაშენებთო. კომუნისტებს არ ჰქონდათ ასეთი გაუქმებული სასამართლო სისტემა და ე. წ. ნაციონალისტებს უნდა ჰქონოდათ ამ დამოუკიდებელ საქართველოში?!

უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლები დიდი სამეცნიერო საბჭოს მიერ ირჩეოდნენ სხვადასხვა დროით. ვისაც შეუსრულდებოდა ოთხი წელი თანამდებობაზე, მის საკითხს ხელახლა დასვამდნენ და დიდი სამეცნიერო საბჭო ხმის მიცემით ირჩევდა ხელახლა. ახლა უნივერსიტეტის თანამშრომელთა დიდი უმრავლესობა უკვე არჩეულია დიდი სამეცნიერო საბჭოს მიერ. მე, მაგალითად, პროფესორობის ვადა (2004 წელს ამირჩიეს) მიმთავრდება 2008 წელს. უნივერსიტეტში ის კატეგორიაცაა, რომელსაც წელს უწევს პროფესორობის ვადის ამოწურვა. ასეთი ალბათ 0,5 პროცენტია. იმათთვის შეიძლებოდა ხელახლა კონკურსის მოწყობა, მაგრამ დანარჩენებმა, ვინც უკვე არჩეულია, რა დააშავეს? ეს ხომ სიბეცეა. კანონს ხომ არ აქვს უკუქმედების ძალა. თუ ასეა, მაშინ განათლების სამინისტროს გაეუქმებინა მთლიანად უნივერსიტეტი, გამოეცხადებინა რომ 120 პროფესორ-აკადემიკოსისგან შემდგარი სამეცნიერო საბჭო, რომელიც უნივერსიტეტს მართავდა, დამნაშავეთა საბჭო იყო. პასუხისგებაში უნდა მიეცა 120-ვე პროფესორი და აკადემიკოსი. გაეუქმებინა მათ მიერ მიღებული ყველა დადგენილება. ამ შემთხვევაშიც კი არ ჰქონდა უფლება, რომ უკვე არჩეული ადამიანები დამოკლეს მახვილის ქვეშ დაეყენებინა.

უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებს განათლების სამინისტრომ მსუბუქი ხელით ჩააშხამა შობა-ახალი წელი. ჯერ

გამოგვიცხადეს, რომ 30 დეკემბრამდეა საბუთების მიღება, ხოლო 20 იანვარს გამოცხადდება კონკურსის შედეგებიო. კანონმორჩილი ხალხია უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებელთა უმეტესობა. მართალია, ვიცოდით, რომ ეს კონკურსი უსამართლო იყო, მაინც გადავწყვიტეთ, მიგვეღო მონაწილეობა მასში. იცით, რამდენად დამამცირებელი იყო თითოეული ნაშრომის, საბუთის მოძებნა, მისი ასლების გადაღება, ავტორეფერატების პოვნა, უამრავი ცნობა-დახასიათების მოძიება? დამცირების მიუხედავად, ეს ეტაპი გავიარეთ. როდესაც ეს ეტაპი გავიარეთ, ე. ი. მივყევით ამ რეფორმას, როგორც ჩანს, გადახედეს საბუთებს და აღმოაჩინეს, რომ უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებელთა დიდი ნაწილი და განსაკუთრებით ე. წ. ძველი სახეები უნივერსიტეტში ისევ რჩებიან. ახლა უკვე შეშფოთდნენ განათლების სამინისტროს პატივცემული წარმომადგენლები. რა ვქნათ, ისევ ძველი სახეები, მათ მიერ შერისხულნი, პირდაპირ გეტყვით, მათ მიერ შეზიზღებულნი, ისევ გადიან კონკურსს და კვლავ რჩებიან უნივერსიტეტის თანამშრომლებადო! ეს კი მათ სოროსულ დავალებაში, როგორც ჩანს, არ შედის. აი, ამიტომ გადაწყვიტეს, სასწრაფოდ შეაჩერონ კონკურსი, სასწრაფოდ გაითხოვონ საშტატო განრიგი, მერე შეამცირონ უნივერსიტეტის შტატები, ისე, როგორც მათ სურთ და მათ გეგმაშია და კონკურსი თავიდან ჩაატარონ. ეს კონკურსი გაცილებით ტენცენციური და ფაშისტური იქნება.

უნივერსიტეტში ახალი კონკურსის ჩატარება დადგა დღის წესრიგში, მხოლოდ იმიტომ, რომ ძველი სახეები არ დარჩნენ უნივერსიტეტში.

უნივერსიტეტში აბსოლუტურად უკანონოდ და გაუაზრებლად მექანიკურად გაერთიანებული ხუთი ფაკულტეტის (რომელსაც ჰუმანიტარული ფაკულტეტი უწოდეს) დეკანის მოვალეობის შემსრულებლად მოიყვანეს წესიერი კაცი, არცთუ ურიგო მეცნიერი, გოჩა ჯაფარიძე. ჩაფიქრებული აქვთ გოჩა ჯაფარიძის ხელით ნარის გლეჯა. განათლების სამინისტროს სურს, ამ კაცს აჰკიდოს დამსახურებული, უდანაშაულო ადამიანების უნივერსიტეტიდან გაძევების ცოდვა. რადგან გოჩა ჯაფარიძე მიხვდა, რასაც უპირებდნენ, უნივერსიტეტელთა ყველა თაობისადმი გაწონასწორებული პოზიცია დაიკავა. მაშინვე აუმხედრეს მას ახალგაზრდა ხუნვეიბინელი ისტორიკოს-რეფორმისტი, რომელსაც ათქმევინეს თავიანთი ავი განზრახვა, ბოლშევიკური წმენდა ჩაატარონ უნივერსიტეტში. გოჩა ჯაფარიძემ, რა თქმა უნდა, უპასუხა, როგორ შეიძლება, ასეთი სიტყვებით ისაუბროთ ჩვენს აღმზრდელ-მასწავლებლებზეო.

და რა თქმა უნდა, არც რუსუდან ლორთქიფანიძე მოსწონთ განათლების სამინისტროში იმიტომ, რომ ის არ აჰყვა დამანგრეველ-რეფორმისტულ ტემპს. მას აშკარად შეეტყო, რომ შინაგანად ინტელიგენტ-მიმტევებელი ქალია, იცის ამა თუ იმ მოღვაწის ჭეშმარიტი ფასი, ავტორიტეტი. აბსოლუტურად სწორი იყო მის მიერ ხელმოწერილი №232 ბრძანება აკადემიის წევრების თსუ-ის პროფესორებად გადაყვანის შესახებ. რა კონკურსი სჭირდება ათასგზის აპრობირებულ აკადემიკოსს? მაგრამ მოლაშქრე ურა-რეფორმატორებს თვით აკადემია არ უნდათ და, ბუნებრივია, არც აკადემიკოსები მოსდით თვალში. ამის დამადასტურებელია ისიც, რომ განათლების სამინისტროდან ალექსანდრე დიდებულიძის (მინისტრის მოადგილე) იმპერატიული ტონით დაწერილმა წერილმაც არ დააყოვნა. სასწრაფოდ გააუქმეთ თქვენი ბრძანება (აკადემიკოსების პროფესორებად გადაყვანა) და ხუთი დღის განმავლობაში პასუხი მაცნობეთო. რუსუდან ლორთქიფანიძე იძულებული გახადეს, გაეუქმებინა ზემოთ აღნიშნული ბრძანება, რითაც კიდევ ერთხელ ატკინეს გული მხცოვან მეცნიერებს. კონკურსი იმისთვის არის მონოდებული, რომ უნივერსიტეტიდან გარეკონ, გააძევონ, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით, დამსახურებული მეცნიერები, ეროვნული ავტორიტეტები, რომლებამაც ეს ავტორიტეტი წლების განმავლობაში მოიპოვეს მუხლჩაუხრელი შრომით.

საკონკურსო კომისია 13 წევრისგან შედგება. როდესაც რამდენიმე წევრმა დაინახა, თუ რა ცოდვაში უდგათ ფეხი და რა დავალება აქვთ მიცემული, გაერიდნენ ამ კომისიას. კომისია ნამდვილად დატოვეს ელდარ შენგელაიამ, გელა ჩარკვიანმა, ვოლსკაიამ, ბუნებრივია, კომისიას გამოეთიშა ელგუჯა ხინთიბიძე, რადგანაც ის კონკურსანტთა რიგებში ჩააყენეს. ამ კომისიაში უკვე აღარ დარჩა არც ერთი წევრი, რომელსაც ქართულ ლიტერატურაში და ქართულ ენაში რაიმე მოეკითხება. მაშ, ვინ უნდა განსაზღვროს უნივერსიტეტის ყოფილი ფილოლოგიის ფაკულტეტის პროფესორ-მასწავლებელთა ბედი?! უნივერსიტეტში დღეს საშინელი საკონკურსო ისტერია მიმდინარეობს. ფსიქოზმა აბსოლუტურად მოშალა მეცნიერთა ჯანმრთელობა. ზაფხულიდან დღემდე უნივერსიტეტიდან გაგდების ელდის გამო 10 თანამშრომელი გარდაიცვალა. ახლახან სწორედ ამ მიზეზით სისხლი ჩაექცა ცნობილ პროფესორს, არაერთი სახელმძღვანელოს ავტორს ზაურ წულაიას. მინდა მივმართო ჩვენ რეფორმატორებს სამინისტროდან: ბარემ გამოიტანეთ სრული დადგენილება, მიგვაყენეთ კედელთან და დაგვხვრიტეთ!

განათლების სამინისტრო, აღვნიშნე და ამით პირდაპირ მივანიშნე,

ვისზეც მოგახსენებთ. იმათზე მოგახსენებთ, ვინც ქმნის ამინდს დღეს განათლების სამინისტროში, ვინც თავზე აზის უნივერსიტეტს და ყოველდღიურად კარნახობს რუსუდან ლორთქიფანიძეს, ახლა მარჯვნივ შეტრიალდი და ახლა მარცხნივო. აი, იმ სამეულზე, გნებავთ, ხუთეულზე მოგახსენებთ, რომლებიც გაუაზრებლად, უცოდინრად, შეიძლება, ბოროტი განზრახვითაც კი, უნივერსიტეტს უბედურ დღეში აყენებენ. რაც შეეხება საკონკურსო კომისიას, მისი კომპეტენტურობა უფრო მაღალიც რომ იყოს, ის ვერაფერს გახდება. წარმოუდგენელია, მეცნიერების კონკრეტულ მიღწევებში ერკვეოდეს ის რამდენიმე წევრი, რომელმაც შეცვალა უნივერსიტეტის დიდი საბჭო. მაინტერესებს, რომელმა საკონკურსო კომისიის წევრმა უნდა დაადგინოს თამაზ გამყრელიძის ან მარიკა ლორთქიფანიძის კომპეტენტურობა მეცნიერებაში?! არ გამოსდით ჩვენი გაგდება ე. წ. კონკურსის წესით, რადგანაც, ის ადამიანებიც, ვინც დარჩნენ კომისიაში, სანახევროდ რჩებიან. ვისაც კი ვესაუბრე, ყველას გაქცევაზე უჭირავს თვალი. ასე ამბობენ, არ გვინდა ამ სამარცხვინო კამპანიაში მონაწილეობის მიღებაო. შეაჩერეს კონკურსი. ახლა განათლების სამინისტრო თავს იმტვრევს, რა ახალი საკონკურსო პირობები მოიფიქროს, რომ როგორმე უნივერსიტეტი გაათავისუფლოს მეცნიერ-მამებისგან. შეიძლება მოიფიქრონ საკონკურსოდ, მაგალითად, სპორტული გამძლეობის შემოწმება, კიბეზე სწრაფი ასვლა პროფესორისა ან პარაშუტით გადმოხტომა. მერე, ალბათ ვისაც მეტი სამეცნიერო შრომა აქვს, ნაკლები ქულა უნდა დაეწეროს. პირადად მე ბოლო 10 წელიწადში 100-მდე სამეცნიერო შრომა, სამეცნიერო პოპულარული სტატია დამიბეჭდავს. ჩემი ხელმძღვანელობით 29 საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაციაა დაცული. ამ 10 წლის განმავლობაში უამრავი კრებულის და სახელმძღვანელოს რედაქტორი გახლავართ. ამის ნახევარი არ აქვს უნივერსიტეტის არც ერთ პროფესორს, მაგრამ, დარწმუნებული ვარ, მაინც რაღაც ბარიერს კიდევ შეგვიქმნიან, რომ ცოცხლად დაგვასამარონ.

სექტემბერში ფაკულტეტის საბჭოს სხდომაზე ხმის მიცემით დავადგინეთ, რომ რეფორმის გონივრული გატარება მართლაც საჭირო იყო, ბევრ რამეს წაადგებოდა და რამდენიმე კათედრა დეპარტამენტად გადაგვეკეთებინა. ეს დადგენილება თავზე დაგვახიეს. ერთი კვირის შემდეგ ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭო გააუქმეს, მაშინ, როდესაც დეპარტამენტები უკვე შექმნილი იყო სხვა უნივერსიტეტებში, მაგალითად, ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში. მსოფლიოში არ არსებობს უნივერსიტეტი, სადაც

არ იყოს თანამედროვე ლიტერატურის დეპარტამენტი. ჩვენთან უნივერსიტეტში კი ასეთი დეპარტამენტის შექმნას კატეგორიულად ეწინააღმდეგებიან.

უნდა გითხრათ, რომ ამ სულელური რეფორმის გატარების სამიზნედ ჯერჯერობით აღებულია მხოლოდ თსუ, რადგანაც უნივერსიტეტია სწორედ უპირველესი ეროვნული კერა. მსგავსი რამ არ ხდება არც პოლიტექნიკურ უნივერსიტეტში, არც სხვა უნივერსიტეტებში. იქ უმტკივნეულოდ მოხდა პრეზიდენტის ბრძანებულების შესრულება და ამ უნივერსიტეტის თანამშრომლები, შესაბამისად, ახალ თანამდებობებზე გადაიყვანეს. როდესაც საკონკურსო პირობებზე ვსაუბრობდით, ერთ ჩემს კოლეგას წამოსცდა, რევაზ მიშველაძეს 20 ქულა განაღდებული აქვს, რუსთაველის პრემიის ლაურეატიაო. მაშინვე წამოხტა ერთი ფუნქციონერი მენეჯერი, რომელმაც განაცხადა, რუსთაველის პრემია სახელმწიფო პრემიად არ ითვლებაო. რუსთაველის პრემია საქართველოს სახელმწიფოს უმაღლესი ჯილდოა. არ დაიჯერებთ, მეორე დღეს რუსთაველის პრემიების კომიტეტიდან იმ მენციერის ენერგიული მეცადინეობით მოიტანეს ცნობა, რომ რუსთაველის პრემია ნამდვილად სახელმწიფო პრემიაა. მაინც არ დაცხრა ჩემი ოპონენტი და ერთ დღეს საკონკურსო კომისიის ერთმა წევრმა თავაზიანად მთხოვა, იქნებ დაადგინოთ, რომელ მეცნიერს აქვს მიღებული რუსთაველის პრემიაო. აკაკი შანიძეს და ნიკო კეცხოველს აქვთ მიღებული, ისინი მეცნიერებად თუ მიგაჩნიათ-მეთქი. აი, ამის შემდეგ მომეშვნენ. კიდევ ერთ კურიოზს მოგიყვებით: ქართული ფენომენის სამეცნიერო აკადემიის დამფუძნებელი და პრეზიდენტი ვარ. ერთ-ერთი უნივერსიტეტის მოხელე მეკითხება, წევრი თუ ხარო. პრეზიდენტი ვარ და წევრი როგორ არ ვიქნები-მეთქი. არა, ცნობა უნდა მოიტანო, რომ წევრიც ხარო. იძულებული გავხდი, ჩემი თავისთვის გამომეწერა ცნობა, რომ წევრიც ვარ. ერთმა ჩემმა ნაცნობმა მეცნიერმა დაშალა თავისი წიგნი და 4 სხვადასხვა ბროშურად გამოსცა, რომ რაოდენობაში ჩაეთვალოს. აი, ასეთი რამეებიც ხდება. ვინ მისცა რეფორმისტებს უფლება, ასე დასცინონ დამსახურებულ ადამიანებს?! ეტყობა, განათლების სამინისტროში ჯანმრთელი ახალგაზრდები სხედან, რადგან გულგრილად შეუძლიათ მოისმინონ, თუ როგორ კვდებიან ერთმანეთის მიყოლებით ჩვენი კოლეგები. ისინი, როგორც ჩანს, ცინიკოსებიც არიან. ხვალ რომელიმე პროფესორმა უნივერსიტეტის დერეფანში რომ ამ უგვანო რეფორმისადმი პროტესტის ნიშნად თავი დაიწვას, გულგრილად ჩაუვლიან დანახშირებულ კაცს და

მეორე დღეს პრესაში გამოაცხადებენ, ამ ბოლო დროს ნევროზით იყო შეპყრობილი და ამიტომ მოიკლა თავიო.

რომ გითხრათ, უნივერსიტეტში საგანგაშო მდგომარეობაა-მეთქი, ეს ცოტაა იმის შესაფასებლად, რაც იქ ხდება. უნივერსიტეტში უბედურება ტრიალებს. სანამ საშინელება არ მოხდება, უარი უნდა თქვან ამ სულელურ კონკურსზე და შეასრულონ საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება. ანკეტაში ცინიკურად წერია დამქირავებლის სახელწოდება. ჩვენ არავის დაუქირავებივართ. ეს მდგომარეობა ბევჯითი სტუდენტობით, წარმატებული ასპირანტობით, წიგნების წერით და აქტიური საზოგადოებრივი მოღვაწეობით მოვიპოვეთ. ასე რომ, უნივერსიტეტის პროფესორი მარტოდენ დაქირავებული პიროვნება არ არის. მიხეილ სააკაშვილს მივმართავ: ჰკითხოს დედამისს და მამამისს, ვინ დაიქირავა ისინი, რომლებსაც ამ რეფორმის საფუძველზე ასე ენერგიულად ერეკებიან სამსახურიდან. ჩვენ უნივერსიტეტი მხრებით ვზიდეთ ბოლო 20 წლის განმავლობაში. როდესაც უნივერსიტეტის პროფესორის ხელფასი შავი პურის ფულადაც არ გვყოფნიდა (ახლაც სასაცილოდ მიზერულია ხელფასი), უნივერსიტეტში სწავლა არ შეწყვეტილა. შეიძლება ეს არ იცის ლომაიამ, რომელსაც უნივერსიტეტში არ უსწავლია და არც უმუშავია, მაგრამ ნუთუ ეს არ იციან რეფორმის კოჰორტის წარმომადგენლებმა, რომლებსაც წლების განმავლობაში უნივერსიტეტში უმუშავიათ?! მით უფრო ვერ დამიჯერებია, რომ მათ შეუძლიათ მშვიდად, გულგრილად უცქირონ თავიანთი მასწავლებლების და კოლეგების წამებას.

2006 წ.

უნივერსიტეტის ნანგრევებზე

თქვენ ახლა უნივერსიტეტის ნანგრევებზე დგახართ.

„თქვენ შორის მშვიდი დარჩა ვინმე?“ – ჰკითხა ერთხელ გალაკტიონმა საქართველოს და მეც, მისი ცოდვილი მოწაფეთაგანი ამ კითხვით მოგმართავთ.

როცა ხედავთ, როგორ პირქვე დაამხვეს საქართველო, როგორ დაუსვეს წერტილი მეცნიერების განვითარებას, ეროვნულ წისქვილებს, როგორ ანადგურებენ მწერალთა კავშირს, საერთოდ შემოქმედებით კავშირებს, როგორ გადაუჭრეს სასიცოცხლო ჟანგბადი ქართულ კინოს... გეკითხებით თქვენ, ქართული ინტელიგენციის წარმომადგენლებო, ნუთუ შეგიძლიათ თქვენი შუშაბანდიდან გულგრილად უცქიროთ საქართველოს ნგრევას?

თავი დაანებეთ თქვენს საწერ-მაგიდებს და მიკროსკოპებს და ქუჩაში გამოდით!

ჩვენს თავს უკვე ველარას ვუშველით, ჩვენ – „ძველ სახეებს“, სააკაშვილმა და ლომაიამ განაჩენი უკვე გამოგვიტანეს.

ახლა, იქნებ, ჩვენი შვილები, ჩვენი სტუდენტები, ჩვენი ახალგაზრდობა გადავარჩინოთ.

ნახეთ, 17 მაისს რა პლაკატებით ააჭრელეს უნივერსიტეტის კედლები?

„არ მოგატყუოთ ძველმა სახეებმა“, „არ მიეყიდოთ ძველ სახეებს“.

უნივერსიტეტი სხვა არაფერია, თუ არა ძველი და ახალი სახეების ერთობლიობა.

ძველი სახე – პროფესორია.

ახალი სახე – სტუდენტი.

ხედავთ? „ძველი სახეები“ თურმე მატყუარები ვყოფილვართ და ვცდილობთ, ვიყიდოთ ახალი სახეები – სტუდენტები.

ვაი, ასეთ ფილოსოფიას! ასეთი ჰიტლერსაც არ ჩაუდენია.

მოვიდნენ ნეოკომკავშირლები, ნეონაცისტები, ნეოგესტაპოელნი და სტუდენტებს ამხედრებენ ჩვენ წინააღმდეგ.

შემდეგი ნაბიჯი იქნება ზუსტად ის, რაც ივანე ჯავახიშვილს დამართეს:

93-ე აუდიტორიის წინ დახვდნენ კომკავშირლები და განუცხადეს:
– პროფესორო, თქვენ არ გაქვთ მორალური უფლება, რომ ლექციები გვიკითხოთ.

– რატომ გეთაყვა? – იკითხა ივანე ჯავახიშვილმა.

– იმიტომ, რომ ნაციონალისტი ხართ. მენშევიკებს თანაუგრძნობდით, თქვენი ეროვნულ-შოვინისტური შეხედულებები ჩვენ არ გვჭირდება;

გააგდეს ივანე ჯავახიშვილი უნივერსიტეტიდან და გააუქმეს უნივერსიტეტი 1930 წელს საქართველოს მტრებმა.

სამ წელიწადში მკვდრეთით აღსდგა უნივერსიტეტი.

2006 წელს ისევ მოვიდნენ საქართველოს მტრები და ისევ გააუქმეს უნივერსიტეტი.

ახლა უკვე აღარ ვიცით, როდის აღსდგება ახალი „ნაციონალისტების“ მიერ დამხობილი უნივერსიტეტი.

ეროვნული ცნობიერების მტრებმა კარგად იციან, როცა ქვეყნის დაჩოქება გინდა, პირველ რიგში ეროვნული ცნობიერების უმთავრესი ციხე-სიმაგრეები – უნივერსიტეტი, მწერალთა კავშირი და აკადემია უნდა დაამხო;

რით გამოიხატება უნივერსიტეტის დანგრევა, მეათასედ მკითხავს ენაჭარტალა პროვოკატორი.

ჩვენ, აქ შეკრებილნი, ჩვენს პროფესორულ რენომეს როდი ვიცავთ, ჩვენ ვიცავთ უნივერსიტეტის იდეას საერთოდ, რაკიღა უნივერსიტეტის გადარჩენა დღეს საქართველოს გადარჩენაა.

ნგრევა 2005 წელს დაიწყო.

ჯერ მეცნიერება ჩამოაჭრეს უნივერსიტეტს.

გააუქმეს სამეცნიერო კაბინეტები და სამეცნიერო ლაბორატორიები.

განვითარებადი ქვეყნის სამეცნიერო სტატუსის მიხედვით, თურმე, საქართველოს უმაღლესი სასწავლებელი და მეცნიერები არ სჭირდება.

საქართველოს სჭირდება დაწყებითი განათლება და კოლეჯი.

წარმოგიდგენიათ უფრო დიდი სითავხედე? უნივერსიტეტში გააუქმეს შოთა რუსთაველის, ილიას, აკაკის, ვაჟას, გალაკტიონის, გამსახურდიას, ივანე ჯავახიშვილისა და აკაკი შანიძის კაბინეტები.

მალე გააუქმეს ფაკულტეტები – ქვეყნის საჭიროებისა და მეცნიერებათა დიფერენციაციის კვალობაზე შექმნილი ფაკულტეტები.

მექანიკურად გააერთიანეს 5-6 ფაკულტეტი და დაარქვეს აბსურდული, სუმბურული სახელწოდებანი. მაგალითად, ფილოლოგიის, ისტორიის, უცხო ენების და ფილოსოფიის ფაკულტეტთა ნაზავს – ჰუმანიტარული ფაკულტეტი ჰქვია.

გააუქმეს კათედრა – როგორც პედაგოგიურ-მეცნიერული საქმიანობის ყველაზე ქმედითი უჯრედი.

გააუქმეს ასპირანტურა! მეორე წელია ცვლას ვერ ვზრდით, ბატონებო.

მეორე წელია საასპირანტოდ ველარ ვტოვებთ ნიჭიერ ახალგაზრდებს.

გარეკეს უნივერსიტეტის გონება და სინდისი. მისი საქმიანობის მოთავე – დიდი სამეცნიერო საბჭო.

ამით უნივერსიტეტს წაართვეს ავტონომიის უკანასკნელი ნიშანწყალი;

ჯერ იყო და ნიშნისმოგებით გვეუბნებოდნენ გალიფრებული ხელისუფალნი:

– თქვენ როგორ გინდათ, დაგაფინანსოთ კიდეც და ავტონომიაც გქონდეთო?

ახლა დაფინანსებაც შეგვიწყვიტეს.

უნივერსიტეტში ერთიმეორეზე ცვლიან მარიონეტ რექტორებს, რათა უნივერსიტეტის დასამარება როგორმე ბოლომდე მიაყვანინონ.

არავითარი „რექტორები“ არ არსებობს. დღეს ყველა სკოლის დირექტორი და ყველა უმაღლესი სასწავლებლის რექტორი სანტექნიკი კახა ლომაიაა, რომელსაც ერთი გაკვეთილი არ ჩაუტარებია სკოლაში და ერთი ლექცია არ წაუკითხავს უმაღლეს სასწავლებელში.

სამწუხაროდ, გია ხუბუაც – ახალგამომცხვარი რექტორი, მხოლოდ თოჯინაა კახა ლომაიას ხელში.

არც კი იცის ამ ახალგაზრდა კაცმა, რა ცოდვაში ჩაიდგა ფეხი და რა ბნელ საქმეს აკეთებინებენ.

მივედით ამას წინათ მასთან 7 ყოფილი კათედრის გამგე. ჩვენ შორის უხუცესს – ჯუმბერ ჭუმბურიძეს, უნივერსიტეტში მუშაობის 60 წლის სტაჟი აქვს. სხვებს შედარებით ნაკლები, მაგრამ 40 წელზე ნაკლები სტაჟი არც ერთს არ გვქონდა.

ვთხოვეთ: გააცოცხლე სამეცნიერო კაბინეტები თუნდაც მიზერული დაფინანსებით, შექმენი დროებითი საბჭო, რომელიც მხარში ამოგიდგება. გააუქმე ეს ყბადაღებული საკონკურსო კომისიები და საბჭოს დაავალე მისი ფუნქციები, აღადგინე კათედრები, აღადგინე ასპირანტურა...

ჩემს სიცოცხლეში არ დამავიწყდება მისი ღიმილიანი სახე.

ცინიკური, ცივი უარით გამოგვისტუმრა.

ასეთი ცივი ღიმილით შეხედავს იგი, ალბათ, ღვაწლმოსილ პროფესორს, რომელმაც შეიძლება, სასოწარკვეთილმა, უნივერსიტეტის დერეფანში თავი დაიწვას.

აი, რა ცოდვის კალო ტრიალებს უნივერსიტეტში.

არავითარი სიბრალული, არავითარი პატივისცემა ღირსებისა. მერე რა, რომ ამდენ ხანს მშიერი ემსახურებოდი ეროვნული ინტელიგენციის აღზრდას, მერე რა, რომ ამდენი სახელმძღვანელო დაგიწერია, ახლა შენ უკვე „ძველი სახე“ ხარ. ქუდი დაიხურე და წადი. „დიდი სამეცნიერო საბჭო“ თვალში ცუდად მოსდის კახა ლომაიას. მან უნივერსიტეტში „კანცლერის“ თანამდებობა შემოიღო (დიახ, ჰიტლერიც რაიხკანცლერი, „რაიხფიურერი“ იყო).

რა უნდა „კანცლერს“ უნივერსიტეტში, ბატონებო.

სათქმელი ბევრია, მაგრამ მინდა ამ მიკროფონთან შექუჩულ ჩემს თანამებრძოლებს დავუტოვო დანარჩენი.

ერთს დავძენ მხოლოდ: მიტინგი, რომელიც დღეს დაიწყო, არ უნდა დამთავრდეს, სანამ უნივერსიტეტს არ გადავარჩენთ.

ჩვენ უკან ჩვენი ასპირანტები და სტუდენტები, ჩვენი გაზრდილები, ჩვენი შვილები დგანან.

მოთმინების ფიალა პირთამდე სავსეა. ჩვენ უკანდასახევი გზა მოჭრილი გვაქვს!

ქართველი ერის დუმილი ორი წელია დანაშაულებრივ დუმილში გადაიზარდა.

ამ ხელისუფლებამ ეროვნება წაგვართვა და ვდუმვართ!

მამის სახელი წაგვართვა და ვდუმვართ.

საქართველო მთიან-ბარიანად გროშებზე გაგვიყიდეს და ვდუმვართ!

ქართულ ეკლესიას იეღოველები შეუსიეს და ვდუმვართ!

მწერალთა კავშირს გვიუქმებენ, აკადემია გაგვიუქმეს და ვდუმვართ!

უნივერსიტეტი დაგვინგრიეს და ვდუმვართ!

ხომ არ დადგა დრო, ქუდზე კაცი გამოვიდეთ, რათა საქართველოს დამაქცევართ გზა ვუჩვენოთ თავიანთი ოკეანისგაღმელი პატრონებისაკენ.

ისტორია ამ დუმილს არ გვაპატიებს.

ბოლოს და ბოლოს, კეთილი ნების მსოფლიოს ხომ უნდა ვუჩვენოთ, რომ ჯერ კიდევ ცოცხლები ვართ?!

ჯერ კიდევ ვფეთქავთ!

2006 წლის 23 მაისს

უნივერსიტეტის გადარჩენის მიტინგზე ნათქვამი სიტყვა.

კვლავ ეროვნულ ბარიკადებზე

მწერალთა კავშირის არსებობის 90 წლიდან 50 წელი ამ ეროვნულ ტაძარში გამიტარებია.

დავწერე ეს სტრიქონები და თვითონვე შემეშინდა.

რა დრო გასულა.

თექვსმეტი წლის ვიყავი, ლადო მრელაშვილმა რომ მიმიყვანა მწერალთა კავშირში. ჯერ რეზო კვერენჩხილაძეს ჩამოართვა ხელი და ბიბლიოთეკის ღია კარიდან პირდაპირ მწერალთა კავშირის ბაღში აღმოვჩნდით.

ძელსკამზე ორი კაცი იჯდა.

1957 წლის 11 სექტემბერი იყო.

ერთს, სიცხის მიუხედავად, მოშავო „პლეჩებიანი“ პიჯაკი ეცვა, ჟღალი წვერი მუჭში მოექცია, ფეხებთან პორტფელი ედო და თავზე ჭილოფის ქუდი ეხურა. მეორეს მკაცრი გამომეტყველების, ქუთუთოებდაბერილ მოხუცს ევროპულად, პიწკად ეცვა, ხოლო თავზე რატომღაც კრაველის ბოხოხი ეხურა.

– ლადოს გაუმარჯოს! – ხელი გაუწოდა ბოხოხიანმა.

წვეროსანს კი ჩვენი მისვლით დიდი აღფრთოვანება არ დასტყობია.

– ჩემი ცოლისძმაა, – მგონი უფრო პაუზის დასარღვევად ჩემზე მოათითა ლადომ.

– რას ლაპარაკობ?! – თითქოს ძალიან გაეხარდაო, ხელი ჩამომართვა წვეროსანმა და მომეჩვენა, რომ წამოიწია კიდეც.

– როგორ, ლადო, შენ ცოლი გყავს? – შეიცხადა კრაველის ბოხოხიანმა.

– აბა, ცოლისძმა საიდან ეყოლება, შენი არ მიკვირს, ძამიკო?!

გადაიხარხარა წვეროსანმა და ძველი, ყავისფერი პორტფელი მუხლებშუა მოიქცია.

ასეთი იყო ჩემი პირველი მისვლა მწერალთა კავშირში და ჩემდა იღბლად, პირველ მისვლაზევე ორ გენიოსს შემახვედრა ბედმა – კონსტანტინე გამსახურდიას და გალაკტიონ ტაბიძეს.

მალე უნივერსიტეტის სტუდენტი გავხდი და შემიძლია დავიფიცო, იმ დღიდან დღემდე მწერალთა კავშირში, თუ კი ყურს მოვკრავდი, თითქმის ყველა ღონისძიებას ვესწრებოდი.

რას მოისმენდი უკეთესს, სად ნახავდი ასე შეკრებილად ქართული სიტყვის ოსტატებს, ერის ბრძენ მამებს.

მხოლოდ წიგნებიდან ვიცი, რა რუდუნებით შეიქმნა ამ ოთხმოცდაოთხი წლის წინ სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირი და როგორ დაისახა მან პირველი დღიდანვე მიზნად, ებრძოლა ქართული ეროვნული ცნობიერების გადარჩენისთვის – „არავითარი უნაპირო ინტერნაციონალიზმი და არავითარი პირმორღვეული კოსმოპოლიტიზმი! საქართველოში უნდა იყოს მხოლოდ ქართული ენის, ქართული კულტურის დომინანტი!“ – ხმის ჩახლეჩამდე ყვიროდა მწერალთა პირველ ყრილობაზე კონსტანტინე გამსახურდია.

მე მხოლოდ წიგნებიდან ვიცი, კაენის აღზევების დროს როგორ გადაუმტვრიეს ხერხემალი ჯავახიშვილს და ტიციანს, როგორ მიიყვანეს თვითმკვლელობამდე პაოლო, როგორ დაუჭრეს პირველი წიგნი ლადო ასათიანს არტანუჯზე დაწერილი ლექსისათვის „ციხის სიზმარი“.

მაგრამ მეც ბევრს რასმე შევესწარ და ის „ბევრი რამეა“ ამ უთანასწორო ბრძოლაში რომ მაძლებინებს, შუაღამისას წამომაგდებს და მაგიდასთან დამსვამს, რომ არ მასვენებს და ტვინს მიბურღავს.

მახსოვს, გალაკტიონის გადაფრენა მეოთხე სართულიდან – პირველი ელდა ჩვენთვის და პროტესტის ყველაზე დიდი ყუმბარა უკვდავი პოეტის მიერ ხელისუფლების წინააღმდეგ ნასროლი.

მახსოვს, როგორ გადაიქცა 90-იან წლებში მწერალთა სასახლე ეროვნული მოძრაობის მთავარ შტაბად.

მახსოვს, 1978 წლის 10-14 აპრილს მწერალთა კავშირში ქართული ენის დასაცავად გამართული მიტინგები და თავგანწირული ერთსულოვნება.

მახსოვს, 1989 წლის 10 აპრილის დაზაფრული სხდომა, ნოდარ წულეისკირმა ცეცხლი რომ წაუკიდა კომუნისტური პარტიის მანდატს და ყველას თვალწინ საჯაროდ დაწვა.

მახსოვს, ზვიად გამსახურდიას დაჭერის მეორე დღეს კოლხურ კოშკში მივედი და ჩემი ჭკუით ვანუგეშე ქ-ნი მანანა – ნუ გეშინია-მეთქი.

მე რისი მეშინია, რეზო, იმათ ეშინოდეთ, ვინც ზვიადი მწერალთა კავშირიდან ასე ერთსულოვნად გარიცხაო, მიპასუხა.

მახსოვს, რევაზ ჯაფარიძის გამოსვლა მწერალთა V ყრილობაზე, როცა „აწონილი სიტყვის“ ავტორმა, ყველასათვის მოულოდნელად, გრიგოლ რობაქიძის რეაბილიტაცია მოითხოვა.

მახსოვს, ციმბირის გულაგებიდან ახალდაბრუნებული ჭაბუა ამირეჯიბის „დათა თუთაშხიას“ ბეჭდვის დაწყება „ცისკარში“, რის გამოც „ცისკარი“ პროკლამაციასავით ხელიდან-ხელში გადადიოდა.

მახსოვს, ზაურ ბოლქვაძის „ნიანგის“ ახალი ნომერი ნაცხრააპრილევს და ჟურნალის ყდაზე დახატული რუსი ჯარისკაცი ორლესული ნიჩბით ხელში.

მახსოვს, ლამის ჯვარს რომ აცვეს გურამ ფანჯიკიძე სამოციანი წლების აშკარა რევოლუციური რომანისათვის „თვალი პატიოსანი“.

მახსოვს, სერგი ჭილაიას კაბინეტში გაცხარებული ქართული პროზის პატრიარქი: „ლანდებთან ლაციცი“ შემიჩერეს, მომეცი სასწრაფოდ ინაურის ტელეფონი. აღარ გათავდა ჩემი დევნა?“

მახსოვს შოთა ნიშნიანიძის წინააღმდეგ აგორებული ინტრიგის ტალღა აქლემისა და ლექსის ქურდის პოეტური ალეგორიისათვის და იმ დროს დაწერილი მისი საბარიკადო ლექსი „ზიგ ჰაილ! ზიგ ჰაილ!“

მახსოვს როგორ გამოვაპარეთ სტამბიდან ლევან სანიკიძემ და მე „უქარქაშო ხმლების“ უკვდავი ავტორის წიგნი – ბრალდება „ვაი რუსისგან“ და მეორე დღესვე როგორ იზრუნა ხელისუფლებამ იმაზე, რომ წიგნის მთელი ტირაჟი სადღაც გამქრალიყო ისე, რომ ბიბლიოთეკებშიც ვერ იპოვით – ლევანის ოჯახს შემორჩა, მე და ალბათ ლევანის ორიოდე მეგობარს.

რომელი ერთი გავიხსენო.

პირველ გაბედულ, ეროვნულ სიტყვას მწერალი ამბობდა ყოველთვის, მწერალთა კავშირის ტრიბუნიდან ნათქვამი მართალი სიტყვა მეორე დღესვე საქართველოს მოეფინებოდა ხოლმე და პირველ დარტყმასაც მწერალი იღებდა.

მარტო იმის ხაზგასმა რად ღირს, რომ XIX საუკუნის საქართველოს სულიერი მამა და უგვირგვინო მეფე სწორედ მწერალი გახლდათ და საქართველოს პირველი პრეზიდენტიც მწერალი იყო.

მწერალთა კავშირი დღესაც პირნათლად ასრულებს თავის ეროვნულ ფუნქციას – იგი ჯანმრთელი, ზომიერი ოპოზიციონერია და ამიტომაც ებრძვიან მას გააფთრებით; ხან ლიკვიდაციით ემუქრებიან და ხან შენობის წართმევით.

დათვალეთ, აწონეთ საქართველოს გაღვიძებაში მწერლის მიერ შეტანილი წვლილი და მერე უწოდეთ, პატარა, მომხვეჭელო კაცუნებო, მწერალთა კავშირს „გადმონაშთი“.

ზემოთ ვთქვი, 37 წელი არ მახსოვს-მეთქი, მაგრამ ახლა არანაკლებ მძიმე დროა ქართული მწერლობისთვის.

ილიას ლოზუნგი – „ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნეს“ დღის წესრიგიდან წუთითაც არ მოხსნილა.

ჩვენ ახლაც ბარიკადებზე ვდგავართ და ეროვნული სანგრებიდან ვუტევთ ჩვენი ნაციონალური სახის წასაშლელად გამოგზავნილ მანქურთებს.

2007 წ.

მსოფლიოს ისტორიის ყველაზე ტრაგიკული ეპიზოდი

2007 წლის 21 აგვისტოს, გამთენიის 4 საათზე, სააკაშვილის განკარგულებით მწერალთა სასახლეს თავს დაესხა ნიღბიან პოლიციელთა „სპეცრაზმი“. ქუჩაში გამოყარეს ყველაფერი. ჩემს კაბინეტში ერთი წუთით, თქვენი მეთვალყურეობით შემიშვით, პირად ნივთებსა და „მწერლის გაზეთის“ მასალებს გამოვიტან-მეთქი, –

ვთხოვე. ცივი უარი მტკიცეს. მინდა, ყველას გასაგონად ვთქვა: მწერალთა კავშირი კვლავ იარსებებს და სურთ თუ არა მავანთ, ქართველი მწერალი თავის ღვთიურ მისიას მაინც შეასრულებს. ეს მძიმე დღეები კი ისტორიის და ლიტერატურის თემად იქცევა, როგორც თანამედროვეობის ყველაზე ტრაგიკული ეპიზოდი.

50 წელი გავატარე ამ შენობაში და ჩემთვის მისი ყოველი მტკაველი უძვირფასესია. ამათ კი უმოწყალოდ დაარბიეს და ქარს გაატანეს მწერალთა ავტოგრაფებიანი უნიკალური ბიბლიოთეკა, გაურკვეველი მიმართულებით წაიღეს სავარძელი, რომელზედაც კონსტანტინე გამსახურდიას უყვარდა ჯდომა, ასფალტზე დაანარცხეს კარადა, რომელიც გალაკტიონმა მწერალთა კავშირში საკუთარი ზურგით მოიტანა, გადაყარეს მწერალთა უნიკალური არქივი. ეს უბრალო შენობა კი არა, ისტორიული მუზეუმია, მემორიალური შენობაა ილიას, აკაკის, ვაჟას, გალაკტიონის, გამსახურდიას, ჯავახიშვილის, ტიციანის, გოგლას, შალვა დადიანის, ლადო ასათიანის, შოთა ნიშნიანიძის, ირაკლი აბაშიძის, თვით პრეზიდენტის პირდაპირი ბაბუის – გრიგოლ აბაშიძის ხსოვნას რომ ინახავს.

როგორც ჩანს, ჩემ მიერ ჩამოთვლილი, ქართველი ერისთვის ძვირფასი სახელები ჩვენს ხელისუფლებას არაფერს ეუბნება, როგორც თავად ამბობენ, შენობა იმიტომ დაგვატოვებინეს, რომ უკანონოდ გქონდათ დაკავებულიო.

მკითხველს კიდევ ერთხელ შევახსენებ, რომ ეს შენობა დავით სარაჯიშვილმა ქართველ მწერლებს 1912 წელს უანდერძა. 1918 წელს სარაჯიშვილის ფინანსურმა მემკვიდრემ დავით ხოშტარიამ აღასრულა სარაჯიშვილის ანდერძი, ხოლო 1921 წლის 28 თებერვალს, როცა ბოლშევიკები შემოვიდნენ, შალვა ელიავამ, სპეციალური დეკრეტით, ეს შენობა საქართველოს მწერალთა კავშირს ოფიციალურად დაუმტკიცა. თითქმის 100 წელია, ამ შენობაში მწერალთა კავშირი არსებობს და მისი ასე უმოწყალოდ დარბევა დღემდე აზრად არავის მოსვლია.

უკანონოსთან ერთად, ამ შენობას და მწერალთა კავშირს კომუნისტური გადმონაშთიც უწოდეს, არის, მწერალთა კავშირი კომუნისტური გადმონაშთი?

მწერალთა კავშირი 1917 წლის აპრილში შეიქმნა, ოქტომბრის რევოლუციამდე 6 თვით ადრე, ასე რომ, ზოგი ჭკუანაღრძობი რომ ამბობს, ეს კავშირი კომუნისტური გადმონაშთიაო, სად იყვნენ მაშინ კომუნისტები?

შარშან მეცნიერებთან შეხვედრაზე პრეზიდენტმა განაცხადა, გარწმუნებთ, სანამ მე აქ ვარ, მწერლებს შენობას ვერავინ წაართმევ-

სო. მეც ასე მეგონა და ამიტომაც, ახლახან ეკონომიკის სამინისტროდან წერილი რომ მივიღეთ, შენობა სასწრაფოდ დაცალეთო, ხუმრობა გვეგონა. ვიფიქრე, ალბათ, გვაშინებენ, რომ ჭკუით ვიყოთ-მეთქი. 30 წელია მე და ქალბატონი გიული ალასანია, ჩვენი პრეზიდენტის დედა, უნივერსიტეტში ერთად ვმუშაობთ. 21 აგვისტოს, როდესაც მწერალთა კავშირს თავს დაესხნენ, ქალბატონ გიულის დავურეკე და ვკითხე: ქალბატონო გიული, ნუთუ პრეზიდენტის სურვილით და თანაგრძნობით მოხდა მწერალთა დარბევა-მეთქი. მიპასუხა: ბატონო რეზო, მიშა აქ არ არის, პატრიოტთა ბანაკშია და დარწმუნებული ვარ, რაც აქ მოხდა, ამის შესახებ არაფერი იცის. ლამის ვიფიქრო, რომ ჩემს შვილს ასეთ სცენებს სპეციალურად უწყობენ, რომ ხალხს შეაძულონ!

რა ვქნა, ვერა ვარ ისეთი გულუბრყვილო, რომ ეს ისტორიული დანაშაული, მწერალთა დარბევა მხოლოდ ვან ბაიბურთის შვილს – გრიშა ბაიბურთს დავაბრალო. აღდგომა და ხვალეო. თუ ეს ასეა, მაშინ იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ პატრიოტთა ბანაკიდან დაბრუნებული ბატონი მიშა, დღეს თუ ხვალ, ჩვენს დამწიოკებელს ყურს აახევს – ეს რა იდიოტობა ჩაგიდენიათო და ჩვენ, მწერლებს, ციმციმ შეგვასახლებს ისევ მწერალთა სასახლეში, თუმცა...

ზოგჯერ ავი ფიქრი გამიელვებს ხოლმე თავში, ვაითუ შენობა არაფერ შუაშია და ეს ყველაფერი თვით მწერალთა კავშირის წინააღმდეგ იყოს მიმართული-მეთქი.

ქართველი მწერლებისთვის ტრიბუნის წართმევით, ანუ ენის ამოგლეჯვით თვით ქართულ ცნობიერებას ებრძვიან, თქვენ წარმოიდგინეთ, ამ დღეებში მწერალთა კავშირის წინააღმდეგ სამი მომწერლო მოქალაქე გამოაძვრინეს. ერთი მათგანი კინოფილმ „ავარას“ პერსონაჟს – ჯაგას ჰგავდა. იჯდა ჭიპამდე კვართგახსნილი და ასეთ სიბრძნეს აფრქვევდა: რატომ უნდა იყოს მწერლობა სახელმწიფოს კმაყოფაზეო. სიმწრით გამეღიმა. ვაჟა გიგაშვილი მე-20 საუკუნის 80-იან წლებში ჩარჩენილა. არ იცის, რომ ათი წელია, მთავრობას მწერალთა კავშირისთვის ერთი გახვრეტილი კაპიკიანიც არ მიუცია. მეორე, მწერალთა კავშირის ლანძღვით სახელგანთქმული ზაალ სამადაშვილი გახლდათ, რომელიც სკოლის დირექტორთა კონკურსზე ჩაიჭრა, თუმცა, იხტიბარი არ გაიტეხა და ტელევიზიით საჯაროდ განაცხადა: რად მინდოდა დირექტორობა, ოქრო ხელობა მაქვს და მწერლობას დავუბრუნდებიო. ნეტავ, დირექტორად გასულიყო, სხვათა შორის, ზაალ სამადაშვილს ამას წინათ „მწერლის გაზეთში“ ორგვერდიანი სტატია მივუძღვენი სათაურით: „ზაალ შენ მწერალი

არ ხარ!“ მწერალთა კავშირის მესამე მგმობელად ანა კორძაია-სამადაშვილი მოგვევლინა. ის ჩემს სადარბაზოში, ჩემს მეზობლად გაზრდილი გოგონაა და ბავშვობაში ძალიან მიყვარდა.

– არქიტექტორთა კავშირი მესმის, ეს მაინც კოლექტიური საქმიანობაა და არსებობის უფლება აქვს, მაგრამ მწერალთა კავშირი რაღა უბედურებაა, მწერლობა ხომ კოლექტიურ მუშაობას არ ექვემდებარებაო, – განაცხადა ქალბატონმა ანამ. მინდა მივმართო მას: ასეთი სისულელე რამ გათქმევინა, შვილო, ანა. შენ გგონია, დილით მოდიან მწერლები მწერალთა კავშირში, სხდებიან მაგიდასთან და კოლექტიურად წერენ ლექსებს და მოთხრობებს? ხოლო ჩვენ, მწერალთა კავშირის მდივნები, მაგიდებს შორის დინჯად დავაბიჯებთ და თუ რომელიმე მწერალს ფრაზა ან აზრი „გაეჭედება“, დიდსულოვნად ხელს წავუკრავთ ხოლმე? რამოდენა გაზრდილხარ, ანა. შენი წიგნი წავიკითხე და სირცხვილით დავიწვი. გავიფიქრე, საიდან ისწავლა ჩემს ხელში გაზრდილმა გოგონამ ეს სკაბრეზული სითამამე-მეთქი... ასე რომ, რაც მალე გაგათხოვებენ შენი კარგი მშობლები, მით უკეთესია.

ერთმა მინისტრმა ასე „დაგვმოძღვრა“: შოთა რუსთაველი მწერალთა კავშირის წევრი არ ყოფილა, მაგრამ „ვეფხისტყაოსანი“ მაინც დაწერა და ჩვენს მწერლებს თუ კარგი ნაწარმოებების შექმნა უნდათ, ამისათვის ცალკე შენობა საჭირო სულაც არ არისო.

აქ უკვე საკომენტაროდ ენა არ მომიბრუნდება. ავუხსნა ახლა მინისტრ კაცს, რა ფუნქცია აქვს მწერალთა კავშირს? ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, ამ შენობაში მივაგეთ უკანასკნელი პატივი თითქმის ყველა, აწ გარდასულ სახელოვან მწერალს. თუნდაც მხოლოდ ამის გამო, არის თუ არა მწერალთა კავშირი საჭირო? ბატონო იმანო, აი, რა შენობა დაარბიეთ უდიერად და ქურდულად შენ და შენმა ამფსონებმა.

ნეტავ, როგორ ხასიათზე დადგები, ერთ დღეს სპეცნაზი რომ შემოგივარდეს, შენი სამინისტროს ფეშენებელური, კონდიციონერიანი შენობა დაარბიოს და იქიდან თანამშრომლებიანად გამოგაპანღუროს?

ვაპირებთ „დამწვარ სუდში“ ჩივილს. თუ არაფერი გამოვიდა, ისევ სიტყვით, კალმით ვიბრძოლებთ. ტრაგიკულია დღეს მწერლის ბედი. როგორ უნდა წერო ლექსები და მოთხრობები სიყვარულზე, სათნოებაზე, როცა იცი, რომ მავანს სძულხარ და საკუთარი სახლიდან გერეკებიან. მაგრამ, საბედნიეროდ, ჯერ კიდევ ჰქვიათ ქუჩებსა და მოედნებს მწერალთა სახელები, ჯერ კიდევ ლაპარაკობს ქართველი

ერი მწერლის ციტატებით, ჯერ კიდევ უსმენს ქვეყანა მწერალს. დრო არ ჩერდება. იგი საღი აზრის სასარგებლოდაც მუშაობს. იცით, ამ წუთში გული განსაკუთრებით ორ რამეზე მწყდება: რა ბანგი გასვეს ასეთი, ჩემო ერო, რომ მიწის პირიდან ქართველი ერის ალაგმვას თითქმის შეურიგდი და ყურბალიშზე თავმიდებულს ტკბილად გძინავს? მეორეც: სად, რომელი მამიდის იმაში შეძვრნენ ჩვენი „ქველმოქმედი“ მილიონები? არ უნდა იკითხონ, რა პირობებში აგრძელებს სიცოცხლეს გაზეთი „ასავალ-დასავალი“ ან რომელი ხის ქვეშ დაიბუდა ერის უპირველესმა მეზარემ – საქართველოს მწერალთა კავშირმა?

27 აგვისტო, 2007 წ.

რა გვჭირს?

მწერალთა სასახლე კვლავ ოკუპირებულია ხელისუფლების მიერ.

საბედისწერო 21 აგვისტოს შემდეგ არაფერი შეცვლილა.

ხუთი ავტომატიანი პოლიციელი დღედაღამ დარაჯობს მწერალთა სასახლეს.

შენობიდან გამოძევებულია საქართველოს მწერალთა კავშირი, აფხაზეთის მწერალთა რეგიონალური ორგანიზაცია, „მწერლის გაზეთის“ რედაქცია, მწერალთა ისტორიული არქივი, ჟურნალების – „რიწას“, „იალქნის“ და „აფრას“ რედაქციები, მწერალთა ავტოგრაფებიანი უმდიდრესი ბიბლიოთეკა, სხვადასხვა საქველმოქმედო ორგანიზაციები...

* * *

ამაოდ დავეძებთ მწერალთა სასახლეში დაცულ უნიკალურ მემორიალურ ნივთებს. ბევრი მათგანი დავით სარაჯიშვილის მიერაა ნაანდერძევი, ზოგი აწ გარდაცვლილი სახელოვანი მწერლების ოჯახებმა შემოსწირეს მწერალთა კავშირს.

ერთნი გვპასუხობენ, რომ მემორიალური ნივთების (ნახატები, ხელნაწერები, სავარძლები, სკამები, მაგიდები, კარადები...) ერთი ნაწილი დიდუბის ნაგავსაყრელზეა, მეორენი ამბობენ, რომ სადღაც ვანის ქუჩაზე მიიტანეს და მიტაცებული ნივთების საიდუმლო საწყობში იატაკზე დაყარეს.

არ არის არავითარი აღრიცხვა.

პოლიციელები ამბობენ, არ ვიცით, რას ვდარაჯობთ, ჩვენთვის

კონკრეტულად არაფერი ჩაუბარებიათ. ასე რომ, წარმოდგენა არა გვაქვს, რა ნივთებია მწერალთა კავშირის შენობაშიო.

ეს იმას ნიშნავს, რომ 21 აგვისტოს სასახლე გაიქურდა. ყველაფერი განადგურდა, ყველაფერი განიავდა.

***

7 აგვისტოს გლდანის რაიონის საქალაქო სასამართლოში მწერალთა კავშირის სარჩელის განხილვა დაიწყო.

მწერალთა კავშირის კანონიერ საჩივარს იმის შესახებ, რომ მწერალთა სასახლე, ყველა საბუთებით (დაწყებული 1921 წლის 28 თებერვალს რევკომ შალვა ელიავას განკარგულებით...) მწერალთა კავშირს ეკუთვნის და ვარდების რევოლუციიდან რამდენიმე თვეში იგი უსაფუძვლოდ, ზურაბ ჟვანიას მხარდაჭერით, ფარულად მიითვისა ეკონომიკის სამინისტრომ, დაემატა 21 აგვისტოს დილის 4 საათზე მწერალთა კავშირის დარბევის ფაქტი.

სასამართლოზე ასამდე გამოჩენილი მწერალი მოვიდა.

უნდა აღინიშნოს, რომ მოსამართლე გიორგი გვენეტაძემ ობიექტურად, ორივე მხარისადმი გულისყურიანი დამოკიდებულებით დაიწყო პროცესი.

მხარეთა მოსმენის შემდეგ მან პირველი კერძო განჩინება გამოიტანა: უარყოფილ იქნას, როგორც უსაფუძვლო, ეკონომიკის სამინისტროს მოთხოვნა პროცესის შეწყვეტის შესახებ და არასამართლებრივად იქნას ცნობილი 21 აგვისტოს სპეცრაზმის მიერ მწერალთა კავშირის დარბევა (ლაპარაკია შენობის დაკავების ფორმაზე, მეთოდზე...) დაევალოს ეკონომიკის სამინისტროს, წარმოადგინოს საბუთები იმის შესახებ, თუ რა იურიდიული საფუძვლები ედო ვარდების რევოლუციის შემდეგ მწერალთა კავშირის ეკონომიკის სამინისტროს კუთვნილებად გამოცხადებას.

სასამართლო 4 ოქტომბერს, 2 საათზე გაგრძელდება.

***

მწერალთა კავშირის კუთვნილი სასახლის დარბევამ და ოკუპირებამ საქართველოს ხელისუფლების მიერ, მსოფლიო რეზონანსი გამოიწვია.

თავი რომ დავანებოთ მწერალთა კავშირის მისამართით გამოგზავნილ თანაგრძნობის დეპეშებსა და სატელეფონო გამოხმაურებებს, რითაც მსოფლიოს ცნობილი მწერლები თანადგომას გვიცხადებენ, მსოფლიოს არაერთმა ტელევიზიამ უჩვენა საქართველოში პოლიტიკური მიზნით მწერალთა კავშირის დარბევის სამარცხვინო ფაქტი.

ამ გარემოებამ მნიშვნელოვნად დასცა ჩვენი „დემოკრატიული ხელისუფლების“ იმიჯი მსოფლიოს თვალში.

***

7 სექტემბერს პარლამენტის სხდომაზე საზეიმოდ დასამტკიცებლად მიყვანილ მთავრობის წევრებს ოპოზიციონერმა პარლამენტარებმა მანანა ნაჭყებიამ და ფიქრია ჩიხრაძემ საზეიმო განწყობა გაუფუჭეს. ჰკითხეს, რა ბედი ელით 21 აგვისტოს თქვენი განკარგულებით და პოლიციის ტლანქი ხელით ქუჩაში გაყრილ მწერლებსო.

მთავარმა დამრბევმა ნოღაიდელმა მწარე ღიმილით უპასუხა, მწერლებს შენობას არ წავართმევთო.

მწერლებში ალბათ „განსწავლული“ ნოღაიდელი ჭაბუკა ამირეჯიბს, ანა კალანდაძეს, ოთარ ჭილაძეს, ოტია იოსელიანს, რეზო ჭეიშვილს, მერაბ ელიოზიშვილს, მურმან ჯგუბურიას, ჯანსუღ ჩარკვიანს, გოდერძი ჩოხელს და იმ 475 მწერალს არ გულისხმობდა, ვისაც 21 აგვისტოს განთიადისას ყაჩაღურად წაართვა სასახლე.

„გამარჯვებული მინისტრები“ კი ერთად ისხდნენ და გონებასუსტ ბავშვთა სკოლის აღსაზრდელებივით უაზროდ იცინოდნენ.

***

მწერალთა სასახლის ბედი კვლავ გაურკვეველია.

29 აგვისტოს ერევნიდან მწერალთა დელეგაცია ჩამოვიდა და ოკუპანტებმა იმის ნებაც არ დაგვრთეს, რომ სომეხ კოლეგებთან ერთად მწერალთა სასახლის ბაღში მაინც ჩამოვმსხდარიყავით და სამომავლო გეგმებზე გვესაუბრა.

სომეხი მწერლები, რომლებიც გაგიკ დავთიანის ხელმძღვანელობით გვეწვივნენ, რათა მათ მიერ უანგაროდ თარგმნილი ქართული პოეზიის ანთოლოგიის მაკეტი ეჩვენებინათ, გაოგნებულნი დარჩნენ.

ოქტომბერში გეგმის მიხედვით ბერძენ მწერალთა დელეგაცია გვეწვევა, სად მივიღოთ, სად წავიყვანოთ „ამხანაგო ხელისუფლებავ?“

უკვე ერთი თვე გავიდა, რაც ვანდალურად გამოგვასახლეს და როგორც ყური მოვკარით, კულტურისა და ეკონომიკის სამინისტროებს შორის ბაგირის დამარქაფებული გადაქაჩვა გრძელდება შესახებ იმისა, თუ ვის დარჩეს ჩვენი სასახლე. კულტურის სამინის-

ტროს სურს წართმეულ შენობაში ხელისუფლების ტაშის დამკვრელი მედროვე ხელოვანნი „განათავსოს“, ეკონომიკის სამინისტროს კი, არც მეტი არც ნაკლები, სასახლის გაყიდვა აქვს განზრახული.

* * *

ამ გახსენებაზე: როგორ ხასიათზე ხართ „სახელოვანნო ქართველო მწერლებო“ – ზაალ სამადაშვილო, მამუკა ხერხეულიძევ, ვაჟა გიგაშვილო, ანა კორძაია-სამადაშვილო?

რაო, მიაღწიეთ თქვენსას?

გამოდევნეთ რუსთაველის და გალაკტიონის აჩრდილები საქართველოს მწერალთა სასახლიდან?

რა პირით შეხვალთ და დაიკავებთ იმ ისტორიულ სასახლეში ჭაბუა ამირეჯიბის, ანა კალანდაძის, ოთარ ჭილაძის და სხვათა ადგილებს?

არ შეგრცხვებათ?

ძალიან ცოტანი და ძალიან პატარანი ხომ არ ხართ იმისათვის, რომ ხელისუფლების მხარდაჭერით მოპოვებულ ამ სავანეში „გაშალოთ ფრთები?“

სად მიუდიხართ ცოდოს, ან იმ წყევლას, სად დაემალებით, რითაც დაგწყევლით მთელი გონიერი საქართველო და ასი წლის პოეტი-დედა მარიკა ბარათაშვილი?

იქნებ გგონიათ რომ თქვენ მიერ უსინდისოდ მოპოვებულ „პოსტებზე“ გვერდით მოგიჯდებიან ლაშა ბუღაძე, ნუგზარ შატაიძე, როსტომ ჩხეიძე, დათო მაღრაძე, დათო ტურაშვილი, ბასა ჯანიკაშვილი?..

რა მწარედ შეცდით, ძვირფასებო.

* * *

მწერალთა სასახლის მწერალთაგან დამცველმა ერთმა პოლიციელმა „მწერლის გაზეთის“ თანამშრომელს ამას წინათ უთხრა:

მე ვმონაწილეობდი 21 აგვისტოს, დილის 4 საათზე მწერალთა კავშირის აღებაში. ღამის 12 საათზე შეგვკრიბეს სპეცრაზმელები და გამოგვიცხადეს – მწერალთა სასახლეში ამ სამი დღის წინათ ლტოლვილები და ვიღაც უცნობი მოქალაქეები შეიჭრნენ და დაუყოვნებლივ უნდა გავუთავისუფლოთ ქართველ მწერლებს შენობაო.

მეგონა პატრიოტულ საქმეზე მივდიოდი.

შეიარაღებული წინააღმდეგობა რომ არავინ გაგვიწია, სასახლეში რომ შეჭრილები ვერ აღმოვაჩინეთ და ერთი კაბინეტის კარებზე

„რევაზ მიშველაძე“ რომ ამოვიკითხე, მივხვდი, რაც ჩაგვადენინეს, მაგრამ უკვე გვიან იყო.

* * *

მორცხვად სდუმან ჩვენი „ქველმოქმედი“ მილიარდერები.

ისინი პრეზიდენტის თითის გაქნევით დააფინანსებენ ყოველგვარ შოუ-სისულელეს, მაგრამ იმას როგორ გაბედავენ, მწერალთა კავშირს ამ ძნელბედობის დროს თუნდაც პატარა, სამოთახიანი ბინა შეუძინონ, რათა დარბეული კავშირი ერის სახელოვან შვილთა, იმ პაწაწკინტელა ნავსაყუდელს დროებით მაინც შეეფაროს.

ყოჩაღ, ფხიზელო მილიონერებო. ასე უნდა ხელისუფლების მხარდაჭერა.

რაკი პრეზიდენტს მწერლები სძულს, ეს იმას ნიშნავს, რომ თქვენც უნდა გძულდეთ.

ნუთუ ისე გაგეყინათ სული, რომ არც ერთ თქვენგანს აღარ აქვს ფეშენებელურ ბინაში რუსთაველის, ილიას, აკაკის, ვაჟას, გამსახურდიას, ჭაბუას, ლადო ასათიანის, ანა კალანდაძის წიგნები?

* * *

ყველაზე გასაკვირი ის გახლავთ, რომ როცა მწერალთა კავშირის დარბევაზე მთელი მსოფლიო ლაპარაკობს, საქართველოს პრეზიდენტი კრინტსაც არ სძრავს.

ერთსიტყვიან კომენტარსაც არ აკეთებს.

თქვი, არ ვიცოდი-თქო, მე, გრიგოლ აბაშიძის შვილიშვილი, და ქართული დემოკრატიის მამა მწერალთა კავშირის დარბევის ბრძანებას როგორ გავცემდი-თქო...

თავის გამართლება მაინც სცადე, რამე მაინც თქვი, შე კაი კაცო.

რაო, ბუზებადაც აღარ ვჩანვართ შენს თვალში, მიშიკო?

2007 წ.

რა ხდება?

საქართველოში დემოკრატია ჰყვავის.

დემოკრატიის სახელით დაარბიეს მწერალთა კავშირი – აქაოდა, რატომ ხელისუფლების დუდუკზე არ ცეკვავენ ქართველი მწერლებიო.

დემოკრატიის სახელით ქუჩაში გამოყარეს სიმართლის მთქმელი ჟურნალ-გაზეთები.

დემოკრატიის სახელით გაანადგურეს უნივერსიტეტი, აკადემია, ფიზკულტურის ინსტიტუტი...

დემოკრატიის სახელით გააუქმეს რუსთაველის პრემიების კომიტეტი, ქართული ენის პალატა და ყველა ეროვნული ინსტიტუტი.

დემოკრატიის სახელით უმუშევრად დატოვეს აბსოლუტურად ყველა სახელოვანი მეცნიერი.

დემოკრატიის სახელით დააპატიმრეს ირაკლი ოქრუაშვილი.

დემოკრატიის სახელით დღისით-მზისით ქუჩაში, სახალხოდ დახვრიტეს ეროვნული გმირი გურამ შარაძე (თუმცა 28 სექტემბერს ხელისუფლების საწინააღმდეგო მიტინგზე ენაწყლიან გამომსვლელთაგან მწერალი გურამ შარაძე არავის გახსენებია).

* * *

არ აღმოჩნდა მართალი პრეზიდენტ სააკაშვილის მიმართ წაყენებული ბრალდება, ისე სძულს ყოველივე ქართული, რომ მაღალ თანამდებობაზე მხოლოდ სომხებს, ოსებს და ებრაელებს ნიშნავსო.

30 სექტემბერს საბერძნეთში სააკაშვილმა მსოფლიოს განუცხადა: სულელ ოპოზიციას საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი გელა ბეჟუაშვილი სომეხი რომ ჰგონია – სინამდვილეში ეთნიკური ბერძენიაო.

ისე, მე რომ სააკაშვილი ვიყო, ფიცში ჩასაყოლებლად მთავრობაში ერთ-ორ ეთნიკურ ქართველს (ან უკიდურეს შემთხვევაში, შერეული ოჯახის წარმომადგენელს) მაინც გავურევდი.

* * *

ამასწინათ ხათუნა გოგორიშვილს უთქვამს: ჩემთვის ვინც მწერალია, მწერალთა კავშირში არ არისო („ჯორჯიან თაიმსში“).

რა გააკეთონ, რა იღონონ, რით დაგიმტკიცონ ხათუნა, ჭაბუა ამირეჯიბმა და ანა კალანდაძემ (450 ნამდვილი მწერლიდან მხოლოდ ამ ორს დავასახელებ), რომ ბურჭულაძესთან და კორძაია-სამადაშვილთან ერთად ესენიც მწერლები არიან?

ვაი, ჩვენს მოსწრებას, ხათუნა, შენი გასარჩევი რომ გახდა ერთმანეთისგან ნამდვილი და გამოგონილი მწერალი.

რატომ ჩრი ცხვირს იქ, სადაც არაფერი გესაქმება?

ჩვენ ხომ არასოდეს დაგვიყენებია ეჭვის ქვეშ შენი მშვენიერი ქალობა?

ჩვენ ხომ არ გეუბნებით, ხათუნა, ნეტავ რომელი კუთხით უნდა შეგხედოთ, შენი ნამდვილი სახე რომ გავარკვიოთ?

ოქრო ხელობა გაქვს, არჩევნების დიდოსტატი ხარ, დაეტიე შენს ზურგზე, ხათუნა.

* * *

მწერალთა სასახლის კუთვნილების თაობაზე მიმდინარე სასამართლო კიდევ ერთხელ გადაიდო ამჯერად 25 ოქტომბრის 4 საათამდე.

მიზეზი?

ეკონომიკის სამინისტრომ ვერ წარმოადგინა საბუთები შესახებ იმისა, რის საფუძველზე გადაიფორმა ქურდულად მწერალთა კუთვნილი სასახლე.

მოპასუხე მხარის წარმომადგენელმა განაცხადა: როგორც ჩანს, რეესტრის ცნობა სპეცფოსტით კი არა, სახალხო ფოსტით გამოაგზავნეს და „ვაითუ გზაში დაიკარგაო“.

შერცხვენილი ხელისუფლება, რომელსაც დღეები დათვლილი აქვს, დროის გაყვანის პოლიტიკას ადგას.

ავითრევ ფეხს, სანამ „ან ვირი მოკვდება, ან ვირის პატრონიო“.

* * *

„მოღალატე ოპოზიციისგან“ არაერთგზის ყურაწეული პრეზიდენტი ფრიად შეძრწუნებული ჩანს. სიამოვნებით შეახრამუნებდა (მისი ტერმინია) ყველა განსხვავებული აზრის მქონეს, მაგრამ ეშინია, ყელზე არ დაადგეს.

იმდენად შეშინებულია, უკან დასახევ გზას ეძებს.

„გაოცებული ვარ პირდაპირ, ზოგიერთ „სასწავლო დაწესებულებაში რა კარგად მუშაობენ 60 წელს გადაშორებულებიო“, თქვა 4 ოქტომბერს მთავრობის სხდომაზე და „ხანდაზმულების“ ულმობელ მტრებს – მინისტრებს შეხედა.

მინისტრებმა მათი მშობლებისკბილა ადამიანებისადმი ზიზღით სავსე თვალები დახარეს.

2007 წ.

ვინ ვის ჩარეცხავს!

სააკაშვილის ხელისუფლების ოთხი წელი სავსებით საკმარისი გახდა იმისთვის, რომ მოსახლეობის 98 პროცენტს ჩვენი თინეიჯერული ხელისუფლებისადმი ნდობა დაეკარგა. აღარ გვინდა რიტორიკა და პირდაპირ ფაქტებით ვილაპარაკოთ. სააკაშვილის ხელისუფლებამ საშინაო პოლიტიკაში სრული კრახი განიცადა... ინფლაცია დასაღუპავად დევის ნაბიჯებით გვიახლოვდება, ფასები ელვის სისწრაფით იზრდება და დღეს საქართველოში ხორბლის სამი თვის მარაგიღა დაგვრჩა. ერთ სულზე სამომხმარებლო კალათა 150 ლარია, სააკაშვილი კი საქართველოს სამ-ნახევარი მილიონ მცხოვრებთაგან ზუსტად ერთ მილიონს 48-ლარიან პენსიას აძლევს. ყველაფერი გაიყიდა... საქართველოს გაყიდვით შევსებული ბიუჯეტი რამდენ ხანს გაწვდება ილაჯგაწყვეტილ ქვეყანას? წაიკითხავდით „მწერლის გაზეთის“ წინა ნომერში დაბეჭდილ ოტია იოსელიანის ლექსს... მწერალი სულმნათ ნიკო ლორთქიფანიძეს მიმართავს – შენს დროს, ალბათ, რაღაც იყო გასაყიდი, ჩვენ კი ყველაფერი გავყიდეთ და პერანგი და პერანგის ამხანაგიც აღარ შეგვრჩაო!.. მე არ ვიცი, პოლიტიკური მიზნით მოხდა თუ არა, მაგრამ ბოლო ორ წელიწადში გლეხებს უკანასკნელი ლუკმაც გამოაცალეს პირიდან. დარბოდნენ სოფლად აქტივისტები და მიჯრით ხოცავდნენ ქათმებს, ღორებსა და ძროხებს... ახლაც ცრემლი მადგება თვალზე, რომ გამახსენდება, თუ როგორ კრიახებდნენ ტომარაში ჩატენილი ცოცხალი ქათმები და როგორ ყრიდნენ სააკაშვილის ხელისბიჭები საერთო საფლავში უჯანმრთელეს ღორებს, რომლებიც დინგს მაღლა სწევდნენ სამარხიდან ამოსასვლელად. კახელმა გლეხმა ვაზის აჩეხვა იმიტომ დაიწყო, რომ ამ ხელისუფლებამ მწარედ მოატყუა... დაჰპირდნენ – კილოგრამ ყურძენს ლარ-ნახევრად ჩავიბარებთო და რთველი რომ დაიწყო, გამოაცხადეს – თუ გინდათ, 20 თეთრს მოგაშავებთ, თუ არადა, კისრები გიტეხიათ და ზედ კინჩხიც მიგიყოლებიათო!.. თქვენ ნახეთ, ალბათ, როგორ დასცინა ალალ მევენახეს პრეზიდენტმა – ფული აიღო და ეს სპექტაკლი გაითამაშაო!.. ქვეყანაში საშინელი შიმშილი მძვინვარებს! ამას წინათ ერთ გაზეთში წავაწყდი სტატისტიკურ ცნობას, საიდანაც ირკვევა, რომ საქართველოში მცხოვრებთა 60 პროცენტი საზღვარგარეთ აპირებს წასვლას, ე. ი. მთელი საქართველო ქვეყნიდან გარბის!..

ქართული ეროვნული კულტურის მიმართ ხელისუფლების დამოკიდებულებასაც უნდა შევეხო!..

ახლახან საჩხერეში აკაკი წერეთლის იუბილეზე გახლდით და უნდა გენახათ ჩემი გაოცება, როცა ერთმა საჩხერელმა მითხრა – რა ხდება, ბატონო რეზო, ბოლო ხანს პრეზიდენტი სამჯერ იყო საჩხერეში, მაგრამ აკაკი წერეთლის სახლ-მუზეუმისკენ არც გამოუხედავსო!.. პრეზიდენტი არ დადის თეატრში, არ კითხულობს გაზეთებს, ზიზღს ამჟღავნებს ქართული მწერლობის მიმართ, იქამდეც კი, რომ მისი განკარგულებით 475 მწერალი გამოაძევეს მწერალთა სასახლიდან და იავარჰყვეს 100 წლის ნალოლიავები მწერალთა მემორიალური ნივთები. კარზეა მომდგარი ილია ჭავჭავაძის დაბადების 170 და გარდაცვალების 100 წლისთავი, მაგრამ თუ დააკვირდებით, „გამარჯვებული ხალხის ტელევიზია“ ილია ჭავჭავაძის სახელს არ ახსენებს, ანდა რა პირით უნდა ახსენოს, როდესაც ხელისუფლების მიერ აბსოლუტურად იგნორირებულია ილია მართლის „ენა, მამული, სარწმუნოება“, ხოლო „გამარჯვებული ხალხის ტელევიზია“ გულისამრევი, გაუკულმართებული სექსუალური სიმახინჯით – „ჯეობარით“, რეცხავს ჩვენი ახალგაზრდობის ტვინს და მთავარ სადისკუსიო თემად ის გაუხდია, ჩატარდეს თუ არა თბილისში „გეების პარადი“. ყოველივე ამის შემდეგ შეიძლება ითქვას, რომ ხელისუფლება ზრუნავს ჩვენი ეროვნული კულტურისათვის?

თბილისის ორ ცენტრალურ ქუჩაზე – ჭავჭავაძისა და რუსთაველის პროსპექტებზე ვიმოგზაუროთ!..

დავყვეთ ვაკის სასაფლაოდან... მარჯვნივ ფეხბურთის ფედერაციაა. თქვენ კარგად გახსოვთ, გაზულუქებულმა ხელისუფლებამ თუ რა „დემოკრატიული მეთოდებით“ ჩაწიხლა ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის არჩევნები. „მე ვარ და ჩემი ნაბადის“ პოლიტიკა უფრო შორს ვერ წავა... კანონიერად არჩეულ პრეზიდენტს – ნემსაძეს, სულის მოთქმაც არ აცალეს, ისე ჩამოართვეს სავარძელი. სხვა საკითხია, ნემსაძის შეშინებული ჩურჩული – ჩემი ნებით გადავდექიო!.. მაგრამ ხომ ფაქტია, როგორ განირეს მთელი სპორტული სამყაროს წინაშე ეს ახალგაზრდა, უდანაშაულო კაცი. აი, რა დემოკრატები ბრძანდებიან ვარდების იარლიყით მოსულნი. ბარემ აქვე ვიტყვი, რომ ასევე სამარცხვინო იყო ბადრი პატარკაციშვილის გაძევება ოლიმპიური კომიტეტიდან. მთელ კომიტეტში ორი უშიშარი პიროვნება აღმოჩნდა – ნონა გაფრინდაშვილი და ლერი ხაბელოვი! დანარჩენებმა პირში წყალი ჩაიგუბეს და „აუტკივარი თავის პოლიტიკას“ დაადგნენ. დარწმუნებული ვარ, დრო რომ გავა, ისინი ბადრი პატარკაციშვილს მოუბოდიშებენ – რა გვექნა, ძმაო, მუქარას ვერ გავუძელით, ესენი ყველაფრის მკადრებლები არიანო!.. გავაგრძელოთ ჭავჭავაძის პროსპექტზე გზა – ფეხბურთის ფედერაციის ქვემოთ სპორტის აკადემია

იყო. რა საშინელებაა, რომ ამ სახელოვან დაწესებულებაზე წარსულ დროში მიხდება ლაპარაკი. როგორ უნდა სძულდეს ქართული სპორტი ორ გაურკვეველი ეროვნული პოზიციის ჩინოვნიკს – ლომაიასა და თევზაძეს, რომ გააუქმონ დიდი ტრადიციების მქონე სპორტული აკადემია და გზა დაუხშონ ქართული სპორტის მომავალს, რომელსაც აწი ბადრი პატარკაციშვილის ფულიც ვეღარ ააღორძინებს. მივადექით ილია ჭავჭავაძის სახელობის უცხო ენათა ინსტიტუტს. ამ ინსტიტუტს თავისი მშვენიერი პროფილი ჰქონდა, მაგრამ ყოვლისშემძლე კახა ლომაიამ, რომელიც პასუხს არაფერზე აგებს, უცხო ენათა ინსტიტუტი სეკვესტრში მოაყოლა და ისიც გიგი თევზაძეს დაუქვემდებარა. თქვენ ვერ წარმოიდგენთ, რა ხდება გიგი თევზაძის „ნუცას სკოლაში“, რომელიც, ფაქტობრივად, სამ ტარდიციულ უნივერსიტეტს აერთიანებს. ჩაშლილია სასწავლო პროცესი, სტუდენტთა გამოსვლებმა ლამის წალეკოს განათლების მამათა მყუდრო კაბინეტები, ხელისუფლება კი ჯიუტად არ იხევს უკან – ასე გვინდა და ასე იქნება, მორჩა და გათავდაო!

უკვე ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტს მივუახლოვდით!..

მოგეხსენებათ, ჭავჭავაძის პირველ ნომერში საქართველოს უპირველესი უნივერსიტეტი იყო!.. დიახ, იყო, რადგანაც დღეს ის აღარ არსებობს!..

40 წელი ვკითხულობდი უნივერსიტეტში ლექციებს. აქედან 30 წელი კათედრის გამგე გახლდით. ვარ 250 სამეცნიერო ნაშრომის, 67 წიგნისა და 5 სახელმძღვანელოს ავტორი. საქართველოს ყველა უმაღლეს სასწავლებელში ვინც კი თანამედროვე ლიტერატურას კითხულობს, ყველა ჩემი ყოფილი ასპირანტი ან ხელდასხმულია. 2005 წელს, როდესაც ლომაიამ უნივერსიტეტიდან განდევნა საakაშვილის მიერ დანიშნული „ურჩი რექტორი“ – რუსუდან ლორთქიფანიძე, ერთპიროვნულად, ერთბაშად გაგვათავისუფლეს უნივერსიტეტის ყველა თანამშრომელი, გააუქმეს ასპირანტურა და გააუქმეს ყველა სამეცნიერო-პედაგოგიური უჯრედი. უნივერსიტეტის დიდი საბჭოს წევრებმა პროტესტი გამოვთქვით ამ უზნეობის წინააღმდეგ და ჩავატარეთ საუნივერსიტეტო რეფერენდუმი, ფაქტობრივად, გაუქმებული უნივერსიტეტის აღსადგენად. რეფერენდუმის მოთხოვნებს ხელი მოაწერა უნივერსიტეტის თითქმის ყველა პროფესორმა და დოცენტმა, ორი პროფესორის – ელგუჯა ხინთიბიძის და რისმაგ გორდეზიანის გარდა.

ჩვენს პროტესტს, მოგეხსენებათ, ხელისუფლებამ უნივერსიტეტის დარბევით უპასუხა. ამაოდ ჰგონია კახა ლომაიას, რომ საქართველო დაივიწყებს მის მიერ უნივერსიტეტში ხუთასი პოლიციელის შემოყვანას... უნივერსიტეტი, ფაქტობრივად, ოკუპირებულია... დიდი საბჭოს წევრები კლუბში შევიკრიბეთ და საოცარი ამბავი მოხდა – კახა ლომაიას ეყო უტიფრობა, პოლიციელებისთვის დავალება მიეცა – დაუკეტეთ კლუბის კარი გარედან და არ გამოუშვათო!.. ხომ ხედავთ, უკვე ჩასარეცხად ვყავდით განწირული „ვარდების ხელისუფლებას“. მერე ის იყო, რომ გამოცხადდა კონკურსი ვაკანტურ თანამდებობათა დასაკავებლად. კონკურსში მე და არაერთმა პროფესორმა მონაწილეობა იმისთვის მივიღეთ, რომ მერე კახა ლომაიას ჩვენთვის არ დაებრალებინა – თქვენ თვითონ წახვედით უნივერსიტეტიდანო!.. უნდა გენახათ ჩემი მოლოდინის ასრულება, როცა გაირკვა, რომ სრული პროფესორობისთვის „ქულები არ მეყო“... კონკურსის შედეგების გამოცხადებიდან ერთი კვირის თავზე ერთ-ერთ საგაზეთო ინტერვიუში გია ხუბუამ განაცხადა – მიშველაძის მიმართ დასანანი შეცდომა მოგვივიდა, ახლა დამატებით კონკურსს გამოვაცხადებთ და ყველაფერი გამოსწორდებაო!.. გამოცხადდა დამატებითი კონკურსი... ორ კვირაში განათლების მინისტრის მოადგილემ – ბელა წიფურიამ მიხმო და თავის კაბინეტში სიტყვასიტყვით მითხრა, – ბატონო რეზო, არ გეწყინოთ, თქვენი ოპოზიციური განწყობის გამო კახა ლომაია თქვენზე პირადად არის გაბრაზებული და გთხოვთ, სწორად გამიგოთ, იქნებ გაიტანოთ კონკურსიდან თქვენი საბუთები, რათა ხელშეკრულება გაგიფორმოთ და ასე ითანამშრომლოთ უნივერსიტეტთანო!.. ბელა წიფურია ჩემი ყოფილი ასპირანტია (აკაკის „გამზრდელი“ გაიხსენე, მკითხველო – რ. მიშველაძე). მის თხოვნა-წინადადებაზე გამეცინა და მივუგე – ბელა, უნივერსიტეტი კახა ლომაიას კერძო დუქანი ხომ არ არის, მე შემიძლია, ჩემი მეცნიერული და პედაგოგიური დამსახურებით ნებისმიერ ჩემს კონკურენტს წინასწარ მივცე 200 ქულა, იქნებ ვიმარჯვებ კონკურსში, მით უმეტეს, რომ ხუბუამ ინტერვიუში ხაზგასმით მთხოვა კონკურსში მონაწილეობა-მეთქი! – არ ვიცი, ბატონო რეზო, ჩემი ვალია, გაგაფრთხილოთო! – მიპასუხა ბელამ. ეს ისეთი ტონით იყო ნათქვამი, აშკარა გახდა, რომ ბელაც პაწაწინა მარიონეტი იყო ვეშაპ კახა ლომაიას წინაშე. მეორე დღესვე ავდექი და უნივერსიტეტის საკონკურსო კომისიას განცხადება წარვუდგინე, რომლის თანახმადაც ვწყვეტდი კონკურსში მონაწილეობას და ვთანხმდებოდი ხელშეკრულებით შემოთავაზებულ წინადადებაზე.

თურმე, კაცთმოძულე ლომაიამ თავისი მოადგილე – ბელა წიფურიაც მოატყუა... გავიდა ნოემბერი, დეკემბერი... ხუბუას მიმართეს

მრჩეველთა საბჭოს წევრებმა განცხადებით, რომ რექტორს დაუყოვნებლივ გაეფორმებინა ჩემთვის ხელშეკრულება. ხუბუას სხვა გზა აღარ დარჩა და 2007 წლის თებერვლის ბოლოს დამიდო ხელშეკრულება. ავიღე მხოლოდ მარტის ხელფასი... აპრილის დასაწყისში ხუბუამ მიხმო და არავითარ შემთხვევაში არ გეტყოდით ამას, რომ არ მენახა ამ ახალგაზრდა კაცის გაფითრებული სახე, – ბატონო რეზო, თქვენ ყველაფერს მიხვდებით, ბავშვობიდან თქვენს ნოველებზე ვიზრდებოდი, თქვენი სახელმძღვანელოებიც წაკითხული მაქვს და ისიც ვიცი, რომ ერთადერთი შვილი შესწირეთ ქვეყანას, მაგრამ იმედია, სწორად გამიგებთ და მიხვდებით, რომ ეს ჩემი სურვილით არ მომხდარა... მეტს ვერაფერს გეტყვით და ხელშეკრულება უნდა გაგიუქმოთო!.. მე შემეცოდა ხუბუა, იგი შინაგანად ინტელიგენტი კაცია... რა ექნა... განსჯა ადვილია... თუ ხელშეკრულებას არ გამიუქმებდა, ხუბუას იმ საათშივე გაათავისუფლებდა ლომაია... – კარგი ჩემო გიამეთქი! – ვუთხარი და წამოვედი. ამჟამად თანამედროვე ქართული ლიტერატურის კათედრა, რომელიც მე ავაღორძინე და სული ჩავუდგი, აღარ არსებობს. გაუქმებულია გალაკტიონ ტაბიძის კაბინეტი. ჩემი კათედრის 27 წევრიდან კახა ლომაიამ უნივერსიტეტში მხოლოდ ორი დატოვა. რაც შეეხება ჩემს დატვირთვას, მყავს თერთმეტი დოქტორანტი, ხუთი მაძიებელი და ექვსი ასპირანტი. ამავე დროს ვხელმძღვანელობ ორ მაგისტრანტს და ამას ვაკეთებ უკვე ორი წელია ყოველგვარი ანაზღაურების გარეშე. კვირაში ორჯერ მოდიან ჩემი ასპირანტები ჩემთან კონსულტაციის მისაღებად და ხომ ვერ ვეტყვი მათ – ჩემი მშობლიური უნივერსიტეტი კახა ლომაიას ვერაგობით და გია ხუბუას გაუბედაობით ჩემს კუთვნილ საათებს არ მინაზღაურებს-მეთქი? სენტიმენტალური საუბარი არ მიყვარს, მაგრამ მაპატიებს ჩვენი მკითხველი ერთ ლირიკულ გადახვევას: როდესაც უნივერსიტეტიდან გაძევებული, ჩემი წიგნებით ხელში კიბეზე ჩავდიოდი, ერთადერთი ჩემი ასპირანტებიდან, ვის თვალზეც ცრემლი შევნიშნე, კახა ლორია იყო.

ვიცი, ქართველი ერი არ აპატიებს ნაძირალა ლომაიას თბილისის უნივერსიტეტის დაქცევას. მე და ჩემი კოლეგა პროფესორები ერთიმეორის მიყოლებით ინსულტ-ინფარქტის მსხვერპლნი ვხდებით, ხოლო თუ იმ დღეს მოვესწარი, რომ ჩემ მიერ დაარსებულ კათედრაზე თუნდაც კონსულტანტად დავბრუნდი, ზოგიერთ „ძე შეცთომილს“ შევახსენებ, რომ დადგება ის დრო, როცა მათ წინაშეც აღიმართება ახალი დროის ფუღუ – ახალი ლომაია, რომელიც კარისკენ უბოდიშოდ მიუთითებს მათ!..

სხვა მემორიალურ შენობებზე მოკლედ მოგახსენებთ. პრეზიდენტმა რამდენჯერ ცინიკურად განაცხადა – პრესას არ ვკითხულობო. მე მჯერა მისი. პრეზიდენტს არა აქვს იმდენი სიდინჯე, რომ ერთი საათით მაინც ჩაუჯდეს ჩვენს ოპოზიციურ გაზეთებს; მხოლოდ საგაზეთო სათაურებს თუ ჩაკრავს თვალს და ათასში ერთხელ მისი პრესთანაშემწეები თუ ჩასძახებენ სააკაშვილს – ამა და ამ გათახსირებულმა გაზეთმა თქვენზე ესა და ეს დაწერაო! მაგრამ თავისი პრეზიდენტობის ადრეულ ასაკში მოუსწრია სააკაშვილს მთელი ბეჭდვითი მედიის შეძულება. ნუთუ, ისტორია აპატიებს მას, რომ გამომცემლობა „სამშობლოდან“ გამოდევნა სიმართლის მთქმელი გაზეთები. ვინ იცის, რა მშვიდად ეძინა იმ ღამეს – „ასავალ-დასავალი“ დავარბიე, ტელეარხი „კავკასია“ დავარბიე „საქართველოს რესპუბლიკა“ დავარბიე და ქუჩაში გამოყრილები აწი წელში ვეღარ გაიმართებიანო!.. მაგრამ ჰოი, საკვირველებავ, სააკაშვილს მესამე დღესვე მოახსენეს – „კავკასია“ ისევ გავიდა ეთერში, ხოლო „ასავალ-დასავალი“ ახალი ენერგიით გაცოცხლდა და ტირაჟიც კიდევ უფრო მოემატაო!.. სასოწარკვეთილმა სააკაშვილმა „ურცხვი“ მასმედიის დასათრგუნავად ახალ ხერხს მიმართა, – ჭავჭავაძისა და რუსთაველის პროსპექტებზე საგაზეთო ჯიხურები გააუქმა, ანუ ფაქტობრივად, გაზეთების გაყიდვა აკრძალა! ელემენტარული დესპოტური თეორიაა – „არ არის გაზეთი, არ არის პრობლემა!“

მოვედით რუსთაველის პროსპექტამდე!..

მარცხნივ პანტომიმის თეატრია... ეს გახლავთ განსაცვიფრებლად ცოცხალი და უაღრესად წარმატებული თეატრი, რომელსაც ამირან შალიკაშვილი ხელმძღვანელობს. ჩემს გასამტყუნებლად შეიხედეთ ამ თეატრში და ნახავთ სავალალო სურათს – ნახევრად დანგრეულ კედლებში, მტვერში მუშაობენ მსახიობები და ამირან შალიკაშვილმა მის საოცარ, მსოფლიოში ცნობილ თეატრში კულტურის სამინისტროს ვერც ერთი თანამშრომელი დღემდე ვერ შეიტყუა. მარჯვნივ მეცნიერებათა აკადემიაა... ლომაია უმოწყალოდ გაუსწორდა მეცნიერებათა აკადემიას... სად ისწავლა მან ასეთი ზიზღი მამისტოლა ადამიანების მიმართ... გაუქმდა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები, გაუქმდა სამეცნიერო მივლინებათა და საექსპერიმენტო ხარჯები, აკადემიისგან მხოლოდ პრეზიდენტისა და ვიცე-პრეზიდენტების კაბინეტებიღა დარჩა. რა ქნას მსოფლიო სახელის მეცნიერმა – თამაზ გამყრელიძემ? „თქვენ ილია ჭავჭავაძეს ხელმეორედ მოკლავდითო!“ – დაუწერა მან „რეფორმისტების საქართველოს“, მაგრამ რომ ვერას გახდა, გაჩუმდა, გაჩუმდა უკეთესი დროის მოლოდინში!.. გაიყიდა

ქართული გამომცემლობებისა და ჟურნალ-გაზეთების კიდევ ერთი ფუძე. ყოფილი „ზარია ვოსტოკას“ შენობა... ე. წ. „სათავადაზნაურო ბანკიდან“, შემდგომში იუნკერთა კორპუსიდან, გამოაძევეს „რუსთაველის საზოგადოება“, ხოლო ოპერის წინ 125 წლის წიგნის მაღაზია „საუნჯე“ უსირცხვილოდ გაყიდეს და ჩვენ, მწერლებსა და მეცნიერებს ჩვენი წიგნები ვერსად გაგვიყიდია, თუმცა, ღრმად უწიგნური კახა ლომაია ხომ მოძღვრავს ახალგაზრდებს – წიგნის დრო წავიდაო! არ წასულა წიგნის დრო და ამაში თვით ლომაია მალე დარწმუნდება, როცა ქართული მეცნიერებისა და განათლების დანგრევაში მისი წვლილის შესწავლა-გაანალიზებით მართლმსაჯულება დაინტერესდება...

პარლამენტის ცოდვიან შენობასაც მივადექით!..

სამარცხვინოა პარლამენტის ბოლო წლების საქმიანობა. პარლამენტი არაფერს წყვეტს, პარლამენტში ოპოზიციის მხოლოდ რამდენიმე წევრია ე. წ. ცნობადი და ნათელი სახე, დანარჩენები მხოლოდ სკამებს ათბობენ და მინისტრთა კაბინეტის ტანზე მორგებულ კანონებს ერთხმად ამტკიცებენ. ერთ ფაქტს მოგახსენებთ: მთელ დედამიწაზე მარტო საქართველოა, სადაც პიროვნების დამადასტურებელ არც ერთ საბუთში მოქალაქეს ეროვნება არ უწერია. პარლამენტში ეროვნებათა საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე გახლდით და გახსოვთ, ალბათ, როგორ ვიბრძოდით ცხონებული გურამ შარაძე და მე, რათა რომელიმე საბუთში მაინც აღგვედგინა ეროვნება. სამი პიროვნება იყო თავგადაკლული მოწინააღმდეგე იმისა, რომ საქართველოში ქართველს ქართველი რქმეოდა. ესენი იყვნენ: ზურაბ ჟვანია, ნინო ბურჯანაძე და მიხეილ სააკაშვილი, თანაც სამივენი შევარდნაძეს სდებდნენ ამაში ბრალს და ძალიან რომ ავყვირდებოდი, მეუბნებოდნენ – ჩვენ რა შუაში ვართ, ამ კანონპროექტს შევარდნაძე ბლოკავსო!.. 2001 წლის სექტემბერს ზურაბ ჟვანია, ნინო ბურჯანაძე, მიხეილ სააკაშვილი და მე ედუარდ შევარდნაძესთან მივედით. გითხრათ სიმართლე, მინდოდა დავრწმუნებულიყავი, მართლა შევარდნაძე იყო თუ არა ეროვნება „ქართველის მტერი“. ჟვანიამ დაიწყო: მეო, ევროპული მოდელის მომხრე ვარო, ოღონდ ფრანგულ პასპორტში ეროვნება „ფრანგული“ წერია და იქნებ ჩვენც ეროვნება – „ქართული“ ჩაგვეწერაო!.. – თქვენ რა აზრის ხართო? – ნინოს და მიშას ჰკითხა შევარდნაძემ. – ორივე მოდელი (ტრადიციულიც და ევროპულიც) საქართველოსთვის ნაადრევია და ჯერ-ჯერობით საჭირო არ არისო! – ხაზგასმით აღნიშნა ორივემ. – რას ჰქვია ნაადრევიაო! – გაბრაზდა შევარდნაძე, – სანამ უნდა მლანძღოს საქართველომ

თქვენ გამო, თქვენ გადამკიდეთ რეზო მიშველაძე და გურამ შარაძე... შევჩერდეთ ან ერთ მოდელზე და ან მეორეზე, ბოლოს და ბოლოს!.. შევარდნაძე მერე მე მომიბრუნდა – ერთი, თუ კაცი ხარ, დაწვრილებით გამაგებინე, როგორ არის ეს საქმე სხვა ქვეყნებში და რა ვარიანტები არსებობსო!.. – ორი ელემენტარული გადაწყვეტა არსებობს ამ საკითხის, სულ ორი მოდელია, ერთი „ტრადიციული“, როცა მოქალაქეს საბუთებში კონკრეტულად თავისი ეროვნება უწერია და მეორე – „ევროპული“, როცა სახელმწიფოში ყველა მოქალაქეს ავტოქტონური ერის მოქალაქეობა უწერია-მეთქი! – ახლა ჩემი საბოლოო სიტყვა მოისმინეთო – შევარდნაძემ ბრძანა – აღარ გადადოთ ეს საკითხი, ხვალვე კენჭი უყარეთ ორივე პროექტს და რომელიც გავა, ის მივიღოთო!.. ისე არ გეტკინათ არაფერი, ძვირფასო მკითხველო, როგორც რევოლუციურმა სამეულმა საბუთებში ეროვნების შეტანა დააკანონა. ამის შემდეგ წლები გავიდა... თუ შევარდნაძე იყო ეროვნების მტერი, რატომ დღევანდელმა ხელისუფლებამ არ გაიტანა ეს პროექტი პარლამენტის სხდომაზე? ხომ ხედავთ, ჯერ კიდევ 2001 წელს აღარ უჯერებდა მოწაფეების მამაცი რაზმი ედუარდ შევარდნაძეს. პარლამენტის უმრავლესობაში დღეს წერა-კითხვის მცოდნე მხოლოდ გრიგალაშვილია, ნოდარს კი, ალბათ დრო არა აქვს, ყველა კანონპროექტი წაიკითხოს. გაგეცინებათ, იმდენი ორთოგრაფიული, პუნქტუაციური და აზრობრივი შეცდომაა ყოველ კანონში.

პარლამენტის გვერდით მეფისნაცვლის, ანუ დღევანდელი მოსწავლეთა სასახლეა! ჭირს წაუღია ყველა მეფისნაცვალი!.. ეს ისტორიული, ეროვნული შენობა გახლავთ, სადაც 1918 წლის 26 მაისს საქართველოს დამოუკიდებლობის ქარტიას მოეწერა ხელი. თუ გახსოვთ, რამდენჯერ მიიტანეს მოსწავლეთა სასახლეზე იერიში ამ ბოლო ოთხი წლის განმავლობაში. ახლა მითხრეს – ბიუჯეტი გაგვინახევრეს, რათა ჩვენი ნებით შევამციროთ წრეები და თანამშრომლების ორი მესამედი დავითხოვოთო!.. მივადექით 130 წლის ისტორიულ აფთიაქს... ეს, დიახაც, აფთიაქ-მუზეუმი გახლდათ და ასე უწოდებს მას მისი ყოფილი დირექტორი, გამოჩენილი წამალთმცოდნე – სოკრატ სალუქვაძე. დახეთ, ხელისუფლების ცინიზმს, აფთიაქი, რომელშიც აკაკი წერეთელი ყიდულობდა წამლებს, გააუქმეს, –კონკურენციას ვერ უძლებსო!.. რა კონკურენციას უნდა გაუძლოს ამ მგლურ, ბაზრულ ეპოქაში ისტორიულმა მუზეუმ-აფთიაქმა?

საშინაო პოლიტიკაში რაც გვჭირს გასაგებია, მაგრამ იქნებ საგარეო პოლიტიკა აქვს სააკაშვილს საათივით აწყობილი?

არ დაიჯეროთ! დააკვირდით, თუნდაც ერთი ნაბიჯით წავიწიეთ

საქართველოს ნომერ პირველი პრობლემის გადაწყვეტაში, – წართმეული ტერიტორიების დაბრუნებაში? ნუთუ ჩვენი საგარეო პოლიტიკის კრახი არ არის ის ამბავი, რომ რუსეთი აფხაზურ ღვინოს ყიდულობს და ქართულ ღვინოს, ხილს, ჩაის ემბარგოს უწესებს? დავკარგეთ უზარმაზარი რუსული ბაზარი, მიხეილი კი შევარდება საკონცერტო, სახელდახელო სცენაზე და კონცერტზე მიტყუებულ სტუდენტს შუბლზე თმაჩამოშლილი ეგზალტიურად უცხადებს – რუსეთმა ემბარგო დაგვიწესა, მაგრამ ხომ ვერ გაგვტეხაო? რას ჰქვია „ვერ გამტეხა“, მიხეილ? შენ რომ არ გშია, ეს იმას ნიშნავს, რომ ერთ მილიონ იმ მოქალაქესაც არ შია, ვისაც 48 ლარი აქვს პენსია? ჩვენს პრეზიდენტს, როგორც ვატყობ, მსოფლიო პოლიტიკა სერიოზულად უკვე აღარ აღიქვამს, მას აღარც თავისი მინისტრების საქმიანობა აინტერესებს, თამაშობს პრეზიდენტობანას და ბოლომდე უნდა დატკბეს თავისი პრეზიდენტობით. მიშა, ოდნავ შენიშვნასაც ვერ იტანს და სახე მოემგელება ხოლმე, როცა გაბედული ჟურნალისტები შენიშვნას შეჰკადრებენ!.. როცა ლოტოტრონის სამარცხვინო კამპანიამ საშინელი კრახი განიცადა და სკოლებში წარმოუდგენელი ქაოსია, პრეზიდენტს ყური არ უნდა აეხია სანტექნიკოს ლომაიასთვის? იციან რა, ჩვენმა მეზობლებმა, რომ საქართველოს ავტორიტეტიანი ქომაგები და პატრონი არ ჰყავს, ხომ ხედავთ, როგორ გამოიღეს ხელი. ხომ ნახეთ, თვალები რომ დათხარეთს დავით-გარეჯის ფრესკებს, ხომ ნახეთ, საინგილოში, ძირძველ საქართველოში, როგორ აკრძალეს ქრისტიანული წირვა-ლოცვა ქურმუხის მონასტერში. – თბილისში რაც ეკლესიებია, ნახევარი სომხურიაო! – უტიფრად აცხადებენ ჩვენი სომეხი ძმები, ჩვენი პრეზიდენტი კი უაზროდ იღიმება და თითქოს არაფერი მომხდარიყოს, ქვეყნის დიდი ჭირისუფალივით უდგას გვერდით უწმინდესსა და უნეტარესს – ილია მეორეს აღსაყდრების ოცდამეათე წლისთავზე. არ მოგეჩვენოთ დიდ გაბედულებად ჩემი ეს აღსარება და ჩვენი დიალოგი, მე ახალი თითქმის არაფერი მითქვამს, რაც მთელი ქვეყნისთვის ცნობილი არ არის და ისევ ჩვენს პირველ კითხვას მივუბრუნდები... ითმინა, ითმინა, ძალმომრეობა, ტყუილები, აბუჩად აგდება საქართველომ და მეტს აღარ მოითმენს. სხვათა შორის, არ მომწონს ლოზუნგი – „არ მეშინია“! როგორ შეიძლება, გიორგი სააკაძის ქვეყანაში, ოცდამეერთე საუკუნის მოქალაქეს ხელში ეჭიროს ტრანსფარანტი წარწერით – „არ მეშინია“? ასე როგორ უნდა დააშინო შენი ამომრჩეველი, საკუთარი ხალხი, რომ „არ მეშინია“! შეგკადროს? როგორ შეიძლება, პრეზიდენტი მთხოვნელებს არ იღებდეს? შემოქმედებითი კავშირების ხელმძღვანელებმა შარშან სამჯერ გავუგზავნეთ დეპეშა მიხეილ სააკაშვილს და მიღება ვთხოვეთ, მაგრამ პრეზიდენტმა პასუხის ღირსიც არ გაგვხადა, სამაგიეროდ, მიშა შემთხვევას არ უშვებს, რომ ღვაწლმოსილი ადამიანები არ დაამციროს!.. მან ორად გახლიჩა ქართველი ერი – უასაკოებად და ასაკოვნებად, ანუ ჩასარეცხებად. ამას წინათ გიგა ლორთქიფანიძის იუბილეზე 80 წლის გიგა ლორთქიფანიძეს ჯანსუღ ჩარკვიანმა უთხრა – მაგრად იყავი, გიგა, ნუ გეშინია, ჩვენ ვერ ჩაგვრეცხავენო!.. ტაშით დაინგრა დარბაზი... ვნახოთ, ვინ ვის ჩარეცხავს!.. ისტორია სასტიკია, მიხეილ, მასზე ძალდატანება არ შეიძლება! ქართველ ერთან ბოროტი და უკუღმართი თამაში არ გამოვა!.. ბოლო ოცი წლის განმავლობაში მე ჯერ არც ერთ ქართულ ოჯახში არ შევსულვარ, რომ იქ ბუხრის თავზე ან თაროზე ჩემი წიგნი არ მენახოს, მე და შენს საეჭვო ეროვნების ამალას კარგი დღე არ გადგათ და ამაში დამნაშავე თქვენ ხართ. 28 სექტემბერმა დაამტკიცა თქვენი უაზრო და ერისათვის საზიანო ფაფხურისადმი ხალხის დამოკიდებულება და უფრო მწარე გაკვეთილს უახლოესი დღეები მოგცემთ.

მე 2 ნოემბრის მიტინგზე მივდივარ, როგორც შეურაცხყოფილი მწერალი, მწერალთა სასახლის უმოწყალოდ დარბევის გამო და 2 ნოემბრის მიტინგზე მე მივდივარ, როგორც შეურაცხყოფილი პროფესორი ჩემი სათაყვანებელი უნივერსიტეტის დამხობის გამო, რომელიც სააკაშვილისა და ლომაიას ტლანქმა ხელებმა მოინელეს! მე ახლაც ყურში ჩამესმის 2 ნოემბრის მიტინგის გუგუნი...

29 ოქტომბერი, 2007 წ.

ისევ დავმარცხდით!

„თავისუფალ“, „დემოკრატიულ“ საქართველოში გაყალბებული არჩევნების შემაძრწუნებელი ფარსი კვლავ გათამაშდა.

კვლავ გაიმარჯვა ბოროტებამ, ძალმომრეობამ, ერის ინტერესების ფეხქვეშ გათელვამ, გონებრივმა სიბეცემ...

სხვადასხვა ქვეყნებს, სხვადასხვა დროს, სხვადასხვა გონებრივი ჰორიზონტის პიროვნებები განაგებდნენ, მაგრამ რაღა ჩვენ უნდა შეგვხვედროდა XXI საუკუნის პირველ ათწლეულში, სწორედ მაშინ, როცა ქვეყანა ფეხზე დგებოდა და ჭკუადინჯი თავკაცი გვჭირდებოდა, გაუწონასწორებელი წინამძღოლი?

ოპოზიციურ ტელევიზიას ვთხოვთ ერთხელ კიდევ უკომენ-

ტაროდ უჩვენოს, როგორ ჩარბის კიბეზე თავის ერთგულ უმრავ-ლესობასთან შესახვედრად სააკაშვილი, და თუ იმ სურათის ნახვის შემდეგ, მის სიბრძნე-სიდინჯეში ეჭვი მაინც არ შეგეპარებათ, ჩვენ, ქართველ მწერლებს – ადამიანის სულიერი წონასწორობის გამოცნობაზე პრეტენზიის მქონეთ, მართლაც რომ არაფერი გვცოდნია.

სააკაშვილს რაც სჭირს, დაბადებიდან დაყოლილი, მისი პირადი პრობლემაა, მაგრამ ქართველმა ერმა რა დააშავა? რატომ გაგვწირა ამერიკამ კიდევ ხუთწლიანი ტანჯვისთვის?

იქნებ საქართველო შეცდა? არა და არა, ბრძენი ქართველი ხალხი არასდროს ცდება. ოფიციალურ მონაცემებს თუ დავეყრდნობით, სააკაშვილმა თბილისში არჩევნები პირწმინდად წააგო.

არა და, სწორედ თბილისია საქართველოს ინტელექტუალური ცენტრი. სწორედ თბილისი გამოხატავს, ძირითადად, საქართველოს წონასწორობას და სულიერ განწყობილებას.

ეს იმას ნიშნავს, რომ სააკაშვილი ქართველ ხალხს არ აურჩევია.

მისი პრეზიდენტობა (ისევ ოფიციალური მონაცემებით) ნაციონალურ უმცირესობათა რაიონებში აღებულ ხმათა 90-მა პროცენტმა გადაწყვიტა.

გაიხსენეთ, როგორ იხვეწებოდა ამირჩიეთო, როგორ დახტუნაობდა იაფფასიან მომღერლებთან ერთად სცენაზე, როგორ იყო გადაყვითლებული მთელი საქართველო სააკაშვილის ავტობუსებით. რა დღეში ჰყავდა პრეზიდენტობის სხვა კანდიდატები. ბოლო არ უჩანდა მათს აბუჩად აგდებას, ცილისწამებას, შევიწროვებას... შეშინებული კანდიდატები აქეთ-იქით აცეცებდნენ თვალებს, რომ ნაციონალისტი ხულიგნები არ მიჰპარვოდნენ და ზურგში ქვა არ ედრუზათ.

ვინ დგას დღეს თვითმარქვია პრეზიდენტის გვერდით, ჩანდა 20 იანვარს პარლამენტის მოედანზე თუნდაც ერთი სახელოვანი, ეროვნული კაცი? ზუმბას, ლექსსენის, ზვიოს მეგობარო „პრეზიდენტო“, ნუთუ გგონია, რომ საქართველომ დაიჯერა ე. წ. ინაუგურაციაზე წარმოთქმული შენი ყალბი, პიონერულ-კომკავშირული სიტყვა?

ხელისუფლებამ ხალხს ხმები მოჰპარა და არჩევანის უფლება წაართვა.

შეურაცხყოფილია ახლა მთელი გონიერი საქართველო.

ქართული მწერლობა იმთავითვე უორჭოფოდ განუმარტავდა ერს, რომ ხელისუფლება, რომელმაც ეროვნება „ქართველი“ და მამის სახელი გააუქმა, ეროვნული წისქვილები დაამხო, ეკლესიები დაანგრია და ჯვრები დაამხო, ქვეყანას განათლება მოუშალა და ყოველგვარი ეროვნული სიმდიდრე გაუყიდა, 7 ნოემბერს საკუთარ

ხალხს ცეცხლითა და მახვილით გაუმასპინძლდა, თავისუფალ, ობიექტურ არჩევნებს არ ჩაატარებდა.

სამწუხაროდ, ოპოზიციის ოპორტუნისტმა ლიდერებმა, რაკიღა სააკაშვილმა მათ საპრეზიდენტო სატყუარა გადაუგდო, იმწამსვე აპატიეს სააკაშვილს 7 ნოემბრის დანაშაული და ეროვნული დაუმორჩილებლობის გამოცხადების ნაცვლად, საპრეზიდენტო მარათონში ჩაებნენ.

როცა საკუთარი ხალხისადმი ხელისუფლების ზიზღმა კულმინაციას მიაღწია და დოყლაპია ლიდერები სააკაშვილმა ერთხელ კიდევ გააცურა, 13 იანვარს ლამის მთელი საქართველო შეგროვდა რესპუბლიკის მოედანზე.

„ლიდერებმა“ მრავალსაათიანი „ცეცხლოვანი“ გამოსვლებით „დაპურებული“ 200 000-იანი ლაშქარი მშვიდად ჩაასეირნეს რუსთაველზე და პირში ჩალაგამოვლებულები შინ გაუშვეს.

თითქმის ასე მოხდა 20 იანვარს.

საჭირო კი იყო, „ბელადებს“ ეს ლაშქარი პარლამენტის წინ შეეჩერებინათ, გამოეყოთ 9-კაციანი დელეგაცია და პრეზიდენტისაგან დაუყოვნებლივ მოეთხოვათ არჩევნების მეორე ტურის დანიშვნა, ან ხმების ხელახლა გადათვლა, იქვე, ადგილიდან დაუძვრელად, ხელისუფლების პასუხს უნდა დალოდებოდნენ.

მაგრამ ეს არ შედიოდა ოპოზიციისა და პოზიციის ფარული მოლაპარაკების სცენარში.

საქართველოში დროის გასატარებლად, საქეიფოდ და სააშიკოდ ჩამოსული უცხოელი დამკვირვებლები, რომელთა უმეტესობა გაგანია არჩევნების დროს ნაციონალისტთა მიერ გაშლილ სუფრას არ მოშორებია, ჯერ ხმების დათვლა არ დაწყეუბლიყო და მსოფლიოს გასაგონად აცხადებდნენ: რომ არ ველოდით, ისე დემოკრატიულად და ობიექტურად, ექსცესების გარეშე ჩატარდა საქართველოში არჩევნებიო.

„ექსცესებს“, ალბათ იმას ეძახიან, ხმის მიცემის დროს ყელს თუ გამოსჭრიან ვინმეს, ან ყურს თუ მოაჭამენ.

დასავლეთი ხომ კარგა ხანია მასხარად გვიგდებს, მაგრამ არც ჩვენი დამკვირვებლები გამოირჩეოდნენ დიდი გულმოდგინებით.

დამარცხების მიზეზები ჩვენს თავშიც უნდა ვეძებოთ.

სიმწრით გაცოცხლებულმა „იმედმა“ სწორედ მაშინ, როცა ხალხს საარჩევნოდ ჰაერივით სჭირდებოდა მართალი სიტყვა, სრულიად მოულოდნელად, მაუწყებლობა შეწყვიტა და ამით, ნებით თუ უნებლიეთ, ეროვნულ მოძრაობას უღალატა.

„გაერთიანებული ოპოზიციის“ ლიდერებს ღალატს ვერ დავწამებთ, მაგრამ გადამწყვეტ მომენტებში ისინი უნიათონი აღმოჩნდნენ და „მე ხომ არაფერი მამივას“ გულამრევ პოლიტიკას დაადგნენ.

მათი სასაცილო „ჯენტლმენობა“, სამწუხაროდ, კრახით დამთავრდა.

საარჩევნო-საპრეზიდენტო დოღში თავიანთი მრავალსაათიანი „ბრძნული“ გამოსვლების დროს პრეზიდენტობის არც ერთ კანდიდატს ხელისუფლების მიერ ჩადენილ დანაშაულთა ჩამოთვლისას არ გახსენებია ტრიბუნაწართმეული, დარბეული ქართული მწერლობა, „სამშობლოდან“ გამოძევებული თავისუფალი მასმედია, დღისითმზისით შუა ქალაქში უმოწყალოდ დახვრეტილი ეროვნული გმირი – გურამ შარაძე.

...და რაც მთავარია. არც ის გახსენებიათ, როგორ ჩაიგდო ძალაუფლება ხელში 2003 წლის 23 ნოემბერს მიხეილ სააკაშვილმა.

ახლა ჩვენი „შეუპოვარი სარდლები“ ერთმანეთს ასწრებენ ხელისუფლებასთან „ფარულ მოლაპარაკებაზე“ და მშობელ ხალხს ახალ ალიკაპს სთავაზობენ; საგაზაფხულო საპარლამენტო არჩევნებისთვის მოვემზადოთ, რაც იყო, იყო, პირობას გაძლევთ, ხელისუფლება საპარლამენტო არჩევნებს ვეღარ გააყალბებსო.

ჩვენ კი, ქართველი მწერლები ვაცხადებთ გააყალბებს და მერე როგორ!

ან რა შეღავათი იქნება ჩვენი შეურაცხყოფილი, უმუშევრობით დატანჯული, მოტყუებული ქართველი ერისთვის სააკაშვილი ათიოდე „ბელადს“ რომ თავზე ხელს გადაუსვამს და პარლამენტში დაისვამს, აქაოდა, შემომხედეთ, რა დემოკრატი ვარო.

ჩვენ, ილია ჭავჭავაძის ანდერძის მიმდევარი ქართველი მწერლები, სკამისკენ მზერაგაქცეულ პოლიტიკოსთა ბინძურ თამაშებში ვერ ჩავებმებით და ჩვენკენ ერის მოპყრობილ იმედიან მზერას ვერ ავირიდებთ, ამიტომაც საჯაროდ ვაცხადებთ:

სააკაშვილი ჩვენი პრეზიდენტი არ არის და ვერც ვერასდროს იქნება, რაკიღა იგი ქართველ ერს არ აურჩევია.

ჩვენ კვლავაც თანმიმდევრულად ვამხელთ ამ ხელისუფლების მიერ ჩადენილ ყველა დანაშაულს.

ჩვენი ყურადღებისა და ზრუნვის საგანი ძველებურად ერის ჭეშმარიტი გულისთქმა იქნება და, როგორც მგოსანმა ბრძანა: „ვინც არ არის კახაბერი, მას ვერ ვიტყვით, კახაბერად“.

2008 წ.

20 რჩევა პრეზიდენტს

გირჩევ პრეზიდენტო!

შენ ახალგაზრდა კაცი ხარ.

ეს-ესაა პრეზიდენტობის პირველი კლასიდან მეორეში გადახვედი.

საქართველოს მტერი უნდა ვიყო, რომ კრიჭაში ჩაგიდგე.

ჯერ ერთი, ჩემთან შედარებით ბავშვი ხარ და შენი ჩაკირკიტება არ მეკადრება. მეორეც, შენი თავისმოჭრა და დამარცხება საქართველოს დამარცხებას ნიშნავს, რაკიღა დროებით წინამძღოლად დაგიგულა ჩემმა სამშობლომ.

ამიტომაც ჩემი მოვალეობაა კარგზე კარგი ვთქვა, ნაკლზე მიგითითო, გირჩიო, სწორ გზაზე დაგაყენო.

არა ხარ შენ იმ დონის კაცი, რჩევა და ჭკუის დარიგება რომ არ გჭირდებოდეს.

როგორ დაგიკარგავ: კარგია, რომ ქვეყანაში კორუფცია ოდნავ შემცირდა, რომ პოლიციის პატრული გაჩნდა, რომ მანქანის ტექდათვალიერება გაუქმდა, რომ თოთხმეტლარიანი პენსიები გაორმაგდა, რომ გადაუდებელი სასწრაფო დახმარება და მშობიარობა უფასოა, რომ საქართველოდან რუსეთის სამხედრო ბაზების გატანას კარგი პირი უჩანს, მაგრამ თუ დამეთანხმები, ეს ჯერ მხოლოდ ზღვაში წვეთია და შეცდომები ბევრად სჭარბობს მიღწეულს.

თუ ყურადღებით მოეკიდები ჩემს კეთილ რჩევებს, ხომ კარგი; თუ ხელს აიქნევ (რევაზ მიშველაძემ რა უნდა მასწავლოსო), პრეზიდენტობის მეხუთე კლასამდე მისვლა გაგიჭირდება.

მაშ ასე, პრეზიდენტო, გირჩევ ერთი ქართველი მწერალი:

რჩევა პირველი

არ გეწყინოს, თუ პირდაპირ გეტყვი, პრეზიდენტო, რომ საქართველოს შენსავით ცუდადმეტყველი სახელმწიფო მეთაური, ალბათ არც ერთ საუკუნეში არ ჰყოლია.

დაიწყებ თუ არა გამოსვლას, მაშინვე ნერვიულობა გიპყრობს, სახეზე გამომეტყველება გეცვლება, გაბრაზებულის იერით ლაპარაკობ, კაცს ეგონება, ჩანს, თვითონაც არ სჯერა, რასაც ამბობსო.

შენ ხომ ფიდელ კასტრო არა ხარ, უწარსულო კუნძულის პირველი პირი, შენ რუსთაველის და დავით აღმაშენებლის ქვეყნის პრეზიდენტი ხარ და მეტი სიდინჯე, თავდაჭერილობა გმართებს.

რას ჰგავდა შენი გამოსვლები ნაციონალისტური პარტიის ყრილობაზე ან ამას წინათ პარლამენტში.

უნიჭო კაცი არა ხარ და, თუ თავს მოთოკავ, საჯარო მეტყველების ეს ნაკლი შეგიძლია გამოასწორო.

მოატანინე შენს თანაშემწეებს შენი გამოსვლების ვიდეოჩანაწერი და ყურადღებით მოუსმინე.

აზროვნება უსწრებს შენს მეტყველებას. ძალიან ენდობი შენს მეხსიერებას და ჩანს, გამოსვლისთვის გულდაგულ არ ემზადები.

წინადადება დამთავრებული არა გაქვს, ამ დროს ახალი აზრი გიჩნდება თავში, დაწყებულ წინადადებას შუაზე წყვეტ და ახალს იწყებ.

ამით შენც იღლები და მსმენელსაც ტანჯავ.

აღარაფერს ვამბობ იმაზე, რომ სიტყვების მარაგი ძალიან მწირი გაქვს და საპრეზიდენტო ლექსიკაში ზოგჯერ ქუჩური სიტყვებიც შემოგაქვს.

ეცადე, სიარულის მანერაც უფრო დახვეწო.

ნუ ჩქარობ და ხელებს უაზროდ ნუ მიიქნევ.

ღიმილსაც მეტი ფასი დასდე ხოლმე.

ნურც იპირქუშებ და წარამარა უაზროდ ნუ იღიმები.

როცა საჭიროა, გაიღიმე და ისე გაიღიმე, რომ პრეზიდენტის ღიმილი ცის გახსნას ჰგავდეს.

ერთი სიკვდილი გავათავე, ახლახან იტალიაში შენებურად, ჯიქურ რომ მიიჭერი მიკროფონთან და ღრმადქართულაქცენტიანი ორიოდე ინგლისური ფრაზა სტყორცნე დარბაზს.

მასპინძელმა თავაზიანად შეგაწყვეტინა, თუ შეიძლება, მშობლიურ ენაზე ილაპარაკეო.

მიწა რომ გამსკდომოდა, მერჩია ამის შემყურეს.

ჯერ ერთი, როგორც სპეციალისტები ამბობენ, არ იცი, მიშა, შენ იმ დონეზე ინგლისური, რომ სახელმწიფოს წინამძღოლის რანგში პოლიტიკური გამოსვლა შეძლო.

იქ ენის უმნიშვნელო ნიუანსიც გასათვალისწინებელია.

შეიძლება ერთმა შორისდებულმა გამოსვლის მთელი შინაარსი შეცვალოს.

რა იგრძნობოდა, იცი, იტალიის პრეზიდენტის შენიშვნის ქვეტექსტში? – ძვირფასო სტუმარო, თუ პაპუასი არა ხარ და მშობლიური ენა გაგაჩნია, შენს ერს შეურაცხყოფას ნუ აყენებ და მშობლიურ ენაზე ილაპარაკეო.

მეორეც, საერთაშორისო დიპლომატიის ყველა სახელმძღვანელო იმით იწყება, რომ პრეზიდენტმა ოფიციალურ გამოსვლებში თავის მშობლიურ ენაზე უნდა ილაპარაკოს.

ვთქვათ, შენ ნერვიულობაში მხედველობიდან გამოგრჩა ეს წესი, ოქმის („პროტოკოლის“) უფროსმა მაინც არ უნდა შეგახსენოს?

იტალია ხომ ახალქალაქი არ არის, მოხუც სომეხ ქალბატონს მის მშობლიურ ენაზე რომ მიუალერსო: „ბაბოჯან, ვონცეს ცავატანემ?!“

რჩევა მეორე

უაღრესად გადატვირთული დღის რეჟიმი აქვსო, გამთენიის ოთხ საათამდე ზის კაბინეტში და მუშაობსო, ამოვიკითხე ამას წინათ შენი მომხრე გაზეთის ერთ-ერთ გვერდზე.

ღმერთმა გაძლება მოგცეს, მაგრამ რა ეტყობა ამ ქვეყანას, მისი პრეზიდენტი რომ ღამეებს ათენებს „მშრომელ მასებზე“ ფიქრში?

ახლაც თვალწინ მიდგას „რევოლუციური ქრონიკის კადრები“: ხალხი „მიშა! მიშას“ ძახილით ფუტკრებივით გეხვეოდა.

ბედნიერად გრძნობდა თავს, ვინც მოგწვდებოდა და ხელს ჩამოგართმევდა.

სად წავიდა, სად ჩაიკარგა, მიშა ის სიყვარული?

მეგონა, ბოლომდე საზოგადო პრეზიდენტად, გულღია, მოსიყვარულე მიშად დარჩებოდი.

შევცდი, როგორც ჩანს.

ახლა რომ ქუჩაში თხებივით გამორეკილ, შიმშილისაგან გაწამებულ მოქალაქეებში გაერიო, შეიძლება ბაკენბარდები დაგაგლიჯონ.

წელიწადზე მეტია პრეზიდენტი ხარ და როგორც მითხრეს, ერთი უბრალო მოქალაქეც არ მიგიღია, რათა მისი სატკივარი მოგესმინა და სალბუნი დაგედო.

თურმე მიღების საათებიც არ გაქვს.

არადა ყველას შენკენ აქვს იმედის მზერა მიპყრობილი, ყველა შენ გწერს, ყველა შენგან ელის სამართალს.

არ შეიძლება, შეუღწეველი გახდეს პრეზიდენტი.

რად უნდა, შე კაი კაცო, მინისტრების სავარძელთა ცვლას დილის 4 საათამდე კაბინეტში ჯდომა?

მინისტრთა კაბინეტის მრგვალ მაგიდასთან მსხდომთა თანმიმდევრობას ნომერი შეუცვალე. ეგ არის და ეგ.

უბრალო მოქალაქის (ხაზს ვუსვამ) თხოვნა შენი კაბინეტიდან შენივე რეზოლუციით თითქმის არ გამოდის.

მე ნუ შემომიტანთო, გაფრთხილებული გყავს თანაშემწეები, პირდაპირ გადააგზავნეთ, სადაც ჯერ არსო.

„სად ჯერ არს“, პრეზიდენტო, ამას ხომ კომუნისტები აკეთებდნენ.

ცეკას მეთოდებს არ უნდა გაშორდეს შენი კანცელარია?

დაავალე, „ვისაც ჯერ არს“, ორ კვირაში მაინც გამოგიძებნოს დრო, თუნდაც სამი საათი, იმ ადამიანების მისაღებად, ვისაც არ აკმაყოფილებს კანცელარიის ნომერი და სურვილი აქვს უშუალოდ თავის პრეზიდენტს უთხრას თავისი სათქმელი.

არ გაყოყოჩდე, არ გაამპარტავანდე, თავმდაბლობა ამშვენებს ყველას და, მით უმეტეს, მაღლა მდგომს.

დაგავიწყდა წინასაარჩევნო დაპირებანი და ინაუგურაციის დროს წარმოთქმული სიტყვა: ვფიცავ, თქვენს უფლებებს დავიცავ და თქვენი პრეზიდენტი ვიქნებიო?

ხალხს ნუ მოწყდები, მიშიკო, ხალხის თანადგომა შენ მხოლოდ არჩევნების დროს კი არა, ყოველდღე, ყოველ ნაბიჯზე გჭირდება.

მსოფლიოში არც ერთი პრეზიდენტი არ ზის ღამის ოთხ საათამდე კაბინეტში და, ალბათ დამეთანხმები, არცთუ შენზე ნაკლებად აქვთ საქმე აწყობილი.

გირჩევ, დიდი-დიდი, დილის ოთხის-ნახევრამდე მოილიო სახელმწიფო საქმეები, მერე შინ წაბრძანდე და დაისვენო.

რჩევა მესამე

დიდზე დიდი უბედურება, რაც შენი მმართველობის ეპოქაში საქართველოს თავს დაატყდა, ყველაფრის გაყიდვა-გასხვისების ნიაღვარია.

საქართველოში გაიყიდა მიწა, გაიყიდა წიაღისეული, გაიყიდა სანაოსნო. სტრატეგიული ობიექტები...

რა დაგიშავა ასეთი შენმა ქვეყანამ, მიხეილ, რომ ხვალინდელი დღის პერსპექტივას უმოწყალოდ უსპობ?

რატომ განუმტკიცებ ხალხს ყოველდღე ეჭვს იმის შესახებ, რომ საქართველოში არაეროვნული ხელისუფლება მოვიდა?

არ შეიძლება არ იცოდე, რომ როცა რკინიგზას და ნავსადგურს უცხოელზე გაყიდი, ყოველგვარ ექსპორტ-იმპორტით იმ უცხოელზე დამოკიდებული რჩები და ნიადაგ უნდა ეღრიტინო, შენი ჭირიმე, ეს ტვირთი იქამდე მიმატანინეო.

ახალი პატრონი კი ისე წაგიჭერს ყელში, რომ პერანგს გაგაყიდვინებს.

ცოტაა ამის მაგალითი?

ამ გზით არ აქციეს ევროპელებმა და ამერიკელებმა ნახევარი მსოფლიო თავიანთ კოლონიებად?

ორასი წელია საქართველო რუსეთის კლანჭებიდან თავის დაღწევას ლამობს. ამ ბოლო დროს ისტორიამ გაგვიღიმა, მართალია, ჯერ რუსის ჩექმა (სამხედრო ბაზები) ბოლომდე ვერ მოვიცილეთ, მაგრამ მაინც დამოუკიდებელი ქვეყანა გვქვია.

შენ კი, ქართველი ერის ნების საწინააღმდეგოდ, რუსებს მიჰყიდე მთელი ენერგოსისტემა თავისი ენერგომატარებლებით.

მიშა, ქვეყანას ის მართავს, ვის ხელშიც გაზი და ელექტროენერგიაა. ხომ ხედავ, რუსს უკვე შენი ღიმილის აღარ სჯერა, მიუხედავად პუტინისადმი აღვლენილი ძმობის ფიცისა, რუსული მასმედია უმოწყალოდ გაკრიტიკებს.

გადაკეტავს ერთ მშვენიერ დღეს გაზსა და დენს რუსი და ერთ კვირაში დამთავრდება შენი პრეზიდენტობა.

თუ ქვეყანაზე არ ფიქრობ, შენ თავზე მაინც იფიქრე.

ასეც არ იყოს, ამერიკა (ვინც გაგაპრეზიდენტა) მოგიწონებს სტრატეგიული ობიექტების რუსეთზე გასხვისებას?

ხომ ხედავ, უკვე გაგრძნობინეს უკმაყოფილება შენი ერთწლიანი პრეზიდენტობის თითქმის უარყოფითი შეფასებით.

რაში გაძლევ, შე კაი კაცო, მილიონებს, რატომ გიმაგრებ ჯარს და გიწვრთნი რეზერვისტებს, თუ შენ ისევ რუსს მიეწეპებიო, ფიქრობს ამერიკა.

იცოდე, მიშა, ჭიათურმანგანუმისა და ნავსადგურის გაყიდვაში აღებული ფული მალე შემოგეჭმევა და გაცემულს ვეღარასოდეს დაიბრუნებ.

ახლა საქართველო საერთაშორისო სამართლის სუბიექტია, გაყიდულს ვეღარ წაართმევ მყიდველს, სამუდამოდ იკარგება ის, რაც შენ, ჟვანიამ, ბურჯანაძემ და რუსეთის მსტოვარმა ბენდუქიძემ გაყიდეთ.

რატომ არ ფიქრობ იმაზე, რომ საქართველოს მიწა, ზღვა და წიაღისეული ისევე ეკუთვნის 25-ე საუკუნის ქართველს, როგორც თანამედროვე საქართველოს.

მართალია, ახლა შენ ქვეყნის გასხვისებისათვის ყურში ხელს ვერავინ მოგკიდებს, მაგრამ, როცა პრეზიდენტი აღარ იქნები, რა პასუხს მისცემ ერის სამსჯავროს?

რა პასუხს აძლევ შენსავე შვილებსა და შვილიშვილებს?

იფიქრე ამაზე.

რჩევა მეოთხე

ყოველი რევოლუცია იმითაც არის არაჯანსაღი თავისი საბოლოო შედეგებით, რეგრესული მოვლენა, რომ იგი ტლანქია და სასტიკი.

არათუ შენთვის შევარდნაძის მიერ სინით ხელისუფლების გადმოცემის ფარსი (შენ რომ „ვარდების რევოლუციას“ უწოდებ), არამედ თავისი მასშტაბებით ისეთი უზარმაზარი „რევოლუციებიც“ კი შეთქმულებებად შეაფასა ისტორიამ, როგორიც იყო რუსეთის თებერვლისა და ოქტომბრის რევოლუციები.

დიდი ტაქტი, იუველირის სიფაქიზე გჭირდებოდა შენ, რომ ყველასა და ყველაფრისადმი ობიექტურობა, ზომიერება შეგენარჩუნებინა, თაობები ერთმანეთისთვის არ დაგეპირისპირებინა და ხალხი წონასწორობიდან არ გამოგეყვანა.

გადახედე რა ხდება ქვეყანაში.

შენი სახელით საჯაროდ შეურაცხყოფენ, სამსახურებიდან სდევნიან, დასცინიან მრავალჭირგამოვლილ, დამსახურებულ ადამიანებს.

ანგარიშს უსწორებენ იმათ, ვის ბეჭებზეც თქვენი თაობა ამოიზარდა.

რატომ არ ფიქრობ, მიშა, რომ რევოლუციის სახელით უფროსი თაობის, სახელოვანი მეცნიერებისა და საზოგადო მოღვაწეების აუხსნელი ხეპრული იგნორირებით, შენ შეურაცხყოფას აყენებ, პირველ რიგში, შენს მშობლებს, შენს ბებიებსა და ბაბუებს.

რა შენი გასათავისუფლებელია სამსახურიდან ბრწყინვალე ქართველი რეჟისორი „დათა თუთაშხიას“ ავტორი გიგა ლორთქიფანიძე?!

და... რომელი ერთი ჩამოვთვალო.

იცი, რას ამბობს ხალხი? ეს ყოველივე პათოლოგიური, გონჯი ახალგაზრდების შეტევაა საქართველოს წინააღმდეგო.

გადახედე შენს კაბინეტს. ძალიან ბევრი ხომ არ დაგიგროვდა ღრანჭმოქცეული, ენაბლუ, გონებაბრმობილი, ავადმყოფურად მოაზროვნე?

როცა საზოგადოებრივი აზრი ჩაგძახებს, მოიშორე სექსუალურად და გონებრივად გადახრილი ხალხი, თუ გინდა, ოჯახში დაპატიჟე, მაგრამ სამსახურში უფროსად ნუ გყავსო, შენ ენას უყოფ იმ საზოგადოებრივ აზრს და პათოლოგიურ ადამიანებს ჯიუტად აწინაურებ...

რაო, მიშა, მე ვარ და ჩემი ნაბადიო?

შენ ხომ მარტოოდენ იმ ერთი მუჭა ახალგაზრდების პრეზიდენტი არა ხარ, პარლამენტში რომ შევარდნენ ველური ხარხარით, ხოლო ათიოდე წუთის შემდეგ პრეზიდენტის სკამს (რომელზეც ახლა შენ ზიხარ) ცეცხლი წაუკიდეს. შენ სრულიად საქართველოს პრეზიდენტი ხარ და ყველა თაობა ერთნაირად ძვირფასი უნდა იყოს შენთვის.

დასავლური ორიენტაციის ვარო, ყური რომ წაგვჭამე, დასავლური ორიენტაცია უფროსი თაობისადმი, მათი ღვაწლისადმი პატივისცემას არ ნიშნავს?

რომელი ხელისუფლება სდევნის გამოცდილ პროფესიონალებს და გამოუცდელ, არაპროფესიონალ, უწიგნურ ახალგაზრდებს აწინაურებს?

რამდენი წლის გგონია ჩეინი? ამერიკის თავდაცვის მინისტრი დონალდ რამსფელდი სამოცდაათს კარგა ხანია გადაშორდა, ისრაელის სახელმწიფო მეთაური არიელ შარონი 73 წლისაა. რაღა შორს წავიდე: ახლახან რომ იტალიას ეწვიე, 83 წლის პრეზიდენტი იყო შენი მასპინძელი.

ბრძნული ქართული ანდაზა იცი, რას ამბობს?

„ახლისა ნამუდრეგალსა ბებრის სჯობია ჩანჩალიო“.

ეხ, მიშა მიშა, ვაითუ თქვენი ნამუდრეგალი მალე ჩვენი გასასწორებელი გახდეს.

რჩევა მეხუთე

მთელ მსოფლიოში ერთი საერთაშორისო უწყებაც არ აღმოჩნდა, შენ მიერ მოწყობილ პოლიციურ თავდასხმებს, სახელმწიფო რეკეტს რომ სამართლებრივად მიიჩნევდა.

ჯერ ერთი – დაპატიმრების ფორმა იყო საშინელი:

ნიღბიანი სპეცრაზმელები მიუვარდებოდნენ კაბინეტში მინისტრს ან დეპარტამენტის თავმჯდომარეს და თითქოს გაქცევის მცდელობისას ან შეიარაღებული წინააღმდეგობის გაწევისას დავაპატიმრეთო, ხელფეხგადაგრეხილს და ქეჩოში ხელწავლებულს ოპერმანქანებისაკენ მიაჩიქჩიქებდნენ.

მე შორს ვარ იმ აზრიდან, რომ უდანაშაულო ადამიანებს აპატიმრებდით, მაგრამ გულზე ხელი დაიდე და თქვი: „პირადი ანგარიშიც ხომ არაერთს გაუსწორეთ?“

ვიღაცამ, სადღაც, რაღაც რომ გაწყენინათ, ხომ პირველ რიგში იმათ დაერიეთ და „მთავარ ღლავებს“ მიზეზთა გამო სხვათა და სხვათა (ან ადრე გაფინანსებდათ, ან ოჯახის წევრებმა გთხოვეს...) ხომ თვალი აარიდეთ?

ახლა თვით რეკეტზე.

ძველი ჩინოვნიკების დაპატიმრებისთანავე ძიება წყდებოდა და გარიგება იწყებოდა – ამდენი და ამდენი გადაიხადე და გაგიშვებო.

სად, რომელ ქვეყანაში ნახე ან გაიგონე, მიშა, ასეთი რამ?

რით განსხვავდებოდა „ბიუჯეტის შევსების“ ეს მეთოდი ჩვეულებრივ ყაჩაღის მეთოდისაგან, ფულიან კაცს რომ მოიტაცებ და

დიღმის ტყეში დილეგში მანამდე ჩააყუდებ, სანამ ჭირისუფლები გამოსასყიდს არ მიუტანდნენ.

სხედან ახლა შენ მიერ სულიერად და ეკონომიკურად კასტრირებული შევარდნაძის კადრები სახლებში, სხედან და ვერ გაურკვევიათ, რა მოხდა, რა მეხი დაატყდათ თავს, რა ღვთის რისხვა დატრიალდა მათ ბარობაზე.

დაჭერილი რომ მილიონებს მოიტანს, მან უკვე აღიარა დანაშაული, მაგრამ კანონს რომ არ ეთანხმება მისი დაჭერა და გამოშვება?

ან უდანაშაულობის პრეზუმფცია სად არის, ან დაჭერილ-გამოშვებულს მორალურ ზარალს ვინ აუნაზღაურებს?

რაო, მე ვარ და ჩემი ნაბადიო?

როცა შენმა საყვარელმა დასავლეთმა მიგითითა, არ ხარ მართალიო, იკადრე და უკან დაიხიე. ახლახან განაცხადე: ახლა პარლამენტში კანონი შემოგაქვს, კაცს დავიჭერთ, ფულს წავართმევთ, მაგრამ გაშვებით აღარ გავუშვებთო.

ეს – უარესი.

კაცი ფულის საშოვნელად კი არ უნდა დაიჭიროთ, არამედ კანონის ძალით დააკავოთ დამნაშავე, გაასამართლოთ და, რასაც სასამართლო მიუსჯის, ისე უნდა მოექცეთ.

თუმცა კანონიც თქვენია და სამართალიც.

თქვენვე სჭრით და თქვენვე კერავთ.

ახლა სხვა მხრიდან შევხედოთ ამ სამართლებრივ ორგიებს.

რატომ არის გასაიდუმლოებული, რამდენი მილიონი შემოვიდა „სახელმწიფო რეკეტის“ საშუალებით, სად არის ეს ფული, ან, თუ დაიხარჯა, რას მოხმარდა?

ეს ფაქტი ყველაზე უფრო გამჭვირვალედ უნდა გექციათ, რომ ხალხისათვის მითქმა-მოთქმის საბაბი არ მიგეცათ – მავანსა და მავანს სინამდვილეში 10 მილიონი წაართვეს და „ფონდში“ მხოლოდ 2 მილიონი შეიტანესო.

რჩევა მეექვსე

თავხედობას შეიძლება, გარემოებამ ზღვარი დაუდოს, კრეტინიზმი კი უსაზღვროა.

ახლახან პარლამენტის შენობასთან იდგნენ თეთრხალათიანი ყმაწვილები.

იდგნენ წვიმასა და ქარში, ბელურებივით მობუზულები.

სახეზე სევდა და სასოწარკვეთა ეხატათ. ხელთ ტრანსპარანტები ეჭირათ.

ტრანსპარანტებზე გოგებაშვილის ასოებით მოწაფური ხელით ეწერა: „მიშა, რატომ მოგვატყუე?“

მიშა ამ დროს იტალიაში სეირნობდა, ქალაქის მერი ინგლისელ კოლეგებს უზიარებდა თავის დაკვირვებებს ფალოსის კულტისა და ქანდაკებების ურთიერთმიმართების შესახებ, არც პარლამენტის თავმჯდომარე ბრძანდებოდა თბილისში.

ჩვენი თეთრხალათიანი შვილიშვილები დილიდან საღამომდე ამაოდ შესცქეროდნენ პარლამენტის შენობის სამუდამოდ დაგმანულ ფანჯრებს.

ბოლოს, როგორც იქნა, გამოჩნდნენ ძლიერნი ამა ქვეყნისანი.

რა ყაყანია, რაზე გარჯილხართო, საყვედურიანი მზერა შეავლეს მომიტინგეებს.

ჩვენაო, სამედიცინო კოლეჯის სტუდენტები ვართო, ბავშვებმა.

იყავით, მერე ვინ გიშლითო, განათლების სამინისტროს სიმპათიურმა წარმომადგენელმა.

გამოგვიცხადეს, რომ ეროვნული მისაღები გამოცდები უნდა ჩავაბაროთო.

სწორად გამოუცხადებიათო, ჩინოვნიკმა.

კი მაგრამ, ჩვენ უკვე სამი წელია სამედიცინო ინსტიტუტის პროგრამით ვსწავლობთ და ხელშეკრულების მიხედვით მესამე კურსზე უნდა ჩავერიცხეთო.

„უნდა“ გრამაფონშიაო, განათლების სამინისტროს მკაცრმა წარმომადგენელმა, – გაუქმდა კოლეჯობია, ყველამ ეროვნული გამოცდა უნდა ჩააბაროთო.

– მოწყალეო ხელმწიფევ, კანონს ხომ უკუქმედების ძალა არ გააჩნია. ჩვენ ხომ, ხელშეკრულების თანახმად, სამი წლის წინ ჩაგვრიცხეს ინსტიტუტში, რა უფლების ძალით გვრიცხავთ?! – ტიროდა წვრილკისერა მოტყუებული ბიჭი.

– ეროვნული გამოცდები ყველამ უნდა ჩააბაროთ! – ენა კინაღამ გადმოუვარდა პირიდან წონაში კატასტროფულად დაკლებულ ცრუოპოზიციონერს.

– თუ ასეა, ჩამოართვით დიპლომები ხუთი წლის წინათ კურსდამთავრებულებს, გაუუქმეთ სამეცნიერო ხარისხი ბაბუაჩემს, რომელიც 30 წელია პროფესორია! – ჰყვიროდა ოქროსკულულებიანი გოგონა.

– ეროვნული გამოცდები ყველამ უნდა ჩააბაროს! – ზიზღით შესცქეროდა უმოწყალოდ, უსაფუძვლოდ დასჯილ, ქუჩაში გაძევებულ სტუდენტებს დაბალკისერა, ნაძირალა პარლამენტარი, რომელიც მოზარდ მაყურებელთა თეატრში უგრიმოდ ითამაშებდა წითელ ტურას.

14 მარტს, სპეცრაზმი პარლამენტის წინ ჩამომსხდარ დემონსტრანტებს ცემით გაუმასპინძლდა.

ყოჩაღ, ბიჭებო!

ძალადობის რა შემთხვევა არ გვახსოვს, მაგრამ ხელისუფლებას რომ 14-15 წლის ბავშვებზე იერიში მიეტანოს, პირველი შემთხვევაა! პატარა ცრემლიან გოგონას ურტყამ? არ გრცხვენია?

მიდით, დასცხეთ, დახოცეთ თქვენი უმცროსი და-ძმა, ოღონდ ლომაია კარგად გყავდეთ.

ხელისუფალთა კრეტინიზმი უფრო შორს ვერ წავა.

მთელი თბილისი უნდა დადგომოდა გვერდით იმ დღეს რწმენაჩაკლულ ახალგაზრდებს, რომელთაც ზურგს უმაგრებდა კანონი, მაგრამ მათ წინ გულგრილობის, ცინიზმის ყრუ კედელი აღმართულიყო.

თბილისს ჯერ კიდევ სძინავს.

ჯერ კიდევ... მიშა, ჯერჯერობით...

რჩევა მეშვიდე

საქართველო ღარიბი, გაძარცული, ომში დამარცხებული, დაჩოქებული, გაუბედურებული ქვეყანაა, მიშა.

სახელმწიფო ხაზინაში ფულის დაგროვების ორი (ორივე საეჭვო და მოლიპული) გზა აირჩიე შენ, როგორც სტრატეგმა.

პირველი – ძველი ჩინოვნიკებისათვის ფულის წაგლეჯა.

მეორე – უცხოეთის (განსაკუთრებით ამერიკის) მოწყალების გაღების გზით შემოსული დოლარები.

პირველი გზა რომ უსასრულო არ არის (პირიქით, ძალიან მოკლეა), მოგეხსენება. ნელ-ნელა პატარავდება ფულის წასართმევი „კლიენტურის“ შენ მიერ ჩამოწერილი სია, მერე? ექსპროპრიაციის შენეული, რევოლუციური მეთოდი ერთ მშვენიერ დღეს კაპიკსაც რომ ვერ შემოგიტანს?

მეორე გზა პირდაპირ მათხოვრობის, ან მომავლის საქართველოსთვის ვალების დაგროვების გზაა.

მათხოვარი ებრალებათ, მიშა, მაგრამ სიყვარულით არავის უყვარს. მოსწყინდება მსოფლიოს მალე „მომეცი, დამეხმარეს“ მუდარით საქართველოს გამოწვდილი ხელი.

თუ გახსოვს, ოტია იოსელიანმა გითხრა: „დახმარების იმედზე ყოფნა რავა შეიძლება. მოწყალებას ვინც იძლევა, ისაა კაცი, თვარა, ვინც ღებულობს – მათხოვარიაო“.

თანაც უნდა იცოდე, რომ დღეს მსოფლიოში ლამაზი თვალებისათვის და გულუბრყვილო (სულელური, კინაღამ წამომცდა) ღიმილისათვის არავინ არაფერს იძლევა.

ყოველ კაპიკს, შენთვის ბოძებულს, ამერიკა თავის დიდ დავთარში იწერს და მალე ისეთ კაბალა-ბადეში გაგახვევს, რომ თავის დაძვრენა შენ კი არა, თაობებსაც გაუჭირდება.

მესამე და მთავარი გზა ფულის შოვნისა, მრეწველობის და სოფლის მეურნეობის განვითარებაა. შენ ამ გზას თითქმის არ იცნობ (ან უფრო უარესი – არ ცნობ). როგორც მოსალოდნელი იყო, შენი ძვირფასი მასწავლებლის – შევარდნაძის გზას ერთგულობ – მთელი საქართველო უცხოური იაფი საქონლის ბაზრად და ჯიხურების ტყედ აქციე.

მეგონა, ფულის ყადრი გეცოდინება, სიმწრით ნაშოვნ ყოველ კაპიკს მუყაითად გაუხდებოდი, „მომჭირნეობას“ დაიწერდი გულის ფიცარზე, როგორც გაღლეტილი ქვეყნის პრეზიდენტი.

გამეხარდა, ერთხელ „საგანგებო საპრეზიდენტო“ მარშრუტზე უარი რომ თქვი და ჩვეულებრივი, სარეისო თვითმფრინავით იმგზავრე.

ხანმოკლე აღმოჩნდა ჩემი სიხარული.

თურმე... აქაც შევმცდარვარ.

ფარსი ყოფილა სარეისო თვითმფრინავით შენი ერთადერთხელ მგზავრობა, მეტრო-ტროლეიბუსით შენი „დემოკრატობანა“.

წამდაუწუმ საზღვარგარეთ დაფრინავ მრავალრიცხოვანი ამალით.

ვინ წაიყვანე თენგიზ აბულაძის ერთი ფილმის „მატარებელივით“, რად გინდოდა ამხელა ამალა, რა საქმეზე იყავით, თუ გახსოვთ იტალიაში?

მარტო შენ კი არა, საქვეყნო შედეგით ნულის ტოლია ჟვანიას, ბურჯანაძის, თევდორაძის, ბოკერიას, თარგამაძის და შესახედავად მათთა მსგავსთა წამდაუწუმი ვიზიტები საზღვარგარეთ.

რას მიაღწიეთ? რა გაკეთდა? შენი „ისტორიული გამოსვლის“ მერე, ხომ ნახე, უფრო მოგვიკეტა კოკოითმა ცხინვალის კარი.

10 მილიონი ლარი გქონდა 2004 წელს ბიუჯეტში პრეზიდენტის ფონდით გათვალისწინებული –შენ კი 40 მილიონი დაგიხარჯავს.

რაში? იქნებ მშიერ-მწყურვალ ღარიბებს დაეხმარე, იქნებ უბინაოებს შეუძინე ბინები შენი ფონდიდან, ან მიწისძვრით იავარქმნილი სახლები აღუდგინე მავანთ?

არ გეშინია, რომ ერთ დღეს პასუხს მოგთხოვენ შენივე ფონდის ასე უმიზნოდ განიავებისათვის?

აღარ გათავდა შენი საზეიმო ვიზიტები უნიჭო სიმღერებით ყურამდე პირგახეულ შენს უმწიფარა მინისტრებთან ერთად?

ვის ფულს ხარჯავთ, ვისი ფულით ბაირამობთ, მიშა?

რჩევა მერვე

გარედან მოსული არაეროვნული ხელისულება ხართო, რომ გიკიჟინებენ ოპოზიციონერები, მარტოოდენ იმას როდი გულისხმობენ, სოროსმა და კომპანიამ ლამის გოდრით რომ მოგიყვანათ.

ნუ გეშინია, არც შენი და შენი გუნდის ზოგიერთი წარმომადგენლის არცთუ მთლად ქართულ წარმოშობას გულისხმობენ.

ქართველს, შენ კარგად იცი, წარმომავლობაზე არა აქვს გართულება (თუმცა, რატომ არ უნდა ჰქონდეს, ვერ ამიხსნია). ისრაელი დაუშვებს, რომ პრემიერ-მინისტრი არაებრაული წარმოშობის იყოს?

თქვენი არაეროვნულობა, უპირველეს ყოვლისა, ქართულ მწერლობასთან დამოკიდებულებაში ჩანს.

არც შენ, მიშა, არც ჟვანია, არც ბურჯანაძე (მით უმეტეს ბენდუქიძე) ქართულ ზღაპარზე, ქართულ ლექსსა და მოთხრობაზე არ გაზრდილხართ.

მთქნარება აგიტყდებოდა პარლამენტში ყოფნის დროს, მწერლობაზე რომ ჩამოგიგდებდი საუბარს.

არც ერთ თქვენგანს არასოდეს თქვენი „ცეცხლოვან“ რევოლუციურ გამოსვლებში, ციტირებას რომ თავი გავანებოთ, არც ერთი მწერალი არ გიხსენებიათ. კიდევ მეტი, ერთი ანდაზაც არასოდეს წამოგცდენიათ.

თქვენი ბრალი არ არის, თქვენეული აღზრდის ბრალია.

თბილისის უნივერსიტეტში რომ ქულები არ გეყო, იმ ქულებით კიევში ჩაგრიცხეს და 16 წლის ყმაწვილი თითქმის სამუდამოდ მოწყდი ქართულ გარემოს.

განსწავლის წლებმა რომ გაიარა და დაბრუნდი, ლიტერატურისთვის სად გეცალა: ხან შევარდნაძის გუნდში შევარდნაძის ხელახლა ასარჩევად პირაქაფებული დარბოდი ზევით-ქვევით, ხან კი, ბრუტუსის სინდრომით შეპყრობილი, შეთქმულებას ამზადებდი შენივე სულიერი მამის წინააღმდეგ.

მიუხედავად იმისა, რომ შენი „ერთგვარი (ირიბი) ბაბუა“ გრიგოლ აბაშიძე მწერალთა კავშირის თავმჯდომარე იყო, შენ აშკარად, ყველაფერში გეტყობა, რომ გძულს მწერლობა და მწერალთა კავშირი.

მოხვედი თუ არა პრეზიდენტად, მაშინვე შეუწყვიტე საქართველოში ყველაზე დაუცველ ფენას – ერის გონებას და სინდისს – ქართველ მწერლებს ოცდაორლარიანი პენსია.

შენ რომ ხელფასად 4000 ლარი დაინიშნე, იცი რამდენად მცირეა 4000 ლართან შედარებით 22 ლარი?

მერედა ვის შეუწყვიტე შევარდნაძის მიერ დანიშნული ეს ჩიტის ლუკმა დახმარება, იცი?

გვარებს აღარ ჩამოვთვლი. სულერთია, მაინც არ დაგამახსოვრდება.

მერე ადექი და შენი პრემიერ-მინისტრის და ორი მობეჰემოთო („მობოთო“ კინაღამ წამომცდა) მინისტრის ხელით მწერალთა კავშირში წერილს წერილზე გვიგზავნიდი – მწერლებმა სასწრაფოდ დაცალეთ შენობა, იგი პრივატიზაციას ექვემდებარებაო.

რომელი შენობა უნდა დაგვეცალა, მიშიკო, რომელიც 1921 წელს უმაღლესი ხელისუფლების დეკრეტით ოფიციალურად გადმოგვეცა და რომელიც სულმნათი სარაჯიშვილის ნებით მანამდეც მწერალთა სახლი იყო (ამ შენობაში წაიკითხა ილია ჭავჭავაძემ „ოთარაანთ ქვრივი“)?

საქმე სასამართლომდე მივიდა.

მოსამართლე, ტარიელ ზამბახიძე, ყელგამოღადვრით გვევედრებოდა, გაინძერით ცოტა, მიდით სააკაშვილთან, ზემოდან მაწვებიან, შენობა უნდა წაგართვათო.

რა ექნა იმ კაცსაც, ცოლ-შვილი ჰყავს.

დღეს ხომ საქართველოში სასამართლო საერთოდ არ არსებობს, ხელისუფლების ნება მართავს მარიონეტ მოსამართლეებს და ქოთანს საითაც უნდა, იქით გამოაბამენ ყურს.

შვიდი დეპეშა გამოგიგზავნეთ შემოქმედებითი კავშირების სახელით. მიღებას გთხოვდით, მაგრამ შენი პირადი მეგობრების გარდა სხვა ვინ მიგიღია, რომ ჩვენ მიგეღეთ.

ქ-ნი სანდრა რულოვსი მოვიწვიეთ მწერალთა კავშირში და ამ მშვენიერი ქალბატონის პირით გაახლეთ ჩვენი სათხოვარი: კეთილი გენებებინა და მწერლები ქუჩაში არ გაგეყარა.

ჩანს, მოაღწია „შენს ყურამდე“ მწერალთა გოდებამ და ამ ორიოდე თვის წინათ მეცნიერებთან საუბარში განაცხადე: ვინ ართმევს მწერლებს შენობას, ვინ გაბედა ასეთი რამეო.

გულს მოგვეფონა და გვეგონა, ახლა მაინც არ გატეხდი სიტყვას.

კვლავაც ფიასკო!

ორი კვირის წინ მოსამართლე ზამბახიძემ მრისხანე განაჩენი გამოგვიგზავნა. რა მექნა, ძმაო, მართალია, სააკაშვილმა განაცხადა, არ გართმევთ შენობასო, მაგრამ ჩემთვის ოფიციალურად არავის არაფერი უთქვამს (არც უგრძნობინებია), ამიტომაც მე რაც დამავალეს, ის შევასრულეო. სხვათა შორის, თუ თქვენი დახმარება უნდა

ააკაშვილს, უზენაესი გააუქმებს ჩემს განაჩენს და მეც დავისვენებ და თქვენცო.

დღესდღეობით ოთხ-ოთხი მწერალი დღედაღამ ბასტილიასავით ვიცავთ მწერალთა კავშირის შენობას, რათა მომავალ თაობათა წინაშე სირცხვილი არ ვჭამოთ.

მოდი, მოდი, მიშა, გამოაგზავნე ნიღბიანი ბიჭები და გამოგვყარე მწერალთა კავშირიდან: ანა კალანდაძე, ჭაბუა ამირეჯიბი, მარიკა ბარათაშვილი, ოთარ ჭილაძე, ლადო მრელაშვილი, მერაბ ელიოზიშვილი, ოტია იოსელიანი, რეზო ჭეიშვილი, მურმან ჯგუბურია, ნოდარ წულეისკირი, რევაზ მიშველაძე, მაყვალა გონაშვილი, ვაჟა ოთარაშვილი, სოსო სიგუა...

წაკითხული თუ არა, ეს გვარები გაგონილი მაინც გექნება.

სხვათა შორის, მწერლის თანადგომა როცა დაგჭირდა, მოითავმდაბლე და სთხოვე მუხრან მაჭავარიანს, ოპერის თეატრში საქართველოს წინაშე პრეზიდენტად წარმადგინეო.

შეგისრულა თხოვნა მუხრანმა.

რაი მერე?

შენი რომ გაინაღდე, ახლა აღარც მუხრანის არსებობა გახსოვს და არც ანა კალანდაძის.

„სახელმწიფო საქმეებით“ ხარ გადატვირთული და მწერლობისთვის ვერ იცლი.

არ ვარგა, არ გამოგადგება მწერლებთან ასეთი დამოკიდებულება, თორემ მე რა.

მწერლობა ამას არ იმსახურებს და ვაითუ ხვალ-ზეგ „ახალ ყვარყვარედ“ გადმოიღვაროს ნოველის, მოთხრობის, რომანის თუ პიესის სახით?

თუ არ შეცვალე მწერლობისადმი შენი აგდებული დამოკიდებულება, ასე იქნება, კი.

მერე? შენ ანდაზები არ გიყვარს, მაგრამ ერთს მაინც გეტყვი:

„რაც მოგივა დავითაო, ყველა შენი თავითაო“.

რჩევა მეცხრე

სრული ქაოსია, ჩემო მიშა, შენი პოლიტიკის იმ ნაწილში, რაიც თანამედროვე საქართველოს ნომერ პირველ პრობლემას – რუსეთის მიერ წართმეული ტერიტორიების დაბრუნებას შეეხება.

არავითარი ლოგიკური, ჩამოყალიბებული პოლიტიკა ამ მიმართულებით შენც ისევე არ გაგაჩნია, როგორც შევარდნაძეს არ გააჩნდა.

და ეს ბუნებრივიცაა.

ვერ დაგადანაშაულებ, რადგანაც თავს ზევით, რომ იტყვიან, ძალა არ არის.

შენი შეცდომა მხოლოდ ის არის, რომ ილუზიამ შეგიპყრო: შევარდნაძე სძულდა რუსეთს, მე კი კარგი ბიჭი ვარ და დამიბრუნებს აფხაზეთ-სამაჩაბლოსო.

ჩანს, კარგად არ იცნობ რუსის სივერაგეს.

აჭარაც რუსმა დაგითმო, ოღონდ დაგითმო კბილთა ღრჭიალით, რაკიღა აჭარის წართმევა, როგორც სუფთა ქართული რეგიონისა, ძალიან იყვირებდა მსოფლიოს თვალში.

რუსს ჩვენ კი არ შევეცოდეთ, მსოფლიო საზოგადოებრივი აზრის შეეშინდა.

აბა, გამოსულიყო ბათუმის ბაზიდან ორი რუსული ტანკი და დამდგარიყო ჩოლოქთან, თუ გაბედავდი შენი ყოჩაღი ბიჭებით ბათუმში შესვლას.

აი, სწორედ იმ რუსს, რომელმაც ამ ზაფხულს შერცხვენილი გამოგაბუნძულა ცხინვალიდან, ჩააბარე, მიშა, ქართული ენერგეტიკის სადავეები.

ახლა კი ამ ხაზით რუსი უკვეთავს მუსიკას და, როცა მოეპრიანება, თავის მაზურკას „გატანცავებს“.

ვერ ვიტყვი, რომ წართმეული მიწების დაბრუნების სურვილი და მცდელობა გაკლია, მაგრამ არ იცი, რა ხერხს უნდა მიმართო.

შენი ღიპიანი „რეზერვისტებით“ არც იფიქრო, მიშა, ცხინვალ-სოხუმის დაბრუნება. რუსის არმიას ტყუილად ხალხს შეახოცავ და მეტი არაფერი.

იმაშიც მართალი ხარ, არც შეშინებულ-გაწამებული ლტოლვილები გამოირჩევიან დიდი აქტიურობით.

სინით თუ მიართმევ აფხაზეთს, მაშინაც კი ყველა ლტოლვილი როდი დაბრუნდება.

რაც შეეხება ლტოლვილთა ახალ თაობას, ვატყობ, იმათ თითქმის აღარ სტკივათ აფხაზეთი.

საქართველოს მოჭრილ ძუძუს ათასი წელი ოდენ გონიერი საქართველო – ინტელიგენცია ვერ შეეგუება.

ახლახან პარლამენტმა წამოიკნავლა: მოდი, რუსეთის ბაზების დაუყოვნებლივ გაყვანაზე დადგენილება მივიღოთო და შენ და ბურჯანაძემ კინაღამ ოპერატიულად ჩაფუშეთ პარლამენტის სურვილი.

რატომ, მიშა, რატომ? სამართლებრივი ბაზა მაინც ხომ უნდა შევუქმნათ, რუსის ჩექმა რომ გავიდეს ჩვენი მიწიდან.

როგორც იქნა, მიიღო პარლამენტმა გაბედული დადგენილება.

თუმცა კაცმა რომ თქვას, პარლამენტმა ამ სამი წლის წინათ ეს დადგენილება უკვე მიიღო. ერთხმად მივეცით ხმა, მაგრამ მეორე დღეს შევარდნაძემ ხელი არ მოაწერა.

რუსი ჩვენი დადგენილებით არ გაიტანს ბაზებს. ჩვენ კი არა, მსოფლიოს 53 ქვეყნის პრეზიდენტმა დაადგინა სტამბოლის სამიტზე დაუყოვნებლივ გავიდეს რუსი საქართველოდანო, მაგრამ ვანიას არც სირცხვილი უწვავს ბეჭებს და არც საერთაშორისო სამართალს ემორჩილება.

ჩვენი მოლაპარაკება სეპარატისტებთან, ან სახალხო დიპლომატია ხომ სისულელეა და სისულელე.

ერთადერთი გზა არსებობს.

ამერიკამ (ნატომ, გაერომ, ევროპარლამენტმა, ევროკავშირმა) უნდა აიძულონ პუტინი, კლანჭები შეუშვას საქართველოს.

ჩვენ კი, რაც შეიძლება მჭიდრო ინტეგრაციის გზით უნდა ვიაროთ დასავლეთისაკენ. უფრო მეტად უნდა დავჭირდეთ დასავლეთს, ვიდრე ახლა ვჭირდებით.

მანამდე კი ჩვენ მთელ მსოფლიოს უნდა ვაჩვენოთ, რომ არ ვეგუებით საქართველოს დანაწევრებას.

არ უნდა დავაძინოთ სეპარატისტები ჩვენს სახლებში ცხინვალსა და სოხუმში, ჩვენს ისტორიულ მიწაზე.

ორმოცდაათი პინგვინის დაჩოქება კი არ უნდა ვაჩვენოთ გადამთიელს, ყოველ დღე უნდა ჩავუტაროთ მწარე გაკვეთილები იმისა, რომ ჩვენ მოვალთ და ჭკუას ვასწავლით.

სისულელეა, მიშა, ფქვილისა და შაქრის მიტანა იმასთან, ვისაც სძულხარ.

ნურც იმით მოვიტყუებთ თავს, რომ თუ ეკონომიკურად მოვმაგრდით, აფსუა და ოსი მაშინვე ჩვენკენ გამოიქცევა.

რჩევა მეათე

მახსოვს, პირველად რომ მოხვედი უნივერსიტეტში, ჯერ კიდევ არ იყავი პრეზიდენტობით გალაღებულ-გაამაყებული და ურიგოდაც არ გამოსულხარ.

ჩემი პრიორიტეტი მეცნიერება იქნებაო. მეო, თქვენი ოჯახის წევრი ვარ – დედაც, მამაც, ბებიაც და ბაბუაც პროფესორები მყვანანო.

გაგვეხარდა, გვეგონა სწავლულთა ოჯახიდან გამოსულ პრეზიდენტს სწავლულის ყადრი გეცოდინებოდა.

სხვათა შორის, შეგკადრა ერთმა პროფესორმა – ეგ ყველაფერი

კარგია, კარგი მოგეცეს, მაგრამ მინისტრს ლომაიას ვერ ვატყობ სახარე მოზვრობას: ჯერ ერთი, გამობრძმედილი სოროსელია და, მეორეც, რბილად რომ ვთქვათ, უცნაური აზრები აქვს ძველ ქართულ მწერლობაზე და საქართველოს ისტორიაზე – სკოლაში ამ საგნების სწავლებაზე საერთოდო.

სახე მოგემგელა.

ნურავის ექნება იმისი იმედი, რომ მე ჩემს მინისტრს „ჩავუშვებო“. სიტყვა „ჩაშვება“ როგორ არ გაგვიგონია და არაერთხელ ამ სიტყვის პრაქტიკული განხორციელების მსხვერპლიც გავმხვდარვართ, მაგრამ „ჩაშვება“ იმ შემთხვევაში პრეზიდენტის ბაგეთაგან – სრულიად უადგილო და უცნაური იყო.

... და არის შენგან განებივრებული განათლების მინისტრი განათლების ჯალათად მოვლენილი, მიშა.

მისი ყოველი სიტყვა, ყოველი გამოსვლა უტაქტობის, უზრდელობის, არაინტელიგენტურობის დემონსტრაციაა.

სად გაიზარდა, რამ გაათავხედა ეს ახალგაზრდა კაცი ასე?

სირცხვილის გრძნობაც დაკარგული აქვს. უსტვენენ, აუდიტორიიდან გამოაძევებენ სტუდენტები და საღამოს ტელეეკრანიდან უტიფრად აცხადებს – ძალიან საინტერესო შეხვედრა მქონდა, სტუდენტები ყველაფერში მეთანხმებიანო.

მისი გამომეტყველება ისე აშკარად ზიზღნარევი და სალდაფონურია, რომ ასე მგონია, მოსასხამის შიგნით დამსჯელი ექსპედიციის ობერფიურერის სამხრეებს მალავს ან ინკვიზიციის აგენტის მოსასხამი ეს-ესაა კედელზე ჩამოკიდა და კვალის ასარევად აბატის სახით წარუდგა საზოგადოებას.

თაობათა აღმზრდელი, ლამაზი, თმათეთრა, კდემამოსილი ქალბატონი მარიკა ლორთქიფანიძე ეკითხება, ეს „ტესტი“ ძნელად გასაგები ხომ არ იქნება აბიტურიენტისთვისო, და უზრდელი მინისტრი ცინიკურად პასუხობს: არ მეგონა, ქალბატონო მარიკა, თუ ასე გძულდათ კატებიო.

რა შუაშია კატები, მინისტრო?

თეატრალურ ინსტიტუტში უნიჭიერესი რეჟისორი ნუკრი ქანთარია განათლების (განათლების და არა პენიტენციალური დეპარტამენტის) მინისტრს „გენაცვალეთი“ მიმართავს; კახა ლომაიამ კოპები ფაშისტურ-გესტაპოურად შეჰკრა და „მე შენი გენაცვალე არა ვარო“.

არ იყო, მიშა, პანღურით გასაგდები იმ წუთში იმ დარბაზიდან შენი რჩეული ლომაია?

„არ ჩაუვა“, ცივ ნიავს ნუ მიაკარებ, გყავდეს განათლების მინის-

ტრად შენი რჩეული ლომაია და კულტურის მინისტრად არანაკლებ არასრულფასოვანი გაბაშვილი.

გყავდეს და, რა ჩიტსაც დაგაჭერინებენ, იმასაც ვნახავ.

თავისი უტაქტობით ერთმა უკვე მოგამდურა მეცნიერთა უმრავლესობა, მეორემ კი ხელოვანთა უაღრესად მგრძნობიარე დასი.

რჩევა მეთერთმეტე

ნაციონალური მოძრაობის ეგიდით მოსულ ხელისუფლებას სწორედ რომ ნაციონალური იერსახე დაკარგული აქვს.

მას შემდეგ, რაც შევარდნაძემ თავის უბეში გამოზრდილი ლეკვები ასპარეზზე გამოიყვანა და პარლამენტი ჩააბარა, შავი დღე დაადგა სწორედ იმ კანონმდებლობას, საქართველოს ეროვნულ სუვერენიტეტს რომ განამტკიცებდა. ყოველი ეროვნული სახელმწიფოს არსებობა, სხვათა შორის, სამ კანონზე დგას: კანონი სახელმწიფო ენის შესახებ, კანონი ეროვნული რეკვიზიტის შესახებ, კანონი რელიგიის შესახებ.

წინა პარლამენტში ამ სამი კანონის მიღების წინააღმდეგ გააფთრებით იბრძოდნენ ჟვანია, სააკაშვილი და ბურჯანაძე.

დღეს სწორედ ეს ნაციონალ-დემოკრატები მართავენ საქართველოს. პარლამეტშიც არავინ ჩანს, რომ ამ სამ ეროვნულ კანონზე სიტყვა ჩამოაგდოს... და მიდის ქარავანი ჩვენი ეროვნული ცნობიერების რღვევის უდაბნოში.

მსოფლიოში ვერ ნახავთ სახელმწიფოს, სადაც მოქალაქეს პასპორტში „ნაციონალობა“ (ანუ ეროვნება) არ უწერია.

მარტოდმარტო საქართველოა უეროვნებო ქვეყანა.

მსოფლიოში ვერ ნახავთ სახელმწიფოს, სადაც ძირითადი, სახელმწიფოს შემქმნელი ერის ენად სახელმწიფო ენა არ იქნება დაკანონებული.

ოდენ საქართველოში ვერ ვბედავთ სახელმწიფო ენად ქართული ენის გამოცხადებას (გრცხვენია! რა პირით შევხედოთ მერე საქართველოში მომრავლებული სტუმარი ერების წარმომადგენლებს).

მსოფლიოში ვერ ნახავთ სახელმწიფოს, რომელსაც ერთხელ და სამუდამოდ ჩამოყალიბებული, განსაზღვრული და კანონით ლიბოგამაგრებული რელიგიური სახე არ გააჩნდეს.

არსებობენ მუსულმანური სახელმწიფოები და არსებობენ ქრისტიანული (მართლმადიდებლური ან კათოლიკური) სახელმწიფოები...

მარტოოდენ საქართველოა განუსაზღვრელი რელიგიური პროფილის სახელმწიფო.

რატომ? ჩვენ ხომ ტოლერანტულ-შემწყნარებლური სახელმწიფო ვართ, რატომ უნდა გავაფეტიშოთ ერთიანი აღმსარებლობაო.

არ არის ეს ქვეყნის აშკარა მტრობა?

კი, ბატონო, გქონდეს სინდისის თავისუფლება, პატივი მიაგე ყოველ ჭეშმარიტ აღმსარებლობას (და არა სექტებს), მაგრამ რაკი ავტოკეფალური ეკლესია გაქვს და კათოლიკოს-პატრიარქი გყავს, ნუ გააჯეჯილებ იეღოველებს, მწვანე შუქს ნუ აუნთებ სექტანტურ-მწვალებლურ მიმდინარეობებს.

ნუ დაანგრევ ღვთის სახლს საბარგო მანქანის დაჯახებით და წვერით ნუ დაითრევ მძიმე ჯვრით ქრისტიანობის დამცველ მოძღვარს.

ნუ... ნუ...

რჩევა მეთორმეტე

არა მგონია, შენდაუნებურად ხდებოდეს, პრეზიდენტო, რომ თანაბარაჩქარებულად ავტორიტარული რეჟიმისკენ მივექანებით.

ერთი კაცის მიერ ხელისუფლების უზურპაცია აშკარაა.

ვისაც გინდა, პირქვე დასცემ, ვისაც გინდა ააყვავებ.

არა მარტო მინისტრებსა და მინისტრთა მოადგილეებს, თურმე უმაღლესი სასწავლებლების დეკანთა გვარებსაც შენ გითანხმებენ.

ერთი ხელის მოსმით გააუქმე სამეცნიერო-პედაგოგიური კერებისთვის კონსტიტუციურად მინიჭებული ავტონომია.

უმაღლესი განათლების კანონის მიღების ფარსს სანამ გაითამაშებდნენ პარლამენტში, ერთი-ორჯერ მეცნიერებს უხმე შენს კაბინეტში – რა შენიშვნები გაქვთო. შეცბუნებულმა სწავლულებმა ხმის კანკალით შემოგბედეს, ეს, ეს და ეს უნდა ჩასწორდესო.

მიუბრუნდი და ლომაიას კატეგორიულად მიმართე:

– მართალია ეს ხალხი, რა შენიშვნებიც გამოითქვა, ყველა გაითვალისწინეო.

– მესმის, მბრძანებელო, – რუქას ღიმილი გტყორცნა განათლების მინისტრმა.

მაგრამ ლომაია რისი „კერკეტი კაკალი“ იქნებოდა, მხცოვან მეცნიერთა თუნდაც ერთი შენიშვნა რომ გაეთვალისწინებინა.

შენ კი გამოცდილი მეცნიერების (და შენიც, სხვათა შორის) აბუჩად აგდებისათვის ლომაიას ერთი შენიშვნაც არ აკადრე.

მასმედიას საერთოდ ნაკლებად იტან და მით უმეტეს ოპოზიციურ მასმედიას.

ჩანს, შენზე დაწერილ კრიტიკულ წერილებს გარიდებენ და შენც

შენიშვნა-რჩევების კითხვით თავს არ იკლავ. ეგ კი არა, დემოკრატი პრეზიდენტის იმიჯის შესაქმნელად მრჩეველთა ინსტიტუტიც შემოიღე. ოთხი მრჩევლიდან სამი ჭკვიანი და გამოცდილი პოლიტიკოსია (ერთი წაირომანტიკოს-წაიცანცარებს, თუმცა მასაც არა უშავს), მაგრამ რად გინდა, თურმე ახლოსაც არ იკარებ, აქაოდა ვინმემ არ იფიქროს, მრჩევლების ჭკუაზე დავდივარო.

როგორც დასავლეთიდან შეუნიშნავთ, საქართველოში ისევ აწამებენ პატიმრებს, ისევ იხურება გაბედული სატელევიზიო არხები...

მეცინება, სახელმწიფო ტელევიზიას რომ „საზოგადოებრივი ტელევიზია“ დაარქვი. გარდაქმნილმა ტელევიზიამ ისღა გააკეთა, რომ „მოამბეს“ „მთავარი“ უწოდა და ამით „გაასაზოგადოებრივა“.

სად გცალია ტელეგადაცემებისთვის, მაგრამ გეკითხები: რითაა დემოკრატიული შენგელიას ტელევიზია, ჭაჭანებს თუნდაც უმნიშვნელო ოპოზიციური აზრი, მოგისმენია ერთი ჭკუადამჯდარი მწერლის ან მეცნიერის დინჯი საუბარი ცისფერი ეკრანიდან (I არხზე) ჩვენი ცხოვრების საჭირბოროტო საკითხებზე?

შენი უნაპირო ხოტბა და შენი ღიმილიანი გაქცევ-გამოქცევები ეკრანზე... ესაა საზოგადოებრივი ტელევიზია?

რჩევა მეცამეტე

კადრების შერჩევაში ხომ შეცდომათა და გაუგებრობათა ნიაღვრად დაატყდი ქვეყანას.

შენეული „კადრები“ საქართველოს კი არა, დედამიწის ყველაზე ჩამორჩენილ ქვეყანასაც არ ეკადრება.

საიდან მოიყვანე, მიშა, რა მონაცემების მიხედვით წამოასვი საქართველოს გონჯთა, ტვინნაღრძობთა და გონებაბრმობილთა ეს ქარავანი?

შენ თვითონ არ გეცინება, მინისტრთა კაბინეტის მრგვალ მაგიდას რომ მიუჯდები და შენს რჩეულთ გადახედავ?

ჯგერენაიას და ჭიაბერაშვილის „თეორიულ შეხედულებებზე“ ბევრი დაიწერა და თავს არ შეგაწყენ, მაგრამ რა კოჭი გიგორა ასეთი „ბეჰემოთამ“, რომ საქართველოს გაყიდვის უფლებებით აღჭურვე.

შენ დაავალე ჭიაბერაშვილს, მიწისძვრისგან დანგრეულ თბილისელებს დახმარებაზე სამი თითის კომბინაცია უჩვენე და 360 ათასი დოლარი ლონდონიდან საახალწლოდ ყინულის ჩამოტანას მოახმარეო?

თუ შენ არ დაგივალებია, პასუხი არ უნდა მოგეთხოვა გატუტუცებული მერისთვის ქალაქის ბიუჯეტის ასე უყაირათოდ ხარჯვის გამო?

შენს ესკორტს ახლოს ვინ მიეკარება (სხვათა შორის, ასეთი გრანდიოზულ-პომპეზური დაცვა სტალინსაც არ ჰყოლია), მაგრამ იცი თუ არა შენ, რომ თბილისი მათხოვრებით გაივსო, რომ შიმშილითა და თვითმკვლელობით წამდაუწუმ ამთავრებენ სიცოცხლეს მოქალაქეები და მათ შორის შენი ყოფილი მხარდამჭერებიც?

მერის ერთადერთი „მიღწევა“ ყბადაღებული ბერმუდის სამკუთხედი, „მეოცნებე“ ჭიაბერაშვილის ფანტაზიას საზღვარი არა აქვს: ხან ვარაზისხევ-გმირთა მოედანი ორსართულიან „ესტაკატად“ სურს გადააკეთოს და ხან დიდუბიდან სოღანლუღამდე მიწისქვეშა დერეფნის გაკეთებაზე ფიქრობს.

ვაი, ჩვენს დღეს.

ჭერი თავზე გვექცევა და მილიონების წყალში გადაყრას გეგმავს მერიკო.

„ბერმუდის სამკუთხედის“ შველა ასე შეიძლება: უნივერსიტეტიდან რუსთაველის ძეგლამდე იყოს ცალმხრივი მოძრაობა (სწორედ ამ ადგილას უჭირს ტრანსპორტს ყველაზე მეტად), ხოლო „აღმა“ მიმავალმა მანქანებმა „პეროვსკაიაზე“ და მის პარალელურ ქუჩაზე იმოძრაონ.

ეს ცხრაჯერ უთხრეს, მაგრამ თავს იკლავს და ამ სრულიად უმტკივნეულო „ოპერაციაზეც“ (რაც კაპიკი არ დაჯდება) არ თანხმდება ჭიაბერაშვილი. ჩანს, საზოგადოებრივ აზრზე უფრო ძვირფასმა (ამ სიტყვის „ფასეული“ გაგებითაც) ვინმემ ჩასძახა – ეს არ გააკეთო, თორემ პეროვსკაიაზე განლაგებულ რესტორნებს (?) ხელი შეეშლებათო.

რაც შეეხება კულტურის მინისტრს, აქაც უმძიმეს (არა მარტო წონის გაგებით) შემთხვევასთან გვაქვს საქმე.

ამას წინათ ტელევიზიით ჰკითხეს – რა უყავი მწერალთა კავშირისთვის ბიუჯეტიდან გამოყოფილ 40 000 ლარიო, რა უპასუხა? „მეტი არ მქონდა საქმე, მაყვალა გონაშვილს ჩავუგდებდი ხელში იმ ფულსო“.

რას მოახმარა? „შოუ-პახმელიებს“, „შოუ-მარათონებს“, „შოუ-თევზჭერებს“, „შოუ-ტინგიცობებს“ ... ვის მოახმარა?

რევოლუციასადევნებულ ექვსიოდე უნიჭო, უწმაწური სტრიქონების შემქმნელ მწერალს.

ჰკითხე ჭეშმარიტ ხელოვანთა თავმდაბალ და სახელგანთქმულ რაზმს, მიშიკო! თუ საქართველოში ერთი ხელოვანი მაინც გეტყვის, რომ კულტურის მინისტრის საქმიანობით კმაყოფილია, საჯაროდ ბოდიშს მოვიხდი.

ოღონდ მინისტრისავე კაბინეტში დღედაღამ მოგრიალე იმ ბიჭბუჭებს (ტელეპოეტები, მედროვე რეჟისორები, უნიჭო მთხზველები...) არ ჰკითხო, დღედაღამ რომ იმაზე ფიქრობენ, რა „ღონისძიება“ ჩაიტარონ თავის გასართობად და „საკაიფოდ“.

თუ შენც ჭურში არ ზიხარ, დროზე დაჰპანღურე ასეთი მინისტრები, პრეზიდენტო!

რჩევა მეთოთხმეტე

საქართველო ოცდამეერთე საუკუნის ფიორდებში შეცურებული პატარა, იალქნიანი ნავია, მიშიკო, და დიდი სიფრთხილე სჭირდება, რომ ისტორიულმა ქარბორიებმა არ დაამსხვრიოს.

საგარეო პოლიტიკაში მცირე შეცდომასაც არავინ გაპატიებს.

დიპლომატიაში ბავშვურ-მიამიტური ქცევები დამღუპველია.

შენ მსოფლიო „სტრატეგობა“ ვინ დაგავალა, შენ ერთი პაწაწკინტელა, მშიერი ქვეყნის პრეზიდენტი ხარ. ვინ გკითხავს შენ ყირგიზეთის რევოლუციის ამბავს.

მიუტევებელი შეცდომაა რუსეთისთვის სტრატეგიული ობიექტების მიყიდვა. უნდა იცოდე, ორ აქლემს შორის (ამერიკა, რუსეთი) საქართველო-კოზაკს გათელვა-გაჭყლეტის დიდი ალბათობა აქვს.

ამერიკის პერსპექტივასაც გახედე, მიშიკო. აკი ვერ დააჩოქა ამ ყოვლისშემძლე ზესახელმწიფომ ერაყი...

ჰოდა, ნურავის გაუფენ შენს მიწა-წყალს ფეხქვეშ.

დავით აღმაშენებელი რომ გიყვარს, მორიგი სრიალიდან რომ დაბრუნდები და თხილამურებს ღუმელთან მიაყუდებ, გადაშალე ერთი, დავით აღმაშენებელზე დაწერილი წიგნები.

ნახე, რა მოქნილი პოლიტიკა ჰქონდა დავით აღმაშენებელს აღმოსავლეთთანაც და დასავლეთთანაც, ჩრდილოეთთანაც და სამხრეთთანაც.

ჩვენ სპარსეთის, თურქეთის და ერაყის მეზობლები ვართ, მიხეილ, და როგორ შეიძლება მუსლიმანური სამყარო მტრად გადაიკიდო. თვითონ ამერიკას არ უთხოვია ჯერ ოფიციალურად არაფერი და ჩვენი „საგარეო უწყება“ გაჰყვირის, მარნეულის აეროპორტს ამერიკის ავიამზიდებს დავუთმობთო.

ღმერთმა ნუ ქნას და ამერიკამ რომ მარნეულიდან სპარსეთი დაბომბოს, ის სპარსეთი ხეირს დაგვაყრის ხვალზეგ?

რა საჭიროა ეს პოლიტიკური ბრაციბრუცი? ვერ ვეტევით წყნარად ჩვენს უკანალზე?

ვიცი, ძნელია, უარი უთხრა მეგობარ ამერიკას ერაყში მცირე შენაერთის გაგზავნაზე, მაგრამ რა საჭიროა ამის აფიშირება, რა

საჭიროა ტელევიზიით (l არხი) ვუჩვენოთ: ჩვენი ლომი ბიჭები ერაყში მიემგზავრებიანო?!

სანამ გადაწყვეტილებას მიიღებდე, საქართველოს ტერიტორიაზე ჩრდილოეთიდან ჩამოსულ უცხო ტომს სახელმწიფო გამოუჭრა, ხომ უნდა ჰკითხო შენს ხალხს, უნდა თუ არა ჩვენს ქვეყანას კიდევ ერთი ბომბი მუცელში?

ეჭვი გეპარება, რომ ერთი და იმავე სახელწოდების ორი „სახელმწიფო“ ხვალ თუ ზეგ გაერთიანებას მოინდომებს?

რაო, ერის რჩევა არ გჭირდება? თვითონვე ჭრი და თვითონვე კერავ?

იმის მაგივრად, რომ პატარა, მობილური, კარგად გაწვრთნილი ჯარი ჰყავდეს ქვეყანას, ნამდვილ ჯარისკაცებს ლუკმას აკლებ და თეატრალიზებულ „ლეგიონზე“ – რეზერვისტებზე ხარჯავ?

შენ თვითონ არ იცი, რომ ეს ჰაერში გადაყრილი ფულია?

შენ თვითონ ვერ ხვდები, რომ კომიკური ფილმის პასაჟს ჰგავდა, შენი „მამაცი რეზერვისტები“ ქუთაისში უწაუწა ვედროებით წყალს რომ დაარბენინებდნენ და შენ გაბადრული სახით აცხადებდი:

„აი, რისთვის გვჭირდება რეზერვისტებიო“.

არ შეიძლება, მიშა, შენი მომხრე უმწიფარა, მოდებილო-მოლოთო პოლიტიკოსები გაჰყვროდნენ: უკრაინას ჩვენ ჩავუტარეთ ნარინჯისფერი რევოლუციაო.

ამით იუშენკოც მცირდება, ორმოცდაათმილიონიანი სახელმწიფო უკრაინაც და რუსეთი კბილებს აკრაჭუნებს; აი, ვინ ყოფილა ჩვენი დამღუპველიო.

რჩევა მეთხუთმეტე

მიხეილ, სამწუხაროდ, ძალიან ჩქარა დაგავიწყდა, რომ შენ ძალადობრივი, არაკანონიერი გზით მოსული ხელისუფლების წინამძღოლი ხარ.

დღესდღეობით ზვიად გამსახურდიას ეროვნული ხელისუფლების მომხრეებმა თითქმის მიაღწიეს იმას, რომ საქართველოს პრეზიდენტმა დააკანონა კანონიერად არჩეული პირველი პრეზიდენტის დამხობის არაკონსტიტუციურობა და დანაშაულებრიობა.

გახსოვდეთ, ერთი ნაბიჯიღა რჩება იქამდე, რომ შენ მიერ 2003 წლის 23 ნოემბერს ერთ საათში გარეკილი პარლამენტის წევრებმაც დააყენონ საკითხი: მიშა, შენ შენი პარტიის ადგილებისთვის იბრძოდი, მაგრამ რა იურიდიული და მორალური უფლება გქონდა, პოლიტიკურად გაუცნობიერებელი ბიჭებისგან შემდგარ შენი „ყოჩაღი რაზმით“

შევარდნილიყავი პარლამენტში და მუჯლუგუნებით ქუჩაში გამოგეგდო ხალხის მიერ არჩეული დეპუტატები?

ხალხის მიერ არჩეულიო? გაგეცინება.

დიახ, ხალხის მიერ არჩეული, მიშიკო. 2003 წლის არჩევნებს საზღვარგარეთიდან მოწვეული უამრავი დამკვირვებელი ესწრებოდა. მათ არჩევნები ჩატარებულად აღიარეს და არსად მიუნიშნებიათ ეგზალტირებული ბრბოს პარლამენტში შევარდნის საჭიროებაზე.

დაიდე წინ იმ პარლამენტის სია და კარგად ჩახედე, მართლა უღირსი, უსინდისო, კორუმპირებული, ფულით მოსული ადამიანებისაგან შედგებოდა მთლიანად 2003 წლის პარლამენტი?

და თუ იქ ნახევარი მაინც იყო ღირსეული, რა უფლება გქონდა, „რევოლუციის სახელით“ მათთვის განაჩენი გამოგეტანა?

შენ რა, კამო ხარ, თუ ტროცკი?

ბიჭები ორი დღე წვიმაში ჩემ გვერდით იდგნენო და დღეს შენ, პრეზიდენტი, ყველანაირად მფარველობ „წვიმოსნებს“, დაჩეკე ისინი პარლამენტარებად, მინისტრებად... არც იმათ ივიწყებ, ვინც ქუჩაქუჩა დადიოდა და უბინაო ჟვანიასთვის კონსპირაციული შეხვედრების (ახლა მაინც რა იყო საკონსპირაციო და დასამალი? რაო, ახალი რევოლუცია ხომ არ მზადდებოდა?) მოსაწყობად ბინებს ქირაობდა.

ახლა სხვა მხრიდანაც შევხედოთ ამ ამბავს: შენ რომ შევარდნაძის „დოსტი“ იყავი, შევარდნაძე რომ გვერდიდან არ გიცილებდა (თუ შენ არ შორდებოდი) და ხალხს ამუნათებდა – ეს იქნება თქვენი დეპუტატიო... ყველა ის არჩევნები სამართლიანი იყო და მხოლოდ 2003 წლის არჩევნები იყო უსამართლო?

ისტორიას მწარე მეხსიერება აქვს, მიშიკო, და ამას ყველაფერს გაგიხსენებენ.

შევარდნაძე მართლაც მოსწყინდა ხალხს და ქვეყანა მზად იყო ეპატიებინა შენთვის ხელისუფლებაში სოროსის ფრთებით მოვარდნა, თუ სწორედ ხალხისთვის მზრუნველი პრეზიდენტი აღმოჩნდებოდი.

შენ კი...

კიდევ უფრო იმატა უმუშევრობამ, უსინათლობამ, შიმშილმა, მიუსაფრობამ. სახელმწიფო სამსახურებიდან ქუჩაში განდევნილმა დღიურ ლუკმად გარე ვაჭრობა გაიხადა და ღდინში ჩაუდექი. კუდის რიკამდე მისდიე – მოკვდი მშიერიო?!

საცოდავი ლტოლვილი ქალების დახეულ კოლგოტკებში მიძვრებით – არიქა, სიგარეტს არ ჰყიდდესო.

რაც ყველაზე დიდი საშინელებაა, ხალხის ნერვებზე თამაშობთ. როგორ?

შეგეშლებათ რამე (ვის არ ეშლება) და სიმართლის მაძიებელ დემონსტანტებს (მათ შორის 15-16 წლის ბავშვებსაც) თვალებს უბრიალებთ. იმის ნაცვლად, რომ შეცდომა გამოასწოროთ, მტკიცე უარით „აპურებთ“ ხალხს და თქვენსავე მოქალაქეებს აჩვევთ ერთ, თქვენთვის მეტად საშიშ აზრს – „სულერთია, ამათთან სამართალს ვერ მიაღწევ, ესენი ისეთი კერპები და ჯიუტები არიან, სიმართლის სასარგებლოდ არაფერს დათმობენ!“

ახლა ქვეყანაში თქვენეული სტილი ბატონობს – „თავში ქვა იეც და ისა ჰქენი!“

ჩემო მიხეილ,

მე მოვლენათა ცხელ კვალზე მოსიარულე მწერალი ვარ და პირველი ნოველა „ხავერდოვან რევოლუციაზე“ სწორედ მე დავწერე. იგი „რევოლუციიდან ერთ კვირაში გამოქვეყნდა და შეტანილია ჩემს ახლახან გამოცემულ წიგნში („რას მერჩოდი“, 2005 წ. „ხავერდოვანი რევოლუცია“), რომელიც წიგნის ყოველ მაღაზიაში იყიდება.

ნოველაში ვწერდი იმაზე, რომ ავტობუსებში შეტყუებულ „რევოლუციონერთაგან“ ზოგმა არც იცოდა, რა საქმეზე მიდიოდა თბილისში, ვწერდი იმაზე, რომ რევოლუციიდან ერთ საათში რევოლუციურმა სამეულმა დაიქნია რევოლუციის ჯარისკაცები (ჟვანიამ გამოაცხადა: „დიდი მადლობა, ახლა წადით და დაუბრუნდით თქვენს სამუშაო ადგილებსო“, რაზეც ერთმა „გულუბრყვილო“ ახალგაზრდამ უპასუხა: „სამუშაო ადგილი და საჭმელი რომ მქონოდა, რა მინდოდა აქანაო“) და ნოველას ასე ვამთავრებდი:

„გია („რევოლუციის“ უნებლიე მონაწილე (რ. მ.)

ხმას არ იღებდა.

რაც თბილისიდან წამოვიდნენ, ერთადერთი ფრაზა უტრიალებდა თავში:

„რა ადვილი ყოფილა პრეზიდენტის დამხობა“.

ჩვენ, ძველი თაობის რევოლუციონერებმა, ეს კარგად ვიცოდით, მაგრამ იყო საჭირო ამ ელემენტარული ჭეშმარიტების გაგება 19 წლის ბიჭისთვის, რომელსაც მთელი ცხოვრება და ვინ იცის, მომავალი რევოლუციები წინა აქვს?“

ვგრძნობ, თუ ასე განაგრძე ქვეყნის მართვა, უკმაყოფილო ხალხის ნიაღვარი მალე თავს დაგატყდება, მიშა, და მერე გვიან იქნება თითზე კბენანი.

განსაკუთრებით იმ ბიჭებისა გეშინოდეს, რომლებმაც პრეზიდენტის დამხობის „ხელოვნება“ უკვე იციან.

რჩევა მეთექვსმეტე

წინასაარჩევნო მარათონის დროს ყოველ მოსახვევში გაჰყვიროდი, მიხეილ, მეო, მხოლოდ ისე ვიცხოვრებ, როგორც ჩემი ქვეყანა ცხოვრობსო.

არ მჭირდება ვილები და რეზიდენციები, შევარდნაძესავით კრწანისის რეზიდენციაში კი არა, ჩვეულებრივად, თბილისის ცენტრში, ოროთახიან ბინაში ვიცხოვრებო.

გავკეთდით, ეს რა თავმდაბალი, რა უბრალო პრეზიდენტი გვეყოლებაო, ფიქრობდნენ ბედნიერი ამომრჩევლები.

ცოტა არ იყოს, პირველმა ეჭვმა შენი უბრალოების შესახებ მაშინ გაჰკრათ გულში, პრეზიდენტად არჩევამდე სამი კვირით ადრე რომ დაგავიწყდა შენი „აღთქმა“ და „უსაფრთხოების მიზნით“ სწორედ კრწანისში, შევარდნაძის გვერდით დაიდე ბინა.

ცხოვრობდით მხარდამხარ, ტკბილმეზობლურად კრწანისის სამთავრობო რეზიდენციაში გაძევებული პრეზიდენტი შევარდნაძე და შენ – მთავარი გამძევებელი, საპრეზიდენტოდ შეღერებული სააკაშვილი.

მერე ის იყო, პრეზიდენტად ერთხმად აგირჩია საქართველომ (ჭიაბერაშვილი!) და შენც ხბოს აღტაცებაშეპყრობილმა შენებურად, უბრალოდ და თავმდაბლურად საინაუგურაციო მარშით მოიბათუმ-მოიქუთაის-მოითბილის-მოიგელათე.

მართლაც რომ აჯობე ბუშის ინაუგურაციას.

დავით აღმაშენებლის აჩრდილიც კი შეაწუხე მონაფურ-პრეზიდენტური ფიცის დადებით.

მალე შენი ოჯახი პარლამენტის ახლოს, ოთხოთახიან ბინაში გადავიდა.

შენ რისი მიხეილ სააკაშვილი ხარ, ჩვეულებრივ მოქალაქეებთან ერთად ჩვეულებრივზე ცოტა უკეთეს ოთხოთახიან ბინაში რომ გეცხოვრა.

ამჟამად თბილისში, მიშიკო, პრეზიდენტის უსაფრთხოებისათვის სრულიად გამოსადეგი, ცნობილი თუ უცნობი, რამდენიმე ფეშენებელური აგარაკია:

კრწანისის სამთავრობო-საპრეზიდენტო რეზიდენცია, ოქროყანის სამთავრობო აგარაკი, შავნაბადას სახელისუფლებო აგარაკი-სიმაგრე და წყნეთის სამთავრობო რეზიდენცია...

შენი საპრეზიდენტო მადა, ჩანს, ვერც ერთმა მათგანმა ვერ დააკმაყოფილა და აქამდე არნახული და გაუგონარი, ზღაპრულად მდიდრული საპრეზიდენტო რეზიდენციის მშენებლობა წამოიწყე.

საქართველოს გატყავებით ნაშოვნი ფულით ეს მშენებლობა ელვის სისწრაფით მიმდინარეობს და მალე დამთავრდება.

და ეს მაშინ, როცა საქართველო უცხოეთის ვალებში ყელამდე ჩაფლული, დამარცხებულ-დამცირებული, უღარიბესი ქვეყანაა, მიშიკო, სადაც ყოველდღე სასომიხდილი, მომავლის იმედდაკარგული ათობით კაცი ან შიმშილით კვდება, ან თავს იკლავს.

საქართველოს ისტორიას თვალის ერთი გადავლებით, ზერელედ მაინც თუ იცნობ, გეკითხები მე – ერთი ქართველი მწერალი, თუ გახსოვს, რომელმა მეფემ ააშენა საქართველოში თავისთვის გრანდიოზული სასახლე?

თუ არის საქართველოში თუნდაც ერთი პომპეზური სამეფო სასახლე შემორჩენილი?

თუა ცნობილი, სად, რომელ სამეფო სასახლეში ცხოვრობდნენ შენზე ცოტათი უფრო ბრძენი და ჭკვიანი ხელმწიფეები: დავით აღმაშენებელი, თამარ მეფე, ბაგრატ მესამე...

ჰქონდათ, როგორ არ ჰქონდათ, ჩვენს სულკურთხეულ წინაპრებს საზამთრო და საზაფხულო სამეფო რეზიდენციები, მაგრამ, ჩანს, ისე მკვიდრად ნაგები არა, როგორსაც შენ იშენებ, თორემ ჩვენს დრომდე ერთი მაინც შემოგვრჩებოდა.

როგორ ფიქრობ შენ, დავითს, თამარს, ბაგრატს და სხვათა არ შეეძლოთ ბრწყინვალე სამეფო სასახლეები აეშენებინათ? მაგრამ არ ააშენეს, მიშიკო, იმიტომ, რომ ისინი აშენებდნენ გელათს, ვარძიას, ბედიას და ბაგრატის ტაძარს.

ცოტათი მაინც თუ ჩაგახედე სინდისში?

ვერა?

კარგად დაფიქრდი, პრეზიდენტო, ე მანდ შენმა ავლაბრულმა მადამ (მინიშნება მხოლოდ მშენებლობის ადგილზეა, რ. მ.) სხვა სასულელეებიც არ ჩაგადენინოს.

რჩევა მეჩვიდმეტე

ყველაფერს გაუძლებდა კაცი, დღეს საქართველოში ეროვნული ცნობიერების წინააღმდეგ გამალებული, ფართომასშტაბიანი ბრძოლა რომ არ იყოს გაჩაღებული.

და ეს ბრძოლა სწორედ შენი ხელმძღვანელობით, შენი ხელისუფლების დროს დაიწყო.

დემოკრატიასთან მმართველობის შენეულ სტილს საერთო არაფერი აქვს, მიშიკო. ვერ იტან განსხვავებულ აზრს; ჭირივით გძულს ოპოზიცია; თვალების ბრიალს მოჰყვები ხოლმე, თუ ვინმე გაბედავს და შენიშვნას შეგკადრებს.

სამაგიეროდ განსაცვიფრებელ დემოკრატიულობას იჩენთ შენ და შენი ტელევიზია, როცა შოთა რუსთაველს, ილია ჭავჭავაძეს, აკაკი წერეთელს და გალაკტიონ ტაბიძეს აბდაუბდა, პრიმიტიულ, პროვინციულ მწერლებად აცხადებენ.

შენ სწორედ იმ მოხულიგნო, უნიჭო მწერლებს იხუტებ გულში, ვინც ზემოთ ნახსენებ საძრახის საქმეს სჩადის ყოველდღე, ყოველ წამს, ყოველი სტრიქონით...

ამას პოლიტიკურ ენაზე ქვეყნისთვის ეროვნული ორიენტირების მოშლა ჰქვია, მიშიკო.

წაართვი ქართველ ერს რუსთაველი, ილია, აკაკი, ვაჟა, გალაკტიონი და, იცი, რა შეგრჩება ხელში? საძოვარზე მიშვებული ნახირი.

ბოდიშს ვიხდი, საძოვარზე მიშვებული რომ იყოს, კიდევ არა უშავს, „საძოვარზე მიუშვებელი“ უნდა დამეწერა. თქვენ ხომ დღედაღამ იმაზე ფიქრობთ, როგორ გაუმწაროთ ცხოვრება ხალხს, იქამდე მიხვედით, რომ ბალახის გადასახადიც დააწესეთ.

„ივერიის“ კედელს რომ ეროს ურტყამდი და პიჯაკი მოითხვარე (ქ-ნი სანდრა შემეცოდა), იცი თუ არა შენ, რომ სასტუმრო „ივერია“ მდიდარმა ქვეყანამ უნდა დაანგრიოს, ხოლო ჩვენსავით ღარიბმა და გაუბედურებულმა უნდა შეაკეთოს, თანამედროვე დიზაინით აღჭურვოს და ქვეყნის სამსახურში ჩააყენოს.

ქართულ ენას ოფიციალური ქომაგი არ ჰყავდესო და ერთი ხელის მოსმით გააუქმებინე ავადსახსენებელ ლომაიას ენის პალატა.

მიხეილ, 1918 წელს საქართველო დამოუკიდებელ სახელმწიფოდ რომ გამოცხადდა, თბილისის მერიაში შეიქმნა „ქართული ენის კომისია“.

თუ იცი რა ევალებოდა ამ კომისიას?

საჯარო სამსახურში (სახელმწიფო სამსახური იგულისხმება) არაქართველს სანამ დანიშნავდნენ, კომისიას უნდა გამოეცადა.

თუ პიროვნებამ სახელმწიფო ენა – ქართული არ იცოდა, უარს ეუბნებოდნენ სამსახურში მოწყობაზე.

დღეს პირიქითაა. სწორედ იმას იღებთ სამსახურში, ვინც ქართული სუსტად იცის, ან საერთოდ არ იცის.

კონსპირაციულ ბინაზე მცირე გასაუბრება და მორჩა – მიღებულია.

შენი და ბურჯანაძის დაუცხრომელი მეცადინეობით პარლამენტის საარჩევნო კანონში შეტანილია მუხლი, რომლის ძალითაც საქართველოს პარლამენტის წევრისთვის აუცილებელი არ არის ქართული ენის ცოდნა.

პარლამენტის სხდომები ჯერჯერობით ქართულ ენაზე მიმდინარეობს.

რა უნდა გაიგოს იმ სხდომებზე, ან რა კანონშემოქმედებით საქმიანობაში უნდა მიიღოს მონაწილეობა ქართულის არმცოდნე დეპუტატმა? არაფერს ვიტყვი იმაზე, რომ აღზრდის მთელი სისტემა, საქართველოს ცხოვრების ნირი ისე მოაწყვეთ, ეროვნული ტრადიციები, ეროვნული ცნობიერება რომ დავივიწყოთ.

თბილისში ქართული წარწერები დღითიდღე მცირდება...

საქართველო ამერიკის ფილიალი არ არის, მიხეილ!

საქართველო უაღრესად თვითმყოფადი, უძველესი ისტორიის მქონე სახელმწიფოა.

რჩევა მეთვრამეტე

გამაოგნებელია შენი დამოკიდებულება ქართული სახელოვნო წისქვილების მიმართ.

ეროვნული ხელოვნების ბედისადმი ასეთი გულგრილი ხელმძღვანელი საქართველოს არც ერთ საუკუნეში არ ჰყოლიაო, ამბობენ.

არც ერთ საიუბილეო საღამოს, არც ერთ შემოქმედებით ბენეფისს რომ არ დასწრებიხარ, ვიცოდი, მაგრამ სპეციალურად ვიკითხე და განსაცვიფრებელი რამ მითხრეს:

თურმე შენი პრეზიდენტობის პერიოდში არც ერთხელ არ ყოფილხარ ახმეტელის თეატრში, თეატრში ათონელზე, თავისუფალ თეატრში, რუსთაველისა და ვაკის თეატრალურ სარდაფებში, სამეფო უბნის თეატრში, ვერიკოს თეატრში, პანტომიმის თეატრში... არ დასწრებიხარ ქართული ხალხური ცეკვისა და სიმღერის ანსამბლების არც ერთ კონცერტს.

რუსთაველზე მშვენიერი ფოლკლორის თეატრი გაიხსნა – ფეხი არ შეგიდგამს.

რუსთაველისა და მარჯანიშვილის თეატრებში ხომ ისედაც არ მიხვიდოდი. ეს უბრწყინვალესი თეატრები ორი წელია „რემონტის გამო არ ფუნქციონირებენ“.

დაინტერესდი ამ კურიოზულ-ტრაგიკული ფაქტით, მიშიკო?

როგორ შეიძლება თეატრის გაჩერება?!

ოპერისა და რუსთაველის თეატრებს რომ ხანძარი გაუჩნდა „წყეულ კომუნისტურ ეპოქაში“, სპექტაკლები სხვა შენობაში გადაიტანეს და თეატრებს ერთი დღითაც არ შეუწყვეტია მუშაობა.

იცი, რა დარტყმაა მსახიობისა და მაყურებლისთვის წამყვანი თეატრის ორი წლით გაჩერება? თეატრი ფორმას კარგავს, მაყურე-

ბელსა და თეატრს შორის ათეული წლების განმავლობაში გაბმული ძაფი წყდება.

ერთი სარდაფი არ ეღირსა ქართული ნოველის თეატრს, რომელიც მომთაბარე ცხოვრებას ეწევა. ნახევრადდანგრეულ შენობაში, მტვრის ბულში მართავს სპექტაკლებს პანტომიმის თეატრი.

სავალალო დღეშია ჩვენი საამაყო ისტორიული ძეგლები: აწვიმს ჯრუჭის მონასტერს, კვეტერას, ნოქალაქევს, წალენჯიხის მონასტერს, მარტვილს... შეჩერდა ბაგრატის ტაძრის აღსადგენ-გასამაგრებელი სამუშაოები, ყინვა-დელგმა-ქარაშოტი აჩანაგებს თითქმის ყველა ჩვენამდე სასწაულით მოღწეულ მატერიალური კულტურის ძეგლს.

სარემონტო თანხის უქონლობის გამო თითქმის აღარ ფუნქციონირებენ კონსტანტინე გამსახურდიას, გალაკტიონის, გიორგი ლეონიძის, ფიროსმანის, ნიკო ლორთქიფანიძის, ეგნატე ნინოშვილის, სერგო ზაქარიაძის... სახლ-მუზეუმები. „სახელმწიფო მოხელეებს“ გაუზარდე ხელფასი, მასწავლებლებს და მუზეუმის თანამშრომლებს – არა.

რომელ მუზეუმზეა ლაპარაკი, როცა ჩვენმა მსოფლიოში სახელგანთქმულმა კინოსტუდიამ თითქმის უკვე შეწყვიტა შემოქმედებითი ცხოვრება, პრეზიდენტო!

იქნებ ხალხური შემოქმედების რომელიმე ანსამბლს გამოუყავი შენი ფონდიდან ორიოდე გროში, მიშა, ან იქნებ პერიფერიის რომელიმე თეატრი წაახალისე?

არა და არა!

აი, ასე ქომაგობთ შენ და შენი სოროსულ ჩითილში გამოზრდილი კულტურის მინისტრი ქართულ კულტურას. გამოდის ცხრა მთავრობის გაყიდვაში შემჩნეული მამა ჩვენი კულტურის მინისტრისა, რომელსაც ყველაფერი შეიძლება ეწოდოს, გარდა პოლიტიკოსისა და ტელევიზიით პატიოსნებაზე, ობიექტურობაზე, პროფესიონალიზმზე ყბედობს.

არ გეკადრება შენ, საქართველოს პრეზიდენტს, ასეთი სიყრუე ეროვნული ხელოვნების გასაჭირისადმი.

საქართველოს უმთავრესი განძი ხომ, უპირველესად, მისი ხელოვნებაა.

რჩევა მეცხრამეტე

უვიცობას უგუნურება რომ მისცემს მხარს, სწორედ მაშინაა ცუდად საქმე.

გაფუჭებული გრამაფონივით რომ იმეორებთ, ესა და ეს კომუნისტური წყობის გადმონაშთიაო, სწორედ ესაა უვიცობა და უგუნურობა, ორივე ერთად.

თეატრალური საზოგადოება კომუნისტური ეპოქის კი არა, სახელოვან თერგდალეულთა (ილია, აკაკი, მაჩაბელი...) „გადმონაშთია“, მიშიკო.

მწერალთა კავშირი კომუნისტების მოსვლამდე, 1917 წელს შეიქმნა, მიშიკო, და უფრო პირველი დამოუკიდებელი საქართველოს „გადმონაშთია“ – გააგებინე შენს თვალჭკუადაბნეულ კულტურის მინისტრს.

„ცოდნა“ წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების „გადმონაშთია“ და სწორედ რომ ილია ჭავჭავაძემ დაუდო სათავე.

ვინ არის კომუნისტური წყობის „მემკვიდრე“ – ჭაბუა ამირეჯიბი (რომელმაც 20 წელი ციხეში გაატარა), თუ მე – რევაზ მიშველაძე, მთელი ცხოვრების მანძილზე, ჩემი სამოცივე წიგნით კომუნისტებს რომ ვებრძოდი?

აი, შენ კი, მიშიკო, შენ, ჟვანიამ და ბურჯანაძემ თქვენს ნორჩ ასაკში უკვე მოასწარით კომკავშირელობაც, მოქკავშირის წევრობაც და ყველა პოსტკომუნისტურ-ნომენკლატურულ ხვრელში გაძვრომ-გამოძვრომაც.

საერთოდ, უნდა იცოდეთ, რომ თუ ჭეშმარიტი ხელოვანია, „კომუნისტი“ და „ნაციონალისტი“ ხელოვანი არ არსებობს. თვით ავთო ვარსიმაშვილი, რომელიც თქვენს ზეიმებს დგამს, არ გეგონოთ, რომ „ნაციონალისტი რეჟისორია“. იგი რეჟისორია – მორჩა და გათავდა.

სამწუხაროდ, ნაციონალისტი ხელოვანნი თქვენმა „რევოლუციამ“ დაბადა. მიიტმასნეთ ხელმოცარული ტელემწერლები „პენმარათონელთა“ სახით და ფარვანასავით ფარფატებენ ახლა თქვენ ირგვლივ ბილწსიტყვა ახალგაზრდა მოკალმენი ქართული მწერლობის სირცხვილად და თავისმოჭრად.

„გადმონაშთიაო“ უნივერსიტეტები და ლომაიას მსუბუქი ხელით ერთბაშად გააცამტვერეთ.

იქნებ, შენ არც იცი, რა ჩაიდინა ლომაიამ შენი სახელით.

ერთი ხელის მოსმით გადააყენეს ცნობილ ეროვნულ უნივერსიტეტში ყველა რექტორი და დეკანი (რაო, არც ერთი არ ვარგოდა?).

გააუქმეთ ასპირანტურა და მაძიებლის ინსტიტუტი, მეცნიერთა ცვლის აღზრდა, თურმე ივანე ჯავახიშვილის ახირება და „გადმონაშათი“ ყოფილა.

დამოკლეს მახვილის ქვეშ დააყენეთ ყველა პროფესორი, დოცენტი, მასწავლებელი, ასისტენტი... აკრძალეთ ფასიანი სწავლების სტუდენტთათვის ოდნავი შეღავათის მიცემაც კი.

არ არის ეს ფაშიზმი, მიშიკო?

წელს ჩემთან მაგისტრატურას სამი საუკეთესო ახალგაზრდა ამთავრებს. ასპირანტურაში მინდოდა მათი მიღება. როგორ მირჩევ, სად წავიყვანო?

ლომაიას ჭკუაზე დადიხარ, მიხეილ? კაცისა, რომელსაც მის სიცოცხლეში ერთი გაკვეთილი არ ჩაუტარებია და ერთი ლექცია არ წაუკითხავს?

შენი უსიტყვო თანხმობით „ყოჩაღმა ბიჭებმა“ თითქმის ყველა ეროვნული დღესასწაული გააუქმეს. აღარ ტარდება „გელათობა“, „სულთმოფენობა“ „ილიაობა“, „გურამიშვილობა“, „აკაკობა“, „საბაობა“, „ბოლნისობა“, „ნიკოლაძეობა“, „ბახტრიონობა“ „დიდგორობა“, „გარეჯობა“, „ჰერეთობა“, „იაკობობა“.

სამარცხვინო რეფორმა განიცადა „თბილისობამ“. იგი სახალხო დღესასწაულიდან უცხოურ-ტინგიცური ჰანგების სარეკლამოდ არენად იქცა.

ამას წინათ, პირველად გამართულ „მარტყოფობაზე“ არც ერთი შენი გუნდის წევრი არ მობრძანდა (შენ სად მოიცლიდი, იმ დღეს მძიმე ურითი „ივერიაზე“ მიგქონდა იერიში).

გიორგი სააკაძემ მაინც რაღა დაგიშავა, მიშიკო?

ეს ყოველივე მხოლოდ შენ რომ დაგაბრალო, უსამართლობა იქნება. ბევრი რამ შენი უკულტურო კულტურის მინისტრის ბრალიცაა. ნახე თუ არა, რა უზრდელურად, ცინიკურად ესაუბრებოდა ბრწყინვალე რეჟისორს – გიგა ლორთქიფანიძეს, შენი გოკა? შევარდნაძე შენს რჩევებს რომ იღებდა, იმიტომაც წაუვიდა კარგად საქმეო... შენაო, მარჯანიშვილის თეატრისთვის გარეშე კაცი ხარო...

აფერუმ, გიგას ვაჟკაცობას, რომ მოითმინა და არ დრუზა კეტი თავში თავხედ მინისტრს.

ყველაფერს რომ თავი გავანებოთ, ასე უნდა ელაპარაკოს პაპისტოლა კაცს უმწიფარა მინისტრი? არ აგახია ყური მამაშენმა, გოკა, შინ რომ მიხვედი?

მე, მის ადგილას, აუცილებლად აგახევდი.

ფერეიდანში რომ ენად გაიკრიფე პრეზიდენტო და ტანჯულ ქართველთა წინაშე ნიანგის ცრემლები ღვარე, იცი თუ არა, რომ თითქმის ყველა დაბრუნებული ფერეიდნელი უმუშევარია და შიმშილით სიკვდილის საფრთხის წინაშე დგას?

რომ ფერეიდნიდან დაბრუნებული 30 ოჯახიდან 20 უკვე უკან გაბრუნდა? რომ შენს სახელზე კვირაში დაახლოებით 3 ფერეიდნელის წერილი შედის კანცელარიაში და ყველა უპასუხოდ რჩება?

გეკადრება, მიხეილ, ასეთი სიყრუე, ოთხასი წლის წინათ სამშობლოს მოწყვეტილი და შაჰ-აბასის მიერ სპარსეთში გარეკილი ჩვენი გაწამებული გმირი და-ძმების მიმართ?

რჩევა მეოცე

საქართველო საერთოდ ძნელად სამართავი ქვეყანაა, მიშიკო, და მით უმეტეს, ამ უაღრესად რთულ პერიოდში.

შენ მზად არ აღმოჩნდი პრეზიდენტობისთვის.

ყველაზე ცუდი ის არის, რომ შენს საქმიანობას ქართველი ერისადმი, ქართული ფენომენისადმი სიყვარული არ ახლავს თან.

შენ ქართულ ეროვნულ სახელმწიფოს არ აშენებ; ისეთ სახელმწიფოს, სადაც, კონსტანტინე გამსახურდიას თქმისა არ იყოს, იქნება ქართული კულტურის დომინანტი, სადაც ყველაფერი დაემორჩილება ქართველი ერის – როგორც სახელმწიფოს შემქმნელი ერის ნებას.

შენ ქართულად არ გიძგერს გული, იმიტომ, რომ საერთოდ ქართული ფენომენის ცნება უცნობია შენთვის. შენ იმ კულტურულ-გენეტიკური მემკვიდრეობის ნაწილად არ თვლი თავს, რაც ქართველ ერს საუკუნეთა განმავლობაში შეუქმნია.

ყოველივე ამის გამო შენი „უნაპირო“ კოსმოპოლიტიზმით (კოსმოპოლიტიზმს კიდევ „უნაპირობა“ უნდოდა? რ. მ.) ქართულ სახელმწიფოს ვერ ააშენებ.

კატასტროფულად ეცემა ქვეყანაში დღითი დღე შენი ავტორიტეტი.

ჩანს, გიმალავენ შენი იმიჯის ნულზე დასვლის დრამატულ სურათსაც.

ლუპით გასინჯავენ ამ სტრიქონებს და... რევაზ მიშველაძე შენი მტერი ყოფილაო, გეტყვიან შენი თუთიყუშები.

თავიდანვე გითხარი და ახლა გაგიმეორებ, რომ მე შენი მტერი თუნდაც იმიტომ ვერ ვიქნები, რომ ძალიან პატარა ხარ იმისათვის, რათა მტრად დაგიგულო.

შიშით კი, შენი კი არა, მამალი მგლის არ მეშინია. შიშის გრძნობა აჩიკო მიშველაძესთან ერთად დავმარხე.

მე, ქართველ მწერალს, რომელიც უკვე 65-ს გადავშორდი, შენგან არაფერი მინდა, გარდა იმისა, რომ ჭკუას მოუხმო და ქვეყანა მწარედ არ გააცინო.

შენი სასიკეთოდ შემობრუნების იმედით გაწვდი ამ რჩევებს.

თუმცა გითხრა სიმართლე, შენი ბოლო დროის ყოველდღიური საქციელის შემყურე, დარწმუნებული არა ვარ შენს კეთილგონიერებაში.

ჰოდა, დაიხსომე:

თუ არ ისწავლი შეცდომის გამო უკანდახევას;

თუ არ იქნები მომჭირნე და ყაირათიანი;

თუ კვლავ ენერგიულად განაგრძობ ქართული ეროვნული ცნობიერების წინააღმდეგ ბრძოლას;

თუ ფეხებზე დაიკიდებ მილიონთა გასაჭირს და არ იზრუნებ თითოეული მოქალაქის გამოკვებაზე;

თუ არ იქნები ლმობიერი და მიმტევებელი;

თუ არ მიიღებ, არ მოუსმენ მთხოვნელებს, ჭოტივით შეიყუჟები კაბინეტში და მხოლოდ მაშინ გამოხვალ გარეთ, როცა ორმოცდაათკაციანი ამალით რიო-დე-ჟანეიროში უნდა გაფრინდე, ან სტუმარ ერთა წარმომადგენლები ბაირამ-ნავროზობაზე დაგიძახებენ;

თუ არ შეელევი შენს ირგვლივ დაჯარულ მედროვეებს...

გახსოვდეს, ცუდად დაამთავრებ შენს ეიფორიულ პრეზიდენტობას, რაც ფრიად საწყენი იქნება ჩემთვის, ხოლო ჩემი ქვეყნისთვის ფრიად სავალალო.

სხვა მხრივ მშვიდობით ბრძანდებოდე.

მოკითხვითა და ნახვის ნატვრით.

რევაზ მიშველაძე

მარტი-აპრილი, 2005 თბილისი

ოთხი საპარლამენტო წელი

ძვირფასო მკითხველო,

თქვენს წერილებში არაერთგზის დაისვა საკითხი იმის შესახებ, არის თუ არა ხელოვანის, მწერლის ადგილი პარლამენტში და შეიძლება თუ არა ქვეყნისათვის სასარგებლო აღმოჩნდეს გაპოლიტიკოსებული მუზათა მსახურის საქმიანობა.

ჩვენი აზრი ასეთია: თუ მწერალი ჭეშმარიტი ერისკაცია, თუ თავის ქვეყანაზე შესტკივა გული, მისი ადგილი სწორედ იქ არის, სადაც მისი სამშობლოს ბედი წყდება.

ჩვენი სახელოვანი მწერალი, რუსთაველის პრემიის ლაურეატი რევაზ მიშველაძე სწორედ იმ საზოგადო მოღვაწეთა შორის გვეგულება, რომელთა სიტყვასაც, დიაღაც, რომ საქვეყნო ფასი და მნიშვნელობა აქვს.

პარლამენტის პლენარულ სხდომებზე ოთხი წლის განმავლობაში (1999 წლის 1 ნოემბრიდან 2003 წლის 1 ნოემბრამდე) ბატონ რევაზ მიშველაძის გამოსვლათა გამოქვეყნება პასუხს გასცემს კითხვას – იყო თუ არა სასარგებლო ქვეყნისთვის მწერლის ყოფნა პარლამენტში.

რედაქტორი

26 ნოემბერი, 1999 წ.

ბატონებო,

ოთხი წლის განმავლობაში საქართველოს თვალი მიპყრობილი იქნება ამ დარბაზისაკენ. ჩვენს ყოველ სიტყვას, ამ მაღალი ტრიბუნიდან ნათქვამს, ათასები მოისმენენ.

დიახ, ოთხი წლით ჩავიბარეთ ჩვენ საქართველოს შველის, გადარჩენის საქმე და ვინძლო თავი არ შევირცხვინოთ.

ერმა თავისი ბედი მოგვანდო და არა გვაქვს უფლება იმედი გავუმტყუნოთ, გავაწბილოთ.

გულწრფელად გეტყვით, მეჩოთირება პარლამენტის დაყოფა უმრავლესობად და უმცირესობად, პოზიციად და ოპოზიციად.

საქართველოს მძიმე ხვედრმა ამ დარბაზში მაინც გაგვაერთიანოს.

უკან დარჩა არჩევნების ციებ-ცხელება.

საარჩევნო ბაგირის გადაქაჩვის დროს, საარჩევნო მარათონის ორომტრიალში არაერთი უკადრისი სიტყვა აკადრეს ერთმანეთს ბლოკებმა და პარტიებმა.

ახლა, როცა ვნებები ჩაცხრა, დაბეჯითებით მოგიწოდებთ, პარლამენტს გარეთ დავტოვოთ წყენა-პწკენანი და ერთმანეთს თვალი გავუსწოროთ, ხელი მივცეთ ერთმანეთს როგორც ერის სახელმწიფოს კანონმდებელთ, ქვეყნის ჭირისუფალთ შეეფერებათ.

თუ კინკლაობა აქაც გავაგრძელეთ, ჩვენი მთავარი საქმე განზე მიგვრჩება და როცა ილაჯგაწყვეტილი, მოთმინების ფიალაავსებული ამომრჩეველი ჯოხით ხელში იმ მაღალ კარებში გამოჩნდება, იგი აღარ იკითხავს, ვინ რა პარტიული დოქტრინის და რა პოზიციის მიმდევარია, ყველას ერთად გადაგვისვრის ისტორიის ლაფაროში და მართალიც იქნება.

კეთილმა ნებამ, ერთმანეთის გაგების, გონიერი განსჯის სურვილმა ერთ მუშტად უნდა შეგვკრას საქართველოს ხსნის ძნელბედ გზაზე.

საქართველოს გადარჩენა ხომ ჩვენი უზენაესი სურვილია და

მინდა მჯეროდეს, რომ ამ დარბაზში ახლა არ ზის არც ერთი ქვეყნის დაქცევა-გაჩანაგების მოსურნე.

სუფთა ხელებით და სუფთა გულით შევუდგეთ საქმეს, ბატონებო.

8 დეკემბერი, 2000 წ.

ბატონებო,

ჩვენ აგვირჩიეს პარლამენტის წევრებად გაჭირვებულმა, გაუბედურებულმა, ნახევრადმშიერმა ადამიანებმა და იმედი აქვთ რომ იმედებს არ გავუმტყუნებთ.

აი, მეოთხე სხდომას ვესწრები პარლამენტისას და გულახდილად უნდა გითხრათ, რომ ჯერჯერობით ჩვენს საქმიანობას ხალხისთვის სასიკეთო პირი არ უჩანს.

რა ფაციფუცია, რა ქიჩმაჩია, რა ამბიციური გასვლა-გამოსვლაა თანამდებობის დასანაწილებლად.

ნუთუ პარლამენტის წევრობა არაა უმაღლესი სტატუსი ერის საშველად მოწოდებული პიროვნებისთვის და ამ უმაღლეს რანგსაც პარლამენტური თანამდებობების შებიჯგება სჭირდება?

ჯერ იყო და პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილეობისათვის დოღი გაიმართა. ნუთუ გგონიათ, დიდი მნიშვნელობა აქვს საქართველოსთვის რამდენი კაცი გამწკრივდება ჟვანიას გასწვრივ? რაში სჭირდება პარლამენტის თავმჯდომარეს ხუთი მოადგილე – ერთი არ ეყოფა?

ახლა გაუთავებლად ვკამათობთ იმაზე, რამდენი კომიტეტი უნდა მუშაობდეს პარლამენტში. თექვსმეტი კომიტეტი, ბატონებო, განა იმის მიმანიშნებელი არ არის, რომ ჩვენმა კოლეგა-პარლამენტარებმა ამბიციები დაიკმაყოფილონ? ვიკითხე და მითხრეს – ინგლისის პარლამენტში მხოლოდ შვიდი კომიტეტიაო.

წარმოიდგინეთ თექვსმეტი კომიტეტი, ორი ამდენი ქვეკომიტეტი, ახლა ფრაქციათა თავმჯდომარეები და მათი მოადგილეები. ნუთუ ბიუროკრატიული აპარატის გაბერვის მაგალითს უნდა აძლევდეს პარლამენტი საქართველოს? საიდან მოვიდა ეს თანამდებობრივი მგლის მადა? ამდენი გაჩინოვნიკებული პარლამენტარის შენახვა ხომ უმძიმეს ტვირთად დააწვება ისედაც გაძვალტყავებულ საქართველოს?

რა საჭიროა „დარგობრივი ეკონომიკის კომიტეტი“ ცალკე და „ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტი“ ცალკე? რა ეკონომიკური

პოლიტიკა გვაქვს ასეთი რომ ცალკე კომიტეტი გამოვყოთ? ხომ არ აჯობებს გავაერთიანოთ ორივე ეკონომიკის კომიტეტად?

რას ჰქვია „მთიანი რეგიონებისა და განსახლების კომიტეტი?“ თუ მთიანი რეგიონების კომიტეტს ცალკე შევქმნით, რატომ არ უნდა იყოს „ბარის რეგიონების კომიტეტი?“ შეიძლება ასე დაწილაქება რელიეფის მიხედვით?

ელემენტარულ კრიტიკას ვერ უძლებს არამარტო კომიტეტთა პარალელური ფუნქციების ხელოვნურად გამოგონება, არამედ მათი სახელწოდებების ენობრივ-ტერმინოლოგიური მხარეც:

ნახეთ, რა გრძელი სახელწოდება აქვს ერთ კომიტეტს: „ადამიანის უფლებათა დაცვის, მოქალაქეთა პეტიციებისა და სამოქალაქო საზოგადოების მშენებლობის კომიტეტი“. რაო, „ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტი“ არ იკმარებდა? ან „იურიდიულ საკითხთა, კანონიერებისა და ადმინისტრაციულ რეფორმების კომიტეტის“ და „საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტის“ ერთ კომიტეტად გაერთიანება არ შეიძლება?

ერთი გამაგებინეთ, ვინ იგონებს კომიტეტთა ამ გრძელ თავსამტვრევ დასახელებებს.

„ეროვნულ ურთიერთობათა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტი“ გვაუწყებს პროექტი.

რომელ ეროვნულ ურთიერთობებზეა ლაპარაკი? თქვენ ხომ 1998 წლის 14 ოქტომბრის კანონით გააუქმეთ ეროვნებები საქართველოში. საქართველოს მოქალაქეს ხომ არც ერთ საბუთში ეროვნება არ უწერია. რაო, სინდისმა შეგაწუხათ და მოისაკლისეთ ეროვნება? ანდა „სამოქალაქო ინტეგრაცია“ რაღა უბედურებაა? შეიძლება ეკონომიკური, აგრარული, საბაზრო ინტეგრაცია, მაგრამ მოქალაქეთა ინტეგრაცია როგორ შეიძლება?

ეს ხომ უკვე იყო ავადსახსენებელი იმპერიის დროს და ხომ სამარცხვინო კრახით დამთავრდა? ახლა თავიდან დაიწყეთ ეროვნებათა წაშლა, ბატონებო?

ანდა რა საჭიროა ასე პომპეზურად კომიტეტის თავმჯდომარეობის თქვენეულ კანდიდატთა დახასიათება?

თქვენ ხომ მტკიცედ გაქვთ გადაწყვეტილი ყველა თავმჯდომარე მხოლოდ მოქალაქეთა კავშირის წევრი იყოს.

უმცირესობა ხომ სურვილის შემთხვევაშიც თქვენს გადაწყვეტილებაზე ვერავითარ გავლენას ვერ მოახდენს. მაშ რა საჭიროა ეს თეატრალური წარდგენა-დახასიათებანი?

სიით უყარეთ კენჭი და მორჩით საქმეს.

16 დეკემბერი, 2000 წ.

ბატონებო,

მრავალ სირცხვილთაგან თანამედროვე საქართველოს რომ დამართა პარლამენტმა თავისი უმი კანონებით, ერთ-ერთი ის გახლავთ, რომ საქართველო დღეს უეროვნებო, ეროვნებაგაუქმებული სახელმწიფოა.

არაერთგზის მითქვამს რომ ამით ხელისუფლებამ ჩაიდინა მიუტევებელი დანაშაული საქართველოს წინაშე.

არ არსებობს დედამიწაზე მეორე სახელმწიფო, სადაც მოქალაქეს პასპორტში არ ეწეროს ეროვნება („ნეიშენალიტი“ – ინგლისურად ან „ნასიონალიტე“ – ფრანგულად) თუ გერმანულ პასპორტში სწერია „შტაატსანგეჰორიგკაით“ იქვე ფრჩხილებში სწერია, რომ ეს ნიშნავს ეროვნებას ანუ „ნასიონალიტეს“.

ჩვენი პარლამენტი უფრო შორს წავიდა; 1998 წლის 14 ოქტომბრის კანონით მან ეროვნების აღმნიშვნელი გრაფა ამოიღო დაბადების მოწმობიდან და პირადობის მოწმობიდანაც.

ამრიგად, 1999 წლის 15 იანვრიდან (რაც პრეზიდენტმა ამ კანონს ხელი მოაწერა) საქართველოში იბადებიან უეროვნებო ბავშვები.

ამ ვაიკანონით საქართველოს პარლამენტმა ქართველ ერს დაუკარგა იურიდიული და მორალური უფლება იწოდებოდეს ავტოქტონურ, ძირითად ერად თავის სახელმწიფოში.

1999 წლის 29 იანვარს საქართველოს პრეზიდენტმა ეროვნული ძალების ზემოქმედებით აღიარა, რომ ზემოთ აღნიშნული კანონის მიმართ საზოგადოების გარკვეულმა ნაწილმა მკვეთრად უარყოფითი დამოკიდებულება გამოხატა და პარლამენტში გამოგზავნა ახალი კანონპროექტი, რომლის ძალითაც დაბადების მოწმობაში აღდგენილ იქნება ეროვნულობის გრაფა.

პარლამენტის ხელმძღვანელთა სრულიად გაუგებარი მეცადინეობით დღემდე პრეზიდენტის მიერ შემოტანილი ეს კანონპროექტი დამალულია და პარლამენტის სამსჯავროზე არ არის გამოტანილი.

მოვუწოდებ პარლამენტის ბიუროს პარლამენტის უახლეს სხდომაზე გეგმაში შეიტანოს და დასამტკიცებლად გამოიტანოს პრეზიდენტის მიერ შემოტანილი კანონპროექტი, რათა სამარცხვინო ლაქა ნაწილობრივ მაინც ჩამოვწმინდოთ საქართველოს პარლამენტს და მივიღოთ კანონი, რომელიც საქართველოში ეროვნებას არ დაასამარებს და ერთა ათქვეფა-ამღვრევის ძველთაძველ, დამღუპველ-ურაკოსმოპოლიტურ წისქვილზე არ დაასხამს წყალს.

გმადლობთ ყურადღებისათვის.

10 თებერვალი, 2000 წ.

ბატონებო,

პრეზიდენტი თავის საანგარიშო მოხსენებაში ჟურნალისტთა პროფესიონალიზმზე საუბრობდა.

პროფესიონალიზმი ერთნაირად ეხება ოპოზიციასაც და პოზიციასაც.

საკამათო არ გახლავთ ის გარემოება, რომ დღეს, როცა წიგნი ჩვენი გაღარიბებული მოსახლეობისათვის თითქმის ხელმიუწვდომელია და გაზეთიც მისი მცირე ტირაჟის გამო ვერ ხვდება მკითხველთა უმრავლესობის ხელში, საზოგადოებრივი აზრის ფორმირება ძირითადად ტელევიზიის საშუალებით ხდება.

მართალია საქართველოს ტელევიზიის პირველი არხი ამ ბოლო დროს საგრძნობლად, სასიკეთოდ შეიცვალა, გაუმჯობესდა ტექნიკური აღჭურვილობა და ეკრანზე გამოჩნდა რამდენიმე ახალი რუბრიკა თუ გადაცემა, მაგრამ, ალბათ დამეთანხმებით, რომ იგი ჯერ კიდევ შორს დგას სრულყოფისაგან. ჯერ კიდევ არა იშვიათად ვხედავთ და ვისმენთ აშკარად სუსტ გადაცემებს, გულუბრყვილო „ფილოსოფიურ“ მსჯელობებს, ფამილიარულ, უხერხულად თამამ კითხვა-პასუხებს...

კერძოდ:

ტელევიზიის პირველ არხზე თითქმის არ ჭაჭანებს ოპოზიციური აზრი, არადა ნუთუ ვინმე ფიქრობს, რომ ქვეყანა დაიქცევა თუ ხელისუფლების საწინააღმდეგო აზრს გავიგონებთ ცისფერი ეკრანიდან, სანამ უნდა იყოს ოპოზიციისათვის „კომუნისტურად შეუღწევადი“ ჩვენი ტელევიზია? არ მსურს მეთოდი გიკარნახოთ, მაგრამ ხომ ფაქტია, რომ პროფესიონალი ტელეჟურნალისტი თუ ოპოზიციონერს ათქმევინებს სიტყვას, იქვე ისეთ განმარტებას მისცემს ან ისეთ მოსაზრებას დაუპირისპირებს, რომ ოსტატურად გააბათილებს ოპოზიციურ აზრს. პროფესიონალიზმის დეფიციტს განიცდის ჩვენი ტელევიზია და ამიტომაც ეშინია განსხვავებული აზრის.

ტელევიზიის პირველ არხზე ერთ-ერთ გადაცემას „ა ტალანტი“ ჰქვია.

პროგრამის წამყვანი ისე იმანჭება და იგრიხება, რომ აშკარად ჩანს, იგი დასცინის რედაქციაში ფანდურით ხელში მოსულ მომღერალს და თავისი პირველი ლექსებით მაყურებელთა წინაშე გამოსულ პოეტს.

რა არის ეს? რას ემსახურება ეს გადაცემა? ვინ მისცა უფლება წამყვანს უნიჭო გრიმასებით დასცინოს მოქალაქეს, რომელიც ფართო მაყურებლის წინაშე თავის გამოჩენა გადაწყვიტა?

მერე რა რომ საშუალო ან თუნდაც საშუალოზე დაბალი ნიჭის მქონე ხელოვანის ნამუშევარი შორს დგას სრულყოფისაგან. იცის კი მათზე არანაკლებ უნიჭო ჩვენმა კონფერანსიე-მსახიობმა რა კარგი მაყურებლები და რა თავგადაკლული მკითხველები არიან სწორედ ხელოვნებას ადევნებული ის უანგარო ადამიანები?

უცნაურია ტელევიზიის ხელმძღვანელობის პოზიცია დაუპირისპირდნენ ქართულ მწერლობას. ხომ ყველანი კარგად ვხედავთ, რომ ჭეშმარიტი მწერალი გაქრა ტელეეკრანიდან, იშვიათზე იშვიათი გახდა ლიტერატურულ-დრამატული გადაცემები, სამაგიეროდ საკმარისია თქვა ილია ჭავჭავაძე არ მომწონს ან აკაკი წერეთელი მდარე, ზედაპირული პოეტიაო, რომ გულში ჩაგიხუტებთ ტელევიზია და შენი უმწიფარი ფილოსოფიით „მჯერა არ მჯერას“ მოტივებზე ეკრანს გააჯერებს.

ქართველ კლასიკოსთა გმობას ტელევიზიის პირველი არხიდან ლამის სისტემატური ხასიათი მიეცა. ამას წინათ ვინმე შათირიშვილი ჩვენდა სავალალოდ, სერიოზულად აუწყებდა ტელემაყურებელს – ხალხნო, რა დროს ვაჟა-ფშაველაია. ხომ აზრზე ხართ, კლინტონი რომ გამოვიდეს და ედგარ პოს ციტატებით დაიწყოს საუბარიო.

როგორ ავუხსნა ახლა მე იმ უმწიფარ ყმაწვილს, რომ კლინტონს ედგარ პოს ციტირება სწორედ რომ დაამშვენებდა და ღირსებას შეჰმატებდა მსმენელის თვალში.

ქვეყანა მოწყენილია, მშიერია, გაბრაზებულია და ამ დროს, სწორედ 15 თებერვალს, ჟურნალისტი გოგონა კდემაგამოშვებით ეკითხება პარლამენტის წევრს: ნაბახუსევზე ქალი გინდებათ თუ არაო?

რაო, დასცინით საქართველოს პირველი არხის პატივცემულო ჟურნალისტებო?

22 თებერვალი, 2000 წ.

ბატონებო,

მე არ მინდა ჩემი გამოსვლები პარლამენტში ძაღლის ყეფის და ქარავანის სვლის ალეგორიად დარჩეს.

თუ მაღალფარდოვნებაში არ ჩამომართმევთ, მე აქ მოვედი იმისათვის რომ გაჭირვებულ, გაუბედურებულ ჩემს ხალხს როგორც

შემიძლია, ისე დავეხმარო, ისტორიის მძიმე ხვედრი შევუმსუბუქო, იმედი და რწმენა დავუბრუნო.

არც ისე საწყალი კაცი ვარ, ოთხი წელი ამ მიკროფონთან „გამოღმით მე ვარ გაღმით შენ“ ვიმღერო და ჩემთან სათხოვრით მოსულ, ახლა პარლამენტის საპარადო შემოსასვლელთან მომლოდინე ჩემს მოიმედე მოქალაქეს გასვლისას მორცხვად შევაგებო, რა ვქნა ძმაო, მე ვთქვი, მაგრამ უმრავლესობამ არ გააკეთა-მეთქი“.

ერთი სიტყვით მტკიცედ მაქვს გადაწყვეტილი, რასაც ვიტყვი ბოლომდე მივიყვანო, თქვენი კეთილი ნებით, რასაკვირველია.

ამ ერთი კვირის წინათ, თუ გახსოვთ მოგახსენეთ, რომ ჩემთან იყო ომისა და შრომის ვეტერანთა დელეგაცია, რომელთა სამართლიანი საჩივარი შეეხებოდა მათთვის გაზის, ტრანსპორტისა და ელექტროენერგიის გადასახადზე 1996 წლის პარლამენტის დადგენილებით მიღებული შეღავათების გაუქმებას.

ეს დიდი უსამართლობაა, ბატონებო. განა რამდენი ომის მონაწილე და მათთან გათანაბრებული ვეტერანი დაგვრჩა ცოცხალთა შორის რომ ჩვენი მოუზომავი ბოლომდე აუწონავ-გაუცნობიერებელი დადგენილებით მათ სიბერე გავუმწაროთ?

მართალია უსახსრო, გაძვალტყავებული ქვეყანა ვართ, მაგრამ მთლად ისე გაუბედურებულიც არ უნდა ვიყოთ, რომ სამი-ოთხიოდე მოხუცისა და დავრდომილისთვის წართმეული შეღავათების ხარჯზე გავამდიდროთ ჩვენი ხაზინა.

ჩვენს ფსკერზე დასვლას და უკაპეიკობას განსაკუთრებით იმ ქვეყანაში არ დაგვიჯერებენ, სადაც ასკაციანი ამალით მივდივართ ხოლმე სტუმრად, ან რაც ალბათ უფრო აუცილებელია ლოცვის აღსავლენად.

ვისაც პარლამენტის წევრთაგან ამ დღეებში ვესაუბრე და ახლა ამ დარბაზს რომ მოვავლე თვალი, თქვენი ჩათვლით ბატონო თავმჯდომარევ, აქ ჩემი ვარაუდით არავინ არის იმის მომხრე, რომ ომისა და შრომის ვეტერანებს საარსებო ლუკმა-შეღავათები გამოვღლიტოთ, მით უმეტეს რომ ამ გზით ნაშოვნი ფული სახელმწიფო ხაზინას მაინცდამაინც ვერ გაამდიდრებს.

უაღრესად ნასიამოვნები დავრჩი, როცა გუშინ საქართველოს პრეზიდენტმა საქვეყნოდ განაცხადა. ომისა და შრომის ვეტერანებისათვის გაზის, ტრანსპორტის და ელექტროენერგიის საფასურზე შეღავათების გაუქმება არასწორად მიმაჩნია და ეს დადგენილება სასწრაფოდ უნდა გაუქმდესო.

მაშ, რა გვიშლის ხელს, ბატონო თავმჯდომარევ? განა უმაღლესი საკანონმდებლო ორგანო არ ვართ? და განა ცოტა მიგვიღია საჩოთირო და მეორე დღეს გასასწორებ-ჩასასწორებელი კანონი? შევიტანოთ დღის წესრიგში და გადავწყვიტოთ. ამით ხომ მცირე შეღავათს მივცემთ უაღრესად პატივსაცემ, ამაგდარ პირთა მრუმე ცხოვრებას.

ამასთან დაკავშირებით ერთი მცირე „საპარლამენტო ეშმაკობაზეც“ უნდა გითხრათ ორიოდე სიტყვა.

ყოველი სესიის დაწყების წინ დაგვირიგებენ ხოლმე დღის წესრიგს და მისაღები ან შესასწორებელი კანონპროექტის ნუსხას.

ახალი კანონპროექტი გვაუწყებს დაახლოებით ასე:

ამა და ამ წელს მიღებული ამა და ამ კანონში ცვლილებებისა და დამატებების შესახებ. კერძოდ მე-5 პარაგრაფში ქვემოდან მეორე სტრიქონში დაემატოს „და სხვა ანალოგიურ უწყებებში“ ან მე-7 სტრიქონში, სადაც სწერია „უნდა განხორციელდეს“ წინ დაემატოს ნაწილაკი „არ“.

გუმანით ვხვდებით, რომ ჩამატება – „არ“ ვითარებას თავიდან ბოლომდე ცვლის, მაგრამ რაკი მთლიანად კანონი ხელთ არა გვაქვს, ალბათ უშუალო სპეციალისტებმა უფრო მეტი იციანო, ვიტყვით ჩვენ და დუმილს ვამჯობინებთ ან, უარეს შემთხვევაში, „წინააღმდეგ-ს“ ვაძლევთ. რითაც, როგორც პრაქტიკამ დაადასტურა, მდგომარეობა არ იცვლება და კანონპროექტი მაინც მიიღება ხოლმე.

მე კარგად ვიცი, რომ ძვირფას ქაღალდზე დაბეჭდილი პროექტთა და შესწორებათა მთელი დასტა ბავშვებისთვის დაუბეჭდავი დედაენის ხარჯზე მოდის, მაგრამ იქნებ სხვა დროს მოგვაწოდოთ ხოლმე შესწორების შემდეგ რა სახეს მიიღებს მთლიანად კანონპროექტი, რათა მსგავსი შეცდომებისგან დაზღვეული აღმოვჩნდეთ.

გმადლობთ ყურადღებისათვის.

23 თებერვალი, 2000 წ.

ბატონებო,

მე კარგად მესმის, რომ ღარიბი ქვეყანა ვართ და ჩვენი ბიუჯეტიც გაჭირვების ბიუჯეტია.

ისიც ვიცი, საბანი რამხელაზეც გაგწვდება, ფეხიც იმოდენაზე რომ უნდა გაჭიმო, მაგრამ მორალური უფლება არა მაქვს ადამიანთა ერთ, დღესდღეობით საქართველოში სოციალურად ყველაზე მეტად დაუცველ ფენას არ მივაპყრო თქვენი ყურადღება.

მწერლებზე, მწერლობაზე მოგახსენებთ.

მთელი პასუხისმგებლობით გარწმუნებთ, რომ ჩვენ ერის ბედზე ღრმად ჩაფიქრებულ და მისი არსებობის გაგრძელებისთვის ცივ მაგიდასთან კალამმომარჯვებულ, პალტომოხურულ ჭირისუფალთ გვერდზე ჩაგვიარა საბაზრო ეკონომიკის თუ პრივატიზაციის ჩქარმა მატარებელმა.

თითქოსდა ცხოვრების, ვითარების არცთუ ცუდად მცოდნენი პრაქტიკულ-ბიზნესური მოღვაწეობისთვის მზად არ აღმოვჩნდით.

საქართველოში ჯერ კიდევ მფეთქავ 50 მწერლიდან თქვენ ერთსაც ვერ დამისახელებთ, რომ საკუთარი ქარხანა-წარმოება, ფირმა-კომპანია ან თუნდაც სიცოცხლისათვის აუცილებელ სახსრად ერთი მაღაზია-ჯიხური ჰქონდეს.

იცოდეს ღმერთმა, ჩვენ წუწუნი არ გვჩვევია.

კარგად გვესმის, რომ მწერალიც ისე უნდა ცხოვრობდეს, როგორც მისი ქვეყანა ცხოვრობს.

და მაინც ვბედავ და თქვენ წინაშე ქართველ მწერალთა ფიზიკური გადარჩენის პრობლემას ვაყენებ.

მწერლები უკიდურეს ეკონომიკურ სიდუხჭირეში ჩავარდნენ.

არ არსებობს ჰონორარი, გაჭირდა წიგნის გამოცემა, ხელნაწერის კომპიუტერზე აწყობის კი არა, უბრალოდ საწერი ქაღალდის შეძენის საშუალებაც არა გვაქვს.

„ხელოვანთა გადარჩენის“ ლოზუნგი ლოზუნგად დარჩა.

შარშან მწერალთა კავშირის თავმჯდომარის რუდუნებით და საქართველოს პრეზიდენტის მხარდაჭერით მწერლებს დაენიშნათ ე. წ. ტრანსფერი (მოდური სიტყვაა), სტიპენდია, თუ ყოველთვიური დახმარება 25 ლარის რაოდენობით.

ორ თვეში ესეც შეგვიწყვიტეს. თითქოსდა ჟანგბადის ბალიშის ონკანი გადაგვიკეტეს.

მიდგა-მოდგა თამაზ წივწივაძე და სასწაულებრივად, თავისი ბიჭობა-ავტორიტეტით ორ თვეს კიდევ გაგვატანინა თავი, მაგრამ მეტი ვეღარ შეძლო.

ახლაც ამაოდ არბის და ჩამორბის სპონსორთა კიბეებზე ქართველი მწერლებისთვის, თავის ამქრისთვის ეს თავგადაკლული კაცი.

ბატონო პრეზიდენტო, ბატონო პარლამენტის თავმჯდომარევ. ბატონო ფინანსთა მინისტრო ათასზე მეტი წლის წინანდელ ქა-

რთველი მწერლის სიტყვებით მოგმართავთ: „მომაპყარენით ეგე სასმენელნი... და მასპინძელ ექმენით სიტყვათა ჩემთა“.

ჩემ უკან 500 ქართველი მწერალი და 50 ლტოლვილი მწერალი დგას.

იქნებ ჩვეული გულისხმიერებით მოვეკიდოთ მათს სვეს?

თუ რას აკეთებენ ისინი ქვეყნისთვის სასარგებლოს და აუცილებელს, თქვენთან, ვფიქრობ, ამის მტკიცება არ დამჭირდება.

დამერწმუნეთ, ისინი ისეთი ამაყები არიან, რომ პეტიციებით კარს არ აგიტალახებენ და დემონსტრაციებს არ გამართავენ.

არც კი ვიცი, მომიწონებენ თუ არა ამ თხოვნა-გამოსვლას.

და მაინც დაბეჯითებით მოგიწოდებთ, ერთხელ კიდევ ჩავხედოთ ბიუჯეტის პროექტს და მწერალთა კავშირისათვის გათვალისწინებული სუბსიდიები იმდენად მაინც გავზარდოთ, რომ თითოეული მწერლისთვის 25-30 ლარის დარიგება მაინც შევძლოთ.

შეუძლებელს და გაუგონარს არაფერს გთხოვთ:

მსოფლიოს უამრავ ცივილიზებულ ქვეყანაში (საფრანგეთი, ინგლისი, შვეიცარია, დანია, ნორვეგია, შვედეთი...) მწერლებს სახელმწიფო სტიპენდიის სახით ყოველთვიურად ფრიად სოლიდურ თანხას ურიგებს.

24 თებერვალი, 2000 წ.

ბატონებო,

კანონპროექტში რომელიც დღეს უნდა დავამტკიცოთ, აღნიშნულია, რომ თანამდებობათა ნუსხაში უნდა შევიტანოთ „უმრავლესობის ლიდერი“ და „უმცირესობის ლიდერი“.

შეიძლება ხმა არ ამომეღო ამ გარემოებაზე, რომ ჩვენს საკანონმდებლო აქტებსა და დადგენილებებში ვერ ვამჩნევდე ერთ საშიშ ტენდენციას – სრულიად გაუგებარ გატაცებას უცხოური ტერმინოლოგიით.

რა დაგვიშავა ქართულმა ენამ ასეთი, რომ იგი ფეხქვეშ უნდა გავუგოთ ყველა კოსმოპოლიტიკურ საკანონმდებლო-საპარლამენტო ინსტიტუტს და რაკიღა ევროსაბჭოში შევყავით თავი, ევროპული ტერმინოლოგიის უცხოური ქურქი ძალად მოვახვიოთ ბეჭებზე ამ ჩვენს მრავალტანჯულ ენას?

აღარას ვამბობ იმაზე, რომ კომიტეტების მიერ შემოტანილი კანონპროექტები (მერე ისინი კანონებად მტკიცდება) ელემენტარულ კრიტიკას ვერ უძლებს, გავსებულია ენობრივი „კალკებით“ და ბარბარიზმებით.

სრული გამართულობა, როგორც ჩანს, კიდევ დიდხანს იქნება ფუფუნება ჩვენს პარლამენტში, მაგრამ ენის ტრადიციის და ეროვნულობის პატივისცემას მაინც რაღა უდგას წინ?

როგორც იქნა წარსულს ჩავაბარეთ „პარლამენტის სპიკერობის“, „ვიცე-სპიკერობის“ და „პრეფექტურა-პრეფექტობის“ მანკიერი ტერმინოლოგია და აი, დღეს „ლიდერის“ ახალი ტერმინი შეგვაქვს ჩვენს თანამდებობრივ ნუსხაში.

„ლიდერი“, როგორც ვიცი, იურიდიული თანამდებობა არ არის. ლიდერი რომელიმე ჯგუფის ან მიმდინარეობის ცენტრში მდგომს ნიშნავს და მის შესატყვისად ქართულს უამრავი ტერმინი აქვს – „თავმჯდომარე“, „თავკაცი“, „წინამძღოლი“, „მეთაური“ და ა. შ.

იქნებ აჯობებდა ამ ტერმინთაგან ერთადერთი შეგვერჩია და ახალ თანამდებობათა ნუსხა „უმრავლესობის წინამძღოლის“, „უმცირესობის მეთაურის“, „უმრავლესობის თავმჯდომარის“ ან „უმცირესობის თავკაცის“ წოდებებით გაგვემდიდრებინა?

იქნებ ენის ქვეკომიტეტმა და ტერმინოლოგიის კომისიამ სხვა დროს უფრო ჭკუადამჯდარად, სერიოზულად იმსჯელოს ამ საკითხებზე?

განა პარლამენტმა ქართული ენის დაცვის მაგალითი უპირველესად თვით არ უნდა მისცეს ქვეყანას?

9 მარტი, 2000 წ.

ბატონებო,

უნდა დავიწყო გიგი წერეთლის სავიცესპიკერო დებიუტის მოწონებით. გუშინ ახალარჩეულ გიგი წერეთელს მოუწია ურთულესი სხდომის წარმართვა. ბიუჯეტის დამტკიცება და მასთან დაკავშირებული ვნებათა-ღელვანი, მოგეხსენებათ გიგი წერეთელმა ტაქტიანად-ობიექტურად წარმართა სხდომა.

ახლა რაც შეეხება კამათს ბიუჯეტის გარშემო. მე არაერთხელ მომწონებია ახალგაზრდა პარლამენტარის გიორგი ბარამიძის გამოსვლა, გუშინაც მან დროულად წამოჭრა თბილისის დაფინანსებასთან დაკავშირებული საკითხები, მაგრამ ვერ მოვუწონებ მწერალთა კავშირის დაფინანსების წინააღმდეგ გალაშქრებას.

341 ათასი ლარია სუბსიდიად და ტრანსფერად გათვალისწინებ-

ული საქართველოს მწერალთა კავშირისათვის. ეს იმას ნიშნავს, რომ მწერალთა კავშირის თითოეული წევრი თვეში მიიღებს 25 ლარს. ოცდახუთი ლარით რომ წიგნს ვერ გამოსცემ და მანქანას ვერ იყიდი, გიორგი ბარამიძეს კარგად უნდა მოეხსენებოდეს.

ლაპარაკია შავი პურის ფულზე. ვთქვათ, არავითარი დამსახურება ქართველ მწერალს არა აქვს ჩვენი ერის გადარჩენისათვის ბრძოლაში, თუნდაც ჰუმანური პოზიციიდან ვართ თუ არა ვალდებული 400, ბარამიძისთვის სრულიად უცნობი, მწერალი შიმშილით სიკვდილს გადავარჩინოთ? რა საოცარი დრო დაგვიდგა. რიგითი ქართველი მწერლის კი არა, გიორგი ბარამიძის თაობის ზოგი წარმომადგენლისთვის ილია ჭავჭავაძის ნიჭიერება-უნიჭობის და „ოთარაანთ ქვრივის“ ავტორის დამსახურების განმარტებაც გვიხდება ზოგჯერ.

მწერალი ხომ არსად მუშაობს და არავითარი ე. წ. დამატებით შემოსავალი არა აქვს.

მე ხელთა მაქვს ცნობები, რომ საფრანგეთში, ნორვეგიაში, შვედეთში, გერმანიაში და არაერთ სხვა ქვეყანაში მწერლებს სწორედ სახელმწიფოსგან აქვთ დანიშნული ფრიად სოლიდური სტიპენდიები.

წარმოიდგინეთ ერთი წუთით, რომ გიორგი ბარამიძე იყოს ფინანსთა მინისტრი დავით ონოფრიშვილის ადგილზე. თურმე რა სიამოვნებით გასწირავდა იგი შიმშილით სიკვდილისათვის ანა კალანდაძეს და შოთა ნიშნიანიძეს. უბრალოდ დასანანია, რომ ახალგაზრდა ნიჭიერი კაცი თავის დიდ კარიერას, რაც დარწმუნებული ვარ, წინ ელოდება, ქართველი მწერლების უმრავლესობის იგნორირებით იწყებს.

მეორე; მოგეხსენებათ ახალ ბიუჯეტში აჭარის ტრანსფერი შემცირდა 1,5 მილიონი ლარით. აჭარა რომ უბრალო რეგიონი არ არის და რომ ავტონომიური რესპუბლიკაა ამაზე არაერთგზის ითქვა, მაგრამ ჩემთვის სრულიად გაუგებარია, რატომ წამოჰკრავენ ხოლმე ხელს წამდაუწუმ აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკას? ნუ აღმოვჩნდებით გაღმა-გამოღმა ბატონებო. არ გვეკადრება ჩვენ ეს. ობიექტური საარჩევნო კანონი დამერწმუნეთ „აღორძინებას“ ისევ თქვენთვის უნდა. დავამთავროთ ურთიერთქიშპი და გაუმართლებელი, უაზრო ღრენა მთელი საქართველოს დასანახად.

რატომ არის უმრავლესობის ზოგი აქტივისტი ასე ერთგულად შევარდნაძის წინააღმდეგი. მაშინ, როცა პრეზიდენტი ოცდამესამედ ჩადის ბათუმში და სიტუაციის დარეგულირებას, დაპირისპირების

აღმოფხვრას ცდილობს, თქვენ რატომღა აღმოჩნდებით ხოლმე რომის პაპზე უფრო მეტი კათოლიკენი?

სიტყვა ვერ ამოუღია „უმცირესობის“ ზოგ წევრს მაშინვე რომ არ წამოაძახონ, შენ შენს აჭარას მიხედეო.

რა ხდება მეგობრებო? ვინ ჩაგაბარათ თქვენ დანარჩენი საქართველო, ან ჩვენ ვინ გაგვამწესა აჭარის „აპეკუნებად?“

ნუთუ ვინმე თვლის, რომ პარლამენტში ჩვენი მოსვლით ვინმემ ჩამოგვართვა სრულიად საქართველოს გულშემატკივრობის უფლება და ლოკალური რეგიონი მოგვიზომა?

21 მარტი, 2000 წ.

ბატონებო,

ვალდებულად ვრაცხ თავს თქვენი და მთელი საქართველოს ყურადღება მივაპყრო ერთ გარემოებას:

ბოლო ხუთი წლის მანძილზე მიმდინარეობს გლობალური შეტევა ქართულ ეროვნულ ცნობიერებაზე.

ყურადღებას არ მივაქცევდი ცალკეულ ფაქტებს, რომ ეროვნულობის წინააღმდეგ ამ ბრძოლას გეგმაზომიერი, მიზანმიმართული სახე არ მისცემოდა.

ილია ჭავჭავაძემ რომ სამი უძვირფასესი განძის „ენის, მამულის და სარწმუნოების“ დაცვა გვიანდერძა სწორედ. ეს წმიდათაწმინდა რამ იქცა სამიზნედ საქართველოს უპირველესი მტრებისათვის და ლამის ჭერი თავს დაგვაქციონ.

კერძოდ; მამული უკვე წაგვართვეს. საქართველოს მესამედი ტერიტორიაღა დაგვრჩა იმის შემდეგ, რაც აფხაზეთს და სამაჩაბლოს რუსი დაეპატრონა.

სარწმუნოებას ჩვენი ეროვნულობის ურყევ ციხესიმაგრეს, რჯულთან გაიგივებულ ქრისტიანულ რელიგიას მართლმადიდებლობას იეღოველები შემოუსიეს და ეროვნულ-სახელმწიფოებრივი სიმტკიცის დასარღვევად მოწოდებულ ამ სექტებს კანონის ფარი უფარეს – რეგისტრაციაში გაატარეს. კბილებით იცავენ ამ სექტებს უმწიფარი ყმაწვილები თავისუფლების ინსტიტუტიდან და რაც უფრო სავალალოა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციოლოგიის კათედრის გამგე ედუარდ კოდუაც.

დარჩა მესამე სამიზნე ჩვენი ენა. კარგად მოგეხსენებათ ქარ-

თული ენის შერყვნის გრანდიოზული მასშტაბები აბრა-რეკლამების ჯვაროსნული ლაშქრობისა.

არის კიდევ ერთი, უმთავრესი სიმაგრე ჩვენი ეროვნულობის შენარჩუნებისა – ქართული მწერლობა.

სწორედ ერის სულიერ მებაირახტრეს, ერის სულიერ წინამძღოლს – მწერლობას შეუტიეს ამ ბოლო დროს განსაკუთრებული გამძაფრებით.

ჯერ იყო და საჯარო ბიბლიოთეკის დირექტორმა ლევან ბერძენიშვილმა მეცხრამეტე საუკუნის საქართველოს სულიერი მამები – ილია ჭავჭავაძე და აკაკი წერეთელი უნიჭო პოეტებად გამოაცხადა...

ამ სამიოდე დღის წინ, 16 მარტს, სწორედ გალაკტიონის გარდაცვალების წინა დღეს „რუსთავი-2“-ის ეთერში „გაიბრწყინა“ „პოეტმა ყუბანეიშვილმა“.

საქართველოში პოეტები საერთოდ არ გვყოლია, ჩვენ გვყავდა ბანძებიო (?!).

გალაკტიონ ტაბიძე სოფლელი ბიჭი გახლდათ, ფერნანდო პასოას ხომ ვერ შევადარებო...

რაც შეეხება ნიკოლოზ ბარათაშვილს, იგი უბრალოდ ცუდი პოეტიაო.

მაშ ასე, ორ უნიჭო პოეტს ილიას და აკაკის კიდევ ორი უნიჭო გალაკტიონი და ნიკოლოზ ბარათაშვილი მიემატა.

კოტე ყუბანეიშვილი აქ რა სახსენებელია, მე „რუსთავი-2“-ის დიქტორთა კმაყოფილმა, გაღიმებულმა სახეებმა გამაოცა.

არც ერთ მათგანს პროტესტის ნიშნად წარბიც არ შეუკრავს.

აი, როგორ უხედნიან ყურს ქართველ კაცს. აი, როგორ აუფასურებენ ჩვენს ეროვნულ საგანძურს.

ნება მომეცით, ამასთან დაკავშირებით გაგაცნოთ საქართველოს მწერალთა კავშირის განცხადება:

„საქართველოს მწერალთა კავშირის სამდივნო გამოთქვამს თავის გულისტკივილსა და შეშფოთებას სატელევიზიო არხის „რუსთავი-2“-ის ბოლოდროინდელი, აშკარად მიზანდასახული საქმიანობის გამო, რომელიც ჩვენი ღრმა რწმენით ქართული მწერლობისა და ამდენად საერთოდ ქართული კულტურის წინააღმდეგაა მიმართული“.

ისიც დამაფიქრებელია, დღევანდელ ვითარებაში, თუ ვის უნდა აძლევდეს ხელს ჩვენი ეროვნული ღირსების დამცირება.

23 მარტი, 2000 წ.

ბატონებო,

ჩვენ საუკუნეების განმავლობაში, მოგეხსენებათ, დაპყრობილი ქვეყანა ვიყავით, საქართველოს სახელმწიფოებრიობა შეწყვეტილი იყო.

ოცნების მიღმა დარჩა დავით აღმაშენებლისდროინდელი საქართველო. ნიკოფსიიდან დარუბანდამდე კი არა, ათი წლის წინათ რომ გვქონდა იმის მესამედი საქართველო აღარ შეგვრჩა.

გამესამედდა საქართველოს ტერიტორია. შაგრენის ტყავივით დაილია ჩვენს თვალწინ.

სასწაულებრივად რომ შევინარჩუნეთ, იმ მიწას მაინც ნუ გავანიავებთ.

უკანასკნელ წლებში საქართველოს პარლამენტმა მიწასთან დაკავშირებული არაერთი ნაჩქარევი კანონი მიიღო.

ზარ-ზეიმით დავარიგეთ მიწები საკუთრებად და გლეხი ღვთის ანაბარა დავტოვეთ მარჩენალ მიწასთან. ორიოდე წელი უცქირა სასოწარკვეთილმა გლეხმა მშობლიურ ზეცას, მაგრამ რაკი ჯერ-ჯერობით ზეციდან არ ცვივა მიწის დასამუშავებლად საჭირო სახსრები, ბუნებრივია, გლეხს იმედი გადაეწურა და თავის სარჩენად მიწის კაპიკეპად გაყიდვას მიჰყო ხელი.

ჩვენ დღეს საერთაშორისო სამართლის სუბიექტი ვართ და ახლა რომ მიწა გაიყიდება, იმას ათას წელს ვეღარ დაიბრუნებ.

არა და მიწა მარტოოდენ ჩვენ, ამ თაობას, როდი გვეკუთვნის, საქართველოს მიწა ეკუთვნის ჩვენს შვილთაშვილებსაც და ნუ ჩავიდენთ ცოდვას, ნუ გავუყიდით მიწას ხვალინდელ საქართველოს.

მოწყალედ დარიგებული 30 ლიტრი საწვავით, რომ მიწის დამუშავება არ შეიძლება, თქვენ კარგად მოგეხსენებათ.

მიწის კადასტრისა და რეგისტრაციის საქმეში გერმანიის ასე გულუხვად ჩარევა ჩემში ბადებს ეჭვს მართლა ჩვენ მიმართ გერმანიის მიერ გამოჩენილი „უნაპირო სიკეთის“ შედეგია ეს ყოველივე, თუ სხვა, სხვის მიწაზე ხელის მოთბობის საფუძველიც აქვს?

როგორი იქნება თქვენი მოდური ტერმინოლოგიით რომ ვიკითხო, „უკუგება“ მიწის პატრონისთვის ამ კანონის მიღების შემდეგ?

გლეხი გაღონიერდება? არ ჩაუვარდება იგი კრავივით ხელში უცხოელ ინვესტორს? ხომ არ გაგრძელდება ძველებურად ჩვენს ბანკებში ლამის დაკანონებული – თუ სესხი გინდა 30% უნდა დატოვო.

გთხოვთ „ასჯერ გაზომე, ერთხელ გაჭერის“ ანდაზა გავიხსენოთ, ბატონებო.

26 აპრილი, 2000 წ.

(შეხვედრა საქართველოს პარლამენტის ბაგრატოვანთა დარბაზში ეუთოს საპარლამენტო ანსამბლეის პრეზიდენტთან ჰელენ დეილთან)

ქალბატონო საპარლამენტო ასაბლეის პრეზიდენტო,

ბატონებო,

ნება მომეცით მადლობა მოგახსენოთ, რომ საქართველოში ყოფნის მცირე დროის განმავლობაში შესძელით გაცნობოდით ჩვენი ქვეყნის პრობლემებს (რაც აისახა თქვენს მოკლე, მაგრამ ღრმადგააზრებულ გამოსვლაში) და გამონახეთ დრო შეხვედროდით საპარლამენტო უმცირესობას.

თქვენ არაერთგზის გაუსვით ხაზი, რომ „დააფიქსირეთ“ არჩევნების შედეგები, „დააფიქსირეთ“ საქართველოში ამჟამად არსებული პოლიტიკური სიტუაცია... მაგრამ უნდა მოგახსენოთ, რომ „ეუთოს“ მოღვაწეობა საქართველოში „დაფიქსირებას“ არ სცილდება.

„დაფიქსირებაც“ კარგი რამ არის, მაგრამ უნდა მოგახსენოთ, რომ საქართველოში ამჟამად უფრო მძიმე მდგომარეობაა, ვიდრე ჩამოსულ სტუმარს შეიძლება მოეჩვენოს.

თქვენ ბევრ რამეს ვერ შეამჩნევდით – თქვენი „დამფიქსირებელი“ ფხიზელი თვალით და უფრო მეტს რასმე არ გეტყოდნენ თქვენ ირგვლივ მორიალე „გულთბილი“ მასპინძლები.

თქვენ არ გეტყოდნენ, რომ ჩეჩნეთ-საქართველოს საზღვართან შატილში რუსმა მესაზღვრეებმა სამი სოფლით საქართველოში შემოიწიეს და რუსეთ-ჩეჩნეთის კონფილიქტმა სამი სოფელი „შეჭამა“. თქვენ არც იმას გეტყოდნენ, რომ შარშანწინ ლარსთან სპირტის კონფლიქტის დროს რუსებმა საზღვარი ორი კილომეტრით გადმოწიეს და რუსის ჯარების უსაზღვრო მადის გამო მოდერნიზებული იმპერია ფასკუნჯივით ყლაპავს ჩვენს მიწებს.

სანამ შეიძლება გაგრძელდეს ასე?

თქვენ გვსაყვედურობთ დასავლეთისკენ საქართველოს მიერ გაღებული სარკმლის სივიწროვეს, გაორებული ჩანხართო გვეუბნებით. ქართული პოლიტიკა 180%-ით შემოტრიალდებოდა დასავლეთისკენ, მაგრამ გულახდილად რომ გითხრათ, თქვენი იმედი ბოლომდე არა გვაქვს.

შვიდი წელია რუსეთმა წაგვართვა აფხაზეთი და სამაჩაბლო, მაგრამ ჩვენი პატრონი, ჩვენი მხარდამჭერი ამ დუნიაზე არავინ აღმოჩნდა. არაერთგზის გავუსვით ხაზი, იქნებ გაემეორებინა ნატოს საქართველოში კოსოვოს ვარიანტი, მაგრამ ჩვენი თხოვნა ყურად

არავინ იღო. საქართველოს სატკივარი ევროპას არც მე-17 საუკუნეში, სულხან-საბას დროს აწუხებდა და არც ახლა აწუხებს.

პირდაპირ გეტყვით, რუსეთმა ამჟამად საქართველო რომ დაიპყრო, „ეუთო“ და „გაერო“ მხოლოდ და მხოლოდ აღშფოთებას გამოთქვამენ, მოლაპარაკების მაგიდასთან დასხდომისკენ მოგვიწოდებდნენ და ამით დამთავრდება ყველაფერი.

საქართველოს გულისთვის რუსეთს „გაერო“ და „ეუთო“ არ მოიმდურებენ.

აი, რატომ არ გვჯერა თქვენი, რატომ ვართ ფრთხილად და რუსეთთან საბოლოო, რადიკალურ კონფრონტაციასაც ვერიდებით.

იქნებ უფრო ქმედითი ზომები მიგვეღო საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღსადგენად?!

ძვირფასია ჩვენთვის „ეუთოს“ რჩევები, მაგრამ როცა ხედავთ, რომ ამ რჩევების ხორცშესხმა ჩვენს ძალებს აღემატება, იქნებ რეალურადაც დაგვხმარებოდით?

3 მაისი, 2000 წ.

ბატონებო,

უნდა გამოვთქვა ჩემი თანაგრძნობა პარლამენტის და ხელისუფლების მიერ ბოლო ხანს განხორციელებული ღონისძიებების მიმართ. მხედველობაში მაქვს პარლამენტის დადგენილება 91-92 წლების მოვლენების შესახებ და ციხიდან პოლიტპატიმრების გამოშვება.

ეროვნული შერიგების პროცესი დაიწყო, მართალია ამ პროცესს მცირე უხერხულობანი მაინც ახლავს; მაგალითად, პოლიტპატიმრები უკმაყოფილებას გამოთქვამენ, რომ გათავისუფლების საბუთში „შეწყალება“ და „პატიება“ ჩაუწერეს, მაგრამ რაც მთავარი იყო გაკეთდა. კანონიერი პრეზიდენტის ე. ი. კანონიერი ხელისუფლების ერთგულებისთვის დასჯილნი თავიანთ ოჯახებს დაუბრუნდნენ.

ერთმანეთისკენ კეთილი ნებით სვლის ფონზე არის ერთი სირცხვილი, რომელიც ჩვენმა პარლამენტმა აუცილებლად და დროულად უნდა ჩამოირეცხოს. მგონი მიმიხვდით, რასაც ვგულისხმობ: უკვე ორი წელია საქართველო უეროვნებო ქვეყანაა. ეროვნების გრაფა ამოღებულია ყოველგვარ დოკუმენტიდან. დრო გადის, საქართველოში უეროვნებო ბავშვები იბადებიან. ეს იმას ნიშნავს, რომ ქართველი ერი დღითი დღე კარგავს საქართველოში ავტოქტონური, ძირითადი ერის იურიდიულ და მორალურ უფლებას.

პერსპექტიულ გეგმაში, რომელიც ამ ერთი თვის წინათ დაგვირიგდა, წერია რომ პარლამენტი ეროვნული გრაფის აღდგენის შესახებ პრეზიდენტის მიერ გამოგზავნილ კანონპროექტს განიხილავს 3-5 მაისს. დღეს ოთხი მაისია. უკან დარჩა საპრეზიდენტო არჩევნები, ჩატარდა პრეზიდენტის ინაუგურაცია, თითქოსდა ცოტათი დამშვიდდა ქვეყანა, მაგრამ ჩვენი პარლამენტის ხელმძღვანელობა კვლავ ფეხს ითრევს (და ეს უკვე ლამის წელიწადნახევარია), არ გამოაქვს კანონპროექტი პლენარულ სხდომაზე.

ვერ ამიხსნია სანამ გავაგრძელებთ კატა-თაგვობანას თამაშს?

ნუთუ ერთი მუჭა „რეფორმატორების“ გადასაწყვეტი უნდა იყოს, იარსებოს თუ არა ქართველმა ერმა დედამიწაზე?

ორი კვირაა მე და გურამ შარაძე ამაოდ ავრბივართ და ჩამოვრბივართ „პორტფელიანი ბატონების“ კიბეებზე.

გაზეთები ყოველდღე წერენ, რომ ეროვნულობის უარყოფა ერის გადაგვარების მოსურნეთა შეტევის ერთი ყველაზე თვალსაჩინო ეპიზოდია და, თუ სიფხიზლე არ გამოვიჩინეთ, სავალალო შედეგამდე მიგვიყვანს.

დამერწმუნეთ, ეს გაუმართლებელი „საკითხის გადადება“ კარგად როდი იმოქმედებს ქართველი ერის განწყობილებაზე და მის სამომავლო წონასწორობაზე.

დაბეჯითებით გთხოვთ, ბატონო თავმჯდომარევ, გასცეთ განკარგულება დროულად განიხილოს ეს საკითხი სათანადო საპარლამენტო კომიტეტმა და მომავალ კვირაში მაინც გამოიტანოს განსახილველად.

მეორე: დღეს განვიხილავთ ომისა და შრომის ინვალიდებისთვის შეღავათების საკითხს. კანონპროექტში გათვალისწინებულია, რომ ეს შეღავათი გავრცელდეს მხოლოდ მეტალურგიული ქარხნის იმ მუშებზე, რომლებიც რუსეთის და უკრაინის მეტალურგიული საამქროების აღდგენაში მონაწილეობდნენ II მსოფლიო ომის დროს.

კი მაგრამ სხვებმა რა დააშავეს, რამდენიმე ასეული კაცი დარჩა იმ ომის მონაწილეთაგან და ნუთუ ასე გვიჭირს, რომ ყველა მათგანზე არ გავავრცელოთ შეღავათები?

როდემდე უნდა ატყუოს ეს ხალხი ხელისუფლებამ.

აქ ითქვა 2001 წელს დავუბრუნდეთ ამ საკითხსო.

ღმერთმა კარგად ამყოფოთ და 2001 წელს განა რამდენი იქნება ცოცხალი ამ ოთხმოცსგადაცილებულ მოხუცთაგან, ხომ არ იქნება 2001 წლის შემდეგ მათთვის დახმარება უკან მიდევნებული ლამპარი? გავიხსენოთ მოლა რომ შიმშილით მოკლეს და მერე უკანალში ფლავს ატენიდნენ.

მესამე: გუშინ „აიეს თელასმა“ ურჩი გადამხდელებისთვის დენის გადაჭრის გაშლილი კომპანია დაიწყო.

ვინ არის ურჩი გადამხდელი? რომელმა სასამართლომ დაადგინა? ურჩი გადამხდელია ის (ასეთი ალბათ ათასში ერთია) ვისაც აქვს და არ იხდის, მე თუ მკითხავთ, ურჩი გადამხდელი უმწეო მოქალაქე კი არა, სწორედ სახელმწიფოა, თვეობით რომ არ უხდის ხელფასს და პენსიას.

რაო, არჩევნები ჩამთავრდა, ვნებები დაცხრა, დაპირებათა ჩანჩქერი შეწყდა და უკვე აღარ გვჭირდება ამომრჩეველი? უცხოელი მივუსიეთ ჩვენს მოქალაქეს რათა განუკითხავად ურჩ გადამხდელებს მიაწერონ მტყუანი და მართალი?

განუკითხავად, დენის ჩამჭრელ „რობოტებს“ ნუ მივცემთ უნაპირო თავისუფლებას, ჩვენს მოქალაქეს ნერვების მოშლა არ აკლია, ბატონებო!

16 მაისი, 2000 წ.

ბატონებო,

ამ ბოლო დროს ჩვენს პარლამენტს ის იოტისოდენა ავტორიტეტიც შეერყა, რაც ხალხის თვალში ჯერ კიდევ გააჩნდა.

პარლამენტი ნელ-ნელა შორდება საქართველოს ყოველდღიურ სატკივარს. უღიმღამოდ ვქომაგობთ ერს. ჩვენს დღის წესრიგს რომ ჩახედოს კაცმა, გაიფიქრებს: საქართველოს მთავარი საქმე დღეს თურმე ის ყოფილა, ვინ იქნება პორტფელიანი მინისტრი და ვინ კიდევ უპორტფელო. ეს უკანასკნელი მაინც რაღა დოზანაა. რას ჰქვია საგანგებო საქმეთა მინისტრი? განა საგანგებო საქმე არ არის ეკონომიკის სამინისტროსთვის ეკონომიკა, ან განსაკუთრებული საქმე არ არის განათლების მინისტრისთვის განათლება? ჩვენ კიდევ ერთი მინისტრ-ბიუროკრატის ზედმეტი სკამი გვინდოდა?

ფინანსთა მინისტრის სკამი ერთწლიანია. ბიუჯეტიდან ბიუჯეტამდე სტოვებს იგი თანამდებობას. შევაკონწიწებთ ახალ მინისტრთა ოცეულს და ამით ყველაფერი მთავრდება. არსად არ იწერება, რა შეცდომა დაუშვა წინა მინისტრმა და რატომ ვცვლით მას ახალი მინისტრით. ეს გახლავთ პოტიომკინის სოფლის მოდელი. ახალი მინისტრის იმედი სამად-სამ თვეს ჰყოფნის მშიერ ხალხს, მერე

ეს იმედიც კვდება. რა ავტორიტეტი უნდა ჰქონდეს პარლამენტს, როცა გაუთავებლად ვლაპარაკობთ ე. წ. პარტიულ დისციპლინაზე, ერთხმიანობაზე, ინდივიდუალობის წაშლაზე. თუ ერთი აწერს ხელს ყველამ უნდა მოაწერესო, თუ ერთი გაიფიქრებს გადადგომას, ყველა უნდა გადადგესო და არის მტყუან-მართალის მოწაფურ-ქურდული გარჩევა ბიუროზე. ურთიერთობების გარკვევა. ვინ ვისთანაა! საქართველო და მისი ჭირ-ვარამი კი ყველას ავიწყდება.

ჩვენ დღეს რაღაც საერთაშორისო-საკონვენციო აბსტრაქტულ საკითხებს კი არა, საქართველოს კონკრეტულ სატკივარს უნდა განვიხილავდეთ და ქვეყნის წყლულს შეძლებისდაგვარად მალამოს უნდა ვადებდეთ.

კონკრეტულად აი, რას ვგულისხმობ:

ა) ნუთუ პარლამენტს უფრო დიდი სხვა საქმე აქვს დღეს, ვიდრე შატილის შემოგარენში რუსის მიერ საზღვრის 2 კმ-ით გადმოწევა და ქართული მიწის მიტაცება გახლავთ?

ბ) ნუთუ საქართველოს პარლამენტს უფრო დიდი სხვა საქმე აქვს დღეს, ვიდრე აფხაზეთის და სამაჩაბლოს საკითხია. რატომ ვერ მოვახერხეთ ერთი დღე დავუთმოთ ამ სასიცოცხლო საკითხს და ერთად ვეძებოთ გზები საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღსადგენად?

გ) რატომ მივივიწყეთ მოქალაქეთათვის სახელმწიფოს მიერ ყაჩაღურად მიტაცებული ანაბრები, იქნებ შევიტანოთ ეს საკითხი დღის წესრიგში და გავაგებინოთ ხალხს, ვაპირებთ თუ არა მათი ვალის გასტუმრებას.

დ) წინა სხდომაზე „აიეს თელასის“ მიერ ელექტრონის ხაზების ვანდალურ ჩაჭრაზე ვისაუბრე. ჩაჭრები ისევ გრძელდება. სანამ გაგრძელდება ეს თვითნებობა? ურჩი გადამხდელი მოქალაქე კი არა სახელმწიფოა, დროზე რომ არ უხდის მოსამსახურეს ხელფასს და პენსიონერს – პენსიას.

ე) ფეხდაფეხ დავსდევ ჟვანიას, მაგრამ ვერა და ვერ შევაბი ეჟვანი, რომ პრეზიდენტის მიერ წლისა და ოთხი თვის წინათ გამოგზავნილი კანონპროექტის განხილვა შევატანინო დღის წესრიგში. დიდი სირცხვილი გვჭირს, საქართველო მთელს დედამიწაზე ერთადერთი უეროვნებო სახელმწიფოა.

ახლა სხვა რამ უნდა მოგახსენოთ და ესეც არანაკლებ საყურადღებოა. ჩვენ, პარლამენტარები, დღენიადაგ ვმუშაობთ. გაწამებულ მოქალაქეებს შინაც ვღებულობით, წერილებით ვაწუხებთ სა-

თანადო უწყებებს, მაგრამ ხშირად წერილები უპასუხოდ რჩება. რა ხდება? ხომ არა აქვს ვინმეს მითითება გაცემული ოპოზიციონერის მიერ დასმულ საკითხს არ გამოეხმაუროო.

ჩემთვის ოპოზიცია არ არსებობს. ეგ თქვენ არკვიეთ.

მე ჩემს სამშობლოს ვემსახურები და სულ არ მანაღვლებს რა იარლიყს მომაკერებთ „პოზიციონერისას“ თუ „ოპოზიციონერისას“. გმადლობთ.

25 მაისი, 2000 წ.

ბატონო თავმჯდომარე,
ბატონებო,

ვქმნით განსაკუთრებულ საქმეთა სამინისტროს.

ამ თანამდებობაზე დასამტკიცებლად ჩვენ წინაშე წარმოდგენილმა მალხაზ კაკაბაძემ გაგვიმჟღავნა, რომ განსაკუთრებული საქმე ამ სამინისტროსი სხვა არ არის რა, თუ არა აფხაზეთის და სამაჩაბლოს დაბრუნება. მე მხარს ვუჭერ ბ-ნ მალხაზის კანდიდატურას, მაგრამ თავს ვალდებულად ვთვლი, აღვნიშნო ერთი რამ:

მაშ ასე: უიმედო ქართველის გულში კვლავ გაკრთა იმედის ნაპერწკალი; აფხაზეთის და სამაჩაბლოს დასაბრუნებლად ახალ სამინისტროს ვქმნით.

იქნებ ეს ფაქტი, იმასაც ნიშნავს, რომ პრეზიდენტი, პარლამენტის თავმჯდომარე და სახელმწიფო მინისტრი პილატესავით ხელს იბანენ აფხაზეთის და სამაჩაბლოს პრობლემის გადაწყვეტაზე, რაკიღა ამ საკითხს აწ და მარადის მალხაზ კაკაბაძე – ახალგამოჩეკილი მინისტრი მოუვლის.

დღეს პირველად აფხაზეთის და სამაჩაბლოს დაბრუნებისადმი რწმენა დავკარგე. როცა მალხაზ კაკაბაძე გამოდიოდა, მან თითქმის ყველფერზე ილაპარაკა აფხაზეთის დაბრუნების გზათა შესახებ, მაგრამ არ უთქვამს მთავარი და, გითხრათ სიმართლე, ამ ახალგაზრდა კაცისგან არც ველოდი.

არ ველოდი იმიტომ, რომ მთავარი, უპირველესი სიმართლე დღემდე თვით პარლამენტს და პრეზიდენტსაც არ უთქვამს.

ვერ იპოვით დღემდე პარლამენტის თუ მთავრობის ვერცერთ დოკუმენტს, რომელშიც სწერია ელემენტარული რამ. რა არის ეს ელემენტალური? ის რომ აფხაზეთი და სამაჩაბლო წაგვართვა რუსმა და სწორედ რუსი დგას ახლა ზუგდიდთან რუსეთის იმპერიის, არ-

ძინბას ინტერესების დამცველად. სამშვიდობო ძალთა „მშვიდობიანი მისია“ იმით ამოიწურება, რომ დროდადრო გადმოუშვებენ ენგურზე ხუთიოდე აფსუა ყაჩაღს, მოაკვლევინებენ მოხელეთებულ ორ ქართველს და გამოქცეულ აფსუას ღიმილით გაატარებენ, დადევნებულ ქართველებს კი ავტომატებით გზას გადაუღობავენ.

მე მგონი, სანამ პარლამენტი რუს დამპყრობელს საჯაროდ, მსოფლიოს თვალწინ არ ამხელს, ლტოლვილს სრული მორალური უფლება აქვს საქართველოს ხელისუფლება რუსეთთან შეთქმულ-შეთანხმებულად მიიჩნიოს.

რას ფიქრობთ ამაზე ახალასარჩევო მინისტრო?

ეს ერთი... მეორე: გუშინ თამაზ ნადარეიშვილი პარლამენტისა და პრეზიდენტისადმი პროტესტის ნიშნად გადადგა. პარლამენტი კი ამ საგანგაშო ფაქტის შესახებ დღეს ენერგიულად სდუმს.

ჟურნალისტ გოგიჩაიშვილის მხარდასაჭერად დემონსტრაციები იმართება. რას ჰქვია გოგიჩაიშვილს მწერალთა კავშირის და კინოსტუდიის ლანძღვას უშლითო. თურმე პრესის თავისუფლება ყოფილა ქართული სარწმუნოების, ეროვნულ ცნობიერების, ილიას, აკაკის, გალაკტიონის, თამაზ წივწივაძის და რეზო ჩხეიძის ლანძღვის, ცილისწამების თავისუფლება, აფხაზეთის და სამაჩაბლოს პრობლემის მიფუჩეჩება კი, ამასთან შედარებით, თურმე, მეორეხარისხოვანი საქმეა.

1 ივნისი, 2000 წ.

ბატონებო,

დღეს ორი მთავარი საკითხი დგას დღის წესრიგში; ბაქო-ჯეიჰანის პროექტის რატიფიცირება და მინისტრთა ორეულის – ჩხობაძისა და ადეიშვილის დამტკიცება.

რაც შეეხება ბაქო-ჯეიჰანს, აქ ორი პოზიცია გამოიკვეთა, ერთნი ტაშის გრიალითა და ოვაციებით შეხვდნენ გია ჭანტურიას გამოსვლას, ხოლო მეორენი თვლიან, რომ თუ ამ პროექტს მხარს დავუჭერთ, ამით აფხაზეთ-სამაჩაბლოს დაბრუნების პრობლემას დავასამარებთ, რადგანაც თითქოსდა მსოფლიოსთვის ტერიტორიული მთლიანობის ულტიმატუმის წაუყენებლობით ჩვენ ვურიგდებით არსებულ ვითარებას.

მე, გითხრათ სიმართლე, ვერც ერთ პოზიციას ვერ გავიზიარებ: პირველს იმიტომ რომ ჩვენ, პარლამენტის წევრებს, არ გვეკადრება „დედა, რა ვნახეს“ ხბოსაღტაცება და შორისდებულებით აცეტება, ჩვენგან ქვეყანა დინჯ, ჭკუადამჯდარ განსჯა-განხილვას ითხოვს, მეორე მხარეს იმიტომ ვერ დავეთანხმები, რომ დიდი ნავთობსადენის ასე ხელაღებით უარყოფა უსამართლობა იქნებოდა. ამ პროექტზე ხომ სამი წელია გულმოდგინედ მუშაობს სპეციალისტთა კვალიფიციური დასი, იქნებ, უფრო პირიქით მოხდეს; აფხაზეთ-სამაჩაბლოს დაბრუნებასთან ამ საუკუნის მაგისტრალმა იქნებ უფრო მიგვაახლოვოს? ჩვენ განა დიდი არჩევანი გვქონდა. ჩვენ ხომ დერეფანი ვართ და მეტი არაფერი, თუ უარს ვიტყოდით, გვერდს აგვიქცევდნენ და სომხეთზე გაატარებდნენ, ამით საბოლოოდ ვიქცეოდით მსოფლიოს ეკონომიკურ--სამრეწველო ჩიხად. ახლა კი, ნავთობსადენი რომ ამოქმედდება, ჩვენ დიდ ფუნქციას ვიძენთ, ჩვენ ანგარიშგასაწევი ქვეყანა ვხდებით და უფრო გაბედულად მოვთხოვთ დასავლეთს დაგვეხმაროს რუსეთის მიერ მიტაცებული ტერიტორიების დაბრუნებაში.

მე მხარს ვუჭერ პროექტის რატიფიცირებას, მაგრამ მაინტერესებს ზოგი რამ და ბატონ გიას ვთხოვ განმარტებას, სახელდობრ:

თქვენ ბრძანეთ, რომ ნავთობსადენის მოქმედების ვადა ორმოცი წელია. ორმოცი წლის შემდეგ ჩემი ძვლები არ იქნება მიწაში და, ვინ იცის, ზოგიერთი თქვენგანისაც, მაგრამ ხომ უნდა იცოდეს შთამომავლობამ, ვისი საკუთრება ხდება 40 წლის შემდეგ საქართველოს ფლორა-ფაუნის შემცვლელი ეს უზარმაზარი ნავთობარტერია ვინ და რა სახსრებით გააკეთებს დემონტაჟს?

მეორე: ჩვენს ტერიტორიაზე დაცვას ქართული მხარე კისრულობსო, რომ ჩაგიწერიათ, რითი? რა ტექნიკით და საშუალებით? ამ არეულ ქვეყანაში ნავთობსადენი რომ ვინმემ ააფეთქოს, ჯერ ერთი მის რემონტს ჩვენი ბიუჯეტი არ ეყოფა და მეორეც ხომ წალეკავს ყველაფერს ნავთობის ნიაღვარი?

მესამე: ნავთობსადენი ხომ კერძო მიწებზეც გაივლის. რა ფორმა-პრინციპით აუნაზღაურდება მიწის მეპატრონეს ჩამოჭრილი ტერიტორია? მოგეხსენებათ, ზოგან უნაყოფო ხრიოკია, ზოგან კი ზღაპრული ბაღი აქვს გაშენებული მშრომელ კაცს, ამიტომ, აქ მიწის წინასწარ გადაწყვეტილი, სტანდარტული ფასი არ გამოგვადგება.

ბარემ აქვე ვიტყვი ჩხობაძე-ადეიშვილის კანდიდატურებზე.

მოგეხსენებათ, ჩვენი ქვეყანა ღრმა ეკონომიკურ, სოციალურ და პოლიტიკურ კრიზისს განიცდის.

ვერ გაამართლა მთავრობამ.

პრეზიდენტმა საჭიროდ არ ჩათვალა ამ კრიზისის დროს მინისტრთა საშტატო რეფორმა. რაკიღა ეს მეტ არეულობას შექმნიდა, მოჩვენებითი სიახლეთა პარადში „ყოფილთა“ შეცდომები მიიჩქმალებოდა.

ვფიქრობ, ამ ეტაპზე, პრეზიდენტი სწორად მოიქცა.

მინისტრებმა თავიანთი გამრუდებული საქმე თავადვე უნდა გამოასწორონ.

ამიტომაც მე ვერ ავყვები ცრურეფორმატორთა თამაშს პრეზიდენტისთვის თავიანთი პოლიტიკური კუნთების ჩვენების შოუზე და ხმას ვაძლევ მინისტრობის ორივე კანდიდატს.

საერთოდ კი მთავრობა შესაცვლელია. ჩვენ ახლავე უნდა დავთქვათ დრო – 1 წელი ან 6 თვე, როცა მინისტრთაგან ანგარიში უნდა ჩავიბაროთ.

ამ სიტუაციას ერთი ფრანგული იგავი ეხმიანება და პრეზიდენტის გასაგონადაც უნდა გიამბოთ:

ერთი ჰერცოგი წუწუნებდა: ეს ოხერი, ჩემი კარეტა მეფის ამალაში ხშირად უკან რჩებაო, გამოვცვალე ბორბლები, ხალიჩები, ფარდები, სავარძლები, მაგრამ არაფერი ეშველაო.

– ცხენები უნდა შევცვალოთ, მოწყალეო ხელმწიფევ, ცხენები! – უთხრა მეფის მასხარამ.

დიახ, ცხენები უნდა შეგეცვალათ, ბატონო პრეზიდენტო.

ალბათ, მალე ცხენების შეცვლის დროც დადგება.

27 ივნისი, 2000 წ.

ბატონებო,

ეროვნული რეკვიზიტის თაობაზე ამ ბოლო დროს კვლავ აგორდა კამათის ტალღა. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში ცნება „ქართველის“ გაქრობის მოსურნეთაგან ჯერჯერობით ვერც ერთი, თუნდაც ჭკუასთან ახლოს მყოფი, არგუმენტი ვერ მოვისმინე, ისინი კვლავ ჯიუტად დგანან აჩემებულ აზრზე და წამდაუწუმ წამლავენ გაუთვითცნობიერებელ მოსახლეობას.

მაგრამ ამჟამად ამაზე არას ვამბობ. ამ ორიოდე კვირის წინ ტელეპროგრამა „ალიონის“ ტრიბუნიდან ვინმე მასხარაშვილმა განაცხადა, ადვილი შესაძლებელია შარაძე და ძმანი მისნი მაფიასთან იყვნენ დაკავშირებულნი, რათა ახალი დაბადების მოწმობის დამბეჭდავებმა სათანადო „პატივი სცენო“. მეორე დღესვე დავურეკე ზაზა შენგელიას ამ სულელური ცილისწამების შესახებ. პირობას გაძლევ, ბატონო რევაზ, ხვალვე „ალიონის“ სახელით ბოდიშს მოვახდევინებო.

ამის შემდეგ ორი კვირა გავიდა. არათუ ბოდიშის მოხდა, დიდი საქვეყნო საქმეებით, დაკავებულმა შენგელიამ იმისთვისაც ვერ მოიცალა, დაერეკა და ორიოდე სიტყვით ეთქვა ჩემთვის ამ წარმოუდგენელი ინსინუაციის მიზეზ-საფუძველზე.

საქართველოს გასაგონად ვამბობ: დროა ჭკუას მოუხმოს ზაზა შენგელიამ და ტელევიზია თუ განათლებულით ვერა, ზრდილობიანი ადამიანებით მაინც დაასაქმოს.

მეორე პრობლემა სადეპუტატო შეკითხვა გახლავთ, ჩვენი საარჩევნო კანონი არასრულყოფილი რომ გახლავთ ეს ახალი ამბავი არ არის. მძღოლს ვთხოვთ „ფსიქოს“ დასკვნას და კანონმდებლის პრეტენზიის მქონე დეპუტატობის კანდიდატს არა.

ეჭვი მაქვს, რომ ამ ახალ პარლამენტში სამი ფსიქიურად გაუწონასწორებელი ადამიანი გაგვეპარა: სააკაშვილი, დავითაშვილი და მაღლაფერიძე.

დააკვირდით მათ ქცევას, სიარულს, საუბრის მანერას, აკვიატებული აზრების ოროტოტოსავით დაუსრულებლად ფრქვევას, უტიფრულ დამოკიდებულებას მამისტოლა ადამიანებთან, რაც მათი ოჯახური აღზრდის დაბალ კულტურაზეც მეტყველებს და ა. შ.

ვთხოვ ჯანმრთელობის კომიტეტს და ეთიკურ კომისიას მომცენ ცნობები ზემოთ დასახელებულ პარლამენტართა ფსიქიური მდგომარეობის შესახებ, რათა მომავალში ამის მიხედვით ავაგო მათთან ჩემი ურთიერთობა.

12 ივლისი, 2000 წ.

ბატონებო,

ღრმა ეკონომიკურ-პოლიტიკური კრიზისი, რომელშიც ჩვენი ქვეყანა ყელამდე ჩაეფლო, ობიექტური მიზეზების გარდა, სუბიექტურმა ფაქტორებმაც განაპირობა.

ქვეყანა გაუთავებელი, ლამის გაუაზრებელი ექსპერიმენტების ლაბორატორიად გადავაქციეთ.

გავიდა ნახევარი წელი და ახლა, როცა სავალალო ფაქტის წინაშე აღმოვჩნდით, გავარკვიეთ რომ არარეალური ბიუჯეტი დაგვიმტკიცებია.

რითი ვშველით ამ ახალ პროექტში ბიუჯეტს? ამ ბოლო დროს მოდაში შემოსული და თითქოსდა მხსნელად მოვლენილი სეკვესტრით.

არა და „სეკვესტრი“, როგორც ვხედავ, ბევრს მხოლოდ და მხო-

ლოდ „შეკვეცად“ ჩაესმის და ისედაც შეკვეცილ ბიუჯეტს კიდევ სეკვესტრირება რაღას უშველის?

განა ლაპარაკი, რაც ჩვენ ამ დარბაზში შემოვედით, მხოლოდ ელემენტარულ საარსებო სახსრებზე არ გვქონდა?

კარგი, ვთქვათ ახლა „სევკვესტრეთ“, კიდევ რამდენ ხანს და სანამ უნდა „ვკვესტროთ“ ეს გასაცოდავებული ბიუჯეტი?

როცა ქვეყანაში არ ამოქმედებულა ბიუჯეტის შევსების ქმედითი ბერკეტები, არ მუშაობს მრეწველობა და სავარგულთა 60% მოუხვნელია, გადასახადთა აკრების გამკაცრება და სეკვესტრი შეავსებს სახელმწიფო ხაზინას?

საგადასახადო ლეგიონი რომ შევქმენით და ახალი შეიარაღებული პოლიცია გავაჩინეთ, ეს უშველის წამხდარ საქმეს? სამხედროფორმიანი გადასახადის ამკრები კი არა, სატანკო დივიზია რომ მიაყენო კაცს კარზე, როგორ, რითი გადაიხადოს გადასახადი. რა მიგიცია, რომ გადასახადი გადაიხადოს?

ვერ ხედავთ საგადასახადო ლეგიონის პერსპექტივაში „გოგია უიშვილის“ სიუჟეტს?

პირდაპირ უნდა გითხრათ, ახალ პროექტში დაჩაგრულად გამოიყურება ჩვენი დედაქალაქი – თბილისი.

თბილისელი მოქალაქე ხომ ისედაც სოციალურად დაუცველია, იგი ხომ მარტოოდენ ხელფასის შემყურეა და არა აქვს საშუალება შიმშილისაგან ატკივებული კუჭი თუნდაც წამიერად მაინც იმით დაიამოს, რომ ეზოში გავიდეს და ხეს ვაშლი შეაწყვიტოს?

რა ჰქნას?

სანამ უნდა ვითამაშოთ უბრალო მოქალაქეთა მოთმინებაზე მოქალაქეთა კავშირის ძვირფასო წევრებო?

არა მგონია, რომ ვინმეს სჭირდებოდეს ერთი რამის ახსნა; ყველგან შეიძლება რაღაც მანქანებით დაუყვავო აქოჩრილ ხალხს, მაგრამ თბილისი თუ აბობოქრდა, მერე მას ფოჩიანი კამფეტებით, სეკვესტრული სატყუარათი ვეღარ გააჩუმებ.

მე ვხედავ, ხელისუფლებას აქვს უხეში საშუალებები ცეცხლით ჩააქროს აქა-იქ გაღვივებული უკმაყოფილების ნაპერწკალი. ეს დაამტკიცა ამ სამიოდე დღის წინ აკაკი ელიავას გაუფრთხილებლად, მუხანათურად მოკვლამ, ამით შეიძლება ვიღაც დავაშინოთ, მაგრამ შიმშილით გათანგული ხალხი რომ კეტს მოკიდებს ხელს, ელიავას მოკვლის მსგავსი უაზრო დაუფიქრებელი „ოპერაციებით“ იმ ხალხს უკვე ვეღარ დააშინებთ.

გაფრთხილებთ, ცეცხლს ნუ ეთამაშებით!

ამ ბიუჯეტით კიდევ ერთ სატყუარას ნუ ჩაჩრით პირში ილაჯგაწყვეტილ, მშიერ საქართველოს.

ამას ვამბობ მე, რევაზ მიშველაძე, რომელსაც ყოველდღიურად თავის გაყადრება და კამათი მიხდება უმწიფარ, ფსიქიურად გაუწონასწორებელ ახალგაზრდებთან მხოლოდ და მხოლოდ იმისათვის, რომ საქართველოში ქართველის სახსენებელი არ გაქრეს და მსოფლიოში ჩვენი სახელმწიფო ერთადერთ უეროვნებო სახელმწიფოდ არ იქცეს.

12 სექტემბერი, 2000 წ.

ბატონო თავმჯდომარე,
ბატონებო,

როცა საზაფხულო არდადეგებზე მივდიოდით, ჩატარდა პარლამენტის ბიურო. რომელსაც მეც ვესწრებოდი, სადაც გადაწყდა რომ საქართველოს მოქალაქის საბუთებში ეროვნების აღდგენის კანონპროექტს პარლამენტი განიხილავდა სექტემბერში.

დღეს დაგვირიგეს საპარლამენტო მუშაობის გეგმა საიდანაც ირკვევა, რომ ამ საკითხს პარლამენტი განიხილავს 24 ოქტომბერს.

ამისთვისაც დიდი მადლობა, მაგრამ რაკი მიჩვეული ვარ ეროვნების საკითხის ორწლიან გადადებას, ვეჭვობ, ეს საკითხი 24 ოქტომბრიდანაც გადაიწევს. არადა, მთელი საქართველო დიდი გულისყურით ელოდება, დაუბრუნებენ თუ არა ქართველ ერს საქართველოში ავტოქტონური ერის სტატუსს.

მთელი ზაფხულის განმავლობაში ნაცვლად პრობლემის ჭკვიანური, პროფესიონალური განხილვისა საქართველოს ტელევიზია უჩვენებდა გულისამრევ სცენას, თუ როგორ ხტოდა და ყვანცალებდა მამისტოლა ადამიანების წინაშე კობა დავითაშვილი. როგორ იწევდა იგი (ქალებით გარშემორტყმული) ელდარ ნადირაძისკენ, რომელმაც გაბედა და საქართველოში ეროვნების გაქრობის წინააღმდეგ ხმა ამოიღო.

გთხოვთ, ბატონო ზურაბ, დაავალოთ მეფარიშვილის და კვარაცხელიას კომიტეტებს, საგანგებო სხდომაზე მოიწვიონ არა შეურაცხადი, დილეტანტი ყმაწვილები, არამედ ეროვნულად მოაზროვნე ინტელიგენციის წარმომადგენლები, საქმის მცოდნე იურისტები და პარლამენტარები, რათა გონივრული სჯა-ბაასით, შეხედულებათა

შეჯერებით ნათელი მოეფინოს საკითხს და მივიღოთ ქართველი ერისთვის სასურველი კანონი, ისეთი – ილია ჭავჭავაძეს რომ მოეწონებოდა, თუ ჩვენ ილიას მემკვიდრეებად ვთვლით თავს.

ამთავითვე გეტყვით, რომ ბაკურიანში ბიუროს გამსვლელი სხდომის მიერ შემოთავაზებული „ეროვნება – ქართული“, სხვა არა იყოს რა, გრამატიკულადაც არასწორია. უნდა იყოს: – „ეროვნება – ქართველი“.

15 სექტემბერი, 2000 წ.

ბატონებო, –

წლევანდელმა ზაფხულმა კაცისგან გაწირულ საქართველოს ბუნებისგან გაწირვის გამოცდაც მოუწყო.

კახეთში მოსავალი ულმობელმა გვალვამ ისე გაანადგურა, რომ იძულებული ვხდებით კახეთი უბედურების ზონად გამოვაცხადოთ.

მაგრამ ჩვენი გაუტეხელი კახელი გლეხისთვის მარტოოდენ უბედურების ზონად გამოცხადება ვერაფერი შეღავათია, თუ ამას საქმე არ მოჰყვება.

სახელდობრ: საქართველოში გვქონდა მშვენიერი ტრადიცია სტიქიით დაზარალებული კუთხის თანადგომისა. მახსოვს, ათიოდე წლის წინათ სვანეთი მიწისძვრამ რომ დააზარალა, მთელმა საქართველომ გაიღო, რაც შეეძლო, შეგროვდა ფული, მედიკამენტები, სურსათი, ტანსაცმელი და ხელი გავუმართეთ სვანეთს.

კახეთის მიმართ დღეს მსგავსი თანადგომის ინჩი-ბინჩი არ ისმის. წინადადება შემომაქვს დღეიდან დავეხმაროთ კახეთს – საქართველოს ბეღელს და მარანს. ხელისუფლებას, ვხედავ, ბევრი არაფერი შეუძლია, ჩვენ, საქართველოს მოქალაქეებმა რითაც შეგვიძლია შევუმსუბუქოთ კახეთს მოსავლის განადგურების ამ წელს მოსალოდნელი მძიმე ხვედრი. გამოიყოს საპარლამენტო კომისია, რომელიც უხელმძღვანელებს კახეთისთვის დახმარების შეგროვებას.

აქ სოფლის მეურნეობის მინისტრი კახეთის ზონაში გაეროს პაკეტების დარიგებაზე ლაპარაკობდა. სასიამოვნოა, რომ ჩვენი ახალგაზრდა მინისტრი გაისარჯა და უცხოეთს დახმარების ხელი გამოაწვდენინა, მაგრამ დახმარების განაწილების გამოცდილება საქართველოში სავალალოა. გთხოვთ, ბატონო მინისტრო, საზღვარგარეთული თუ საზღვარსშიდა დახმარებანი გასანაწილებლად გამგებლებს არ ჩაუგდოთ ხელში, თორემ ეგ თქვენი სიმწრით მოპოვებული პაკეტები დაზარალებულ მევენახემდე ან საერთოდ არ მივა, ან მივა განახევრებული. განმეორდება ქართული ანდაზის პასაჟი; მაძღარი მშიერს რომ პურს წვრილად უფრჩხვნიდა და თან აყვედრიდა, რა ღორულად ჭამო.

კიდევ ერთ რამეს უნდა მივაპყრო თქვენი ყურადღება. კახეთს წელს შეეშალა ხელი თორემ ჩვენს უტკბილეს კახეთს, საქართველოს ღირსების კუთხეს, ღვინის სამშობლოს, სამოწყალო რა სჭირდა. დარწმუნებული ვარ ბუნება ასე მკაცრად აღარ მოეპყრობა მას სამომავლოდ.

საგანგაშო მეტად უფრო სხვა რამ გახლავთ: გუშინ ჯუმბერ პატიაშვილმა მოიტანა შემზარავი ცნობა იმის შესახებ, რომ მსოფლიო ბანკის ექსპერტთა წინადადებით საქართველოში ვენახების რაოდენობა 3 ათას ჰექტრამდე უნდა შემცირდეს და ეს მაშინ, როდესაც 3 ათასი ჰექტარი მხოლოდ გურჯაანის რაიონშია ვენახი.

რა არის ეს ბატონებო? ხომ არ იმალება ამ „რჩევაში“ ის მზაკვრული განზრახვა, რომ საქართველო ჩაკლან, როგორც ღვინის მსოფლიო ბაზარზე ევროპის მზარდ-კონკურენტი ქვეყანა?

და ეს მაშინ, როდესაც საქართველოში ღვინოს მაშინ ამზადებდნენ, როცა გერმანიას და საფრანგეთს ყურძენი თვალითაც არ ენახა?

დავფიქრდეთ, საით მიჩიქჩიქებს შადმან ვალავების და ძმათა მისთა მიერ ყელში დოლარის მარყუჟწაჭერილი საქართველო.

28 სექტემბერი, 2000 წ.

ბატონებო,

კანონპროექტი გეოგრაფიულ სახელწოდებათა შესახებ, რომელიც განსახილველადაა შემოტანილი, დროულია და იქნებ ცოტა დაგვიანებულიც გახლავთ.

ვისღა დავუმალო, ჩვენი ტოპონიმიკა ასატანზე მეტად დანაგვიანებულია. კომუნისტური მმართველობის პერიოდში ხელისუფლების ფსევდოინტერნაციონალისტური პოლიტიკის გამო, სტუმარ ერთათვის არწყენინების ფარისევლური პოლიტიკის გამო (ქართველი ერის წყენინების, მისი ინტერესების იგნორირების ხარჯზე) შედეგად ის მივიღეთ, რომ ზედ თბილისის ჭიშკრამდე მოდის ცალკეულ დასახლებულ პუნქტთა არაქართული სახელები. იმის მტკიცებას არ შევუდგები ჩვენი სავალალო დემოგრაფიის პირობებ-

ში რა შორსგამიზნული, მტრული შედეგების მომტანია ეს ვითარება. იმის დასამტკიცებელი საბუთი კი არაერთი მაქვს, რომ ამა თუ იმ სოფელში ასიოდე წლის წინათ ჩამოსახლებული და საეჭვოდ გამრავლებული არაქართული ტომების დაუცხრომელი მეცადინეობით და ადგილობრივ ხელმძღვანელთა ბეცი პოლიტიკის გამო არაერთ ძირძველ ქართულ სოფელს თვითნებურად შეეცვალა სახელწოდება.

როგორ შეიძლება, ბატონებო, ისტორიული გეოგრაფიული სახელწოდება შეეცვალოს ამა თუ იმ პუნქტს სოფელში ამჟამად მცხოვრებ უცხოელთა დაჟინების ან რომელიმე გამგებლის ანგარებიანი სურვილის გამო.

სანამდე უნდა მოხდეს საქართველოში მეცნიერული აზრის იგნორირება? განა ტოპონიმიკის სპეციალისტმა, ისტორიკოს-ეთნოგრაფმა უკეთ არ იცის, რა ერქვა ტრადიციულად ამა თუ იმ უბანს და რას რა უნდა დაერქვას.

დროა დაიწყოს ფართო, კანონიერი მუშაობა ჩვენი დანაგვიანებული ტოპონიმიკის ავგიას თავლის გასაწმენდად, დროა დავუბრუნოთ ჩვენს სოფლებს ისტორიული სახელები.

თქვენ უკვე იცით, რომ რუსეთის მიერ მიტაცებულ ტერიტორიებზე – აფხაზეთსა და სამაჩაბლოში ასამდე დასახლებულ პუნქტს ბარბაროსულად შეუცვალეს ნამდვილი, ისტორიული სახელი და მათთვის „მოსარგები“, „ხელსაყრელი“ სახელი უწოდეს.

სანამ ტერიტორიებს დავიბრუნებდეთ, ამ პრობლემას, რა თქმა უნდა, ვერ მოუვლის ჩვენი უსუსური, უნიათო ხელისუფლება, რომელსაც ტოპონიმებისთვის იმ ტერიტორიაზეც ვერ მოუვლია, რომელზეც მისი უღიმღამო მმართველობა ასე თუ ისე ვრცელდება.

მით უმეტეს, რომ ჩვენს კუდმოკვეცილ კონსტიტუციაში ისიც გაურკვეველია, აფხაზეთი და სამაჩაბლო საქართველოს შემადგენლობაში შედის თუ არა.

24 ოქტომბერი, 2000 წ.

ბატონებო,

არა მაქვს მორალური უფლება როგორც პარლამენტის წევრმა და საქართველოს მოქალაქემ არ გამოვთქვა ჩემი აღშფოთება საქართველოში ამ ორი დღის წინათ რუსეთის ვიცე-პრემიერის კლებანოვის ვიზიტის გამო.

მთელ მსოფლიოში გავრცელდა ცნობა, რომ შევარდნაძე დაეთანხმა რუსეთის წინადადებას გუდაუთის რუსეთის სამხედრო ბაზა გადაკეთდეს რუსეთის სამშვიდობო ძალების სარეაბილიტაციო ცენტრად.

გამოვხატავ მთელი საქართველოს მოსახლეობის გულისთქმას, როცა ვამბობ, რომ ეს გახლავთ აღმაშფოთებელი შეთანხმება.

53 სახელმწიფო სტამბოლში ხელს აწერს მემორანდუმს რუსის ბაზების საქართველოდან გატანის შესახებ. გაეროს წარმომადგენლები და ქართველი პატრიოტები სათითაოდ ითვლიან საქართველოდან გატანილ ტანკებს, ველოდებით იმ საათს, როცა დამპყრობელი რუსი გავა საქართველოდან და დავრჩებით ჩვენი გათამამებული ხიზნების აფსუებისა და ოსების პირისპირ.

და ამ დროს საქართველოს ხელისუფლება აფხაზეთის დაბრუნების უკანასკნელ იმედს უსპობს საქართველოს. თქვენ კარგად მოგეხსენებათ, რომ ეს არის ფაქტიურად გუდაუთის ბაზის დატოვება რუსების ხელში. „სარეაბილიტაციო ცენტრი“ თვალთმაქცობაა, ხალხისთვის თვალში ნაცრის შეყრაა და სხვა არაფერი.

გთხოვთ, დააყენოთ ეს საკითხი პარლამენტის მსჯელობის საგნად.

მეორე: 24 ოქტომბერს, დღეს, გეგმის მიხედვით უნდა განგვეხილა კანონპროექტი პიროვნების საბუთებში ეროვნული გრაფის აღდგენის შესახებ. გული მიგრძნობდა, რომ კვლავ გადაიდებოდა ეს უკვე მომზადებული საკითხი და ასეც მოხდა. რატომ იგდებს პარლამენტის ბიურო აბუჩად ქართველ ერს? სანამ შეიძლება უეროვნებო ბავშვები იბადებოდნენ საქართველოში?

და ბოლოს: ნუთუ შეგიძლიათ მშვიდად უცქიროთ გადაკეტილ ქუჩებზე მდგარ ილაჯგაწყვეტილ, დამშეულ მოქალაქეებს? ეს არის თქვენი დაპირება წლევანდელი ზამთარი ელექტროენერგიის მიწოდების თვალსაზრისით შარშანდელზე უკეთესი იქნებაო?!

სანამ გაგრძელდება ხალხის მოტყუება, ბატონო მოქალაქეთა კავშირის წევრებო?

7 ნოემბერი, 2000 წ.

ბატონებო,

ყოველ წელს დაინტერესებული პირნი სახელმწიფო კანცელარიიდან გურამ მამულიას თავკაცობით ახალი ენერგიით წამოჭრიან ხოლმე თურქი მესხების საქართველოში ჩამოსახლების თემას. თითქოს იმის გაგება სურთ, ხომ არ შეიცვალა ქართულმა საზოგადოებამ და განსაკუთრებით ეროვნულად მოაზროვნე ინტელიგენციამ აზრი ამ საკითხზე. ჩემთვის, ბატონებო, ეს პრობლემა ერთხ-

ელ და სამუდამოდ გარკვეულია. ორიოდე დღის წინ გურამ შარაძემ გამოაქვეყნა თურქი მესხების მიერ თურქეთის პრეზიდენტისადმი გაგზავნილი წერილი, რომელშიც „თურქი მესხები“ არ მალავენ რომ ისინი თურქები არიან და იმაზეც მიანიშნებენ, თუ რისთვის უნდათ მაინცდამაინც მესხეთში – საქართველოს ძირძველ ისტორიულ მიწაზე დასახლება.

თავი რომ გავანებოთ საქართველოს მცირემიწიანობას, თავი რომ გავანებოთ იმ ფაქტს, რომ სამცხე-ჯავახეთში უკვე ცხოვრობენ ქართველები და მიწებიც პრივატიზებული აქვთ (ხოლო იმ მიწების წართმევა არანაირ სასამართლოს არ შეუძლია), ბოლოს და ბოლოს სანამ ვიყოთ კომუნისტური „უნაპირო ინტერნაციონალიზმის“ ტყვეობაში? 350 წლის წინათ შაჰ-აბასის მიერ ფერეიდანში გარეკილ ქართველებს არ დავიწყნიათ მშობლიური ქართული და „თურქ მესხებს“ როგორღა დაავიწყდათ 50 წლის განმავლობაში ისე, რომ ქართულად სიტყვა „დედაც“ აღარ იციან? აღარ იციან იმიტომ, რომ მაშინაც, 50 წლის წინათაც არ იცოდნენ, არ იცოდნენ იმიტომ, რომ ჯიშ-ჯილაგით ქართველები არ არიან და ქართული მათთვის მშობლიური ენა არასოდეს ყოფილა.

საქართველოში უნდა დაბრუნდეს ქართველი, თურქი კი თავის ისტორიულ სამშობლოში – მეზობელ თურქეთში დაბრუნდეს.

9 ნოემბერი, 2000 წ.

ბატონებო,

საერთაშორისო საგზაო ფონდის მიერ საქართველოსთვის საკმაოდ სოლიდური სესხის მიცემა, რომ იტყვიან, სულზე მიუსწრებს ჩვენს გაუბედურებულ საავტომობილო გზებს. მით უმეტეს, რომ სესხი ხელსაყრელია იმ თვალსაზრისით, რომ პირველი ათი წლის განმავლობაში ინვესტორი სარგებელს არ გვთხოვს.

ბორის სალარიძე გამოცდილი კაცია. მე ვიცი ჩვენი სეკვესტრირებული ბიუჯეტის გადამკიდე მისი უწყება რა დიდის ძალისხმევით ახერხებს ჩვენი გზების შენარჩუნებას და გარემონტებასაც კი, თუმცა გზების შეკეთების ქართული მეთოდი „ასფალტის დაწეპება“ მაინც ვერ გავრცელდა თანამედროვე ცივილიზებულ მსოფლიოში.

მცირე შენიშვნა მაქვს სესხის უფრო რაციონალური განაწილების თვალსაზრისით. კერძოდ, მოგეხსენებათ რა დღეშია ჩვენი გზები და ამიტომ იქ, სადაც აუცილებელი არ არის, მოვეშვათ ახალი გზების

და ახალი „გრანდიოზული“ ხიდების მშენებლობას; უფრო გონივრული იქნება თუ ამ ფულს დავხარჯავთ გზების რეაბილიტაციისათვის.

მომეჩვენა, რომ ნაკლები ყურადღება მიგიქცევიათ თბილისისა და აჭარის გზების შეკეთების საშური საქმისთვის.

მოგეხსენებათ, აჭარის კლიმატური პირობები და აქედან გამომდინარე გზების ხშირი ნგრევა მეწყერისა თუ ზვავის გამო. რა დასამალია ხშირად დამეწყრილ გზას აჭარაში ჩვენი ხელისუფლება აჭარის ხელისუფლების ანაბარად დააგდებს; აქაოდა აჭარას დიდი თავი აქვს და მან იტიროსო. გთხოვთ, იმ სესხიდან მეტი სარეაბილიტაციო თანხა გამოუყოთ აჭარას, რაკიღა აჭარის მთიანი რეგიონის გზები მართლაც რომ, სავალალო დღეშია.

რაც შეეხება თბილისს, ცენტრალური ქუჩებიც კი ისეთ დღეშია, რომ უარესს მტერიც ვერ ინატრებს. ერთი დანჯღრეული „ჟიგული“ მაქვს და კანდელაკის ქუჩაზე რომ გავივლი, მეშინია, რომ ორმოებში ხტუნვა-ძიგძიგით მანქანის ძრავა არ დავკარგო. იქნებ როგორმე ვუშველოთ, ბატონო ბორის თბილისის გზებს? ეს ეხება პირველ რიგში თბილისის მერიას და თქვენს დეპარტამენტსაც.

9 ნოემბერი, 2000 წ.

ბატონებო,

პარლამენტის ყურადღება უნდა მივაპყრო ერთ, ჩემი აზრით, ფრიად საგულისხმო ფაქტს: ხელთა მაქვს გაზეთ „შიდა ქართლის“ ოქტომბრის ნომერი, რომელშიც დაბეჭდილია ბორის პასტუხოვის დეპეშა სამხრეთ ოსეთის ეგრეთ წოდებული რესპუბლიკის თვითმარქვია პრეზიდენტის ჩიბიროვისადმი.

პასტუხოვი ულოცავს გმირ ოს ხალხს სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის მეათე წლისთავს და აღტაცებულია იმით, რომ ოსი ხალხის გმირობითა და ბრძოლით შექმნილი სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკა წინსვლასა და აყვავებას განიცდის.

ამჩატებული რუსის ამ ნაბოდვარს ყურადღებას არ მივაქცევდი, რომ დეპეშას ხელს არ აწერდეს რუსეთის ხელისუფლების ოფიციალური წარმომადგენელი – სახელმწიფო დუმის ესენგეს საკითხების კომიტეტის თავმჯდომარე. ასე რომ, ეს დეპეშა კინაღამ მთელი სახელმწიფო დუმის სახელითაც არის გაგზავნილი.

აი, რა „კეთილად“ არის განწყობილი ოფიციალური რუსეთი საქართველოს მიმართ. დიდი მიხვედრა როდია საჭირო იმის გას-

არკვევად, რომ რუსეთი კიდევ ერთხელ (და ეს უკვე მერამდენედ) მიგვანიშნებს: აფხაზეთი და სამაჩაბლო ჩვენ სამუდამოდ წაგართვით და ქართველებო, ამოიღეთ გულიდან ამ თქვენი ძირძველი ისტორიული მიწების დაბრუნებაზე ფიქრიო.

განა ეს დეპეშა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფის აშკარა გამოხატულება არ არის?

ეს ხომ ის „ჩვენი მეგობარი" პასტუხოვია, ბატონებო, რომელსაც 92-93 წლებში ბრმად ენდო ჩვენი პრეზიდენტი და რომელმაც ულმერთოდ მოატყუა საქართველოს ხელისუფლება ჯერ დაგომისის და შემდეგ სოჭის ხელშეკრულებით.

იქნებ რაიმე ფორმით საქართველოს ხელისუფლებამ, საგარეო უწყებამ ან პარლამენტმა პასუხი გასცეს ბატონი პასტუხოვის ამ თავხედობას.

21 ნოემბერი, 2000 წ.

ბატონებო,

რა გულისამაჩუყებელი სახელი დაურქმევიათ კანონპროექტისთვის „ეროვნული კინემატოგრაფიის მხარდაჭერის შესახებ". გეგონებათ, ახლა კი მიუგნიათო იმ საშუალებისთვის, რომელმაც უნდა გადაარჩინოს უკანასკნელ ამოსუნთქვამდე მისული ჩვენი კინემატოგრაფი.

წავიკითხე და დავრწმუნდი, რომ ქართული კინოსტუდიის გადარჩენის ნაცვლად პროექტის ავტორები გვთავაზობენ კულტურის სამინისტროში კიდევ ერთი ბიუროკრატიული ხელმძღვანელი ცენტრის – კინოცენტრის შექმნას. თუ გახსოვთ ის ავადსახსენებელი დრო კინოსცენარები რომ მოსკოვში მტკიცდებოდა, მერე კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტი განიხილავდა, გადაეღო თუ არა კინორეჟისორს ფილმი და ბოლოს უბრუნდებოდა ამ ჩინოვნიკურ კარუსელში ყველაზე შემოქმედებით რგოლს – კინოსტუდიას.

სწორედ რომ კომუნისტური დროის ნოსტალგია იგრძნობა ელდარ შენგელიას მიერ შემოთავაზებულ კანონპროექტში. რა საჭიროა ახალი ხელმძღვანელი აპარატის შექმნა კულტურის სამინისტროში. ამ ვითომდა დამოუკიდებელ საქართველოში, როგორც იქნა, დიქტატს გავცდით და ისევ დიქტატს ვუბრუნდებით?

გავკადნიერდები და გაგიმხელთ ერთ საიდუმლოებას: ეს ეგრეთ წოდებული კანონპროექტი, მიმართულია ერთი კაცის – რეზო ჩხეიძის წინააღმდეგ. აშკარა ბრძოლა სააქციო საზოგადოება „ქართული

ფილმის" დირექტორის გადასაყენებლად ლამის ათი წელია მიმდინარეობს, მაგრამ ისე მაღალია რეზო ჩხეიძის ავტორიტეტი და ისეთი შეუვალი მხარდაჭერით სარგებლობს იგი კინოსტუდიის თანამშრომელთა შორის, რომ დღემდე ვერაფერი მოუხერხეს და ახლა ძმებ შენგელაიებს, რეზო ესაძეს და კამპანიას სურთ ზემოდან მოუარონ „ჯარისკაცის მამის" ავტორს, შეუქმნან მაღლამდგომი უჯრედი და ახალი სახელმძღვანელო ბერკეტით აიძულონ ბ-ნ რეზო გადადგეს.

ბოლოს და ბოლოს, იქნებ, „ქართული ფილმის" დირექტორის წასვლით ქვეყანა არ იქცეოდეს, მაგრამ „კინოცენტრის" შექმნა მიგვაახლოვებს კინოსტუდიის, როგორც შემოქმედებით-საწარმოო უწყების ფუნქციების შეკვეცა-გაუქმებასთან. თუ სცენარის „კინოცენტრი" დაამტკიცებს, სახელმწიფო სუფსიდიებს „კინოცენტრი" გაანაწილებს და მისთვის სასურველ რეჟისორებს ჩამოურიგებს, კინოსტუდიამ რაღა უნდა აკეთოს? რატომ არ ფიქრობთ იმაზე, რომ ამ კანონპროექტის დამტკიცების შემდეგ ქუჩაში დარჩება ქართული ფილმის ათასამდე თანამშრომელი?

ჩვენ მოვისმინეთ რეზო ჩხეიძის გამოსვლა. იგი გულისტკივილით, ინტელიგენტურად, ოპონენტთა ღირსების სრული დაცვით ლაპარაკობდა პრობლემებზე, მერე მოვისმინეთ რეჟისორ რეზო ესაძის გამოსვლა, რომელიც ბესო ჟღენტის ინტონაციით, დიდი პათოსით კითხულობდა სალანძღავ კოლექტიურ წერილს მიმართულს რეზო ჩხეიძის წინააღმდეგ.

არა და არ უნდა დაგვავიწყდეს, ვის ვინ უპირისპირდება და რა მეთოდით. სხვადასხვა წონაში ხომ არ გამოდიან რეზო ჩხეიძე და რეზო ესაძე? ერთი „ჯარისკაცის მამის" ავტორია, მეორე კი – „ნეილონის ნაძვისხის" და იქნებ დროდადრო გაგვახსენდეს „ისეთმა ფურმა უნდა დაგვწიხლოს, რომ ჩვენზე მეტსა თვით იწველდესა..."

არც ის მომეწონა, ჩვენი პარლამენტის თავმჯდომარისაგან, ცოტა არ იყოს, აგდებულად რომ შეაფასა კინოსტუდიის თანამშრომელთა კოლექტიური წერილი. მეტი პატივისცემით და გულისხმიერებით უნდა მივაყურადოთ, ბატონებო, კოლექტივის ხმას. მით უმეტეს, რომ ელდარ შენგელაიამ აქ წაგვიკითხა ქ-ნ ლანა ღოღობერიძის „კინოცენტრის" შექმნისთვის მხარდამჭერი წერილი და მასზე სხდომის თავმჯდომარეს არავითარი კომენტარი არ გაუკეთებია.

ასე არ შეიძლება, ვისი ხმაც ხელს გვაძლევს, ის ვისულგულოთ და ვისი ხმაც ყურში მძიმედ მიგვდის – უგულვებელყოთ.

კარგად დავფიქრდეთ. კინოსტუდიის თავზე კიდევ ერთ დამოკლეს მახვილს ნუ დავკიდებთ.

24 ნოემბერი, 2000 წ.

ბატონებო,

რუსეთმა შეწყვიტა ჩვენთან მოლაპარაკებათა სერია და გამოაცხადა, რომ 5 დეკემბერს შემოიღებს ცალმხრივ სავიზო რეჟიმს და, რაც უფრო აღმაშფოთებელია, ეს სავიზო რეჟიმი არ გავრცელდება აფხაზეთსა და სამაჩაბლოზე.

ამით რუსეთმა უკვე ოფიციალურად დაიკანონა, საბოლოოდ მიიტაცა აფხაზეთი და სამაჩაბლო. მსოფლიოს ფაქტობრივად გამოუცხადა, რომ იგი აღარ აღიარებს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას.

ეს გახლავთ ათი წლის განმავლობაში საქართველოს საგარეო უწყების, პარლამენტის და პრეზიდენტის დანაშაულებრივი საქმიანობის შედეგი. ჩვენ ხომ არასოდეს, არც ერთ დონეზე (პარლამენტსა და პრეზიდენტს ვგულისხმობ) არ გვითქვამს, რომ რუსეთმა წაგვართვა აფხაზეთი და სამაჩაბლო. პირიქით; ომში დაგვამარცხა რუსეთმა და ჩვენ მაშინვე დსთ-ში ვტუცეთ თავი.

ამით ხომ დასავლეთს ხელი შევუკარით, იმისათვის, რათა, დამოუკიდებელ სახელმწიფოდ ჩავეთვალეთ და უფრო ქმედითად დაგვხმარებოდა საერთაშორისო კანონების თანახმად.

შედეგად კი მივიღეთ ანექსირებული საქართველოს ერთი მესამედი, ეკონომიური ბლოკადა და ბოლოს ცალმხრივი სავიზო რეჟიმი.

სავიზო რეჟიმი ჩვენ დაგვაზარალებს უპირველს ყოვლისა, თორემ რუსეთს დღეში ოცჯერ შეუძლია დასვას თვითმფრინავები ვაზიანის სამხედრო ბაზაზე და ყოველგვარი ვიზის გარეშე ჩამოიყვანოს რამდენიც უნდა იმდენი რუსეთის მოქალაქე. ვაზიანის ბაზის ჭიშკართან არავინ დგას და არ აკონტროლებს ვინ შემოდის და გადის ვაზიანიდან.

მე ერთი რამის უფრო მეშინია: ახლა, პირველ დეკემბერს შევარდნაძე შეხვდება პუტინს. პუტინი შესთავაზებს: თუ დამითმობ გუდაუთის ბაზას (ე. ი. სამუდამოდ მაჩუქებ აფხაზეთს და სამაჩაბლოს) არ შემოვიღებ სავიზო რეჟიმსო.

და შევარდნაძე ქართველი ერის სურვილის საწინააღმდეგოდ დათანხმდება.

პარლამენტის სხდომაზე ირაკლი მენაღარიშვილის დღევანდელი გამოსვლის მიზანი ამ უბედურებისადმი ჩვენი დამოკიდებულების მოსინჯვა გახლავთ.

8 დეკემბერი, 2000 წ.

ბატონებო,

მეოცე საუკუნე დღეებს ითვლის.

ამ ულმობელი საუკუნის ბოლო ათწლეულმა უფრო მძაფრად დააყენა ჩვენ წინაშე საქართველოს ყოფნა-არყოფნის პრობლემა, უფრო მძაფრად გვაგრძნობინა ჩვენი დრამატული სვე-ბედი.

რას ველოდით და რა მივიღეთ?

რუსის ყოფილ კოლონიათაგან ყველამ თავი წამოსწია, ყველამ რაღაც საშველი ნახა და ბედის ირონიით მხოლოდ საქართველოა ისევ ჩაძირულ-განწირული, თითქოსდა, მხოლოდ ჩვენ დაგვეყარა იმპერიის ყოვლისგამსრესი ნანგრევები.

ვინ დაგვწყევლა ასე გამეტებით, რომ სწორედ ამ საუკუნეში დავკარგეთ ტაო-კლარჯეთი, ლორე, საინგილო, სოჭის ოლქი, აფხაზეთი, სამაჩაბლო, სამცხე-ჯავახეთის ნაწილი და პანკისის ხეობა...

მეოცე საუკუნის დასაწყისის საქართველოდან მესამედიც აღარ შემოგვრჩა, ბატონებო.

ვზივართ დღეს ამ დარბაზში საქართველოს ხელისუფალნი და ფასკუნჯის მიერ ძვლებზე დაყვანილი საქართველოს მწირ ბიუჯეტს ვამტკიცებთ.

თქვენი არ ვიცი და მე საპანაშვიდო განწყობილება მაქვს.

ვგრძნობ, როგორ გადაგვყვება იმ საუკუნეში ოკუპირებულ ტერიტორიებზე სასწაულებრივად შერჩენილ თანამემამულეთა გმინვა, იმედწარკვეთილ ლტოლვილთა და შიმშილით გათანგულ, უპენსიოდ დარჩენილ მოხუცთა ნაღვლიანი მზერა.

„ვერ მოვუარეთ ქვეყანას“ – ეს აღიარება თვითგვემად რომ გაისმის აქა-იქ ზოგიერთი პოლიტიკოსის ბაგეთაგან, ოცდამეერთე საუკუნეში, დამერწმუნეთ, მრისხანე ბრალდებად გვექცევა.

ვერ გაისიგრძეგანა ჩვენმა მთავრობამ, რა იყო ლამის ახალშობილი დამოუკიდებელი სახელმწიფოსთვის უპირველესი საქმე და რა – მეორეხარისხოვანი.

შვიდი წელი ცოტა როდია ხელისუფლების გამოსაცდელად, რათა გაირკვეს: არის იგი ხალხისთვის სასიკეთო საქმის გამკეთებელი თუ – არა.

იმის მაგივრად, რომ საზღვრები გაგვემაგრებინა, შვიდი წლის წინათ სამარცხვინოდ წაგებული ომის გაკვეთილები გაგვეთვალისწინებინა და ქვეყნის დამცველი არმია შეგვექმნა, ჩვენ ყოველ წელიწადს სწორედ ქვეყნის ფარსა და მახვილს – ჯარს შევუმცირეთ ხარჯები და დღეს ბრძოლისუნარიანი არმიის ნაცვლად ისღა

შეგვრჩა ხელთ, რომ ჩვენს ნახევრად დაცარიელებულ ყაზარმებში თაგვები სასუსნავს ვერ იშოვიდნენ, რომ შაბათ-კვირას მშობლებს არ მიჰქონდეთ სანოვაგე თავიანთი ჯარისკაცი შვილებისათვის, ჩვენს სასაზღვრო საგუშაგოებზე შიმშილითა და სიცივით სული სძვრებათ ბიჭებს და წუთებს ითვლიან თუნდაც მშრალი საუზმის და კონსერვების ამაო ლოდინში.

შედეგად ის მივიღეთ, რომ საქართველოზე უფრო დაბეჩავებული ქვეყანა დღეს დედამიწის ზურგზე არ მოიძევება. ჩვენს იავარქმნილ საზღვრებს, როცა მოესურვება მაშინ გადმოლახავს მტრის თვითმფრინავი და თუშეთ-ხევსურეთის იალაღებზე ბომბებს ჩამოყრის, როცა მოესურვება, მაშინ შემოვა მოხეტიალე ჩეჩენ პარტიზანთა ოცდაათკაციანი ჯგუფი და შენსავე საავადმყოფოში წამოგიწვება, თანაც იმდენ პატივსაც არ გცემს, გითხრას, ვინ არის და რატომ დაარღვია საზღვარი.

გეკითხებით, ბატონო მინისტრო, რატომ ამცირებთ ყოველწლიურად თავდაცვის სამინისტროს და სასაზღვრო სამსახურის ხარჯებს. ეჭვი მიჩნდება საქართველოს გასანადგურებლად მოწყობილ შეთქმულებაში თქვენც ნებით თუ უნებლიედ ხომ არ მონაწილეობთ?

ფინანსთა მინისტრის საქმე მხოლოდ ის როდია, მიზერული თანხა შეხედულებისამებრ გაანაწილოს და მერე ობობასავით საფარში მიიყუჟოს, რათა დავიდარაბით გამოყოფილი ფულის მიღებაში ხელი შეუშალოს ეროვნულ უწყებებს. თქვენი ვალი ისიცაა, უპირველეს ყოვლისა, ბიუჯეტის გამდიდრების გზები ეძებოთ. იცით თუ არა, რომ ამ მიმართულებითაც უამრავი რეზერვი გვაქვს ამ გაღლეტილ საქართველოში. ამ წლების განმავლობაში მგლის მადის მქონე ადამიანებმა დაიტაცეს უზარმაზარი ფაბრიკა-ქარხნები ლეგალური ყაჩაღობის – ე. წ. პრივატიზაციის ნიღბით.

მერე, როგორც მოსალოდნელი იყო, ვერ მოუარეს და ახლა ეს ქარხნები დგანან. უმოწყალოდ გაიძარცვა ბევრი მათგანი. თუ დასვით საკითხი, უკანვე შეიძინოს სახელმწიფომ ის პრივატიზებული ქარხანა-ფაბრიკა, რომელსაც „ახალმა მეპატრონემ“ ვერ მოუარა?

მესამე: ყოველდღიურად იცვლება ვითარება. რუსეთში მცხოვრებ თანამემამულეთა რუდუნებით, როგორც თქვენი მოხსენებიდან ირკვევა, საქართველოში შემოდიოდა 280 მილიონი დოლარი. ახლა ჩვენი მოსახლეობის ამ ფინანსური დეფიციტის ამოსავსებად (რაც დაკავშირებულია სამიოდე დღის წინათ შემოღებულ სავიზო რეჟიმთან) თუ გადახედეთ თქვენს პროექტს და თუ მოიძიეთ სახსრები, რათა ადამიანები შიმშილისაგან ვიხსნათ?

თქვენ ცდა არ დაგიკლიათ, რათა ბიუჯეტი რეალობისთვის დაგეახლოვებინათ, მაგრამ ეს არის თქვენი (პირადად თქვენი) გადარჩენის გზა, ქვეყნის გადარჩენის გზა კი ეს, რა თქმა უნდა არ არის, რადგანაც სამოწყალოდ გადმოგდებული კაპიკები ჩვენს მოქალაქეებს ხელფასის ფულადაც არ ეყოფა ქვეყნის აღორძინებას რომ თავი გავანებოთ.

რატომ არ ჩანს თქვენს ბიუჯეტში უცხოეთიდან დახმარების სახით შემოსული და მომავალში მისაღები სამასი მილიონი დოლარი?

იმიტომ ხომ არა, რომ როგორც „სრესების“ (მე-3, მე-4, მე-5, მე-9, მე-10 ბლოკების) შესარემონტებლად მიღებული 500 მილიონი დოლარი მიითვისეს მავანთ, ისე ეს დახმარებაც სურთ ჩაიჯიბონ?

ვაი, ასეთი პატრონების ხელში, შე უბედურო საქართველოვ!

27 თებერვალი, 2001 წ.

ამ კვირის დღის წესრიგით რომ ვიმსჯელოთ, ჩვენ ისეთი დალაგებული, გალაღებული, აყვავებული ქვეყნის პარლამენტი ვართ, რომ შეგვიძლია ფეხი-ფეხზე გადავიდოთ და ისეთი „პრობლემების“ გადაწყვეტით გავერთოთ შვეიცარიის პარლამენტსაც რომ შეშურდებოდა ფუფუნების კუთხით.

მაგალითად, ქვეყანა თავზე გვენგრევა და ჩვენს ბიუროს გეგმაში შეუტანია საკითხი „ღამურების, წყლის ფრინველებისა და მიგრირებადი ველური ცხოველების დაცვის შესახებ...“

და ეს მაშინ, როცა თითქმის მესამედი საქართველო ლუკმაპურის საძებნელად ემიგრაციაშია გაქცეული და ქვეყანაში გაუგონარი ეკონომიურ-პოლიტიკური კრიზისი სუფევს.

რამ გაუსქელა ისე ყურის ბარაბანი ჩვენი პარლამენტის ხელმძღვანელობას, რომ არ ესმის ქუჩაში ყოველ ფეხის ნაბიჯზე დარხეული ხმები: „გასარეკია მთავრობაც, პრეზიდენტიც და პარლამენტიც!“

დიახ, პრეზიდენტის და მინისტრთა კაბინეტის გადადგომის მოთხოვნას ამ ბოლო დროს პარლამენტიც მიაყოლეს. იცით რატომ? ჩვენი პარლამენტი კარგა ხანია საქართველოს გულისთქმას აღარ აყურადებს, ქვეყნის მტკივნეულ პრობლემებს გვერდს უვლის და დღითი-დღე კარგავს ავტორიტეტს.

რა დროს „ღამურების დაცვაა“, თქვე ოჯახაშენებულებო, ნუთუ გაღლეტილ-დამშეული ხალხის გმინვა ოდნავაც არ გაღელვებთ?

აფხაზეთის და სამაჩაბლოს დაბრუნებას ხომ წაუყრუეთ, თხუთმეტი ლარი ჰქონდა ხელფასი კაცს და შტატების შემცირების

მრისხანე განაჩენით ქუჩაში გააგდეთ. დარწმუნებული ბრძანდებით, რომ დაბეჩავებული მოქალაქე ქვას არ გესვრით და კიდეც რომ გესროლოთ, თქვენი სრასახლების მაღალ გალავანს მაინც ვერ გადმოაწვდენს. თავი ქუდში გაქვთ მოქკავშირლებს და დასცინით უპატრონო, სოციალურად დაუცველ მოსახლეობას.

თუ კანონის და ადამიანების არა, ღმერთის მაინც არ გეშინიათ?

წინა კვირას მე დავსვი საკითხი, გამოთქვას-მეთქი პარლამენტმა თავისი დამოკიდებულება რუსის ბაზების საქართველოდან გატანის, სავიზო რეჟიმის შემოღების, საერთოდ ჩრდილოელ მეზობელთან ურთიერთობის შესახებ.

რეზო ადამია ამბობს ამ საკითხის მომზადებას ვითარების ღრმად შესწავლა სჭირდებაო. თითქოს მე ვამტკიცებდე, ვითარების შეუსწავლელად გავიტანოთ-მეთქი ეს პრობლემა პლენარულ სხდომაზე.

როდემდე? როდემდე გადავდოთ ჩვენი სახელმწიფოებრიობის, ჩვენი დამოუკიდებლობის მომავლის საკითხი, ბატონებო?

რაო, არ გაქვთ სურვილი პასუხისმგებლობა ავიღოთ ჩვენს თავზე, ვუკარნახოთ მინისტრებს, როგორ უნდა გაეცეს პასუხი რუსის ახალ-ახალ პროვოკაციებს საქართველოში?

ეჭვი მიასკეცდება, რომ ეს კრიზისი ხელისუფლებამ შეგნებულად შექმნა, რათა ხალხი დაამშიოს და ისე, როგორც 1921 წლის თებერვალში, დღესაც იძახოს მშიერმა ხალხმა: რუსეთის გარეშე ჩვენ ვერ ვიარსებებთო.

ამის ნიშნები უკვე ჩანს. ზვავივით იზრდება თბილისის ქუჩებში წითელ კომუნისტთა დემონსტრაციები. ცუდის მაუწყებელია ეს ფაქტი, მეგობრებო. ჰაერში საქართველოს ხელახალი ანექსიის, რუსეთ-ბელორუსიის კავშირში საქართველოს შეთრევის სუნი ტრიალებს.

ჩვენ კი ვზივართ აქ საქართველოს საკანონმდებლო ხელისუფლების წევრები და გადამფრენი წყლის ფრინველების დაცვაზე ვსაუბრობთ.

თუ თქვენ თქვენი დანაშაულებრივი დუმილით საქართველოს დამოუკიდებლობის განკარგვა გაქვთ განზრახული, ამთავითვე გაცნობებთ, რომ მე ამ თამაშში არ ვმონაწილეობ.

27 მარტი, 2001 წ.

ბატონებო,

სამიოდე დღის წინათ ერთ შემაძრწუნებელ პრესკონფერენციას დავესწარი.

ცნობილმა ქართველმა რეჟისორმა ზურაბ ნინუამ გამოსვლა ასე დაიწყო: „ამ კონფერენციას იმიტომ როდი ვმართავ, თითქოს ილუზია მქონდეს იმისა, რომ ბოლოს და ბოლოს ვიმოქმედებ შესაბამის სამსახურებზე და დავამტკიცებ ჩემს სიმართლეს.

ამის იმედი კარგა ხანია გადამეწურა.

თქვენ წინაშე სვეგამწარებული კაცი და მკვდარი შვილის მამა დგას.

მოვედი, რათა გაცნობოთ და გაგაფრთხილოთ; ისღა დამრჩენია სახელმწიფო კანცელარიის წინ საჯაროდ გადავისხა ნავთი და თავი დავიწვა, ხოლო სანამ თავს დავიწვავდე, ვფიცავ ჩემი შვილის სულს, რომ ორ-სამ კაცს ვისაც ჩემს გაუბედურებაში ხელი ურევია, აუცილებლად გამოვასალმებ სიცოცხლეს.

ჩემი და მათი ცოდვა იმის კისერზე იყოს, ვინც ჩემ წინაშე უმადურობის, გულგრილობის და ცინიზმის ბეტონის კედელი აღმართა!“

ვუყურებდი სიბრაზისაგან გალურჯებულ ზურაბ ნინუას და არ დაგიმალავთ, შემეშინდა.

თუ მე კაცის ცნობისა რამე გამეგება, გთხოვთ მერწმუნოთ, ზურაბ ნინუა ჩამდენია იმისა, რაც თქვა.

არავის ეგონოს ეს ჩემი გამოსვლა ტრაგიკული სპექტაკლის პრელუდიაა.

მე ვიცი ზურაბ ნინუას სასოწარკვეთილი ღაღადისი შუბლსქელ ადამიანებს შუბლის ძარღვს არ შეუტოკებს და ზურგზე ბალანს არ აუწვავს, მაგრამ საქართველოს პრეზიდენტს, პარლამენტის თავმჯდომარეს და უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარეს ვთხოვ ერთი წამით გადადონ თავიანთი რთული საქმე და ყური მიაპყრონ ზურაბ ნინუას საბედისწერო კვნესას.

ზურაბ ნინუამ დააარსა მერაბ კოსტავას სახელობის თეატრი. დააარსა თბილისის იმ უბანში, სადაც ქართული სიტყვა ესოდენ საჭიროა.

მერე ვიღაცას მერაბ კოსტავა თუ ზურაბ ნინუა არ მოეწონა მაღალ ეშელონებში და ზურაბ ნინუა, მის მიერ შექმნილი თეატრიდან გაათავისუფლეს.

გაათავისუფლეს სრულიად უდანაშაულოდ და უსაბუთოდ.

მიზეზ-მიზეზ რომ დოს მარილი აკლია, სწორედ იმ სინდრომმა გააკეთა თავისი შავ-ბნელი საქმე.

ენას ძვალი არა აქვს და ქოთანს ყურს რომელ მხარესაც გსურს, იქეთ გამოვაბამთ, მაგრამ ფაქტი ერთია: ზურაბ ნინუას თეატრი წაართვეს, ავლაბარში კულტურის კერა ჩააქვრეს და მერაბ კოსტავას სახელობის თეატრის შენობა ცალკეულმა ფირმებმა ფართლისა თუ

სნიკერსის ჯიხურებად, სამორინე ოთახებად და საპედიკურე სალონებად დაინაწილეს.

მართალი მამის დღისით-მზისით უმოწყალოდ დაჩაგვრაც იყო ერთი მიზეზი იმისა, რომ შესანიშნავმა პოეტმა, ვაჟკაცმა, ზურაბ ნინუას შვილმა რატი ნინუამ თავი მოიკლა.

ვერც ამ ტრაგედიამ შეაშფოთა ავის ჩამდენნი, არც ამის შემდეგ ჭამა სამართალმა პური.

ახლა შაოსანი მამა იმუქრება თვითდაწვით.

რაო ბატონებო, ისე ძლიერია სხვისი ჭირი ღობეს ჩხირის ანდაზა, რომ ვერც საქართველოს პრეზიდენტის და ვერც ამ დარბაზში მსხდომთა გულს ვერ გაალღობს?!

6 ივნისი, 2001 წ.

ბატონებო,

დიდი გამოცოცხლებაა დარბაზში. ქვეყანაში ეროვნება გაუქმებულია და არ გადარდებთ, ადვოკატურის სრულიად ჩვეულებრივი კანონი კი ასე გაღელვებთ. მესმის, როცა სამეწარმეო კონტროლის კანონმა ღრმად დაგაინტერესათ, რადგანაც საქართველო ხომ მხოლოდ შემმოწმებელ-გამაკონტროლებელი სახელმწიფოა. ერთი რამ მიკვირს ფაბრიკა-ქარხნები არ მუშაობს, სოფელზე ბალახია გადავლილი, თქვენ კი მაკონტროლებლის ფუნქციებს აძლიერებთ, რას აკონტროლებთ ამ დაქცეულ ქვეყანაში ვერ გამიგია.

თუმცა თქვენ კარგად ხვდებით საით უკაკუნებენ ჩვენი „რეფორმატორები“. გამოცდომანიით მათ ქვეყანაში ნაცადი კადრები თავიანთი დამქაშ-თანატოლებით შეცვალეს. ახლა ჯერი ადვოკატებზე მიდგა. თურმე ნუ იტყვით, კაცი, რომელმაც უმაღლესი სასწავლებლის იურიდიული ფაკულტეტი დაამთავრა, სახელმწიფო გამოცდები ჩააბარა – ადვოკატადაც არ გამოდგება, რატომ ვუცხადებთ ასეთ უნდობლობას ჩვენს პროფესურას?

იცით თუ არა თქვენ, რომ გამოცდას თან უამრავი ფსიქოლოგიური ფაქტორი ახლავს და იქნებ საუკეთესო ადვოკატმაც ვერ შემოხაზოს სწორად თქვენ მიერ უკუღმართულად შედგენილი ტესტი?

რატომ არ ვცემთ ღირსებას, გამოცდილებას პატივს?

ხომ ხედავთ, როგორ ჩაფლავდა სასამართლო რეფორმა. თქვენ მიერ „გამოცდილი“ მოსამართლენი ხომ გაორმაგებით იღებენ ქრთამს, გაიკითხეთ ნებისმიერ სასამართლოში და დარწმუნდებით.

ჩქარობთ, ყმაწვილო „რეფორმატორებო“.

იქნებ კიდევ ერთხელ დავუბრუნდეთ ამ კანონპროექტს. საკვალიფიკაციო ჩათვლები ალბათ საჭიროა, მაგრამ არა ყველასათვის ამჯერად. ნუ შევურაცხყოფთ აპრობირებულ, სახელოვან ადვოკატებს თქვენი ყბადაღებული გამოცდებით.

8 ივნისი, 2001 წ.

ბატონებო,

აქამდე არ გვქონდა კანონი მუზეუმების შესახებ, მაგრამ გვქონდა მუზეუმები. დღეს მივიღებთ კანონს მუზეუმების შესახებ, მაგრამ ის, რასაც ეს კანონი უნდა ემსახუროს, თითქმის უკვე აღარ არსებობს.

რვა წელია მოქალაქეთა კავშირი მართავს ქვეყანას და სხვა „სიკეთეებთან“ ერთად ისიც დაგვმართა, რომ მუზეუმები საბოლოოდ გააჩანაგა. თუმცა ფუნქციონერები გაფუჭებული გრამოფონივით ყალბი პათეტიურობით წამდაუწუმ იმეორებენ ლოზუნგს: „კულტურა გადაარჩენს საქართველოს“.

კანონპროექტში მუზეუმები დაყოფილია სახელმწიფო და არასახელმწიფო მუზეუმებად. ეს დაყოფა მხოლოდ იმ სავალალო ფინანსურმა მდგომარეობამ გამოიწვია, რომ სახელმწიფო ვერ უზრუნველყოფს უამრავი მუზეუმის დაფინანსებას და გაუწირავს ისინი ადგილობრივი ბიუჯეტის ანაბარა. ხოლო ადგილობრივი ბიუჯეტის გადამკიდე ე. წ. „გერ მუზეუმთა“ თანამშრომლებს წელიწად-ნახევარია ხელფასი არ მიუღიათ და სრულიად ბუნებრივია, რომ მათი სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების მდგომარეობა მათი ხელფასების პირდაპირპროპორციულია.

ახლახან გახლდით კონსტანტინე გამსახურდიას და ნიკო ლორთქიფანიძის სახლ-მუზეუმებში და მძიმე სურათი ვიხილე, ამ ორი დიდი ქართველი მწერლის მემორიალური მუზეუმები თითქმის იავარქმნილია.

ვფიქრობ, ყველა მუზეუმი სახელმწიფოს ზრუნვის საგანი უნდა იყოს და არასახელმწიფო მუზეუმი საერთოდ არ უნდა არსებობდეს. იქნებ, ამ თვალსაზრისითაც გადაგვეხედა წარმოდგენილი კანონპროექტისათვის?

ქალბატონო სესილი, შარშან ჩვენ გავხსენით გალაკტიონის სახლ-მუზეუმი თბილისში. იგი ქალაქის მერიამ და მწერალთა კავშირმა დაიქვემდებარა, შედეგი კი ის მივიღეთ, რომ მუზეუმის თანამშრომლებს, უკვე რვა თვეა ხელფასი არ მიუღიათ.

სანამ კანონპროექტს ცალკეულ მუხლთა მიხედვით განვიხილავთ, იქნებ წინასწარ გაითვალისწინოთ ჩემი შენიშვნა და კულტურის სამინისტროს ხელმძღვანელობას დაუქვემდებაროთ მუზეუმები.

3 ივლისი, 2001 წ.

ბატონებო,

ჩავამთავრეთ ეს საგაზაფხულო სესიაც და პარლამენტი დასასვენებლად მიეშურება.

გეკითხებით, გვაქვს დასვენების უფლება ჩვენი დაქცეული ქვეყნის გადამკიდეთ?

რამ უნდა დაგვასვენოს და მოგვასვენოს, როცა ვერცერთი დაპირება ვერ შევუსრულეთ საქართველოს?

ახლახანს ჩვენმა პრეზიდენტმა კარსუკან, დახურული მოლაპარაკებით კიდევ ერთხელ დაუდასტურა რუსეთს, რომ გუდაუთიდან რუსის ბაზის გატანას არ ვაპირებთ.

გვლანძღავს ახლა დასავლეთის პრესა; რა ბზიკმა უკბინა საქართველოს სტამბოლის სამიტის წინააღმდეგ რომ წავიდაო.

გამოდის, ზოგი პრავაკატორი-პოლიტიკოსი და თვალში ნაცარს გვაყრის – იქ, გუდაუთაში, რუსის სამშვიდობო ძალები, რომ არ დაგვეტოვებინა, ბაზას აფსუები და ჩრდილოკავკასიელები დაიკავებდნენო.

ვის ატყუებთ, ბატონო, საქართველოს გამყიდველებო? ხომ ნახეთ, ვინ „დაიკავა“ ვაზიანის ბაზა, როცა რუსს იქედან კუდი ამოაძუებინეს, ხომ ნახეთ, როგორ უთვლიდნენ რუსებს სათითაოდ ჯავშანტექნიკას გატანის წინ საერთაშორისო დამკვირვებლები?

ჩვენმა წინამასწარობამ ის მოგვიტანა, რომ რუსეთს კვლავ ვემონებით, დასავლეთი კი ძველებურად აღარ გვენდობა.

ახლა სხვა ვთქვათ. რაო, მივიღეთ დიდებული, დემოკრატიული საარჩევნო კანონი და შეგვიძლია მშვიდად ვიყოთ? არ არის ასე. თქვენ ოპოზიციის არც ერთი შენიშვნა არ გაითვალისწინეთ და ამ საარჩევნო კანონით კიდევ ერთხელ გადაუჭერით გზა ჭეშმარიტად ხალხის წარმომადგენლებს ადგილობრივი ხელისუფლებისაკენ.

თითს თითზე არ დააკარებთ განათლების სისტემის დასახმარებლად და სექტემბერში გაიკვირვებთ ბევრგან უხელფასო მასწავლებლები სწავლებას რომ არ განაახლებენ.

რა დაგასვენებთ, მიპასუხეთ, ბატონო პარლამენტარებო?

11 სექტემბერი, 2001 წ.

ბატონებო,

მე დღეს ამ დარბაზში არც ოპოზიციის სახელით გამოვდივარ და არც ჩემი ფრაქციის სახელით.

გამოვდივარ პირადად ჩემი სახელით.

დავიწყეთ დღეს საშემოდგომო სესია და კარგად ხედავთ, რომ პარლამენტში ოპოზიციის ადგილები ცარიელია.

გამარჯვებულის იერით ნუ შეხედავენ ამ სავარძლებს პოზიციის პატივცემული წევრები.

ნურც ირონიულად განაცხადებს ზურაბ ჟვანია – ოპოზიცია გარდაიცვალაო.

აზრი ოპოზიციის გარდაცვალების შესახებ ნაადრევი და გადაჭარბებულია.

იქნებ უკეთესი იყოს ვილაპარაკოთ მიზეზებზე, რომლის გამოც ოპოზიციამ უარი თქვა უმრავლესობასთან თანამშრომლობაზე.

უპირველესი მიზეზი ის გახლავთ, რომ თქვენ მხოლოდ სიტყვით ლაპარაკობთ თანხმობაზე, თანამშრომლობაზე და ფაქტიურად არცერთი წინადადება ოპოზიციისა არ გაიზიარეთ.

სახელდობრ:

როცა მინისტრებს ამტკიცებდით, არცერთი კანდიდატურა ოპოზიციის მიერ წარმოდგენილი თანამდებობას არ გააკარეთ. მახსოვს, ვალერი გაბელია წარვადგინეთ სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილედ და იმასაც კი უარი უთხარით.

როცა ოპოზიციამ წარმოადგინა კანონპროექტი თავისუფალი ეკონომიური ზონის შესახებ, თავი მოიკალით და არ მიიღეთ. არა და ამ კანონპროექტის მაუდქვეშ ამოდებით სახელმწიფო ყოველწლიურად კარგავს ათ მილიონ დოლარს.

ოპოზიცია ბევრს ეცადა როგორმე გაედემოკრატიულებინა კანონი ადგილობრივი ხელისუფლების არჩევნების შესახებ, მაგრამ ამაოდ. ადექით და მიიღეთ კანონი, რომელშიც აბსოლუტურად უარყოფილია ოპოზიციის როლი და რომელიც ფესვებს უმაგრებს ერთპარტიულ მმართველობას საქართველოში.

მე, პირადად, როგორც სამოქალაქო ინტეგრაციის ანუ ეროვნულ საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ორი წელია ვიბრძვი გავაუქმებინო პარლამენტს დრაკონული კანონი „ეროვნული რეკვიზიტის შესახებ“, რომლის ძალითაც საქართველოში გაუქმებუ-

ლია ქართველი ერი. მივდივარ პრეზიდენტთან, ვუთანხმებ კანონ-პროექტს ეროვნების აღდგენის შესახებ. პრეზიდენტის კაბინეტიდან გამოსული შევდივარ ჟვანიასთან. ჟვანიაც თანახმაა, თითქოს საქმეს ხელს არაფერი უშლის და მეორე დილით ჟვანია მეუბნება: საკითხი დღის წესრიგიდან იმიტომ ამოვიღე, რომ შუაღამისას პრეზიდენტმა დამირეკა და თქვენს შეთანხმებაზე უარი მითხრაო.

აი, რა თვალთმაქცობა ხდება საქართველოს ხელისუფლებაში.

ამ უგერგილო და ხშირად აბსოლუტურად უუნარო მართვის წყალობითაა, რომ კვლავ აქტუალურია თანამედროვე საქართველოს სამი უმთავრესი საკითხი:

1. ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისთვის თქვენ საეჭვო თამაშს თამაშობთ. რუსს კუდს უქიცინებთ და დასავლეთსაც ატყუებთ – ვირეშმაკული მოტყუებით, ამიტომაც დასავლეთი კარგა ხანია აღარ გვენდობა.

2. დღემდე ვერ ავამუშავეთ მრეწველობა. საქართველოში არცერთი კანონი არ სრულდება პრივატიზებული საწარმოების ხელშეუხებლობის საკითხის გარდა. ნუთუ ათ წელიწადში ფაბრიკა-ქარხნები ვერ უნდა აგვემუშავებინა? სანამ ვიყოთ ბაჟისა და გადასახადების შემყურე?

3. სადაცაა კარს მოგვადგება ზამთარი, ჯერ კიდევ ვერ გადავუწყვიტეთ ჩვენს გაუბედურებულ, მოტყუებულ ხალხს სინათლისა და გაზის საკითხი, ისევ გველის გრაფიკი და ისევ გველის ქუჩების გადაკეტვა ანთებული საბურავებით. რაო, რამდენჯერ უნდა შევახსენოთ ხელისუფლებას, რომ გაზაფხულს – ზაფხული, ხოლო შემოდგომას – ზამთარი მოჰყვება?

რატომ ვუშვებთ წამდაუწუმ მიუტევებელ შეცდომებს?

იქნებ დროა, სიტყვიდან საქმეზე გადავიდეთ, ბატონებო?

იქნებ დროა, სიბნელეში ხელის ცეცებით ვიპოვოთ ერთმანეთი და საქართველოს გადარჩენის გზები ერთად ვეძებოთ?

მე იმიტომ მივატოვე ჩემი საწერი მაგიდა და ამ პარლამენტში იმიტომ შემოვედი, რომ საქართველოს გადარჩენაში წილი დამედო.

ჯერჯერობით ვერ ვხედავ უმრავლესობის საქციელსა და საქმეებში ქვეყნის შველის მამულიშვილურ სურვილს.

მაგრამ ყურში უფრო და უფრო მძაფრად ჩამესმის უკმაყოფილო ხალხის გუგუნი, რაც ჩვენს ხელისუფლებას სავალალო ბედს უქადის.

27 სექტემბერი, 2001 წ.

ბატონებო,

საქართველოს ყოფნა-არყოფნის დრამატულ საათებს განვიცდით.

11 სექტემბრის ამერიკის კატასტროფის შემდეგ მსოფლიო შეიცვალა.

შორს არ არის ამერიკასა და რუსეთს შორის მსოფლიოს ხელახლა გადანაწილების დღე.

მე დასავლური ორიენტაციის კაცი ვარ, მაგრამ ხომ ფაქტია, რომ ჩვენმა მოკავშირე ამერიკამ ამ რვა წლის განმავლობაში ქმედითი არაფერი გააკეთა; არც ნოტა გაუგზავნა და არც ეკონომიური სანქციები დაუწესა რუსეთს, რათა ამ უკანასკნელს ჩვენთვის დაებრუნებინა აფხაზეთი და სამაჩაბლო.

დღეს კი ამერიკას თავისი პრობლემები დააწვა და ხომ ხედავთ ბუშმა გუშინ პუტინს ჩეჩნეთში და მის მხარდამჭერ ქვეყნებში მოქმედების თავისუფლების უფლება მისცა.

რუსეთი კი ყოველდღე წამლავს ეთერს „ტერორისტთა შემფარებელი“ საქართველოს ლანძღვა-გინებით.

ეს ხომ საქართველოს დაბომბვის პრელუდიაა, ბატონებო.

დიახ, ტერორისტთა ლიკვიდაციის საბაბით რუსი პანკისის ხეობას დაბომბავს და ახმეტა-თელავსაც ზედ მიაყოლებს.

შემოვა ისევ რუსული ტანკი და ამით დამთავრდება საქართველოს ეიფორიული დამოუკიდებლობა.

რა უნდა გააკეთოს ამ წუთებში პარლამენტმა?

პირველი: მოკლე განცხადებით მთელ მსოფლიოს უნდა გავაგებინოთ ამ საფრთხის შესახებ, ავტეხოთ განგაში, რათა აგრესორს ნიღაბი ჩამოვგლიჯოთ და განზრახვაზე ხელი ავაღებინოთ.

მეორე: თუ ჩვენს პრეზიდენტს და პარლამენტის თავმჯდომარეს რაიმე არხები გააჩნიათ და ჩემსავით ტელევიზიიდან არ გებულობენ რა ხდება მსოფლიოში, სასწრაფოდ დაუკავშირდნენ ამერიკას, დასავლეთის სახელმწიფოებს და მოითხოვონ საქართველოს დაცვის გარანტიები.

ამის ნაცვლად ვზივართ დღეს აქ და ვისმენთ ბელეტრისტულ განცხადებებს (უკვე 4 განცხადება მოვისმინეთ), რომელშიც მგლის თავზე სახარების კითხვის ამბავი თამაშდება. აღარ უნდა გავანებოთ თავი ამ ვეგეტარიანულ პოლიტიკას?! „III ძალა“, „გარეშე ძალა“ –

ვიმეორებთ წამდაუწუმ და ვერ ვბედავთ, მსოფლიოს ვუთხრათ, რომ აფხაზეთი და სამაჩაბლო რუსეთმა წაგვართვა „დროა სეპარატისტულმა სოხუმმა შეიგნოსო“, ვამბობთ, სირცხვილია ეს, ბატონებო. მართლა ხომ არ ჰგონია დღეს აქ ვინმეს რომ ჩვენ სეპარატისტმა აფსუებმა დაგვამარცხეს და გამოგვყარეს აფხაზეთიდან?!

სანამ საგნებს თავის სახელს არ დავარქმევთ, წყლის ნაყვაა, ეს ყველაფერი, ბატონო პარლამენტარებო.

10 ოქტომბერი, 2001 წ.

ბატონებო,

პარლამენტს და მთელ საქართველოს სიმშვიდისაკენ მოვუწოდებ.

რუსეთმა გუშინ კოდორის ხეობა დაბომბა.

ამ დაბომბვაში ახალი თითქმის არაფერია.

საქართველო რუსეთთან საომარ მდგომარეობაშია იმ დღიდან, რაც მან 1991 წლის 9 აპრილს საქართველოს დამოუკიდებლობა გამოაცხადა.

რუსეთმა სამ წელიწადში დაამხო საქართველოს ეროვნული ხელისუფლება, წაგვართვა აფხაზეთი და სამაჩაბლო და ახლა გვართმევს კოდორის ხეობას.

აქ გაისმა, დავხუროთ პარლამენტის სხდომაო. რატომ დავხუროთ? ვის დავუხუროთ? აქ ავტომატით ხელში მებრძოლს ძალიან ცოტას ვხედავ, უნდა იბრძოლონ ახალგაზრდებმა და არ გავაგებინოთ რა გვჭირს, ვინ გვებრძვის... ისე გავუშვათ სასაკლაოზე? ნუთუ არ დამთავრდა რუსეთისათვის პირის მოწმენდის პოლიტიკა?

ჩვენმა ხელისუფლებამ ხომ ერთხელ უკვე დაუმალა ომი საქართველოს, ახლაც ჩაგვესმის: არაფერი საგანგაშო არ ხდებაო. მეტი საგანგაშო რა უნდა მოხდეს– დაგვბომბა რუსეთმა!

არ ავტეხოთ განგაში? არ გავაგებინოთ მსოფლიოს?

როცა რომელიმე ქვეყანა საომარ მდგომარეობაშია, საინფორმაციო საშუალებები შეუწყვეტლივ არიან გადართული საგანგაშო ინფორმაციებზე, ჩვენთან რა ხდება? ამ დილით „ალიონმა“ გამოაცხადა, კოდორის ხეობა დაიბომბაო და ამ ინფორმაციას ცეკვათამაში მოაყოლა.

წავიკითხე გუშინ უცხოური გაზეთები, მოვუსმინე უცხოურ საინფორმაციო საშუალებებს და უნდა გაუწყოთ, რომ მსოფლიოს საზოგადოებრივი აზრი ჩვენს მხარეზეა. რუსული მხარის აბსურდული განცხადება: ქართველებმა თვითონ დაბომბეს თავიანთი ტერიტორიაო, არავინ მიიღო სერიოზულად.

რა გავაკეთოთ? დღესვე, ახლავე, მზადყოფნაში უნდა მოვიყვანოთ შეიარაღებული ძალები. უნდა დავიწყოთ საუბარი საყოველთაო მობილიზაციაზე. გახსოვდეთ, თუ ახლაც დავთმობთ კოდორის ხეობას და მერე ჩვენი „ბრძენი დიპლომატების“ მოლაპარაკების იმედზე დავდგებით, ეს იქნება საქართველოს ღალატი.

პარლამენტი მოვლენებს კუდში არ უნდა მისჩანჩალებდეს. გავაკეთოთ პარლამენტის განცხადება, რომელშიც პირდაპირ მიკიბ-მოკიბვის გარეშე იქნება ნათქვამი გავიდეს საქართველოდან რუსეთის „სამშვიდობო ჯარი“ და გატანილ იქნას გუდაუთიდან რუსეთის სამხედრო ბაზა. სანამ რუსის ჩექმა საქართველოშია, ჩვენ მშვიდი ძილი არ გვეღირსება.

12 ოქტომბერი, 2001 წ.

ბატონებო,

არც ერთი სფეროს ადამიანის საქმიანობას ისე არ სჭირდება თავისუფლება, როგორც შემოქმედ კაცს; ის მავნე ტრადიცია ჩვენში გადმოსული, რომ შემოქმედებითი კავშირი უნდა ყოფილიყო რაღაც ცენტრი ხელოვანთა აღზრდისა, იყო ჭეშმარიტად მანკიერი, რამაც გაამრუდა და მძიმე დაღი დაასვა მთელი თაობების შემოქმედებას. როგორც იქნა ჩვენ ამ ნახევრად დამოუკიდებელ და ნახევრად დემოკრატიულ საქართველოში მივაღწიეთ იმას, რომ ხელოვანი რამდენადმე მაინც თავისუფალია. შემოქმედებითი კავშირი თუ არ გაერთიანდა, რაღაც ერთი მიზნის, ერთი ესთეტიკური შეხედულებების, პრინციპების, თუნდაც ერთიანი პოლიტიკური შეხედულებების, რომელიც უსათუოდ უნდა გააჩნდეს ხელოვანს, დროშის ქვეშ. იგი იქნება მხოლოდ და მხოლოდ ხელისუფლებისადმი დაქვემდებარებული და ხელისუფლების დამქაში. მით უმეტეს, მაშინ როდესაც მას თავზე ხელს უსვამს ხელისუფლება და რომელიმე შემოქმედებითი კავშირისადმი განსაკუთრებულ სიმპათიას ამჟღავნებს უმაღლესი ხელისუფალი. ეს დრო და ეპოქა თუ არ დამთავრდება, ჩვენ მივიღებთ შედეგად იმას, რომ შემოქმედებითი კავშირის სათავეში ხანდახან გაძვრება პიროვნება, რომელსაც ჭეშმარიტ შემოქმედებასთან საეჭვო კავშირი აქვს, მაგრამ გამახვილებული აქვს ფუნქციონერის გრძნობა – რათა მწერალი ხელისუფლებისადმი ან ხელისუფალისადმი ერთგულების გრძნობით „აღზარდოს“. ასე წარმართავს იგი

თავის ლიტერატურულ საქმიანობასაც და მისადმი დაქვემდებარებული ლიტერატურული ორგანოების საქმიანობასაც; და ხელთ, სავალალო მდგომარეობა გვრჩება. დღეს ცდილობენ იმ ძალიან ცუდი კანონის გალამაზებას, მაგრამ... მაგალითად, ერთი პუნქტი ჩვენი ახალი კანონპროექტისა, მას ჰქვია „საერთო ეროვნული კავშირი?!" ესე იგი, უნდა იყო ერთი მამა-კავშირი, ან დედა-კავშირი საერთო ეროვნული და სხვა პატარ-პატარა არაეროვნული კავშირები?

ყველა კავშირი საერთო ეროვნული კავშირია. ამიტომ თვითონ ტერმინი შემოქმედებითი კავშირის მუშაობასთან დაკავშირებით საერთოდ უნდა მოვხსნათ და ამოვიღოთ, იმიტომ რომ შეიძლება ასე მოხდეს; ასკაციანი კავშირი ჩაითვლება საერთო ეროვნულ კავშირად, ხოლო თხუთმეტკაციანი კავშირი კი არა. რა უნდა დღეს ასი კაცის მოგროვებას, მით უმეტეს, როცა არავითარი კრიტერიუმი ხელოვანის ხელოვანობის დადგენისა არ არსებობს. ამიტომ შემოქმედებითი კავშირი, როგორც იყო დამოუკიდებელ საქართველოში, რომელიც გატარდება რეგისტრაციაში და ექნება მოქალაქეობრივი უფლება თავისი თავი თანამოაზრე შემოქმედთა ჯგუფად გამოაცხადოს, იგი თავისი რანგით და უფლებით უნდა ჩაითვალოს თანაბრად, რასაც ჩვენ ვუწოდებთ საერთო ეროვნულ კავშირს. ეს არის გადმონაშთი და არაჯანსაღი ურთიერთობა სხვადასხვა თვალსაზრისზე, სხვადასხვა ესთეტიკურ პოზიციაზე მდგომი მწერლებისა და მათი ხელოვნურად გაერთიანების ცდა.

ამიტომ უნდა განსაზღვრულ იქნას, რომ შემოქმედებითი კავშირი თავისუფალი ორგანიზაციაა ჭეშმარიტად და ისე, როგორც ეკლესია ცდილობს, მაგრამ ბოლომდე ვერ გათავისუფლებულა ხელისუფლების მარჯვე ხელისაგან; არავითაარი კავშირი ხელისუფლების ორგანოსთან და მით უმეტეს, ასეთი გამორჩეული დახმარება. და პოზიცია დავეხმაროთ მარტო საერთო ეროვნულ კავშირში გაერთიანებულებს და არ დავეხმაროთ თავისი სურვილით გაერთიანებულ შემოქმედებით კავშირებს, არასწორია.

მე გავაფრთხილებ ხელისუფლებას და საზოგადოებას, ეს არის არაჯანსაღი დამოკიდებულება, ეს არის არტახებში ჩაყენება თავისუფალი შემოქმედისა. ეს უნდა გავითვალისწინოთ. მიუხედავად იმისა, ესა თუ ის შემოქმედი აქებს თუ არა არსებულ ხელისუფლებას, არსებულ წეს-წყობილებას. თუ იგი ჭეშმარიტი ხელოვანია, ხელისუფლებამ უნდა გაითვალისწინოს და ერთნაირად უნდა დაეხმაროს. მე გთხოვთ, ამოვიღოთ კანონპროექტიდან ტერმინი საერთო ეროვნული კავშირი

და განისაზღვროს სახელმწიფოსგან სრული დამოუკიდებლობა, თუ გნებავთ გამოყოფაც კი შემოქმედებითი კავშირისა.

შეიძლება ჩადებული იქნას ერთი სტრიქონი კანონპროექტში, სადაც მითითებული იქნება, რომ კავშირმა გააძლიეროს მოთხოვნა თავის ახალმიღებულ წევრზე. და საერთოდ, როდესაც თანამოაზრე ადამიანთა ჯგუფი ერთიანდება, თუ მასში ცნობილი მწერალი, მსახიობი, მხატვარი და სხვ. არ არის, იუსტიციის სამინისტრომ არ უნდა გაატაროს. ხანდახან შემოქმედებითი კავშირის სათავეში დგას აბსოლუტურად არაპროფესიონალი. მას არანაირი მორალური უფლება არ აქვს მასთან მისულ ახალგაზრდა ხელოვანს სერთიფიკატი მისცეს და აკურთხოს იგი, მართლა არის მწერალი, პოეტი თუ არა. ადამიანთა შემოქმედებითი მომავლით თამაში ეს არის უაღრესად მანკიერი მხარე და აუცილებლად უნდა აღმოიფხვრას. სერთიფიკატის გაცემა ჩაითვალოს არარეალურ, არასაჭირო, უხერხულ გარემოებად. გამონაკლისი შეიძლება დავუშვათ თუ ვინმე შემოქმედთაგანი დებს რაიმე ხელშეკრულებას ან საზღვარგარეთ მიემგზავრება იგი. გასცეს მის სახელზე ასეთი სერთიფიკატი ნებისმიერმა შემოქმედებითმა კავშირმა და დაუდასტუროს ეს სერთიფიკატი-რეკომენდაცია კულტურის სამინისტრომ. მადლობა ღმერთს, დღეს ჩვენი კულტურის მინისტრი ობიექტური, განათლებული ქალია და იმედი გვაქვს, იგი არ გასცემს ამ რეკომენდაციას, თუ დარწმუნებული არ არის, რომ იგი ნამდვილი ხელოვანია და არა აჩემებული და დაბრალებული აქვს ხელოვნება. და ხელისუფლებამ კი არ უნდა გასცეს სერთიფიკატი, არამედ უნდა დაუდასტუროს, რომ არის რომელიმე შემოქმედებითი გაერთიანების წევრი.

18 ოქტომბერი, 2001 წ.

ბატონებო,

რა მკითხავ-ვარდუა იყო საჭირო იმის მისახვედრად, რომ ქვეყანაში, სადაც არ მუშაობს მრეწველობა, გაყინულია სოფლის მეურნეობა და შემოსავლის ერთადერთი წყარო ბაჟი ან გაღატაკებული მოქალაქისთვის გადასახადის წაგლეჯვაა, ბიუჯეტის სეკვესტრი უსათუოდ დაგვჭირდებოდა.

ვზივართ ახლა და დამნაშავეს ვეძებთ.

რასაკვირველია, ვეთანხმები იმათ, ვინც თქვა: ნებისმიერ წესიერ ქვეყანაში, როცა ამხელა საბიუჯეტო გარღვევაა, მთავრობა უყოყმანოდ გადადგებაო.

მაგრამ ჩვენ ხომ წესიერი და ნორმალური ქვეყანა არა ვართ და აქ გამოსული მინისტრები ჯიუტად გვიცხადებენ, ყურებზე ხახვსაც ვერ დაგვაჭრითო.

გითხრათ სიმართლე, არა ვარ მომხრე ყველა ერთი ჯოხით გაირეკოს, თუ ფინანსისტებმა ცუდად იმუშავეს, რას ვერჩით იმ მინისტრებს, ვისაც ცდა არ დაუკლია, თავისი უბნის ასაღორძინებლად?

ძაღლის თავი სადაც მარხია, იქ უნდა ვეძებოთ.

ვთქვათ, ჩვენი ბედისწერაა, რომ ათი წელია მრეწველობა და სოფლის მეურნეობა ადგილიდან ვერ დავძარით, ეგ, როგორც ვატყობ, მარტო მინისტრების ბრალი არ გახლავთ. ქვეყანას მაფიათა ჯადოქრული ხელი მართავს.

იქ როგორღა გვაქვს საქმე, სადაც ფულის გაღება მაინცდამაინც არ იყო საჭირო?

ამ ორიოდე კვირის წინ პარლამენტმა ჩემი წინადადებით მიიღო დადგენილება საქართველოდან რუსეთის ე. წ. სამშვიდობო ჯარის გაყვანის შესახებ.

პრეზიდენტიც მოწონებით შეხვდა ამ დადგენილებას და ხალხშიც ხმა დაირხა: ძლივს ამ პარლამენტმა ერთი ეროვნულ-ვაჟკაცური ნაბიჯი მაინც გადადგაო.

საქართველოს იმედი ჩაესახა გულში: რუსი წავა და აფხაზეთ-სამაჩაბლოს დავიბრუნებთო.

რატომ ჩაჰკალით ეს იმედი, ბატონო პრეზიდენტო?

ორი კვირაა ხელს არ აწერთ თქვენ მიერ მოწონებულ ამ დადგენილებას; რაო, ვერ ელევით დამპყრობელი რუსის ჯარს? რაო, არ გემეტებათ რუსის ჩექმა საქართველოდან წასასვლელად?

ჯერ იყო და რუსის ჯარის უკრაინელი მშვიდობისმყოფლებით ჩანაცვლებაზე ატყდა ლაპარაკი. ახლა ესეც მიჩუმდა.

ნუთუ პარლამენტს მეტი ანგარიში არ უნდა გაუწიოს ბატონმა პრეზიდენტმა?

კარგად ვიცი, რუსი ასე იოლად რომ არ ამოიკვეთს ფეხს საქართველოდან, მაგრამ ჩვენ ხომ ჩვენი უნდა ვცადოთ.

თუ არ გავლენ, კეთილი ვინებოთ და სტატუსი შევუცვალოთ: სამშვიდობო ჯარის ნაცვლად ნამდვილი სახელი „რუსეთის საოკუპაციო ჯარი“ დავარქვათ.

არ მახსოვს, რამე მნიშვნელოვანი კანონპროექტი შემოეტანოს ჩვენს ბიუროს და მას უკან განგაშ-ფორიაქი არ მოჰყოლოდეს.

არიქა, დღესვე, ახლავე თუ არ მივიღეთ ეს კანონი, მერე გვიან იქნებაო.

ასე იყო განათლებისთვის 60 მლნ. ვალს რომ ვიდებდით, ასე იყო ნულოვან ვარიანტს რომ ვიხილავდით, ასეა ახლაც: გვაშინებენ, თუ სეკვესტრს მხარს არ დავუჭერთ, მსოფლიო ბანკი 70 მლნ. ვალს არ მოგვცემსო.

რატომ გვაჩქარებენ ასე? საით მიაჩიქჩიქებენ საქართველოს?

რატომ უგროვებთ ასე უღმერთოდ ვალებს ხვალინდელ საქართველოს?

რა დაგიშავათ ჯერ დაუბადებელმა თაობებმა?

წინ გიდევთ სეკვესტრი. ჩახედეთ, რას შეეხო ხარჯების შემცირება? ფულიანი მაგნატები კვლავ ძველებურად დაფინანსდებიან. სეკვესტრი შეეხო უპატრონო, სოციალურად დაუცველ უბნებს: განათლებას, კულტურას, ლიტერატურულ ჟურნალებს, ბიბლიოთეკებს...

„გაუთვალისწინებელ ხარჯებს“ ვერ ახლეს ხელი. არა და მე ხომ ვიცი, რას ჰქვია, რას ხმარდება ეს გაუთვალისწინებელი ხარჯები: ხელისუფალ გვამთა გაუთავებელ ვოიაჟებს საზღვარგარეთ, მათი ვილლებისა და მანქანების შენახვას.

მე არც ბიუჯეტის დამტკიცებისთვის მიმიცია ხმა, რადგან კარგად ვიცოდი, რომ იგი შეუსრულებადი, გაბერილი ბიუჯეტი იყო.

არც სეკვესტრს დავუჭერ მხარს, რადგანაც ეს დანაშაულებრივი სეკვესტრია, ხოლო ხალხის გაღლეტაში დამნაშავენი არც ამჯერად დაისჯებიან.

26 ოქტომბერი, 2001 წ.

ბატონებო,

გარეთ ახლა დიდი მიტინგია.

„რუსთავი 2“-ის დასაცავი აქცია ხალხმრავალ მიტინგში გადაიზარდა და საშიშ ხასიათს იძენს.

მომიტინგეებმა კარგად არ იციან, რა საქმეზე მოიტყუეს ისინი პარლამენტთან, არც „რუსთავ 2“-ის პოზიციაზე და მიმართულებაზე აქვთ მთლად ზუსტი წარმოდგენა, თორემ, იქნებ სხვაგვარად მოქცეულიყვნენ.

თავისუფალ მასმედიას ვიცავთო, გაჰყვირიან. თავისუფალი „რუსთავი 2“ კი თავისუფალია ეროვნული ცნობიერებისგან. ქადაგებს უნაპირო კოსმოპოლიტიზმს, წინააღმდეგია ქართველს საბუთებში ქართველი ეწეროს, შუაღამისას საზოგადოებას რყვნის არაჯანსაღი ნახევრად ჰომოსექსუალური ფილმებით და აი, ასეთი ტელემ-

აუწყებლის დასაცავად გამოვიდა ქუჩაში ხუთი ათასი ახალგაზრდა, რომელსაც აზრად არ მოსვლია კოდორის დაბომბვის წინააღმდეგ ან რუსის ჯარის ზუგდიდიდან გასვლის წინააღმდეგ გამოსულიყო.

ისე, კაცმა რომ თქვას, ჩვენი სტუდენტები ამას წინათ ჩვენ სამარცხვინოდ, გამოცდების გაუქმების წინააღმდეგ რომ გამოვიდნენ, ეს შედარებით წინგადადგმული ნაბიჯია.

ნუ ავყვებით უმწიფარი, პოლიტიკაში გაუცნობიერებელი ახალგაზრდების როკვას, ბატონო პარლამენტარებო.

თუ ბრბო ერთხელ მიაღწევს თავისას, მეორეჯერაც მოგადგება მინისტრების გასარეკავად.

თუ არა ვართ სახელმწიფო, გამოვაცხადოთ, თუ სახელმწიფო ვართ, სახელმწიფოს თავისი კანონები აქვს და ანარქიის ალაგმვის თავისი საშუალებანი გააჩნია.

რაც შეეხება კაკუბავას საკითხს.

ბორის კაკუბავა ეროვნულ მოძრაობაში თავგამოჩენილი კაცია – მებრძოლი, პატრიოტი, უკომპრომისო, უანგარო...

იგი პარლამენტის წევრია და სამარცხვინოა, რომ ორი წელია პარლამენტში არ ვუშვებთ და გარეგარე დადის.

თუ ფრიდონ ინჯიასთვის შეიძლებოდა იმუნიტეტის შენარჩუნება, ბორის კაკუბავამ რა დააშავა?

მივცეთ საშუალება გამოვიდეს, პარლამენტის სხდომაზე და თავისი სიმართლე დაამტკიცოს!

9 ნოემბერი, 2001 წ.

ბატონებო,

ასე ხალხმრავალი, ასე გაფაციცებული, ასე შემართული პარლამენტი ორი წელია აქა ვარ და ჯერ არ მინახავს.

რა ხდება ასეთი, იქნებ გამარკვიოთ.

პარლამენტის თავმჯდომარეს, სხდომების წამყვანს ვირჩევთ, მეტი ხომ არაფერი.

წესიერ ქვეყანაში უნდა გარბოდეს თავმჯდომარეობის კანდიდატი; არ დამღუპოთ, არ ამირჩიოთო და ჩვენ უნდა მივსდევდეთ, ვეხვეწებოდეთ; არიქა, უარს ნუ გვეტყვი, დაგვიდექი თავმჯდომარედ და გვემსახურეო.

დღეს კი, თუ ასე გაგრძელდა, ალბათ დილამდე მოგვიწევს ამ დარბაზში დარჩენა.

არის ჩურჩული, ხმოსანთა გადმობირება-გარიგება, ნერვული გასვლა-გამოსვლა... მერედა რისთვის, ბატონებო?

კოდორის ხეობას ბომბავს რუსი, აფსუა ნაძირალები ოკუპანტებად გვაცხადებენ, საქართველოს მიწაზე გამრავლებული უცხო თესლი სახელმწიფოებს ქმნის და ხვალ სამაჩაბლოში „სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის“ პრეზიდენტის არჩევნებია, გაერო გულისამრევ, ვეგეტარიანულ რეზოლუციებს იღებს და „მშვიდობის მტრედი“ – დიტერ ბოდენი ისტორიული სამართლიანობის აღდგენისთვის თითს-თითზე არ აკარებს. ბიუჯეტი ჩაფლავდა და განმკითხავი არავინაა, გაზი გადაკეტეს, ხვალ ელექტროენერგიას გაგვითიშავენ...

და ასეთ დროს ჩვენ აქ შუბლზეოფგადამდინარენი იმაზე ვიკლავთ თავს, ვინ ავირჩიოთ პარლამენტის თავმჯდომარედ.

ჩვენი შემყურე იტყვის, ალბათ, ყველაფერი მოგვარებული აქვს ამ ხალხს და ისღა დარჩენიათ, პარლამენტის თავმჯდომარის გაჭიანურებული არჩევნებით გაირთონ თავიო.

აღარ უნდა დამთავრდეს სკამებისათვის გამართული ეს სამარცხვინო მარათონი, ბატონებო?

4 დეკემბერი, 2001 წ.

ბატონებო,

ამ კვირის სამუშაო გეგმაში ისევ მინისტრთა კანდიდატურების დამტკიცებაა მთავარ საქმედ მიჩნეული.

ხალხის გაცურების ეს გრანდიოზული, ორკვირიანი შოუ დასასრულს უახლოვდება. ამაოდ ჩაუვლია ორი კვირის წინანდელ მიტინგებს. „ასე იყო და ასე იქნებას“ ცივი წყალი გადავასხით მოქალაქეებს. მოატყუა ისინი პრეზიდენტმა, დაპირებებით დააშოშმინა და ისევ ის „შემადგენლობა“ წარუდგინა პარლამენტს ორიოდე მინისტრი შეცვალა მხოლოდ. ამ ფონზე თავს ნებას ვაძლევ, ვიკითხო: ეკონომიკა-მრეწველობის სფეროდან მარტო ვანო ჩხარტიშვილი დარჩა ჭეშმარიტად „გადაყენებული“, რატომ? განა ვანო ჩხარტიშვილის გასათავისუფლებლად იყო ათიათასი კაცი შეკრებილი პარლამენტის წინ?

რაც შეეხება ლევან ძნელაძეს, იგი ერთი თვის დანიშნული იყო საგადასახადო და შემოსავლების მინისტრად. იმ ერთ თვეში რამდენადაც შეეძლო, ისეთი სასიკეთო კვალი დაატყო ამ ურთულეს სამინისტროს. ახლა თავიდან ვამტკიცებთ და ისევ მისი პროგრამა

უნდა გახდეს დღეს ჩვენი განხილვისა და განჩხრეკვის საგანი. ნუთუ არ შეიძლება ისეთი მექანიზმი შევიმუშავოთ მოხსნა-დანიშვნისა, რომ ახალგაზრდა კაცს თავისი ძალების გამოვლენის მეტი საშუალება მივცეთ? მინდა გკითხოთ, ვინ გეგმავს საგადასახადო პოლიტიკას (თქვენ რომ ფისკალურს ეძახით) და მონაწილეობს თუ არა ამ დაგეგმვაში მინისტრი. ხომ არ შეიძლება დავგეგმოთ არალეარული გადასახადი და მერე ყოველი თვის ბოლოს წავავლოთ ყურში ხელი მინისტრს, გეგმას რატომ არ ასრულებო. გამოდის, რომ ფინანსთა მინისტრს როცა უნდა, მაშინ შეუძლია საგადასახადო მინისტრის მოხსნა. დაუგეგმავს გაბერილ გადასახადს და მერე „ოლოლოს“ შესძახებს, ვერ შეასრულაო.

ახლა ფინანსთა მინისტრი დგას დასამტკიცებელ „ტატამზე“. გეკითხებით, ბატონო ზურაბ?

ორი შეკითხვა მაქვს:

პირველი: საქართველოში ცოტანი დარჩნენ მეორე მსოფლიო ომის მონაწილენი. თქვენ ამა წლის მეოთხე კვარტლიდან ომის ვეტერანთა ჰოსპიტლის დაფინანსება სეკვესტრში მოაყოლეთ და ფაქტიურად გააუქმეთ ეს ჰოსპიტალი. ნუთუ არ განაღვლებთ ჩემთვის „მამების და ბიძების“ თქვენთვის კი „პაპა-ბაბუების“ ბედი? გავატანოთ ამ ხალხს საფლავში გულგრილობის საშინელი სევდა?

მეორე: საქართველოს საერთო-ეროვნული მწერალთა კავშირის დაფინანსება, გაგიხარიათ, ურიგო საქმე არ გახლავთ, მაგრამ დღეს რომ თქვენ ძველი ინერციით (როგორც ჩანს, შევარდნაძის მითითებით) მხოლოდ „ტრადიციულს“ აფინანსებთ. რატომ? რა დაგიშავათ სხვა შემოქმედებითმა კავშირებმა?

18 დეკემბერი, 2001 წ.

ბატონებო,

ამ დილით ექვს საათზე დამირეკეს ტაშკენტის ქუჩიდან. ყურმილში აღელვებულ ადამიანთა გნიასი ისმოდა. მივედი მაშინვე. გეოლოგიის ინსტიტუტის შენობაში კოდორის ხეობიდან ლტოლვილთა 17 ოჯახი შეჭრილა წუხელის. ინსტიტუტის დირექტორმა მითხრა: სამსართულიანი შენობის ორი სართული ლტოლვილებს უჭირავს. ახლა ჩემი კაბინეტიც დაიკავეს და თქვენ, როგორც პარლამენტის წევრმა, გამარკვიეთ, დავხუროთ საერთოდ ინსტიტუტი, თუ რა გზას დავადგეთო. „ძიგლი, ძიგლი მამალოს“ პოზაში იდგნენ ერთმანეთის

წინ პოლიციელები და ლტოლვილები. დიდი ძალისხმევა დამჭირდა, რომ ორივე მხარე დამეშოშმინებინა და სისხლი არ დაღვრილიყო, მაგრამ ეს დაშოშმინება, მოგეხსენებათ, დროებითია.

ორივე მხარეს თავისი სიმართლე აქვს. ჩვენ პარლამენტმა ამ პრობლემას როგორმე უნდა მოვუაროთ.

კერძოდ: კოდორის ხეობა იცლება. მიუხედავად იმისა, რომ თავდაცვის სამინისტრომ ორასიოდე ჯარისკაცი შეიყვანა ხეობის დასაცავად, შეშინებული მოსახლეობა მაინც გამორბის. ჩვენი კურდღლად ქცეული მოსახლეობისა მე ვერაფერი გამიგია, საკმარისია რუსის ორიოდე თვითმფრინავმა გადაიფრინოს, რომ ვტოვებთ მამა-პაპათა სამკვიდროს და უწა-უწა გამოვრბივართ.

„ჩვენი მეგობარი“ დიტერ ბოდენი, რომელიც „ფრიად გაისარჯა“ რომ აფხაზეთი ვერ დავიბრუნოთ, დგას და მთელი ხმით გაჰყვირის: საქართველომ გაიყვანოს ჯარი კოდორის ხეობიდან, თორემ „ბატონი არძინბა“ საქართველოსთვის მოლაპარაკებას არ განაახლებსო.

კიდევ ერთხელ გვატყუებს დიტერ ბოდენი (და შესაბამისად რუსულ-აფხაზური მხარე), ბატონებო. საკმარისია გამოვიყვანოთ ჩვენი, თითქმის უმნიშვნელო, სამხედრო კონტინგენტი, რომ სვანების მიერ მიტოვებულ სახლ-კარს იმ დღესვე დაეპატრონებიან აფსუები და ამ საახალწლოდ ახალ საჩუქარს – ამჯერად კოდორის ხეობას მივართმევთ მტერს.

დავსვათ სხდომაზე ეს საკითხი. ვფიქრობ, ეს უფრო მნიშვნელოვანი პრობლემაა, ვიდრე, ვისი ქმარი სად დაინიშნოს და ვისი ცოლისძმა რა ჩინ-ტემლაკებით დაჯილდოვდეს.

მეორე: შენიშვნა უნდა მოგცეთ ქალბატონო თავმჯდომარევ. თქვენ წინა სხდომაზე ერთხელ კიდევ დაგვპირდით, რომ საქართველოში ეროვნების აღდგენისა და სახელმწიფო ენის საკითხს შეიტანდით დღის წესრიგში. რატომ გადაიფიქრეთ?

ისევ ხომ არ გრძელდება შეთქმულება ქართული ეროვნული ცნობიერების წინააღმდეგ? მხოლოდ მოქმედი პირნი ხომ არ გამოიცვალნენ და მეტი არაფერი? გაიგეთ, აღარ გვსურს „იგივენი და ოფელია!“

28 თებერვალი, 2002 წ.

ბატონებო,

გუშინდელი ისტერია და საქართველოზე გადმონთხეული შხამი თანამედროვე რუსეთის ორიენტაცია-განწყობილების გამოხატულება გახლდათ.

ხომ ნახეთ, პოლიტიკოსთა მგლურ ყმუილს როგორ აუბეს მხარი რუსული შოვინისტური მასმედიის ტურა-მელებმა.

იქნებ დავამთავროთ ჩვენც სასურველის რეალობად გამოცხადების თამაშით. არავითარი ორი რუსეთი არ არსებობს. რუსეთი ჩვენი დაუძინებელი მტერი იყო და არის.

ისტორიას აღარ გამოვედევნები. ისტორიის ფურცლები, ჩემზე უკეთ მოგეხსენებათ, სავსეა გაუთავებელი პირუმტკიცებით, რუსთა ღალატით და ჩვენი ძვირფასი მკვდრებით.

ბოლო ათწლეული გაიხსენეთ: რომ იტყვიან, ჯვარს გვაცვა, გვაწამა რუსმა. მესამედი საქართველო წაგვართვა და ყოველდღიურად მისთვის ჩვეული ციინიზმით კატა-თაგვობანას გვეთამაშება. გამოაგზავნის ჩინოვნიკს, აქაოდა ჩარჩო-ხელშეკრულებაზე მოვილაპარაკოთო, სინამდვილეში დაგვცინის.

ვძულვართ! მორჩა და გათავდა.

შევარდნაძემ რომ რუსის კეთილგონიერებისკენ მობრუნებას უცადა და უთმინა, ცდა და ლოდინი ისეთი უნდა. მაგრამ რა გამოვიდა ამაო დაპირებების და უტიფარი ტყუილის მეტი.

წუხელის, როცა ვაზიანის თავზე ამერიკული ვერტმფრენების გუგუნი გაისმა, ილია ჭავჭავაძის „დღეს მერცხალი შემოფრინდა“ ამეკვიატა და აქამდე, ამ მიკროფონამდე მომყვა.

ხომ ვამბობდი, რუსი დამოუკიდებლობანათი გვასულელებს, თორემ დღესაც თავის ყურმოჭრილ მონად, თავის ვასალად მივაჩნივართ-მეთქი.

რა ერთსულოვანნი არიან საქართველოს ლანძღვაში. ხომ იგრძენით, როგორ გავბედეთ თურმე და ამერიკულ ინსტრუქტორებს მოვუხმეთ.

ყოველგვარ რუსულ პროვოკაციებს უნდა ველოდოთ. შეიძლება აფხაზეთის და სამაჩაბლოს მიერთების საკითხი დადგეს „დუმაში“, შეიძლება გაზი და სინათლე გაგვითიშონ, შეიძლება „ჭკუა იხმარონ“ და პანკისის გაწმენდაში ამერიკელებს „გვერდით ამოუდგნენ“.

მოვუწოდებ საქართველოს პრეზიდენტს, რუსულ ანკესს კიდევ ერთხელ არ წამოეგოს და აწი მაინც უკან აღარ დაიხიოს.

მე შორსა ვარ იმ აზრისაგან, რომ საქართველომ ერთი ზესახელმწიფოს გვამიდან გამოსულმა, მეორე ზესახელმწიფოს უღელი დაიდგას მხარზე. მართალია, ჩვენთვის სულერთია მგელი შეგვჭამს, თუ მგლისფერი ტურა, მაგრამ ისიც ხომ კარგად მოგეხსენებათ, რომ ჩვენი გეოპოლიტიკური მდგომარეობა ჩვენი ბედისწერაა. ისეთ

ადგილზე ვცხოვრობთ, რომ რომელიმე ძლიერ კოალიციას თუ არ მივადეთ თავი, უსათუოდ დავიღუპებით. ჩვენი „კეთილი მეზობლები“ გაგვწეწავენ და დაგვინაწილებენ. ამით ჩვენი ბედი ისრაელის ბედს წააგავს.

ტერორიზმის, ექსტრემიზმის, სეპარატიზმის წინააღმდეგ ბრძოლის გზა დღეს საქართველოსთვის ამერიკაზე გადის. რუსეთის გავლენის სფეროს ჩვენ აღარ უნდა დავუბრუნდეთ.

აქ ითქვა, საგარეო საქმეთა მინისტრი მოვიდეს და ვითარებაში გაგვარკვიოსო. რა უნდა გვითხრას საგარეო საქმეთა მინისტრმა იმაზე მეტი, რაც ჩვენ ვიცით. ჩვენ ახლა ინფორმაციაზე არანაკლებად პარლამენტის ნების გამოხატვა გვჭირდება.

ხომ მოისმინეთ, საქართველოს პრეზიდენტმა ამერიკელები პარლამენტთან შეუთანხმებლად მოიწვიაო, გაჰყვიროდნენ რუსი პოლიტიკოსები.

ჰოდა, დღეს ამ დარბაზში უნდა მივიღოთ დადგენილება და მთელ მსოფლიოს უნდა ვაცნობოთ, რომ საქართველოს პარლამენტი მიესალმება აღმასრულებელი ხელისუფლების ინიციატივას ამერიკა ჩარიოს არამარტო პანკისის ხეობაში წესრიგის დამყარების, არამედ წართმეული ტერიტორიების დაბრუნების ოპერაციებშიც, ეს ინსტრუქტირების, და იარაღის მოწოდების დონეზე იქნება, თუ სხვა ფორმით გამოხატული – ამას დრო გვიჩვენებს.

ეს გახლავთ ჩემი წინადადება.

ისტორია კიდევ ერთხელ გვაძლევს გადარჩენის შანსს.

მე მგონია, საქართველოზე რუსეთის ორასწლოვანი ბატონობის ეპოქა მთავრდება.

12 მარტი, 2002 წ.

ბატონებო,

იყო ერთი მოუხელთებელი ყაჩაღი დურუ ხურცილავა. საქართველოში ცნობილი ამ აბრაგის დასაჭერად არ შეთქმულან ძალოვანი სტრუქტურები ისე დიდსულოვნად, როგორც მღვდელ ბასილ მკალავიშვილის „დასაკავებლად“ დაჯარდნენ გუშინწინ.

რა სანახაობა იყო?! ომბუდსმენის ოფისში მოწვეულ იყვნენ პოლიცმეისტერი, უმაღლესი მოსამართლე, პროკურორი, უშიშროება და თავისუფლების ინსტიტუტის „ყოჩაღი ბიჭები“. შეკრების მიზანს არ იკითხავთ? ბასილ მკალავიშვილის გაკოჭვა.

მესამე დღეს დაიწყო ოპერაცია „ბასილ მკალავიშვილი“, რაციაგადამცემებით, ნიღბებით და პისტოლეტ-ავტომატებით შეიარაღებული სამი „ნივა“ მიადგა ლოცვად შემდგარ მამა ბასილს. ღმერთის თანადგომით კიდევ ერთი სასწაული მოხდა და მოძღვარმა პოლიციელები თავად დააპატიმრა.

გეკითხებით, ბატონო პარლამენტარებო და ხელისუფლების წარმომადგენლებო: ნუთუ ყველაზე დიდი საქმე ჩვენი დამსჯელობითი ორგანოებისთვის სარწმუნოებისთვის თავდადებული, ამ კეთილშობილი, თავგანწირული მებრძოლი მღვდლის ბასილ მკალავიშვილის დაჭერა-მოტაცებაა?

მეორე: ერთი კვირაა დავასაფლავეთ ცილისწამების, მორალური ტერორის მსხვერპლი ნუგზარ საჯაია. მეგონა, ცოტა ხანს მაინც შეაჩერებდა მისი სიკვდილი ლანძღვა-გინების ნიაღვარს ასე ერთბაშად რომ იღვრება ჩვენი პრესის ფურცლებიდან.

ხომ არ გვემსჯელა სპეციალურად ჟურნალისტთა მიერ ეთიკურ-ზნეობრივი ნორმების დაცვაზე და პოლემიკის სტილზე?

15 მარტი, 2002 წ.

ბატონებო,

წუხელის მთელი ღამე ვფიქრობდი, რა ჭკვიანურად მოვიქეცით გუშინ აფხაზეთის საკითხის განხილვის დროს სხდომა რომ დავხურეთ, თორემ იმდენი სახელმწიფო საიდუმლო ითქვა ამ ორი დღის განმავლობაში ჩვენი მინისტრების მიერ, ეს რომ მტერს გაეგო, ხომ დავიღუპებოდით.

ამას, რა თქმა უნდა ირონიით მოგახსენებთ.

გეკითხებით, თუ მეტი არაფერი გვქონდა სათქმელი, ღირდა დროის დაკარგვა ამ ზოგადი ფრაზების მოსასმენად?

ყურადღებით ვუსმენდი თითოეულ გამომსვლელს და თითქმის არაფერი ახალი არ მოწვდა ჩემს ყურთასმენას, რაც „ახალ თაობაში“, „რეზონანსში“ და „ალიაში“ არ წამიკითხავს.

თურმე, ნუ იტყვით: „აფხაზეთის დაბრუნება კარგი რამ არის დაუბრუნებლობა – ცუდია“.

ხუთი მოხსენება მოვისმინეთ და კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, რომ რაც დრო გადის, აფხაზეთი უფრო და უფრო გვშორდება.

იქ ქართული ენა საბოლოოდ ამოშანთეს, გალის სკოლებში მხოლოდ რუსულად ასწავლიან, მთელი აფხაზეთი თავის მიწიან-კურორტებიანად რუსებმა და თურქებმა შეისყიდეს. შენაძენი საერთაშორისო კანონებით გაიფორმეს და ბიჭი ხარ, როცა დაბრუნდები, წაართვი

ჩერნომირდინს, ოთოსბირად ნაყიდი ბიჭვინთა, ჩამოართვი რუს მილიონერს არძინბას ქალიშვილისგან ნაყიდი ქარხნები და სანატორიუმები. გარდა ამისა, როგორც ირკვევა, კატასტროფულად შეიცვალა დემოგრაფიული სურათი. აფხაზეთში, საქართველოს ამ უძველეს მიწაზე, ქართველთა რიცხვი 48 პროცენტიდან 2 პროცენტამდე შემცირდა.

მაშ, რა კვებავს თქვენს ოპტიმიზმს სულ ღიმილ-ღიმილით რომ ჩაიკითხეთ თქვენი მოხსენებები, ბატონო მინისტრებო?

ვერ დაგიკარგავთ, ინფორმაცია მოგვაწოდეთ, მაგრამ ფაქტების აღნუსხვას არ გაშორებიხართ. სად არის ანალიზი, მოვლენათა თქვენეული ხედვა, რეკომენდაციები?

ზოგმა ჩვენგანმა ორდღიან სააფხაზეთო შოუზე უკიდეგანო გასაქანი მისცა თავის ფანტაზიას:

არძინბა უკვე ცოცხალი ლეშიაო. თავისი სახელი და გვარიც აღარ ახსოვსო. ღრმა სკლეროზი შეჰყრია და ვერაფრით ვერ იხსენებს, რომ ოდესღაც აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის პრეზიდენტად მუშაობდაო.

მსგავსი სიუჟეტები თუ გახსოვთ, უკვე იყო. ეს არძინბას მკვდრად გამოცხადების მეოთხე შემთხვევაა. შარშანწინ მთელ მსოფლიოს მოვფინეთ, არძინბა მოსკოვის რომელიღაც მორგ-მაცივარში „ინახებაო“. ერთი თვის მერე ტელევიზიით გამოვიდა აფსუათა წვრილთვალა ატამანი და გამოგვიცხადა; მითი ჩემი გარდაცვალების შესახებ ცოტა გადაჭარბებულიაო.

ვთქვათ, უიმედოდაა ამჟამად ავად. ძალოვანი მინისტრები ასე ერთსულოვნად რომ ბრძანებენ: არძინბას დანაშაულზე ტომები გვაქვს შედგენილიო, რატომ ერთ მათგანს მაინც არ მოუვიდა აქამდე აზრად ეს ტომეულები სასამართლოსთვის წარედგინა და სანქცია მაინც მიეღო იმ კაცის სამართალში მიცემაზე, ვინც ქართველთა არნახული სისხლის კალო მოაწყო და ველურებს ჩვენი შვილების თავებით ფეხბურთი ათამაშა?

სანამ უნდა ვიყოთ ასეთი ცვედანი, ვეგეტარიანული სახელმწიფო, თუ სახელმწიფო გვქვია საერთოდ?

დღეს, როცა მანჰეტენის დანგრევისთვის ბენ ლადენის ძებნაში გართული ამერიკა მსოფლიოს ყოველი ტერორისტულ კუთხე-კუნჭულის ამოშანთვას ცდილობს და მილოშევიჩს მეექვსე თვეა საერთაშორისო ტრიბუნალი ასამართლებს, ჩვენს ხელისუფლებას რატომ ჰყავს ასე სათუთად დაცულ-მოვლილი არძინბა? რა პატივი გვცა ასეთი?

აფხაზეთის ლეგიტიმურ ხელისუფლებას ლამის იგნორირებ-

ულვჰყოფთ, თითქმის არაფერს ვეკითხებით და იმ თვალთმაქცურ, აფიორა-მოლაპარაკებებშიც არ ვრევთ, ვითომდა აფხაზეთის დასაბრუნებლად რომ მიმდინარეობს, ამ დროს არძინბას და მის მემკვიდრეებს აეროპორტში ვხვდებით და სახელმწიფო კანცელარიამდე ტაშისკვრით მოვაცილებთ.

სანამ შეიძლება გააგრძელოთ, ბატონებო, გაუბედურებული ლტოლვილების ნერვებზე თამაში?

ნუთუ ვერ ხვდებით, რომ ლტოლვილები კარგა ხანია მიგიხვდნენ არძინბასთან „გონივრულ მოლაპარაკებების“ სატყუარას და ამ მოლაპარაკებათა შედეგად აფხაზეთში ღირსეულად დაბრუნების იმედი აღარა აქვთ?

აფხაზეთი, ჩვენ რომ ათი წლის წინათ დავტოვეთ, რა მწარეც უნდა იყოს ამის თქმა, უკვე აღარ არსებობს. იქ თქვენ მოქალაქეობამიღებული და საერთაშორისო სერთიფიკატებით ქონება მიწადამტკიცებული რუსი, თურქი, ჩეჩენი და ჩერქეზ-ყაბარდოელი დაგხვდებათ.

გაივლის კიდევ ათი წელი და აფხაზეთში დაბრუნების სურვილიც აღარავის ექნება.

პარლამენტის ბიურომ რომ განსახილველ-დასამტკიცებლად რეზოლუცია-დადგენილებები გააშანშალა ძირითადად სწორია (აზრის მიხედვით), მაგრამ ფაქტიურად არაფრისმთქმელი, უნუგეშო, დროის გაყვანაზე გათვლილი დადგენილებებია.

დადგენილებების ყველა პუნქტს აკლია ერთადერთი და მთავარი რამ – პასუხი კითხვაზე როდის, რამდენ ხანში.

კარგია, რომ ერთგული ვრჩებით პარლამენტის დადგენილებისა (11 ოქტ. 2001) რუსის სამშვიდობო ჯარის გაყვანის შესახებ, მაგრამ ეს ზოგადი ფრაზა იქნება, თუ იქვე არ მივუთითებთ: აღმასრულებელმა ხელისუფლებამ ამა და ამ დრომდე უზრუნველჰყოს ამ დადგენილების შესრულებაო.

კარგია, რომ აფხაზეთის დე ფაქტო ხელისუფლებას მოვუწოდებთ, მიიღოს საერთაშორისო ინსტიტუტების მიერ შეთავაზებული სტატუსი, მაგრამ იქვე უნდა იყოს: „თუ ეს ამა და ამ ვადაში არ გაკეთდება, ჩვენ იძულებული გავხდებით“ და ა. შ.

ცუდი როდია, რომ უკიდურეს შემთხვევაში სამშვიდობო ძალების მანდატის შეცვლას (ღალიძგამდე გადაწევით) დროებით, იძულებით ვეთანხმებით, მაგრამ იქვე უნდა ეწეროს, როდის უნდა გადაადგილდნენ რუსი მესაზღვრეები ენგურის ხიდიდან.

თუ ჩვენს დადგენილებებს კონკრეტულობას არ მივუსადაგებ-

დით, ზოგადად უკეთესი დადგენილებების მიღება შეიძლებოდა.

გაწამებული დევნილისათვის დელისის მეტროსთან რომ ზის და მეათე წელია ასანთს ჰყიდის, ვერაფერი შეღავათია თქმა იმისა, რომ ნუ გეშინიათ გაერო და თვით რუსეთიც კი აფხაზეთს საქართველოს განუყოფელ ნაწილად განიხილავსო... ამიტომაც აფხაზეთს ცალკე სახელმწიფოდ გაერო არასოდეს აღიარებსო.

დიდი მადლობა გაეროს და რუსეთს „ამ პატივისცემისთვის“.

ამის თქმა ხომ, არც მეტი და არც ნაკლები, ნიშნავს: ბატონებო, აფხაზეთი არც წაგერთმევათ და არც დაგიბრუნდებათო.

დრო კი ულმობლად გარბის.

მერე რა, ფიქრობს აფხაზეთის „არშემდგარი“ ხელისუფლება, ვიყოთ აუღიარებელი, ნუ გვცნობენ. ჩვენ ხომ ფაქტიურად დამოუკიდებელი სახელმწიფო ვართო.

და ამ „აუღიარებელ სახელმწიფოში“ სწორედ აუღიარებლობის გამო „ვერ შედიან“ ყოველდღე რუსეთის და თურქეთის გემები, აუღიარებლობის გამო „ვერ დებს ხელშეკრულებებს“ და ვერ გააქვს-შემოაქვს აფხაზეთს საქონელი.

თავს რატომ იტყუებ, საქართველოს ხელისუფლებავ, შენ მაინც ხომ კარგად იცი, რომ არავითარი ეკონომიკური ბლოკადა არ არსებობს.

უაზრობა იქნება მარტოოდენ პარლამენტს მოვთხოვოთ პასუხი აფხაზეთის დაბრუნებისკენ ამ ათი წლის განმავლობაში ერთი ნაბიჯიც რომ ვერ გადავდგით.

ჩვენ ხომ ის საქართველო ვართ, დღემდე მსოფლიოს სიმართლეს გულდაგულ რომ ვუმალავთ.

როდის, რომელ საერთაშორისო ფორუმზე, გაეროს რომელ სესიაზე განაცხადა ჩვენმა წარმომადგენელმა პირდაპირ და ცალსახად, რომ აფხაზეთი და სამაჩაბლო წაგვართვა რუსეთმა.

როდის, უშიშროების საბჭოს რომელ სხდომას მიმართა საქართველომ თხოვნით რომ ბოლოს და ბოლოს ამოქმედდეს გაეროს რეზოლუციის VII პუნქტი ძალისმიერი მეთოდით მშვიდობის დამყარების შესახებ?

ჩანს, ვერც პარლამენტარები ეხმარება ქვეყანას, როგორც საჭიროა. ნახევარყბით ვთხოვთ ხელისუფლებას დააყენოს გაეროს წინაშე ეს საკითხები, ნახევარყბით ნათქვამს კი წაყრუების ნაცადი პოლიტიკა ხვდება იქეთა მხრიდან.

უმორჩილესად გთხოვთ, ბატონებო, ხალხს ნუ მოვატყუებთ.

არ არის ქართველი ერი აბუჩად აგდების ღირსი.

26 მარტი, 2002 წ.

ბატონებო,

ზვიად გამსახურდიას სახლის გაძარცვა ზუგდიდში, რასაკვირველია აღმაშფოთებელია, მაგრამ ამაზე უფრო დიდი პრობლემა გვაქვს. დღეს საქართველოში, რის შესახებაც არც ერთ თქვენგანს კრინტი არ დაუძრავს.

მეორე დღეა ენგურთან და სამაჩაბლოში რუსებმა ტანკები დააყენეს და ლულები პირდაპირ ზუგდიდს თუ გორს მიუშვირეს. დიახ, რუსის საოკუპაციო ჯარმა (ეს სტატუსი რომ აქამდე ვერაფრით მივუსადაგეთ ჩვენი გაუბედაობა-სიმორცხვის გამო) ბრჭყალები გვიჩვენა – რაკიღა თქვენ ამერიკელ ინსტრუქტორებს მოუხმეთ, ახლა გიჩვენებთ სეირს, წადით და გვიჩივლეთ თქვენს ამერიკელ მფარველებთანო.

თავის მხრივ ამერიკა, ვისკენაც ჩვენ 180 გრადუსით შევბრუნდით, რაღაც გაუგებრობის ბურუსში ხვევს ჩვენს ურთიერთობას. გამოგზავნეს 15 ინსტრუქტორი, მარტის ბოლოს 200 ამერიკელი ჯარისკაცი ჩამოვაო, აი, მარტის ბოლოა და ამერიკელები არ ჩანან. სხვას რომ თავი გავანებოთ, ნუთუ ჩვენმა ახალმა მოკავშირემ რუსეთს არ უნდა მიუთითოს თვითნებურად რომ გაზარდა სამხრეთ კავკასიაში შეიარაღების კვოტა?

საიდან მოვიდნენ ტანკები, საიდან გაჩნდა ზუგდიდთან რუსეთის მძიმე არტილერია?

ხომ არ ნიშნავს ეს ფაქტი იმას, რომ რუსეთმა სამუდამოდ დაგვაბანინა ხელი აფხაზეთზე და სამაჩაბლოზე?

საქართველოს პარლამენტმა რეაგირების გარეშე არ უნდა დატოვოს რუსის საოკუპაციო ჯარის საეჭვო ფუსფუსი ჩვენს მიწაზე – აფხაზეთსა და სამაჩაბლოში.

ან პლენარულ სხდომაზე განვიხილოთ, ან უშიშროებისა და თავდაცვის კომიტეტმა აქციოს ეს პრობლემა სპეციალური მსჯელობის საგნად.

გავარკვიოთ, მართლა შევდივართ თუ არა ამერიკის ინტერესების სფეროში, მართლა აპირებს თუ არა ამერიკა ჩვენს შველას.

თორემ იმ პავლეს მდგომარეობაში აღმოვჩნდებით, პეტრეს მოსვლამდე რომ ტყავი გააძვრეს.

8 აპრილი, 2002 წ.

ბატონებო,

კიდევ ერთი სამარცხვინო ფაქტის მოწმე გავხდით. როგორ წარმოვიდგენდი, რომ საარჩევნო კომისიაში, რომელსაც ისეთი წესიერი კაცი ხელმძღვანელობს, როგორიც აკადემიკოსი ჯუმბერ ლომინაძეა, არჩევნების გაყალბების მიმანიშნებელი გაუგებრობა მოხდებოდა.

გაკოტრდა არჩევნების გაყალბების დიდოსტატი მოქალაქეთა კავშირი, ნუთუ ისევ ამოქმედდება არჩევნების გაყალბების მანქანა, რამაც ამდენი უსიამოვნება მოუტანა პარლამენტის არჩევნების დროს სისხლგამშრალ პარტიებს და დეპუტატობის კანდიდატებს.

დავიბაროთ ჯუმბერ ლომინაძე პარლამენტში. მოვიდეს და გვითხრას, როგორ მოხდა, რომ გუშინ კომისიის ცხრამეტ წევრს 20 ბიულეტენი აღმოაჩნდა. ვინ დაარიგა ზედმეტი ბიულეტენი?

ახლა დღის წესრიგს მივუბრუნდეთ:

გთხოვთ დღევანდელი სხდომა დავიწყოთ „სახელმწიფო ენის შესახებ“ კანონის განხილვით. დიდი გზა გამოიარა ამ კანონმა, სანამ ჩვენამდე მოაღწევდა. ერთადერთი სახელმწიფოა საქართველო, რომელსაც არა აქვს პარლამენტით დამტკიცებული სახელმწიფო ენა. ეს კანონი ეროვნული მნიშვნელობის კანონი გახლავთ. სახელმწიფოს შენების ერთი ქვაკუთხედი სწორედ რომ სახელმწიფო ენის კანონია და ამიტომ, ალბათ გამართლებულია ჩემი თხოვნა, სანამ გადავიღლებოდეთ დილიდანვე შევუდგეთ ენის კანონის განხილვას.

მეორე: მიწისძვრამ დააზიანა ცნობილი ქართველი მწერლის მერაბ ელიოზიშვილის სახლი. ჭერი თითქმის ჩამოინგრა. ახლა მერაბის ბინაში ცა იხედება, დღევანდელ მზიან დღეს ეს შეიძლება არც ისე საშიში იყოს, მაგრამ მოწვიმს თუ არა, ბატონი მერაბის ოჯახი ფრიად სავალალო მდგომარეობაში აღმოჩნდება.

როგორც ბატონი მერაბი აცხადებს, ათი დღის წინათ იყვნენ მასთან კომისიის წევრები, შეამოწმეს, შეადგინეს აქტი, უთანაგრძნეს ელიოზიშვილების ოჯახს ჭერის ჩამონგრევის გამო და ამით დამთავრდა ყველაფერი.

ვსარგებლობ პარლამენტის წევრის სტატუსით აგრეთვე ამ საპარლამენტო მიკროფონით და მივმართავ ქალაქის მერს ბატონ ვანო ზოდელავას: რაკიღა მიწისძვრით დაზარალებულთა ფონდში უკვე შესულია მილლიონ-ნახევარი ლარი, ხვალვე გამოჰყოს ბრიგა-

და რათა ორი დღის განმავლობაში დაუყოვნებლივ იქნას შეკეთებული მერაბ ელიოზიშვილის ჭერი.

4 ივნისი, 2002 წ.

ბატონებო,

პრობლემაზე მე რომ ახლა შევეხები, დამოკიდებულია ჩვენი პარლამენტის ავტორიტეტი და გთხოვთ ყურადღებით მომისმინოთ.

არაერთგზის მითქვამს თქვენთვის ინგილო ქართველთათვის ისტორიული, ნამდვილი გვარების დაბრუნების შესახებ. 1959 წელს აზერბაიჯანის ხელისუფლების მიერ ქართველთათვის ეროვნების და გვარ-სახელის თვითნებური წართმევა და აზერბაიჯანული გვარ-სახელების მათთვის სრულიად უკანონოდ მიკუთვნება იყო ვანდალური აქტი, რასაც ინგილოები ვერასოდეს ვერ შეეგუებიან.

მიმდინარე წლის იანვარში ამ პრობლემის ორმოცდაორწლოვანი ყინული დაიძრა. საქართველოს პარლამენტის დელეგაციამ ბაქოში ყოფნის დროს პრეზიდენტ ალიევის წინაშე დასვა აღნიშნული საკითხი, რასაც ალიევის მხრიდან გულისყურიანი დამოკიდებულება მოჰყვა. ბ-მა ალიევმა იქვე, ჩვენს თვალწინ გასცა საგანგებო განკარგულება, რათა ინგილოების მიერ საკუთარი გვარების დაბრუნებას ხელი არ შეშლოდა.

სამწუხაროდ, ახლახანს (23 მაისს) ჩემთან მოვიდა ინგილო-ქართველთა ერთი ჯგუფი, რომლებმაც წარმომიდგინეს კოლექტიური განცხადება. განცხადების მიხედვით ჩვენთვის საინტერესო საკითხზე ფრიად სავალალო სურათი იკვეთება. გვარის დაბრუნების მსურველებმა მიმართეს ზაქათალა-ბელაქანის საპასპორტო მაგიდებს თხოვნით, მაგრამ ჩინოვნიკებმა უარით გამოისტუმრეს. უფრო მეტიც; ბაქომ დაგვავალა არც ერთ ინგილოს ქართული გვარი არ დაუბრუნოთო, ასე გაიმართლეს თავი მეპასპორტეებმა.

გთხოვთ, ქალბატონო ნინო, გამოყოთ პარლამენტის სამკაციანი დელეგაცია, რომელიც გაემგზავრება საინგილოში; ჯიუტ „პასპორტისტებს“ წარუდგენს ალიევის გამოსვლის ვიდეოჩანაწერს, მის განკარგულებას, აგრეთვე ეროვნულ უმცირესობათა კომისიის დასკვნას და ურჩევს აზერბაიჯანელ მოხელეებს – ხელს ნუ დააფარებენ ღადარს, ნუ მიჩქმალავენ ჭეშმარიტებას, ნუ წავლენ აზერბაიჯანის პრეზიდენტის კეთილი ნების და ისტორიული აუცილებლობის წინააღმდეგ.

გმადლობთ ყურადღებისათვის.

6 ივნისი, 2002 წ.

ბატონებო!

გადაღლილი ბრძანდებით, მაგრამ თავს ვალდებულად ვრაცხ, ორიოდე სიტყვა მოგახსენოთ სახალხო დამცველის – ქ-ნ ნანა დევდარიანის ანგარიშის შესახებ. გაგიკვირდებათ, მაგრამ მადლობა მინდა ვუთხრა ქ-ნ ნანას იმის გამო, რომ იგი ამ წელს მეორედ გვაბარებს ანგარიშს, ჩვენ პარლამენტის პლენარულ სხდომებზე ვამტკიცებთ მინისტრებს, პრეზიდენტსაც კი, მაგრამ რატომღაც ჯერ არ მახსოვს პრეზიდენტი და მინისტრები ანგარიშით წარმომდგარიყვნენ პარლამენტის წინაშე. არა და, ომბუდსმენი ისჯება იმის გამო, რომ მის ანგარიშს, როგორც დავრწმუნდით, ჩვენი პარლამენტარები აჰკიდებენ ხოლმე ყველა პრობლემას, რაც სხვადასხვა დროს წამოჭრილა მათი რთული ცხოვრების წინაშე, ანგარიშში არაერთგან სწერია, ამისა და ამის შესახებ დავაყენე საკითხი, მაგრამ მითხრეს, ეგ შენი საქმე არ არისო. მართლაც, ჩვენში ჯერ ბოლომდე როდია გარკვეული, რა ევალება და რა უფლებები აქვს სახალხო დამცველს. აქვე მინდა ვუთხრა ქ-ნ ნანას, რომ არ არსებობს საკითხი, ომბუდსმენს რომ არ ეხება.

მოუთმენლად ველოდები იმ დროს, როცა ამ ტრიბუნაზე დადგება და პარლამენტს ანგარიშს ჩააბარებს კულტურის მინისტრი სესილი გოგიბერიძე. აი, მაშინ კი დარწმუნებული ვარ უსიამოვნო საუბარი გვექნება ქალბატონ მინისტრთან. უარესს წყევლაშიც ვერ ისურვებ ჩვენი კულტურა, ჩვენი სულიერი ცხოვრება რომ შავ დღეშია. არ ეყო ჩვენ მინისტრს არც ცოდნა, არც ეროვნული ცნობიერება და არც მონდომება, რომ გადაერჩინა თავქვე დაქანებული ჩვენი კულტურა. მას მხოლოდ ის შეუძლია, რომ „დაამშვენოს“ მინისტრის სავარძელი და ვაი-ვიში იძახოს, როცა დიდგორზე მერაბ ბერძენიშვილის მიერ შექმნილ ბრწყინვალე მემორიალს გაძარცვავენ.

მაგრამ ამ თემას ჩვენ სხვა დროს დავუბრუნდებით. ახლა მთავარია ქ-ნ ნანა დევდარიანს მივცე რჩევა, ნუ იქნება კატეგორიული თავის „თეორიულ შეხედულებებში“. არაა ფაქტებით ლიბოგამაგრებული მისი აკვიატებული დასკვნა, საქართველოში რელიგიურ უმცირესობათა შევიწროვების შესახებ. იცოდეთ, ძვირფასო დამცველო, საქართველოში თუ ვინმე იჩაგრება, ეს ავტოქტონური ქართველი ერია. ხომ ხედავთ, ჩვენ გამბედაობა არ გვყოფნის, პასპორტში ეროვნება ჩავიწეროთ, ჩვენ გამბედაობა არ გვყოფნის სახელმწიფო ენის კანონი

მივიღოთ და ერთხელ და სამუდამოდ გავარკვიოთ მართლმადიდებლური სარწმუნოების ანუ ჩვენი რჯულის ადგილი საქართველოს რელიგიურ სპექტრში. თქვენ კი თავს უფლებას აძლევთ, გამოექომაგოთ იმათ, ვინც ქართული სახელმწიფოებრიობის მშენებლობას უშლის ხელს თავისი სექტანტური „მოღვაწეობით“ თორემ ღმერთი, რჯული, ჩვენ ყველა პროგრესულ აღმსარებლობას პატივსა ვცემთ.

ახლა საპარლამენტო არდადეგები დაიწყება და სექტემბერში ისევ ძველ, ყბადაღებულ პროექტებს შემოგთავაზებთ ისინი, ვისაც ამ ქვეყნად მოვლინების მიზნად თავისი სამშობლოსთვის ზრუნვა გაუხდია.

როდემდე გეყოფათ სინდისი ერის ჩაძირვას მშვიდად უცქიროთ?!

20 ივლისი, 2002 წ. ქობულეთი

ბატონებო,

პარლამენტის ბიუროს გამსვლელი სხდომა ამჯერად ქობულეთში ტარდება, ბიუროს სხდომის ჩატარებას გუდაურში, ბორჯომში და ქობულეთში მოგეხსენებათ მხოლოდ ის მიზეზი არ განაპირობებს, რომ ქვეყნის საკანონმდებლო ხელისუფალთ თოვლზე სრიალი, ზღვის ლურჯ ტალღებში ნებივრობა, ან ლიკანის ბუჟბუჟა წყლის დალევა მოენატრათ. ამ სრულიად ბუნებრივი „ადამიანური სისუსტეების“ დაკმაყოფილებასთან ერთად ჩვენ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ესოდენ მაღალი დონის წარმომადგენლობითი ორგანოს გასვლა ამა თუ იმ რეგიონში, უპირველეს ყოვლისა, იმ მხარისადმი ყურადღების და ინტერესის გამოვლენაა. ვალდებული ვართ, განვიხილოთ თუნდაც ერთი საჭირბოროტო საკითხი იმ რაიონისა, სადაც ბიურო ტარდება და ჩვენი კომპეტენციის ფარგლებში გადავწყვიტოთ იგი. სხვა შემთხვევაში მართლები იქნებიან ის ჭორიკანა ჟურნალისტები დილაადრიან ზღვაში ჩასულებს რომ გვისაფრდებიან, ლამის საბანაო კოსტუმის გამოცვლის დროს რომ გვიღებენ სურათს და მერე თავიანთ უაღრესად საინტერესო გაზეთებში ბეჭდავენ წარწერით: „პარლამენტარი დელფინები ზღვაში დგაფუნებენ და საქვეყნო დარდი ფეხებზე ჰკიდიათ“.

გისმენთ მეორე დღეა და არც ერთ თქვენგანს, არც პარლამენტის სპიკერებს და არც ბიუროს წევრებს, არ წამოგცდენიათ სიტყვები „აჭარა“, „ქობულეთი“ და ა. შ.

არ მინდა ამ გულმავიწყობას გულგრილობა დავარქვა, მაგრამ ჩვენ ხომ ისედაც ზღვის მცირე მონაკვეთი შეგვრჩა. რაც აფხაზეთი

წაგვართვა რუსმა, ივლის-აგვისტოში მთელი საქართველო ბათუმსა და ქობულეთს მოაწყდება ხოლმე და ყველანი კარგად ხედავენ თავიანთი „დამსვენებლური“, ფხიზელი თვალებით, რომ ქობულეთის სანაპირო თითქმის კი არა, მთლიანად დანგრეულია.

ეს ჩვენი სამშობლოა. აჭარას ქონი თავზე არ გადასდის, დამერწმუნეთ. ამიტომაც წინადადება შემომაქვს დაისვას საკითხი აღმასრულებელი ხელისუფლების წინაშე, რათა ქობულეთის ბიუჯეტს დაემატოს თანხა სპეციალურად სანაპირო ზოლის გასამაგრებლად.

26 აგვისტო, 2002 წ.

ბატონებო,

ამდენ დროს ამაოდ ვკარგავთ „განცხადებაზე“. რუსეთს, დამერწმუნეთ, რა მკაცრი და გულისამაჩუყებელი განცხადებითაც უნდა მივმართოთ, არავითარი შედეგის მომტანი არ იქნება. რომ იტყვიან, ცალ ყურში შეუშვებს რუსი და მეორედან გამოუშვებს. უფრო ზუსტად ცალ ყურშიც არ შეუშვებს, რუსეთს საჩვენო ყური კარგახანია დახშული აქვს.

მერამდენეჯერ უნდა დაგვბომბოს მოსკოვმა, რომ მივხვდეთ ბოლოს და ბოლოს, ერთ ჭეშმარიტებას: რუსეთი ჩვენი დაუძინებელი მტერია.

23 აგვისტოს დაბომბვის შემდეგ, ნუთუ ვინმეს კიდევ შერჩა ილუზია იმისა, რომ „თეთრი დათვი“ ჩვენი პერსპექტიული მეგობარია?

ამ ათ წელიწადში აფხაზეთი და სამაჩაბლო წაგვართვა. პანკისიც სწორედ წართმევის მიზნით დაგვიბომბა, გაბოროტებულმა იმით, რომ გავბედეთ და ჩვენს მიწაზე ჯარი შევიყვანეთ, გაზს და ელექტრობას წამდაუწუმ გვითიშავენ, ჩვენს ტერიტორიაზე ორმაგ მოქალაქეობას გვიწესებს, ბაზები არ გააქვს, არც ერთი დამპყრობელი არავის მოქცევია ისე ცინიკურად, როგორც ჩვენ რუსი გვექცევა.

ჩემი წინადადებაა, შევწყვიტოთ „განცხადებაზე“ მსჯელობა და მივიღოთ დადგენილება; რომელშიც პირდაპირ იქნება გამოთქმული გონიერი საქართველოს სურვილი. კერძოდ:

დაუყოვნებლივ გამოვიდეთ სნგ-დან.

გავიდეს აფხაზეთიდან და სამაჩაბლოდან ე. წ. სამშვიდობო ძალები.

ანულირებულ იქნას რუსეთის ბაზები გუდაუთასა და ბათუმში.

დროებით შეჩერდეს ჩარჩო-ხელშეკრულებაზე მუშაობა.

ვისაც რუსეთმა ორმაგი მოქალაქეობა მისცა, გამოცხადდნენ „პერსონა ნონ გრატად“ და როგორც საქართველოში უვიზოდ მცხოვრებთ, წინადადება მიეცეთ გასახლდნენ საქართველოდან.

ეს იქნება ეროვნული და ვაჟკაცური პასუხი რუსეთის ძალმომრეობაზე.

მე ვიცი, ამ დადგენილებას შევარდნაძე არ შეასრულებს, ამიტომაც ლოგიკურად მიმაჩნია ჯ. გოგიტიძის განცხადება-პასუხისმგებლობა უკანასკნელ ათწლეულში საქართველოს თავზე დატეხილი უბედურებისთვის შევარდნაძეს დაეკისროს.

განა შევარდნაძემ არ შემოდო ბუხრის თავზე ჩვენი შარშანდელი დადგენილება „სამშვიდობოების“ გაყვანის შესახებ?

დიახ, არც ამ დადგენილებას შეასრულებს მარიონეტი პრეზიდენტი, მაგრამ ჩვენ, საქართველოს პარლამენტი, ისტორიის წინაშე პირნათელი ვიქნებით.

10 სექტემბერი, 2002 წ.

ბატონებო,

ამ განცხადებით იმიტომ გაწუხებთ, რომ რასაც მოგახსენებთ პირადული სრულიადაც არ გახლავთ. თუ გნებავთ ჩვენი ეპოქის ტიპური შემთხვევაა და ამიტომაც გავბედე თქვენი ყურადღების მოპყრობა.

მოგეხსენებათ ამ ბოლო დროს თითქმის მინავლდა საუბარი ეგრეთ წოდებულ რეფორმებზე ასე ჰაიხაფით რომ დავიწყეთ ამ ხუთიოდე წლის წინათ.

რატომ? იმიტომ, რომ ჩაფლავდა სასამართლოს რეფორმა, ჩაფლავდა სამედიცინო რეფორმა და ჩაფლავდა განათლების რეფორმა.

ეროვნული სკოლა არა გვაქვს, ბატონებო.

თუ ენერგიული დირექტორის მეცადინეობით რამდენიმე სკოლა ჯერ კიდევ ფეთქავს, მხოლოდ კომუნისტური ინერციით. სკოლას არა აქვს ეროვნული სასწავლო პროგრამა, არა აქვს ახალი, დამოუკიდებელი ქვეყნის შესაფერისი სახელმძღვანელოები, სამაგიეროდ გვაქვს სააატესტაციო კომისიები, დამსახურებულ, გმირ მასწავლებლებს გამოცდებს რომ აბარებინებენ ოცი-ოცდახუთი წლის აქტივისტი-ლაწირაკებისთვის მოქალაქეთა კავშირმა რომ გამოჩეკა.

მთელი ამ უბედურების, სკოლის გაჩანაგების სათავეში დგას განათლების მინისტრი ალეკო კარტოზია.

ერთი ეპიზოდს გიამბობთ და თავად განსაჯეთ.

მარტვილში არის უმშვენიერესი სოფელი თამაკონი, თამაკონის საშუალო სკოლას წელს ასი წელი უსრულდება. სოფლის საკრებულოს თავმჯდომარემ თემურ პირტახიამ 20 ივლისს წერილი მომწერა: ვიცით საქართველოს გაჭირვებული მდგომარეობა და იუბილარი სკოლის შეკეთებაზე არავის ვაწუხებთ. სოფელი როგორც შეძლებს, ისე გაარემონტებს შენობასო. ერთს კი გთხოვთ: ამ სამიოდე თვის წინათ განათლების მინისტრს ალექსანდრე კარტოზიას საკრებულოს სახელით ვთხოვეთ, გამონაკლისის წესით, ჩვენი იუბილარი სკოლისთვის პირდაპირ სამინისტროს ფონდიდან 300 მზა მინა ან მინის ღირებულება) გამოეყო, მაგრამ პასუხი არ მიგვიღია. იქნებ, თქვენ, პარლამენტის წევრმა, გვიშუამდგომლოთ მინისტრის წინაშე, შეახსენოთ ჩვენი გასაჭირიო.

მინისტრი ტელეფონს (არც მთავრობის ტელეფონს) სათოფეზეც არ ეკარება. მისი მობილურის ნომერი მხოლოდ მისმა ერთგულმა მოადგილეებმა და საზღვარს იქეთ-აქეთა ოჯახის წევრებმა იციან. მურმან ლებანიძის დაკრძალვაზე მწერალთა კავშირში შევხვდი. მოვუბოდიშე, აქ ამის ადგილი არ არის მაგრამ სხვა დროს ვერ მოგიხელთეთ, ბატონო ალექსანდრე-მეთქი და შევახსენე სკოლის სათხოვარი.

განათლების მინისტრმა ჩვეულებისამებრ ხელმკლავი ჩაიხვია. დუჩესავით ამაყად აღაპყრო თვალნი და თუ მოგისმენიათ ტელევიზორში მისი გამოსვლა (ყოველი სიტყვის შემდეგ სალოგოპედო მოსწავლესავით „ღუ... ღუს“ რომ აყოლებს), სწორედ იმგვარი ინტონაციით მიპასუხა:

რატომ თქვენ არ უგზავნით მინას, თუ მაგ სკოლისთვის გული ასე შეგტკივათო.

მე ვინ მომაქვავა, მინა, თორემ როგორ არ დავეხმარებოდიმეთქი.

აბა, მე ვინ მომაშავა. რა მინა გეგულებათ ჩემთანო.

კი მაგრამ თქვენ ხომ განათლების მინისტრი ხართ-მეთქი.

დიახაც, ვარო.

მერედა, შე კაი კაცო, დაავალე სამეურნეო სამმართველოს 300 მზა მინა ალბათ 1000 ლარი ეღირება. იქნებ გამოძებნოს საშუალება-მეთქი.

იცით, თქვენ რამდენი სკოლაა საქართველოშიო?

საქართველოში ბევრი სკოლაა, მაგრამ 100 წლის სკოლა, რო-

მელიც ოქტომბერში იუბილეს იხდის, შეიძლება სულ ხუთიოდე იყოს-მეთქი.

მე ალექსანდრე კარტოზიას ლექტორი გახლდით. მამისტოლა კაცს მკლავჩახვეულმა ელაპარაკე-მეთქი არ მისწავლებია მისთვის. არ ვიცი, ვისგან ისწავლა. როგორც ჩანს, შეიძლება ჩვენს დროში მინისტრი უზრდელიც იყოს.

კი მაგრამ სამოც მილიონ სესხზე მხარი ხომ დაგიჭირეთ პარლამენტში, სად წაიღეთ ის 60 მილიონი. ნუთუ 300 მეტრი მინის ფული არ გაითვალისწინეთ თამაკონის საშუალო სკოლისთვის-მეთქი.

არაო. არ გაგვითვალისწინებიაო. საერთოდ, იმ 60 მილიონს ნუ ახსენებთ, დაივიწყეთ იქედან ყველა კაპიკი გაწერილიაო.

დიახ, ასე მითხრა – „გაწერილიაო“.

რას ნიშნავს „გაწერილია“, ალბათ, თვითონ იცის.

რა ვქნა ახლა მე, სკოლას რა პასუხი გავცე-მეთქი.

მიწერეთ ფინანსთა მინისტრს და გაითვალისწინოს თამაკონის სკოლის მინა მომავალი წლის ბიუჯეტშიო.

კი მაგრამ, შვილო და ძირო, იუბილე თამაკონის სკოლას წელს უსრულდება და მინის ჩასმა სკოლას სწორედ დაზამთრებამდე სჭირდება. მინა ხომ კომპიუტერი არ არის, ბავშვები უმინოდ დაცივდებიან-მეთქი.

ეგაო, ჩემი პრობლემა არ არისო. და საერთოდ „შვილო“ მეორეჯერ არ მითხრა, მე შენი შვილი არა ვარო.

ჩემი სტუდენტი ხომ იყავი, ხომ არაფერი მეშლება-მეთქი.

კიო, მერე რა გინდათო.

რა უნდა მინდოდეს, როდიდან გახდა „შვილო“, სალანძღავი სიტყვა-მეთქი, მით უმეტეს მამისტოლა კაცისგან-მეთქი.

ისევ მუსოლინის პოზა და ქვედა ტუჩის გადმოტრიალებით განზე გახედვა.

სკოლას პასუხი რატომ არ აცნობე, ნუთუ არ იყო პასუხის ღირსი ასი წლის სკოლა-მეთქი.

რა ვალდებული ვარ ყველა სკოლას პასუხი ვწეროო.

„პასუხი ვწეროო“?

კი მაგრამ, შენ ხომ განათლების მინისტრი ხარ. ხომ არ მეშლება-მეთქი.

„დიახ, გახლავარ, რა გნებავს შენაო“ – კაკო ყაჩაღის ფრაზით მიპასუხა, სკოლის დრამწრის უნიჭო ნევრის გულისამრევი, ყალბი, ხელოვნური ინტონაციით.

უზრდელების მეტი რა მინახავს, მაგრამ ასეთ უტიფარს და თავხედს ჩემს სიცოცხლეში არ შევხვედრივარ, ბატონებო.

ამ საუბარს თავიდან ბოლომდე ესწრებოდა სახელმწიფო კანცელარიის ტელეოპერატორი ბატონი მალხაზ ზაუტაშვილი.

ვაი, უბედურო საქართველოვ, ვაი, საცოდავო განათლების სისტემავ, ასეთი მინისტრის ხელში.

აი, როგორი მინისტრი გყავს შენ პრეზიდენტო, კადრების შერჩევის გენიოსო და შეუმცდარო პოლიტიკოსო!

13 სექტემბერი, 2002 წ.

ბატონებო,

მინდა გითხრათ, რომ აფხაზეთში ჩვენი დამარცხების მიზეზი იმდენად ჩვენი ჯარის არასაკმარისი სამხედრო მომზადება და სამხედრო შენაერთების მოხალისეთაგან დაკომპლექტება როდი იყო, რამდენადაც უსახსრობა.

ომს რომ დიდი სტომაქი აქვს, ჩემი ნათქვამი არ გახლავთ.

დიახ, მშიერი ჯარისკაცი არ იომებს.

გავგზავნეთ ჯარი აფხაზეთში და უკან არ მივაყოლეთ ყველაზე აუცილებელი „იარაღი“ – სამზარეულო.

უსაკვებოდ დარჩენილი ჯარისკაცები ცალი თვალით რომ შაშხანის სამიზნეს ჩასცქეროდნენ, მეორე თვალით ახლომახლო ყანებს „ზვერავდნენ“, სადმე ჭყინტი სიმინდი, ან რაც უფრო უკეთესია – გოჭი ან ქათამი ხომ არ ჩანსო.

ახლაც იგივე შეცდომას ვუშვებთ. თავდაცვის მინისტრმა მითხრა, ორი ათასი ჯარისკაცი შევიყვანეთ პანკისში და დღედღეზე საკვები გვითავდება, თუ პროდუქტი დროზე არ მივაშველეთ, მერე ნახეთ „კონფლიქტი“ ჯარსა და მოსახლეობას შორისო.

მართალიცაა, როცა ჯარისკაცი ძროხას გამოეკიდები დასაკლავად, შენ მშვიდობისმყოფელ-დამცველიდან უცებ იქცევი მტაცებელ-აგრესორად.

ჩვენ წინაშე დგას ახალგაზრდა ფინანსთა მინისტრი, რომელმაც ჩაიხედა სახელმწიფოს ჯიბეში და რაღაც ორი კაპიკი გამოჩხრიკა ჯარისთვის.

გისმენთ და გაოცებული ვარ. სამი საათია ვკამათობთ; ვაჭამოთ თუ არა ჯარისკაცს საერთოდ, გამოდიხართ და ყველანი თქვენს უწყებებს იცავთ. „იმას არ ჩამოაჭრათ თანხა და ვისაც გინდათ ჩამოაჭერითო“. შეიძლება ასე ლაპარაკი?!

საიდან მოიტანოს, აბა, გოგიაშვილმა ფული. იმ ანეკდოტისა არ იყოს „ტუმბოჩკიდან“?

არ არსებობს დღეს საქართველოში ისეთი მაგიური უჯრა, სადაც ხელს ჩაყოფ და ჯარისთვის ფულს ამოიღებ. ისევ სახელმწიფო დაწესებულებებს უნდა ჩამოვაკლოთ თორემ ჩვენი მილიონერი „ძმები“ მდიდარ ფირმათა პრეზიდენტები უჯრაში ხელს არ ჩაგვაყოფინებენ და კაპიკს არ გაიღებენ ისეთი „არაუკუგებიანი“ საქმისთვის, როგორიცაა ჯარის შენახვა.

8 ნოემბერი, 2002 წ.

ბატონებო,

მცირე ერთა გაქრობის, ნაციონალური კულტურების წაშლის ეროვნული გადაგვარების მასონური იდეა დედამიწის ზურგზე არსად არ ჰყვავის ისე, როგორც ჩვენთან, საქართველოში.

ეროვნება ხომ გააუქმეს და ამით ძირითად, მკვიდრ, სახელმწიფოს შემქმნელ-დამფუძნებელ ერებსა და სტუმარ ერებს შორის ავტოქტონურობის ზღვარი (თორემ სხვა მხრივ სტუმრები ისედაც თავზე გვასხედან) ხომ წაშალეს, ახლა ჩვენი ეროვნულობის უკანასკნელი თავშესაფარი – ქართული ენა გაიხადეს სამიზნედ.

ხელისუფლება თითს თითზე არ აკარებს, რათა საქართველოს მთელს ტერიტორიაზე ქართული სახელმწიფო ენად ითვლებოდეს. არაქართველებით დასახლებულ ტერიტორიებზე ადგილობრივი ეთნიკური ჯგუფების ენა ფაქტიურად სახელმწიფო ენაა. ხოლო ცენტრთან ურთიერთობას ჩვენი სტუმარი ერები ჯერჯერობით „პატივს გვცემენ“ და რუსულ ენაზე ამყარებენ.

არც ერთი განცხადება არ შედის სახელმწიფო კანცელარიაში, პარლამენტში და სამინისტროში ახალქალაქიდან, მარნეულიდან და წალკიდან ქართულ ენაზე. სახელმწიფო ენის იგნორირებას საქართველოს არაქართველი მოქალაქენი ქართულის უცოდინარობით ხსნიან. და ეს მაშინ, როცა ნორმალურ ქვეყნებში მარტო ევროპა – ამერიკაში კი არა, აგერ მეზობელ სომხეთსა და აზერბაიჯანში არც ერთი უწყება არ მიიღებს განცხადებას (თხოვნას, მიმართვას, საჩივარს, ხელწერილს...) დაწერილს არასახელმწიფო ენაზე.

ჩვენ რა ღმერთი გვიწყრება. როდემდე უნდა დავუგოთ ფეხქვეშ საქართველო ჩვენს ქვეყანაში შემოხეტებულ და აქ ჯიუტად, სამუდამოდ დასახლებულ სტუმრებს?

პოლიტიკოსნი ფილოსოფოსობენ, რა დაარქვან ჩვენს მიწაზე გარემოებათა გამო დევნილ ქართველებსა და არაქართველებს („ლტოლვილები“, „ადგილმონაცვლენი“, „იძულებით გადაადგილებულები“ და ა. შ.), მაგრამ აბა გაბედეთ და „ლტოლვილი“ უწოდეთ თურქეთში სომეხთა ჟლეტის დროს (1915 წ.) საქართველოში თავშეფარებულ სომხებს (ჩვენი უნაპირო სტუმართმოყვარეობით ყველა ჭიშკარი რომ ფართოდ გავუღეთ და გულში ჩავიხუტეთ, ხოლო პატივისცემა აფხაზეთში ქართველთმჟლეტი „ბაგრამიანის ბატალიონით“ გადაგვიხადეს), ან სომხეთ-აზერბაიჯანის ომის დროს ყარაბაღიდან მარნეულში ჩამოსულ აზერბაიჯანელებს? ჩვენაო, ამ მიწაზე ძირძველი „აბორიგენი“ ერი ვართო, ურცხვად აცხადებენ და უბედურება ის არის, რომ ჩვენი პრეზიდენტიც უდასტურებს მათ აბორიგენობას.

იქნებ სამომავლოდ კეთდება რამე, რომ საქართველოში არაქართველებმა ქართული ისწავლონ და სახელმწიფო ენად გაითავისონ? არა და არა. არაქართულ სკოლებში ქართულს არასავალდებულო, თავსმოხვეულ, ფორმალურად ჩასატარებელ გაკვეთილად თვლიან და ძირითადად ადგილობრივი მცხოვრებნი, ქართულის უცოდინარი ფიზკულტურის და შრომის მასწავლებლები ითავსებენ საშტატო განაკვეთის შესავსებად. თუ ახალგაზრდა ენთუზიასტი გაწირავს თავს და მარნეულ-ახალქალაქში ქართულის მასწავლებლად ჩავა, ისეთ პირობებს უქმნიან (უბინაობა, მცირე ხელფასი და ისიც დიდი დაგვიანებით...) რომ სამიოდე თვის შემდეგ „ქართულის სპეციალისტი“ იქედან კისრისტეხით გამორბოდეს.

ნეტავ, სად მიდის, რას ხმარდება სახელმწიფო ბიუჯეტში სახელმწიფო ენის პროგრამის განსახორციელებლად გამოყოფილი თანხა? რატომ არ ანაღვლებს განათლების მინისტრს ქართული ენის ბედი საერთოდ და განსაკუთრებით არაქართველებისთვის სახელმწიფო ენის სწავლების პრობლემა?

18 ნოემბერი, 2002 წ.

ბატონებო,

თავს ვალდებულად ვთვლი მთელი საქართველოს გასაგონად გავაკეთო ერთი განცხადება:

ქვეყანა მღელვარე პოლიტიკური ცხოვრებით ცხოვრობს და ხალხის განწყობილება, სრულიად ბუნებრივია, რომ პარლამენტშიც იჩენს თავს.

ფიზიკური ანგარიშსწორება კამათის დამხმარე ძალად რომ იქცა ამ ბოლო დროს, რა თქმა უნდა, გულისამრევია, მაგრამ ეს ჯერ კიდევ არ იძლევა იმ დასკვნის საფუძველს, რომ ჩვენი პარლამენტი უვარგისია და უსათუოდ უნდა დათხოვნილ იქნას.

ნუ წამოვკრავთ ხელს ასე იოლად ხალხის მიერ არჩეულ საკანონმდებლო ორგანოს. არც უადგილო თვითგვემა ვარგა და საერთოდ, ნაბან წყალს ბავშვს ნუ გადავაყოლებთ. პარლამენტი, რომელმაც მიიღო ერისთვის ერთადერთი საჭირო კანონი (თუნდაც ერთს გაგახსენებთ: 20 აპრილის დადგენილება ეროვნული ხელისუფლების ძალით დამხობის შესახებ) უვარგისი პარლამენტი არ გახლავთ. რამდენმა უსამართლოდ ციხეში მჯდომმა პოლიტპატიმარმა მიიღო თავისუფლება და დატოვა ციხის საკანი 20 აპრილის კანონის წყალობით.

ყოველ მოქმედებას ორი მხარე აქვს. აქ რომ ბრძანებთ, საკრებულოს წევრებმა და მისმა მომხრეებმა თითქმის ძალით დაიკავეს მერიის შენობაო, იმაზე რატომ არაფერს ამბობთ, ცსკო-მ ხუთი თვით რომ დააგვიანა საკრებულოს ცნობა, ე. ი. ხუთი თვით გადაავადა თბილისის დემოკრატიული მართვა?

ჩაატარა პირველი სხდომები საკრებულომ; რა გააკეთა ცუდი, მითხარით ერთი; ქალაქის მთავრობა დაითხოვა, დააყენა საკითხი მიწისძვრით დაზარალებულთა დახმარების, უკანონო მშენებლობების შეჩერების, უფასო სასწრაფო სამედიცინო დახმარების შემოღების შესახებ. ცდილობს შუქი და გაზმომარაგება გამოგლიჯოს მაფიებს და ოლიგარქებს – განა ეს ასე ზედმეტი და საშიშია?

თქვე კაი ხალხო, საკრებულო ქალაქის მერიაში კი არ შეიჭრა, თავისი ადგილი დაიკავა, შეჭრა ის იყო ინტელიგენციის სახელოვანი წარმომადგენლები რომ შეიჭრნენ საკრებულოს სხდომაზე. საკრებულო ქალაქის პარლამენტია, რას იტყოდით აქ, პარლამენტის სხდომაზე რომ შემოჭრილიყვნენ თუნდაც ათასგზის ლაურეატები და ჭკუის სწავლება დაეწყოთ ჩვენთვის?

ნუ წაუჭერთ, ბატონებო, ყელში ხელს ახალარჩეულ საკრებულოს.

6 დეკემბერი, 2002 წ.

ქალბატონო პარლამენტის თავმჯდომარევ
პატივცემულო კოლეგებო!

გუშინ ღამის თერთმეტ საათზე დამთავრდა პარლამენტის სხდომა. ვინც ესწრებოდა, ემახსოვრება, რომ ბესიკ ლაგვილავამ და მე

წარმოვადგინეთ კანონპროექტი „სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის შესახებ“.

პლენარულმა სხდომამ კარგა ხანს იმსჯელა, აზრი გამოთქვეს ნოდარ გრიგალაშვილმა, რევაზ ყიფიანმა, კობა ამირხანაშვილმა, გივი შუღაროვმა, ჯემალ გამახარიამ, მემედ ბაგიროვმა, ჯემალ გოგიტიძემ, გენო კალანდიამ და სხვებმა.

ყველამ მხარი დაუჭირა კანონპროექტის იმ მთავარ დებულებას, რომლის ძალითაც საქართველოს ყველა მოქალაქეს დაბადებისა და პირადობის მოწმობებში უნდა ჩაეწეროს „ეროვნება (მოქალაქეობა) ქართველი“. ეს გახლავთ გაეროს და ევროპარლამენტის მიერ მიღებული მოდელი.

ხელისუფლებაში მხოლოდ ორად-ორი კაცი – ედუარდ შევარდნაძე და გურამ შარაძეა ამ მოდელის კატეგორიული წინააღმდეგი.

დღეს ეს უკვე განხილულ-აპრობირებული კანონპროექტი კენჭისყრაზე უნდა დასმულიყო, მაგრამ დახეთ საოცრებას – პარლამენტის თავმჯდომარე აცხადებს, რომ კანონპროექტის განხილვა უნდა გაგრძელდეს.

„გაგრძელება“ გამოცდილებით ვიცი კიდევ გაგრძელდება 3 წელიწადს. ერთი სიტყვით ან „ვირი ან ვირის პატრონის“ ანდაზა მოქმედებს.

ვკითხულობ, ვისა აქვს უფლება განხილული კანონპროექტი უკან დააბრუნოს? ვეჭვობ, ეს უფლება მხოლოდ პრეზიდენტს აქვს და მან თავისი „უფლება“ უკვე გამოიყენა. დაურეკა ნინო ბურჯანაძეს და ისტორიის ბორბლის უკუღმა დატრიალების დავალება მისცა.

რა ხდება, ბატონებო?

18 დეკემბერი, 2002 წ.

ბატონებო,

უკვე მესამეჯერ გვიწევს ამ ორ კვირაში ჩემ მიერ შემოტანილ კანონპროექტზე მსჯელობა.

რას მივაწერო ზოგიერთი პარლამენტარის ჩემთვის სრულიად აუხსნელი „თეორია“ რაც „დოს რომ მარილი აკლია“ იმ შარის მოდებას უფრო ჰგავს; აქაოდა, ჯერ კონსენსუსი მიღწეული არ არისო.

რომელ „კონსესუსზეა“ (ეს სიტყვა ძალიან გიყვართ, არა და იგი სხვა არაფერია, თუ არა „შეთანხმება“) ლაპარაკი, ბატონებო?!

მეათასეჯერ გიმეორებთ, პლენარულ სხდომაზე ჯერ არ გამოსულა კანონპროექტი, რომლის შესახებაც ყველა ერთი აზრისა ყოფილიყო.

ვიმსჯელოთ, ვიკამათოთ და როგორც ქვეყნისთვის უმჯობესია ისე გავასწოროთ და დავამტკიცოთ.

„გადადებას“ რაც შეეხება, ეს საქართველოს მტრების ამოჩემებული ფრაზაა. ოთხი წელია გადადების მსხვერპლი ხდება ჩვენი ეროვნული სახელმწიფოსთვის ჰაერივით აუცილებელი ეს კანონი. ოთხი წელია ჩვენს შვილებს და შვილიშვილებს საბუთებში ეროვნება „ქართველს“ არ უწერენ, ოთხი წელია საქართველო უეროვნებო სახელმწიფოა, ოთხი წელია იურიდიულად ვეღარ ვამტკიცებთ, რომ საქართველოს სახელმწიფოს შემქმნელი, ძირითადი, მკვიდრი ანუ ავტოქტონური ერი ჩვენ ვართ – ქართველები!

მხოლოდ პრეზიდენტს და მის მომხრე თითო-ოროლა ტვინგაყინულ ინტერნაციონალისტს სურს საქართველოში ეროვნება „ქართველის“ ხსენება მოისპოს. თქვენ როგორ ფიქრობთ, შევარდნაძეს სურდეს „ქართველი“ აღდგეს დაბადების და პირადობის მოწმობაში და ოთხი წლის განმავლობაში ვერ აღწევს ამას პარლამენტისგან დაჩაგრული შევარდნაძე?

არ დაიჯეროთ. მე თვით არაერთგზის ვარ მოწმე როგორ უშლის იგი ხელს ეროვნული რეკვიზიტის კანონის მიღებას, კაბინეტში შესულს გულმხურვალე მამულიშვილივით გელაპარაკება. როგორ შეიძლება ეროვნების გაუქმებაო, წადი და გადაეცი პარლამენტის ხელმძღვანელობას, რომ კანონპროექტი ჩემთან შეთანხმებულიაო. კაბინეტიდან რომ გამოხვალ, პარლამენტის სპიკერს ურეკავს; მე და მიშველაძე არაფერში შევთანხმებულვართ და არ შეიტანოთ ეს „სახლაფორთო“ კანონპროექტი გეგმაშიო.

არა და აქ საკამათოც კი არაფერია. ევროპული ქვეყანა ვართო, რომ გავყვირით; მთელს ევროპაშიც და მთელს მსოფლიოშიც ყოველ მოქალაქეს პასპორტშიც რომ აღარაფერი ვთქვათ, პირადობის და დაბადების მოწმობაზე, უწერია ეროვნება; ხაზგასმით ვამბობ, წესიერ სახელმწიფოში ყველას ერთი ეროვნება ანუ ერთი „ნაციონალობა“ უწერია – ეს არის ავტოქტონური ერის ეროვნება.

ნუთუ ვერაფრით გაგაგებინეთ, რომ ყველა ეთნოსისთვის ცალცალკე ეროვნების ჩაწერა ფაქტიურად სახელმწიფოს იმპერიად გამოცხადებას და ადრე თუ გვიან მის დასაშლელად გაწირვას ნიშნავს?

მთელი მსოფლიო ეროვნულ სახელმწიფოებს აშენებს. შარშან ბჟეჟინსკიმ უნივერსიტეტში ყოფნისას პირდაპირ გვითხრა – ამერიკა ეროვნული სახელმწიფოა. ამერიკაში მხოლოდ ერთადერთი ერი – ამერიკელი ერი ცხოვრობს და ჩვენ ვამაყობთ ამითო.

მაინცდამაინც ჩვენ გამოვაცხადოთ საქართველო იმპერიად თავისი ჭრელა-ჭრელა ეთნიკური შემადგენლობით?

როგორ ფიქრობთ, ნაცუმცირესობათა დოკუმენტალური აღიარება რომ სახელმწიფოსთვის მომგებიანი იყოს, თქვენ მოასწრებდით საფრანგეთს, ინგლისს, გერმანიას ან ამერიკას ამის გაკეთებას?

მაინცდამაინც ამ ტრიბუნიდან გითხრათ სავალალო სტატისტიკა? ამჯერად საქართველოში ვცხოვრობთ 51 პროცენტი ქართველი. გამრავლების ამ ტემპით თუ ვიმსჯელებთ 100 წელიწადში ქართველები 23 პროცენტი ვიქნებით.

იცით ეს რას ნიშნავს?

არკვიეთ მერე, ვინ არის ნაცუმცირესობა თავისსავე სახელმწიფოში. იძახეთ მერე ჩვენ ქართველები უძველესი კულტურის ერი ვართო.

საფრანგეთში ეთნიკური ფრანგი დღეს 32 პროცენტია. ე. ი. ეს კატასტროფა ფრანგს ჩვენზე ადრე დაუდგა, მაგრამ საფრანგეთმა მიიღო სწორედ ეს კანონი, ახლა რომ თქვენს მაგიდაზე დევს და თავი ქუდში აქვს. საფრანგეთში ცხოვრობს მხოლოდ ფრანგული ეროვნების მოქალაქე. ასე მოიქცა მთელი მსოფლიო და ჩვენ რა ღმერთი გვიწყრება?

რატომ ვერ შევიცანით ბოლომდე ისინი, ვისაც დავით აღმაშენებლის და ილია ჭავჭავაძის – როგორც ქართველი ერის მამების ხსენებაზე გული ერევა?

ევროპა ევროპაა, იქნებ ჩვენი მეზობელი აზერბაიჯანი უწერს ყველას საბუთებში თავთავის ეროვნება-წარმომავლობას? ოცი ათასი ინგილო ქართველი ცხოვრობს აზერბაიჯანში და ყველას პასპორტში ეროვნება „აზერბაიჯანელი“ უწერია. აზერბაიჯანმა უფრო შორს გაიწია, გვარებიც კი გადაუკეთა საინგილოში მცხოვრებ ქართველებს.

სწორედ გაიგოს ყველამ, ვინც ახლა ტელევიზიით მისმენს, ჩვენ აზრადაც არ მოგვივა ათასი წელი, რომ ვინმეს ეროვნება შევუცვალოთ და, უნდა თუ არა, გავაქართველოთ. ღმერთმა დაგვიფაროს. ყველა ეროვნებას თავის გზაზე გაუმარჯოს, მაგრამ ჩვენ რაკიღა დღეს დამოუკიდებელი სახელმწიფო ვართ, დამოუკიდებელი სახელმწიფოს იმ კანონებით უნდა ვიცხოვროთ, რასაც გაერო და ევროპარლამენტი გვთავაზობს. კერძოდ: სეპარატიზმის საფრთხე რომ აღმოიფხვრას, საბუთებში ყველას უნდა ჩავუწეროთ, რომ საქართველოს ყველა თანასწორუფლებიანი მოქალაქის ეროვნება-მოქალაქეობა არის „ქართული“.

დამერწმუნეთ ჩვენ რომ ოთხმოცი წლის წინათ ასე მოვქცეულიყავით – საქართველოს პოლიტიკურ სხეულზე ამდენი პატარ-პატარა „სახელმწიფოები“ არ გაჩნდებოდა და არც აფხაზეთ-სამაჩაბლოს დავკარგავდით.

გაიკითხ-გამოიკითხეთ როგორ ეპყრობა ამერიკის ან ინგლისის ხელისუფლება იმათ (და ჩვენგან განსხვავებით „ისინი“ ხშირად აბორიგენული ტომებია) ვინც ერთიანი, მონოლითური სახელმწიფოების ტერიტორიულ დაქუცმაცებას, ახალი ავტონომიების გამოჭრა-გამოცხობას მოინდომებს.

ამ დარბაზში ზის კაცი, რომელთანაც ერთად მე ჩემი საზოგადო საქმიანობის თითქმის 40 წელი გავატარე. იგი ჩემი მეგობარი და თანაკურსელია. გურამ შარაძის შემართებას, მის ბრძოლას ქართული ეროვნულ ცნობიერების დასაცავად მე მხარს ვუჭერ და ჩემს ღვიძლ საქმედაც მივიჩნევ, მაგრამ მხოლოდ ამ ერთადერთ საკითხში სცილდებოდა ჩვენი თვალსაზრისი ერთმანეთს – ბატონი გურამი იმ აზრისა გახლდათ, რომ ყველა თავისი ეროვნებით უნდა წარმოდგენილიყო დაბადების და პირადობის მოწმობაში, წარსულ დროში იმიტომ ვლაპარაკობ, რომ მე და გურამმა ბევრი ვიკამათეთ და ბოლოს თითქმის შევთანხმდით, მცირეოდენი განსხვავებით. მე ვამბობ, რომ ყველას ჩაეწეროს „ეროვნება (მოქალაქეობა) – ქართული“, გურამის აზრით კი ყველას უნდა ჩაეწეროს „ეროვნება (მოქალაქეობა) ქართველი“. ამ ორ ფორმულირებას შორის დიდი განსხვავება არ არის, გაიხსენეთ ვაჟა – „მე არც ერთ კილოს არ ვწუნობ, თუა ქართულის გვარისა“.

ვამთავრებ, ბატონებო.

გთხოვთ, მხარი დაუჭიროთ ჩემ მიერ წარმოდგენილ კანონპროექტს. ამით ჩვენ საახალწლოდ ქართველი ერის აღდგენას, მის კანონიერ უფლებებში დაბრუნებას დავუჭერთ მხარს. ამით ჩვენ საქართველოს სახელმწიფოს, ქართული სახელმწიფოს საბოლოოდ გადარჩენას დავაკანონებთ და ყველაზე სასიხარულო საჩუქარს მივართმევთ ჩვენს დამშეულ, გაღატაკებულ, მაგრამ იმედით სავსე ქვეყანას.

21 იანვარი, 2003 წ.

ბატონებო,

დღის წესრიგში შეტანილია აფხაზეთის საკითხი. ეს მრავალტანჯული საკითხი შეტანილია როგორც საინფორმაციო მოსმენა აფხაზეთში არსებული მდგომარეობისა. ვერ გავიგე, ინფორმაციას

მოვისმენთ და ამით დამთავრდება ყველაფერი? რა ინფორმაცია გვინდა, ბატონებო, ისედაც ყველამ ყველაფერი იცის: რუსეთმა აფხაზეთის ანექსია იმით დააბოლოვა, რომ გასცა აფხაზეთში რუსეთის პასპორტები, ე. ი. აფსუები თავის მოქალაქეებად განამწესა და ჩვენდაუკითხავად გახსნა სარკინიგზო მიმოსვლა სოჭსა და სოხუმს შორის:

აქ გამოვიდა საგარეო საქმეთა მინისტრი ბატონი ირაკლი მენაღარიშვილი და, როგორც იქნა, აღიარა – რუსები აფხაზეთს გვართმევენ და რუსის ჯარი უკვე ჩამოყალიბდა საოკუპაციო ჯარადო. კეთილი და პატიოსანი, თუ („თუ“ კი არა, ნამდვილად) რუსის ჯარი დამპყრობლის საოკუპაციო ჯარია, ნიშნავს თუ არა სახელმწიფოს ღალატს პრეზიდენტის მხრიდან საოკუპაციო ჯარისთვის კიდევ ერთხელ მანდატის გაგრძელება?

ქალბატონი ნინო, დღეს აქ აფხაზეთის საკითხის განხილვას უნდა მოჰყვეს უმკაცრესი და უკატეგორიულესი გადაწყვეტილება. საკმარისია თავის მოტყუება. კიდევ ერთხელ დროის გაწელვის ტაქტიკას ხალხი არ გვაპატიებს.

კიდევ რამდენი წელია საჭირო იმაში დასარწმუნებლად, რომ აფხაზეთის დასაბრუნებლად ჩვენ არასწორი გზით მივდივართ.

გაერო 31 იანვარს, ჩვენი დაჟინებული თხოვნით, კიდევ ერთხელ დაგვმოძღვრავს: აფხაზები და ქართველები მოლაპარაკების მაგიდას მიუჯექით. ვისთან მივუჯდეთ მოლაპარაკების მაგიდას აშბასთან და არძინბასთან? ვინ არიან ისინი, თვითმარქვია „რესპუბლიკის“ ატამანებთან რა საქმე გვაქვს?! ისინი ხომ რუსეთის ფრთებქვეშ შეფარებული გნომები არიან – საკუთარი მოაზროვნე თავი რომ არ ადგათ მხრებზე.

ჩვენ რუსეთთან გვაქვს საქმე. რუსმა წაგვართვა აფხაზეთი და სამაჩაბლო და სწორედ რომ რუსეთზე უნდა ვიმოქმედოთ საერთაშორისო სამართლებრივი ინსტიტუტების საშუალებით.

ორი გზა არსებობს აფხაზეთის და სამაჩაბლოს დაბრუნებისა სადღეისოდ. პირველი: ფართოდ გაშლილი, ხელისუფლების მიერ ფარულად თუ აშკარად მხარდაჭერილი პარტიზანული მოძრაობა და მეორე „გაეროს“ VI პუნქტის ნაცვლად VII პუნქტის ამოქმედება, რომელიც მშვიდობის შეიარაღებულ ძალის საშუალებით დამყარებას გულისხმობს თუ რუსის საოკუპაციო ჯარის ნაცვლად გაეროს საერთაშორისო ძალები შევლენ აფხაზეთსა და სამაჩაბლოში, იქ ერთი თოფიც არ გავარდება.

28 იანვარი, 2003 წ.

ქალბატონო ნინო,

თქვენმა დელეგაციამ რუსეთში ქართველი ხალხის სათქმელი თქვა. ამისათვის დიდი მადლობა. მაგრამ ვიზიტი რომ წარმატებულად ჩაითვალოს, იგი, უპირველეს ყოვლისა, შედეგიანი უნდა იყოს დეკლარაციული განცხადება იმის შესახებ, რომ მოსკოვში მიაღწიეთ დასახულ მიზანს, ვერაფერი ნუგეშია ახლა კანცელარიის წინ მჯდომი ლტოლვილებისთვის. ეს ხელისუფლება ათი წელია ატყუებს ხალხს აფხაზეთში დაგაბრუნებთო, მე არ მინდა ეს ვიზიტიც მორიგი სატყუარა იყოს იმ სატყუარათა შორის ამ ათი წლის მანძილზე, რომ არაერთგან ჩასჩარა პირში ხელისუფლებამ გაუბედურებულ ლტოლვილებს.

ქალბატონო ნინო, თქვენი დელეგაციის ვიზიტის ფორმა რუსეთის მხარესთან მხოლოდ ინფორმაციულ-განმანათლებლურ ხასიათს ატარებდა. რატომ არ მოგვიდათ აზრად ამ შეხვედრების დასასრულს რუსეთის დუმის თუ სათათბიროს თავმჯდომარესთან ერთად ხელი მოგეწერათ რაიმე დოკუმენტზე; გნებავთ კომუნიკეზე, გნებავთ საერთო განცხადებაზე, რომელშიც ჩამოთვლილი იქნებოდა ის პუნქტები, რაზეც შეთანხმდით. აი, რატომ მეჩვენება, რომ თქვენ გაგაცურათ (რბილად რომ ვთქვა) რუსეთის მხარემ. პასპორტიზაცია აფხაზეთისა მხოლოდ ორი კვირით შეჩერდა, მატარებელი კი ისევ დადის. მაშ, რა წარმატებას მიაღწიეთ, ბატონო დელეგაციის წევრებო? ვიზიტი როცა მისი შედეგები ოქმით არ ფორმდება, მხოლოდ ექსკურსიაა და სხვა არაფერი.

საექსკურსიოდ გვცალია, ქალბატონო ნინო, მაშინ, როცა რუსის ჯარი ფაქტიურად სასაზღვრო ჯარია საქართველოს მიწაზე და რუსი ოკუპანტები, რაც დრო გადის, უფრო და უფრო მტკიცედ იკიდებენ ფეხს ქართულ მიწაზე?

მე კარგად ვიცი, რომ დღეს შევარდნაძე კიევში გაფრინდა მტკიცე გადაწყვეტილებით: ხელი მოუწერონ რუსებს, რათა ექვსი თვით კიდევ გაუგრძელდეს „სამშვიდობო ჯარს“ მანდატი. ამისთვის სახელმწიფო კანცელარიამ უკვე მოამზადა ნიადაგი. გაეროს გენერალურ მდივანსა და, მგონი, ბუშსაც კი ათქმევინეს შევარდნაძისთვის, რუსი სამშვიდობოების გარეშე საქართველო დაიღუპებაო.

ჩამოვა კიევიდან ჩვენი ბრძენი პრეზიდენტი და იტყვის; ამერიკამ დამაძალა, თორემ არ მინდოდა ვადის გაგრძელებაზე ხელის მოწერაო.

29 იანვარი, 2003 წ.

ბატონებო,

2003 წლის ბიუჯეტი, ბატონო ფინანსთა მინისტრო, პირველი მოსმენის შემდეგ საგრძნობლად გაგიუმჯობესებიათ. ახლა თქვენ დგახართ ტრიბუნასთან, რომ მოისმინოთ ჩვენი შენიშვნები, რათა უფრო სრულქმნათ ჩვენი ისედაც მწირი ბიუჯეტი.

ოთხი საკითხი უნდა დავაყენო პარლამენტის წინაშე და იქნებ გულდასმით ჩაინიშნოთ, ბატონო მირიან, რადგანაც პრობლემები, რასაც შევეხები, ვფიქრობ საქვეყნო მნიშვნელობისაა.

პირველი: გამაოცა სარკინიგზო ტარიფების სრულიად მოულოდნელმა გაზრდამ. გითხრათ სიმართლე, სარკინიგზო, დეპარტამენტისგან ამას არ ველოდი, იქნებ კიდევ ერთხელ გადახედოს ბატონმა აკაკი ჩხეიძემ თავის გადაწყვეტილებას. რკინიგზის ბილეთების ზრდა უმძიმეს ტვირთად დააწვება ჩვენს ისედაც გაძვალტყავებულ მოსახლეობას. იქნებ ბიუჯეტში გავითვალისწინოთ ცოტაოდენი თანხა და სახელმწიფომ გადაიხადოს ბილეთის ფასის დანამატი, თუკი აკაკი ჩხაიძეს ასე უჭირს.

მეორე: პრეზიდენტმა შევარდნაძემ აფხაზეთის საქმეთა რწმუნებულად დანიშნა ასლან აბაშიძე. ბიუჯეტში სხვა რწმუნებულთა დაფინანსება სრულადაა წარმოდგენილი. ასლან აბაშიძეს კი, როგორც რწმუნებულს, ერთი თეთრი არ აქვს გამოყოფილი. რატომ მოხდა ასე? იქნებ ფიქრობენ მავანნი, ასლანს აქვს საკუთარი ჯიბის ფული და იმ ფულით იაროს მოსკოვში, სტრასბურგში და ნიუ-იორკშიო? შეიძლება ასე მსჯელობა?

მესამე: შარშან ივლისში პარლამენტმა ჩაატარა გასვლითი ბიურო ქობულეთში. იქ მე დავაყენე საკითხი გამოგვეძებნა სახსრები ქობულეთის ზღვის სანაპიროს გასამაგრებლად. ქ-ნმა ნინომ განაცხადა, ბიუჯეტის დამტკიცების დროს გავითვალისწინოთო, შემოვიდა ბიუჯეტი: ირკვევა, რომ ქობულეთი, როგორც მოსალოდნელი იყო, დაავიწყდა. კატეგორიულად ვსვამ საკითხს, გაეზარდოს ქობულეთს დაფინანსება. სავალალო დღეშია ქობულეთის ისტორიული სანაპირო. ზღვის ღელვას ერთი-მეორის მიყოლებით მიაქვს უძველესი ფიჭვის ხეები. ზღვა შენობებსაც დანგრევით ემუქრება. მთელი საქართველო ზაფხულობით ქობულეთში ჩადის დასასვენებლად. გთხოვთ, ბატონო მინისტრო, გაითვალისწინოთ ბიუჯეტში სანაპიროს გამაგრების ხარჯები, სანამ გვიან არ არის. ეს მით უფრო საჭიროა, რომ მერე მორალური უფლება გვექნება მოვთხოვოთ

აჭარას ცენტრალურ რეგიონში თანხის გადარიცხვა; ამას თქვენი და ბ-ნი ავთანდილ ჯორბენაძის გასაგონად ვამბობ.

მეოთხე: საქართველოში 5000-ზე მეტი ხელოვანი, ანუ შემოქმედებითი მუშაკია. არსებობს მწერალთა, მხატვართა, კომპოზიტორთა, თეატრის მოღვაწეთა, კინემატოგრაფთა, დიზაინერთა... შემოქმედებით კავშირები. ვფიქრობ, ყველა შემოქმედებითი კავშირი უნდა ფინანსდებოდეს ისევე, როგორც მწერალთა კავშირი ფინანსდება.

25 თებერვალი, 2003 წ.

ბატონებო,

პარლამენტის თავმჯდომარეს, ჩანს, მისდაუნებურად მხედველობიდან გამორჩა, რომ 1921 წლის 25 თებერვალს საქართველოს უბედური დღე გაუთენდა. XI არმიად წოდებულმა რუსის ჯარმა დაიპყრო საქართველო. ეს ანექსია ქვეყანას წითელი რუსეთის კირთების ქვეშ ყოფნის 70 წელი დაუჯდა. გთხოვთ, კოჯორთან დაღვრილი იუნკერთა წმინდა სისხლს, საერთოდ, მამულისათვის დაცემული ყველა ვაჟკაცის თავგანწირვას პატივი მივაგოთ წუთიერი დუმილით.

გმადლობთ...

ახლა, რაც შეეხება განსახილველ კანონპროექტს მოქალაქეთა სოციალური დაცვის შესახებ.

კომუნისტების დროს როდი მივსტირი, ბატონებო, მაგრამ მე მახსოვს დრო, როცა რაიკომები და აღმასკომები სიებს ადგენდნენ ვინ მუშაობდა ვინ იყო უმუშევარი.

დღეს სახელმწიფო სამსახურები თითქმის არ არსებობს და ვინ დაგიდევთ, რით ირჩენ თავს.

რა ჰქნას მოქალაქემ „თავში ქვა იცეს?“ ამიტომაც იგი კანში ძვრება გამოუგონებს თავს კერძო სამუშაოს, ან ბაზარში დგას და გადამყიდველობს, ან კერძო მძღოლად, ძიძად ან ხელზე მოსამსახურედ უდგება მდიდარ კაცს.

მოქალაქეს გვერდით არ უდგას სახელმწიფო. მისი სოციალური დაცვა ნულის ტოლია.

საპენსიო ასაკს რომ მიაღწევს, საიდან მოგიტანოს მან „შრომითი სტაჟი“ როცა თვითონვე არ იცის, რას აკეთებდა.

გეკითხებით ბატონო სოციალური დაცვის მინისტრო; ნუთუ არასოდეს დამთავრდება ეს ქაოსი?

რა დააშავა ჩვეულებრივმა ადამიანმა, რომელსაც მუშაობა სურს და სამუშაოს არ ვაძლევთ, ვუბიძგებთ ვაინაჩრობა-მაიმუნობით არჩინოს ოჯახი და საქმე-საქმეზე რომ მიდგება, ვეუბნებით, რა ვქნათ ძმაო, შენ სახელმწიფო სექტორში არ გიმუშავია, არც კი ვიცით საზოგადოებრივ-სასარგებლო საქმეს ეწეოდი თუ არა, ამიტომაც სახელმწიფოს დახმარების იმედი ნუ გექნებაო.

როდის მოეღება ბოლო ამ უსამართლობას?

26 თებერვალი, 2003 წ.

ბატონებო,

სახალხო დამცველის ანგარიშში ერთი შემაძრწუნებელი ცნობა ამოვიკითხე: თურმე კანონში „სახალხო დამცველის შესახებ“ პარლამენტს შეუტანია შესწორება, რომლის ძალითაც სამართალდამცავი ორგანოები ვალდებულნი არ არიან ანგარიში გაუწიონ, ან თუნდაც პასუხი გასცენ სახალხო დამცველის წინადადებებს.

მაშ, რა ანგარიშს, რა საქმიანობას მოვითხოვთ ნანა დევდარიანისაგან? თურმე პარლამენტს თვით უქცევია სალაყბოდ სახალხო დამცველის ინსტიტუტი. ნანა დევდარიანს ადვოკატის უფლებებიც აღარა აქვს. ადვოკატი ხომ ასე თუ ისე მონაწილეობს სასამართლოს საქმიანობაში.

ნახეთ, რა უფლებები აქვს სახალხო დამცველს ნორმალურ ქვეყნებში. ჩვენ ხომ ჩამოუყალიბებელი, ლამის ტირანული სახელმწიფო ვართ. პრეზიდენტს ჩვენთან დიქტატორის უფლებები აქვს. ფაქტობრივად მას ემორჩილება ყველა და ყველაფერი. მის ნებაზეა დამოკიდებული, დაიჭერენ თუ გაუშვებენ მკვლელს. ამიტომაცაა, რომ სახალხო დამცველი საქართველოში დღითიდღე კარგავს ავტორიტეტს.

თქვენ, ქალბატონო ნანა, ასე რომ გული შეგტკივათ იეღოვლეებზე, რატომ იმ საჩხერელ კაცზე არ შეგტკივათ გული, რომელიც ახლახან იეღოველის ცოლმა ნაჯახით დაჩეხა, მხოლოდ იმიტომ, რომ მამამ მართლმადიდებლური წესით მოინდომა თავისი 8 წლის შვილის დასაფლავება?

რატომ არ მიგაჩნიათ თქვენ ადამიანის უფლებათა დარღვევად ის აღმაშფოთებელი ფაქტი, რომ საქართველოში 4 წელია გაუქმებულია ეროვნება, ვერ დამისახელებთ მსოფლიოში მეორე სახელმწიფოს, სადაც მოქალაქეს საბუთებში არ ეწეროს თავისი ან ავტოქტონური ერის ეროვნება, რატომ ერთხელ მაინც არ დასვით საკითხი, თქვენ ადამიანის უფლებათა დამცველო, რომ დღეს დავით

აღმაშენებლის ქვეყანაში სამართლებრივად, დოკუმენტალურად, იურიდიულად ქართველი ერი უკვე აღარ არსებობს.

მე გაოცებული ვარ თქვენი სრული გაურკვევლობით ეროვნული რეკვიზიტის საკითხში. ნუთუ აქვს მორალური უფლება ერქვას სახალხო დამცველი პიროვნებას (ამ შემთხვევაში თქვენ), რომელიც იმ ეროვნულ, ფენომენს უარჰყოფს, რასაც ილია ჭავჭავაძემ შესწირა თავი?

მაინტერესებს რას აკეთებს თქვენი 44 თანამშრომელი ხელფასის აღების მეტს? ასე ენერგიულად რომ გაჰყვირით, შესაფერისი ოფისი არ გვაქვსო, სწორია თქვენი პრეტენზია, მაგრამ ქართველ ხალხსაც ხომ აქვს უფლება მოგთხოვოთ მისი ეროვნული უფლებების ჭეშმარიტი დაცვა?

თქვენ გაფინანსებთ უმეტესწილად გაერო და მსოფლიო ბანკი. ამ პატივისცემის საფასურად ხომ არ გაიძულებენ ისინი უეროვნებო, ურაკოსმოპოლიტური საქართველოს დაცვას? იეღოველთა და ცრუმორწმუნეთა ქომაგობას.

25 აპრილი, 2003 წ.

ბატონებო,

პარლამენტში ამას წინათ განიხილეს კანონპროექტი სპეციალური ეკონომიკური ზონების შესახებ.

„აღორძინების“ მიერ შემოტანილმა ამ კანონპროექტმა გვიჩვენა, ჩვენი სახელისუფლებო სტრუქტურების მორალურ-პოლიტიკური სახე.

საკმარისი იყო პრეზიდენტს სხვათა შორის ეთქვა, რომ იგი მხარს არ დაუჭერს კანონპროექტს „წერტილოვანი“ თავისუფალი ზონების შესახებ და საპარლამენტო „თემატურ უმრავლესობას“ დაუყოვნებლივ დაჰბერა ამ კანონპროექტის უარყოფის ცივმა ქარმა.

ე მანდ პრეზიდენტის მიერ შერისხული კანონპროექტისადმი რამე კარგი არ წამოგვცდესო და პარლამენტარები ვერ იქნა პლენარულ სხდომათა დარბაზში ვერ შემოიტყუეს.

გაუთავებელი რეგისტრაციების შემდეგ ტაბლოზე ლამის წაუშლელად ჩანდა ელექტროწარწერა „ფორუმი არ არის“.

ბოლოს, როგორც იქნა, შეიკრიბა პარლამენტი, მაგრამ მთავრობის ლოჟა ცარიელი ჩანდა. არა და აღმასრულებელი ხელისუფლების მონაწილეობის გარეშე კანონპროექტის განხილვას აზრი არ ჰქონდა.

როგორც იქნა, შეხვდა „ცეცხლი და წყალი“ ერთმანეთს. დაიწყო კამათი და რა კამათი...

მთავრობის წარმომადგენლები თითქმის დასაბუთების გარეშე, მყარი არგუმენტების მოშველიების გვერდის ავლით, ცდილობდნენ პარლამენტის წევრთათვის თვალში ნაცრის შეყრას და თავგამოდებით „ამტკიცებდნენ“ რომ „სეზი“ დაარღვევს საქართველოს ძლივსმიღწეულ, სავაჭრო-ეკონომიკურ მყუდროებას, რომ ეს კანონი შეაფერხებს ტერიტორიულ მთლიანობის დაწყებულ პროცესს, რომ იგი ხელს შეუწყობს ქაოსს და უკანონობას საბაზრო სისტემაში.

კანონპროექტის ავტორები დამაჯერებლად ასაბუთებდნენ, რომ სპეციალური ეკონომიკური ზონა სრულიადაც არ არის გამოგონილი, მხოლოდ აჭარის რეგიონისთვის, რომ იგი მთელს საქართველოში შეიძლება გავრცელდეს. რომ „სეზი“ ჯერ კიდევ XIX საუკუნეში არსებობდა ბათუმის „პორტო ფრანკოს“ სახით, რომ კანონი დიდ სიკეთეს მოუტანს ქვეყანას უბაჟო (მაგრამ მკაცრად აღრიცხული) საქონლის შემოტანისა და კონტრაბანდის თავიდან აცილების თვალსაზრისით, მაგრამ ოპონენტთა მხრიდან კანონის მომხრეებს ყრუ კედელი ხვდებოდა.

მინისტრებსა და მათს მრავალრიცხოვან მოადგილეებს, მორჩილ უმრავლესობას გაგონებაც კი არ სურდათ „აღორძინების“ სიმართლის, იმ დროს, როცა ბოლო ათწლეულის საქართველოში უამრავი უსაგნო ექსპერიმენტი „განხორციელდა“, პრეზიდენტის მომხრეებს არ სურდათ თუნდაც ექსპერიმენტის სახით დაეშვათ სპეციალური ეკონომიკური ზონა საქართველოში.

...და კანონპროექტი ჩავარდა.

ჩავარდა, მაგრამ მეტად მჭახე ხმა გამოსცა, ამ „ჩავარდნამ“ საქართველოს დანგრევა ცხადყო, თუ როგორ ცდილობს ხელისუფლება საქართველოს გამთლიანებასა და ეკონომიკური უფსკრულიდან ამოყვანაზე.

3 ივლისი, 20034 წ.

ბატონებო,

გასაგებია ვარხტანგ რჩეულიშვილის სურვილი, პეტერბურგის 300 წლისთავის იუბილეში ქართველი და რუსი ხალხის „მრავალსაუკუნოვანი“ მეგობრობის ნამცეცები შეამჩნიოს და სამომავლოდ იმედის ძალიან საეჭვო, მყიფე სხივებს ჩაგვაბღაუჭოს, მაგრამ რა

ვუყოთ, ძვირფასო ვახტანგ, ამ სავალალო სინამდვილეს ლამის შავ ჭირად რომ ექცეს ჩვენს სამშობლოს?

არის თუ არა რუსეთის მიერ ფაქტიურად წართმეული აფხაზეთი და სამაჩაბლო, დაგვიხოცა თუ არა რუსეთმა 30 ათასი მოხალისე სამშობლოს დამცველი, ეუბნება თუ არა რუსი დღესაც უარს 300 ათას ლტოლვილს თავის სახლში დაბრუნებაზე? მოატყუა თუ არა იანვარში რუსეთის პრეზიდენტმა (ეს უკვე მერამდენედ) რკინიგზის ამუშავებასთან ერთად ლტოლვილთა ნარნარად დაბრუნებაზე. მატარებელი უკვე დადის, ლტოლვილთა დაბრუნებაზე კი, ჩემო ვახტანგ, შენმა საყვარელმა რუსეთმა სამი თითის კომბინაცია გვიჩვენა.

პეტერბურგში ბატონი ვახტანგი ამბობს, ყველა საზეიმო ღონისძიება ქართველთა სიყვარულის ნიშნით ჩატარდაო. აფხაზეთის ხსენებაც არ ყოფილა სნგ-ს მეთაურთა შეხვედრაზე, რაკიღა ეს საზეიმო შეხვედრა იყოო. რაც შეეხება ბუშს, იგი დემონსტრაციულად წამოდგა, შევარდნაძესთან მივიდა და ყურში უჩურჩულა: მამაჩემმა, უფროსმა ბუშმა, მოკითხვა შემოგითვალა და მამაჩემის სახელით შემოგფიცავთ, რომ ამერიკა საქართველოს განსაცდელში აღარასოდეს დატოვებსო.

უცნაურია, ბატონო ვახტანგ, თქვენ ამბობთ, პრეზიდენტების შეხვედრაზე მოწვეული სტუმრები და ჟურნალისტები არ შეგვიშვესო. ხოლო ვინც შეუშვეს კი არა, ხელმძღვანელობდა სამიტს – უკრაინის პრეზიდენტი კუჩმა ამბობს: საქართველოს პრეზიდენტის წინადადებით რუს სამშვიდობოებს ათი წლით გავუგრძელეთ მანდატიო.

ეს ხომ აფხაზეთის სამუდამო დაკარგვას ნიშნავს, ბატონებო.

ვინ ტყუის, ბატონო ვახტანგ, უკრაინის პრეზიდენტი, ვინც ხელი მოაწერა ამ გადაწყვეტილებას, თუ შენ და საქართველოს პრეზიდენტი?

როდემდე გინდათ ატყუოთ ქართველი ხალხი?

რა იცი, ჩემო ვახტანგ, რა უჩურჩულა ბუშმა ყურში შევარდნაძეს? რა ენაზე უჩურჩულა? ალბათ ქართულად არა, ხომ? ინგლისურად, რასაკვირველია. ჩურჩული ხომ არ ითარგმნება და შენ როგორ მოჰკარი ჩურჩულს ყური? იქნებ ისიც გაიგონე, პასუხად შევარდნაძემ რა უჩურჩულა ბუშს?

შე კაი კაცო, ეს იდუმალი ჩურჩული გაიგონე და ის ვერ გაიგე, რომ ჩვენმა პრეზიდენტმა ქაღალდის დაზოგვის მიზნით გააუქმა ყოველ ექვს თვეში რუსი მესაზღვრეებისთვის მანდატის გაგრძელება და სამუდამოდ დატოვა ისინი საქართველოში?!

აი, სადაა ძაღლის თავი დამარხული.

ბატონებო,

ყველას კარგად მოგეხსენებათ, ქუჩის აქციებისკენ მოწოდება რომ ცეცხლთან თამაშია, სახეცვლილმა მოქკავშირმა გუშინ საქართველოს მიტინგით და „არასტაბილური ბაკქანალიით“ ხელისუფლების შეცვლისკენ მოუწოდა. ჟვანიას მოყვანილი მედოლე-მეგარმონეების ძალისხმევით რომ გადადგებოდეს შევარდნაძე, რა გვიჭირდა.

თბილისი, საქართველო უფრო ბრძენი აღმოჩნდა, ვიდრე ფსევდო ოპოზიცია მოელოდა. რუსთაველზე შეჩერებული ხალხი კითხულობდა: რა საკითხზე ხდება რევოლუციაო და რომ გაარკვევდნენ, მთავარი მოთხოვნა ცენტრალური საარჩევნო კომისიის გაუქმებაო, ხელს ჩაიქნევდა და შინ ბრუნდებოდა.

ასე რომ, „ნაციონალებმა“ და „დემოკრატებმა“ მიტინგების ტალღა, როგორც უყვართ ხოლმე თქმა, ვერ ააგორეს და მადლობა ღმერთს, რომ ვერ ააგორეს. ღმერთმა ნუ ქნას, რომ ჩვენს გაძარცვულ, დამშეულ საქართველოს ახლა სამოქალაქო ომის ტალღამ გადაუაროს.

ნამდვილი, ეროვნული ოპოზიცია 3 ივნისს ქუჩაში არ გასულა.

ჩვენ ქუჩაში მაშინ გავალთ, როცა საბოლოოდ დავრწმუნდებით, რომ შევარდნაძემ ხელი მოაწერა დოკუმენტს, რომლის ძალითაც 10 წლით, ანუ რაც იგივეა, სამუდამოდ დატოვა რუსი ოკუპანტები საქართველოში. ყოველ ექვს თვეში სამშვიდობოების მანდატზე მსჯელობა, ჩვენთვის რუსეთზე ზემოქმედების ერთ-ერთი ბერკეტი იყო. ნუთუ ახლა ეს სუსტი ბერკეტიც ხელიდან გვეცლება?

ჩვენ გავალთ ქუჩაში, როცა საბოლოოდ დავრწმუნდებით, რომ აღმასრულებელი ხელისუფლება ყველაფერს აკეთებს, რათა ძველებურად ყელში წაუჭიროს ხელი აჭარის ეკონომიკას. უარყოს „აღორძინების“ ყოველი კანონიერი მოთხოვნა, როგორც ეს თავისუფალი ეკონომიური ზონის შესახებ კანონის განხილვის დროს მოხდა.

ჩვენ გავალთ ქუჩაში, როცა საბოლოოდ დავრწმუნდებით, რომ ხელისუფლებას არ სურს თავისუფალი, დემოკრატიული არჩევნების ჩატარება და ყოველ ღონეს ხმარობს, რათა არჩევნების გაყალბების ბერკეტები ხელიდან არ გაუშვას.

პარლამენტის ავტორიტეტი ამ ბოლო დროს იმიტომ კი არ დაეცა, მეგობრებო, ხანდახან ორი პარლამენტარი რომ ერთმანეთს წაეყვინჩილება, არამედ იმ მიზეზით, რომ პრეზიდენტმა პარლამენ-

ტის არაერთი კანონი თუ დადგენილება არ შეასრულა და ჩვენ მიერ კვირების განმავლობაში განუწყვეტელი კამათით მიღებულ კანონს „ნაჩქარევი“ უწოდა.

მივმართავ მთელ საქართველოს! პოზიციასაც და ოპოზიციასაც. ნუ ავყვებით ავად ატროკებულ, ხელმოცარულ პოლიტიკოს-კარიერისტებს. არ არსებობს პრობლემა, რომლის ნიუანსებში შეთანხმება მიუღწეველია. მით უმეტეს, როცა საკითხი არჩევნებს შეეხება.

დავსხდეთ და როგორც გვეკადრება დინჯად, ჭკვიანურად გადავწყვიტოთ ყველა მტკივნეული პრობლემა.

4 ივნისი, 2003 წ.

ბატონებო,

დასასრულს უახლოვდება ექვსწლიანი ეპოპეა საქართველოში წინა პარლამენტის მიერ დანაშაულებრივად გაუქმებული ეროვნების აღსადგენად.

მოქალაქეობის დამადასტურებელ საბუთებში ეროვნება „ქართველი“ ვინც გააქრო, მან კარგად იცოდა, რასაც აკეთებდა; ეს იყო საბოლოო ლახვრის ჩაცემა ეროვნული თვითმყოფადობისთვის, ეროვნული სახელმწიფოსთვის...

ეს იყო მასხრად აგდება იმისა, რასაც ილია ჭავჭავაძემ სიცოცხლე შესწირა. გამოაკელით ჩვენს ეროვნულ კულტურას სიტყვა „ქართველი“ და დაინახავთ, როგორ დაგვენგრევა თავზე ეროვნული ცნობიერება. როგორ დაკარგავს აზრს პატრიოტული პოეზია, დიდგორის ომი, ცოტნე დადიანის გმირობა, ყოველი ეროვნული საზოგადოება და ინსტიტუტი.

კანონპროექტი, რომელიც დღეს წარმოგიდგინეთ, ძნელად გასაგები სრულიადაც არ გახლავთ, იმისთვის ვისაც გაგების უნარი აქვს და „უჩემოდ ვინ იმღერეთას“ სენით არ არის შეპყრობილი: პირველად სარეგისტრაციო აქტში – ადამიანის დაბადების დამადასტურებელ პირველ დოკუმენტში ყველას ჩაეწერება თავისი ეროვნება (ქართველს – „ქართველი“, სომეხს – „სომეხი“, აზერბაიჯანელს – „აზერბაიჯანელი“ და ა. შ.) ხოლო დანარჩენ სამოქალაქო საბუთებში (დაბადების მოწმობა, პირადობის მოწმობა, პასპორტი) ჩაიწერება ასე „მოქალაქეობა (ნაციონალობა) – საქართველოს მოქალაქე“. ეს მოდელი საქართველოში მცხოვრები ყველა ერის ეროვნული თვითმყოფადობასაც საიმედოდ ინახავს და ევროპულ სტანდარტებსაც ეთანწყობება.

რაც მთავარია ფრჩხილებში ჩასმული საერთაშორისო ტერმინით „ნაციონალობა“ საქართველოში ავტოქტონური ერის – ქართველი ერის არსებობა დოკუმენტალურად აღდგენილი და დადასტურებულია.

ორიოდე სიტყვით რომ გითხრათ, ექვსი წლის წინათ გაუქმებული ეროვნება, თქვენი შემწეობით როგორც იქნა აღვადგინეთ.

რაც შეეხება ოპონენტებს, მათ გასაგონადაც უნდა ვთქვა ორიოდე სიტყვა. გურამ შარაძემ და მე ერთად დავიწყეთ გაუქმებული ეროვნების აღსადგენად ბრძოლა ამ ექვსიოდე წლის წინათ, ერთად გამოვდიოდით მხარდამხარ მრავალათასიან შეკრებებზე ფილარმონიასა თუ სპორტის სასახლეში. ეჭვი არ მეპარება ბატონი გურამის კეთილშობილურ სურვილში, აღსდგეს გაუქმებული ეროვნება, მაგრამ ვერაფრით ამიხსნია მისი ჭირვეულობა. მაინცდამაინც შევარდნაძის მიერ ექვსი წლის წინათ შემოტანილი კანონპროექტი განვიხილოთო, ბრძანებს ბ-ნი გურამი. პრეზიდენტმა ამ ექვს წელიწადში პარლამენტში 296 კანონპროექტი შემოიტანა და იქიდან 214 დღემდე არ განხილულა. ნუთუ გურამ შარაძეს ჰგონია, რომ პრეზიდენტი შეუმცდარია და მისი აზრი უაპელაციო ჭეშმარიტებად უნდა მიიღოს პარლამენტმა? მოძველდა ის კანონპროექტი. ნუ მათქმევინებთ ამ ტრიბუნიდან ყველაფერს და საქართველოს დღევანდელი დემოგრაფიული მდგომარეობისთვის დამღუპველია ის კანონპროექტი, რომელსაც გურამ შარაძე ასე ენერგიულად ებღაუჭება, ესეც არ იყოს, ამ ოცი დღის წინათ მე პირადად ვესაუბრე პრეზიდენტს ეროვნული რეკვიზიტის თემაზე და მან ბრძანა, თუ რომელიმე საბუთში შენარჩუნებული იქნება საქართველოში მცხოვრები ყველა ერის ეროვნება, მე ასეთ კანონპროექტს მხარს დავუჭერო.

და განა ასეთი არ არის წინამდებარე კანონპროექტი?

მაშ, რა გვაქვს სადავო, ბატონო გურამ?

რაც შეეხება ჩვენი აზერბაიჯანელი მეგობრების გამოსვლებს, მათი სიტყვები კანონპროექტის ვერგაგებაზეა აღმოცენებული.

ვიღაცამ ჩაილაპარაკა – არიქა ეროვნებას გვართმევენო და ისინიც „გამოცოცხლდნენ“.

მოვაგონებ, ჩემთვის ფრიად პატივსაცემ აზერბაიჯანელ კოლეგებს, რომ აზერბაიჯანის პარლამენტში არც ერთი ქართველი არ არის, ხოლო საქართველოს პარლამენტში 6 აზერბაიჯანელია. აზერბაიჯანში ქართველებს პასპორტში „აზერბაიჯანელი“ უწერიათ, ხოლო 1961 წლიდან ინგილო-ქართველებს ქართული გვარები წაართვეს და აზერბაიჯანული გვარები ჩაუწერეს. ბაქოში ჩვენი დელეგაციის ყოფ-

ნისას პრეზიდენტი ალიევი დაგვპირდა, რომ ამ სიმახინჯეს გამოასწორებდა, მაგრამ მისი დანაპირები სიცრუე აღმოჩნდა.

რატომ ამ პრობლემაზე არ აღშფოთდნენ, აზერბაიჯანელი პარლამენტარები?

დამშვიდდით, ძვირფასებო, პარლამენტმა დღეს კეთილი ინება და ყველა ერს ეროვნება შეუნარჩუნა, ნეტა ასე ექცეოდნენ მეზობელ ქვეყნებში კომუნისტების მიერ გაჩუქებულ თავის ტერიტორიაზე მცხოვრებ ქართველებს.

იცოდეს ყველამ, საქართველო ქართველების მიერ შექმნილი, ქართველთა სახელმწიფოა. ქართველს ვერავინ ასწავლის ტოლერანტობას და არამკვიდრი („სტუმარი" კინაღამ წამომცდა) ერების პატივისცემას, მაგრამ რასაც ქართული კულტურის, ქართული ეთნოსის „პრიმატი" ჰქვია (როგორც კ. გამსახურდია ბრძანებდა) ჩვენ აგრე იოლად არ დაგვეთმობა და თუ ეროვნული სახელმწიფოს აშენებას ვაპირებთ, ეროვნება კბილებით უნდა შევინარჩუნოთ.

16 ივლისი, 2003 წ.

ბატონებო,

ოთხი გრძელი წელი გავიდა და სამწუხაროდ ეროვნების აღდგენის საკითხში ისევ იქ მოვედით, საიდანაც დავიწყეთ.

არ ვიცი თქვენთაგან ვინ მოხვდება მომავალ პარლამენტში, მაგრამ ყველას ანდერძად უნდა დავუგდო, ვინძლო ბოლომდე მიიყვანოს ჩემ მიერ დაწყებული საქმე.

ვერ შევძელი გამერღვია პარლამენტის ხელმძღვანელობის მიერ ჩემ წინაშე აღმართული კედელი.

ნუთუ სინდისის ქენჯნა არ აწუხებს იმათ, ვინც ყოვლის ღონისძიებით ცდილობდა საქართველოში „ქართველის" ხსენება გამქრალიყო, პირველად სარეგისტრაციო აქტში მაინც ჩაწერილიყო ჩვენი ეროვნება და რებუსად არ გვექცია მომავალი მსოფლიოსათვის რომ ამ სახელმწიფოს შემქმნელი, ავტოქტონური ერი ჩვენ ვართ – ქართველები.

სანამ გვიან არ არის, იქნებ მოვუხმოთ კეთილგონიერებას და ჩვენი გასაკეთებელი საქმე სამომავლო პარლამენტს არ გადავაბაროთ.

ახლა, რაც შეეხება აფხაზეთის შესახებ ამ დადგენილების პროექტს.

რუსთაველის პროსპექტზე მოშიმშილე ლტოლვილებს, ჩვენ მიერ ახალი, გულისამაჩუყებელი დადგენილების მიღებაზე უფრო მეტად აფხაზეთის დაბრუნება უნდათ.

ჩვენ ვართ პარლამენტი – უმაღლესი საკანონმდებლო ორგანო და აფხაზეთის დაბრუნებას ვავალებთ უფლებებით ჩვენზე დაბლა მდგომ აღმასრულებელ ხელისუფლებას.

ეს იმას ნიშნავს, რომ ეს დადგენილებაც შეუსრულებლობისთვისაა განწირული.

რატომ ჩვენ, პარლამენტი არ მივმართავთ უშუალოდ გაეროს, პუტინს, მსოფლიოს თანამეგობრობას, რომ დადგა დრო რუსის ჯარმა დატოვოს საქართველო და გაერომ აამოქმედოს წესდების VII მუხლი მშვიდობის ძალით დამყარებას რომ ითვალისწინებს.

რატომ ვჩრით ხალხს პირში მორიგ სატყუარას ამ დადგენილებით?

რატომ მკაცრად არ მოვთხოვთ პრეზიდენტს, შეასრულოს პარლამენტის გადაწყვეტილება რუსის სამშვიდობო შენაერთების უპირობოდ გაყვანის შესახებ?

5 აგვისტო, 2003 წ.

ბატონებო,

სასოწარკვეთილებაში ჩამაგდო გუშინდელმა ტელესიუჟეტმა ლეიბორისტთა პარტიის შენობის წინ მომხდარი შემაძრწუნებელი შეხლა-შემოხლის შესახებ.

ჩემი თავი შემძულდა.

რა ხდება, რა წინასაარჩევნო ისტერიამ შეგვიპყრო, ბატონებო.

ისე გამეტებით უხათქუნებდნენ ერთმანეთს თავ-პირში ხელჯოხებს ოცი-ოცდახუთი წლის ბიჭები, რომ, გეგონებოდათ, სამკვდრო-სასიცოცხლო ომში ჩაბმულანო.

რა დანაშაული უნდა ჩაედინა იმ ლურჯხალათიან ახალგაზრდას ისეთი, რომ ასე სასტიკად უსწორდებოდნენ მისივე ტოლ-სწორნი.

რატომ ვიმეტებთ ერთმანეთს ქართველები, საიდან მოდის ეს აგრესიულობა?

ახლა რაც შეეხება ამერიკული „აი ე ესის" რუსული „რაო ე ესით" შეცვლას:

გუშინ „იტერა" „გაზპრომმა" შეცვალა, დღეს საქართველოს მთელი ელექტროსისტემა რუსეთს ჩავუგდეთ ხელში.

მინისტრთა კაბინეტი ხელებს ასავსავებს: არც ჩვენ და არც შევარდნაძემ არაფერი ვიცოდითო.

კიდევ ერთი ღალატი ჩაიდინა საქართველოს ხელისუფლებამ.

ვერ გამიგია, რატომ შეცვალა ასე რადიკალურად რუსეთმა კურსი ამერიკიდან რუსეთისაკენ?

სიტყვით ბეიკერის „ვარიანტის“ ერთგულია, საქმით კი რუსს ჩააბარა უმთავრესი ბერკეტები ქვეყნის ენერგოსისტემისა.

ზოგი „პოლიტიკოსი“ ამტკიცებს, ამ ფაქტის პოლიტიზირება არ შეიძლებაო.

განა პოლიტიკური საკითხი არ არის ეს საკითხი, ბატონებო?

ჩვენ ამ ნაბიჯით ისევ რუსეთის გავლენის სფეროში აღმოვჩნდით. ეს ხომ ფაქტობრივად სიმწრით მიღწეული დამოუკიდებლობის განკარგვაა.

ავდგები თუ არა მე პარლამენტში და განვაცხადებ – გაიტანოს რუსმა თავისი სამხედრო ბაზები საქართველოდან-მეთქი, რუსი იმ საღამოსვე დენს გამოგვითიშავს და გაზის მოწოდებას შეგვიწყვეტს. ესეც შენი დამოუკიდებლობა და თავისუფლება.

ახლა დამნაშავის ძებნის დრო არ არის. დაუყოვნებლივ უნდა ავიღოთ ხელში მავანთა მიერ ხელმოწერილი ეს დამღუპველი ხელშეკრულება და დაუყოვნებლივ გავაუქმოთ როგორც საქართველოსთვის სრულიად გამოუსადეგარი და კაბალური.

ეს პირველ რიგში! ხოლო მეორე რიგში უნდა დავადგინოთ ვინ გვყიდის ასე უღმერთოდ.

12 აგვისტო, 2003 წ.

ბატონებო,

ამ გაუსაძლის სიცხეში ჩვენ აქ იმისთვის როდი შევიკრიბეთ, რომ ყველა თქვენგანს თავისი სამრეკლოდან ერეკა და დღის წესრიგში იმ საკითხთა შეტანა მოგვეთხოვა, რომელთა განხილვა ცხელ სადღეისო პრობლემებს არ გადაწყვეტს. საქართველოს წინაშე, ბატონებო, ამჟამად სამი მთავარი პრობლემა დგას: პირველი: საარჩევნო კოდექსის ბოლომდე მიღება, მეორე: სეკვესტრის საკითხი და მესამე: ენერგოსისტემის პრობლემა.

გავსებულია ჩვენი კვირის სამუშაო გეგმა მეათეხარისხოვანი კანონპროექტებით. არჩევნებამდე კი სამი თვეც აღარ დარჩა. თუ 2 ნოემბერს არჩევნებს ვატარებთ ბოლოს და ბოლოს დავსვათ წერტილი, ახლა ჭირვეულობის დრო აღარ არის და თუ არჩევნები ჩაიშალა, ამ კინკლაობაში გამარჯვებული აღარავინ დარჩება.

ბიუჯეტის სეკვესტრმა მთელი საქართველო შეაშფოთა. ამ დილით პრეზიდენტმა განაცხადა ჩვენ პარლამენტში გავგზავნეთ სეკვესტრის კანონპროექტი და უკან აღარ დავიბრუნებთო. ვერ გავიგე, რას ნიშნავს ეს განცხადება. თუ პარლამენტი მხარს არ დაუჭერს სეკვესტრს, დიახაც უნდა დაიბრუნოს აღმასრულებელმა ხელისუფლებამ კანონპროექტი. იქნებ ფიქრობენ, რომ მათი სიტყვა ჩვენთვის კანონია და უსიტყვოდ დავემორჩილებით შემოთავაზებულ კანონპროექტს?! თუ სეკვესტრი ჩავარდა, პრეზიდენტი ვალდებულია ერის გვერდით დადგეს და სეკვესტრს ერთხელ კიდევ გადახედოს.

რაც შეეხება ენერგოკრიზისს, ანუ „აიეესის“ „რაოეესით“ ჩანაცვლებას, ვნებები ამ საკითხზე ჯერ კიდევ არ ჩამცხრალა. პრეზიდენტის განცხადება – საქართველოს ხელისუფლებას კურსი არ შეუცვლიაო, ვერაფერი ნუგეშია. ნუთუ რუსეთის მიერ ენერგოსისტემის ხელში ჩაგდება პოლიტიკისგან სრულიად თავისუფალი რამ არის? არ დაიჯეროთ ბატონებო, თუ კანონპროექტში არ ჩაიდო დამცავი მექანიზმები იმის შესახებ, რომ რუსეთის მიერ კანონის რომელიმე მუხლის დარღვევის შემთხვევაში ქართულ მხარეს უფლება აქვს გააუქმოს ხელშეკრულება, იცოდეთ, რუსი კვლავ გააგრძელებს დამპყრობლურ პოლიტიკას.

13 აგვისტო, 2003 წ.

ბატონებო,

დიდ პატივს ვცემ ზაქრო ქუცნაშვილს და ეჭვი არ მეპარება მის მაღალ იურიდიულ კვალიფიკაციაში, მაგრამ ვერ დავეთანხმები მის განცხადებას: თუ პარლამენტარობის კანდიდატმა ახალგაზრდობაში ერთი-ორჯერ შესცოდა და ნარკოლოგიურ დისპანსერში აღრიცხვაზე მოხვდა, ეს ჯერ კიდევ არ ნიშნავს, რომ იგი ნარკომანია და ამის გამო დეპუტატობის კანდიდატთა სიიდან არ უნდა ამოვიღოთო.

მე კარგად მესმის, რომ ნარკოტიკი შეიძლება გარკვეული ვადით ექიმმაც დაგინიშნოს ავადმყოფობის გამო – ტკივილების დასაყუჩებლად ან ნაოპერაციევს, მაგრამ თუ შენ მკურნალობდი, როგორც ნარკომანი და აღრიცხვაზე იმყოფებოდი ნარკოლოგიურ დისპანსერში, ეს კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს შენი ჯანმრთელობის მდგომარეობას, რაკიღა გამოსწორებული ნარკომანი ჩვენ ძალიან ცოტა ვიცით, ამიტომაც, მე ვფიქრობ, ასეთი ნარკობიოგრაფიის მქონე პიროვნებას უარი უნდა ეთქვას პარლამენტის წევრობაზე.

საარჩევნო კანონში შავით თეთრზე სწერია – დეპუტატობის ნებისმიერმა კანდიდატმა ცნობა უნდა მოიტანოს ნარკოლოგიური დისპანსერიდან რომ ის ნარკომანი არ არისო. მე ვფიქრობ, არ არის ეს სწორი გზა ჭეშმარიტების დასადგენად. რომელი დეპუტატობის კანდიდატი მოგიტანთ ცნობას ნარკომანი ვარო, მაშინაც კი, თუ იგი გაქანებული ნარკომანია. რა თქმა უნდა, ეცდება, ქრთამის გაღებით თავისი ნარკოწარსული დაფაროს და ყალბი საბუთი წარმოადგინოს. ესეც არ იყოს, პატიოსან კანდიდატს ამით საქმეს გავურთულებთ; საარჩევნო კამპანიის ჩატარების ნაცვლად ვაიძულებთ, საავადმყოფო-კლინიკებში ირბინოს ცნობის საშოვნელად.

ხომ არ აჯობებს, საარჩევნო კომისიამ – „ცსკ-ოს“ რომ ვეძახით თვითონ მოიპოვოს საიდუმლო არხებით ასეთი ცნობები დეპუტატობის თითოეულ კანდიდატზე, ხოლო პარლამენტში კი წელიწადში ერთხელ, როგორც წესი, მოხდეს პარლამენტარის ნარკოლოგიური შემოწმება.

ჩვენ ვერ ვახერხებთ პარლამენტში არ მოხვდეს, ხალხის ქონების მიმთვისებელი, აშკარა ყაჩაღი ბიზნესმენი, გრანტების მოპარვით ცნობილი „მილიონერი“, მამათმავალი, პოლიტიკასთან მწყრალად მყოფი ელექტორატის მომსყიდველი და ნარკომანს მაინც გადავუღობოთ გზა.

15 აგვისტო, 2003 წ.

ბატონებო,

ახლა უკვე დაგვიანებულია საარჩევნო კანონზე საუბარი. კარგად ვიცი, რომ ჩემი გამოსვლა ჩხუბის მერე ხელების ქნევას ჰგავს, მაგრამ მაინც უნდა ვთქვა, თორემ სათქმელის ჩაბრუნებისგან, შეიძლება, გული გამისკდეს, უნდა ვთქვა საქართველოს გასაგონად, თორემ პარლამენტის წევრებს რომ ჩემი არ გესმით, ღრმად დავრწმუნდი ერთხელ კიდევ – კენჭისყრით, რომ დაადასტურეთ თქვენი „სიბრძნე“.

გაიხსენეთ: სამად-სამი რჩევა მოგეცით, როცა საარჩევნო კოდექსის განხილვა დავიწყეთ:

პირველი: ხაზგასმით და თქვენ რომ გიყვართ გამოთქმა – ცალსახად უნდა ეწეროს-მეთქი საარჩევნო კანონში, რომ ვინც ქართული ენა – ესე იგი საქართველოს სახელმწიფო ენა არ იცის, არ უნდა ჰქონდეს უფლება გახდეს საქართველოს პარლამენტის წევრი. უარი ეთქვას რეგისტრაციაზე როგორც დეპუტატობის კანდიდატს.

მეორე: „მარკირება“ ერთნაირად შეეხოს-მეთქი ყველა ამომრჩეველს სულერთია სოფელში ცხოვრობს იგი თუ ქალაქში. მის რეგიონში ერთი საარჩევნო ოლქია, თუ რამდენიმე. სხვადასხვა მდგომარეობაში ნუ ჩავაყენებთ-მეთქი ამომრჩეველს. კანონს კანონი იმიტომ ჰქვია, რომ ყველაზე ერთნაირად უნდა ვრცელდებოდეს-მეთქი.

მესამე: როგორმე შეველიოთ-მეთქი ძველ „ცენტრალურ საარჩევნო კომისიას“. რაკი ჯუმბერ ლომინაძე თავისი სურვილით გადადგა, იქნებ მთლიანად გადავაყენოთ „ცსკო“ და ახლიდან დავაკომპლექტოთ-მეთქი.

ჩემს გამოსვლას დუმილით დაეთანხმეთ. ყოველ შემთხვევაში კამათი და აზრთა გაცვლა-გამოცვლა არ გამართულა.

აი, ჩატარდა კენჭისყრა და, ჩემდა გასაოცრად, გაირკვა, რომ აუცილებელი არ არის პარლამენტის წევრმა იცოდეს ქართული ენა, „მარკირება“ შერჩევით უნდა ჩაუტარდეს „სანდო“ და „არასანდო“ საარჩევნო უბნებს და ამ ახალ არჩევნებშიც ნაცნობმა სახეებმა, დაოსტატებულმა გამყალბებლებმა უნდა ატყუოს ამომრჩეველი.

რა გვჭირს, რა დაგვემართა ბატონებო? ორიოდე კვირა დაგვრჩა ამ პარლამენტში, ნუთუ აღარ დადგა დრო გაკოტრებული ხელისუფლების კი არა საქართველოს მხარეს დავდგეთ?!

20 აგვისტო, 2003 წ.

ბატონებო,

გასაგებია აღმასრულებელი ხელისუფლების ძალისხმევა, როგორმე იხსნას ბიუჯეტი, ანუ როგორმე თავი გადაირჩინოს – ესე იგი სკამი შეინარჩუნოს.

ახლა მოგვმართეს ჩვენ, რათა შეცვლილი საგადასახადო კოდექსის მიღებით და ბიუჯეტის სეკვესტრზე კვერის დაკვრით, მონაწილენი გაგვხადონ იმ დანაშაულებრივი საქციელისა, რასაც საქართველოს ხელისუფლება სჩადის.

აბა, მითხარით რომელიმე ჭკუათამყოფელმა როგორ უნდა დავუჭირო მხარი მე, რევაზ მიშველაძემ, ისეთ საგადასახადო კანონპროექტს, რომელიც მილიონერებს, მონოპოლისტურ ფირმებს გვერდს უვლის და წვრილ მეწარმეს უჭერს ხელს იმ ისედაც მილეულ-მისუსტებულ კისერში, რომელიც ბაზარს, სადაც დღიური ლუკმის საშოვნელად ლტოლვილი შეფარებულა, გადასახადს უზრდის ისე, რომ არ კითხულობს; განა რა უნდა მოიგოს ყველისა და პიტნის უბადრუკ-

მა გამყიდველმა, რომ ამ უამრავ ჩამომვლელ არამკითხე „მებაზრე“ რევიზორ-კონტროლიორ-პოლიციელსაც მისცეს და ბიუჯეტის უზარმაზარი მუცელიც ამოავსოს? ამ კანონპროექტის ძალით ძმრად უნდა ამოგვადინონ ტექნიკის ის საოცრება, რასაც მობილური ტელეფონი ჰქვია. ძლივს იხდის საშუალო ინტელიგენტი მობილური ტელეფონის ისედაც გაბერილ გადასახადს და გაორმაგების შემთხვევაში ხომ საერთოდ უარს იტყვის XXI საუკუნის მოქალაქის იმ ატრიბუტზე, რასაც მობილური ტელეფონით სარგებლობა ჰქვია.

გადახედეთ, ბატონებო, უკანასკნელი ათწლეულის საქართველოს. პაპუასები უკეთ ცხოვრობენ დღეს, ვიდრე ქართველები. სანამდე მიიყვანეთ ქვეყანა. სოფლებია საქართველოში, წლიდან წლამდე რომ ელექტრონათურა არ ანთებულა, წიგნი და გაზეთი არ ჩაუტანიათ, ტელევიზორი არ ამუშავებულა. რა ჰქნას ამ ხალხმა, დაუბრუნდნენ გამოქვაბულებს?

ოთხი წელია ყოველი ბიუჯეტის დამტკიცებაზე ვამბობ: როგორ შეიძლება მრეწველობა, სოფლის მეურნეობა გავყინოთ და მარტოოდენ უპოვარი ხალხისგან ძალით აღლეტილი გადასახადებით და საბაჟო შემოსავლებით შევავსოთ-მეთქი ბიუჯეტი.

ერთი ნაბიჯი წინ არ გადაგვიდგამს ამ ათ წელიწადში.

არა – ეკონომიკა, არა – აგრომეურნეობა, არა –კულტურა, არა – ტურიზმი, არა – ხვალის იმედი...

დაიქცა ქვეყანა, ბატონებო!

21 აგვისტო, 2003 წ.

ბატონებო,

ბატონო გიგი, სამი წელია მე შენთვის შენიშვნა არ მომიცია და ახლა პირდაპირ უნდა გითხრა, რომ ვერ მოგიწონებ დღევანდელი სხდომის წაყვანის ხელოვნებას.

როგორც იქნა შეიკრიბა ფორუმი და შენ რეგლამენტის აშკარა დარღვევით აძლევ სიტყვას დეპუტატებს, რომ ბიუჯეტის სეკვესტრის განხილვის ნაცვლად, ვისმინოთ აქ თითოსაათიანი ლექციები იმის შესახებ, სწორი იყო თუ არა ამ ექვსი წლის წინათ საქართველოში სიკვდილით დასჯის გაუქმება.

პრეზიდენტმა თქვაო და გამწკრივდნენ მიკროფონებთან პრეზიდენტის მომხრეები და პრეზიდენტის მოწინააღმდეგენი.

თუ პრეზიდენტი, პარლამენტში შემოიტანს შესაბამის კანონპროექტს, მერე ვიმსჯელოთ, ბატონებო. წინასწარ გულის მოოხება რა საჭიროა.

გუშინ აქ ფრიად საქმიანი შენიშვნები მისცეს ფინანსთა მინისტრს გოგიაშვილს. ისიც პასუხობდა, როგორც შეეძლო, მაგრამ ეს იყო მხოლოდ საუბარი, საქმე?

საქმე ის იქნება, თუ ადგება ახლა ფინანსთა მინისტრი, ან მისი მოადგილე და მოგვახსენებს, რა მიიღო მან პარლამენტართა წინადადებათაგან და რა გაასწორა წარმოდგენილ კანონპროექტში.

თუ ყურად არ იღო ეს შენიშვნები, მით უარესი მისთვის. მინისტრის გაჯიუტება მაშინვე აისახება კენჭისყრის შედეგებში და სეკვესტრი ჩავარდება.

ვერ უშველის ამ ამბავს ვერც ზოგი სპიკერის შეშფოთებულ-დემაგოგიური განცხადება – არიქა, სავალუტო ფონდი ყელში ხელს გვიჭერსო და ვერც სატელეფონო ზარები – გაიხსენე ჩვენი ძველი ძმაკაცობა და დაუჭირე სეკვესტრს მხარიო.

ვეკითხები მთავრობის ლოჟაში მსხდომ მინისტრთა კაბინეტს და სახელმწიფო მინისტრს:

როგორ მოხდა, რომ აჭარის დაზარალებული რაიონებისთვის, ქობულეთის დანგრეული სანაპიროსათვის ერთი კაპიკიც არაა გათვალისწინებული საქართველოს ბიუჯეტში?

რაო, აჭარა აღარაა საქართველოს ორგანული ნაწილი?

რამ მოგაფიქრებინათ ისეთი უღმერთობა და უსამართლობა, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს, დედა-უნივერსიტეტს საყოფაცხოვრებო მომსახურების 194 ათასი ლარი უნდა ჩამოაჭრათ.

იცით ეს რას ნიშნავს? უნივერსიტეტის შვიდი კორპუსი დარჩება წელს უსინათლოდ, უწყლოდ და გათბობის გარეშე.

სიცივით გაყინვის საშიშროების წინაშე დადგება 18 ათასი სტუდენტი თქვენი ნაჯახური საფინანსო პოლიტიკის გამო.

დაფიქრდით ამაზე, ბატონო ფინანსთა მინისტრო!

9 სექტემბერი, 2003 წ.

ბატონებო,

ბოლო სესიაზე შევიკრიბეთ. როგორც იქნა მთავრდება ამ პარლამენტის უფლებამოსილების ვადა და რაც ჩვენ ვერ შევძელით, ალბათ, ახალი პარლამენტი მიიყვანს ბოლომდე.

რას ვუპატაკებთ, ბატონებო, ჩვენს ქვეყანას, ჩვენს ამომრჩეველს ამ ოთხწლიანი მუშაობის შედეგების შესახებ?

სამწუხაროდ, ბევრს ვერაფერს.

ვერც ერთი საქმე საქართველოს ხელისუფლებამ ბოლომდე ვერ მიიყვანა, ვერ დაატყო სასიკეთო ხელი ქვეყანას.

კონკრეტულად გნებავთ?

პირველი: დედამიწაზე არსებულ ვერც ერთ საარსებო კალათაში ვერ ჯდება საქართველოში არსებული საშუალო ხელფასი.

მიკვირს, კიდევ როგორ დგას ფეხზე ჩვენი დამშეული მოქალაქე.

მეორე – ათი წელია წართმეული ანაბრებიდან ერთი კაპიკიც ვერ დავუბრუნეთ მოქალაქეს.

როგორ ფიქრობთ, კიდევ რამდენ წელიწადს იცოცხლებს მოხუცი კაცი, რომელსაც შავი დღისთვის ორიოდე კაპიკი ჰქონდა მიბარებული სახელმწიფოსთვის და უსინდისოდ წავართვით. მოგებას ვინ ჩივის, თავისი ფულის დაბრუნებაზეც კი სამი თითის კომბინაცია ვუჩვენეთ.

სხვა პრობლემებზე აქ სიტყვას არ გავაგრძელებ:

რა შეეძლო პარლამენტს გაეკეთებინა და რა გააკეთა, ან რა არ გააკეთა?

გავიდა ოთხი წელი და კვლავ უეროვნებო ქვეყანაა საქართველო.

რა კომპრომისზე არ წავედით ეროვნული ძალები, მაგრამ საბოლოოდ მაინც გაიმარჯვეს იმათ, ვისაც საქართველოში „ეროვნება ქართველის“ გაგონებაც კი არ სურს.

საქართველოში ქართული ენა კვლავ არ არის სახელმწიფო ენა. პარლამენტმა ვერ მიიღო კანონი სახელმწიფო ენის შესახებ, რატომ? ჩვენს მეგობრებს, აზერბაიჯანლებს და სომხებს ეწყინებათ; ქართული სახელმწიფო ენად რომ გამოვაცხადოთ, საჭირო გახდება სახელმწიფო სამსახურში მყოფთ მოვთხოვოთ ამ ენის ცოდნაო.

დღემდე ვერ მივიღეთ კანონი რელიგიის შესახებ. ამიტომ ყელყელაობენ იეღოველები ჩვენში.

ერთი სიტყვით, ამ და სხვა მრავალ საკითხზე პარლამენტის მუშაობის გამოცდილებიდან გამომდინარე, მსურს პლენარულ სხდომაზე სიტყვით გამოსვლა და გთხოვთ შემიტანოთ დღის წესრიგში.

ასარჩევი

რამდენჯერ უნდა შერცხვე..... 5
ამ წუთსაც ველი რუსეთის შეტევას საქართველოზე..... 14
სალამი ახალ გრიგალებს 18
იმედის შუქი 21
ერთი წლითაც მივუახლოვდით..... 24
ახლა საქმეა მთავარი 28
დიდი იმედის ნაპერწკალი 30
ესაა ქვეყნის პატრონობა და სამართალი?! 33
დრო დადგა 36
ვინ ამღვრევს წყალს?..... 37
ყურს ნუ ვათხოვებთ დემაგოგს..... 40
თავს ნუ მოვიტყუებთ 44
რა გადაარჩენს საქართველოს? 47
რა გვჭირს, რა გვიშველის? 54
ეგრე არ არი, თაყაო..... 65
ფხიზლად! ისტორიის ვეშაპი მოდის 68
დიაღაც, სწრაფი რეაგირება..... 70
იმედის ნაპერწკალი ღვივის..... 72
მძიმე ჯვარი ერთად ვზიდოთ..... 75
„პარლამენტის საქმიანობას იმედით ვუყურებ“ 81
მჯერა..... 87
ნატვრის ასრულებას გისურვებთ 96
ახლა მთავარია..... 98
მოვლენათა ცხელ კვალზე..... 99
ნუ გაიხარებენ ჩვენი მტრები 108
კეთილი შუამავალი გვჭირდება 111
მთავარია ეროვნული ფენომენის გაძლიერება..... 116
„მე ოპტიმისტი ვარ“..... 119
ნუთუ ყველაზე გულჩვილნი ჩვენ უნდა აღმოვჩნდეთ? 123
დამოუკიდებლობის ურემი შინ მიტანილი ნურავის ჰგონია..... 127
მალე დავცხრებით..... 133
„სულ რაღაც 90-100 წლის შემდეგ“... 145
სამი სექტემბრის ხელშეკრულება..... 151

რას ჰქვია „მომატყუეს“? 153
„მე ამ ქვეყნის ორომტრიალში წილი მიდევს“ 155
უფრო დიდი ომებიც მოგვიგია 159
ყველაფერს ნუ მათქმევინებთ... 165
ავტეხოთ საგანგაშო ზარების რეკვა 167
ომი მამულის დასაცავად 170
ვაი, რა მწარედ ვტყუვდებით! 173
ერთმანეთისაკენ მორცხვად გავაპარეთ თვალი 176
რუსის ახალ აპეურს ნუ შევიბამთ კისერზე! 179
„შევარდნაძე... დამსახურებულ პენსიაზე“ 183
„ჩემი კრედო არ შეცვლილა“ 189
ქართული სულის გალამაზება 197
„ორივე მხარეს ჩემი სისხლი და ხორცია!“ 201
ღვთის გულისათვის შეჩერდით! 210
„დაკარგეთ 5 წუთი ჩემთვის“ 213
იმედის ნაპერწკალი რომ არ ბჟუტავდეს 221
თუ ხელისუფლება მოინდომებს 230
სიტყვა წარმოთქმული ყოველთა ქართველთა მსოფლიო
ფორუმზე 1994 წლის 10 ოქტომბერს 233
სიტყვა წარმოთქმული საბურთალოს ძმათა სასაფლაოზე
ყოველთა ქართველთა მსოფლიო კონგრესის მონაწილეთა
მიტინგზე 1994 წლის 12 ოქტომბერს 236
ღია წერილი რუსეთის პრეზიდენტს ვლადიმერ პუტინს 238
ჯერ მონასტერი არ არეულა 242
„ვინც არ არის კახაბერი...“ 248
გილოცავთ 251
მიდით, დასცინეთ, გადაუარეთ... 252
პრეზიდენტი – ახალი, პრობლემები – ძველი 254
მეტს რაღას გვიზამს! 257
მწერლობა თვალში არ გეპატარაოს! 259
ჟვანიას განკარგულებით... 262
არ შედრკეთ ბიჭებო! 265
ღია წერილი კულტურის მინისტრს გოკა გაბაშვილს 268
საშინელება 274
თქვენი დღეები დათვლილია 276
სიტყვა მსოფლიოს მწერალთა რუმინეთის კოლოკვიუმზე
„მარტო გლობალურ სოფელში“ 282

ვინ ებრძვის საქართველოში ეროვნულ ცნობიერებას 283
სამი თავსატეხი 289
ღმერთს შეხედეთ, ღმერთს! 294
რევოლუცია ქონების გადანაწილებაა 298
ბუშის ვიზიტის დღიური 303
უნივერსიტეტში ეროვნული უბედურება ტრიალებს 305
უნივერსიტეტის ნანგრევებზე 312
კვლავ ეროვნულ ბარიკადებზე 316
მსოფლიოს ისტორიის ყველაზე ტრაგიკული ეპიზოდი 319
რა გვჭირს? 323
რა ხდება? 327
ვინ ვის ჩარეცხავს! 330
ისევ დავმარცხდით! 339
20 რჩევა პრეზიდენტს 343
ოთხი საპარლამენტო წელი 376

РЕВАЗ МИШВЕЛАДЗЕ

ИЗБРАННЫЕ ПРОИЗВЕДЕНИЯ

в 25 томах

ТОМ XVIII

Издательство „Сакартвелос Мацне“
Тбилиси 2013